ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვდავება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე ალზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათებული.

ილია

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
5.05.98 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალვლავეტა

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი, 1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
აკაკი სისარულიძე

სარედაქციო კოლეგია

ჯუმბერ თითმერია
მაყვალა ინასარიძე
ნარგიზა ლომთაძე

K 289.909

© საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია. 1996
© გამომცემლობა „სამშობლო“. 1996

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

ამ ბოლო დროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ძრავალი მამულიშვილი შეეწირა.

ეს ვაჟკაცები ჩვენს ისტორიაში შევლენ საქართველოსათვის თავგანწირულ გმირებად, ხოლო სულნი მათნი მიემატა საქართველოს სულიერ მხედრიონთა რიცხვს, რომელნიც ღვთის წინაშე ლოცვით კვლავ იცავენ ჩვენს სამშობლოს.

უფალმა დალოცოს და დაამკვიდროს ისინი თვის ზეციურ სავანეთა შინა, სადაც ჩვენი დიდნი წინაპარნი განისვენებენ.

ღმერთმა დალოცოს საქართველოს ამ რჩეულ შვილთა მშობლები და ოჯახები.

სრულიად საქაროველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი

ილია II

1993 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინათქმა

შავი ღრუბელი ჩამოწვა ჩვენს წილ ქვეყნიერებაზე, დაიბინდა ჩვენი ბიწა-წყალი, ძმამ ძმას ზურგი შეუბრუნა, სასიკვდილოდ გაიმეტა — გადამთიელებსაც უხმო და მოიშველია. ლამის სისხლისგან დაიცალოს საქართველო... მისი გადარჩენისთვის მებრძოლი ვაჟკაცების დაღვრილი სისხლი მოურჩენელ ტკივილად ამჩნევია თითოეულ ჩვენგანს.

„...მუმლი მუხასაო გარსა ეხვეოდაო, მუხა ხმებოდაო და არ კვდებოდაო“... ოდითგანვე ეკვეთებოდნენ მტერს ერთი ასზე მისული ქართველები. მათი შეუპოვრობა, შეუდრეკლობა და სიმტკიცე უკან ახევინებდა მომხდურს და მოძალადეს.

უკვდავება დაანათლა ჩვენს ერს წმიდა ნინოს ჯვარმა ვაზისამ. ისიც გვეხმარება გადარჩენაში.

მართლაც **უკვდავია** ერი, ასეთი განსაცდელის ჟამსაც რომ შეუძლია შეწყალება და თანადგომა. ერი, რომელმაც სიყვარული და სითბო უწილადა სხვა ერთა შვილებს, მწედ და მეოხედ ექცა მათ.

უკვდავია ერი, რომლის მიწა-წყალს თავგამეტებით იცავდნენ ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, კრწანისის, დიდგორის და სხვა დიდი ბრძოლების გმირები.

უკვდავია ერი, რომლის ისტორიას აცისკროვნებს დავითისა და თამარის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლესა და სხვა სახელოვან მამულიშვილთა ცხოვრების გზა.

უკვდავია ერი, რომელსაც აუგია ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათი, ნიკორწმინდა, ალავერდი, ილორი... ზოგისთვის მარჯვენა მოუკვეთიათ, ზოგს თავი ზვარაკად დაუდვია ძნელბედობის ჟამს, მაგრამ მაინც აუგია სამშობლოს სადიდებელი ხელთუქმნელი ძეგლი.

უკვდავია ერი, რომელსაც ყოველთვის ასულდგმულებდა იმედი, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლების ჟამსაც წონასწორობას არ კარგავდა, მომხდურს ვაჟკაცურად ერკინებოდა და ამარცხებდა კიდეც.

ბედნიერია ერი, რომელსაც დღესაც ჰყავს დიდებული საგმირო ტრადიციებით ნასაზრდოები შვილები. სამშობლო გიხმობთ, ბიჭებო! — ეს შეძახილი გადაწვდა სრულიად საქართველოს და სახალხო ლაშქარში ჩადგა მთელი ქვეყანა.

„...ნუ დაიდარდებ, დედაო, მალე დაგიბრუნდები... წინ დიდი ბრძოლები გველის: შევმუსრავთ მტერს, მერე რომ ჩამოვალ, შენს კალთაში ჩავრგავ ცავს და დიდხანს, დიდხანს ვიძინებ, შენ კი, როგორც ბავშვობისას... მიმღერებ იავნანას“...

მეორე დღეს მტრის ტყვიამ განგმირა, ველარ აუხდა ნატვრა და სურვილი, ალბათ, მის საფლავზე დამხობილმა დათალხულმა დედამ სამარეს ჩასძახა მწარე იავნანა, აუხდინა საწადელი ერთადერთ პირმშოს. ეს გულდათუთქული ნანა ჩთელმა საქართველომ გაიგო, მთელმა საქართველომ დაიტირა ბრძოლის ველზე დაცემულნი — თითოეული და ყველა ერთად.

მუდამ ემახსოვრება ხალხს თავისი ღიმილის ბიჭები. მათმა მარჯვენამ, გონმა და ზნეობამ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გამოაჩინა ჩვენი ხალხის სულის სიმაღლე, ვაჟკაცური შემართება, შეუპოვრობა და დაუმორჩილებლობა.

ეს წიგნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთსა და შიდა ქართლში გმირულად დაღუპული ბიჭების ცხოვრებას ეძღვნება. ბევრჯერ ვაგიმხილეთ ჩვენი განზრახვა, ბევრჯერ გამოვაცხადეთ პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით, მივწერეთ წერილები შესაბამის უწყებებს შეეტყობინებინათ ჩვენთვის ომში დაღუპულთა მოკლე ბიოგრაფია და ფოტოები.

შეგვინდოს იმან, ვისი სახელიც არ არის მოხსენიებული ამ წიგნში.

იმედს ვიტოვებთ, დაგვეხმარებით მომავალი შევსებული წიგნის გამოცემაში.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ღრმა გასცდით გაიზიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უმძიმესი მწუხარება. ვაქვეყნებთ სამძიმრის ერთ-ერთ წერილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა აბზიანიძის ოჯახს

ჩემო ძვირფასებო!

უმძიმეს და ტრაგიკულ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ცრემლითა და სისხლითაა მორწყული სამშობლოს მიწა, შავი ძაძები აცვიათ დამწუხრებულ დედებს, დაქვრივებულ მეუღლეებს, უნუგეშოდ დარჩენილ ობლებს... მეც მათთან ერთად და თქვენთან ერთად ვწუხვარ და ვგლოვობ...

არ არსებობს სიტყვა, რომ შეეძლოს ამ ტკივილებისა და ჭრილობების მოშუშება.

დღეს ომია საქართველოში.

ეს, ალბათ, ბედია, ბედისწერაა. ბევრ ოჯახში იავნანას ნაცვლად დღეს რექვიემი და სულთათანა ისმის.

გთხოვთ მერწმუნოთ, ცუდია ის მთავარსარდალი, რომელსაც თავისი ჯარისკაცები საკუთარი შვილებივით არ უყვარს.

ამ ომში საქართველოს ჯარისკაცებისათვის ნასროლი ყოველი ტყვია ისე მტკივა, თითქოს ჩემს სხეულს ხვდება, ყოველი ჭეშმარიტი ჯარისკაცი ღვიძლი შვილივით მიყვარს. საქართველოს ყოველი ჯარისკაცი ჩემი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია და, რომ შემეძლოს, მზად ვარ მათთვის ნასროლ ტყვიას საკუთარი მკერდი შევუშვირო.

აუნაზღაურებელია დანაკლისი, რაც თქვენმა ოჯახმა განიცადა. არ ვიცი, რა სანუგეშო სიტყვა გითხრათ, რით ვუმკურნალო თქვენს ტკივილებს და ჭრილობებს, რომლებიც ჩემი ტკივილებიცაა და ჩემი ჭრილობებიც.

სულითა და გულით ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ქედს ვიხრი თქვენი ოჯახისათვის უძვირფასესი ადამიანის ხსოვნის წინაშე.

თუ სანუგეშო სიტყვა არსებობს, ეს, ალბათ, ის არის, რომ დღეიდან თქვენი ოჯახი საქართველოს იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საკუთარი შვილების სიცოცხლის ფასად იცავენ ერს და მამულს, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

მადლიერი ერი თქვენ ამ ამაგს და თავგანწირვას არასოდეს არ დაივიწყებს.

სისხლით და ცრემლით იწერება ახალი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ისტორია. მკვდარი არ ეთქმის იმას, ვინც სამშობლოსათვის მოკვდა. ერი, სამშობლო და ღმერთი თქვენთანაა.

ე. შევარდნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ დაკაცებულან!

ღმერთო მაღალო, მიეც გაძლების ძალა ომში წასული ბიჭების დედებს — ასე ძალუმად რომ უძგერებდნენ გულებს სამშობლოს სიყვარულით, მაღალი ეროვნული შეგრძნებით, ყოველივე იმის ძლიერი განცდით, რაც წაადგებოდა ხალხსა და ქვეყანას.

აგერ, ახლახან არ იყო, ამ პირტიტველა ბიჭებს დედები ჯერაც ზრდადაუსრულებლად რომ თვლიდნენ? მალულად თუ ხილულად ფანჯრებიდან უთვალთვალებდნენ ეზოში, სადარბაზოებთან მდგარ, სახლის კიბეებზე ჩამომსხდარ შვილებს: საათს დახედავდნენ — გვიანაა, იტყოდნენ თავისთვის და შინ შემოსასვლელად უხმობდნენ.

მაგრამ იმდენად ძლიერი ყოფილა მათ გულებს ჩაჭიდებული მამულის გრძნობა, იმისი განცდა — რა ფასად დაუჯდა შთამომავლობას ეს „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტი“ ქვეყნისა და ერის გადარჩენა, რომ სამშობლოს პირველი დაძახებისთანავე უყოყმანოდ ჩადგნენ მის დამცველთა რიგებში. იარაღის ტარებას მიუჩვეველნი, გაჭირვებაში გამოუცდელნი წავიდნენ იქ, სადაც მამულს უჭირდა: შიდა ქართლსა და აფხაზეთში! ეს იყო მამა-პაპათაგან გადმოსული საბალხო საქმისადმი თავდადებული ერთგულებაც და იმისი შეგნებაც, რომ — შენს ვალს სამშობლოს წინაშე შენს მაგივრად სხვა ვერავინ აღასრულებს.

წავიდნენ წინაპართა ძლიერებით ძალმოსილები. ისტორიის შორეთიდან ქარს მოაქვს მოძალადე თურქ-ოსმალთა, მონღოლთა და სპარსთა უთვალავ ლაშქარს შეჭიდებული ქართველების ცხენთა თქარუნის ექო: ჰაი დედასა, რა ვაჟკაცები აელვებდნენ ხმლებს და რა მძვინვარე ათასწლეულებმა ჩაიარეს საქართველოს გზებზე.

ვინ იცის, ეს მერამდენედ ისტუმრებს ომში მიმავალ შვილს მთის კორტოხზე ამაყად გადმომდგარი ქართველის დედა.

„ერთ შვილ ხო მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარია“ — აგულიანებს ბიჭებს გზის პირად აღმართული „ვეფხისა და მოყმის“ ქანდაკება.

მაგრამ, ვაი რომ, ახლა ისინი მოძმეთაგან საკუთარი მიწის დასაცავად მიდიან.

ესეც მცხეთა... სამშობლოს სიმტკიცის სიმბოლო... აქვეა ქართველთა ეროვნული სიამაყე — ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი.

შორიდან გამოჩნდა გორის ციხე — მრავალ ქარაშოტს გამოვლილი, იციან ბიჭებმა, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ამბები გარინდულა ამ მიწისქვეშ, რა გმირობა ჩაუდენიათ მამულიშვილებს. ალბათ, ამიტომაც აღუმართავთ აქ ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკი ხმლით ხელში — ქართველ ვაჟკაცთა გმირობის სიმბოლოდ.

მიდიან ომში ქართველები, სხვა ეროვნების ვაჟკაცები, რომელთაც საქართველო თავის სამშობლოდ გ ულ ხდიათ.

იქნებ სხვა დროს ფეხიც კი არ დაუდგამს ზოგიერთ კახელს აფხაზეთის ნაწილზე, მაგრამ მამულს ხომ გულით გრძნობენ და ხედავენ მისი შვილები, აქიტომაც მიდიან დინჯი და შეუვალი კახელები სამშობლოს დასაცავად.

მიდიან იმერლები ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, სამტრედიიდან, მიდიან ოზურგეთლები, ფეხზე დამდგარა მთელი გურია, მესხეთ-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი და აჭარა. მიდიან ბიჭები და ხმაშეწყობილად ძღერიან ლაშქრულს. ერთად რომ არიან, იმიტომაც არის ასე ომახიანი სამშობლოს სადიდებელი, თორემ ვის გაუგია ერთი მღეროდეს ლაშქრულს.

სახალხო ლაშქარს უერთდებიან სვანები. სვანეთი ხომ შეუვალი სიმაგრე იყო მეორე მსოფლიო ომის დროს — მტერს რომ არ გადმოელახა საქართველოს საზღვრები. ახლაც ასეა, სრულიად საქართველოა სვანების ციხკარი და საფიცარი.

სამეგრელოც გამოჩნდა: თითქოს კოლხური მითებიდან და ლეგენდებიდან გადმოსულან ძველი ეგრისელები, რომლებიც ბერძნულ კოლონიებში არ აღრეულან, ასე მრავლად რომ არსებობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, არც უცხო გემებს გაჰყოლიან გადაღმა ქვეყნებში. გაქურდული აიეტის, კოლხეთის სიმდიდრეს წაპოტინებული არგონავტების შურისმაძიებელთა სული გადმოსულა ამ ბიჭებში და გვჯერა, არავის დაუთმობენ ჩვენს ლამაზ მთა-ველსა და წყალ-ჭალებს. საბრძოლველად მიმავალ სრულიად საქართველოს ლაშქარს სამეგრელოს მოსახლეობა ცრემლნარევი სიხარულითა და იმედით ეგებება და ლოცვით აცილებს:

— მშვიდობით დაგვიბრუნდით, მახარია, მშვიდობით!

ჩაიარეს სამეგრელოს გზები და მიადგნენ სამურზაყანოს — შეუდრეკელ ვაჟკაცთა საცხოვრისს. ეგებებიან ომში მიმავალთ გალში დაბანაკებული საჯარისო ნაწილები და მოსახლეობა.

სამურზაყანოდან იწყება საქართველოს ის მიწა-წყალი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია.

გაგრასა და ლესელიძეში, ოჩამჩირესთან და სოხუმთან სიკვდილის პირისპირ იდგნენ უფროს თაობასთან ერთად ჩვენი ბიჭები სრულიად საქართველოდან.

მაშინ გაგრისა და ლესელიძისთვის ბრძოლების დაწყების წინ რამდენმა ჩაბღუჯა აფხაზეთის მიწა, გულის ჯიბეში ჩაიდო და ასე ეკვეთა მტერს.

— და წაიქცა ერთი, მეორე...

ბევრი, ძალიან ბევრია სათქმელი თავგანწირული ბიჭების შესახებ. მაგრამ ერთია, გამოვაცხადოთ მათი სახელები, საგმირო საქმეები ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთებით (თუმცა, ჯერ კიდევ რამდენი რამ არ ვიცით ზოგიერთი დაღუპულის შესახებ), მერე კი აქედანვე, ამ შეჭირვების ჟამიდანვე ვიფიქროთ ხალხის გულში ერთ, მთლიან ძეგლდადგმულთაგან თითოეულის სახელის უკ-

ვდავყოფაზე: მათ მშობლიურ ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში უნდა დაიდგას მემორიალური დაფები, ვუწოდოთ მათი სახელები სოფლებს, სკოლებს, კულტურულ დაწესებულებებს, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებს უნდა [illegible] დეს მათი სურათები, სათითაოდ ჩამოვთვალოთ გვარები, რომ ბრძოლ[illegible] ვრილი სისხლისფერი ყვავილები მარად ამშვენებდნენ მათ სახელებს.

არც ისინი უნდა დავივიწყოთ, ვინც უგზო-უკვალოდ დაიკარგა, წმინდად უნდა შემოვუნახოთ შთამომავლობას ის ადგილები, სადაც გადამთიელები მხეცურად გაუსწორდნენ უდანაშაულო მოსახლეობას: ბავშვებს, ქალებს, კაცებს. ხომ ასე იყო მუდამ: ომსაც ჰქონდა თავისი კანონები; მტერსაც კაცურად ექცეოდნენ და ღირსებით იგებდნენ ბრძოლებს. აქ კი ისტორია უსათუოდ გაარკვევს ამ უთანასწორო ბრძოლების სასაკლაოდ გადაქცევის ამბებს.

ასე შეეწირნენ ქართულ მიწას ჩვენი ბიჭები — გიორგი და ბესიკი, დავითი და ცოტნე, დიმიტრი და ერეკლე.

ნუ დავაყოვნებთ და შევქმნათ მხატვრული ნაწარმოებები მათ შესახებ, ვაჩვენოთ ისინი ბრძოლის ცეცხლოვანი ხაზიდან, მათი განუმეორებელი სულიერი სიმაღლე, გმირობა, ვაჟკაცობა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია უკვე შეუდგა მუშაობას ხსოვნის წიგნზე („უკვდავება"), სადაც მოთხრობილი იქნება თითოეული დაღუპული მეომრის ბიოგრაფია, საგმირო საქმეები. ვთხოვთ საზოგადოებრიობას, მშობლებს, ახლობლებს, საჯარისო შენაერთებს დახმარებას — არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენგან წასული არცერთი მეომარი, შეგვეხმიანეთ!

მაშინ კი, როცა დამთავრდება ეს საშინელება, გადარჩენილ ყველა მეომარს, სახალხო ლაშქრის მონაწილეს მოვუყაროთ თავი და დაღუპულთა სურათებთან ერთად გავატაროთ რუსთაველის გამზირზე თბილისის განიერი ქუჩებით; ხალხმა უნდა დაინახოს ბრძოლებში როგორ დაკაცებულან ჩვენი ბიჭები!!!

„საქართველოს რესპუბლიკა"

14.12.92

ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულია

მარიამ ლორთქიფანიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა უწყიან თუ...

„ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ გვაუწყებს, რომ აფხაზები შეადგენენ აფხაზეთის ასსრ-ის მკვიდრი მოსახლეობის ძირითად ნაწილს.

ისმის კითხვა, თუ რას ნიშნავს მათი თვალსაზრისით „მკვიდრი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი“, იმას, რომ აქ „მკვიდრი“ მხოლოდ აფხაზები არიან თუ სხვაც არის „მკვიდრი“, მაგრამ ამ „მკვიდრთა“ ძირითად ნაწილს აფხაზები შეადგენენ? ორივე შემთხვევაში აზრი არასწორია. თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ ქართველები და აფხაზები, ამასთანავე, ამ ორ მკვიდრ ერს შორის აფხაზები არ არიან „ძირითადი“ ამ სიტყვის უმრავლესობის გაგების თვალსაზრისით, რადგან 1979 წლის აღწერის (სამწუხაროდ, უკანასკნელი 1989 წლის აღწერის შედეგები ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არის) მასალებით აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობა შეადგენდა 486 082 სულს. აქედან აფხაზია 88 097, ე. ი. მთელი მოსახლეობის 12,1 პროცენტი, ქართველი – 213 322 ე. ი. მთელი მოსახლეობის 43,9 პროცენტი, ხოლო ღანარჩენნი არიან სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები. გათვალისწინებულია ისიც, რომ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქართველები როგორც ისტორიულად, ასევე ყველა გამოქვეყნებული ოფიციალური აღწერით; აფხაზები რომ აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, ეს „ლექსიკონის“ ავტორებმა (თუ ავტორმა) კარგად იციან, რადგან ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „საკუთრივ აფხაზები თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლებს შეადგენენ“. მაგრამ ვინ მიაჩნია ავტორს, აფხაზებთან ერთად, მკვიდრ მოსახლეობად, რომლის ძირითად ნაწილსაც აფხაზები შეადგენენ, – ეს „ლექსიკონიდან“ არ ჩანს, რადგან ცოტა ქვემოთ წერია, რომ აფხაზები აფხაზეთის ასსრ-ში ემეზობლებიან ქართველებს, რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვა ხალხთა წარმომადგენლებს. როგორც ვხედავთ, ქართველები, რომლებიც თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის უძველესი მკვიდრნი არიან, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ყოველთვის და ახლაც უმრავლესობას შეადგენენ, აფხაზეთის მეზობლად ერთ მწკრივში არიან დაყენებულნი რუსებთან, სომხებთან ერთად, რომლებიც საერთოდ დასავლეთ საქართველოში და საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ში, ამიერკავკასიაში რუსული მფლობელობის დამყარების შემდეგ ჩნდებიან.

წარმოდგენილი „ლექსიკონი“ ცდილობს შექმნას თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზებს და აფხაზეთს ისტორიულად, როგორც წესი, არაფერი ჰქონია საერთო საქართველოსთან და არც ახლა აქვს, რომ: მათი წინაპრები ძვ. წ. XI საუკუნიდან ასურულ წარწერებში დამოწმებულნი არიან „აპეშლას“ სახელით, ხოლო ანტიკურ წყაროებში „აბსალებად“ მოიხსენიებიან; რომ ახ. წ.

IV ს. აფხაზეთი წარმოადგენდა „სამეფოს“ ადგილობრივი მმართველი დინასტიით, რომელიც შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ლაზიკის სამეფოში. შემდეგ, ლეონ II-ის დროს, აფხაზეთი გაერთიანდა დასავლეთ საქართველოსთან ერთიან აფხაზთა სამეფოდ; რომ ამ სამეფოს აყვავების ხანა IX—X საუკუნეები, რომლის შემდეგ ძალაუფლება ქართველ მეფეთა ხელში გადადის, XIV—XV საუკუნეებიდან კი აფხაზეთი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საბედიანოს სამთავროს შემადგენლობაში, რომლის დაშლის შემდეგ ის ისევ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა შერვაშიძე — ჩაჩბა მთავრების ხელისუფლების ქვეშ, ხოლო 1922 წ. ის აფხაზეთის რესპუბლიკად გამოცხადდა.

აქ წარმოდგენილი სურათი შორსაა სინამდვილიდან.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულია ვარაუდი, რომ ძვ. წ. XI ს. ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული „აბეშლა“ ამჟღავნებს მსგავსებას თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მიწა-წყალზე ანტიკურ წყაროებში დამოწმებულ „აბსალების“ სახელწოდებასთან, საიდანაც ვარაუდობენ აფხაზთა თვით სახელწოდება „აფსუას“ მომდინარეობას, მაგრამ „აბეშლას“ ტომები მოსახლეობდნენ არა იქ, სადაც შემდეგ ანტიკური წყაროები „აფსილებს“ ასახელებენ, არამედ „აბეშლა“ ასურულ წყაროებში იხმარება ჩრდილოაღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელწოდების, ხეთური „ქაშქას“ (ჩერქეზებად რომ მიაჩნიათ) ვარიანტად. „ლექსიკონის“ მიხედვით კი მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ასურული წყაროების „აბეშლა“ ძვ. წ. XI საუკუნეში აქ მოსახლეობდა.

გაუგებარია, რისი თქმა სურთ ავტორებს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ბერძნული პოლისების ახ. წ. IV ს-ში დასუსტებასთან დაკავშირებით. მათი თვალსაზრისით, ეს პოლისები ეცემიან ახ. წ. IV საუკუნეში და ამის შემდეგ აფხაზეთი წარმოადგენს „სამეფოს“ ადგილობრივ წარჩინებულთაგან გამოსული მეფეებით და შედის ლაზთა სამეფოში, რომელიც თავის მხრივ ბიზანტიის იმპერიის ნაწილია. თავი რომ დავანებოთ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ბერძნული დასახლებების ადგილისა და მნიშვნელობის არასწორ შეფასებას, აქ ბევრი უზუსტობაცაა. IV საუკუნეში დასავლეთ საქართველო წარმოადგენს ერთიან ეგრისის სამეფოს, რომელშიც შესულია აბაზგია და აფსილია, ეგრისის სამეფო კი ბიზანტიის იმპერიის ნაწილი კი არ არის, არამედ წარმოადგენს იმპერიის ვასალურ სახელმწიფოს და ეს ვასალობა, როგორც იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. „ლექსიკონის“ თანახმად, ლეონ II-ის დროს აფხაზეთი გაერთიანდა დასავლეთ საქართველოსთან ერთიან აფხაზთა სამეფოდ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთი სხვაა, დასავლეთ საქართველო სხვაა. ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზეთი გეოგრაფიულად და ისტორიულად იყო და არის საქართველოს ნაწილი.

ვისაც ჩვენ, ქართველები, ღღეს აფხაზებს ვუწოდებთ, ისინი თავის თავს უწოდებენ აფსუას, მოსახლეობენ ძირითადად თანამედროვე აფხაზეთის ავტო-

ნომიურ რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორია ისტორიული და თანამედროვე საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, მისი შავი ზღვის სანაპიროს უძველესი ეთნიკური რუკის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ეს მოსაზრებები იმდენად შორეულ ეპოქას ეხება (დაახ. ძვ. წ. VI—V ათასწლეულები), რომლის შესახებ კონკრეტულ ვინაობაზე მსჯელობის შესაძლებლობა გამორიცხულია. ხოლო ძვ. წ. III ან II ათასწლეულიდან, როდესაც სურათი შედარებით უფრო ნათელია, დასავლეთ ამიერკავკასიაში უმთავრესად ქართველური მოსახლეობა ივარაუდება. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე ანტიკურ ხანამდე, ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ არსებობს საერთო კოლხური კულტურა. რასაკვირველია, ამ დიდი კულტურის შიგნით გამოიყოფა ცალკეული რეგიონული ვარიანტები, მაგრამ ის მთლიანად კოლხური კულტურაა.

ამ დასკვნას მთლიანად უჭერს მხარს ძველი ბერძნული მითოლოგიის მონაცემები არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობაზე და ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული მოსაზრება არგონავტთა აქ მოსვლის დროს (ძვ. წ. III ათასწლეული), ე. ი. ბერძენ-კოლხთა უძველესი კონტაქტების ხანაში აქ ქართველური ენის არსებობას ადასტურებს.

აღნიშნულ დებულებებს მთლიანად უჭერენ მხარს ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვით (ჰეკატე მილეთელი, ძვ. წ. V ს., სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს., სტრაბონი, ძვ. და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნა და სხვ.). კოლხეთის დაბლობზე ლოკალიზდება იმდროინდელი კოლხეთის სამეფო დიოსკურია (სოხუმამდე), რომლის მოსახლეობას შეადგენენ საკუთრივ კოლხები. დიოსკურიის ჩრდილოეთით იწყებოდა ნაწილობრივ განსხვავებული (შედარებით ჭრელი) ტომობრივი სამყარო, სადაც, კოლხებთან ერთად, სხვადასხვა ტომები მოსახლეობდნენ, მათ შორის კერკეტები და კორაქსები, რომელთაც ზოგი მკვლევარი ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ტომებად თვლის (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰეკატე მილეთელი კორაქსებს კოლხურ ტომად მიიჩნევს).

ამასთანავე, ახ. წ. XI საუკუნის ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პლოტემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს ლაზიკას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს „ძველ ლაზიკას“ უწოდებს, რაც იქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა.

ახ. წ. I—II საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან აფსილები და აბაზგები (პლინიუს სეკუნდი, ფლავიუს არიანე). I—II საუკუნეების ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული აფხაზები და აბაზგები თუ როდიდან მოსახლეობენ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არაა; ზოგი მკვლევარის აზრით, ისინი უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ აქ, მაგრამ რადგან კოლხურ ისტორიულ-ეთნიკურ-კულტურულ სამ-

ყაროში შედიოდნენ. I—II საუკუნეებზე ადრინდელ წყაროებში მათ ვერ პოვებ ასახვა. მკვლევართა ნაწილის აზრით, ისინი აქ სწორედ იმ დროიდან ჩნდებიან, როდესაც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზურ-ადიღეური ტომების ჩამოსვლა დაიწ-ყო. აზრთა სხვადასხვაობაა ამ აფსილ-აბაზგთა ეთნიკურ კუთვნილებაზეც. მკვლ-ვართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი ჩრდილო-კავკასიური-ადიღეური მოდ-გმის ტომები არიან, ამასთანავე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აფსილები და აბაზგები ისეთივე ქართველური ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახ-ლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვა ტომები, ხოლო თანამედროვე აფხაზები გვიან, მე-17 და მომდევნო საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან.

ზოგი მკვლევარი მიგრაციულ-ავტოქთონობის, ნაწილობრივ ადგილობრიო-ბისა და ნაწილობრივ მოსულობის თვალსაზრისზე დგას. გამოთქმულია ვარაუ-დი, რომ ძვ. წ. XI საუკუნის ასურულ წარწერებში ჩრდილო-აღმოსავლეთ მცი-რე აზიის მთიელთა ზოგად სახელად მოხსენიებული „აბეშლა" შეიძლება (სახე-ლის მსგავსების გამო) იყვნენ ანტიკურ წყაროებში შავი ზღვის სანაპიროზე მოხსენიებული აბსალების წინაპრები, რომლებიც შემდეგ სამხრეთიდან ჩრდი-ლოეთისაკენ ინაცვლებენ.

გამოთქმულია, აგრეთვე, ვარაუდი, რომ აფხაზეთის ასსრ მიწა-წყალზე გვიანანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ ადიღეურ-ჩერქეზული ტომები და თანა-მედროვე აფხაზები მათი კონსოლიდაციის შედეგად წარმოქმნილ ეთნოსს წარ-მოადგენენ; აგრეთვე, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზები ამ ძველ და XVI—XVII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული მათი მონათესავე მთიელების შერევის შედეგად წარმოიქმნენ. მკვლევართა ნა-წილი თავს იკავებს აფსილ-აფშილთა და აბაზგ-აფხაზთა ეთნიკური კუთვნი-ლების განსაზღვრისაგან, რადგან მეცნიერთათვის დღეს ცნობილი წყაროები არ იძლევიან უტყუარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. მაგრამ თვლიან, რომ, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, ისინი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სამყაროში იმყოფებოდ-ნენ და ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ.

ანტიკური წყაროების „აფხაზების" შესატყვისია ქართულ შუასაუკუნოვან წერილობით წყაროებში მოხსენიებული „აფშილები", ამავე ანტიკური წყარო-ების „აბაზგიას" ქართული წერილობითი წყაროების „აფხაზეთი" შეესატყვი-სება და ის პირველად დამოწმებულია იოანე საბანის ძის (VIII ს.) თხზულებაში „აბო თბილელის მარტვილობა". ეს „აფხაზეთი" ამ დროს მოიცავს მთელ დასავ-ლეთ საქართველოს ნიკოფსიიდან მდ. ჭოროხის ხეობამდე და შავი ზღვიდან ლიხის (სურამის) ქედამდე. ამ დროს ცნება აფხაზეთის (აბაზგია) მნიშვნელობა გაფართოებულია. ეს აფხაზეთი ამ დროს მოიცავს საკუთრივ აბაზგების, აფსი-ლების ქვეყანას და ეგრისს (ლაზიკას). ცნება „აფხაზეთის" ასეთი გაფართოება თანდათან ხდება. სახელდობრ, კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურად რომის იმპერიაზე დამოკიდებული რამდენიმე სა-მეფო „სამთავრო" შეიქმნა (ლაზების, სანიგების, აფშილების, აბაზგების). მე-

K 989 909 3
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე საუკუნის მეორე ნახევარში ეს სამთავროები ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში გაერთიანდნენ. საკუთრივ აფშილეთი მდ. ეგრისწყლიდან (ღალიძგა) კოდორამდე უშუალოდ შედიოდა ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო კოდორს ჩრდილოეთით აფშილეთი გაერთიანებული იყო აფხაზეთთან, რომელიც ეგრისის სამეფოს ვასალი იყო.

ბერძნული წერილობითი წყაროები (V ს. ბიზანტიელი ანონიმი, VI ს. პროკოფი კესარიელი, იოანე ლადე, აგათია სქოლასტიკოსი), როდესაც ლაზეთის სამეფოსა და ლაზეთზე მოგვითხრობენ, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ლაზები ძველი კოლხების მემკვიდრენი არიან, რომ მათ ძველად „კოლხებს" უწოდებდნენ, რომ კოლხები მათი წინაპრები არიან. ისინი ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ.

VI ს. ეგრისის სამეფო თანდათან დასუსტდა. საუკუნის დასასრულისათვის მას გამოეყო აბაზგია, რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაუქვემდებარდა. აბაზგიის მთავრები იმპერატორის ვასალები იყვნენ, ქართული წყარო მათ „კეისრის ერისთავს" უწოდებს. აბაზგიამ თანდათან გაძლიერება დაიწყო და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ის უკვე საკუთრივ აბაზგიასთან (აფხაზეთთან) ერთად აფსილიასაც (აფშილეთს) მოიცავს. ამ დროიდან იწყება ცნება „აფხაზეთის" მნიშვნელობის გაფართოება, აფხაზეთი უკვე გაერთიანებული აფშილეთ-აფხაზეთია, ხოლო აფხაზი აფხაზთა ამ გაერთიანებული სამთავროს (საერისთავოს) მცხოვრებია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ VII ს. 30-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით, ქართველი ისტორიკოსი ცხუმის შესახებ წერს, რომ ის არისო ქალაქი „აფშილეთისა და აფხაზეთისა". ჯუანშერის თხზულების დაწერის დროს კიდევ იცოდნენ, რომ ცხუმი საკუთრივ აფშილეთის ქალაქი იყო, მაგრამ შემდეგ ეს ცოდნა დაიკარგა.

VIII საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც გაერთიანდა აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც „აფხაზთა სამეფო" ეწოდა, ცნება „აფხაზეთის" მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის აღნიშნავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზად იწოდებოდა როგორც საკუთრივ აფხაზი, ისე ყველა დასავლელი ქართველი.

აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები: ქართები, ეგრები, სვანები, ნაწილს—ს აკუთრივ აფხაზები და სხვა ჩრდილოკავკასიელი ტომები. აფხაზთა სამეფო შედგებოდა რვა ადმინისტრაციული ერთეულის — საერისთავოსაგან. საკუთრივ აფხაზური და ძირითადად აფხაზებით დასახლებული ორი საერისთავო იყო — აფხაზეთის და ცხომის, ხოლო ექვსი-ეგრისის (ცენტრი ბედია), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის; არგვეთის (ცენტრი შორაპანი), ვაკე იმერეთის (ცენტრი ქუთაისი) — ქართველებით იყო დასახლებული.

„ლექსიკონის" მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ IX—X საუკუნეებში დასავლურ-ქართული სახელმწიფოს (აფხაზთა სამეფოს) მეფეები ქართველები არ იყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ხელისუფლება ქართველი მეფეების ხელში. მართალია, აღნიშნული პერიოდის აფხაზთა მეფეები

ეთნიკური კუთვნილების შესახებ არ არსებობს არავითარი ცნობა, ხოლო მკვლევართა შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა (ნაწილი მათ ბერძნებად მიიჩნევს, ნაწილი ქართველებად, ნაწილი აფხაზებად), მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნების მიხედვით, ქართველები იყვნენ. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსები ამ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს ეგრისის სამეფოს, ხოლო მეფეებს — ეგრისის მეფეებს უწოდებენ.

სწორედ IX—X სს. ამ აფხაზთა მეფეების აქტიური მოღვაწეობის შედეგად აფხაზთა სამეფო საბოლოოდ გამოეყო ეკლესიურად კონსტანტინეპოლის სამწყსოს და მცხეთის ტახტს დაუქვემდებარდა. აფხაზთა მეფეებმა გააუქმეს აქ არსებული ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრები და დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები, რომლებიც ქართული მწერლობისა და კულტურის მძლავრ კერებად ჩამოყალიბდნენ. ამ სახელმწიფოში შეიქმნა ქართული აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები, აიგო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, აფხაზთა მეფეების კარზე ქართულად დაიწერა აფხაზეთის მეფეთა ისტორია. აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ ბრძოლაში, რომლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო.

აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ქართული მოსახლეობის შუაგულში მყოფი, ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინეპოლის სამწყსოს, და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიად, არ დაამკვიდრებდა წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე, და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს. ამდენად, IX—X საუკუნეების შემდეგ კი არ გადადის ხელისუფლება ქართველი მეფეების ხელში, არამედ ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ ბაგრატიონი აფხაზთა მეფეების კანონიერი მემკვიდრე იყო ჩამომავლობითაც (დედის ხაზით) და მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამგრძელებელიც.

X ს-ის 80-იანი წლებიდან ცნება „აფხაზეთის“ და „აფხაზის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება. ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა „მეფე აფხაზთა“, რადგან როგორც ბაგრატიონთა სახლის „ქართველთა მეფის“, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის „აფხაზთა მეფის“, ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი ჯერ „აფხაზთა მეფედ“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მეფედ აკურთხეს, ხოლო მისი წინაპარი „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან „ქართველთა მეფის“ ტიტული, კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ — ჰერთა და კახთა მეფის ტიტულებიც და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა.

ამის შედეგია უცხოურ წყაროებში „აფხაზეთი“ მთელი საქართველოს და „აფხაზი“ საერთოდ ქართველის მნიშვნელობით რომ იხმარება, აღნიშნულ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს და დადასტურებულია, რომ ძველი რუსული წერილობითი წყაროების „ობეზა“, ბერძნული წყაროების „აბაზგი“, სომხურ-არაბულ-სპარსული წყაროების „აფხაზა“ და სხვა, ზოგადად, როგორც წესი, ქართველს ნიშნავს.

იმდროინდელ ქართულ წყაროებში „აფხაზი“ ნიშნავს ზოგადად ქართველს, დასავლელ ქართველს და, საკუთრივ, აფხაზს.

XV საუკუნეში იწყება ერთიანი საქართველოს ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ დაშლის პროცესი. ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება და საკუთრივ იმერეთის სამეფოში ყალიბდება სამეგრელოს და გურიის სამთავროები, აფხაზეთი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში შედიოდა, მაგრამ XVII საუკუნეში ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა. ამიერიდან აფხაზეთი ეწოდება კოდორს ჩრდილოეთით მდებარე ამ სამთავროს, რომლის მთავრები შერვაშიძეები იყვნენ, შესაბამისად, ქართველები ამიერიდან აფხაზებს ამ სამთავროს მცხოვრობლებს უწოდებენ.

აფხაზთა მთავრები შემდეგ სამეგრელოს სამთავროს წაართმევენ ტერიტორიას ენგურამდე და ეს მხარეც აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შედის სამურზაყანოს სახელწოდებით.

XVI—XVII საუკუნეებიდან აქ რთული პროცესი მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლების პროცესი, რაც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა, შედეგად იძლევა კახეთში დაღესტნელი ტომების შიდა ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხთა დასახლებას.

ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართობა მომძლავრდა, ამასთანავე, დამპყრობელი ოსმალების გავლენით ისლამი იკიდებს ფეხს. XV—XVII სს. ქართული დოკუმენტური მასალა, ნარატიული წყაროები პირდაპირ უთითებენ აფხაზეთში ქრისტიანობის შერყვნაზე. უცხოელი ავტორები, რომელნიც XV—XVI საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდორს სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სწორედ XVII საუკუნიდან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის არსებობის შესახებ (აბულ-ფიდა, პიეტრო გერალდა, ჯოვანო ჯულიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, ევლია ჩელები და სხვები).

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ შუასაუკუნოვანი ქართული საისტორიო თხზულებები აფხაზებს საერთო ქართველური სამყაროსაგან განსხვავებულად არ თვლიან. XI ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როდესაც კავკასიის ხალხთა წარმომავლობაზე მოგვითხრობს, დასავლეთ საქართველოს მთლიანად ეგრისის წილ ქვეყნად თვლის. მან შესანიშნავად იცის აფხაზების

და აფხაზეთის არსებობა, მაგრამ მისთვის აფხაზეთი ეგრისია. ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც დასავლეთ საქართველოზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჯერ ეწოდებოდა ეგრისი, შემდეგ აფხაზეთი, შემდეგ იმერეთი. მისთვის დასავლეთ საქართველო ერთნაირად ეგრის-აფხაზეთ-იმერეთია, თუმცა მან კარგად იცის აფხაზების არსებობა და ისიც იცის, რომ მათ საკუთარი სალაპარაკო ენა აქვთ. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ისტორიულ-კულტურულად მაშინ აფხაზები ქართველები იყვნენ.

იმ დროს, როდესაც ქართული საისტორიო წყაროები საკუთრივ აფხაზეთის სამთავრობო მცხოვრებთ აფხაზებს უწოდებდნენ, მათ, ალბათ, ჰქონდათ თავისი სალაპარაკო ენა (ყოველ შემთხვევაში, XVII საუკუნიდან მაინც), მაგრამ რადგან არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და მწერლობა, ეს არ არის ფიქსირებული. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თავიანთ თავს მაშინაც (როგორც ახლა) აფსუებს უწოდებდნენ. ვინ არიან ეს დღევანდელი აფსუები? აქ შეიძლება სამი მოდელი შეიქმნას.

1. აფხაზები უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე და წარმოადგენდნენ ქართველთაგან განსხვავებულ, ჩრდილოკავკასიელთა მონათესავე ეთნოსს (შ. ინალ-იფა), რომელიც ადრე შუასაუკუნეებში (VII—VIII სს.) ჩამოყალიბდა აფხაზ ხალხად (ზ. ანჩაბაძე).

2. ძველი აფხაზები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო თანამედროვე აფხაზები ნაგვიანევ შუა საუკუნეებში (XVII ს-დან) ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული ეთნოსია (პ. ინგოროყვა).

3. ძველი აფხაზები, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა (რაც ჩვენთვის უცნობია), ისტორიულ-კულტურულად იყვნენ ქართველები, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ფეოდალური კულტურისა და ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, ხოლო ნაგვიანებ შუა საუკუნეებში მიმდინარე პროცესების შედეგად აქ ჩრდილოკავკასიური ტომები ჩამოსახლდნენ (ნ. ბერძენიშვილი) და მათი შერწყმის შედეგად შეიქმნა თანამედროვე აფხაზი (აფსუა) ხალხი. ვფიქრობ, რეალური ეს მოდელია. როდესაც იმარჯვებს შინაგანი დეცენტრალიზმი, დამპყრობელი, — ჯერ თურქი, შემდეგ რუსი, — ცდილობს არაქართული მიდრეკილებების გაძლიერებას და თანდათან ყალიბდება არაქართული შეგნება. აფსუა (მხოლოდ აფსუა) არ არის შუასაუკუნოვანი ქართული წყაროების აფხაზი, არც ანტიკური და ბიზანტიური წყაროების აბაზგი და არც არაბულ-სპარსულ-ევროპული წერილობითი წყაროების აფხაზი. ხოლო დღეს ვისაც ჩვენ აფხაზეთს ვუწოდებთ, ის არის აფსუა. მათი სახელწოდება ა ფ ხ ა ზ ი თანამედროვე რუსულ და სხვა ენებში ქართულიდანაა შესული.

დღეს ის, ვინც თავის თავს აფსუად თვლის და ვისაც ჩვენ აფხაზს ვუწოდებთ, ქმნის აფხაზ ერს, რომელსაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვს. მათ აქვთ თავისი საკუთარი ენა, მწერლობა, მდიდარი კულტურა, მაღალი ეროვნული თვითშეგნება. ქართველები და აფსუები დღევანდელი აფხაზეთის ასსრ მკვიდრნი არიან. ესაა დღევანდელობა. რაც ითქვა, ის ისტორიაა და არის მეცნიერ-სპეციალისტთა კვლევის საგანი. ქართველი აქ უძველესი დროიდან

ცხოვრობს, აფსუა ან უძველესი დროიდან, ან პირველი—მეორე საუკუნეებიდან, ან XVII საუკუნიდან ,ან უძველესი დროიდან და XVII საუკუნიდანაც. ამ მიწაზე დამპყრობელი არც ქართველია და არც აფხაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, საკითხი რთულია, ამ საკითხებზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილე და ტაქტია საჭირო.

სრულიად გაუგებარია ის გარემოება, რომ „ლექსიკონში" საქართველო, როგორც სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა და დღესაც შედის აფხაზეთის ასსრ, არ არსებობს. ყოველმა უცხოელმა, მტერმა და მოყვარემ, მათ შორის რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამაც, კარგად იცოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და აქ ორი — თბილისის და ქუთაისის გუბერნია შექმნა, აფხაზეთი, სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად იქნა მიჩნეული. დამპყრობელი რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა საქართლოს გათიშვას, მაგრამ მანაც კი ვერ ჩათვალა შესაძლებლად საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა, თუმცა ყოველნაირად ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდებას.

მიუხედავად დამპყრობლის გამთიშავი პოლიტიკისა, 1918—1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში იმყოფებოდა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

„ლექსიკონის" ავტორებს არ მიაჩნიათ საჭიროდ მკითხველებს ის მაინც უთხრან, რომ დღეს აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ში შედის. თხრობას ისინი იმით ამთავრებენ, რომ 1922 წლის თებერვალში გამოცხადდა აფხაზეთის რესპუბლიკა.

4.11.90.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო".

16.02.90.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ დაიდარდო, დედაო...

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზე არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე:
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე,
მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდი საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...
ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.
თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიიდან

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს შორის იყო მჭიდროდ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა. ამას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანი, რომელთაც ჰქონდა ადგილი ადრეულ საუკუნეებში. ისინი განსაკუთრებით გახშირდა XI-XII სს-ში. სამეფო და ფეოდალურ გვარებს გარდა ხშირად იყო ქორწინებანი რიგით მოსახლეობაში. ბოლო ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა.

ოსებს საქართველო იზიდავდა თავისი მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონით. ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა ოსეთში ქრისტიანობა VI—X სს-ში.

რამდენადაც ოსებს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთაგან ურთიერთობა ჰქონდათ ძირითადად შიდა ქართლთან და გვიან შუასაუკუნეებში ოსთა გადმოსახლებას არ ჰქონდა ადგილი, შეეჩერდეთ ამ პროვინციაზე.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, შიდა ქართლი აღმოსავლეთით ვრცელდებოდა მდ. არაგვსა და არმაზის ციხემდე, სამხრეთით — ფარავნის ტბამდე, დასავლეთით — სურამის ქედამდე, ხოლო ჩრდილოეთით — კავკასიონის მთავარ ქედამდე.

I საუკუნის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იბერიის და, მაშასადამე, შიდა ქართლის (სტრაბონისეული „შუა იბერია") ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს კავკასიონის ქედს (სტრაბონი, XI, 2, 15).

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე შიდა ქართლში შედიან აგრეთვე ხევი და დვალეთი (მდ. არდონისა და მდ. ფიაგდონის სათავეები — დღევანდელი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა), რომლებიც განლაგებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. დვალეთი რომ უძველესი დროიდანვე შედიოდა ქართლის სამეფოში, ეს კარგად ჩანს „მოქცევაი ქართლისაი"-ს ცნობიდან, რომლის მიხედვით „კარნი ოვსეთისანი" და „ორნი კარნი დვალეთისა" ქართლის სამეფოს ტერიტორიაა, რომელიც VI ს-ში სპარსებმა დაიპყრეს.

გერმანელი აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, პროვინცია შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს აღნიშნავს (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 185, 267).

შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი. იგი დაფიქსირებულია ადრეული ხანის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში, რომელიც ასახავს IV ს-ის სიტუაციას. სომეხი გეოგრაფის მიხედვით, ზენა სოფელი (ანუ შიდა ქართლი) შედგება შემდეგი ტერიტორიული თემებისაგან: აჩაბეთისხევი, საცხუმეთი, გვერდისძირი, ცხრაძმა, ქსნისხევი, ბაზალეთი, ტანისხევი, დვანის ველი (სომხური გეოგრაფია, ვენეცია. 1881, გვ. 78).

საინტერესოა, რომ ყველა ამ ტერიტორიულ ერთეულთა სახელწოდებები იხსნება ქართული ენის ნიადაგზე და ყველა ეს ტოპონიმი გაფორმებულია ამ ენის კანონებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქართული აღმშენებლობა, კერძოდ, ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა მშენებლობა, რომელთაგან ბევრი შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველხარისხოვანი ძეგლია. მრავალ მათგანზე ქართული წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც ხშირად ფრიად საინტერესო შინაარსისაა და ადგილობრივი ქართველი ფეოდალების სახელებს გვაცნობენ. ასეთი ძეგლებითაა დაფარული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი ტერიტორია (არმაზის, ერედვის, დოდოთის, ტბეთის, ქასაგინას, სახთას, ლისის, ცხავატის, წირქოლის, იკორთის, ყანჩაეთის, თიღვის და სხვა ეკლესიები).

ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში მთელი შიდა ქართლი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში — საერისთავოსა ანუ სასპასპეტოში იყო გაერთიანებული. XI—XII სს-ში ქართლის საერთისთავთერისთავო ასევე მთელს შიდა ქართლს მოიცავდა. XIII ს-ის შემდეგ, შიდა ქართლის საერისთავოს დაშლის შედეგად წარმოიშვა სათავადოები: ქსნის საერისთავო (XIII ს.), არაგვის საერისთავო (XIV ს.), საციციანო (XIV ს. მიწურული), საამილახვრო (XV ს.), სამაჩაბლო (XV ს.), საამირეჯიბო (XV ს.), საჯავახიანო (XV ს.), სამუხრანბატონო (XVI ს.), და სხვანი.

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური და კეთილმეზობლური იყო, მაგრამ საკმარისი იყო გარეშე ანუ მესამე ძალის ჩარევა, რომ მათ შორის ურთიერთობა დაძაბულ ხასიათს ღებულობდა.

ასე მაგალითად, V საუკუნეში ირანის მიერ წაქეზებული ოსი მოლაშქრენი დარუბანდის (ანუ დერბენდის) გზით შემოდიან ქართლში და ქ. კასპში ატყვევებენ ვახტანგ გორგასლის დას მირანდუხტს, რომელიც არაგვი-დარიალის გზით მიჰყავთ ოსეთში, ვახტანგი ლაშქრობს ოსეთში და ძლიერ დათრგუნავს მოძალადეებს.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ორი მონღოლური სახელმწიფოს — „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში იყვნენ დარუბანდის გზით აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ.

ქართლის შინაპოლიტიკური რღვევის ვითარებაში ოს ფეოდალთა რაზმებს მიეცათ შესაძლებლობა გაეშალათ თავიანთი მოქმედება. 1292 წელს, ქართლში უმეფობის პერიოდში, როდესაც ქვეყანას მხოლოდ ერისთავი და აზნაურები ჰყავდა პატრონად, XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის („ჟამთააღმწერლის“) სიტყვით, პირველად „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 269).

მეფე გიორგი V ბრწყინვალემ XIV ს-ის 20-იან წლებში, —ჟამთააღმწერლის სიტყვით, „განასხნა და აღფხურნა“ ოვსნი (ე. ი. აჰყარა და აღმოფხვრა), და წა-

ართვა მათ დაპყრობილი ციხეები. ჩრდილოეთიდან მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით გიორგი ბრწყინვალემ ამიერკავკასიიდან გასასვლელი გზები [illegible] დაიჭირა. მის მიერ გატარებული ენერგიული ზომების წყალობით ქართლში [illegible] თარეშე ოსური რაზმები განადგურებული ან საქართველოდან განდევნილ იქნა.

ოსური ახალშენების შექმნა ქართლში გვიან შუასაუკუნეებში მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ XII—XIV სს-ში მონღოლმა და თურქმანული მოდგმის დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები: გადარჩენილთა დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონში შეიხიზნა. მწირი მთა და სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე მათი მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ილტვოდნენ ოსები საქართველოსკენ, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება უფრო მაღალ დონეზე იდგა. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურა გვიან შუასაუკუნეებში მონღოლთაგან დასუსტებულ ოსებზე ყაბარდოს პოლიტიკურმა ექსპანსიამ.

სარჩო-საბადებლის მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას, ხშირად კი აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ცნობა გვიანშუასაუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა კომპაქტური მოსახლეობის შესახებ ეხება XVII საუკუნის დამდეგს. მაშინ იქ ნამყოფი რუსი ელჩის მ. ი. ტატიშჩევის მონაცემებით, ოსები უკვე სახლობდნენ მდ. დიდი ლიახვის სათავეებში.

XVII ს-ის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ ოსები სოფელ ზემო ჯავაში ამ დროს ჯერ კიდევ არ მოსახლეობენ. მასში ვკითხულობთ: „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან“ (დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, 1940, გვ. 364).

XVII საუკუნის შუა წლებით დათარიღებული მეორე საბუთიდან კი ჩანს, რომ იმ დროს, ჯავის ჩრდილოეთით — მდ. დიდი ლიახვის სათავეებში, ქართლის მეფის როსტომის თანხმობით, ესახლებიან ოსეთიდან გადმოსული ოსები (საქ. ცენტ. საის. არქივი, ფ. 1448, საბ. № 10326).

ი. გიულდენშტედტის მონაცემებით, ლიახვის ზემო წელზე XVIII ს-ის 30-იან წლების ვითარებას, ოსები სახლობენ დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელზე, მეჯუდის, ლეხურას, ქსნისა და თერგის სათავეებში.

ი. გიულდენშტედტის მონაცემებით, ლიახვის ზემო წელზე XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობენ ქართველები (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1961, გვ. 277—279; II, 1964, გვ. 67).

გიულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ ხანაში ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა, მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწევს.

1802 წლისათვის შიდა ქართლის იმ ნაწილში, სადაც 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მხოლოდ ათი სოფელი იყო ოსებით კომპაქტურად დასახლებული. იმავე 1802 წელს ახალგორში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები და სომხები: ჯავაში (ხევის ჯავანი) მხოლოდ ქართველები, ცხინვალში კი — ქართველები სომხები და ებრაელები. ასევე 1900 წლის „კავკაზსკი

კალენდარის“ მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ქართველი ებრაელები.

XIX ს-ის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში ჩამოდენ. XIX ს-ის პირველ ნახევარში ისინი შიდა ქართლის მთისწინეთში დასახლდნენ და XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

1842—1843 წლებში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ მთიელთაგან, რომლებიც ადრე გორის, თბილისის და თელავის მაზრებში შედიოდნენ, შეიქმნა ოუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები. ეს უკანასკნელი დანაწილდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის უბნებად. 1859 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ნარის უბანი (ისტორიული დვალეთი) ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას და „კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის“ ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადასცა, რომელიც შემდეგში თერგის ოლქის (1924 წლიდან კი ჩრდილო ოსეთის ასსრ) შემადგენლობაში შევიდა. ასე ჩამოშორდა საქართველოს ათასწლეულთა განმავლობაში მისი განუყოფელი ტერიტორია — დვალეთი. რაც შეეხება ჯავისა და პატარა ლიახვის უბნებს, ისინი ოსეთის საპოლიციო უბნის სახით გორის მაზრის შემადგენლობაში შეიყვანეს (საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 10, ნაწ. 1, საქმე 543, ფურც. 3, 6).

1922 წლის 20 აპრილს შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შევიდა ქართლის მთიანეთის ჩრდილო მხარე და რაჭის ნაწილი. მასში გაერთიანდა საქართველოს ისტორიული პროვინციები — სამაჩაბლო, ქსნის საერისთავო, საფალავანდიშვილო, საამილახვროს ნაწილი.

ეს იყო ისტორიულად და იურიდიულად სრულიად გაუმართლებელი აქტი, მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რამდენადაც საქართველოს ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ოსებს საქართველოში არ ჰქონდათ რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მეტიც, საქართველოში მცხოვრებ ოსთა ორი მესამედი ცხოვრობს (ყოველ შემთხვევაში 1989 წლამდე ცხოვრობდა) ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ფარგლებს გარეთ (კახეთში, თბილისში, ბორჯომის ხეობაში), სადაც მათი ჩასახლება XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ში ხდებოდა.

ოსებს საქართველოში ყველა პირობა აქვთ შექმნილი ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. საქართველოში 1990—1991 სასწავლო წელს, როგორც ოლქში, ისე მის ფარგლებს გარეთ, 97 საშუალო სკოლა იყო, სადაც სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა, ან ოსური ენა და ლიტერატურა ცალკე საგნად ისწავლებოდა.

ცხინვალში მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, სამუსიკო, სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლები. 1927 წელს დაარსდა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგში გადაკეთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევით ინსტიტუტად. აქ მომზადდა „ოსეთის ისტორიის“ მრავალტომეული, სამხრეთ ოსეთის ისტორიის ორტომეული, ოსური ენის განმარტებითი

ლექსიკონის ოთხტომეული, „ოსურ ლიტერატურის ისტორია“, ოსური სიმღერების კრებული. ცხინვალში მუშაობს სახელმწიფო ეროვნული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა; ოსურ ენაზე წარმოებს რადიოგადაცემები, გამოდის ჟურნალ-გაზეთები და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამას მოკლებული იყო ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა, სადაც მოხდა მათი რუსიფიკაცია. სწორედ აქ, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში, შემორჩა და განვითარდა ოსური თვითშეგნება, თუ შეიძლება ითქვას, ოსური სული.

მაგრამ დახეთ უმადურობას!

1989—1992 წლებში ოსურმა სეპარატიზმმა, რომელსაც აქვს დიდი ისტორია, ახალი ძალით იფეთქა. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ.

1990 წლის 9 დეკემბერს ჩატარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის „უმაღლესი საბჭოს“ არჩევნები, ხოლო 11 დეკემბერს— „უმაღლესი საბჭოს“ სესია. ამის პასუხად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი. 1990 წლის 12 დეკემბერს ქ. ცხინვალის ცენტრში მოკლეს 3 და დაჭრეს 2 ქართული ეროვნების პირი. ამ დროიდან დაიწყო კონფლიქტის ესკალაციის ახალი ეტაპი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოსი სეპარატისტების ხელით ასობით უდანაშაულო ქართველის სიცოცხლე შეწყდა, ასეულობით ოჯახი, მრავალი სოფელი გაიძარცვა და გადაიბუგა (გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 14).

ათი ათასზე მეტი ქართველი იძულებული გახდა მიეტოვებინა საცხოვრისი და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა. თბილისი ჯაყოს ხიზნებით აივსო...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რამდენიმე ათასმა ოსმა დატოვა ყოფილი ავტ. ოლქის ტერიტორია და საქართველოს გარეთ ლტოლვილად იქცა. ეთნოკონფლიქტების და ომების დროს დანაკარგები ორივე მხარესაა. მაგრამ ოსი ექსტრემისტები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან.

ქართული მხარის ყველა ცდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა უკანასკნელ დრომდე უშედეგო გამოდგა. არც 1992 წლს 24 ივნისს ბატონ ე. შეევარდნაძის და ბატონ ბ. ელცინის ქ. სოჭში შეხვედრისას მიღებულმა კომუნიკემ და რუსეთ-საქართველოს შეთანხმებამ ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების თაობაზე გამოიღო დიდი შედეგები. მართალია, შემცირდა ან თითქმის შეწყდა საომარი მოქმედება შიდა ქართლში, მაგრამ ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად იზოლირებულია დანარჩენი საქართველოსაგან, ისე რომ, იგი ქართველი ტელეჟურნალისტებისთვისაც კი შეუღწეველია.

უკანასკნელი თვეების მოვლენებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ სრული სუვერენიტეტი გამოაცხადა.

სახეზეა აშკარა აგრესია საქართველოს მიმართ. ოსური სეპარატიზმი ბრა-
ლაპირ ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ხელ-
შეუხებლობას, რაც შეუთავსებელია საქართველოს რესპუბლიკის, როგორც ევ-
როს წევრი სახელმწიფოს სტატუსთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ არ გაგახსენდეს ცნობილი ოსი მეცნიერის პროფ. ვასილ აბაევის
თვალსაზრისი, რომელიც მან გამოთქვა 1992 წლის 22 იანვრის „ნეზავისიმაია
გაზეტა"-ს ნომრის ფურცლებზე: „ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთელ ოსებსა და
ქართველებს შორის, მან სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდი-
ლოეთ ოსეთთან შეერთების იდეა, ვისაც სურს საქართველოსა და რუსეთს შო-
რის მშვიდობა, ის აგრეთვე უნდა შეეშვას ამ იდეას. ასეთია რეალობა".

შიდა ქართლი, რა თქმა უნდა, მისი ჩრდილო ნაწილითურთ — ცხინვალის
რეგიონით ანუ ე. წ. „სამხრეთ ოსეთით" ყოველთვის იყო და იქნება საქართვე-
ლოს განუყოფელი ნაწილი.

ჯონდო გვასალია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

30.VI.93.

გრიგოლ აბაშიძე

დიდება გმირებს

დიდება გმირებს ჭაბუკ მეომრებს,
თავის გაწირვის მათს ნიჭს და უნარს,
ვინც წინაპრების გზას იმეორებს,
კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს!

ცეცხლით ათენებს ვინც დილა სისხამს,
ღამეს ისე სტეხს, თვალს ვერ მილულავს
და უკვდავების ძლიერ ფრთებს ისხამს,
როცა ბრძოლაში კვდება გმირულად!

თავს ველარ ვუყრი სამძიმრად სათქმელს.
ყელში ცრემლები მაწვება ბურთად...
მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს,
რადგან სამშობლოს სიცოცხლე სურდათ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მკერდზე მინდა მე ძათი მირქმა,
გმირული ვისიც გვესმის ძახილი,
ვისაც მამულზე დღედაღამ ფიქრმა
ააღებინა ხელში ძახვილი.

დიდება გმირებს — ქართველ მეომრებს,
თავის გაწირვის მათს ნიჭს და უნარს,
ვინც წინაპრების გზას იმეორებს,
კვდება და სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს!

„საქართველოს რესპუბლიკა“.

2.XII.92.

...განაძლიერე ღვთივ-დაცული ერი ჩვენი და მეუფება მისე ბრძოლასა შინა, რომელნი გვიღვწიან ჩვენ, და გვწყალობენ, მიმადლე მათ შენდობა შეცოდებათა, რომელნიცა ლოცვასა შემოვედრებულ არიან ჩვენ ულირსთასა, შეიწყალენ დიდითა შენითა წყალობითა, მოიხსენე, უფალო, პირველ გარდაცვალებულნი მამანი და ძმანი ჩვენნი, და განუსუენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა. მოიხსენე, უფალო, ძმანი ჩვენნი, რომელნი ტყვეობასა შინა არიან, და იხსენ იგინი ყოვლისაგან განსაცდელისა...

„ლოცვები“, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ აბაშიძე

ამ მზეჭაბუკის ფოტოსურათს რომ დახედავთ, ძნელია დაიჯეროთ, რომ იგი აღარ არის ამ ქვეყნად. გმირულად დაიღუპა აფხაზეთში სამშობლოს მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ზურაბ აბაშიძე ჭიათურელია, იქ ცხოვრობენ მისი დამწუხრებული დედმამა, და-ძმა. ზამთრის დიდთოვლობისას ვერაფრით მოვახერხე იქ ჩასვლა, მაგრამ ხმა მაინც მივაწვდინე, ზურაბზე წერილის დაწერას ვაპირებ მეთქი და იმათაც მიპასუხეს. ზურაბის დედის ქალბატონ ლია ბაქრაძისა და თანამებრძოლების — ბატალიონის მეთაურის ს. ქუთათელაძისა და გვარდიის ოფიცრის ი. კაპანაძის ბარათები მივიღე.

ჭიათურის მეცხრე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალში ჩაირიცხა, თან ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში ავიასამოდელო წრეს ხელმძღვანელობდა.

— ჩემი ზურიკო უაღრესად გულთბილი, კეთილი, ყველას მოყვარული იყო, — გვწერს ქალბატონი ლია, — მას ყველასთან შეეძლო მეგობრობა, როგორც თავისზე უმცროს, ასევე ასაკით გაცილებით უფროსებთანაც. უქმად გაჩერებულს ვერ ნახავდით, სულ სადღაც მიეჩქარებოდა, საქმიანობდა. ძალიან ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით ტექნიკური ლიტერატურით იყო გატაცებული, უყვარდა ფიქრი, სიახლის ძიება.

იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, თორმეტი წლისა, ბაბუამ გაუქმებული „დამბაჩა“ რომ აჩუქა, ბიჭი დაინტერესდა, არაერთხელ დაშალა, ააწყო. უკვე მოზრდილმა კი, როცა სამხედრო განათლება მიიღო, ცეცხლსასროლი იარაღის შექმნით დაინტერესდა. დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ შეძენილი იარაღის ხარჯზე ვერ იარსებებს, საჭიროა შეიქმნას თანამედროვე ქართული იარაღის

წარმოებაო, იტყოდა ხოლმე და თავის უახლეს მეგობართან მირიან ხიდაშელთან ერთად ავტომატური იარაღის დამზადებას შეუდგნენ. შექმნეს ამ იარაღის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ავიაწრის გაქურდვისას დაიკარგა ნახევრად მზა-მზადაა შაო იარაღებთან და გამოჩარხულ დეტალებთან ერთად. მათ რამდენჯერმე ს

ამ სამი საათის განმავლობაში ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ბმპ) განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა. მოწინააღმდეგემ გარკვეული დროით შეძლო მეომრების განცალკევება, ამ დროს სრულად ამუშავდა ბმპ-ის ეკიპაჟი. ის ძახუნარ ცეცხლით უჭერდა მხარს ქვეითებს და, ამასთანავე, დაცალკევებულ ნაწილებს შორის ერთგვარად მეკავშირის მოვალეობას ასრულებდა. რის გამოც ბრძოლის მთელმა სიმძაფრემ მათ ზურგზე გადაიარა.

ზურაბ აბაშიძემ და მისმა ეკიპაჟმა თავიანთი თავგანწირული მოქმედებით დასახული ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. კინდღასთან შეუერთდნენ ავღანელებს, მაგრამ უკვე ბრძოლის დასასრულს ხიდთან ჯავშანტრანსპორტიორი ნაღმზე წამოეგო და აფეთქდა. დაიღუპა ზურაბ აბაშიძე, დაიჭრნენ ვეფხია მოდებაძე და გია წერეთელი.

ზურაბ ვლადიმერის ძე აბაშიძის ცხედარი თანამებრძოლებმა ჭიათურაში ჩამოასვენეს და დიდის პატივით საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაში დაკრძალეს. ოცდაექვსი წლის ულამაზესი და უკეთილშობილესი ჭაბუკი წავიდა ამ ქვეყნიდან გაუხარელი, უცოლშვილოდ. მაგრამ დატოვა გმირის სახელი. მის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ზურაბ აბაშიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ლარისა ხუბულური.

* * *

... კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

აკაკი

ლევან აბაშიძე

ლევან გიორგის ძე აბაშიძე დაიბადა 1963 წლის 22 მაისს, თბილისში, მეცნიერ მუშაკთა ოჯახში. იგი იზრდებოდა ისეთ გარემოში, სადაც ზოგადადამიანურ კულტურულ ფასეულობებს არასოდეს დაჰკარგვიათ თავიანთი მნიშვნელობა და მათი გულისათვის თავგანწირვაც კი ჩვეულებრივ ზნეობრივ ნორმად ითვლებოდა.

ლევანმა 1980 წელს, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში. იგი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მიანდეს თბილისის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევანის მიერ განსახიერებული მთავარი გმირის როლი ტ. უაილდერის პიესაში „ჩვენი პატარა ქალაქი“.

ლევან აბაშიძის კინოდებიუტი შედგა ლ. ღოღობერიძის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სადაც 14 წლის ლევანმა მთავარი გმირის ვაჟიშვილის როლი ითამაშა. ხოლო პირველი მთავარი როლი ეკრანზე ლევან აბაშიძემ განახორციელა 1984 წელს გ. შენგელაიას ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელმაც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი „ვერცხლის დათვი“ დაიმსახურა.

მას შემდეგ ლევან აბაშიძემ ოცამდე კინოფილმში მიიღო მონაწილეობა და არაერთი უაღრესად საინტერესო და შთამბეჭდავი მხატვრული სახე შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია მის მიერ განსახიერებული როლები ა. რეხვიაშვილის ფილმში „საფეხური“ (1975 წ.), ტ. კოტეტიშვილის ფილმებში „ანემია“ (1988 წ. კიევის საერთაშორისო კინო-ფესტივალზე ლევან აბაშიძე საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის დაჯილდოვდა მთავარი პრიზით) და „ქალაქის ცხოვ-

რება“ (1990 წ., ლ. ღოღობერიძის ფილმში „ორომტრიალი“ (1986 წ.) გ. მგელაძის ფილმში „ფესვები“ (1987 წ.), ტ. კალატოზიშვილის ფილმში „სკაპენის ოინები“ (1985 წ.), კაიდანოვსკის ფილმში „სტუმარი“ (ლენფილმი, 1987 წ.), გ. ჩირაძის ფილმში „ზვარაკი“ (1991 წ.), გ. ლევაშოვ-თუმანიშვილის ფილმში „ბედიანი“ (1992 წ.), და სხვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ლევან აბაშიძე უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა. 1992 წლის დამდეგიდან მას ერთდროულად სამ მხატვრულ ფილმში იღებდნენ მთავარ როლებში. დღითიდღე კიდევ უფრო მეტად იხვეწებოდა მისი ჭეშმარიტი ხელოვნება. უდროოდ შეწყვეტილი კადრები, დაუმთავრებელი კინომასალა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

ლევან აბაშიძე თავის ნიჭით, ტემპერამენტით, სიყვარულის უნარითა და კაცური სინდისით ნათელი ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენდა. როდესაც აფხაზეთის ავბედითი ტრაგედია დატრიალდა, იგი მისთვის დამახასიათებელი დაუოკებლობით მოხალისედ გაიჭრა ბრძოლის ველზე საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლების დასაცავად.

ლევან აბაშიძე თავის მეგობარ თანამებრძოლებთან ერთად გმირულად შეეწირა სამშობლოს 1992 წლის 7 სექტემბერს სოფელ ეშერის მისადგომებთან.

ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ჯულისტკივილით გამოიგლოვა თავისი საყვარელი მსახიობი, რომელსაც, ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ჰქონდა მოხვეჭილი საყოველთაო პოპულარობა თავისი მაღალი პროფესიონალიზმის, დახვეწილი ოსტატობის და, ამასთანავე, უაღრესად ვაჟკაცური ბუნებისა და გარეგნობის წყალობით.

ლევან აბაშიძე დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

* * *

ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი რბის
ცხენი მხედრისა!
ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად
ჰსურს სისხლი კაცისა?

გრიგოლ ორბელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოხტა
აბესალაშვილი

კოხტა ვარლამის ძე აბესალაშვილი დაიბადა 1961 წლის 28 აპრილს, გაგრის რ-ნის სოფელ ბზიფში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ფოთის გემთმშენებლობის ტექნიკუმში. კოხტას გატაცება მთა იყო, ამიტომაც მიუწევდა გული იქითკენ. საკმაოდ კარგ მთამსვლელს არაერთხელ დაულაშქრავს მწვერვალები. სწავლა დაამთავრა 1980 წელს და მუშაობა დაიწყო გაგრის რკინიგზის სადგურში. ოჯახს ადრე მოეკიდა. ჰყავდა საყვარელი მეუღლე და ქალიშვილი. ბედნიერად ცხოვრობდა, სანამ...

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 10143-ე ბრიგადის № 06660 ბატალიონ „ავაზაში" გაიგზავნა კოხტა აგვისტოს დასაწყისში, საკუთარი ქალაქის, საკუთარი კერიის დასაცავად. ომი იყო აფხაზეთში, უჭირდა საყვარელ ქალაქს, ხალხს და, აბა, რა გააჩერებდა. ბედისწერამ თავისი გაგრის დაცვა არგუნა წილად. ორჯერ დაიჭრა კიდეც. მეორე ჭრილობა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ჰოსპიტალში მოუხდა მკურნალობა. რამდენი სიცოცხლე გადაარჩინა, რამდენს შეუნარჩუნა მამა, ძმა, შვილი... გაგრის აღების შემდეგ ეხმარებოდა ყველას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებოდა, გამოჰყავდა დაჭრილები, დაღუპულები, ცოცხლებს გაგრიდან გაპარვაში შველოდა... გადაარჩინა საკუთარი ცოლ-შვილიც... სამწუხაროდ, მათ ვერ შეუნარჩუნა მისი თავი...

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზებული ბრიგადის 114-ე ბატალიონის ზემდეგი კოხტა ვარლამის ძე აბესალაშვილი გმირულად დაიღუპა 1992 წ. 2 ოქტომბერს ქ. გაგრაში საბრძოლო ოპერაციების დროს და დაკრძალულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გაანათლოს ღმერთმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო აბზიანიძე

სოსო (კობა) ოლივერის ძე აბზიანიძე დაიბადა 1965 წლის 6 აგვისტოს. 1979 წელს დაამთავრა თბილისის 156-ე საშუალო სკოლის 8 კლასი, 1979 – 1983 წლებში კი წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის უშანგი ჩხეიძის სახელობის სამშენებლო ტექნიკუმი. 1984–1986 წლებში ავღანეთში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. შემდეგ დაუსწრებლად დაამთავრა როსტოვის სამშენებლო ინსტიტუტი. ამავე დროს მუშაობდა შ. ს. ს. სპეცდანიშნულების რაზმში. მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო. მიიღო მონაწილეობა სომხეთში (სპიტაკში) მიწისძვრით დაზარალებულთა გამოსაღვანად.

1989 წლის 9 აპრილს კი ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად რუსთაველის პროსპექტზე იდგა, ვაჟკაცურად აღუდგა წინ მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევას, რის გამოც ტრავმირებული იწვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში.

სოსო (კობა) აბზიანიძე 1991 წლიდან პოლიციის ლეიტენანტის წოდებით სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქ. რესპუბლიკის ეკოლოგიის პოლიციის სამმართველოში ოპერატიული ინსპექციის უფროსად. მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე 1986–1992 წლამდე იღებდა მონაწილეობას საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში და ერის სამსახურში იდგა (შიდა ქართლის კონფლიქტში, ბოლნისში, აფხაზეთში). 1992 წლის 28 აგვისტოს იგი ავღანეთის სპეციალურ ასეულთან ერთად გაემგზავრა აფხაზეთში სამშობლოს დასაცავად. 3 ნოემბერს გმირულად დაიღუპა სოფელ შრომასთან, უთანასწორო ბრძოლაში, სასიკვდილოდ დაჭრილი მეგობრის ვაჟა ბანეთიშვილის გამოყვანის დროს.

დაკრძალულია საბურთალოს პანთეონის ძმათა სასაფლაოზე. მთავრობის დადგენილებით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებული აქვს მისი სახელი.

მალხაზ აბრამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბადა 1966 წლის 8 მაისს, საჩხერის რაიონის სოფ. სარეკის [illegible]: ნუგზარ აბრამიშვილი — პენსიონერი, ლენა აბრამიშვილი — [illegible]

1983 წელს დაამთავრა სარეკის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ვაჭრობის ტექნიკუმში საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1984 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა დარკვეთის გამამდიდრებელ ქარხანაში.

1992 წლის აპრილში შევიდა საჩხერის გვარდიაში, იბრძოდა ცხინვალში ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ, მიანიჭეს გვარდიის ოფიცრის წოდება, იყო ასმეთაურის მოადგილე.

1992 წლის 10 აგვისტოს წავიდა აფხაზეთში.

1992 წლის 8 სექტემბერს ტამიშის ხიდთან ბრძოლაში დაიღუპა.

მალხაზ აბრამიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“**.

გია აბულაძე

საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა, მაშინ იგი სასიკვდილოდ დაჭრეს, მაგრამ გადარჩა, უფროსი სერჟანტი იყო. ამბობდა, რომ იგი არასოდეს მოკვდებოდა, რადგან საიქიოდან დააბრუნეს.

მის საფლავს თოვლი ადევს, ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, მრავალ ახალგაზრდას სამუდამოდ მოუყრია თავი, ძინავთ ბიჭებს მშვიდად.

აქ, ამ ადგილას, ოდესღაც მწვანეში ჩაფლული ბაღი იყო გაშენებული, გიამ აქ ისწავლა ენა, აქ აიდგა ფეხი, აქ, სადაც საფლავია გათხრილი, ტიტველა 2 წლისა ჯინჭრებში ჩავარდა. მახსოვს, როგორ გულამოსკვნილი ტიროდა დედის უბეში ჩახუტებული. არ ვიცით ასე რად გაგვწირა ღმერთმა, როცა ჩვენი ჩასახლარი იყო და უკანვე დაგვაბრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა ომის მძიმე პერიოდში, გიას საფლავს აკითხავს მხოლოდ ახალგაზრდა კაცი, ნაადრევად დაბერებული წვეროსანი, ობლად დადის, ღამეებსაც აქ ათევს. ეს გიას მამაა.

გია აბულაძე დაიბადა 1968 წლის 21 იანვარს, სოხუმში, 1992 წლის 21 ოქტომბერს ლტოლვილად წოდებულ ქვრივ ილონას მისგან აჭარის მიწა-წყალზე, ქობულეთში შეეძინა ქალიშვილი — ცისფერთვალება ია.

მტრის ვერაგმა ტყვიამ, „ვაი დედაოს“ თქმა რომ ველარ მოასწრო, ისე განგმირა ღიმილის ბიჭი, მუდამ მხიარული, სიცოცხლით სავსე, რომელსაც ეს-ესაა ოჯახი შეექმნა და ფიქრობდა ოცნებების განახლებაზე. მაგრამ, ვაი, რომ, იმ საბედისწერო 17 აგვისტოს გია სახლში ველარ დაბრუნდა.

ომის დაწყების პირველივე დღიდან 14 აგვისტოს გია უიარაღო ბიჭებს ემსახურებოდა; „აბა, პური“, „აბა სიგარეტი“, „აბა, ბიჭებს შიათ, დედი“. შვილის ასეთი აქტიურობა მამას არ მოეწონა, თითქოს გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას და უყვირა კიდევაც. პასუხი კი ასეთი იყო: „ეხ, პაპუჩი, შენ არ იცი, როგორი ბიჭები კვდებიან, მე ქალის კაბას ვერ ამოვეფარები, მე მათთან უნდა ვიყო“.

და, მართლაცდა, 17 აგვისტოს ღამის 10 საათზე გია სამუდამოდ მათთან დარჩა. იგი ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილს. დაიღუპა 1992 წლის 17 აგვისტოს, სოხუმში პიკეტირების დროს. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს. გიასავით ბიჭები არ უნდა კვდებოდნენ, ისინი ჩვენს გვერდით უნდა იყვნენ, რათა მომავალი მშვენიერი იყოს, ნათელი და ჯეთილი.

ახლა გიას დედას თვალებში სინათლე დაბნელებია. მძიმე ოპერაციის შემდეგ იგი თავის რძალს და პატარა იას დაუბრუნდა ქობულეთში, მაგრამ ჯერ კიდევ ცუდად არის. ია კი უკვე სამი თვისაა, იზრდება გოგონა უწყლობა-უსინათლობაში, არც გათბობა და არავითარი სამედიცინო ყურადღება. რას ვიზამთ, გვესმის რომ უჭირს საქართველოს, ომია, გვწამს, რომ ეს ყველაფერი მალე დამთავრდება და პატარა ია დაუბრუნდება მამისეულ ქალაქს — სოხუმს, მამისეულ ეზო-კარს, თამარის ქუჩაზე. გაიზრდება ჩვენი გოგონა, დაკრეფს პატარა იებს და მამამისის სასაფლაოზე აიტანს.

ს. აბულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ადამაშვილი

გიორგი მიხეილის ძე ადამაშვილი დაიბადა 1960 წლის 22 ნოემბერს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ტბისში. განათლება საშუალო, უცოლო.

1970 წელს ტბისის დაწყებითი სკოლიდან გადავიდა სოფელ საღრაშენის რვაწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის № 118-ე პროფსასწავლებელში, ამის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილეს ქ. რუსთავის ცემენტის ქარხანაში ამწყობ ზეინკლად. 1980 წელს გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქ. ლენინგრადში, რომლის მოხდის შემდეგ იქვე დარჩა სამუშაოდ კიროვის სახელობის ქარხანაში ამწყობ ზეინკლად. 1989 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო წყალმშენის № 5 სამმართველოში. 1990 წელს გადავიდა სამუშაოდ სამშენებლო სარემონტო კანტორაში. 1992 წლის ოქტომბერში გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში, ჩაირიცხა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", 1992 წლის 16 დეკემბერს აფხაზეთში მტერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

დასაფლავებულია თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ტბისის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საულ (ზური) ადეიშვილი

დაიბადა 1955 წლის 12 აპრილს სოხუმის რაიონის სოფ. ახალშენში.

რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის ინდუსტრიალური ტექნიკუმის საავტომობილო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1974 წელს. იმავე წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა ქ. ვლადივოსტოკში.

1976 წლიდან მუშაობდა სოხუმის მარმარილოს წარმოების ქარხანაში მძღოლად.

1992 წლის 3 ნოემბერს სოფელ ახალშენის მისადგომებთან გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლის დროს.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ირიცხებოდა შეიარაღებული ძალების სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების ჯგუფში ქალაქ რუსთავში.

გოჩა ავაზაშვილი

იმ ცოდვიანი დღიდან, 6 ივლისიდან, როდესაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა, სულ ორი თვე გავიდა, მაგრამ შენს ლიკას ორ საუკუნედ ექცა უშენოდ გავლილი 2 თვე.

ვტირივართ ყველანი, ვინც კი გიცნობდა და ერთხელ მაინც შეუვლია თვალი მაგ შენი ბუმბერაზულად გაშლილი მხრებისათვის. ტკივილით ატირებულნი ვიხსენებთ ჩვენს ლამაზ გოჩას, სევდანარევი ფიქრიანი მზერითა და შავი,

კუშტადშეკრული წარბებქვეშ დამალული თვალებით, ღიმილიანი ხახით, ძოძაჯადოებელი უშუალობით...

ვინ იცის, უფალმა, იქნებ ნუგეშად გარგუნა შენი სახიერების ასე მგავნი შვილი, შენს სიცოცხლეშივე „პატარა დევისად" რომ უხმობდნენ. ყოველდღე გკითხულობს პატარა გიორგი, ენატრება თავისი „მამიკონა". მან არ იცის რატომ დაიობლეს, რისთვის არგუნეს უმამო ბავშვობა.

ცრემლშეუმშრალი იხსენებს ძაძებადქცეული შენი ლია ერთად გატარებულ ოთხ წელიწადს, ასე მცირედი რომ გარგუნათ ღმერთმა, წახვედი და უნუგეშოდ დატოვე სათაყვანებელი მეუღლე და შენი გიორგი. გიორგი იხსენებს: „ჩემმა გოჩა მამიკომ დამარქვა გიორგიო", „ასე იცოდა ჩემმა გოჩა მამიკომო". „ცუდმა კაცებმა მომიკლესო მამიკონა". გიორგი ჯერ სამი წლისაა, მაგრამ უკვე კარგად იცის რა არის სიკვდილი, რატომ ანთებენ სანთელს მისი საყვარელი „მამიკონას" სურათთან. იცის ვინ არიან ის ცუდი კაცები, რომლებმაც არგუნეს ასეთი მწარე ბავშვობა. სადმე რომ მიდიოდი, ლიკას უბარებდი, გიორგის მიმიხედეო, ბავშვს არაფერი მოაკლოთო. არ აკლებენ შენს გიორგის არაფერს, შენი მეგობრები თავს ევლებიან „პატარა დევისს":

ერთხელ, ახალი ტანსაცმელი მოუტანეს გიორგის და მთელი დღე გაიძახოდა: „ჩამაცვით, მამიკოს უნდა დავალოცვინოვო", დადგა შენს სურათთან სანთლით ხელში და დაგალოცვინა თავი.

მოდის შენს სურათთან და ხან ვაშლს დადებს, ხან ყურძენს და ამბობს: „ჩემს გოჩა მამიკოს უნდა ვაჩუქოვო".

შენი დავიწყება როგორ იქნება, გოჩა! გჯეროდეს, რომ შენი სახელი არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში. ყოველდღე ცრემლით გიხსენებ, ვწერ შენი გახსენების წერილს და ცრემლით ვასველებ ფურცელს.

მჯერა, გოჩა იმიტომ წავიდა ამ ბოროტი წუთისოფლიდან ჩვენზე ადრე, რომ ჩვენზე უკეთესი იყო... ვიცი, რომ იგი კვლავაც არსებობს, მაგრამ სულ სხვა ფორმით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მარადიული სასუფეველი დაიმკვიდროს ზეციურ სასუფეველში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან ავალიანი

ამირან სალიბეს ძე ავალიანი დაიბადა 1964 წლის 29 მაისს ქ. სოხუმში. საშუალო განათლებით, უცოლშვილო, ჰყავს პენსიონერი დედა, ოთხი ძმა და სამი და. მამა არა ჰყავს.

1981 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა უნგრეთის რესპუბლიკაში, 1985 წლიდან მუშაობდა გეოლოგიაში, სოხუმში, არის ეროვნული ფოძრაობის აქტიური მონაწილე. 1990 წელს ჩამოყალიბდა გაგრის მხედრიონი, სადაც მიიღო ფიცი. შემდეგ გადმოვიდა სოხუმის მხედრიონში. იყო უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა, ყოველთვის პირველი მიდიოდა იქ, სადაც ერს სჭირდებოდა.. პირველმა ჩაიტანა ქართული დროშა თავისი მანქანით სოხუმიდან ლესელიძეში, რომლის ფირიც ინახება ტელევიზიაში. იყო ოცეულის მეთაური. 1992 წლის 10 ოქტომბერს გუმისთის მისადგომებთან სამხედრო დავალების (დაზვერვის) დროს ტრაგიკულად დაიღუპა.

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?...
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახლად აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცენი,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედის მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?

ი ლ ი ა

15 სექტემბერი, 1872 წ.

გოჩა ავთანდილაშვილი

დაიბადა 1965 წლის 17 მარტს ქარელში, 1982 წელს დაამთავრა ქარელის № 3 საშუალო სკოლის სრული კურსი. 1983 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე. I კურსის დამთავრების შემდეგ, 1984 წლის ივნისში გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა ვლადივოსტოკის ოლქში. 1986 წელს დემობილიზებული იქნა და სწავლა განაგრძო ზემოხსენებულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს, რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო მუშაობა ქარელის წყალთა მეურნეობის სამმართველოში.

1992 წლის 29 აგვისტოს, როგორც რეზერვისტი, გაიწვიეს ეროვნული გვარდიის რიგებში. ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანის მეთაურს საბრძოლო ოპერაციების ჩატარება უხდებოდა გაგრის რეგიონში. სოფელ კოლხიდასთან, როგორც თანამებრძოლები ადასტურებენ, გამოირჩეოდა განსაკუთრებული გამბედაობით, სავალდებულო სამსახურის ვადის გავლის შემდეგ მისი ქვედანაყოფი დაითხოვა ხელმძღვანელობამ, მაგრამ მან ყოველივე ეს საკმარისად არ ჩათვალა და კვლავ ჩადგა მებრძოლთა რიგებში. 1992 წლის 22 სექტემბერს გმირულად დაეცა სოფელ კოლხიდასთან.

დარჩა მშობლები: მამა — გარსევან ავთანდილაშვილი, დედა — ანა ავთანდილაშვილი, ტყუპისცალი ძმა — პაატა, უფროსი ძმა — გიორგი.

გარსევან ავთანდილაშვილი

* * *

...წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.

ი ლ ი ა

ელგუჯა ავსაჯანიშვილი

დაიბადა 1949 წლის 20 თებერვალს თბილისში. დაამთავრა თბილისის 85-ე საშუალო სკოლა. 1968—70 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1970 წელს მოეწყო თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1973 წელს.

1988 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი (ლეიტენანტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ,ქალაქ გაგრაში.

დარჩა მეუღლე – მაყვალა ავსაჯანიშვილი.

და ორი შვილი – გიორგი და ალეკო.

ელგუჯა ავსაჯანიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ემზარ აკოფაშვილი

დაიბადა გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში 1969 წლის 26 ივნისს. დაამთავრა ქვახვრელის საშუალო სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც პირნათლად იმსახურა. არმიიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო კასპის წყალთა მელიორაციაში. ოჯახური მდგომარეობის გამო შეთავსებით მუშაობდა გორის ელქსელებში. 1992 წლის 15 აგვისტოს გაიწვიეს ქართულ გვარდიაში. იმისდა მიუხედავად, რომ ობლად – უმამოდ გაიზარდა და სახლში ჰყავს ლოგინად მწოლიარე დედა, რომლის მდგომარეობა უფრო გაუარესდა მისი წასვლის შემდეგ, თავი არ შეუკავებია და დადგა აფხაზეთისა და საქართველოს მთლიანობის დამცველთა რიგებში. სულ მალე, დაახლოებით ათ დღეში, 25 აგვისტოს დაიღუპა. სახლში დატოვა ავადმყოფი დედა და თვალცრემლიანი ერთადერთი ძმა ელდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ალიხანაშვილი

დაიბადა 1961 წლის 15 თებერვალს, თბილისში, ეოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა თბილისის № 2 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ სკოლაში. რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის II მუსიკალურ ტექნიკუმში თეორიულ განყოფილებაზე, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ 1981–83 წწ. მსახურობდა ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში. დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში პედაგოგად.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი (უფროსი ლეიტენანტი).

დაიღუპა ქ. გაგრაში 1992 წლის 2 ოქტომბერს, დარჩა პენსიონერი მშობლები:

მამა – ზურაბ ალიხანაშვილი.

დედა – მზია ალიხანაშვილი.

მეუღლე – ლეილა თედორაძე და ორი მცირეწლოვანი შვილი – მარიამი და ნოდარი.

ალექსანდრე ალიხანაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ ამაღლობელი

დაიბადა 1962 წლის 2 იანვარს. 1978 წელს სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1983 წელს და დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1992 წლის ივნისში დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.



მალხაზ დოლიძე

— დაიბადა 1962 წლის 10 მარტს. 1978 წელს დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახე-

ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1983 წელს. მუშაობა დაიწყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად. 1990 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩიკო და მალხაზი ერთად იზრდებოდნენ. მამების მეგობრობა შვილებსაც „გადაედოთ". მყარ ფესვზე აღმოცენებულმა ძმურმა სიყვარულმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ჯგუფელები იყვნენ და ორთავემ წარჩინებით დაამთავრეს ფიზიკის ფაკულტეტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით. კარგი სპორტსმენებიც იყვნენ, აჩიკოს კალათბურთი იტაცებდა, მალხაზს — სამთო-სათხილამურო სპორტი, თუმცა, ორივე ფეხბურთის „გიჟი" იყო. განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ და თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ. მალხაზი უცბად აინთებოდა და ფიცხი კამათი სჩვეოდა, აჩიკო, პირიქით, დინჯი, მომღიმარი სახით ესაუბრებოდა ოპონენტს ცხარე კამათის დროსაც.

ადამიანი ამქვეყნად იმისთვის მოდის, რომ იცოცხლოს. იცხოვროს თუნდაც ერთი დღე. სისხლსავსე ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე ასი წელი ამქვეყნად არსებობა. ისე უნდა იცოცხლო, რომ ბოლომდე დაიხარჯო, მაშინ დაერქმევა არსებობას ცხოვრება... და სამშობლოს თავს დატეხილი განსაცდელის ჟამს უყოყმანოდ მიაშურეს აფხაზეთს, იქ, სადაც, მათი რწმენით, უფრო საჭირო იყვნენ.

ბიჭებს ცხოვრება უყვარდათ, მაგრამ თავიანთ სიცოცხლეს არ დაჰკანკალებდნენ. როგორც წინაპრების უკვდავი გენი უკარნახებდათ, ისე მოიქცნენ. შიშით არ დათრგუნვილან, სიკვდილს შეეჭიდნენ, როგორც მეომრები, რადგან კარგად უწყოდნენ მათი ბრძოლის ველზე დაცემით დიდი სიცოცხლე რომ უნდა გაგრძელებულიყო საქართველოში.

...მაგრამ ცოტათი ადრე... სამი დღე დადიოდნენ თბილისის გამწვევ პუნქტში და ბოლოს მიაღწიეს საწადელს. თავიდან ახალციხეში იყვნენ და სამხედრო ტექნიკის გორისკენ ტრანსპორტირებაში მიიღეს მონაწილეობა. შემდეგ ფოთის გავლით ჩავიდნენ სოხუმში და მეორე დღესვე 101-ე ბატალიონის მე-2 ასეულის შემადგენლობაში, მდინარე გუმისთის ხეობაში, სოფელ ახალშენთან დაიკავეს პოზიციები. აჩიკო ათმეთაური იყო, მალხაზი — რადისტი მეკავშირე.

ომი საოცარი მოვლენაა. არც აფხაზეთის ომია გამონაკლისი. აქ ამაღლებული და ნაღდია სიყვარული, მეგობრობა, თავდადება, პატიოსნება. საშინელებაა, როცა შენს თვალწინ კვდებიან, აფეთქებენ, კლავენ, ბეზღიაობენ, ცრუობენ, ლაჩრობენ, იპარავენ, ღალატობენ... მოულოდნელი არ ყოფილა მტრის შემოტევა, მაგრამ გაუჭირდათ სულმოკლე თანამოძმის ძალერ გაცემულ მეომრებს. დაახლოებით ერთი სათის განმავლობაში უსასტიკეს ბრძოლაში, ორმოცდათხი ჩვენი

მებრძოლი მედგრად უმკლავდებოდა მათზე ათჯერ მრავალრიცხოვან მტერს, ტანკითა და ხუთი ქვეითთა საბრძოლო მანქანით... 1992 წლის 3 ნოემბრის დილას, იმ საბედისწერო შეტაკებაში მათმა მონდომებამ, თავგანწირვამ დამხმარე ძალის მოსვლამდე შეაჩერა მტრის გააფთრებული შეტევა სოფელ შრომაზე, მომხდურებს გეგმა ჩაუშალა და რამოდენიმე თანამებრძოლს სიცოცხლე შეუნარჩუნა... იმ დღეს სოხუმი გადაურჩა აღებას, საქართველო კი გაცილებით დიდ ტრაგედიას, ვიდრე გაგრაში მოხდა!

ომს თავისი კანონი აქვს, დაუწერელი, ხშირად სასტიკი, ხანდახან გაუმართლებელი, ზოგჯერ უსამართლო, მაგრამ კანონი...

და შეიწირა სამშობლოს სიყვარულმა მალხაზისა და არჩილის სიცოცხლე. სიცოცხლეში განუყრელი მეგობრები სიკვდილმაც ვერ დააშორა, მაგრამ დაინდო უფალმა — ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ერთმანეთის დაღუპვა არ შეუტყვიათ.

ცხოვრება გამოცდაა და ბედნიერია ის, ვინც მას ღირსეულად ჩააბარებს.

მალხაზი და არჩილი კაცები იყვნენ, კაცურად იცხოვრეს და ვაჟკაცურად ბრძოლაში დაიღუპნენ.

არჩილ ამაღლობელი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

* * *

...წასულს არ უნდა გრცხვენოდეს,
დატოვებულის კვალისა
უქმად ნატარი სიცოცხლე
ფასი არ არის ჩალისა,
ერთი რამ არის საწყენი
საწუთროს სამართალისა,
რატომ არ იცის გარჩევა
მამაცისა და მხდალისა.

* * *

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!

ილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ამირეჯიბი

მტრის ტყვიამ განგმირა მკერდი ირაკლი ჭაბუას ძე ამირეჯიბისა, განგმირა და განაგმირა, ესე იგი, გმირად აქცია იგი...

ჭაბუა ამირეჯიბს პარლამენტის წევრები დაბადების დღეს ულოცავდნენ, ხოლო სწორედ იმ დროს, „მხედრიონის“ ბიჭები სიცოცხლეს სწირავდნენ, რათა ირაკლი ამირეჯიბის ცხედარი მაინც გამოეხსნათ გააფთრებული გადამთიელის კლანჭებიდან...

ძმაო ჭაბუა, ჭაბუა ამირეჯიბო, ცა ჩამოინგრა...

ამ უდიდესი მწუხარების ჟამს, შენი დაბადების დღეს, გილოცავ ირაკლი ამირეჯიბის გმირად დაბადებას.

ჩემს შვილს არა ხვდა წილად ბედი შენი შვილისა, — დაცემულიყო მამულისათვის, მაგრამ ღმერთმა იცოდეს, ჩვენ მზად ვართ, მეც და ჩემი შვილებიც, მეც და ჩემი შვილიშვილიც, ვიაროთ გზით, რომელსაც ირაკლი ამირეჯიბისა და მისი საძმოს გზა ჰქვია, გზა ყველა ღირსეული ქრისტიანისა.

დავრწმუნდი, არის მშვენიერება სიკვდილშიც!

საქართველო გადარჩება!

დიდება შენ, ირაკლი ამირეჯიბო! „მიუხვალ მამა-პაპათა“.

ირაკლი ამირეჯიბი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ჯანსუღ ჩარკვიანი
1992 წელი, 20 ნოემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადისლავ ანანიევი

ვლადისლავ ბორისის ძე ანანიევი დაიბადა 1947 წელს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1963 წლის 8 აგვისტოდან 1969 წლის 25 მაისამდე მუშაობდა ფოთში საქართველოს საოკეანო თევზსაჭერ სამმართველოში დამხმარე მექანიკოსად. 1964 წლამდე მსახურობდა მაროკოში, გიბრალტარში, ატლანტიკის ოკეანეში, საქართველოს საოკეანო თევზსაჭერ სამმართველოში მატროსის თანამდებობაზე.

1969 წლის 5 მაისიდან 1971 წლის 5 მაისამდე მსახურობდა საბჭოთა არმიაში.

1972 წლიდან მუშაობდა თბილისის ელექტროშემდუღებელ მოწყობილობათა ქარხნის საიარაღო საამქროში მე-6 თანრიგის შიგამჩარჩავად. გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინით. იყო დამსახურებული დონორი.

ვლადისლავ ანანიევი, როგორც ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, მოხალისედ გამოცხადდა სამხედრო განყოფილებაში. 1992 წლის 27 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლაში აფხაზეთში, როგორც 102-ე პატალიონის შტაბის უფროსი.

1993 წლის 28 ივლისს ვლადისლავ ანანიევი დაიღუპა ტამიშის ხიდთან საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.

ვლადისლავ ანანიევი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა
არველაძე

თუ გინახავთ ჭირისაგან ბეჭებში მოხრილი გოლიათი, ან ერთადერთი ძმის ქვრივ-ობლად დარჩენილი ოჯახის პატრონი და გამძღოლი? თუ ვინმე არის ასეთი, მეორე დათო არველაძეა, 1992 წლის 13 ოქტომბერს მდინარე გუმისთასთან მორიგი შეტევის დროს დაღუპული თიანეთის ბატალიონის წევრის ვაჟა არველაძის ძმა.

შევყურებდი დათოს და ჩემს თვალწინ იძერწებოდა მისი გარდაცვლილი ძმის, ვაჟას, პორტრეტი: შავგვრემანი, სუფთად გაპარსული წვერით, ცოცხალი, ხშირ წარბებში ჩამჯდარი შავი თვალებით, მაღალი, მოხდენილი დამახასიათებელი მიხრა-მოხრით, მსუბუქი სიარულით, გულკეთილი, მოსიყვარულე.

რა ბიჭები იღუპებიან...

სოხუმის კომენდატურიდან ვაჟა თიანეთის ბატალიონთან ერთად ორი კვირა იბრძოდა შრომა-ცუგუროვკის მთის გასაწმენდად. 13 ოქტომბერს სპეციალური დავალებით 50 კაციანი ჯგუფი სოფელ თავისუფლებასთან ორად გაიყო „სიმაღლის ასაღებად“.

— 2 დღე დასჭირდა ცუგუროვკის აღებას, — გვითხრეს ავთო და შმაგი ზაზარაშვილებმა, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის წევრებმა. მთის წვერზე უნდა შეხვედროდა ორი ჯგუფი ერთმანეთს და დამატებითი ამოცანით მდინარე გუმისთის მეორე ნაპირზე ხევიდან გადაგვერეკა მოწინააღმდეგე. სანგრებსა და მიწისქვეშა გვირაბებში გამაგრებულ მტერთან ბრძოლა ძნელია. რა იცი, სნაიპერის ნასროლი ტყვია საიდან მოგვხვდება. ჩვენ კი ასეთ პირობებში მოულოდნელად წავაწყდით მთის წვერზე კარგად გამაგრებულ და ძალაშემატებულ მტერს. დაგვძლიეს. უკანდახეულებმა სიმინდებში შევასწარით. ვაჟამ ადრე დაჭრილი მოურჩენელი დასიებული ფე-

ხით მოინდომა მოწინააღმდეგისათვის ალყის ოპერაციის ჩატარება, მაგრამ როგორც კი გვერდიდან მოუარა, მტრის ტყვიამ შუბლში უწია.

სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა თბილისელი ბიჭი, 150-ე საშუალო სკოლადამთავრებული, 1963 წლის 16 აგვისტოს დაბადებული, სამი შვილის მამა ვაჟა ლევანის ძე არველაძე. მან სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა ბულგარეთში, რუმინეთსა და ავღანისტანში, მაგრამ გმირულად დაეცა მისი სამშობლოს, პატარა საქართველოს გადასარჩენად.

ია კალანდარიშვილი



ჯემალ არძენაძე

ჯემალ ქაზიმის ძე არძენაძე დაიბადა 1972 წლის 25 ნოემბერს, გლეხის ოჯახში. ბავშვობისას იყო ფიზიკურად სუსტი ბიჭი. 6 წლის იყო, როცა სწავლა დაიწყო ჩაქვის № 3 საშუალო სკოლაში. 1983 წელს გადავიდა კრასნოდარის მხარის ლაბინსკის რაიონის დაბა კოზნესენსკში და სწავლა გააგრძელა № 11 საშუალო სკოლაში. ჯემალი კრასნოდარში ცხოვრობდა თავის ბიძასთან. 1987 წელს დაამთავრა მე-9 კლასი და კვლავ დაუბრუნდა ჩაქვის № 2 საშუალო სკოლას. 1989 წლიდან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო ვარჯიში ჩაქვის სპორტსკოლაში, ვარჯიშობდა კარატეში, რომელსაც კარგად ითვისებდა და ფლობდა. ორი წელი ივარჯიშა.

1991 წელს მიიღო სამხედრო ბარათი. მშობლებს არ უნდოდათ სამხედრო სამსახურში წასულიყო, ვინაიდან ერთი ბიჭი ჰყავდათ. ჯემალს მშობლებთან ხშირად მოსდიოდა კამათი: მე, რა, სხვებზე ნაკლები რითი ვარ, რატომ არ უნდა წავიდეო? მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯემალის მამიდაშვილმა მიიღო

სამხედრო კომისარიატიდან უწყება, ჯემალიც გაჰყვა კომისარიატში და ჩაწერა სამხედრო სამსახურში. სამხედრო ფიცი მიიღეს ქობულეთის რაიონში, ხოლო სამსახური განაგრძეს ქ. ბათუმში. ძალიან პატიოსნად მსახურობდა. გულთან ახლოს მიჰქონდა ყველაფერი, რაც ჯარისკაცს ეხებოდა. იყო უშიშარი და გონიერი. გამოუცხადეს, რომ უნდა წასულიყვნენ სასერჟანტო სკოლაში ქ. თბილისში. ჯემალი და ასლანი ძმებივით იყვნენ, პირველად თბილისში გაიგზავნა ასლანი, ერთი კვირის შემდეგ კი — ჯემალი.

ამათ ჯგუფს სახელად შეარქვეს „ღამურა", ალბათ, იმიტომ, რომ ღამღამობით გადმოჰყავდათ დაჭრილები ხან სოხუმიდან და ხან ოჩამჩირიდან. 1992 წლის 25 ნოემბერს 20 წლისთავი, დაბადების დღე გადაუხადეს ოჩამჩირეში, სანგრებში, მეორე დღეს დღისით, როცა ამხანაგები მინდვრად ისვენებდნენ და ოხუნჯობდნენ, თან სიგარეტს აბოლებდნენ, ჯემალმაც გამოართვა ამხანაგს ერთი ცალი სიგარეტი და თან ასე თქვა: ერთხელ მეც გავსინჯავ რა გემოსიაო. იმ დროს იღებდა საქართველოს ტელევიზია და ჯემალმა ისიც თქვა, მშობლებმა არ დამინახონო, იმდენად მორიდებული იყო. მას ხომ 20 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჰქონდა სიგარეტი მოწეული. სწავლების კურსი უმთავრდებოდა 5 დეკემბერს, მაგრამ სამშობლო რომ აღმოჩნდა გასაჭირში, მხარში ამოუდგნენ იმათ, ვინც ბრძოლის ველზე იყვნენ. ძლიერი შეტაკების დროს დაიჭრნენ ჩვენი ჯარისკაცები. სამშვიდობოს გამოიყვანა პირველი თბილისელი და დაუბრუნდა პოზიციას, შემდეგ დაიჭრა ქობულეთელი მამინაიშვილი, რომელიც უფროსმა ოფიცერმა გამოაყოლა ჯემალს და უბრძანა აქ აღარ დაბრუნდე, ჩვენც გამოვდივართო, ჯემალმა კი თქვა: მე უნდა დავბრუნდე, აქ ჩემი ძმები და მეგობრები არიანო. ერთი სიტყვით, ის ბრძანება არ შეასრულა და დაჭრილი მამინაიშვილის გაყვანის შემდეგ მაინც დაუბრუნდა პოზიციას, რის შედეგადაც აღმოჩნდა სავალალო მდგომარეობაში. მტრის ორმა ტყვიამ, რომელიც თავის არეში მოხვდა, მოუსწრაფა სიცოცხლე. ის დაკრძალეს 1992 წლის 12 დეკემბერს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში.

ღმერთმა აცხონოს გმირულად დაღუპული მამულიშვილი ჯემალ არძენაძე.

ჯემალ არძენაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმე (მამუკა) ასაბაშვილი

დაიბადა 1967 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა. 1981 წლიდან სწავლა განაგრძო სოხუმის საშუალო სკოლაში. 1984 წელს ირიცხება თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. 1986-88 წლებში მსახურობს საბჭოთა არმიის რიგებში.

1991 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკლესიის მშენებლობის საქმეში, იყო საზოგადოება „ბანძელის" წევრი, ხოლო როცა დაიწყო ქართველ-აფხაზთა კონფლიქტი, იგი მოხალისედ წავიდა საძმობლოს დასაცავად.

მსახურობდა ბატალიონ „ორბში", რომლის მებრძოლებმაც ვაჟკაცურად დაიცვეს მტრის 2 დეკემბრის შემოტევა ტამიშთან, ხოლო 3 დეკემბერს, როცა დაჭრილი მეომრები გამოჰყავდათ, მამუკამ თავის თავზე აიღო ცეცხლი და საბრძოლო ველიდან მეგობრის გამოყვანის დროს გზაში მოუსწრო მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ. ეს ტამიშის მისადგომებთან მოხდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასლანიკაშვილი

1992 წლის 5 ოქტომბერს დაიღუპა დაბა ლესელიძის დაცვის დროს. ივა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა საქართველოს მიწა-წყალს აფხაზი ექსტრემისტებისა და გადამთიელთა ბანდების ხელყოფისაგან.

ლევან ასლანიკაშვილმა ხანმოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო.

დაიბადა 1961 წელს. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. 1988 წლიდან მთელი ძალ-ღონით ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი მისი ჩამოყალიბების დღიდან და ღებულობდა, მონაწილეობას ყველა იმ მამულიშვილურ წამოწყებაში, რომელიც დაკავშირებულია სახალხო ფრონტის სახელთან.

ლევან ასლანიკაშვილი მებრძოლი სულისა და დაუდეგარი ბუნების კაცი იყო. მას არასოდეს ჰქონია დამშვიდებული და გალაღებული ცხოვრება. სულ მთლად პირტიტველა ბიჭი საბჭოთა იმპერიის საჭეთმპყრობელთა მიერ ავღანეთში პროვოცირებული „ინტერნაციონალური ომის“ ქარცეცხლში იწვოდა ორი წელი; რაოდენ პარადოქსულია ის ფაქტი, რომ სწორედ ამავე იმპერიის პირმშოს — რუსეთის მიერ წახალისებულ და დაგეშილ სეპარატისტებთან ბრძოლას შეეწირა ლევანი აფხაზეთში.

ცოტა უფრო ადრე, წვრილშვილის პატრონი ვაჟკაცი თოვლსა და ყინვაში იცავდა სამაჩაბლოს „იმედის“ წევრებთან ერთად, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრიც იყო.

1992 წლის დასაწყისში ლევან ასლანიკაშვილმა საბოლოოდ აირჩია მამულის დამცველის წმინდათაწმინდა გზა. ივი იყო მარნეულის ბატალიონის ასმეთაური და ეროვნული გვარდიის კაპიტანი, აფხაზეთში იბრძოდა სეპარატისტე-

ბის მიერ გაჩაღებული ომის პირველი დღეებიდანვე. ლევან ასლანიკაშვილი ერთ-ერთ პირველი იყო, ვინც გადამთიელთაგან განთავისუფლებულ ლესელიძეში შევიდა აგვისტოს ბოლოს. მასვე ხვდა წილად ერთ-ერთ პირველი დაცემულ იყო რიცხობრივად მრავალგზის აღმატებულ მტერთან ბრძოლაში 3 ოქტომბერს.

ლევან ასლანიკაშვილი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე... მისმა ოჯახმა სამშობლოსათვის გმირულად დაღუპული ვაჟკაცის ცხედარიც ვერ დაიტირა, ცოლ-შვილი უკანასკნელად ვერ ეამბორა ოჯახის მოსიყვარულე მამას; ჩვენ, მისმა მეგობრებმა და თანამოსანგრეებმა ჯეროვანი პატივიც ვერ მივაგეთ დიდსულოვანი მეგობრის და ჭეშმარიტი პატრიოტის წმინდა ხსოვნას. ამქვეყნად დარჩენილ მის ჭირისუფლებს ერთი რამ გვაიმედებს: ლევან ასლანიკაშვილის სული ზეციურ სასუფეველში იმყოფება საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა გვერდით, ხოლო მიწა, სადაც მისი ნეშტი დარჩა, საქართველოს მიწაა უკუნითი უკუნისამდე და მას ვერავინ წაგვართმევს, თუნდაც მთელი სამყაროს ბოროტი ძალები ერთად შეიყარონ.



თენგიზ აფრასიძე

თენგიზ დავითის ძე აფრასიძე დაიბადა 1956 წლის 6 დეკემბერს მესტიის რაიონის სოფელ ფარში. ბავშვობიდანვე ობლად იზრდებოდა. მამა ადრე გარდაეცვალა, მერე ერთადერთი ძმაც დაკარგა. ეს უბედურება დედამ ვერ გადაიტანა და დაიღუპა. გაუბედურებულ ოჯახში თენგიზი მარტოდმარტო დარჩა, დიდი სულიერი მხნეობა გამოიჩინა, არ გატყდა. როცა პატარა დავითის მამა გახდა, თითქოს გაიხარა და მომავლის იმედით გაიმსჭვალა, მაგრამ, საუბედუროდ, მისი დავითი 1 წლისა და 6 თვის ასაკში დაობლდა მამით. თენგიზი სახალხო მოხ-

მარების საქონლის შესყიდვა-გაყიდვის კოოპერატივის თავმჯდომარედ მუშაობდა, ტოლ-მეგობრების მოყვარული კაცი სამომავლო გეგმებს აწყობდა, მაგრამ ვაი რომ, მას 1992 წლის 18 იანვარს მტრის დაუნდობელმა ტყვიამ ... სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი დაადგეს თენგიზ აფრასიძის ხსოვნას!



მალხაზ აფციაური

ობლობაში გაზრდილი ბიჭი იყო, ნაადრევად დასერიოზულებული, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორში მას ყველა იცნობდა და, როგორც პატიოსან და წესიერ ყმაწვილს, პატივსა სცემდა. სკოლის დაძთავრების შემდეგ, უმაღლესა განათლების მიღებაზე ოცნებობდა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. დედამისი — ქალბატონი თამარი ხომ ქმრის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ, მარტოდმარტო სამ ბიჭსა ზრდიდა და ძალიან უჭირდა. მალხაზმა გადაწყვიტა დედას მიხმარებოდა და მეურნეობაში ზეინკლად ... აწყო მუშაობა.

ყოველდღიურად შემზარავი ამბები მოდიოდა აფხაზეთიდან. პრესითა და ტელევიზიით გადმოსცემდნენ აფხაზი სეპარატისტებისა და გადამთიელთა მხეცობის ამბებს. იღუპებოდნენ სამშობლოს მთლიანობის დაცვისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდები, და მალხაზსაც იქით გაუწია გულმა, გადაწყვიტა, მოეხადა თავისი ვალი და გვერდში ამოსდგომოდა საქართველოსათვის მებრძოლ ბიჭებს.

1992 წლის ოქტომბერში ოცდაერთი წლის ჭაბუკი გვარდიაში ჩაეწერა, რუსთავის ბატალიონში ჩაირიცხა. მცირე ხნის სამხედრო მომზადების შემდეგ მალხაზის ნაწილი 27 ნოემბერს აფხაზეთში წაიყვანეს.

...ჩემს წინ იჯდა მალხაზის შუათანა ძმა თენგიზი. ძალიან მინდოდა მას თავისი სათაყვანებელი ძმა დაეხასიათებინა, მაგრამ მწუხარებისაგან არაფერი მოყოლას აბერხებდა, ყოველ მის ხსენებაზე თვალები ცრემლებით ევსებოდა. განა ცოტა რამ აქვს მოსაგონარი გაჭირვებაში გაზრდილ ბიჭებს. როგორ უფრთხილდებოდა ხოლმე, მასზე სამი წლით უფროსი მალხაზი თენგიზსაც და პატარა გიორგისაც, რამდენი სითბო და სიყვარული ახსოვს მისგან.

— მალხაზი გულიანი ბიჭი იყო, მეგობრების, ამხანაგების მოყვარული, — მიამბობს მისი თანასოფლელი და თანამებრძოლი სოსო კობაიძე, რომელიც თენგიზთან ერთად მესტუმრა რედაქციაში. — უყვარდა ადამიანის გატანა, დახმარება და ყოველივე ამას უხმაუროდ აკეთებდა. ბავშვივით ყველაფერი ახარებდა. ფოთიდან გემით რომ მივდიოდით სოხუმისაკენ, დელფინები დაგვემგზავრნენ. ხან ერთი ამოხტებოდა ხოლმე ზღვიდან და ხან მეორე. მათი შემყურე მალხაზი პავშვივით იცინოდა და ხარობდა. სულ იმას მეუბნებოდა, სოხუმში რომ ჩავალთ, დეიდაჩემთან წაგიყვანო, მაგრამ არ დასცალდა.

ჩვენ სხვადასხვა ოცეულში მოვხვდით, მაგრამ დღე ისე არ გავიდოდა, ერთმანეთს რომ არ შევხვედროდით და არ გაგვემხნევებინა ერთურთი.

პირველი დეკემბერი იყო. ჩვენი ნაწილი სოფელ ეშერასთან, მდინარე გუმისთასთან იდგა. დრო და დრო დაზვერვაზე გავდიოდით.

საღამოს პირი იყო, მე დაზვერვიდან დავბრუნდი და შეციებული ცეცხლისაკენ გავემართე გასათბობად, მალხაზი კი სამორიგეოდ გავიდა, ცოტა ხანიც და უცებ, ისეთი საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, გიჟივით გარეთ გამოვვარდი და იმ მხარეს გავიქეცი, სადაც მალხაზი მეგულებოდა. სანამ იქ მივაღწევდი, უკვე მალხაზი საკაცით მოჰყავდათ.

ბიჭები ყვებოდნენ: ნაწილის უფროსმა ღუდუშაურმა დროულად გასცა ბრძანება, დაწექითო! მაგრამ მალხაზს ვერ მოუსწრია თავი დაეცვა, ჯერ ხომ ბრძოლის გამოცდილება ნაკლები ჰქონდა. ნაღმის ნამსხვრევს თავის ქალა და ზურგი დაეზიანებინა. იგი უგონო მდგომარეობაში ამოიყვანეს ფრონტის ხაზიდან. ოპერაციაც დროულად გაუკეთეს, მაგრამ არაფერი ეშველა.

— ჩემს მეობრებთან ერთად საშინელი მისია დამეკისრა. მალხაზი სოფელში ჩამოვასვენეთ. მთელი რაიონი ფეხზე დადგა. აფციაურების მწუხარებას ყველა იზიარებდა, იგი გმირული სიკვდილით დაეცა და მალხაზის სახელს არასოდეს დაივიწყებენ მისი მეგობრები და თანასოფლელები.

ლარისა ხუბულური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

შამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

ილია

ზაზა აფციაური

1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმთან პირველი შეტაკებისას საქართველოს გამთლიანების იდეას შეეწირა და მტრის მუხანათურმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა... დარჩა ძაძით შემოსილი ახალგაზრდა დედა, თვალზე ცრემლი რომ არ უშრება და უფროსი ძმა გია — ზაზას ასეთი წასვლით ფრთამოტეხილი და ჯერ ისევ გაოგნებული.

ზაზას სამშობლო უფრო უყვარდა, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე. ალბათ, სწორედ ამიტომ მიიტანა ეს სიცოცხლე დაუფიქრებლად საქართველოს კეთილღღეობის სამსხვერპლოზე. ალალსა და თავმდაბალს, უშუალოსა და ერთგულს მტერი არა ჰყოლია. ამ პატარა ბიჭს ძალზე დიდი გული ჰქონდა, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა და ყველას მოფერება შეეძლო...

ზაზა აფციაური დაიბადა 1973 წლის 3 მარტს, ქ. მცხეთაში. სწავლობდა საგურამოს სკოლა-ინტერნატში, რომელიც დაამთავრა 1986 წელს, შემდეგ სწავლა განაგრძო მცხეთის № 89-ე საშუალო პროფესიულ სასწავლებელში,

რომელიც 1990 წელს დაამთავრა და შემდეგ ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა...

„მსახურობდა, სწავლობდა, იყო“... ძნელია მასზე წარსულ [illegible] წერა, ვერ გაგვითავისებია მისი სიკვდილი. თავს ვხრით უბედური [illegible] ზაზასთვის სათქმელს მის სურათს ვეუბნებით: „გმადლობთ, დიდგულა ღიმილის ბიჭო, გმადლობთ, რომ იყავი“...

ზაზა აფციაურის მეგობრები

ზაზა ახალაია

ზაზა აკაკის ძე ახალაიას 20 წელი 1992 წლის 16 ოქტომბერს შეუსრულდა.

1989 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფიზკულტურის ფაკულტეტზე. იყო მეოთხე კურსზე. მთელი მისი სიჭაბუკე სპორტში იყო ჩართული.

ფიზიკურად და ზნეობრივად ღირსეულ ვაჟკაცად ჩამოყალიბდა. დაიღუპა სწორედ მაშინ, როცა თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების ნაყოფი უნდა მოემკო, — 1992 წლის 3 დეკემბერს ის აფხაზურ სოფელ ათარასთან 19 ტყვიამ დაცხრილა — იმ დროს ის ამხანაგის მისაშველებლად გაიჭრა სასიკვდილო მონაკვეთზე.

მშობლები, ახლობლები, მეგობრები, მადლიერი თანამემამულეები არ დაივიწყებენ ზაზა ახალაიას ნათელ სახელს.

ზაზა ახალაია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

დაიბადა 1966 წლის 21 აგვისტოს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში. 1973–83 წლებში სწავლობდა ამ სოფლის საშუალო სკოლაში. 1983–84 წლებში სოფელ ენისელის პროფტექსასწავლებელში. 1984 წლიდან 1991 წლამდე მუშაობდა სოფელ მთისძირის კოლმეურნეობაში. 1989 წლიდან იყო მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი. 1992 წლის აპრილიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის რიგებში. დაოჯახებული არ იყო.

მამა — აკაკი ახვლედიანი.

დედა — თამარ ახვლედიანი.

ჰყავს ორი ძმა და ერთი და.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი.

დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაში.

ვახტანგ ახვლედიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

* * *

შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

ილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ (გია) გაინდურაშვილი

დაიბადა 1963 წელს თბილისში, მედიკოსების ოჯახში. 1979 წელს დაამთავრა თბილისის 161-ე საშუალო სკოლა. მიღებული ჰქონდა შვიდწლიანი მუსიკალური განათლება ფორტეპიანოს სპეციალობით.

1979 წელს შევიდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1983 წელს. სტუდენტობის პერიოდში 1978–81 წლებში წარჩინებით დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში ფიზიკურზრდის მასწავლებლად და მწვრთნელად. 1985 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში სასაზღვრო ჯარის ნაწილებში, 1987 წლიდან კი მუშაობდა საქართველოს სპორტსახკომის ცენტრალურ აპარატში საორგანიზაციო მუშაობის, კადრებისა და მოსახლეობის ფიზიკურზრდის სამმართველოს უფროს მეთოდისტად. 1990 წლის თებერვლიდან ტრავმული დაზიანების გამო (ქვემო კიდურების ბარძაყისა და წვივის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა). იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ მისთვის ნაცნობი იყო სოხუმისა და გაგრის მიდამოები, აღნიშნულ ადგილებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლისას, 27 აგვისტოს იგი მხედრიონთან ერთად გადაფრინდა სოხუმში, აქედან კი გაგრაში. 30 აგვისტოს მონაწილეობდა გაგრა-კოლხეთის ბრძოლებში. როგორც ორი თანამებრძოლის გადმოცემით ვიცით, იგი თავგანწირვით იბრძოდა და მოუწოდებდა მებრძოლებს ალყის გარღვევისაკენ, დაიღუპა სამ მებრძოლთან და მეთაურ ამირანთან ერთად (მისი ვინაობა ჩვენთვის უცნობია). ბრძოლის წინ მას ინტერვიუ მიუცია უცხოელი კორესპონდენტებისათვის, რომელთა ჩანაწერი უჩვენებიათ ვილნიქსის ტელევიზიით სექტემბერში.

ჰყავს პენსიონერი მშობლები, დედისერთა იყო. 1983 წელს დაოჯახდა. ჰყავს 8 წლის ნონა და 2, 5 წლის ტატო, მეუღლე დიანა (ფეხმძიმე). დაკრძალეს 5 სექტემბერს, მუხათგვერდის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ბარათაშვილი

დაიბადა ქ. თბილისში, 1965 წლის 30 იანვარს.

საქართველოს გამოღვიძების ზარმა რომ დარეკა, იმ ვაჟკაცთა რიგებში ჩადგა, ვინც მუდამ იქ იყვნენ, სადაც სამშობლოს უჭირდა. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სადაც ამა წლის 30 აგვისტოს შეტევის დროს მან და მისმა თანამებრძოლებმა მომხვდურთა წინააღმდეგ განახორციელეს ღრმა რეიდი, რომლის დროსაც უმუხთლა ბედმა — ბრმად მოხვედრილმა ტყვიამ დასცა იგი ძირს საყვარელ ქართულ მიწაზე.

მამუკას ჯიბეში, გულთან ახლოს ნახეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რუქიდან ამოჭრილი საქართველოს ტერიტორიის რუკა.

მარად იყოს შენი სახელის დიდება, მამუკა, გწამდეს, რომ ახდება შენი ოცნება და გაბრწყინდება თავისუფალი საქართველო.

მეგობრები

სიკვდილის ზნე

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი ვონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება.

ხალხური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია ბაქარაშვილი

დაიბადა 1965 წლის 12 ივნისს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის 99-ე საშუალო სკოლა. გამოირჩეოდა თავაზიანობით, ამხანაგებთან გულითადი დამოკიდებულებით და ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

სამხედრო ვალდებულება მოიხადა ციმბირში და იქიდან ჩამოვიდა დაქორწინებული. მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინისტროში მძღოლად.

1987 წელს მამა გარდაეცვალა ჩერნობილში. მას დააწვა მთელი ოჯახის — დედის, ცოლ-შვილისა და ორი უმცროსი ძმის მოვლის სიმძიმე. მუშაობდა საქაგრომრეწვის სამინისტროში ტრაილერზე მძღოლად. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1989 წლიდან. იბრძოდა სამაჩაბლოში. იყო საზოგადოება „რაინდის“ წევრი. 1992 წელს 11 აგვისტოდან წავიდა აფხაზეთში, როგორც ჩოლოყაშვილის პოლკის ოფიცერი. იბრძოდა ეშერასთან, ტამიშთან. დაიღუპა 20 ნოემბერს კელასურთან. მეგობრები იგონებენ:

გივი მოსიძე: ჩვენ ორნი, 15—16 წლის მოხალისეები სოხუმში მოვხვდით გიას ჯგუფში. რომ დაგვინახა, არ ესიამოვნა. თქვენ ლაწირაკებო, აქ რამ მოგიყვანათ, თქვენ ომი ავტომატის დაჭერა ხომ არ გგონიათ მარტო? ბრძოლა რომ დაიწყო, გვითხრა: უკან ამომეფარეთ, რომ ტყვია არ მოგხვდეთო, ორ დღეში კი გვაიძულა უკან წამოვსულიყავით თბილისში.

ზურიკო კოროხაშვილი:

ხანდახან რომ ჩამოვიდოდა ერთი დღით, ვეკითხებოდით მეზობლები, მეგობრები: როგორ იბრძვითო? იტყოდა: ვიბრძვით, როგორც საჭიროაო და უკვირდა ხოლმე: რატომ თბილისში არ იგრძნობა, რომ საქართველოში ომიაო, ამბობდა. მატიანეს იღებენ ჩვენი ჟურნალისტები ამ ომის შესახებ და იქ გამოჩნდება მე როგორ ვიბრძვიო.

ძალიან თავმდაბალი, ალალი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭაბუკი იყო, ასე ახასიათებენ მისი თანაკლასელები.

დატოვა გაუბედურებული დედა, ორი ძმა — 23 წლისა და 17 წლის, 25 წლის მეუღლე და ორი ქალიშვილი 7 წლის თამარი და 3 წლის [illegible].

დედის მოგონება: რომ ჩამოვიდოდა ხოლმე ცოტა ხნით, დავიწუწუნებდი, ვაიმე, შვილო, არაფერი მოგივიდეს მეთქი. მეტყოდა: დედა, მე რომ მოვკვდე, შენ ორი შვილი კიდევ დაგრჩება, მაგრამ იმათ რაღა ქნან, ერთი შვილი რომ ჰყავთ და ისიც იქ უკვდებათო. თან დაატანდა: ჩემი თავი სამშობლოს შესწირე, დედი, აბა, რისთვის გიხაროდა სამი ვაჟიო? სულ მოლოდინი ჰქონდა სიკვდილისა. თითქოს მამზადებდა წინდაწინ. განსაკუთრებით განიცდიდა დათო მუსერიძისა და ნუგზარ მიხანაშვილის სიკვდილს, დათოს დაკრძალვაზეც ჩამოვიდა.

ერთხელ თვითონ დარეკა: დედა, ჩემი მეგობარი მოვა, ნოდარი ჰქვია და ის გეტყვით მე როგორი ვარო. ის ბიჭი მართლაც მოვიდა და მოჰყვა: გავიხედეთ, ერთ ღლეს შტაბში გია მოგვადგა, 6 ავტომატი ჰქონდა გადაკიდებულიო. გავგიჟდით კინალამ: სად იშოვე ეს ავტომატებიო? სიცილი დაიწყო, ბეტეერით მოვდიოდით ორნი. შეგვეჩეხა ვილისი მტრის მებრძოლებითურთ, იმათ ეგონათ, რომ ჩვენ ბევრნი ვიყავით. რომ ვუყვირეთ, დაყარეთ იარაღიო, იმ წუთში დაყარეს ავტომატები. თვითონ იქ გავგზავნეთ, სადაც საჭირო იყო, ესენი კი აქ მოვიტანეთ, ჩვენს ბიჭებს გამოადგებათო.

თემურ ბაინდუროვი

თემურ მურმანის ძე ბაინდუროვი დაიბადა 1965 წელს ქ. ტყიბულში.

1982 წელს დაამთავრა ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მაღაროელად, იყო ტყიბულის საფეხბურთო გუნდ „კოლმეურნის“ წევრი.

1984 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა გერმანიაში. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად წავიდა ლენინგრადში, მაგრამ იმ პერიოდში [illegible] ცვალა მამა, ივი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო მშობლიურ ქალაქში. შემდეგ მუშაობა დაიწყო კოოპერატივ დიზაინში.

ეროვნული გვარდიის შექმნის დღიდან დადგა საქართველოს დაცვის სადარაჯოზე. იყო ტყიბულის მე-17 ბატალიონის ოფიცერი.

დაიღუპა ტამიშთან, აფხაზ სეპარატისტებთან ბრძოლაში. მან დიდი გმირობა ჩაიდინა.

თემურ ბაინდუროვმა გაატარა პროდუქტით დატვირთული მანქანები. თვითონ გადმოსტა მანქანიდან და ცეცხლი გაუხსნა აფხაზებს. საშინელი ნაწამები დასაფლავებულია ტყიბულში.

დედა-მამა არა ჰყავს.

ჰყავს მოხუცი ბებია, ბიძა, ბიძაშვილები.

თემურ ბაინდუროვი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ ვორგასლის** III ხარისხის ორდენით.



მერაბ ბალალაშვილი

დაიბადა 1965 წლის 20 ნოემბერს თბილისში. სწავლობდა თბილისის № 2 სპორტსკოლაში. 1983 წელს დაამთავრა № 85 პროფტექნიკური სასწავლებელი. 1984 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. გაიარა საიდუმლო კავშირგაბმულობის კურსები. იყო სერჟანტი და აპარატის უფროსი. დემობილიზაციის შემდეგ 1986 წელს შევიდა შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო საგუშაგო სამსახურის ლეგიონში — იყო მილიციის სერჟანტი. 1989

წლიდან მუშაობდა საქართველოს ბანკების დაცვის ასეულში უფროს სერჟანტად. 1991 წლიდან გადავიდა სასტუმრო „მეტეხის“ დაცვის უშიშროების ოფიცრად. სწავლობდა თბილისის იურიდიულ კოლეჯში — I კურსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი (ლეიტენანტი).

დაიღუპა ქალაქ გაგრაში 1992 წლის 2 ოქტომბერს.

დარჩა დედა — მაყვალა აბუაშვილი, მეუღლე — ლიანა ბადუაშვილი, შვილი — თორნიკე.

* * *

დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!... ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა...

ᲐᲙᲐᲙᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თომა ბარნაბიშვილი

თომა (ვასიკო) შოთას ძე ბარნაბიშვილი დაიბადა 1970 წლის 15 ივლისს მუშის მრავალშვილიან ოჯახში.

1976 წელს 6 წლის თომა სწავლას იწყებს 129-ე საშუალო სკოლაში, სადაც ამთავრებს 8 კლასს.

1984-85 სასწავლო წელს სწავლას აგრძელებს 31-ე პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში მატარებლის მემანქანის თანაშემწის სპეციალობაზე.

1988 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იმსახურა სვერდლოვსკში. დემობილიზების შემდეგ მუშაობას იწყებს ელექტროდეპოში მემანქანის თანაშემწედ.

1991 წელს მუშაობას იწყებს თბილისის მეტროპოლიტენში მემანქანის თანაშემწედ.

თომა ყველგან, სადაც სწავლობდა და მუშაობდა, სანიმუშო ყოფაქცევით, დაუღალავი შრომით გამოირჩეოდა, მეგობრებსა და ამხანაგებში ავტორიტეტით სარგებლობდა. იმის მიუხედავად, რომ მან სამშობლოს წინაშე თავისი ვალი პირნათლად მოიხადა, უკან არ იხევს, 1992 წლის 12 ოქტომბერს მოხალისედ ეწერება და მიდის აფხაზეთში სამშობლოს დასაცავად საბრძოლველად, იქ მსახურობდა — 101-ე ბატალიონში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს თომა (ვასიკო) მტრის ტყვიამ შეიწირა..

გარდაიცვალა 3 ნოემბერს სოფ. შრომასთან.

თომა განისვენებს ქ. თბილისში საძმო სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ბარხუდანაშვილი

საქართველოს უკიდეგანო სიყვარულს იტევდა ლალისყურელი მალხაზ ბარხუდანაშვილის გული. ამ სიყვარულით ანთებულმა მსხვერპლად შესწირა სიცოცხლე სანუკვარი სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლების იდეას, ამ სიყვარულით სძლია სიკვდილს და სამარადისოდ შეუერთდა თავის სალოცავ ზეციურ საქართველოს.

მალხაზ ბარხუდანაშვილი 1964 წლის 20 დეკემბერს დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში და 1982 წელს დაამთავრა ფშავლის საშუალო სკოლა. სოფელ ლაბრასთან დაიღუპა 1992 წლის 9 მარტს.

... იმ დროს მოსახლეობისაგან სოფელი დაცლილი იყო და მთელი ეს ბრძოლები მის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. სამი კილომეტრი სიგრძის იქნებოდა საბრძოლო ხაზი, რომელიც სოლივით იყო შეჭრილი ფრონტის ხაზზე. ეს ადგილი სამი მხრიდან მოწინააღმდეგეს ეკავა. მებრძოლები ალყაში მოექცნენ.

9 მარტს, დილით, როცა პოზიციებიდან იცვლებოდნენ, მტერმა მაშინ შემოუტია. ბიჭებისათვის ეს მოულოდნელი იყო. მტერი კი წინასწარ იყო მომზადებული. შეტევა ოთხ საათს გაგრძელდა. ტექნიკის შესაყვანად მოწინააღმდეგე დანაღმულ ტერიტორიას სწმენდდა. მალხაზმა, რომელიც მეტყვიამფრქვევესთან დამხმარედ იყო მიმაგრებული, ყუმბარმტყორცნით მტრის ორი ჯავშანტრანსპორტიორი მწყობრიდან გამოიყვანა.

მოწინააღმდეგის სატრანსპორტო ტექნიკის კოლონის მეწინავეზე რუსეთის საბრძოლო დროშა იყო აღმართული. კრასნოდარის 22-ე სადესანტო ტიპის კოლონის შემადგენლობაში იყო აგრეთვე ტ-72-ის ტიპის 8 ტანკი, რომლის ყუმბარმტყორცნით აფეთქება ტექნიკურად შეუძლებელია. ეს ტანკი შემოიჭრა ქართულ პოზიციებზე და მის განლაგებას გახლეჩით დაემუქრა, რაც ჩანაფიქრის

განხორციელების შემთხვევაში გამოიწვევდა ჩვენში ძალების დაქსაქსვა და საბოლოო განადგურებას, — ჰყვებიან ძალხაზ ბარხუდანაშვილის მეზობელი სოფლის — ფშაველში გაზრდილი თანამებრძოლები: დიტო დავითაშვილი, ... რამაზაშვილი.

ბიბლიოთეკა

აი, სწორედ ამ დროს გამოიჩინა ძალხაზმა სამაგალითო გმირობა — წინ გადაუხტა ტანკს, რომ მისთვის სვლა შეეფერხებინა. ამით თავის თანამებრძოლებს უკან დახევის საშუალება მისცა, ათიოდე მეტრის მანძილიდან სტყორცნა ყუმბარა და მტრის ტანკთან ერთად თვითონაც აფეთქდა. მან 60 კაცის სიცოცხლე იხსნა, თავი გასწირა და უკვდავებას შეუერთდა. თურმე სოფელ ლალისყურსაც ჰყოლია გმირები. უკვე რამდენი შვილი დაიტირა ჩვენმა ბედკრულმა ქვეყანამ და დარჩა მწარე მოგონება.

იზა ჯაჭვაძე

მამუკა ბასიშვილი

„იმმა არ იცის დიდი და პატარა, იგი ერთნაირი სისასტიკით ეპყრობა ყველას. მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა მტრის ტყვიამ. მრავალმა დედამ ჩაიცვა შავი სამოსელი. მრავალი დაქვრივდა და მრავალი დაობლდა.

მამუკა ბასიშვილის სიცოცხლეც მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. იგი ქურთაში დაიბადა, აქ დაამთავრა საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, დაოჯახდა კიდეც, ჰყავდა მეუღლე და 10 თვის ვაჟი. მაგრამ მეუღლეც და პატარა თორნიკეც მხოლოდ ხანმოკლე უსაზღვრო ბედნიერებად დარჩა მისთვის. 25 ოქტომბერს მძიმედ დაჭრილს 22 წელი საავადმყოფოში შეუსრულდა. უკან დარჩა ტკბილად გასახსენებელი ქორწილის დღე და სანეტარო წუთი, როცა პირველად ემწარა ვაჟის შეძენის გამო აწეული ყური.

1991 წლის მიწისძვრა საბედისწერო აღმოჩნდა სამაჩაბლოსთვის, დაანგრია და: დააზიანა საცხოვრებელი სახლები, სახლების აღსადგენად სამშენებ-

ლო მასალა გორიდან შემოჰქონდათ. მამუკა მანქანაზე მუშაობდა, სწორედ მას მოუხდა იმ საბედისწერო დღეს მასალის შემოტანა. იმ დილით დიდი ლიახვის ხეობის სიმშვიდე ავტომატების გაბმულმა ჯერმა დაარღვია. ნიღაბაფარებულ-ოსმა ექსტრემისტებმა თავის არეში მძიმედ დაჭრეს გზაზე მანქანიდან ჩამოსული უდანაშაულო ვაჟკაცი. ბევრს ეცადნენ ექიმები მამუკას გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ; გაუკეთდა ორი უმძიმესი ოპერაცია თავის არეში, მესამე ოპერაცია სასიკვდილო აღმოჩნდა.

წავიდა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე, დაობლდა პატარა თორნიკე, რომელსაც მამის სახე არ დაამახსოვრდება, ვინაიდან წუთიერად არგუნა ბედმა მისი სიახლოვე.

კახა ცერცვაძე



ოთარ ბედიანაშვილი

დაიბადა 1973 წლის 5 მაისს ქ. რუსთავში. ცხოვრების ამ პატარა მონაკვეთში ბევრი რამ მოასწრო: რვა კლასის შემდეგ დაამთავრა ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის დღის დასწრებული კურსი ფოლადის წარმოების სპეციალობით. იმუშავა ექვსი თვე მარტენის საამქროში. ჯერ მესამე, შემდეგ მეორე, ხოლო შემდეგ პირველ ხელშემწყობად ღუმელებზე, პარალელურად დაამთავრა ქორეოგრაფიის სტუდია, თამაშობდა ფეხბურთს „გორდას“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში. წერდა ლექსებს.

ოთარ ბედიანაშვილი ფიზიკურად ძლიერი ჭაბუკი იყო. გამოირჩეოდა დარბაისლობით. იგი სიტყვადინჯი იყო. მაგრამ მის ძლიერ ორგანიზმში ძლიერი სული იყო, ალბათ, ეს ყველაფერი ჩამოუყალიბა იმ გარე პირობებმა, სადაც მას უხდებოდა აღზრდა და სწავლა. მისი საგაზრდილოა სოფელი ფხვენისი — სამაჩაბლო, ლიახვისპირეთი, ხოლო დედამისის საგაზრდილოა სოფელი ხაშმი,

ად. იორი და მის გარშემო აწვდილი კლდეები და ტყეები, ციხე-კოშკები თუ მონასტრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, აი, როგორც აკაკი წერეთელი ამბობს, მარტო წვრთნა რასაჯ[illegible] ბუნებამაც არ უშველაო, ოთარის ცხოვრებაში ორივე ერთად შერწყმული იყო ყოველთვის.

აფხაზეთში უგუნურთა და ავკაცთა თავზე ხელაღებამ ქართველების წინააღმდეგ ოთარს მოსვენება დააკარგვინა. წასვლა გადაწყვიტა. ბევრი უშალეს, მაგრამ ამაოდ. პირიქით, პასუხად გვეუბნებოდა: ხო! ხო! კარგად ჩავკეტოთ ყველამ ჩვენ-ჩვენი სახლის კარი, შემდეგ აქაც ჩამობრძანდებიან და დაგვიძახებენ: ქართველებო, გამოდით გარეთ, თქვე... და დაგვხვრეტენ, ასეთ სიცოცხლეს რე სიკვდილი მირჩევნიაო. ჰოდა, წავიდა აფხაზეთში, როგორც ეტყობოდა, ქვემო კიდურებზე ძველი ნაჭრილობები ჰქონდა. მაინც არ დატოვა იქაურობა და, აი, ერთი მუხანათური თავდასხმა მოწინააღმდეგისა 1992 წლის 3 ნოემბერს საბედისწერო გამოდგა.

დაუბნელდა მზე. მზე უფრო დაუბნელდა მის დედ-მამას, მის ხუთ და-ძმას.

ესლა შეგვიძლია განვუცხადოთ ჭირისუფალს: ოთარ ბედიანაშვილის სახელს მისი მშობელი ხალხი არ დაივიწყებს.

ვლადიმერ ბედოიძე

ვლადიმერ პეტრეს ძე ბედოიძე დაიბადა 1935 წელს ქარელის რაიონის სოფელ დვანში. 1950 წელს დაამთავრა დვანის არასრული საშუალო სკოლა.

მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, შემდეგ მუშაობდა დვანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

1991 წლის 24 მარტს დაიღუპა სამაჩაბლოში, ყოფილი ზნაურის რაიონის სოფელ ველებში.

* * *

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდისნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით...
თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯვარს ამხნევს გულის უხვებით,
გული მეფისა ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით!..

გრიგოლ ორბელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ბეინაშვილი

მამუკა ვაჟას ძე ბეინაშვილი დაიბადა 1973 წლის 7 სექტემბერს თბილისში. ჰყავს მამა—ვაჟა ბეინაშვილი, დედა — მანანა ელბაქიძე, და ეკა.

დაამთავრა თბილისის 114-ე საშუალო სკოლა. სკოლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სპორტულ შეჯიბრებებში, კერძოდ, ჭიდაობაში, სადაც მიღებული აქვს თასები და ქების სიგელები. სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშაობდა ელმავალმშენებელ ქარხანაში. ცოლ-შვილი არ ჰყავდა. იყო 19 წლისა. სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1992 წლის 23 მაისს. „ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონში“ ჩარიცხვისთანავე ჩაერთო სამაჩაბლოში ქართული სოფლების დაცვისათვის ბრძოლაში. იქიდან დაბრუნების შემდეგ ბატალიონი აფხაზეთში გადაიყვანეს ომის დაწყებასთან დაკავშირებით. მისი თანამებრძოლების გადმოცემით, პირველ სექტემბერს გამთენიისას მოხდა შეტაკება ეშერასთან. ამ ბრძოლაში გამოუყვანია წინა ხაზიდან დაჭრილი ამხანაგი და უკან გაბრუნებულა მეორე დაჭრილის გამოსაყვანად. ამ დროს იმ ადგილს მოხვედრია მტრის მიერ ნასროლი ჭურვი. ამ აფეთქების შედეგად მამუკასთან ერთად დაიღუპნენ თიანეთელი ვახტანგ ბიჩელაშვილი და მარტყოფელი თენგიზ გუგუნაშვილი, მამუკა დაღუპვიდან ერთი კვირის შემდეგ, 7 სექტემბერს 19 წლისა გახდა.

მამუკა ბეინაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

მამუკა, შენს მამულს, შენს ხალხს არ დაავიწყდები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ბენდელიანი

ამ უკვდავ, ძველქართულ ხალხურ სიმღერას შეგახსენებთ, მშვენიერი ასული მერცხალს რომ ეხვეწება: გაფრინდი და ომში წასული ძმის ამბავი ჩამომიტანეო.

თბილისის ერთ საჩინო უბანში, იმგვარ ოჯახში, როგორშიც საქართველოს ღირსეული შვილები იზრდებიან ხოლმე, მოსიყვარულე და-ძმა ცხოვრობდა.

მამა — მშენებელი ინჟინერია, საქმის ერთგული კაცი, ოჯახსა და შვილებს გადაყოლილი. დედა — პედაგოგი, ისეთია, კახეთში რომ იტყვიან ხოლმე — ოჯახის დედაბოძიაო.

ორ შვილსა ზრდიან. ბიჭს ზაზა ჰქვია, მის მომდევნოს — ვერიკო. დედა და მისი სიყრმის შვილი იერით, გამოხედვით ჰგვანან ერთმანეთს. ახლა ამ ოჯახში მხოლოდ მათი ფოტოები დარჩა. დედა-შვილი ლამაზი, სევდიანი თვალებით იცქირებიან. ეს სევდა დატოვეს ოჯახში და ახლა ეს ლამაზი სევდა ადუღაბებს, აერთიანებს ვერიკოს და მამამისს. თავის მხრივ, იერით ისინიც ჰგვანან ერთმანეთს. ბარემ რომ დაგვიჯეროთ ჭკვიანი ფშაველის ნათქვამი: ყრმა დედულეთით გამოვა, ქალი ლამაზი გვარითაო.

თუმცა, ბუნებით ხათრიან, მორიდებულ ბიჭს ეამაყება თავისი გვარიშვილობა და ხაზგასმით იტყვის ხოლმე: მე ზაზა ბენდელიანი ვარო. შინაურებს უთქვამთ, რა არის, მარტო ამით რომ ამაყობ, ერთი ჩვეულებრივი სვანური გვარიაო.

არა, ზაზა ნამდვილად გრძნობდა, შინაგანად სწამდა, რომ საქართველოს შვილი იყო და ისიც სჯეროდა, რომ, თუ სამშობლოს დასჭირდებოდა, ბენდელიანები მის დამცველთა შორის ჩადგებოდნენ.

აი ახლაც, როცა საქართველოს რჩეული შვილები აფხაზეთში სამშობლოს ერთიანობისათვის აბრძვიან, მათ შორის 25 ბენდელიანია.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის იმ ბრძანებულებით, რომლითაც მადაც, ზაზა ჯუმბერის ძე ბენდელიანი დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, კიდევ სამი ბენდელიანი სხვა ორდენებით დაჯილდოებული, ხომ გახსოვთ ჩვენი ბავშვობის დროინდელი ერთი ლექსი, სიმღერად რომ აიტაცა ხალხმა: „ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი, ჭიჭიკო ბენდელიანი“. ახლა კიდევ ზაზა მოსწყდა ბენდელიანების ჯიშს, მოსწყდა მის სათაყვანებელ სამშობლოს. ზაზასნაირი ბიჭები მარტო ოჯახს, დედ-მამას კი არ ეკარგებიან, საქართველოს უკვდებიან და ამგვარი მძიმე დანაკარგები მერე მთელ სამშობლოს სტკივა.

ხომ ხედავთ, ერთი კარგი თბილისელი ბიჭი ყოფილა. ადგილის დედის სიყვარული ხომ ჰქონდა, კიდევ გაგრა უყვარდა. ეს გრძნობა ბავშვობისდროინდელია, როცა მამამისი იმ კოპწია ზღვისპირა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ და მთელი ოჯახით 4 წელიწადს ცხოვრობდა გაგრაში.

მერე ამ ქალაქის ტრაგედია ბენდელიანების ოჯახის ტრაგედიად გადაიქცა. ხოლო მანამდე...

ზაზას ბავშვობის საუკეთესო წლები: მზრუნველი დედ-მამა, საყვარელი უმცროსი დაიკო. გაგრელი თანატოლები, ყველას უყვარს ზღვა და ფეხბურთი. ჭოძღვრავენ გიორგი სიჭინავა და თამაზ კუჭუხიძე. გავიდა წლები. ზაზა, როგორც ფეხბურთელი, სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე იზრდება, თანატოლებთან ერთად მრავალ შეჯიბრებაში, ტურნირში იმარჯვებს, იზრდებიან ბიჭები, მრავლდება მათი საძმო, და როცა ბენდელიანების ოჯახი თბილისში ბრუნდება, ზაზას ძალიან უჭირს გაგრასთან განშორება.

თბილისში, „ავაზას“ სპორტულ სკოლაში განაგრძო ფეხბურთის თამაში. კვლავ მრავალ პრესტიჟულ ტურნირში იმარჯვებს, – ტაშკენტში, ლენინგრადში, მოსკოვში...

1983 წელი. ზაზა საქართველოს ნაკრებშია.

1984 წელი. „ავაზას“ მწვრთნელების თანხმობით, ზაზა ბენდელიანი „დინამოს“ ფეხბურთელთა სპორტულ სკოლაში გადაიყვანეს, სადაც ორჯერ, ლენინგრადსა და კიევში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. შემდეგ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. ითამაშა პოლონეთისა და იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის, გერმანიისა და უნგრეთის ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან. 15 წლის ასაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. მიღებული აქვს ოთხი ოქროს მედალი და მეათე კლასში ყოფნისას ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ („ტორპედო“ მაშინ უმაღლეს ლიგაში თამაშობდა) გუნდში მიიწვია.

და როცა ბიჭი გახარებული იყო, როცა ია-ვარდად ესახებოდა გზა-სავალი, დედას უკურნებელი სენი აღმოაჩნდა. ორი წლით ონკოლოგიური საავადმყოფოს სარეცელს მიეჯაჭვა. ავადმყოფი ქალი, დადარდიანებულ მეუღლეს ეუბნებოდა: ზაზას დარდი მაქვს, ძალიან მორიდებულია და ხათრიანია, ეგეთი

ადამიანი ამ ცხოვრებაში დაიჩაგრებაო. ვაჟიშვილის ამხანაგების იმედი კი ძალიან ჰქონდა. ეთქვა, ერთნაირად თბილი და ყურადღებიანები არიან. ბიჭებს ერადებათ ქუჩაში ყვავილებით სიარული, როცა პალატაში შემოდიან, ეჯდებიან, ეფერებიან, აცლიან ხოლმე ქალალდს თაიგულსო. ზაზას ამხანაგები მთელ [illegible] წადი სისტემატურად დადიოდნენ საავადმყოფოში.

ზაზასთვის ის ორი წელიწადი გაუთავებელი მღელვარება იყო. საყვარელი ფეხბურთი სადღა ახსოვდა. კინაღამ ონკოლოგიურ საავადმყოფოში დაიდო ბინა. დედამ ვაჟიშვილის თბილი გულისა დიახაც რომ იცოდა, მაგრამ იგი ზაზას სულის ტკივილმა შესძრა. ოჯახის ბურჯი სიცოცხლეს ეთხოვებოდა და არავინ უწყოდა, რომ ეს უბედური ქალი, ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული, თურმე, ბედნიერი იყო. მან სიყრმის შვილს გაასწრო...

ფეხბურთი ვიღას ახსოვდა. ზაზა ვერ შეეჩვია უდედობას. თავისი საძინებელი ოთახი მიატოვა, დედისეულ საწოლზე წვებოდა ხოლმე. თითქოს დედა ჩემთან არის და მეფერებაო.

როცა საქართველოს ერთიანობას საფრთხე დაემუქრა, ზაზას გულმა აფხაზეთისაკენ გაუწია. მამა და მისი დაიკო ძალიან ცდილობდნენ, მისთვის გზა გადაეჭრათ, მაგრამ ამაოდ. მამის თხოვნას ასე უპასუხა, თუ ყველამ ასე იფიქრა, ომში არავინ წავაო.

როცა ზაზას გაგრელი თანაკლასელი ესტუმრა, მან საუბარში უთხრა: რას აგიჩემებია ომში წასვლა, იქ განა იბრძვიან, მაროდიორობენ, ხალხს ძარცვავენ. შენ არც მანქანა გჭირდება, არც ქონების შეძენა, შენი საკმარისი ოჯახს ყველაფერი აქვს, თავს საფრთხეში რატომ იგდებო. ზაზამ უპასუხა: მოსკოვიდან რომ ოცი კოსტიუმი ჩამოიტანე გასაყიდად, არ ჯობდა, მაგ ფულით ერთი ავტომატი გეყიდა, შენი ქალაქი დაგეცვაო? მერე სინანულით უთქვამს, სტუმარი ხარ, მაგრამ ძალიან მატკინე გული. გუშინ ძმაკაცი დავასაფლავე, შენ კი მას მაროდიორობა დასწამეო. სტუმარმა თავი გაიმართლა, მე გვარდიასთან მიტმასნილებზე გითხარიო.

რას ვიზამთ, ქვეყანა მართლაც ჭრელი ყოფილა. ვაი რომ, ვინმე, ალბათ, ამ უბედურებისას გამდიდრებასაც ფიქრობს, მაგრამ, ქვეყნის საბედნიეროდ, ბევრს სამშობლოსათვის უძგერს გული. შარშან, 2 დეკემბერს სოფელ ტამიშთან, ზაზა ბენდელიანმა ამხანაგები გადაარჩინა და თვითონ გმირთა სიკვდილით დაეცა.

მამას გული უგრძნობდა, რომ ომში წასული მისი ვაჟი თავის გადარჩენის გზის ძებნას არ დაიწყებდა.

ზაზა ბენდელიანს სხვაგვარი სიკვდილი არც ეკადრებოდა. იგი სამშობლოში გმირად უნდა დარჩენილიყო, განგებამ ასე ინება.

დას მუდამ უხდება ძმის გლოვა. მითუმეტეს ისეთისა, სამშობლოს რომ შეეწირა. ეს მარადიული სევდა ძალიან უხდება პირმშვენიერ ვერიკოს.

ჯემალ ქურხული

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა!
ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგოლ ორბელიანი

გელა ბელქანია

მეტად მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება ამ სიცოცხლით სავსე ლამაზი ჭაბუკისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, ოცდაორი წლისა დაიღუპა სამშობლოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლაში.

გელა ანზორის ძე ბელქანია დაიბადა 1970 წლის 3 მარტს. გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლაში სწავლობდა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფაქცევითა და კარგი სწავლით, უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა როგორც აღმზრდელ მასწავლებლებში, ისე თანატოლებსა და სოფლის საზოგადოებაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სიდის ჩაის მეურნეობაში ჩაის მკრეფავად, მანქანა „საქართველოს" მესაჭე გახლდათ. თან დოსააფის სკოლაში სწავლობდა.

1988 წელს გელა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რომელსაც იხდიდა ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ პრილუკში. ძნელი იყო მისთვის შეგუებოდა რუსი სამხედროების მიერ ქართველების მიმართ მკაცრ მოპყრობას, დამცირებას, აბუჩად აგდებას, მაგრამ გელა ძლიერი იყო და თავს ყრავის დააჩაგვრინებდა. იქაც თავი გამოიჩინა, სამხედრო საქმეს კარგად დაეუფლა,

ნიღებული ჰქონდა მეთაურის თანამდებობა, სიგელები, სამკერდე ნიშნები, იყო კომკავშირული ყრილობის დელეგატი, მოგეხსენებათ, ასეთი პატივი ითლი მოსაპოვებელი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, გელამ მუშაობა დაიწყო გალის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. აქაც თავი გამოიჩინა, საქმის პირნათლად შესრულებითა და დისციპლინით, რისთვისაც მიღებული ჰქონდა მადლობები. მალევე ნიჭიერ, ბეჯით ახალგაზრდას მისცეს საგზური სწავლა გაეგრძელებინა თბილისის პოლიციის უმაღლეს აკადემიაში.

1992 წელს გელა ბელქანია ამ აკადემიის კურსანტია. როგორც კი სამშობლოს დასჭირდა მისი სამსახური, გელა სხვა კურსანტებთან ერთად მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, სადაც მას მოუხდა ბრძოლა აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ.

1992 წლის 28 აგვისტოს გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდასთან მტრის ტყვიამ განგმირა ოცდაორი წლის ჭაბუკის სიცოცხლე. წავიდა ამ ქვეყნიდან სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ახალგაზრდა და უდიდესი ტკივილი დაუტოვა თავის ახლობლებსა და თანამებრძოლებს, რომელთა გულებში იგი სამარადჟამოდ იცოცხლებს.

ავთანდილ ბერაძე

34 ლამაზი წელი იცხოვრა „კლუბიკამ“, როგორც მას „ავაზელებმა“ შეარქვეს, თავისი ტკბილი, და კაცურ-კაცობის დასტურად. ავთანდილ სარდიონის ძე ბერაძე უღალატო, თავდადებული, ჭეშმარიტი ვაჟკაცი, კარგი შვილი, კარგი მეუღლე და კარგი მამა იყო. სამწუხაროდ, ყველანი აცრემლებული დატოვა, თვითონ კი ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ტელევიზიაში სა-
ბავშვო გადაცემათა რედაქციაში დაიწყო რეჟისორად მუშაობა. თვალცრემლიანი
ძეულლე ქალბატონი ლელა იგონებს, ავთომ მითხრა: აღარ შემიძლია „მარადი-
ული ხსოვნის“ ყურება, მეც უნდა წავიდე. შენ ნუ გეშინია, მე არაფერი მომივა.
ასეთივე ჯანმრთელი დავბრუნდებიო და სახლიდან გასვლის წინ საქორწინო
ბეჭედი მოიძრო, დამიტოვა და მითხრა: შეინახე, მაინც რა ვიცი რა მოხდებაო“...

ავთო მოხალისედ შევიდა პირველ ბრიგადაში. თავისი სამსახურებრივი სპე-
ციფიკიდან გამომდინარე კლუბის გამგედ დანიშნეს, ოფიცრის წოდება მიიღო,
სულითა და გულით უნდოდა ბიჭების სულიერი გამხნევება, მხოლოდ ერთი კონ-
ცერტის ჩატარება მოასწრო ბიჭებისთვის, იმ ავადსახსენებელი დესანტის გად-
მოსხმის დღეს სოფელ ცაგერასთან ტანკმა გადაუარა ფეხებზე. ორი დღე ეგდო
უპატრონოდ, შემდეგ მოახერხეს მისი გამოყვანა, ქუთაისში წამოიყვანეს საავად-
მყოფოში, მაგრამ ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ, რადგან ავთოს სამშობლო-
სათვის ანთებული გული გაჩერდა, ესღა მოასწრო ეთქვა: ბიჭებო, ჩემს სანდრი-
კას მიმიხედეთ, უმამობას ნუ აგრძნობინებთო.

დავით ბეროშვილი

ზემდეგი დავით შოველის ძე ბეროშვილი დაიბადა 1970 წლის 6 აპრილს, სიღნაღის რაიონში;

1993 წლის 1 იანვრიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სწრაფი რეაგირების სპეციალიზებული ბატალიონის მსროლელად.

1993 წლის 25 მარტს აფხაზეთში სოფელ აჩადარაში მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა ბერუაშვილი

მამუკა სპირიდონის ძე ბერუაშვილი დაიბადა 1973 წლის 18 აგვისტოს ცხინვალის რაიონის სოფელ მამისაანთუბანში. დაამთავრა ცხინვალის საშუალო სკოლა და სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. იბრძოდა ცხინვალში. იყო გვარდიის რიგებში. დაიღუპა თავის მშობლიურ მამისაანთუბანში 1992 წლის 18 ნოემბერს. მათი მანქანა აფეთქდა ოსების მიერ ჩადებულ ნაღმზე.

ღმერთმა აცხონოს ღირსეული მამულიშვილი — მამუკა ბერუაშვილი!

თამაზ ბიაშვილი

დაიბადა 1950 წელს ავჭალაში. სამშობლოს პირველივე დაძახილზე ცოლ-შვილი მიატოვა და სამაჩაბლოს დარაჯად დაუდგა. იყო სწრაფი რეაგირების ბატალიონის წევრი. ორი წლის განმავლობაში ვაჟკაცურად იგერიებდა ოს ბი-ევიკთა შემოტევებს. შემდეგ აფხაზეთი. აქაც თავი არ შეურცხვენია, მტერს რისხვად ეკვეთებოდა და, აი, ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა თამაზი...

სამარადისოდ იყოს ხსენება მისი.

* * *

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰწვდება!

ბრიგოლ ორბელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეგლარ ბირთველიშვილი

დაიბადა 1967 წლის 6 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ ატოცში.
დაიღუპა სამაჩაბლოში.
მას არ დაივიწყებს სამშობლო.

ზურაბ ბირთველიშვილი

დაიბადა 1971 წლის 4 ოქტომბერს ქარელის რაიონის სოფელ ატოცში.
დაიღუპა სამაჩაბლოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბიჩინაშვილი

— „სამასი არაგველის შთამომავალნი ვართ, შუაფხოდან, არაგვისპირელები“, — ამით ძალიან ამაყობდა ჩემი გრიშა და არცა სტყუოდა. განა პაპამისიც, რომლის სახელი ერქვა, ასევე გმირულად არ დაეცა ამ ორმოცდაათი წლის წინათ ქერჩთან, — თქვა ბატონმა ოთარმა და თავი ჩაქინდრა. ძნელი იყო მისთვის, ოცდათოთხმეტი წლის ვაჟკაცის დამკარგავი მამისათვის, შვილზე საუბარი, მაგრამ მასპინძელი იყო და თავს იმაგრებდა.

დედა კი, ქალბატონი მედეა, ცრემლებს ვერ მალავდა და თავისი სათაყვანებელი ვაჟის ფოტოსურათებს სასოებით მიჩვენებდა. — ჩემი გრიშა თბილისელია, აქ დაიბადა, აქ სწავლობდა 112-ე საშუალო სკოლაში. წარმატებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მამასავით მშენებელი ინჟინერი გახდა. მუშაობაც დაიწყო. ახლა როგორი განათლებული იყო! გატაცებით სწავლობდა საქართველოს, საბერძნეთის, რომის ისტორიას. უყვარდა ხელოვნება, მუსიკა. სულ ახალგაზრდამ თითქოს ყველაფერი მოასწრო.

სტუდენტი იყო, ცოლი რომ შეირთო. ქალი მოიტაცა, ისე უყვარდა. იცით, რა ლამაზია ჩემი რძალი, ნაადრევად რომ დამიქვრივა? დინარა ახლა სამსახურშია, ექიმი გახლავთ. ოქროსავით ქალ-ვაჟი დაგვიტოვა, რვა წლის ნია და ხუთი წლის თენგიზი.

— ნია, გამოდი, ბებო, — გასძახა მეორე ოთახში მოფუსფუსე პატარას. ისიც შემოვიდა, მშვენიერი გოგონა, გრძნობდა რომ მამამისზე ვსაუბრობდით და სევდიანი თვალებით შეხედა ბებიას. ჩემს შეკითხვაზე, მოკრძალებით მიპასუხა: მესამე კლასში ვარო და ოთახიდან მალევე გავიდა.

ძალიან მიჭირდა ამ ოჯახში მოსვლა. მათი დიდი მწუხარების გაზიარება, მაგრამ აქ ისეთი მშვიდი ატმოსფერო შევიგრძენი, ისეთი პატრიოტული სულის-

კვეთება, რომ თამამად შემიძლია ვთქვა: დიახ, ასეთ ოჯახებში იზრდებიან ნამდვილი გმირები, სამშობლოსათვის თავდადებულნი!

ოთახში დაღუპული ახალგაზრდის კუთხეა მოწყობილი, გრიგოლ ბიჩინაშვილის პორტრეტებითა და ფოტოსურათებით დამშვენებული. რომელი სურათიც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, ქორწინების დღეს გადაღებული, თუ თავის ლამაზ ცოლ-შვილთან, ან დედ-მამასთან და თავის ძმასთან, თამაზთან, რომელიც ახლა გვერდიდან არ შორდება დაობლებულ ძმისშვილებს. ბრძოლის ველზე გასვლის წინ, სოხუმში მეგობრებთან გადაღებული ფოტოც მიჩვენეს და მისი დაკრძალვის სურათიც. აფერუმ თქვენს გამძლეობას!

გრიგოლ ბიჩინაშვილი სტუდენტობის წლებში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მუდამ გვერდში ედგა გიორგი ჭანტურიას. მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან შეკრებასა თუ აქციაში.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ჩვენს გვარდიელებს აფსუა ექსტრემისტებმა ბრძოლა რომ გაუმართეს, გრიშა თავის ცოლ-შვილთან ერთად აგარაკზე იმყოფებოდა თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში. მეორე დღესვე თბილისში ჩამოვიდა და მეგობრებთან ერთად სოხუმში გადაფრინდა. მივიდა გია ყარყარაშვილთან და ჩვენს გვარდიელებთან ერთად, უკვე 18 აგვისტოდან ბრძოლაში ჩაება. იგი ხომ ლეიტენანტი იყო, სნაიპერი.

1 სექტემბერს ერთ-ერთ ბრძოლისას ეშერასთან ქართველი გვარდიელები, რომელთა რიგებში გრიგოლ ბიჩინაშვილიც იბრძოდა, შეტევაზე გადავიდნენ. დილის ოთხი საათი იყო. ქართველებმა უდანაკარგოდ წაიწიეს წინ და სკოლის შენობაში გამაგრდნენ. მაგრამ სულ მალე მოწინააღმდეგემ მათ ყოველი მხრიდან სროლა აუტეხა. სიბნელის გამო, ძნელი იყო მტერ-მოყვარის გარჩევა. ქართველი გვარდიელები უმისამართოდ ისროდნენ, მოწინააღმდეგის სნაიპერები კი ახერხებდნენ მიზანში მოხვედრას. მათ მოკლეს გრიშას თანამებრძოლი ლაშა ქურასბედიანი. გრიშა ბარძაყში დაიჭრა, მაგრამ სროლა არ შეუწყვეტია, მეორე ტყვია ფეხში მოხვდა, გამწარებული ისევ ისროდა, ამით მტერს სკოლის შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევდა. მძიმედ დაჭრილს, მტრის სნაიპერმა ახლა მესამე ტყვია მხარში მოარტყა და... იგი იძულებული იყო სროლა შეეწყვიტა. თანამებრძოლმა გოჩა მაჭავარიანმა დაჭრილი ტყვიის წვიმაში ბრძოლის ველიდან გამოიყვანა და სკოლის შენობაში შეაფარა, მაგრამ მას დიდხანს ალარ უცოცხლია.

ასე გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე გრიგოლ ბიჩინაშვილმა სამშობლო ქვეყნის თავისუფლებასა და ერთიანობას. მისი ცხედარი მეგობრებმა თბილისში ჩამოასვენეს და თავისი პარტიის წევრებთან — ლაშა ქურასბედიანთან და დავით რაზმაძესთან ერთად ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ!

ლარისა ხუბულური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფხია ბიჩინაშვილი

მომავალი წლის მაისში შვებულება უნდა აგველო და წავსულიყავით სვანეთში დასასვენებლად. აღარ დაგვაცალეს. 13 აგვისტოს ოსმა ბანდიტებმა წამებით სიცოცხლეს გამოასალმეს ვეფხია ბიჩინაშვილი. მან მხოლოდ 33 გაზაფხულის ნახვა მოასწრო. მისი ლამაზი სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი მოკლეს სამაჩაბლოში თავისი ოცეულის 5 ჯარისკაცთან ერთად. მისი სიკვდილით ბევრი დავკარგეთ ყველამ: მშობლებმა — შესანიშნავი და სასახელო შვილი, სამშობლომ — ერთგული და თავდადებული დამცველი. შვილებმა — საყვარელი მამა, მეუღლემ — შესანიშნავი ქმარი, ამხანაგ-მეგობრებმა — უშიშარი თანამებრძოლი, ქართულმა ჯარმა — საუკეთესო ოფიცერი. მე კი, საყვარელი ძმადნაფიცი. მიმდინარე წლის 13 ივლისს ჩავიყვანეს სამაჩაბლოში. მე ვმსახურობ თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში. ვეფხია მსახურობდა შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკში. სოფელ ნიქოზში ყველანი ერთად ვიდექით სამი დღე. შემდეგ დაგვანაწილეს სხვადასხვა სოფლებში. 14 აგვისტოს ხმა დაირხა, წუხელ შუაღამეზე შინაგანი ჯარების ექვსი ჯარისკაცი დახოცესო ოსებმა. იმ წუთში ჩემს ამხანაგს შევჩივლე, „ბიჭო, ვეფხია არ იყოს-მეთქი", გული მიგრძნობდა, რომ ერთ-ერთი დაღუპული ვეფხია იქნებოდა. იმავე ღამეს ტელევიზიით ითქვა დაზუსტებით. პირველი ვეფხვია გამოაცხადეს. სხვები უკვე ველარ გავიგონე. გული შემღონებია და ტელევიზორის წინ დავცემულვარ. ეს იყო უდიდესი ტრავმა, ჩემი ყველაზე დიდი უბედურება — დავკარგე ყველაზე უკეთესი ძმა ვეფხია, იყო რაღაც საოცრად გამორჩეული. ყველაზე უფრო ადრე ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს და ძმობა შევფიცეთ. მრავალი გეგმა გვქონდა დასახული. არაფერი დაგვცალდა, მისი საფიქრალი მხოლოდ ერთი იყო — სამშობლოს თავისუფლება, ნეტავ მოსწრებულიყო მაინც და საფლავში არ ჩაჰყოლოდა ჯავრი.

წავიდა და დაგვტოვა ამქვეყნად გულდამძიმებული. იგი ჩემთვის უფროსი ძმა
იყო, ჩემთვის გამზრდელის როლს ასრულებდა. ყოველთვის მარიგებდა და მას-
წავლიდა ბრძოლის წესებს, მიფრთხილდებოდა, როცა მტერს შევუტეოდით, ან
ვისზე წინ არასოდეს მიშვებდა. სულ ამაზე მოგვდიოდა ერთმანეთთან კამათი,
მე რადგან უცოლშვილო ვიყავი, მეტისმეტ ყურადღებას მაქცევდა. შენ ქარ-
თული გვარი უნდა გააგრძელოო, გამეხუმრებოდა ხოლმე. უშიშარი მებრძოლი
იყო, გაგანია ომში, ტყვიების წვიმაშიც გაიხუმრებდა, რაღაც ისეთს იტყოდა,
გაგეცინებოდა კაცს. ლამაზი იყო მისი სიცოცხლე. ვერაგულად მოკლეს; ომში
ძალიან ბევრი მიდის, მაგრამ ბევრიდან ცოტაა გულადი მეომარი. ვეფხიას-
ნაირი მე ჯერ არავინ მინახავს. იგი თავს ართმევდა ყველანაირ, მძიმე განსაც-
დელს, რაღაც არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო სამხედრო საქმეში.
საოცრად დიდი ნებისყოფა ჰქონდა. კვირაობით შეეძლო მდგარიყო პოზიციაზე
არც შიმშილი შეაწუხებდა და არც უძილობა. ერთხელ ოსმა ბანდიტებმა სო-
ფელ ერედვთან ალყაში მოგვაქციეს. ჩვენ ოთხნი ვიყავით, ისინი 20—25 კაცი.
გაგვიხსნეს მოულოდნელი ცეცხლი სამივე მხრიდან. იქნებოდა დაახლოებით
ღამის 3 საათი. ჩვენც ცეცხლითვე ვუპასუხეთ. მე და ვეფხიას ტყვიამფრქვევები
გვქონდა, დანარჩენ ორ მეგობარს — ავტომატები. მოხდა მაგარი შეტაკება. პო-
ზიციები უცებ გავამაგრეთ. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს პასუხს და უკუიქცა.
ჩვენგან ერთი მებრძოლი დაიჭრა მხოლოდ, მოწინააღმდეგის მხრიდან კი 6 გა-
მოესალმა წუთისოფელს. მეორეჯერ სოფელ ნიქოზთან მოგვიწია შეტაკება.
ვეფხია იქ მძიმედ დაიჭრა, ორი თანამებრძოლი კი დაეღუპა. ვეფხია ორიოსამი
თვის შემდეგ გამოჯანმრთელდა და ისევ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რი-
გებში. 13 აგვისტო იყო მისთვის უკანასკნელი გაბრძოლება. 13 აგვისტოს დავ-
კარგე ძმა. ღმერთსა ვთხოვ, რომ ვეფხიას სული ნათელში ამყოფოს და მის
ოჯახს შვება მოუტანოს.

მაიზერ ბელოვანი,

განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის
მებრძოლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ბოკუჩავა

დაიბადა 1974 წლის 22 აპრილს.

1991 წელს დაამთავრა თბილისის № 1 საშუალო სკოლა.

იმავე წელს ჩაირიცხა ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

გატაცებული იყო სპორტით. ირიცხებოდა ჩოგბურთელთა კლუბის „მუხის ფოთლის" წევრად. ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის მიერ ჩატარებულ თბილისის მეორე ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავა.

1992 წლის 6 ოქტომბერს აფხაზეთში გაემგზავრა. მუდამ წინა ხაზზე იბრძოდა, დიდი რისკის ფასად გამოჰყავდა დაჭრილები თუ დაღუპულები ყველაზე სახიფათო ადგილებიდან. 30 ნოემბერს, გამთენიისას, სოფ. ამადუსთან თავდასხმის დროს მტრის ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს, მაინც მოასწრო კიდევ ერთი დაჭრილის გადარჩენა. იცოცხლა 18 წელი ალალმართალი, კაცური კაცის სახელით.

უ ცოლშვილომ დატოვა ქვეყანა. უსაშველო სევდა დაუტოვა მშობლებს, ძმას, მეგობრებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ბოდაველი

გოჩა ნოდარის ძე ბოდაველი დაიბადა თიანეთის რაიონის დაბა თიანეთში 1962 წლის 19 ივლისს.

მისი მშობლები: მამა — ნოდარ ბოდაველი, განათლებით ელექტროტექნიკოსი.

დედა — ელისო გიორგის ასული ლეკიშვილი-ბოდაველისა, განათლებით ბუღალტერი, 1972 წლიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი.

გოჩა ბოდაველი 1969 წელს შევიდა თიანეთის ზოია რუხაძის სახელობის რვაწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1977 წელს სწავლა გაგრძო თიანეთის № 73 პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს — სოფლის მშენებელი ოსტატის სპეციალობით.

1981 წლის მაისში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, საიდანაც განთავისუფლდა 1993 წლის ივნისში.... იმავე წლის პირველი სექტემბრიდან გოჩა სწავლას იწყებს თბილისის საავიაციო ქარხანასთან არსებულ № 38-ე ტექნიკურ სასწავლებელში ზეინკლის სპეციალობის დასაუფლებლად. მისი დამთავრებისთანავე მუშაობს იმავე ქარხანაში, ხოლო 1984 წლის სექტემბრიდან დედის ავადმყოფობის გამო ბრუნდება თიანეთში და მუშაობს დამზადების გაერთიანების საწყობის გამგედ, 1988 წლიდან კი გაერთიანება „სოლანის“ თიანეთის საწარმოო უბნის ზეინკალია.

ჯერ კიდევ თბილისის საავიაციო ქარხანაში მუშაობის დროს დაქორწინდა ქ. ჭიათურაში მცხოვრებ ნარგიზა ალექსანდრეს ასულ ცერცვაძეზე, რომელთანაც 1985 წელს ეყოლა გოგონა. — ელისო, ხოლო მოგვიანებით 1991 წელს ვაჟი — სოსო (იოსები).

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისთანავე გოჩა მთელი გატაცებით ებმება ამ მოძრაობაში, მონაწილეობს მიტინგების

მოწყობაში. პირველი მრავალპარტიული არჩევნების პერიოდში მონაწილეობს საარჩევნო კომისიებში, მიწვეული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე, რომელიც 1990 წელს გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა 1991 წლის მარტიდან შედის ეროვნული გვარდიის რიგებში, აქტიურად მონაწილეობს გვარდიის თიანეთის ასეულის ფორმირებაში, სადაც ლეიტენანტის წოდებით სათავეში უდგება ოცეულს. გოჩა მტკიცედ და უყოყმანოდ დგება დემოკრატიული ძალების, თავისი სარდლის მხარეზე. გოჩა, როგორც ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის ოფიცერი, 1992 წლის 13 აგვისტოს თავის ნაწილთან ერთად აფხაზეთშია და აქტიურ მონაწილეობას იღებს საბრძოლო ოპერაციებში.

ახალგაზრდა მებრძოლ-მეთაურს ვერაგი მტრის ტყვიამ სიცოცხლე სულ მალე, 1992 წლის 2 სექტემბერს მოუსპო, ამავე წლის 8 სექტემბერს დაკრძალეს თიანეთის სასაფლაოზე.

გოჩა ბოდაველს, მშობლებისა და ცოლ-შვილის გარდა, დარჩა დაოჯახებული და — ცინო და ძმა — ზვიადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენო ბოჭორიშვილი

გენო რეზოს ძე ბოჭორიშვილი დაიბადა 1960 წლის 19 იანვარს ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანში.

1977 წელს დაამთავრა ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლა.

1979 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. რუსთავში ავტოსკოლა.

1979 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა გერმანიაში — სპეციალური დანიშნულების ბატალიონში.

1981—85 წლებში მუშაობდა ადიგენის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოში მექანიკოსად.

1985 წელს გენო ბოჭორიშვილმა გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და იგი საცხოვრებლად გადავიდა ოჯახითურთ თავის მშობლიურ ქალაქში — ტყიბულში.

1985 წლიდან იგი მუშაობდა ტყიბულის ავტოსატრანსპორტო საწარმოში.

1992 წლიდან დაღუპვის დღემდე მსახურობდა ტყიბულის გ. გიორგაძის სახელობის ბატალიონში ოფიცრის წოდებით.

1992 წლის 25 სექტემბერს გენო ბოჭორიშვილი დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში.

მას დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

მეუღლე — იზო ამბროლაძე მუშაობს 31-ე საშუალო სკოლაში.

ქალიშვილი — დიანა ბოჭორიშვილი 8 წლისაა.

ვაჟი — დათო ბოჭორიშვილი 5 წლისაა.

გენო ბოჭორიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახაბერ ბრეგვაძე

კახაბერ ავთანდილის ძე ბრეგვაძე დაიბადა 1972 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ბოგნში. 1991 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ჩარიცხული იყო თერჯოლის სწრაფი რეაგირების ბატალიონში. იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ – აფხაზეთში.

1993 წლის 8 ივლისს გმირულად დაიღუპა ტამიშთან ბრძოლაში. დაღუპვიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი ნეშტის აფხაზეთიდან გადმოსვენება.

მხოლოდ 21 წელი იცოცხლა, აუხდენელი დარჩა ოცნება – მშრომელ და პატიოსან ოჯახში გაზრდილს, ასეთივე კერა შეექმნა და შვილთა სიმრავლით ებედნიერა.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ვაჟკაცის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, გმირის სახელი დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ბოჭორიშვილი

დაიბადა 1973 წლის 24 ივლისს, ქ. ტყიბულში. სწავლობდა ტყიბულის პირველ საშუალო სკოლაში, იქ ისწავლა ორი წელი, შემდეგ ოჯახი გადმოვიდა თბილისში. აქ გააგრძელა სწავლა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა შესულიყო ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, უნდოდა მეზღვაური ყოფილიყო, გატაცებული იყო ნიჩბოსნობით, იმ წელს ვერ ჩააბარა, სწავლა განაგრძო საღამოს სკოლაში, 18 წლისა გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1992 წლის 23 მაისს შერჩევით მიიღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში, ოფიცერთა სადაზვერვო ჯგუფში, საწვრთნელად წაიყვანეს სამაჩაბლოში, იქ გადიოდა მომზადებას, რომლის პროცესშიც თითქმის ცეცხლის ხაზზე იდგა, ერთ ღამეს ოფიცრებთან ერთად გავიდნენ დასაზვერვად და მოუხდათ მტერთან შებრძოლება. რევაზი დაიჭრა და უკან დააბრუნეს. რევაზი და მისი თანამებრძოლები რამდენიმე დღის შემდეგ ბესიკ ქუთათელაძესთან ერთად შეიყვანეს გორის სატანკო ნაწილში. როგორც მოწმეთა გადმოცემით ვიცით, აქ მოულოდნელად ატყდა სროლა და მებრძოლები იძულებული იყვნენ იმ მიდამოზე გაშლილიყვნენ, რევაზი და მისი ერთი იარაღიანი მეგობარი ადგილზე დარჩნენ, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ რუს ჯარისკაცებს ვერ დააღწიეს თავი და დაიხოცნენ. რევაზს მხოლოდ ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი გულში, რომელმაც ის იმსხვერპლა. ეს მოხდა 1992 წლის 13 ივნისს, 24 ივლისს კი მას 19 წელი უსრულდებოდა.

საქართველო თანაგრძნობას უცხადებს რევაზის დედას — ქალბატონ ზეინაბ ბოჭორიშვილს, მის დას — მაკას და ძმას — კახას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედა ბუბაშვილი

იმედა დემურის ძე ბუბაშვილი დაიბადა 1971 წლის 19 სექტემბერს, ქ. ტყიბულში.

დედა — მზია ბუბაშვილი მუშაობს ბავშვთა ბაღში.

მამა — დემურ ბუბაშვილი ხელოსანია.

დები — რაისა და ლალი — ორივე დაოჯახებულია. მეუღლე დახვრიტეს 23 ოქტომბერს აფხაზეთში.

სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა ტყიბულის № 19-ე პროფსასწავლებელში, იბრძოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში, აფხაზეთში, ტაძიშთან დაიღუპა. დანაღმულ ადგილზე ტანკით აფეთქდნენ ის და მისი მეგობარი. დასაფლავებულია ტყიბულში.

სამარადისო იყოს უდროოდ დაღუპული სასახელო მამულიშვილის იმედა ბუბაშვილის ხსოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურა ბურნაძე

„ლამაზად შვილის გამზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა“
ვაჟა

დღეს კიდევ ერთ ქართველ ქალს გაგაცნობთ... ასმათ ბურნაძე... იგი შვილმკვდარი დედა გახლავთ, ზურაბ ბურნაძის დედა... ჩემი შინ მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მთხოვა: „ჩემზე ნურაფერს დაწერთ, შვილო, თქვენ იმ ბიჭებზე დაწერეთ, იქ, აფხაზეთში თავი რომ გაწირეს ქართული მიწისათვის, მათ საქციელზე, მათ გმირობაზე, ჩვენ, მშობლები, ამ შემთხვევაში, ზედმეტები ვართო“.

ქალბატონო ასმათ, მე არა მაქვს უფლება დღეს თქვენ არ შეგისრულოთ რაიმე თხოვნა, მაგრამ მაპატიეთ, თუ ეს არ გამომივა იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ თქვენს შვილზე დაწერილი თითოეული კარგი სიტყვა თქვენც გეკუთვნით, მისი კარგი კაცობა თქვენი კარგი ქალობის მაჩვენებელია. ზურას გმირობაში ლომის წილი თქვენც მიგიძღვით, როგორც მის გამზრდელ დედას. ერთი ხალხური ლექსი მახსენდება: „ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია“, — თავს ინუგეშებს შვილმკვდარი დედა. თქვენ ორი ასეთი ვაჟკაცი გაზარდეთ, ერთი დაეცა, მეორე დღესაც იქ დგას, სადაც მისი ყოფნა საჭირო და გამართლებულია.

ცრემლმშრალი უხმოდ ეფერებით შვილის სისხლშემხმარ მაისურსა და დაცხრილულ სამხედრო ტანსაცმელს, თხუთმეტი დღის გამოუცვლელს, დღესაც, რომ გენანებათ გასარეცხად, მისი სუნი ასდისო. ვაჟას უთქვამს — „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“. აბა, მე უკეთესი რა უნდა გითხრათ, მხოლოდ ერთს შემოგბედავთ: ჩვენ ძალიან გვჭირდებით თქვენ დღეს. ახლა სჯობს ისევ თქვენ მოგისმინოთ:

— „ზურა 15 აგვისტოს უკვე სოხუმში იყო. 17-ში ჩემი მეორე ბიჭიც მის გზას დაადგა. უფროსს ხანდახან ტელევიზიით მაინც ვხედავდი. პატარას დარდი მკლავდა, ის ფოთში იყო. ველარ გავძელი სახლში და 27 აგვისტოს ფოთში წავედი. სამტრედიამდე ძლივს მივედი... იქედან ვერაფერს გავყევი — ბილიკებ-ბოდა... ფეხით დავადექი გზას... მივდივარ და ბედად ჩემი სიძე, დის ქმარი და-მეწია, ჩამსვა მანქანაში. ვიფიქრე, ეს კაციც ხიფათში არ ჩავაგდო-თქო. ამ დროს მილიციის კურსანტთა ავტობუსი წამოგვეწია და მათ ვთხოვე ფოთამდე მიყვანა. შევეცოდე და ჩამსვეს ავტობუსში... ჩავედი ფოთში... შავნაბადას ბატალიონი აფხაზეთში გაეგზავნათ... გამასწრეს.... მაინც ვნახე ერთი ბიჭი, რომელიც თენგოს იცნობდა და მთხოვა: „ასმათ დეიდა, დაბრუნდით თბილისში, თენგოს შერცხვება, თქვენ რომ ჩააკითხავთო“, დავბრუნდი...

შავნაბადას ბატალიონი ლესელიძე-განთიადში იბრძოდა. ხმა გავრცელდა — უჭირთო ბიჭებს. პასპორტი ავიღე და ისევ უკან გავწიე... ჩავედი ისევ ფოთამდე... გავყევი გემს, რომელსაც ლტოლვილები გამოყავდა სოჭიდან და ისევ უკან ბრუნდებოდა...

ჩავედი სოჭში... იქედან ლესელიძე-განთიადამდე რაღაც ავტობუსს გავყევი... მერე ფეხით ვიარე ხუთი კილომეტრი ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ... საზღვარზე უკვე რუსის ჯარი იდგა, ველარ იგრძნობდით თავს საქართველოში... როგორც იქნა, მივაღწიე... ვხედავ იმ ბიჭს, ორი დღის წინ ფოთიდან რომ უკან, თბილისში დამაბრუნა. აქ არიანო თენგოც და ზურაც. თურმე სოხუმში რომ გაუგიათ, შავნაბადელებს უჭირთო, სასწრაფოდ წამოსულან ისინიც აქ.

ასე შეხვდა ჩემი ორი შვილი შემთხვევით ერთმანეთს და ასე მივაგენი მე მათ. პატარას წამოყვანა მინდოდა, ის ჯერ მხოლოდ 18 წლის იყო. რა თქმა უნდა, ჩემს ნათქვამზე არ წამოვიდოდა. მაშინ მიხვდა ზურა ჩემს გასაჭირს და უთხრა ძმას: დედას უნდა გაყვეო... ხმა არ ამოუღია, ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ არ შეწინააღმდეგებია ძმას. მათ ხომ ხმამაღალი საყვედურიც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის არასოდეს. ასე გამომატანა ეს პატარა, თითქოს თვითონ დიდი იყო, 23 წლის. ჩამოვედით თბილისში... ჩვენზე ადრე ზურას დაღუპვის ამბავი ჩამოსულიყო ქალაქში.

ასე დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი. ყოველდღე დავდივარ სასაფლაოზე, ერთი დღეც რომ არ ავიდე, გავგიჟდები. ავდივარ ნებისმიერ დროს, არ მეშინია, ასე მგონია, შვილის საფლავიც მიცავს. ორი დღის წინ გვიან ავედი, ბიჭები დამხვდნენ, იდგნენ და ტიროდნენ. მერე მათ ერთი გამოეყო, მოვიდა და მითხრა: „ასმათ დეიდა, მე ის ბიჭი ვარ, თქვენ რომ ფოთიდან დაგაბრუნეთ, აქ ბევრჯერ გნახეთ, მაგრამ მოსვლა ვერ გავბედეო“. ხის ფეხი ჰქონდა ამ ბიჭს. ახლა მე ბევრს ვლოცულობ, ყოველდღე დავდივარ საყდარში, თუ ნებისყოფა მეყო, ალბათ, მონაზვნადაც აღვიკვეცები“.

როგორ დაიღუპა ზურაბ ბურნაძე? ფორმირებათა საბჭომ (გაგრის შტაბი) გადაწყვიტა შეტევა განეხორციელებინა ბზიფის მიმართულებით... გზატკეცილზე მძიმე ტექნიკით შეტევაზე გაემართებოდნენ „შავნაბადას“ ბატალიონი, მარცხენა ფლანგზე „მხედრიონის“ ნაწილები, მარჯვნივ — ზღვის სანაპიროთი ლე-

გიონი, კურსანტები და ადგილობრივი მოხალისეები. შეთანხმებისამებრ, ფლანგები ცოტა ადრე უნდა დაძრულიყვნენ, უზრუნველეყოთ ცენტრალური დაჯგუფების მიახლოვება პოზიციებთან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ფლანგებმა ვერ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა. მათ თვითონ მოუხდათ შეტაკება, ვერ მიუმარნენ ცენტრალურ ნაწილს. არავის ჰქონდა რაცია, რომ დაკავშირებოდნენ ერთმანეთს და გაეგოთ რა ხდებოდა. „შავნაბადელები" მაინც არ კარგავდნენ იმედს. ბიჭები ალყაში მოხვდნენ. მაშინ იყვირა ასმეთაურმა ზურაბ ბურნაძემ: „ჩვენები მარჯვნივ რას აკეთებენო?". უკვე გვიან იყო. დაეცა ერთი, მას მიჰყვა მეორე. კოტე, ერთხელ მოცელილი მეორეჯერ წამოიმართა, ზურა დაჭრილის გამოსაყვანად გავარდა; სნაიპერმა მარჯვნიდან მოცელა ძმაკაცები რატი და მიშიკო, ოცი წლის საყვარელი ბიჭი. დედისერთა ჩელესთან ჭურვი აფეთქდა. ბატალიონი ალყაში იყო.

ზურაბ ბურნაძე, რატი კიკაჩეიშვილი, მიშიკო ქორიძე, სანდრო ვაჩეიშვილი,, კოკა კლდიაშვილი, ლაშა დუნდუა, ზურა ჯაშიაშვილი, მათ მიყვნენ: ლევან აბაშიძე, სულხან სულხანიშვილი, კოტე ჯანჯღავა, გია ნადირაშვილი, აი, არასრული სია მათი, ვინც პირველი დაეცა აფხაზეთის ომში, ლესელიძე — განთიადის აღებისას. ეს იყო ჩვენი პირველი მარცხი. ეს ბიჭები არიან საქართველოს პირველი ტკივილი, თბილისის პირველი ცრემლი, ქალაქში ჩამოსვენებული პირველი ცხედრები, გამიზნულად ცეცხლის მორევში გადაშვებულნი, მამულის სიცოცხლის გადასარჩენად — გმირობაც სხვა არაფერია.

„გადარჩენილი ბიჭები იგონებენო, — მითხრა ქალბატონმა ასმათმა, — ერთხელ ტყეში ორი ჩეჩენი მოუკლავთ, ერთ-ერთს შარვლის ტოტი ფულით ჰქონია გამოტენილი. ზურას ამოულია ეს ფული და გამწარებულს სახეზე დაუყრია ჩეჩენისთვის, „ამისათვის მოხვედი საქართველოშიო?" — უთქვამს. სახე აღარ უჩანდა იმ კაცს, იმდენი იყო ის ფულიო".

„შვილი მაინც დამრჩენოდაო მისი, — წუხს ქალბატონი ასმათი, მაგრამ ის ბავშვიც ცოდო იქნებოდა, ალბათ, უმამოდ".

თენგომ აუსრულა სურვილი ყველას, დაოჯახდა... ბურნაძეების ოჯახში მალე შვილიშვილს ელოდებიან...

ზურა ბურნაძე სიკვდილის შემდეგ **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მ. ირემაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია ბუხრიკიძე

გია ანზორის ძე ბუხრიკიძე დაიბადა 1962 წლის 22 მაისს ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 123-ში. პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1979 წელს სწავლა განაგრძო გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პირველ და მეოთხე საშუალო სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლად, საცურაო აუზში მწვრთნელად იყო თვითნასწავლი მხატვარი და მოქანდაკე, ხეზე ჭრის ოსტატი.

ეროვნული მოძრაობის პირველი დღიდანვე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი, არარეგალურ გაზეთ „დანახვისის“ რედაქტორი.

გია იბრძოდა სამაჩაბლოსა და ნიქოზაში ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ.

გორი. 13 ივნისი, გია სროლის ხმამ გამოიყვანა გარეთ. ქალაქში უკვე დაშლიგინებდნენ ტანკები, არც გვარდიელებს ინდობდნენ და არც მოსახლეობას. გიამ თვალი შეასწრო დაჭრილ გვარდიელს, სახლში შეიყვანა, ჭრილობებიც თავადვე შეუხვია, უკვე საავადმყოფოში მიჰყავდა მანქანით, ტანკი რომ წამოეწიათ. დაცხრილული მანქანიდან დაჭრილის გადმოყვანა კი მოასწრო, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო. მტრის ტყვიებმა მოცველს, დაჭრილს კი სიცოცხლე შეუნარჩუნა.

მთელი ქალაქი ტიროდა მამაც, უეშმაკო, კეთილ ბიჭს, რომელსაც ეგონა, რომ საშველად მისულს არ ესროდნენ.

როგორ დააკლდებათ მისი მზრუნველი ხელი მოსწავლეებს, მშობლებს, ტ-
ულლეს, უწინარესად კი მის პატარა ორი წლის ნინოს!

1992 წლის 2 დეკემბერს გორში გაიხსნა გია ბუხრიკიძის სახელობის ტა-
ზე შეჯიბრი კალათბურთში და დაწესდა, რომ წელიწადში ორჯერ 22 მაისს
გიას დაბადების დღეს და შემოდგომაზე ჩატარდეს ხოლმე ეს შეჯიბრი.

ზაზა
გუზალაძე

დაიბადა 1972 წლის 11 იანვარს, ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცაში. მამა გარდაეცვალა 1979 წელს. ჰყავს დედა, სამი და ერთი ძმა, სწავლა დაიწყო სოფ. ქვენატკოცის საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო ქარელის № 40 პროფტექნიკურ სასწავლებელში, 1991 წელს მაისში გაიწვიეს გვარდიაში, თეთრი არწივის ახალციხის ბატალიონში, სადაც იმსახურა ხუთი თვე და დროებით გამოუშვეს სახლში. შემდეგ 1992 წ. ივნისში ხელმეორედ გაიწვიეს გვარდიაში. მსახურობდა თბილისში შინაგან ჯარებში. იქ ერთ თვეს იმსახურა, შემდეგ კი მშვიდობიანი მისიით გამოგზავნეს სამაჩაბლოში. სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს 1992 წლის 13 აგვისტოს ის და მისი ამხანაგები მხეცურად აწამეს და მოკლეს ოსმა ექსტრემისტებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ (ბაჩუკი) ბურძგლა

შარშან 29 აგვისტოს გაგრის მისადგომებთან, სოფელ კოლხიდასთან ჩეჩენი სნაიპერის ტყვიამ მოკლა საქართველოს „მხედრიონის“ წევრი, 21 წლის მიშიკო (ბაჩუკი) ბურძგლა.

დედამისი — გედა მგელაძე-ბურძგლა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ფრანგული ენის მასწავლებელი იყო. ერთი ბედი მაინც ჰქონია ამ ქალბატონს — ის 1990 წელს გარდაიცვალა და, ამდენად, თავისი ერთას დაღუპვას არ მოსწრებია.

მიშიკოს (ბაჩუკის) მამა — მიხეილ ბურძგლა მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. იმის წარმოდგენა, თუ რა ღლეშიც იქნება ეს ადამიანი, არ უნდა გაგვიჭირდეს, ის პირები, რომლებმაც ქვევით დაბეჭდილი ლექსები მოგვაწოდეს, დარწმუნდებიან, რომ ბატონ მიხეილს აქამდე ლექსები არ უწერია. რასაკვირველია, აქ ის კონკრეტულად თავის საფიცარ შვილს დასტირის, ეს საკუთარი თავის დატირებაცაა, მაგრამ ეს ლექსები ხომ სამზეოდან წასული ყველა უდროოდ დაღუპული, მტრის ტყვიით განგმირული ყველა მამულიშვილის დატირებაა. ეს ლექსები ხომ ყველა შვილმკვდარი დედისა და მამის გულის კვნესაა.

თუმცა, მოდით, ამაზე სიტყვას ნუ გავაგრძელებთ, მოვუსმინოთ შვილმკვდარი მამის გულისთქმას.

მიხეილ ბურძგლა სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ჯუმბერ თითმერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრეს, რომ სიცოცხლის საყრდენი წამექცა,
ვდგავარ შეკრული კრიჭით,
ცრემლად ქცეული ცა თავზე დამექცა.
დავკარგე ჩემი ბიჭი.
    დავძრწი და დავეძებ უღვთოდ დაწყევლილი,
    ადგილის პოვნა მიჭირს.
    უკუღმართ ბედისგან ვარ გადათელილი...
    სად არის ჩემი ბიჭი?
მითხარი, შენზე ფიქრს სად დავემალები,
ჩემო ძალავ და ნიჭო,
ყველგან მიყურებენ ცისფერი თვალები,
ჩემო ლამაზო ბიჭო!
    გამექცა ოცნება, გაქრა სურვილები,
    არარაობა მძალავს,
    სხეულში ჩაბუდდა მძლავრი ტკივილები,
    ბალღამი გულსა ჰღარავს.
მჯერა და არც მჯერა, ვარ და ვეწამები,
ვიცი და მაინც ვიჭვობ;
სივრცეს ჩაეყინა უძრავად წამები,
ჩემო პატარა ბიჭო!
    მიწის ბორცვს დასცქერის ვით წმინდა სანთელი
    აცრემლებული ფიჭვი;
    ჩუმად წევს. არ იძვრის ლამაზი სახელის
    მოუსვენარი ბიჭი.
ამ ტკივილს არც მსურს და არც დავემალები,
ჩემი სურვილების ნიჭო;
გულზე ამოვიჭერ მე შენი თვალები,
ჩემო გულადო-ბიჭო!

* * *

მე დავესწარი დღეს საკუთარ დასაფლავებას,
ცივ სამარეში ჩაასვენეს ჩემი ცხედარი,
გაოგნებული ვერ ვახერხებ იმის გაგებას,
რად დამემართა ეს ამბავი გაუგონარი.

ვიდექი თითქოს უსულო და შეუგრძნობელი,
ჩემს გულს სძიძგნიდა მაჯლაჯუნა ცრემლად და დარღად,
და დარჩა ჩემთვის მაინც ისევ შეუცნობელი,
ჩემი ცხედარი, იქ რომ იწვა, რატომ არ მგავდა.

ნეტავი სიზმრად ჩამოისხას რაც რომ ვიხილე,
ეს ყოველივე იყოს მხოლოდ სიცრუე მტკნარი.
მაგრამ გონების ჯურღმულებმა ცივად იკივლეს.
„შე საცოდავო, დაწყეველილო, შვილი გყავს მკვდარი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
2 აპრილი, 1993

თემურ გაბუნია

...ადამიანი გმირად არ იბადება. იგი მერე ყალიბდება მეომრად, ინტელიგენტად. შემოქმედად. თემურში ეს ყველაფერი ერთად იყო შერწყმული. კიდევ ერთი უპირატესობით — საქართველო უყვარდა სიცოცხლეზე მეტად, საჭიროებისთანავე დადგა მის სადარაჯოზე და აკი თავიც შესწირა.

თემურ გაბუნიას შემოქმედებით სფეროს აღბეჭდავს სულხან-საბა ორბელიანის მემორიალი საქართველოს სამხედრო გზაზე, სახელოსნოების საგამოფენო დარბაზი ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპორტული დარბაზი „მზიურში“, მოდების სალონი „ირიდა“, უპოვარ ბავშვთა სოფელი ქ. თბილისში, ესკიზები კინოფილმისათვის „მიზერერე“, რომელსაც ზაზა ხალვაში იღებს, და კიდევ — ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ჩანაფიქრი.

თემურ ჯუმბერის ძე გაბუნია (დაიბადა 1956 წელს ქ. თბილისში). საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ჩაება დასავლეთ საქართველოში შექმნილ არეულობასთან დაკავშირებით. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების დღიდანვე თიო (ასე ეძახდნენ მას მეგობრები) ჯერ გაგრასთან იბრძოდა, შემდეგ კი ოჩამ-

ჩირის რაიონში გაგრის დატოვებამდე „მხედრიონის“ ასმეთაურის ვაჟა ქრისტესიაშვილის მოადგილე იყო. მძიმედ დაჭრილი ასმეთაური მან თბილისში ჩამოიყვანა და თვითონ კვლავ საომრად წავიდა. იგი ოჩამჩირეში სწრაფი რაკრების დანაყოფის ასმეთაური გახლდათ. ოჩამჩირეში გამგზავრების წინ შევხვდი და ვესაუბრე.

ომს მისთვის დაღი დაესვა, ზედმეტად სერიოზული მეჩვენა, მის ნათელ ღიმილს ბავშვური სიხალისე დაკლებოდა. შევეკითხე, თუ რომელი შენაერთის წევრი იყო.

— „მე გვარდიის წევრიცა ვარ და საერთოდ იქ ვიბრძოლებ, სადაც საჭირო ვიქნები“.

არასოდეს დამავიწყდება დედის თხოვნაზე — საომრად მეტს ნუღარ წახვალ, შვილო, მისი პასუხი: „ყველა დედა რომ შენსავით ფიქრობდეს, მაშინ გადავცეთ, ჩვენი ხელით ჩავაბაროთ საქართველო“.

ოჩამჩირეში ჩასვლისთანავე თავისი ასეულით შეუტია მომხდურთ. ბრძოლა მისი შენაერთის სასარგებლოდ წარიმართა. წინა დღით მოწინააღმდეგის ოთხი სნაიპერი აიყვანეს ტყვედ. მამაც და გონიერ მეომარზე — თემურზე — განსაკუთრებული „ნადირობა“ იყო გამართული. ეს მან კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, მეტად საჭირო საქმისათვის მეომართა მცირე ჯგუფით სოფელ ქეთევანასკენ წავიდნენ, უკან დაბრუნებისას ჩასაფრებული დახვდა მტერი, მტრის ნაღმსატყორცნმა მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა, მძღოლი კი მოკლეს. თემური სწრაფად გადმოხტა მანქანიდან სიტყვებით — გაყიდული ვართ, ბიჭებო, და ჩასაფრებულთ დაუზოგავად დაუწყო სროლა. მალე ავტომატის ჯერით ფეხები მთლად დაუჩეჩქვეს. მაინც ისროდა, ხელშიც დაჭრეს. მისი ცოცხლად აყვანა უნდოდათ. წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, იცოდა მტრის ჩანაფიქრი — ოთხ სნაიპერში უნდოდათ მისი გაცვლა. ამად არ ვღირვარ, მესროლე, ბიჭო, ჩემს თავს მაგათ ნუ გაატანო, — გასძახა თანამებრძოლს. მან კი ვერ გაიმეტა. ვაჟკაცმა თოფი დაბლა დახარა, მიხვდა თემო კობა გაფრინდაშვილის გასაჭირს, ხელყუმბარას გადაეფარა, რომ ორ მეტრში მდგომი თანამებრძოლები არ დაეზიანებინა და თავი აიფეთქა. მისი აფეთქებისთანავე მოწინააღმდეგე გაიქცა. თემურმა იცოდა, რომ ამ მოქმედებით სხვებსაც გადაარჩენდა. მან თავდადების დიდებული მაგალითი მისცა თანამებრძოლებს. ამიტომაც იყო, რომ მათ გულწრფელი და ალალი ცრემლებით დაიტირეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ორი ვაჟკაცის მამა და არა მარტო მათ, მისმა უამრავმა ახლობელმა, დიდმა და პატარამ, მეგობრების უზარმაზარმა წრემ.

გმირი ვაჟკაცის დედავ, ნუ სტირი. შენმა აღზრდილმა საყვარელ მიწას მტლად დადო თავისი ლამაზი სხეული, მისი სული კი მარად ენთება ქვეყნის მომავლის ჩირაღდნად.

აფხაზეთის მოვლენებს თავისი გმირები ჰყავს, რომელთა შესახებ შთამომავლობამ უნდა იცოდეს. მათი წვლილი დაფასებული უნდა იქნას მთავრობის მიერ და მათი სახელი შემონახული მომავალი თაობებისათვის. თუნდაც იმით,

რომ იმ პატარა ქუჩას, სადაც დაიბადა და გაიზარდა თემურ გაბუნია და რომელსაც თბილისში ქობულეთის ქუჩა ჰქვია, მისი სახელი ეწოდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივლ. ბოდაკი,

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,

5 თებერვალი, 1993 წ.

ზაზა გაბუნია

ის ჯერ 19 წლისაც არ იყო. 7 ოქტომბერს შეუსრულდებოდა 19, 14 აგვისტოს კი მისთვის ყველაფერი დამთავრდა. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის II კურსის სტუდენტი, წარჩინებული და სანიმუშო, არშინიანი ბეჭებითა და მკერდით... ორი აფხაზი გვარდიელი დაატყვევა ქალაქ სოხუმში. თეთრ ხიდთან, იარაღი აჰყარა, და გაპანღურებული ორივე გაუშვა, გაოცებულმა მეგობრებმა რომ ჰკითხეს, რას აკეთებ, ზედმეტი სიკეთე იგივე ბოროტებაաო, ღიმილით უპასუხა: რას ჰქვია ნაკლები და ზედმეტი სიკეთე, სიკეთე, ისევე როგორც ცრემლი, წუხილი, განა შეიძლება გაიზომოს ან აიწონოს?!

ვერაფერი უპასუხეს.

მას კი სიკეთე მოგვარის, თავისივე მოგვარის ტყვიამ დაუბრუნა, დიახ, მის მხურვალე გულში გაცივდა მოგვარის მიერ ნასროლი ცხელი ტყვია.

დიახ, ერთი სისხლისანი, ერთი ხორცისანი, ერთი სულისანი და ერთი გვარისანი ესვრიან და ჰკლავენ ერთმანეთს. საიდან მაინც ასეთი და ამოდენა საძულვილი და ისიც გუშინდელი ქართველებისაგან?!

გაოგნებული დავცქერი ზაზა გაბუნიას გაღიმებულ სახეს, მოელვარე თვალებს, სურათიდან რომ მომჩერებია და ვერ წარმოიდგენია, რომ მას უკვე სიკვდილი დაეპატრონა, რომ იგი თავისივე ძოგვარემ და სისხლთაგანმა გაიმეტა.

ახლა ორივენი საფლავში წვანან — მოკლულიც და მკვლელიც.

ვინ აგოს ყოველივე ამისათვის პასუხი?!

— არძინბა აქ მონათესავე ხალხებს ახოცინებს ერთმანეთს და გადამთიელს კი ეპატიჟება, პასპორტებს ურიგებს, უკვე ქართველთა ბინებშიც ჩაწერა ისინი, სირიელი, თურქი, ადიღეელი, აბაზი, ჩეჩენი და ვინ იცის ვინ, ძაღლი და მაშაძაღლი, ჩვენ კი ენგურგაღმა გვიპირებს გასახლებას, არადა, ამოწყვეტით გვემუქრება.

— რატომ? — ისმის კითხვა.

— იმიტომ, რომ თვითონ არის უცხო ჯიშის და ჩამოთესლილი. აბა, კარგად დააკვირდით ელამ ცბიერ თვალებში, თავზე ჩალმით წარმოიდგინეთ, ნამდვილად თურქ მოლას არ მოგაგონებთ?! — ამბობს ზაზას ბებია, ქალბატონი ჟუჟუნა და ღაპალუპით ჩამოსდის ცრემლები.

ჭალარა, ბრგე ვაჟკაცი შემოდის ახალგაზრდა ყმაწვილთან ერთად. ყმაწვილი 17 წლის არც იქნება. ეს ზაზას მკვიდრი ბიძა და ბიძაშვილი მიხეილ და თემურ გაბუნიებია, გვარდიელის ფორმაში. ბიძამ მოკლული ძმისშვილის ფორმა ჩაიცვა, ხოლო იარაღი მამამ და შვილმა, ორივემ გაინაწილეს.

კიდევ ბევრს დავაკლავთ ზაზას ზედ, — დაგუდული ხმით ამბობს ბატონი მიხეილი, ქალბატონი ჟუჟუნა აწყვეტინებს,— როგორ შეიძლება ადამიანს ადამიანი დააკლა ზედ? ქრისტიანები ვართ.

ძაღლ იყოს მისი მკვდრისადა! — გამიელვა თავში.

როცა სამიოდე თვის წინათ აფხაზეთში ქართული ბატალიონი შეიქმნა. პირველი ჩაეწერა ზაზა, სტუდენტი ყმაწვილი, ოსეთშიც იყო. იქ სიკვდილს გადაურჩა. პირველად სწორედ მისი ტანკი შემოვიდა სოხუმში, ოსეთიდან დაბრუნებული და სოხუმში პირველი დაღუპული გვარდიელიც ის არის.

ისინი სულ რვანი იყვნენ. დავალება მიიღეს, რაც არ უნდა დაჯდომოდათ, ქალაქ სოხუმის მთაზე სატელევიზიო კოშკურა აეფეთქებინათ. აფეთქება დაეგანათ და ისე გაათავისუფლეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს, დაეცვათ იგი.

ვიღაცამ დარეკა, ქართულად საუბრობდა, დამხმარე ძალა ხომ არ გინდათო?!

— ძალიან კარგს იზამთ, — იყო პასუხი, სწორედ რომ დახმარება გვჭირდება!

სულ მალე ერთი მსუბუქი ავტომანქანა და ერთიც ავტობუსი ამოვიდა მთაზე, კოშკურთან შეაჩერეს, რამდენიმე გვარდიელი გადმოვიდა მანქანიდან. ქართულად ლაპარაკობდნენ, ხანაც მეგრულად. ეჭვი არავის შეპარვია. რომ მაშველები ჩვენები არ იყვნენ. ჩვენი გვარდიელები იური პახომოვი და ვლადიმერ შახმინი გემოელაპარაკნენ რუსულად და მაშინვე მიხვდნენ, რომ აფხაზ გვარდიელებთან ჰქონდათ საქმე. რამდენიმე მათგანი იქვე აიყვანეს ტყვედ, დანარჩენებმა ცეცხლი გახსნეს და ჩვენებმაც ცეცხლით უპასუხეს. იმ აფხაზთა შორის ერთი

სწორედ გაბუნია აღმოჩნდა. მოგვიანებით იპოვნეს ზაზა, მოგვარის ტყვიით განგმირული, გულში გაეარა ტყვიას.

— ტყვიამ არც ძმა იცის და არც მოგვარე. ტყვია ბრმაა, [illegible] — [illegible] ამიანებიც უნდა დაბრმავდნენ ტყვიასავით? — ცრემლებს ყლაპავს [illegible], ქალბატონი ლალი.

დიახ, ამ ცრუაფხაზმა მეცნიერებმა, ცრუაფხაზმა ისტორიკოსებმა, ცრუაფხაზმა პოლიტიკანებმა დააბრმავეს. აფხაზი გაბუნია, გუშინდელი ქართველი, და ხელში ავტომატი ააღებინეს მისივე ძმის მოსაკლავად. თავად კი ეს ცრუპოლიტიკოსები ახლა ბინებში შეყუჟულან და გასუსულნი ადევნებენ თვალს ამ ძმათაჟლეტას.

ღმერთმა პირველად მათ უნდა მოჰკითხოს ცოდო-ბრალი, მოეკითხებათ კიდეც!..

ბატონ მიხეილს მკერდზე ოთხი სურათი აბნევია. ერთი ზაზასია, მეორე — მოგელი კვიტატიანის, მტერს რომ შურისძიებად შეაკვდა, მესამე — ლევან შურღაიასი, მეოთხე — ილია ლაბარტყავაა — დღეს ოთხივენი საფლავში წვანან, რამდენმა მათმა მსგავსმა ვაჟკაცმა ამოავსო ნაადრევად სამარე, ან რამდენი მათი მსგავსი ვაჟკაცი დააბიჯებს, იციან, სჯიან, და ისევ რაღაცას აკეთებენ ისეთს, რომელიც ახალ სიცოცხლეს ინაცვლებს.

არა, ის, რაც მათი მიზეზით დატრიალდა აფხაზეთში, ისევ მათ უნდა მოეკითხოთ და, რაც უფრო ჩქარა იქნება ეს, მით უკეთესია!..

— მე დისშვილები აფხაზები მყვანან, რა ვქნა, ვესროლო მათ? — ეკითხება თავის თავს ბატონი მიხეილი, — არა, ვერ ვესვრი, — დაფიქრებით აგრძელებს კამათს თავის თავთან და ასკვნის, ვისაც ხელში იარაღს დავუნახავ, ყველას ვესვრი, რადგან ჩვენ გვესვრიან.

დიახ, ზედმეტი სიკეთე და დანდობა სილაჩრის ნიშანია, გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის ჰაკი-აძბა, მონა, მორჩილი, შესაზარი, ქართველმა კაცმა მონის გულკეთილობა უნდა მოიშოროს და სისხლის წილ სისხლი უნდა მოითხოვოს, სხვანაირად თავსაც დავკარგავთ და სამშობლოსაც.

თეიმო ჩანჩიბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის ფრონტზე ცვლილებაა

1. ჩვენია სამშობლო, კაპიტან!

ცვლილებაა დასავლეთის ფრონტზე. ახლა უკვე შეიძლება „ღია ტექსტით" ამის თქმა: ჩვენმა ნაწილებმა ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის წყალობით დაძლიეს მტრის სერიოზული წინააღმდეგობა, გაათავისუფლეს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი და ახალ პოზიციებზე გავიდნენ.

ლაბრა მდიდარი სოფელია ოჩამჩირის რაიონში, მანდარინის ბაღების ნარინჯისფერით (ამ შუა ზამთარში) და მყარად ნაგები ორსართულიანი სახლებით.

როგორც ყველა სოფელს, ლაბრასაც ერთი მთავარი ქუჩა აქვს, რომელიც აქ მარშალ ბაგრამიანის სახელს ატარებს. სომხებით დასახლებული სოფელია ლაბრა.

26 დეკემბრის ასე, ნაშუადღევისათვის, აქ ყველაფერი დამშვიდდება და გაყუჩდება, როგორც ზამთარში იცის სოფელმა ახალი წლის მოლოდინში და გზაჯვარედინებზე და ბაღების კიდეებზე გაჭრილი სანგრები მიტოვებულ მიწის სამუშაოებს დაემსგავსება.

ცოტა ხანში...

ახლა კი აყეფდება გაავებული ძაღლივით ხან ამ, ხან იმ სანგრიდან ტყვიამფრქვევის ჯერი.

წუთი წუთზე ჩვენები შეტევაზე უნდა გადავიდნენ.

ასაღებია ლაბრა, მთავარი დარტყმა მთავარი ქუჩის გასწვრივ იქნება, ქუჩისა, რომელიც მარშალ ბაგრამიანის სახელს ატარებს.

არის ნიშანი!

წამოიჭრებიან ავაზელები და პირველი ტყვიაც მათ დაუწყებს ძებნას.

ყუმბარმტყორცნებით შეეგებება მტერი ჩვენებს: „ავაზას" ბატალიონის უფროსის მოადგილეს მოცელავს ყუმბარა, გმირის სიკვდილით დაეცემა.

ადგილზე გაიყინება მოიერიშეთა პირველი მწკრივი სიკვდილის დაუნდობლობის ასე აშკარად დემონსტრირების წინაშე, მაგრამ ვინ არ შედრკებოდა სხვა, საბრძოლო ნათლობის დროს, მით უფრო?

შენაერთის მეთაური (ახლა უკვე პოლკოვნიკი) გურამ ჯანიაშვილი, რომლის გამოჩენაც იმედია თავისთავად, შეუძახებს და გაამხნევებს.

გამხნევდებიან და შეიმართებიან შეტევად მეომრები. „მეორე სუნთქვა გაეხსნებათ თითქოს, და მერე, ბრძოლის ბოლომდე აღარ გაჩერდებიან, ვერ გააჩერებს ძალა ვერავითარი. „ავაზას" შტაბის უფროსი ალექსი ხუციშვილი წარუძღვება ავაზელებს.

ჯანიაშვილი ძირითად დამრტყმელ ძალას მეთაურობს. „ავღანელები" პროფესიულად უტევენ, მოკლე გადარბენი, ავტომატების მოკლე ჯერი, ისევ გა-

დარბენი. სადაც საჭიროა, დაადულებენ ქვას და რკინას. იციან ბრძოლა და იბრძვიან ვაჟკაცურად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა იყო, დღეს წამმა თითომა
იფეთქა და ხანძარს ვინ მოსთვლის...
დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
ვენია სამშობლოს სიცოცხლის.

(ალექსანდრე საჯაია)

და წვიმს, წვიმს თუ თოვს, დამძიმდა „ბუშლატები", წყლით გაიჟღინთა ჩექმები.

წიუ, წიუ-წიუ! — ასხლეტილ ტყვიებს თავს უკვე აღარავინ უხრის, მაგრამ არც უაზროდ აკვდება არავინ: გასაცლელს გაეცლებიან.

კოტე სუხიტაშვილს ორ მეტრში ყუმბარა აუფეთქდება (ვერ დავინახე, საიდან მესროლესო). მკლავში დაიჭრება, მაგრამ ომიდან არ გამოდის (მაინც აიძულებენ თბილისში სამკურნალოდ წამოსვლას და გზაში გამიმხელს: — მე აქ ვერ გავძლებ, ბიჭებს შევეჩვიე და ძალიან მომენატრებიანო. სახლში კი შვილი ელოდებოდა, ერთი წლის ნიკა).

საბრძოლო ამოცანის სანიმუშოდ შესრულებისთვის სარდლობა შეაქებს ავღანელთა შენაერთს.

— ბევრი არაფერი დაგვჭირვებია, 45 წუთში 7 კილომეტრი ბრძოლით გავიარეთ და სწორედ იმ სიმაღლეზე ვართ, რომელიც უნდა დაგვეკავებინა, — ასეთ მშვიდ და მორიდებულ კომენტარს აკეთებს ჯანიაშვილი.

— ვიდექით ლაბრას ბოლოს თუ კოჩარას დასაწყისში, იქით ცხენისწყალი ჩადიოდა, ამღვრეული როგორც პოლიტიკური თამაში, და ცას და მიწასაც ერთნაირად ატალახებდა ცივი თოვლჭყაპი.

— კოჩარა, იცით, ცოტა ხნის წინათ ჩვენი იყო. მერე უბრძოლველად ჩაბარეს, გამოვიდნენ ჩვენები კოჩარიდან. ახლა აფხაზები აკონტროლებენ. იმათ კი 10—15 ჩეჩენი ხელმძღვანელობს.

მართლა ელვისებური შეტევა გამოგვივიდა. ეს აღმართი, ეს 7 კილომეტრი ბრძოლებით ამოიარეს. თითქოს შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელი შეძლეს. ისეთი შემართებით იბრძოდნენ ბიჭები, ისე იყვნენ ანთებულები, რომ ძლივს ვაკავებდი, და გვერდით რომ გვყოლოდა ის ძალები, რომლებიც უნდა დაგვწეოდნენ, შეიძლება დანარჩენი პუნქტების საქმეც დღესვე გადაწყვეტილიყო.

— ჩეჩნები ახსენეთ. ნიშნავს ეს, რომ ყველაფრის თავი და ბოლო ისინი არიან?

— არიან აფხაზებიც, რუსებიც, სომხებიც...

— სომხებიც?

— სომხები არიან. გუშინ, შეტაკებაში მათი მხრიდან 5 კაცი დაიხოცა (? ჩვენ დაგვეჭრა); ერთი ჩეჩენი იყო, ერთი რუსი, ერთი სომეხი, ორი აფხაზი. შეიძლება სომხებს აიძულებენ იომონ, ხდება ასეთი რამ, მთავარი ძალა მაინც

ის ჩამოსულები არიან, ვისაც არძინბა აფხაზეთში დასახლებას ჰპირდება. კრიმინალები არიან ძირითადად, ნარკომანები. მკვდრებზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ რაც არის, ხომ უნდა ითქვას? გარწმუნებთ, რომ დახოცილები ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებულები, ჯიბეები ამპულებით ჰქონდათ სავსე.

— კონტაქტი მოწინააღმდეგესთან, მშვიდობიანი მოლაპარაკება თუ გქონიათ?

— კი, როგორ არა, ძირითადად ტყვეების გაცვლაზე. კოჩარაში, მაგალითად, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს, დატყვევებული ჰყავთ ბავშვები, ქალები, მამაკაცებიც, რომელთა შვილები ჩვენს მხარეს იბრძვიან. ამათ გაცვლაზე საუბარი, თუ ამას მშვიდობიანი მოლაპარაკება ჰქვია, გვქონდა.

— 25-ში პარლამენტარები გავუგზავნეთ, იარაღის დაყრა და დანებება შევთავაზეთ, — ეს ალექსი ხუციშვილია, „ავაზას" შენაერთის შტაბის უფროსი, — გვითხრეს, რომ ჯერ ჩვენი მკვდრები გადმოგვეცითო, ვუპასუხეთ, რომ მზად ვიყავით განგვეხილა მათი წინადადება, ოღონდ მათ მეთაურთან ერთად, გადმოსულიყო და შუამავლის გარეშე გველაპარაკა. შევპირდით, რომ უიარაღოდ დავხვდებოდით, თვითონაც უიარაღოდ უნდა მოსულიყვნენ. ვერ გაბედეს.

— ბევრი დაეღუპათ?

— მე, მაგალითად, თვითონ დავინახე წინა ხაზიდან თორმეტი მკვდარი რომ გაათრიეს, 5 ჩვენს პოზიციაზე დარჩა.

ქართველების წინადადება აფხაზებმა არ მიიღეს. ვიბრძოლებთო. იბრძოლეს, დამარცხდნენ და 17 კაცი დაკარგეს.

— ჩვენი ბიჭებიდან შეიძლება ვინმეს განსაკუთრებით გამოყოფა? — ვეკითხები გურამ ჯანიაშვილს.

პაუზა. დაფიქრდა, ალბათ, ყველასიო, თქვა და მერე დააზუსტა, რომ მაინც იმ ბიჭებზე უნდა ითქვას უპირველესად, რომლებიც უკვე 4 თვეა აქ იმყოფებიან: ოცეულის მეთაური მურთაზ ხურცილავა, ბესო ბერიანიძე, გოჩა შიუკაევი, გოჩა თაბუკაშვილი და ბევრი სხვა, ყველა.

— წამყვანი ბირთვი დღევანდელ ბრძოლაში სწორედ ის ოცეული იყო, რომელიც მეოთხე თვეა აქ იბრძვის, დანარჩენისათვის დღევანდელი დღე საბრძოლო ნათლობა იყო, მადლობა მინდა ვუთხრა ყველას.

ჯილდოების დაწესების შესახებაც ვკითხე, ალბათ, ჩამოაღწია თქვენამდე ამ ცნობამ-მეთქი.

მიახლოებით გაუგია. ჩვენი გაზეთი ვაჩვენე. თვალი გადაავლო, ადრე უნდა გაკეთებულიყო. ტყვეები რომ აგვყავდა (რუსები და არარუსები) ამ რამდენიმე თვის წინათ, მოლდავეთში ბრძოლისათვის სიგელებით იყვნენ დაჯილდოებულნიო.

— წახალისება ჩვენთანაც საჭიროა, იმიტომ კი არა, რომ მკერდზე დაიკიდო მაინცდამაინც, უფრო იმისთვის, დრო რომ გავა, შვილი რომ წამოგეზრდება და გკითხავს, საქართველოს გაჭირვების ჟამს, მამა, სად იყავიო, აჩვენებ იმის დასტურად, რომ დამალული არ იყავი და იბრძოდი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

69 წლიდან ხხვადასხვა ქვეყანაში მომიწია ბრძოლამ, ომი საშინელებაა ჩვენთვისაც, აფხაზებისთვისაც. ის სახლი რომ იწვის, ის ბავშვი რომ ტირის, ის ქალი რომ ქვრივდება, ის დედა რომ შვილს დასტირის, საშინელებაა ... ლაფერი ეს, არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ სიტუაციამ მოიტანა.

1993 ისეთი ახალი წელი მოსულიყოს, რომ მშვიდობიანად გადაეწყვიტოთ ყველა საკითხი. ღმერთმა ქნას, მშვიდობიანად ეცხოვროს ჩვენს ხალხს იმ ხალხთან ერთად, ვისთანაც საუკუნეების მანძილზე გვერდი-გვერდ, ძმურად გვიცხოვრია.

ისე კი, ქართული მიწის არცერთ გოჯს არავის დავუთმობთ, სანამ ორი ქართველი მაინც დადის ამ მიწაზე, ასე იქნება!

და ძალიან თანამედროვედ აჟღერდა ორმოცდაათი წლის წინათ დაწერილი სტრიქონები:

ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ!
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

ლაბრა — თბილისი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
1993 წლის 6 იანვარი

2. ომის დამთავრების წელიწადი

27 დეკემბერს, სადილობამდე (რაც აქ ფრიად პირობითი მცნებაა) „ავღანელები“ არავის შეუწუხებია.

წუხელ კი იყო სროლა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაარკვიეს — ვინ ისროდა და რატომ. იყო რამდენიმე ვერსია, ყველა — თავისი წილი ჭეშმარიტებით.

რასაკვირველია, ისევ წვიმდა და როცა თოვლი ჩაენაცვლა, ფართოდ გაიღო კარი და სანამ ოთახში მყოფნი შესძახებდნენ — კარი, კარიო!— მოსულმა, შაღალმა და ჩაფსკვნილმა, შავსვიტრიანმა ახალგაზრდამ (რომელმაც ოჩამჩირეში შედედებული რძის ქილა — პრესცენტრის საკუთრება! — გამოასუფთავა) გოგოლის „რევიზორის“ დასაწყისი რეპლიკის პერიფრაზით გვამცნო:

— Господа! Я пригласил вас с тем, чтобы сообщить пренеприятное известие: к нам прибыл снег!

ვიღაცამ ფანჯრის რაფას მიჭედებულ ლინოლიუმს კუთხე აუწია და გაიხედა, ვიღაცამ — არ გადამრიოო, უფრო მეტმა — კარი მაინც დახურეო! — და ყველა რატომღაც კარგ გუნებაზე დადგა, ალბათ, იმიტომ, რომ ყველა, ერთის გამოკლებით (პაპას ეძახდნენ), ახალგაზრდა იყო და იმ ასაკიდან არცთუ დიდი ხნის წინ გამოსული, როცა თოვლი ძალიან, ძალიან უხარიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ არ გიხარიათ?

ერთმა ერთი ანეკდოტი გაიხსენა... მეორემ სხვა, და იყო სიცილ-ხორხოცი ყველაფერზე და არაფერზე.

თითქოს გარეთ ჩასაფრებული არ ყოფილიყო სიკვდილი.

ვიწექით სამსუნის ჯიშის თამბაქოს ფოთლებზე („მალბოროს" თუთუნში ურევენო არომატისათვის, — ხალხური ინფორმაცია), იდგა სველი ტანსაცმლის სუნი, მეომრები ავტომატებს წმენდნენ და გია მიქელაშვილი ისე ახვევდა ეზოში მდგარ თავის ჯავშნიან საბრძოლო მანქანას ცელოფანში (აფხაზებს წაართვეს „აფსნი № 1"), როგორც მზრუნველი დედა თოთო ბავშვს.

მდინარესთან, სველ ბუჩქებში ჩასაფრებული ბიჭები ზვერავდნენ მოწინააღმდეგის პოზიციას და რაციასთან ჩამჯდარი მეკავშირე რებუსებს გადასცემდა დაზიანებულ კამეჩსა და ნორმალურად მოძრავ მერცხალზე: იმეორებდა ეგზოტიკური ქალაქების სახელებს და მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებებს: არ იყო ეს საუბარი სასმენელთა ჩემთათვის.... შიფრია, მართალია, მარტივი, როგორც მოწაფის დღიური — ყველა მიხვდებოდა, რაზეც ლაპარაკობდნენ, თვითონაც ელიმებოდათ, მაგრამ დავიცვათ კონფიდენციალობა.

ერთი სიტყვით, კარგ გუნებაზე იყო ყველა და გურამ ჯანიაშვილმა (ნახევარი ოთახი რომ ეკავა ამ მთასავით კაცს) გუშინდელი ბრძოლის ეპიზოდი გაიხსენა.

— ყველაფერი რომ დამთავრდა და მოწინააღმდეგე გაჩუმდა, სახლში, მდინარის ნაპირთან რომ შენდება, რაღაც მოძრაობა შევნიშნე, გავიყოლიე ბიჭები და წავედი. ჩავუპაფრდით. ვხედავ, რომ იმ სახლში მართლაც ვიღაც არის. წვიმს და ძალიან ცუდად ჩანს. ჩუმად ვუახლოვდებით, იარაღი გამზადებული გვაქვს და რას ვხედავთ: საკმაოდ შეწუხებული და შეშფოთებული საკმაოდ მოზრდილი ოთხი მაიმუნი სხვენზე გაღებულ ფიცარზე გადი-გამოდის... დაგვინახეს და გავარდნენ. მერე სხვებსაც უნახავთ სოფელში.

რეპლიკა: — ეგ ტამიშის მაიმუნსაშენიდან გამოქცეულები არიან. ცდებს ატარებდნენ, შიდსით არიან ინფიცირებული.

რას იხუმრებდნენ ამასთან დაკავშირებით მსმენელები, გასაგებია...

საუბარი კი გრძელდება.

— მიდის, ალბათ, თბილისში შამპანურით წუწაობა... — უფრო თავისთვის ამ ბობს ერთი, ეტყობა, მაქსიმალისტი.

— და ტრაბახი: —ბიჭო, მე კაგებე ავიღე. არის ასეთი ხალხიც..

— ჩემი დედას ბიჭები.

— თბილისმა იგრძნო უბედურება, — არ დაეთანხმა მეორე. — ძალიან ბევრია ომისგან გაუბედურებული ოჯახი.

— უბნებში სერიოზულად ლაპარაკობენ — წამოდი, მოხალისეებად ჩავწეროთო.

— ამ ჩაწერაში ომიც გავა, — თავისაზე დგას პირველი.

— აბა, ჯარი სხვაგვარად ვერ შეიქმნება.

— ჯარი სადა გვაქვს? არმია არ არის საქართველოში.

— რაც არის, ამას რუსულად „სბროდი“ ჰქვია.

— ჰოდა, „სბროდით“ ომს ვერ მოიგებ, ბრძოლას კი, ბატონო!

— ჩვენი ბრალია, 89 წელს რომ ავტყდით და არმიაში აღარავინ ვიყოფილიყავ. რა მოვიგეთ? სხვებმა გაუშვეს და ახლა გაწვრთნილი არმია ჰყავთ.

— თორემ ადრე ვაკლავდით თავს. სულ ის გვეგონა, სხვა დაგვიცავდა.

— „ტექნიკურად“ გაგვეცილებინა რუსის ჯარი და უფრო მეტ სარგებელს არ ვნახავდით?

ფრონტის წინა ხაზზე ცენზურა არ არის (მადლობა ღმერთს!) და ამას და ისე ამბობენ ბიჭები, როგორც ფიქრობენ და როგორადაც საჭიროდ მიაჩნიათ. პარლამენტსაც გადასწვდნენ.

— მაღიზიანებსო იმათი პრობლემები, თუმცა იმ ნაგავს კი სჯობია, რაც წინათ იყო, მაგრამ...

მაგრამ, მაგრამ...

კაცმა რომ თქვას, ამ თემას პოლემიკური ექსტაზი არ გამოუწვევია, ღირს არ ჰყვეს.

მერე მთავრობის და ქვეყნის პრობლემები გაარჩიეს.

— ერთი წარღვნაა საჭირო და მერე — ამ ქვეყნის თავიდან აშენებაო, — ეს ის მაქსიმალისტია.

მაინც იმედიან ნოტაზე დაამთავრეს.

— რა იქნა ყარყარაშვილი, რატომ არ ჩანს? — წუხდა შტაბის უფროსი.

ფლანგები ჩამორჩნენ „ავღანელებს“ და წრიული თავდაცვა ეკავათ ჩვენებს. მზვერავებმა პოზიციაზე გამიყოლიეს ჯანიაშვილის ნებართვით.

* * *

ისევ თოვლ-ჭყაპი და ისეთივე მოსაბეზრებელი, როგორც ამ ფაქტის ხშირი გამეორება ამ წერილში.

ჰორიზონტი წაშლილია. იქიდან ზარბაზნების ხშირი და ყრუ სროლა ისმის.

— ყარყარაშვილი იბრძვის.

წვიმისა და ნისლის ფარდის იქით ადამიანების მოძრაობა ილანდება.

— ყურადღება! ვხედავ ჩვენსკენ მომავალ ჯგუფს! — გადასცემენ რაციით.

ვაკვირდებით — გვიახლოვდებიან, უიარაღოები არიან.

ბევრს არ გაგიგრძელებთ: ტყიდან გამოვიდნენ ქართველები, რომლებიც იძულებულნი შეიქმნენ საკუთარი სახლები მიეტოვებინათ. ტყეში დამალული ქართველები მოვიდნენ ჩვენთან.

* * *

გულუებს განსაკუთრებით მტრობენ აფხაზები, ულაპარაკოდ ხვრეტენ.

— 2 დეკემბერი იყო, — ყვება რუსლან გულუა, — იმ ჯგუფიდან ერთ-ერთი, — ეზოში რაღაც ხმაურზე მამა გავიდა და შემოსვლა რომ დააგვიანდა, გავხედე.

შეიარაღებული კაცები მდგარან ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არავაი! — აქ მოდიო, — აფხაზურად უთქვამს ერთს. გვარი რომ გაუგია—
— Давай, туда становись!
უბრძანებია მასვე.
მამისთვის და ორი ბიძისთვის ამოუყენებიათ რუსლანი.
— რატომ არ დაიმალეო? — უკითხავს მამას. რა ეპასუხა?
ტყისკენ წაიყვანეს გულუები.
— შედითო ტყეში. მამაჩემი მუხლებზე დაეცა და ეუბნება, — არ მომკლათ, არაფერი დამიშავებიაო. სამოცდაორი წლის კაცი იყო მამაჩემი. საშველი არ იყო მეტი და მამას ვუთხარი, — ნუ გეშინია, აქ სადმე მანქანა იქნება, ჩაგვსვამენ და ტყვარჩელში წაგვიყვანენ.
ამ დროს გვესროლეს აფხაზებმა, ასე, სამი მეტრიდან, ავტომატებით.
უცებ მოვბრუნდი, თავი დავღუნე, ხელები ავწიე ასე, და ყვირილით გავიქეცი — ااا! მხარში მომხვდა ტყვია და ყბაში გამოვიდა.
პირქვე დავეცი.
ცოტახანი გავიდა. მესმის, რომ კვდება მამაჩემი. ავდექი და მივედი. აფხაზები წასულიყვნენ.
მამა ხელში ჩააკვდა რუსლანს. ერთი ბიძა აღარ სუნთქავდა უკვე, მეორე გადარჩენილიყო ბედად, დაჭრილი.
— ისევ აქაურებმა გვიშველეს. ლაბრას თავმჯდომარე არდაშ ავეტისიანი მოგვეხმარა ძალიან. ჯგერდაში ექიმმა გურგულიამ გაგვიკეთა ოპერაცია. მერე ტყვარჩელში ჩაგვიყვანეს. გუმბა ექიმმა გვიმკურნალა, აფხაზმა...
მამიდაჩემი აფხაზ კაცს ყავს ცოლად, იმან გამოგვიყვანა მერე ტყვარჩილიდან.
აწი რა გვიჭირს, თქვენ რომ შემოხვედით...

* * *

პარალელისათვის: ჩვენებმა რომ შეუტიეს, აფხაზებმა მძევალი ქალი მოკლეს სკოლაში, მეორე დაჭრეს. ვერ მოასწრეს, თორემ იმასაც მოკლავდნენ.
— ადგილობრივები?
— ჩემი მეზობლები იყვნენ. მოკლული გოგო იმეზა ჯალაღონიაა და დაჭრილი ნაზი ჩხაპელია.
კიდევ ერთი პარალელი.
ტყიდან გამოსულების მონაყოლიდან:
— მოდიოდნენ აფხაზები, კედლებს მიგვაყუდებდნენ და გვხვრეტავდნენ.
კაცები, ქალები, სუყველანი წავედით ტყეში. მოვიდნენ მერე სხვა აფხაზები კვიტოულიდან, სიმართლე უნდა ვთქვათ, და ჩვენი ბავშვები და ქალები წაიყვანეს თავიანთ სახლებში. ვისაც იარაღი ეკავა, ისინი არ მოგვეხმარნენ, რასაკვირველია. მარტო გვესროდნენ.
კოჩარელები ვართ ჩვენ, იმ სოფლიდან.
ყველაფერი მიაქვთ, აი, რაც გვაცვია, ამის მეტი არაფერი დაგვრჩა.
— ამას თქვენი მეზობლები აკეთებენ, ვინც ბავშვები გადაგირჩინათ?
— არიან კარგებიც, აფხაზებს ქველას ვერ გავლანძღავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დავით გავაშელი

დავით გავაშელი დაიბადა 1967 წლის 3 ივნისს თბილისში. დაამთავრა თბილისის 87-ე საშუალო სკოლა და 1987 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტში. იყო აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია „რუსთაველის“ წევრი. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან იბრძოდა აფხაზეთში — სოხუმში, გუმისთაში, წითელ ჯვარში, გაგრაში, ტამიშში, ლაბრასა და ეშერაში. გმირულად დაიღუპა 1993 წლის 15 ივლისს სოფელ ბედიასთან სიმაღლე „მიშველის“ დაცვის დროს. ალყაში მოქცეულმა ააფეთქა 2 ჭურვი, რითაც მტერს დიდი ზარალი მიაყენა და ტყვედ ჩაბარების წინადადებაზე „შავლეგოს“ სიმღერით უპასუხა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

* * *

ღმერთო, ნუ მაჰკლავ ვაჟკაცსა,
ნუ დაუბნელებ მზესაო!
ნუ გაუოხრებ სახლ-კარსა,
ნუ გაულაღებ მტერსაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანგული (გია) გათიკოევი

ანგული (გია) გათიკოევი, დაბადებული 1957 წლის 4 მაისს, ზნაურის რაიონის სოფელ ხუნდისუბანში, ეროვნებით ოსი, განათლება საშუალო — პროფესიული, ცოლშვილიანი.

გია მშობლებმა საცხოვრებლად გადაიყვანეს ქ. რუსთავში.

1964 წელს შევიდა რუსთავის № 17 საშუალო სკოლაში, 1972 წელს სწავლა გააგრძელა მე-16 პროფსასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქარხანა „550-ში“, შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომლის მოხდის შემდეგ ისევ ქარხანას დაუბრუნდა.

1992 წლის 10 ოქტომბერს გია მოხალისედ შევიდა ეროვნული გვარდიის „ავაზას“ ბატალიონში. ის თავის თანამებრძოლებთან ერთად აფხაზეთში წავიდა სამშობლოს დასაცავად. 16 დეკემბერს გია დაზვერვაზე იყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრასთან, სადაც იგი მტრის ალყაში მოექცა. თვითმხილველი მეომრები ამბობენ: გიამ ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია, ხელყუმბარით თავი აიფეთქა და იქვე ახლოს მყოფი მოალყენიც თან გაიყოლაო.

გმირულად წავიდა გია ამ ქვეყნიდან, ვაჟკაცურად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე, სახლში კი ატირებული მეუღლე, მშობლები, ძმა და 13 წლის ინგა დატოვა.

დასაფლავებულია ქ. რუსთავში.

ანგულ იოსების ძე გათიკოევი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ქართველ კაცს აღარაფერი არ აკვირვებს — არც გმირობა, არც ტალანტი, არც სულის სიდიადე და არც სიმდაბლე. ყველაფერი ნახა. უფრო — ეტყო ნახა, ვიდრე ეს უნდა რგებოდათ დედამიწის ამ პატარა ქვეყნის შვილებს.

ყოველი მშვენიერი თვისი ღირსების მსხვერპლი უნდა გახდესო და აგერ, ჩვენი მაგალითიც. ალბათ, იშვიათია ასეთი პარადოქსების ქვეყანა.

გამაოგნებელი სისასტიკის გვერდით „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა!..

ორასწლიანი „მშვიდობიანი“ საუკუნეებით მოდუნებული მებრძოლი სულის დაკარგულ ცხოვრების წიაღში, თითქოს მოულოდნელად გამოანათესო ვარსკვლავებმა, ისე გამობრწყინდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლის გმირები. მათ შორის არის ქართული თეატრისა და კინოს, საერთოდ, ქართული კულტურის ღვაწლიც.

ასე იყო ოდითგანვე. ქართული თეატრიც იბრძოდა კრწანისთან აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ.

გიორგი ერისთავიც იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. თეატრის სხვა მოღვაწენიც იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეს ჩვენი ტრადიციაა.

მას არც ახალმა თაობებმა უღალატეს. ქვეყანას დასჭირდა და ისინი პირველები წავიდნენ ბრძოლაში.

ამბობენ, პატარა ინსტიტუტიაო თეატრალური ინსტიტუტი, მაგრამ ძალზე დიდია მისი ღვაწლი, ამაგი კულტურისა თუ საზოგადო, საქვეყნო საქმის ყველა სფეროში.

ექვსი ინსტიტუტელი ახალგაზრდა შეეწირა ამ ომს. ზოგმა მოასწრო ეთქვა თავისი სათქმელი ხელოვნებაში, ზოგმაც ვერა, მაგრამ რა შეედრება იმას, რაც მათ საქართველოს უძღვნეს? საკუთარი სიცოცხლე შესწირეს და ეს ღვთაებრივი მსხვერპლი შუქსა ჰფენს არა მხოლოდ მათ სახელებს, არამედ ყველას, ვინც მათ იცნობდა, მათ ახლობლებს, ინსტიტუტსა და მთელს ჩვენს ქვეყანასაც.

ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი მებრძოლი სული ჰქონდა ლევან აბაშიძეს — სილამაზითა და არტისტული კარიერით გალაღებულს. ღმერთს ყველაფერი მიეცა მისთვის დამტკბარიყო ამქვეყნიური სიკეთით. ღმერთმა მას საქართველოსთვის თავგანწირვის ნიჭიც მიჰმადლა. ჰარმონიულად მთლიანი პიროვნება გახლდათ ლევან აბაშიძე. იგი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. არტისტულ ამაღლებულობას ერწყმოდა სისადავე, მისი ცხოვრებისა და ხელოვნების სტილის ერთიანობა, მოულოდნელი სვლების შინაგანი ლოგიკურობა და მიზნის სიცხადე. წავიდა ბრძოლის ველზე, რათა პირდაპირ თვალებში ჩაეხედა სიკვდილისათვის, იმქვეყნიურ სამყაროსთან მდგარიყო პირისპირ. ანტიკური გმირივით ბედისწერის კაცი იყო. რა ბედნიერებაა, რომ მომავალ თაობებს შეეძ-

ლებათ ეკრანიდან ნახონ ლევან აბაშიძე ცოცხალი. ნახონ ის კაცი, ვინც თა-
ვისი ნებით იდგა იქ, სადაც მისი თაობა იბრძოდა.

უცნაური, პირდაპირ ნამდვილი ტრაგიკული ბიოგრაფიისა იყო შმაგი სამ-
ნიაშვილი. მახსოვს, ინსტიტუტში მისი მოსვლა პირველი დღიდანვე
შემოვიდა მისი გამზრდელი დეიდა. მან საოცარი რამ მიამბო აბიტურიენტზე.
შმაგის დედა თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად თურმე ერთ პატარა ოთახ-
ში ცხოვრობდა. შეუჩნდნენ, ბინა სხვისია და უნდა გაგასახლოთო. ქალმა ველარ
აიტანა ძალა, გადაისხა ნავთი და თავი დაიწვა. შმაგი ხუთი წლისა იყო, ამ
სცენას როცა შეესწრო. ობოლს ახლობლები ზრდიდნენ. ამ ამბავმა შემძრა.
მივიღეთ სამსახიობო ფაკულტეტზე. ზოგჯერ გორიდან დადიოდა ლექციებზე.
ეკონომიურად ძალიან უჭირდა. ინსტიტუტში მუშად მივიღეთ. დაამთავრა ინ-
სტიტუტი და გორის თეატრში წავიდა. ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, მალე მო-
იპოვა ავტორიტეტი. სამაჩაბლოს ბრძოლებში მონაწილეობდა, ლიდერის თვი-
სებები გამოავლინა. თეატრში ცოტა რამ მოასწრო. მთელი დრო, ენერგია
ეროვნულ მოძრაობას შესწირა.

დამწვარი ბედისა იყოო, — ამბობდნენ მოტირალნი შმაგიზე.

მისი ბიოგრაფიის კაცს მართლაც ტრაგიკული ეთქმის, მაგრამ ვალმოუხ-
დელი არ წასულა. მან დაგვიტოვა სამშობლოსადმი ერთგულების მაგალითი.

რაღაც განსხვავებული, ყველასაგან გამორჩეული კოლორიტი შეჰქონდა
ინსტიტუტის ცხოვრებაში გია რევიშვილს, ანუ როგორც ჩვეულებრივ ვუწო-
დებდით რემკას. მუდამ მაოცებდა მისი ნაღვლიანი თვალები. იყო მორიდებული
და თავაზიანი, თითქოს ლამობდა შეუთავსებლის შეთავსებას, შეუმჩნევლად, მაგ
რამ თანდათან, მიზანსწრაფულად მიიკვლევდა გზას ხელოვნებაში. როგორც კი
ეროვნულმა მოძრაობამ იფეთქა, იგი მის ტალღებს აჰყვა.

ერთადერთი ფილმის გადაღება მოასწრო. წარმატება ხვდა, გაჩნდა იმედი.
ქართულ კინოში მოდიოდა კიდევ ერთი ნიჭიერი, თავისი განსხვავებული ფიქ-
რებით სავსე ახალგაზრდა.

ლევან აბაშიძის დაკრძალვის დღეს, სასაფლაოზე შევხვდი მიხო ჭინჭა-
რაულს, ჩვენს „ძელოს“, საოცარ ახალგაზრდას, თბილისმა რომ პირდაპირ
შესძრა, ააფორიაქა, აამღელვარა, მოსვენება დაუკარგა. ჯერ იყო და ვერაფრი-
ვერ შეეგუა ვერც ტყუილს, ვერც პირფერობას, ვერც მოჩვენებითობას. ერთი
სიტყვით იმას, რაც არ იყო ალალმართალი. სულ კამათობდა, ინსტიტუტში
კრება არ ჩატარდებოდა, სიტყვა რომ არ ეთქვა. ლაპარაკობდა ქართულ საქ-
მეზე, ეროვნულ პრობლემებზე, ლაპარაკობდა სიწმინდეზე, პატიოსნებაზე, სი-
კეთეზე. არ გამოუტოვებია მიტინგები, დემონსტრაციები. მერე ერთხანს გული
აუცრუვდა, საქმის კეთება აღარავის უნდაო. სულ გადარია ე. წ. „საინფორმაციო
მიტინგებმა“. მერე ომი დაიწყო აფხაზეთში და მებრძოლთა რიგებში ჩადგა მო-
ხალისედ. ლევან აბაშიძის გასვენებაზე ჩამოვიდა, ლევანის ცხედარს ჩამოჰყვა.
ყველა ინსტიტუტელი გადაკოცნა, ყველასთან მეგობრობდა. კულტურულ-საგან-
მანათლებლო ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ ყველა მისი ახლობელი იყო.

მის გვერდით იყვნენ მსახიობები თუ სარეჟისორო, თეატრმცოდნეობისა თუ სხვა ფაკულტეტის სტუდენტები.

ძელო (მიხეილ) ჭინჭარაული ინსტიტუტით ცოცხლობდა. დაამთავრა და მაინც ინსტიტუტში მოდიოდა. ჯარისკაცის ფორმით მოდიოდა. ლეკვლეკვის გასვენების შემდეგ ერთხანს ვისაუბრეთ. გული სტკიოდა, რომ მავანი და მავანი იქ, ბრძოლის ველზე არცხვენდა ქართველის სახელს, მაგრამ როგორ ამაყობდა საუკეთესო ბიჭებით!

იასონ ჭილაიამ სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. მერე კინოხელოვნებამ გაიტაცა. სარეჟისორო ფაკულტეტის მეორე კურსზე იყო. ამ საოცრად მოკრძალებულ კაცს, რომელიც ისე დადიოდა ინსტიტუტში, თითქოს არავის შემჩნევა და შეწუხება არ უნდაო, ფარული მებრძოლი სული ჰქონდა. თავის გამოხატვის, პიროვნულის დამკვიდრებისა და საქვეყნო საქმისადმი ერთგულების გარდა, უცნაურად დრამატული ბედიც ხვდა. ახალგაზრდას დაეღუპა მეულლე, დარჩა მცირეწლოვანი შვილი, თავისი პირადი ტრაგედიით სულამდე შეძრული წავიდა „მხედრიონელთა“ რიგებში.

ხელოვნებაში სათქმელის თქმა ვერ მოასწრო, ცხოვრებაში კი თავისი სიტყვა თქვა, ერთი კაი ქართველის მამულიშვილობას რომ ეკადრება, — ისეთი სიტყვა, — სიცოცხლე შესწირა!

ვაჟთა ამ ხუთეულის ბედი გაიზიარა გულსაზ გოდალაძემაც, ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა. დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“ მუშაობდა. ფრონტის ხაზზე წავიდა. მებრძოლ რაზმს გაჰყვა აუფეთქებელი ნაღმის გასაუვნებელი კადრები რომ გადაეღო. ნაღმი აფეთქდა. ისევ ტრაგიკული ბედი.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში თეატრის ბევრმა მოღვაწემ გამოავლინა მებრძოლი სული და მაღალი ეროვნული შეგნება. ისინი ნამდვილი მემკვიდრენი არიან მაჩაბლის თეატრისა.

მოვა დრო ქვეყანა დამშვიდდება, დაიწყება აღმშენებლობითი ცხოვრება, მოვლენ ხელოვნებაში ახალი თაობები და ისინი იამაყებენ თავიანთი წინაპრებით, — იმათით, ვინც თავი გასწირა, ვინც იბრძვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

ვასილ კიკნაძე

დედის ნატირალი შვილზე

ღამეო, შენამც გენაცვლები,
შენამც ჩემ ნაღველ გაგიგავის,
ძალიან ბევრი გიტირებავ,
ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრავის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათენებაო, შენც გენაცვლე,
შენც ჩემი დარდი გაგიგავის,
მთის ყვავილებზე, ბალახებზე
ცვარ-ნამის ცრემლი დაგიღვრავის.
ჩემ შვილს რად უნდა სამოსელი?
ჩოხა გახადეთ, გადაუგდეთ,
მიწის სამოსელ შაუკერეთ,
სარჩულად მოჩქმა დაუდევით,
ცრემლები ღილად დაუკერეთ,
სამარეს პირი გაუკერეთ
ჩემი ცრემლების ძაფებითა,
ხავერდოვანი ბალახითა.
სამარევ, პირი დაიბანე
მწუხარე დედის ცრემლებითა,
მიწაო, შვილი შამინახე,
შენ შემოგჩივი ცრემლებითა.

ნეტავ სიკვდილმსაც

ნეტავ სიკვდილმსაც მისცა
შვილიო,
იმას ხხვა სიკვდილ
შამახყარაო,
დედასა, დასამც ახდევნიაო,
იქნება მოისვენებდ გულიო,
იქნებ წეს გამაიცვლებოდაო.

* * *

მამაკაცის ტირილი

ვაი, დედას, შვილო, გატყუებენ,
ვაი, გველისა ბოლოს გაწოვებენ.
ვაი, ვაი რომ ბოლო მაიბრუნებს
და დედის ძუძუ გეგონება.
ვაი, დედას, შვილო, მოგწყურდება,
საითღა დედა მოგიწოდებს.
საითღა, შვილო, სამზეოთღა.
შვილო, შენ მაგივრად ნეტავ მენ
წავსულიყავ შავეთშია.
შენ დაიმრჩალიყავ სამზეოზე,
მე მექნებოდა ქვეყანაზე
და მამგონენი ჩემისაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი გამიაშვილი

გიორგი იოსების ძე გამიაშვილი დაიბადა 1955 წლის 28 იანვარს, ქ. ახმეტაში, მუშის ოჯახში. 1962 წელს შევიდა ახმეტის საშუალო სკოლაში და 1972 წელს დაამთავრა 10 კლასი.

გიორგი გამიაშვილი 1974 წელს გაიწვიეს სამხედრო არმიის რიგებში, ხოლო 1976 წელს მოიხადა სამხედრო ვალდებულება.

საქართველოში გამოწვეული სიტუაციის გამო მან გადაწყვიტა ქ. ახმეტის მხედრიონში ჩარიცხულიყო. 1992 წლის 28 აგვისტოს წავიდა ქ. სოხუმში, შემდეგ კი იბრძოდა გაგრაში, 101-ე ბატალიონის შემადგენლობაში. ერთ-ერთი თავდასხმის დროს 2 ოქტომბერს ალყაში მოქცეულმა თავის თავზე აიღო თავდაცვა, რათა გადაერჩინა მეგობრები, თვითონ კი დაიჭრა და მოათავსეს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

გიორგი გამიაშვილი ღია ჭრილობით ისევ მალე დაბრუნდა სოხუმში საბრძოლველად. ეშერასთან ის და მისი თანამებრძოლები მოხვდნენ ალყაში. გ. გამიაშვილმა, როგორც ყოველთვის, თავის თავზე აიღო თავდაცვაზე დადგომა, ამ ბრძოლის დროს მან საქართველოს 18 ახალგაზრდის სიცოცხლე შეუნარჩუნა, თვითონ კი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მან ვერ მოასწრო ოჯახის შექმნა, აცრემლებული დატოვა მოხუცი მშობლები, ხუთი დედმამისშვილი, ყველა მისი მეგობარი, ყველას გული გვატკინა. გ. გამიაშვილი იყო ჭკვიანი, დინჯი და კეთილი პიროვნება, იგი თავის მეგობრებს გაჭირვების დროს ყოველთვის მხარში უდგა.

ნელი მერაბიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ გეგენავა

ფრიდონ ალექსანდრეს ძე გეგენავა დაიბადა 1970 წელს. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მეორე ბატალიონის რიგებში მოხალისედ მოვიდა 1992 წლის 20 სექტემბრიდან, ჩაირიცხა I ასეულში ყუმბარმტყორცნელად. 1993 წლის 3 ოქტომბერს დაიჭრა მდინარე გუმისთის მისადგომებთან. მკურნალობის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ისევ ბატალიონში, დაინიშნა პირველი ასეულის მესამე ოცეულის მეთაურად.

1993 წლის 17 მარტს მტრის დივერსიული ჯგუფის ლიკვიდაციას ატარებდნენ მეორე ბატალიონის სარეზერვო ძალები. ფრიდონ გეგენავა ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა. მან გამოიჩინა თავი მხედრული მამაცობით, მოსპო რამდენიმე აფხაზი „ბოევიკი“, თვითონ კი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

მ. კორძაია

მეორე ბატალიონის შტაბის უფროსის
თანაშემწე, სამწყობრო ნაწილის უფროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ
გეგეშიძე

ტარიელ ანზორის ძე გეგეშიძე დაიბადა 1962 წლის 15 იანვარს ბაღდადის რაიონის სოფელ ქვედა დიმში. მშობლები ეთერ და ანზორ გეგეშიძეები შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და კეთილი ადამიანები არიან.

ტარიელმა რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბაღდადის 69-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს.

ტარიელი 17 წლის იყო, როდესაც დაქორწინდა 16 წლის მარინა თედორაძეზე. მათ შეეძინათ სამი ვაჟი: მირზა 13 წლისაა, მერვე კლასის მოსწავლეა, რამაზი 12 წლისაა, მეშვიდე კლასის მოსწავლეა, გიორგი 2 წლისაა მან მამის სახე არ იცის.

ტარიელი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშენებლობაზე, ბაღდადის რაიონში, ქუთაისში, თბილისში, სამეგრელოში და სხვადასხვა კუთხეში. იყო შესანიშნავი მძღოლი.

ტარიელს სამხედრო სავალდებულო სამსახური არ გაუვლია, რადგან სრულიად ახალგაზრდას უკვე ორი შვილი ჰყავდა. მაგრამ აფხაზეთის ამბების დაწყებისთანავე ის შევიდა ბატალიონ „ავაზაში“ მოხალისედ, 1992 წლის 12 ივლისს. ბატალიონი „ავაზა“ იცავდა გაგრას, 1992 წლის 25 აგვისტო ტარიელისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. მტრის მუხანათურმა ტყვიამ იმსხვერპლა ლამაზი სიცოცხლე შესანიშნავი ვაჟკაცისა, რომელსაც დარჩა სამი ობოლი ვაჟი, ახალგაზდა მეუღლე და გამწარებული დედ-მამა.

ტარიელი დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში, ქვედა დიმში, „ევკალიპტების“ სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ გეთია

ბესიკ (ბესო) გივის ძე გეთია დაიბადა 1970 წლის 29 ნოემბერს, სოხუმში. დაამთავრა სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა. მუშაობდა ასოციაცია „სევასტოპოლტურიზმის" დირექტორის მოადგილედ.

სოხუმის უსაზღვრო სიყვარულმა უყოყმანოდ ჩააყენა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იბრძოდა პირველ ბატალიონში.

...ჩვენო ძვირფასო ძმაო ბესო, ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ გვიმძიმს შენს და-ძმას, მშობლებს, შენს ძმაკაცებს შენთან გამოთხოვება. ძნელია ჩვენთვის უშენობა. შენ ჩვენთვის სულ ცოცხალი იქნები. ჩვენ მხოლოდ შენი ლოდინით შეგვიძლია სიცოცხლე.

სულ ამბობდი, მე თუ არ წავედი, სოხუმელები თუ არ წავიდნენ საბრძოლველად, ქალაქს ჩამოსულები ისე ვერ დაიცავენ, როგორც ჩვენო, ჩვენ ჩვენი ქალაქის ყოველი კუთხე ვიცითო. სულ გვეუბნებოდი: იმათ, ვინც იბრძვის, განა მშობლები არა ჰყავთო? განა ისინი თქვენზე ნაკლებად ნერვიულობენო? სოხუმი ჩვენ უნდა დავიცვათო.

16 მარტს გუმისთის მისადგომებთან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს გმირულად დაეცი. მტერმა მუხანათურად მიგიტყუა, ქართულად დაიძახა: მიშველეთო. შენ თავდაუზოგავად გაიქეცი საშველად, ქართველს უჭირსო. შენ ვეღარ დაბრუნდი.

ბესო, შენში ყველაფერი განსაკუთრებული და გამორჩეული იყო. ბუნებამ სილამაზით შეგამკო, რაინდულად შემართული ვაჟკაცი ნათესავ-მეგობართა შორის სამაგალითო და საუკეთესო იყავი პატიოსნებით, ალალ-მართლობით, მიმტევებლობით, მოყვასის სიყვარულით გამოირჩეოდი.

ყველას ტკივილი ხარ, ბესო, ყველა ნაცნობი გულთან მიიტანს შენს სიკვდილს, რამეთუ ქართულ მიწას ანაცვალე თავი შენი!

წახვედი და ბევრი რამ დაგრჩა კიდევ გასაკეთებელი, შენ ხომ ჯერ 23 წლისაც არ იყავი, ვერც ოჯახის შექმნა მოასწარი, უშვილძიროდ წახვედი ქვეყნიდან. ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო ლამაზო და საყვარელო ბესო!

შენი მეგობრები

გურამ გელავა

გურამ გურამის ძე გელავა დაიბადა 1968 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში. დედამისი პედაგოგია, მუშაობს სართიჭალის I საშუალო სკოლაში. გურამმა ამავე სკოლაში დაიწყო სწავლა და დაამთავრა 1985 წელს.

1986 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ქ. მურმანსკში, სადაც სამი წლის განმავლობაში პირნათლად იხდიდა მხედრულ ვალს.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ 1980 წელს დაიწყო მუშაობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გამნათებლად. პატიოსანი და მუყაითა შრომით დაიმსახურა ამხანაგებისა და თანამშრომლების პატივისცემა და სიყვარული.

24 წლის ვაჟკაცი პირველი დღიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რაგებში. მოხალისედ ჩაეწერა სახალხო ფრონტში და 1992 წლის 15 სექტემბერს გმირულად დაიღუპა გაგრის მისადგომებთან.

ღმერთმა აცხონოს ღირსეული მამულიშვილის გურამ გელავას სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია
გელაშვილი

ბიოგრაფიული ცნობები ჩემი სათაყვანებელი ძამიკოს გიას შესახებ.

ბიოგრაფია მისი ძალზე ჩვეულებრივია:

დაიბადა 1961 წლის 23 ივნისს ქალაქ ბორჯომში. 1968 წელს შევიდა ბორჯომის რკინიგზის № 6 საშ. სკოლაში, რომელიც 1978 წელს დაამთავრა კარგ მოსწავლედ ითვლებოდა, თუმცა ბიჭების უმეტესობისათვის დამახასიათებელი სიანცე არ აკლდა.

1981 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1983 წელს დაბრუნდა ჯარიდან და 1984 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე, დაუსწრებელ განყოფილებაზე. მუშაობდა პროფილით ბორჯომის მტპ საწარმოს ადმინისტრაციულ აპარატში.

1986 წელს დაოჯახდა, შეეძინა 2 ვაჟი — ზურაბი, რომელიც ამჟამად მე-6 წელშია და ონისე, რომელსაც თებერვალში 3 წელი შეუსრულდება. (ზურიკოს მამა კარგად ახსოვს. ის და მამიკო მეგობრები იყვნენ, მაგრამ არ ტირის: მე ფილმი ვნახე, ქრისტემ კაცი რომ გააცოცხლა და ჩემს მამიკოსაც; აღადგენს, ამიტომ არ უნდა ვიტიროო, ონისე კი, თუ დაგვინახავს აცრემლებულებს, გვეუბნება: არ იტიროთ, ჩემი მამიკო აფხაზეთშია, იმის ტანკს ვერაფერი მოერევა, ნუ ტირიხართ, გია მოვა, მოვაო.

1992 წლის 23 ივნისს შეუსრულდა 31 წელი, 1992 წლის 1 სექტემბერს დაიღუპა ეშერასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ
გელაშვილი

დაიბადა 1965 წელს 21 აპრილს ხაშურის რაიონის სოფელ ბროლოსანში. 1972 წელს შევიდა ბროლოსნის დაწყებით სკოლაში, მეოთხე კლასიდან სწავლა გააგრძელა სოფელ ალის საშუალო სკოლაში. 1980 წელს დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და გადავიდა სურამის პროფტექნიკურ სასწავლებელში, 1983 წელს დაამთავრა პროფტექნიკური სასწავლებელი, 1983 წელსვე გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. პირნათლად მოიხადა თავისი ვალი შორეულ ციმბირში, ქალაქ კრასნოიარსკში, საიდანაც დაბრუნდა 1985 წელს. დაბრუნდა და საცხოვრებლად ჩამოვიდა ქ. რუსთავში. მუშაობა დაიწყო რუსთავის ქიმიურ ქარხანა „აზოტში" მუშად. 1992 წლის 4 ოქტომბერს გაიწვიეს აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, იბრძოდა წინა ხაზზე, ეშერასთან, საიდანაც 1992 წ. 23 ოქტომბერს მოვიდა დალუპვის ამბავი.

მერაბ გელაშვილი იყო ძალიან კეთილი, გულადი, ძლიერი, კეთილსინდისიერი ახალგაზრდა, თავს არ დაზოგავდა არც მეგობრისათვის, არც ერისათვის, უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლო.

როდესაც სოფელ ეშერასთან მოხდა ერთ-ერთი შეტაკება, დაეჭრა თანამებრძოლი, თავისი მოსახელე მერაბ ციცქიშვილი. იმწამს გაიქცა მისაშველებლად. მებრძოლები აფრთხილებდნენ: არ წახვიდე, სნაიპერი ისვრისო, მაგრამ ამხანაგს როგორ უღალატებდა! მიიჭრა დაჭრილთან, ფეხზე წამოაყენა, მაგრამ მტრის ტყვიამ არ აცალა.

სნაიპერის ტყვია თავის არეში მოხვდა და დაჭრილ მეგობართან ერთად დაიღუპა, დაიღუპა მეგობრისა და საქართველოსთვის. ვაი რომ, 27 წლის ვაჟკაცი უცოლშვილო წავიდა ამ ქვეყნიდან!...

მერაბ გელაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი გერაძე

დაიბადა 1967 წლის 3 მაისს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მსახურობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ აისრულა თავისი ბავშვობის ოცნება — ჩამდგარიყო ორგანოს მუშაკთა რიგებში. ჩააბარა თბილისის მილიციის უმაღლეს სასწავლებელში. ჩაბარებისთანავე დაიწყო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა, იბრძოდა სამაჩაბლოში და რესპუბლიკის სხვა ცხელ წერტილებში. ყველგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული საბრძოლო ჟინით, თავდაუზოგაობით, ერთგულებით და პატიოსნებით. ორჯერ დაიჭრა საბრძოლო ოპერაციების დროს.

აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩაება ბრძოლებში. მიუხედავად ახლობლების მუდარისა, რომ დედისერთა თბილისში დარჩენილიყო, ის მაინც გაემართა აფხაზეთში, რადგან სხვაგვარი მოქმედება ბადრისთვის უჩვეულო და მიუღებელი იყო.

29 აგვისტო, გამთენიის ხანი საბედისწერო გამოდგა მისთვის და მისი თანამებრძოლებისათვის. სოფელ კოლხიდასთან მტრის ტყვიებით დაცხრილულმა დაასრულა ხანმოკლე სიცოცხლე. იქაც გმირის სახელი დატოვა, იბრძოდა უკანასკნელ ტყვიამდე, მის სიახლოვეს არავინ გააჩერა, მტრის შეჩერება თვითონ აიღო საკუთარ თავზე.

ასე დაილუპა თბილისის პოლიციის უმაღლესი სკოლის IV კურსის სტუდენტი ბადრი გერაძე. დარჩა მეუღლე და ოთხი წლის ირაკლი.

დავით გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათოზე წერილის დაწერა რომ გადავწყვიტე, ჯერ მის უმცროს ძმასა დავუკავშირდი. დედამისთან ქალბატონ თამართან მისვლა მიმძიმდა, მისთვის შვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება რომ არ გამეახლებინა. ვფიქრობდი, რომ ნანა უფრო შეძლებდა თავისი სათაყვანებელი ძმის დახასიათებას, მაგრამ არც მასთან შეხვედრა აღმოჩნდა იოლი.

ეს მშვენიერი ოცდაორი წლის ქალიშვილი მწუხარებისაგან ისე იყო ტრავმირებული, რომ როგორც კი თავისი ძმის ამხანაგებთან ერთად გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოსურათს მოჰკრა თვალი, გული შეუწუხდა. რამდენს არ ვეცადე, უემოციებოდ გვესაუბრა, არაფერი გამოვიდა. ისევ დათოს მეზობლებისა და ახლობლების ნაამბობს დავეყრდენი.

მიჩვენეს დათოს გვარდიელის მოწმობა № 446, რომელიც ახლა ოჯახის ძვირფას რელიქვიად ქცეულა. მასში ვკითხულობთ: „დავით ფრიდონის ძე გელოვანი — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ოფიცერი, აქვს იარაღის ტარების უფლება“.

ოჯახის ახლობლები გვიამბობდნენ, ქმრის გარდაცვალების შემდეგ თამარმა როგორ სიმწრით გამოზარდა ოთხი შვილი — სამი ქალი და ერთი ვაჟი, — როგორ ტკბილი და კარგი ოჯახი ჰქონდათ.

სკოლის დამთავრების შემდეგ, დათო, თვრამეტი წლის ჭაბუკი, 1986 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ქ. მაგადანში მსახურობდა. 1989 წელს სამშობლოში დაბრუნდა და თავის მეგობრებთან ერთად ეროვნულ მოძრაობაში ჩაება. ხოლო ქართული ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებისთანავე მის რიგებში ჩაირიცხა.

დათოს მეგობრები ახასიათებენ როგორც დისციპლინირებულ, მამაც, უშიშარ ახალგაზრდას, ამხანაგების მოყვარულ და ერთგულ პიროვნებას.

როცა ოსმა სეპარატისტებმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მიტაცება სცადეს, დათო თავის ამხანაგებთან ერთად სამაჩაბლოში გაეშურა, აქ მას ქართული მიწა-წყლის დაცვა მოუხდა.

1992 წლის აგვისტოში დავით გელოვანი იმ გვარდიელებთან ერთად იყო, რომლებიც აფხაზეთში შევიდნენ სპეციალური დავალებით: დაეცვათ რკინიგზა, ხიდები ყაჩაღებისა და ბანდიტებისაგან, რომლებიც თავიანთი მოქმედებით, ძარცვა-გლეჯით სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებდნენ. მაგრამ ქართველ გვარდიელებს აფხაზმა ბოევიკებმა სროლა აუტეხეს, დაიწყო ქართველებზე თავდასხმა, რამაც თანდათანობით ბრძოლის ხასიათი მიიღო.

დავით გელოვანი იმ გვარდიელების რიცხვში იყო, რომლებმაც მთავრობის სახლის თავზე აფხაზი ექსტრემისტების მიერ აღმართული, აფხაზეთის ეგრეთწოდებული რესპუბლიკის დროშა ჩამოხსნეს და მის მაგივრად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დროშა ,ააფრიალეს.

დავით გელოვანი სულ ორიოდე კვირა იბრძოდა აფხაზეთში თავისი სამშობლოს მთლიანობის დასაცავად, და ამ ხნის განმავლობაში გამოჩენილ მამაცობისა და თავგანწირული ბრძოლისათვის ამხანაგებში და გვარდიის ხელმძღვანელობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. აფხაზეთში მას შორის ფოდება მიანიჭეს.

უშიშარსა და გამბედავს სიკვდილმა ეშერაში მოუსწრო. 1992 წლის 1 სექტემბერს აქ დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული. მიუხედავად იმისა, რომ დათო ბრძოლიდან ახლად დაბრუნებული იყო და მეთაურმა დასვენება ურჩია, მას მაინც გულმა არ მოუთმინა და, როცა მისი ამხანაგი დაზვერვაზე გაუშვეს, ისიც გაჰყვა. ეს მისი ბოლო გასვლა აღმოჩნდა. სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა გულადი მეომარი.

მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს ამხანაგებმა მტრისაგან დაცხრილული მისი ცხედრის ტყიდან გამოტანა და თბილისში ჩამოსვენება.

ასე გმირულად დაიღუპა სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ოცდათხი წლის ჭაბუკი, რომელმაც, მართალია, ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო, ვერ დაგვიტოვა ძე და ასული, მაგრამ დატოვა ნამდვილი ვაჟკაცის სახელი. დავით გელოვანის ხსოვნა მუდამ იქნება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

კარგი იქნება, რომ ვაზისუბანში, სადაც იგი გაიზარდა, ერთ პატარა ქუჩას მაინც მიაკუთვნონ მისი სახელი.

გმირები არ კვდებიან, მათ სახელს სიყვარულითა და მოწიწებით წარმოსთქვამს შთამომავლობა.

ლარისა ხუბულური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგვისტო, 1992 წ.

„ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნ“

შავი ზღვის ტურისტები გაეცალნენ ომს. შაბათს მოსახლეობამ, დამსვენებლებმა მიატოვეს შავი ზღვის კურორტი სოხუმი. აქ მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები საქართველოს გვარდიასა და აფხაზ სეპარატისტთა შორის. მღელვარებამ იფეთქა პარასკევს, როცა საქართველომ გაგზავნა გვარდია მძევლების გასათავისუფლებლად. რუსეთის საპარაშუტო-სადესანტო ქვედანაყოფი, საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, ავიდა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების საევაკუაციოდ. ქართველებსა და აფხაზ სეპარატისტთა შორის წარმოებულმა ბრძოლებმა სოხუმი გადააქცია ბრძოლის ველად. საქართველოს ხელმძღვანელი ედუარდ ა. შევარდნაძე აღმოჩნდა სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე. ეს ფაქტობრივად ყველაზე რთული კრიზისია მარტის შემდეგ, რაც ბატონი შევარდნაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს ხელისუფლებას. აფხაზეთი არის საქართველოს დასავლეთი რეგიონი და განსაკუთრებით განთქმულია შავი ზღვის თვალწარმტაცი კურორტებით. აფხაზები მიეკუთვნებიან კავკასიის ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფს და ქართველებზე რიცხობრივად გაცილებით ნაკლებნი არიან თვით აფხაზეთის რეგიონშიც კი. აფხაზთა ბანდებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს ეროვნულ გვარდიას. საქართველოს ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომები მიიღო სოხუმში წესრიგის აღსადგენად. რეგიონის ოფიციალურ წრეებთან შეთანხმებით მიღებულია გადაწყვეტილება ბუფერული ზონის შექმნის თაობაზე. საქართველომ აღადგინა შავი ზღვის ტერიტორია. საქართველოს ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის განცხადების თანახმად, საქართველომ დაიბრუნა მმართველობა ამბოხებულ აფხაზეთის რეგიონში. სოხუმში კვლავ გრძელდებოდა სპორადული სროლები. ბატონ შევარდნაძის განცხადებით, აუცილებელია კომენდანტის საათის შემოღება წესრიგის აღსადგენად. ექსტრემისტთა ბანდები ძარცვავენ სახელმწიფო სიმდიდრეს და აყაჩაღებენ მოსახლეობას. „საქართველოს ხელისუფლება აღდგენილია რეგიონის მთელ ტერიტორიაზე. საქართველო იყო, არის და იქნება ერიანი სახელმწიფო“, — განაცხადა ბატონმა შევარდნაძემ. აფხაზეთის 500 000-იანი მოსახლეობიდან აფხაზები მხოლოდ 90 000 არიან, მაგრამ მათ მხარს უჭერენ კავკასიის სხვა ეთნიკური ჯგუფები, რუსეთმა აფხაზეთში გაგზავნა საპარაშუტო-სადესანტო ქვედანაყოფი, „რათა უზრუნველყოს რუსების უსაფრთხოება და მოახდინოს მათი ევაკუირება. ამასთანავე, გააძლიეროს აფხაზეთის რეგიონმა რუსეთის დისლოცირებული არმიის დაცვა“. საქართველომ გაგზავნა ტანკები ამბოხების ჩასახშობად. აფხაზეთის რეგიონში საქართველომ გაგზავნა ტანკები და შვეულმფრენები. სოხუმის ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლები მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელმძღვანელი ბატონი შევარდნაძე მზად იყო მიე-

მართა განსაკუთრებული ზომებისათვის აფხაზ ექსტრემისტთა წინააღმდეგ. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე კვლავ დაირღვა. აფხაზი ექსტრემისტები მიმართავენ პარტიზანულ ბრძოლებს. ინტერფაქსის ცნობით, აფხაზთა ნაციონალისტი ლიდერი ვ. არძინბა ამჟამად იმყოფება გუდაუთაში, სადაც ხელმძღვანელობს აფხაზ ექსტრემისტთა ბანდებს. არსებობს აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილო კავკასიის სხვა ეთნიკური დაჯგუფებების ჩარევის რეალური საფრთხე. ჩეჩნეთის რესპუბლიკამ აფხაზებს დახმარება აღუთქვა. რუსეთი ამ ბრძოლაში ნეიტრალიტეტის პოზიციას ინარჩუნებს. რუსეთის არმიის ქვედანაყოფები დისლოცირებულია აფხაზეთის რეგიონში, მაგრამ უარს აცხადებს თხოვნაზე დახმარება აღმოუჩინოს მცირერიცხოვან აფხაზ ექსტრემისტებს. აფხაზმა ნაციონალისტმა ანატოლი კაპბამ განაცხადა: „რუსეთმა მიგვატოვა და ეს იქნება მეორე ლიბანი. რუსეთი ხელს უშლის ჩეჩნეთსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს დაეხმარონ აფხაზ ხალხს". შავი ზღვის არეში გამოცხადებულია „პარტიზანული ომი". საქართველოს გვარდიამ განდევნა აფხაზი სეპარატისტები სოხუმიდან. აფხაზ ნაციონალისტთა განცხადებით, ისინი დაიწყებენ პარტიზანულ ომს. საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ სცადა მოლაპარაკება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებთან, მაგრამ ამაოდ. ერთ-ერთმა აფხაზმა ნაციონალისტმა ზ აშბამ განაცხადა: „ჩვენ ვიბრძოლებთ სრულ თავისუფლებამდე ან ამოვწყდებით ამ ბრძოლაში". საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, აფხაზეთის რეგიონს, გუდაუთის გამოკლებით, მთლიანად აკონტროლებს საქართველოს გვარდია.

საქართველოს გვარდია გავიდა მეამბოხეთა ცენტრიდან. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ღამის სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება სოხუმიდან გაეყვანა საჯარისო ფორმირებანი. ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზანი იყო დაძაბულობის განმუხტვა. აფხაზეთის რეგიონში აღდგენილია ტელეგადაცემები.

„გარდიენი"

შეიარაღებული ძალების დაპირისპირება საქართველოში

საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ შეუტია სოხუმს, სადაც აფხაზი ექსტრემისტები იყვნენ გამაგრებული. რადიოს ცნობით, არის მსხვერპლი. საქართველოს ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ვითარება სოხუმში უაღრესად დაძაბულია, სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნულ გვარდიასა და აფხაზ ექსტრემისტებს შორის შეტაკება მოხდა ქალაქის ქუჩებში. არის მსხვერპლი". აფხაზეთი საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონია. მოსახლეობა ნახევარ მილიონს აღემატება. ქართველთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე აფხაზებისა.

რეგიონში წარმოებული ბრძოლები აშფოთებს შევარდნაძეს. საქართველო იბრძვის კონფლიქტის ჩასახშობად.

საქართველოს ხელმძღვანელი ბატონი შევარდნაძე იღვწის მშვიდობიანი გზით მოაგვაროს რეგიონში არსებული კონფლიქტი. მაგრამ, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე წარმოებული მოლაპარაკება კვლავ დაირღვა. „მოლაპარაკების დროსაც კი აფხაზ ექსტრემისტებს არ შეუწყვეტიათ სროლა“, — განაცხადა ნ. ჟღენტმა. აფხაზმა სეპარატისტებმა დახმარება სთხოვეს ჩეჩნეთის რესპუბლიკას. მოსკოვი გზავნის სადესანტო-საპარაშუტო რაზმებს აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და რუსი ეროვნების მოსახლეობის დასაცავად. აფხაზები არიან მთის ტომების შთამომავალნი და რიცხობრივად ქართველებზე გაცილებით ნაკლებნი არიან თვით რეგიონშიც კი. მაგრამ მათ ჰყავთ სისხლით მონათესავე ხალხი რუსეთის შემადგენლობაში შემავალ კავკასიის პატარა-პატარა რესპუბლიკებში. 1990 წ. მათ შექმნეს კავკასიელ მთიელ ხალხთა კონფედერაცია, „კონფედერაციას ჰყავს სამხედრო ფორმირებანი. მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ სამხედრო მზადყოფნა“, — განაცხადა კონფედერაციის ლიდერმა ს. შამბამ. რეგიონში არსებული რთული ვითარება აჩვენებს საქართველოს ხელმძღვანელის კურსის შეფერხებას. მას შემდეგ, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დაბრუნდა სამშობლოში, ყოველნაირად ცდილობს სეპარატისტების პრობლემის გადაჭრას დიალოგისა და კომპრომისის გზით. აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ბატონმა შევარდნაძემ მიიღო ამერიკის, გერმანიისა და თურქეთის დიპლომატიური დელეგაციები.

მოსკოვი ცდილობს არ დაუშვას საქართველოს სამხედრო მოქმედება აფხაზეთის რეგიონში

მოსკოვში პრეზიდენტმა ბ. ელცინმა მიიწვია საქართველოს ხელმძღვანელი ე. შევარდნაძე მოლაპარაკებაზე. მიწვევის მიზეზი გახლდათ საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედების მუქარა აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ. მოსკოვის შიშის საბაბია საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსის გ. ყარყარაშვილის მიერ წამოყენებული ულტიმატუმი აფხაზი სეპარატისტებისადმი. „აფხაზეთის რეგიონში ბრძოლა იქნება ნაპერწკალი, რომელიც ცეცხლში გახვევს მთელ ჩრდილოეთ კავკასიას“, — აღინიშნა მოლაპარაკებაზე. ამასთანავე, კაზაკები და ნაციონალისტური ჯგუფები რუსეთში აცხადებენ დაიცვან აფხაზეთში მცხოვრები რუსები. იქმნება სერიოზული საფრთხე მთიელ ხალხთა კონფედერაციის მხრიდანაც, რომელიც აპირებს გაგზავნოს მოხალისეთა ჯგუფები აფხაზ სეპარატისტთა დასახმარებლად. არსებობს ოფიციალური ცნობები გუდაუთაში გაგზავნილ ასობით მოხალისეთა თაობაზე. ამ პატარა ქალაქში ამჟამად იმყოფება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვ. არძინბა. რუსეთის პარლამენტის დელეგაციამ განაცხადა: „კონფედერაცია აქეზებს რუს ნაციონალისტებს ჩაერთოს საქართველოში მიმდინარე ბრძოლებში, რათა კონფლიქტს მიეცეს ინტერნაციონალური ხასიათი“. გაზეთ „პრავდის“ ცნობით, რუსი მოხალისეები

უკვე გაეშურნენ აფხაზ სეპარატისტთა დასახმარებლად. გაზეთმა „ტრუდმა“ კი ხმამაღლა განაცხადა: „რუსეთი ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, მაგრამ სანამდე და რის ფასად, ამას მომავალი გვიჩვენებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებმა განაცხადეს: შეტაკების დროს დაიღუპა 80 კაცი

მიუხედავად ელცინის მცდელობისა და საქართველოს ხელმძღვანელის შევარდნაძის შემრიგებლური პოზიციისა, აფხაზეთის რეგიონში მომხდარი უმძიმესი შეტაკების დროს უამრავი ხალხი დაიღუპა. ათასობით კავკასიელი ექსტრემისტი შეუერთდა აფხაზ სეპარატისტებს და განახორციელეს შეტევა გაგრაზე. ოფიციალური ცნობებით, მოწინააღმდეგის მხრიდან 80 მებრძოლი დაიღუპა, ქართველთა მხრიდან დაღუპულია სულ 4 გვარდიელი. მოსკოვში ბატონმა ელცინმა დაგმო კავკასიელ მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოქმედება. კონფედერაცია აერთიანებს 16 მცირე ეროვნების ხალხს და მათში თავმოყრილია „სხვადასხვა სახის ექსტრემისტთა ჯგუფები“. პრეზიდენტმა ბ. ელცინმა მათ მიუთითა: „ნუ გაერევიან სახიფათო ავანტიურაში“... და დასძინა: „მე მივიღებ გადამჭრელ ზომებს“. მას არ მიუთითებია, თუ რა სახის „ზომების“ მიღებას აპირებდა. მოგვიანებით ბატონმა ელცინმა განაცხადა: „საზღვრები გამაგრებულია და რუსეთი შეეცდება თავი აარიდოს საქართველოში მიმდინარე ომში ჩართვას“. „საქართველოს ხელმძღვანელმა ე. შევარდნაძემ თბილისში განაცხადა: „რუსეთის ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ჩვენს საკითხს. პრეზიდენტმა ბ. ელცინმა გადაწყვიტა დაამოწმოს საზღვრები საქართველოსთან“. ეს მხოლოდ ნაწილობრივი წარმატებაა. მოსკოვის უფლებები პრაქტიკულად არ ვრცელდება ჩეჩნეთზე, რუსეთის ერთ-ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაზე. ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს არის ძალიან შეიარაღებული პატარა რესპუბლიკა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე და თანაუგრძნობს აფხაზ სეპარატისტებს. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელი ე. შევარდნაძე დიალოგითა და მოლაპარაკების გზით ცდილობს განმუხტოს მეტად რთული მდგომარეობა აფხაზეთის რეგიონში. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

„ვაშინგტონ პოსტი“ შეიარაღებული ძალები გაგზავნილია საქართველოს ტერიტორიაზე

საქართველოს ხელმძღვანელმა ე. შევარდნაძემ გაგზავნა ეროვნული გვარდია აფხაზეთის რეგიონში. მას შემდეგ, რაც იგი დაბრუნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში, აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლები ყველაზე რთული გადასაჭრელი პრობლემაა. სოხუმიდან კორესპონდენტები იტყობინებიან მსხვერპლის შესახებ დაჭრილთა და დაღუპულთა სახით. ბრძოლები მიმდინარეობს

სოხუმის ქუჩებში. ეროვნული გვარდიის მიზანია გაანთავისუფლოს ქალაქი აფხაზი ექსტრემისტებისაგან და აღადგინოს მმართველობა. აფხაზეთი საქართველოს ზღვისპირა რეგიონია 550 000 მაცხოვრებლით. ღამით გამართულ პრესკონფერენციაზე შევარდნაძემ მხარი დაუჭირა 5 000 კაციანი გვარდიის გაგზავნას რეგიონში და უარყო გვარდიის დამპყრობლის სტატუსის ბრალდება, შევარდნაძემ განაცხადა: „რეგიონში უმძიმესი მდგომარეობაა. აფხაზეთი და სოხუმი საქართველოა. ამგვარად, თქვენ არ შეგიძლიათ უწოდოთ გვარდიას დამპყრობლები". „საქართველოს ეროვნული გვარდია სოხუმში დიდძალი ტექნიკით შევიდა. მათ ცეცხლი გაუხსნეს აფხაზ ექსტრემისტთა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოხალისეთაგან შემდგარმა რაზმებმა. ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დასავლეთში საგებლობს ცივი ომის დამთავრების დამხმარებლის რეპუტაციით, მაგრამ შევარდნაძეს უძნელდება დაამყაროს მშვიდობა მშობლიურ საქართველოში. საქართველომ გაგზავნა ჯარი ამბოხების ჩასახშობად. ყოფილმა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკამ გაგზავნა ტანკები და შეიარაღებული ძალები აფხაზეთის რეგიონში ექსტრემისტების წინააღმდეგ. აფხაზეთი არის შავიზღვისპირა რეგიონი საქართველოში 550 000-იანი მოსახლეობით, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ქართველია. ინტერფაქსის ცნობით, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვ. არძინბა ამჟამად გუდაუთაში იმყოფება და იქიდან ხელმძღვანელობს დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებს. აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლის პოტენციაში იკვეთება მისი გავრცელების შესაძლებლობა ჩრდილო კავკასიის რეგიონებში. პატარა ჩეჩნეთის რესპუბლიკამ დახმარება აღუთქვა აფხაზებს იმ შემთხვევაში, თუ ქართველები არ დატოვებდნენ რეგიონს. აფხაზ ნაციონალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ა. კაპბამ ვანაცხადა: „აფხაზეთში რუსეთმა დაგვიხურა საჰაერო გზა, რთა არ დაუშვას ჩეჩნეთისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების დახმარება". საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 5,5 მილიონს და მათ შორის არიან აფხაზები, ოსები და სომხები.

პარტიზანული ომის მუქარა დასავლეთ საქართველოში

საქართველოს გვარდიას ძლიერ წინააღმდეგობას უწევს აფხაზ სეპარატისტთა რაზმები. აფხაზეთის რეგიონში გამოცხადებულია პარტიზანული ომი. მოსკოვის ტელევიზიის ცნობით, სოხუმში გაჩნდა პარტიზანული ომის წარმოების ნიშნები. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, საქართველოს გვარდია შევიდა სოხუმში და შექმნა დროებითი სამხედრო მთავრობა. აფხაზეთის რეგიონში 500 000-იანი მოსახლეობიდან ეთნიკურ აფხაზთა რიცხვი 90 000-ს არ აღეატებოდა. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ქართველები. აფხაზეთის რეგიონში სახლობენ აგრეთვე სომხები, რუსები და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ დახმარება აღუთქვა აფხაზ სეპარატისტებს. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია, 4 000 შეიარაღებული მებრძოლი მზადაა დახმარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გვარდია და ბრძოლის ველად ქცეული კურორტი

კურორტი მიატოვეს დამსვენებლებმა, რათა თავი დაეღწიათ საქართველოს გვარდიასა და მეამბოხე აფხაზებს შორის მიმდინარე ომისაგან. მოწინააღმდეგე მხარეებმა თავიანთი ძალები გაიყვანეს ქალაქიდან, მაგრამ სროლები არ შეწყვეტილა. ტასის ცნობით, აფხაზეთის რეგიონში ჩავიდა რუსეთის საპარაშუტო სადესანტო ქვედანაყოფი 1.700 რუსი დამსვენებლის საევაკუაციოდ: სამი დღის შეტაკებებმა სოხუმი ბრძოლის ველად გადააქცია. იკვეთება სამოქალაქო ომის რეალური სურათი. ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა განაცხადა: „ეს იქნება მეორე ავღანეთი. ომი დიდხანს გაგრძელდება“. 35 წლის გურამმა თქვა: „მე აფხაზი ვარ, ჩემი მეუღლე კი ქართველია. არ ვიცი ვის მხარეზე დავდგე“. აფხაზეთი საქართველოს დასავლეთი რეგიონია, სადაც მოჰყავთ ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, მაგრამ განსაკუთრებით განთქმულია კურორტებით. აფხაზები კავკასიის ხალხთა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და რიცხობრივად ქართველებზე გაცილებით ნაკლებნი არიან თვით აფხაზეთის რეგიონშიც კი. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და აფხაზეთის წარმომადგენლებს შორის განახლდა მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტისა და ბუფერული ზონის შექმნისათვის. ამ დროს, როდესაც აფხაზეთის ლიდერები პოლიტიკური დიალოგის გზით ცდილობდნენ კონფლიქტის გადაჭრას, აფხაზ ნაციონალისტებს სხვა გეგმები ამოძრავებდათ. „ჩვენ დრო გვჭირდება და უნდა ვისარგებლოთ კიდეც. დაველოდებით რუსი კაზაკებისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხის დახმარებას“, განაცხადა აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ა. ამბამ.

კავკასიელი მუსულმანები ჩაებნენ საქართველოში მიმდინარე ბრძოლებში

კავკასიის პატარ-პატარა რესპუბლიკების მუსულმანი ექსტრემისტები შეუერთდნენ აფხაზ ექსტრემისტებს ქრისტიან ქართველთა განსადევნად აფხაზეთის რეგიონიდან. აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი შავი ზღვისპირა რეგიონია, სადაც უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ, ქართველთა მხარე დაიმედებული იყო აფხაზ სეპარატისტთა კაპიტულაციაში. იმედის საფუძველს წარმოადგენდა რუსეთის მტკიცე პოზიცია არ შეესრულებინა აფხაზ სეპარატისტთა თხოვნა დახმარების შესახებ... საქართველოს ხელმძღვანელობას გადამჭრელი ზომები უნდა მიეღო რეგიონში წესრიგის დასამყარებლად და სამართალდამრღვევი მოქმედებების აღსაკვეთად.

პრეზიდენტ ბ. ელცინის განცხადებით, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მშვიდობის დასამყარებლად. ასევე კატეგორიული განცხადების ძირითად საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ხელმძღვანელის ე. შევარდნაძისაგან მიღებული ინფორმაცია. კერძოდ, ინფორმაცია იტყობინება რუსეთის უკანონო შეიარაღებული ფორმირების გაერთიანებაზე ჩრდილო კავკასიისა და მთიელ ხალხთა კონფედერაციის ექსტრემისტ დაჯგუფებებთან. მათ განაბორციელეს შეტევა კურორტ გაგრაზე. მოხდა მძლავრი შეტაკება საქართველოს ეროვნულ გვარდიასა და ექსტრემისტთა დაჯგუფებებს შორის. არის მსხვერპლი. რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა განაცხადა: „მე ყველაფერს ვიღონებ, რათა ცივილიზებული და დემოკრატიული გზით ბოლო მოეღოს აფხაზეთში შექმნილ უმძიმეს კონფლიქტს“.

პაატა გვარჯალაძე

პაატა ავთანდილის ძე გვარჯალაძე დაიბადა 1975 წლის 21 მარტს თბილისში. სწავლობდა 101-ე საშუალო სკოლაში.

1992 წლიდან სამხედრო კომენდატურაშია. მარტში პაატა თანამებრძოლებთან ერთად უკვე ზუგდიდშია. ზუგდიდიდან დაბრუნების შემდეგ შეუერთდა სამხედრო პოლიციას და 1992 წლის ოქტომბრიდან სამხედრო პოლიციის შემადგენლობაში იბრძოდა სოხუმში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

1993 წლის აპრილში გაიწვიეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის „შავნაბადას“ ბატალიონში.

1993 წლის 2 ივნისს ბატალიონის ნაწილთან ერთად პაატა გვარჯალაძე გაგზავნილი იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში. 2 ივლისს მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმის დროს სოფელ ტამიშთან მოხდა სასტიკი შეტაკება, სადაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გმირული ბრძოლით გზა გადაუღობეს მტერს და გადაარჩინეს სოხუმი, საქართველოს ბედი.

2 ივლისს სოფელ ტამიშთან ბრძოლაში სხვა ქართველ ვაჟკაცებთან ერთად გმირულად დაიღუპა პაატა გვარჯალაძე, რომლის ხანმოკლე ბიოგრაფია გასრულდა ზეციურ საქართველოსთან შეერთებით.

პაატა გვარჯალაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული ძამაცობისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი გვრიტიშვილი

გოდერძი შაქროს ძე გვრიტიშვილი დაიბადა 1964 წელს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ შეხვეტილაში.

1971 წელს შევიდა დაბა მანგლისის № 1 საშუალო სკოლაში, დაამთავრა 8 კლასი. 1979 წელს ჩაირიცხა თბილისის ლესელიძის სახელობის საშუალო სამხედრო სკოლაში, რომელიც 1980 წელს დაამთავრა წარჩინებით. 1986 წელს დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი. განაწილებული იყო სამსახურად უკრაინის ქალაქ კოველში და ლეიტენანტის წოდებით დაინიშნა ოცეულის მეთაურად.

1989 წელს მიენიჭა კაპიტნის წოდება და დაინიშნა დივიზიონის უფროსად.

1991 წელს მიენიჭა მაიორის წოდება და დაინიშნა საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსად.

1992 წელს საქართველოში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით საკუთარი თხოვნით განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ამავე წლის 3 ოქტომბრიდან დაინიშნა ახალგაზრდა მებრძოლი კადრების მომზადების სასწავლო ცენტრის უფროსად თბილისის ზღვაზე.

1992 წლის 8 ნოემბრიდან დაინიშნა სწრაფი რეაგირების კორპუსის № 1 ბრიგადის შტაბის უფროსად, პარალელურად ასრულებდა ოპერატიული განყოფილების უფროსის მოვალეობას ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით.

1993 წლის 13 იანვარს დილის 6 საათზე აფხაზეთში სოფელ აგუძერაში ალყაში მოქცეული ბატალიონის დასახმარებლად ესკადრილიის მეთაურთან ბაქარ მაგამედოვთან ერთად იგი აფრინდა შვეულმფრენით ცაში, რომელმაც 2 საბრძოლო შეტევის განხორციელების შემდეგ ტყვია-წამლის უკმარისობის გამო

გეზი აიღო ჩვენი პოზიციებისაკენ. შვეულმფრენი მტრის სითბურმა რაკეტამ ააფეთქა. ვიცე-პოლკოვნიკი გოდერძი გვრიტიშვილი და მაიორი ბაქარ მაგამედოვი დაიღუპნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცე-პოლკოვნიკი გოდერძი გვრიტიშვილი დაკრძალულია დაბა მანგლისის სიონის ტაძარში.

1994 წლის 15 თებერვალს მას მიენიჭა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენი.

ლამარა აბესაძე.

* * *

...თუკი ვიტყოდე
სამშობლოს სათქმელს,
მეც ავენთები
მცირე ცვილადო.
მზე ჩემი წილი
ნაფრქვევი სარკმელს
ისიც სამშობლოს მივუწილადო!

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია
გიგაური

დაიბადა 1968 წლის 21 იანვარს, გორის რაიონის სოფ. ბერბუკში. 1974 წელს შევიდა ამავე სოფლის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

1986-88 წლებში მსახურობდა ჯარში.

1988 წელს სწავლა განაგრძო ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1992 წლის 10 ოქტომბერს მე-5 კურსის სტუდენტი გია გიგაური თავის სამ მეგობართან ერთად მოხალისედ წავიდა აფხაზეთში სამშობლოს დასაცავად.

26 ოქტომბრის დილა გიასთვის საბედისწერო აღმოჩნდა: დაიღუპა სოფ. ტამიშთან ვერაგი მტრის ხელით ნასროლი ტყვიით.

გია 26 ოქტომბერს უნდა დაბრუნებულიყო სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბაკურ
გიგლემიანი

დაიბადა 1964 წლის 4 მაისს მესტიის რაიონის სოფელ წვირმიშში.

1968 წელს გადავიდა საცხოვრებლად ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში. 1980 წ. ამავე სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა, 1982-84 წლებში მოიხადა სამხედრო ვალდებულება. 1984 წელს ჯარმოვლილმა ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი. 1992 წლის 3 სექტემბერს მოხალისედ ჩაეწერა ოჩამჩირის გვარდიის № 4 ბატალიონში, მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში — იფნარში, განთიადში, სოხუმის მისადგომებთან და ტამიშის განთავისუფლებაში. ბაკურ ბიძინას ძე გიგლემიანი თანამებრძოლებში ცნობილი იყო როგორც პატრიოტული გრძნობით აღსავსე, სამშობლოსათვის თავდადებული უშიშარი მეომარი.

1992 წლის 18 ნოემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს იგი მოექცა მტრის ალყაში. რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ მეგობრებთან ერთად გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

დედისერთა ბაკურ გიგლემიანის მშობლების იმედად დარჩნენ მისი მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ გოგელაშვილი

გრიგოლ (გია) შალვას ძე გოგელაშვილი დაიბადა 1951 წლის 1 სექტემბერს.

გრიგოლ (გია) შალვას ძე გოგელაშვილი ცხოვრობდა და მუშაობდა მახარაძის ნავთობბაზაში, მახარაძიდან გაწვეული იყო 23 ოქტომბერს. იბრძოლა აფხაზეთში, სოფელ ფსხუში. ნაოპერაციებმა გოგელაშვილმა არ უღალატა მეგობრებს და ბრძოლის ველს მიაშურა. შვიდეული დახვრიტეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ
გოგიჩაიშვილი

დაიბადა თბილისში, 1963 წლის 25 ნოემბერს, ღარიბი კაცის ოჯახში, დედამისი შუშანა გოგიჩაიშვილი კარდანახის უპატრონო ბავშვთა სახლში გაიზარდა. თან ის ქმარმა მიატოვა და ერთადერთი შვილი სიმწრით გაზარდა.

ზურა ნაძალადევში მე-12 საშუალო სკოლაში სწავლობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო არასაუწყებო სკოლაში. 1982 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 1984 წელს მუშაობას იწყებს მილიციაში. 1986 წელს ჩაირიცხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ისნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში უბნის ინსპექტორად, სწავლაში აკადემიური წარმატებებისათვის, სიმამაცისა და ოპერატიულობისთვის ბევრჯერ იყო წახალისებული.

მილიციის ლეიტენანტი ზურაბ გოგიჩაიშვილი გმირულად დაიღუპა ცხინვალში 1991 წლის 11 იანვარს მამულიშვილური, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. არადა, კიდევ რამდენ სიკეთეს დათესდა ეს შესანიშნავი ვაჟკაცი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გოგიშვილი

დაიბადა 1967 წ. 15 მაისს გორის რაიონის სოფელ ერედვში, სკოლა იქვე დაამთავრა. შემდეგ სამხედრო ვალდებულება მოიხადა გერმანიაში. დაბრუნების შემდეგ სწავლა დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1992 წ. გაზაფხულზე მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მწარედ ვიხსენებ იმ საშინელ დღეებს. გურამი თბილისში იმყოფებოდა. 12 რიცხვში დაბრუნდა სოფელ ერედვში, გადმოვიდა თუ არა მანქანიდან, მოესმა დიდი სროლის ხმა, თავის ათეულს უბრძანა სასწრაფოდ წასულიყვნენ და დაეცვათ სოფელ ნიქოზის ტერიტორია. თვითონ კი აიღო თავისი იარაღი და გაეშურა სოფელ ფრისში, სადაც ასევე ცხელი წერტილი იყო. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის წუთები, სახლში რომ შემოვიდა. თავის შვილსაც ვერ მოეფერა, პატარა კახას. და ვერც თავის ოჯახის წევრებს. ისე სწრაფად გავიდა სახლიდან, რომ საჭმელიც არ ჭამა, ისე უყვარდა თავისი მიწა. თითქოს სიკვდილი ეძახდა, მივიდა თუ არა სოფელ ფრისთან, მეტად მძიმე მდგომარეობა დახვდა, შევარდა ომში და მტერს პირისპირ შეებრძოლა, ერთი დაჭრილის გამოყვანა მოასწრო, მეორედ შევიდა შიგნით, რადგან დაჭრილები იყვნენ, მაგრამ მოასწრო მტერმა და ორივე ფეხში დაჭრეს. არ უნდოდა მტერს ცოცხალი ჩაჰბარებოდა გურამი იხვეწებოდა მომკალითო, ამათ ხელში ცოცხალს ნუ ჩა-

მაგდებთო, ან იარაღი მომეცით და მე თვითონ მოვიკლავ თავ-სო. იცოდა მტერი თუ ცოცხალს ჩაიგდებდა ხელში, წამებით ამოხ-დიდნენ სულს. იქვე, თვითონაც დაჭრილი, მისივე თანასოფელელი ... ...შიძე მოვარდა და გურამის გამოყვანას ცდილობდა, დიდი გზა ... ...ვავლილი, რომ ცოტა შეისვენეს, სამშვიდობოზე ვართ გამოსულიო. ვასია წა-მოდგა, მიიხედ-მოიხედა, რომ გზა დაენახა, მაგრამ მტერი იქვე ყოფილა ჩასაფ-რებული და სიცოცხლეს გამოასალმეს უცოლშვილო 28 წლის ვაჟკაცი ვასია ღამბაშიძე. ნათელი მის ხსოვნას! არასოდეს დავივიწყებ მას, ისიც ჩემი ძმა იქ-ნება. მტრები მაშინვე მივიდნენ იმ ადგილას და ნახეს, რომ გურამი დაჭრილი აიყვანეს. ორივე ერთად დაყარეს სოფელ ფრისის ტრიალ მინდორზე, მტერმა კიდევ ექვსი ვაჟკაცი დაჭრა, ჯერ სადისტურად აწამეს, შემდეგ ცოცხლები და-ალაგეს და დაწვეს. იწვოდნენ ცოცხლად ვაჟკაცები! ასე დაამთავრეს სიცოცხლე გმირმა ვაჟკაცებმა თავიანთი მიწა-წყლისათვის. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ სამი დღე-ღამე ჭირისუფლები ცარიელ შარვალ-კოსტუმს დავტირო-დით, რადგან მიცვალებულებს არ გვაძლევდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, მტერმა გვამები დაგვიბრუნა. გურამი დამწვარი დაგვიბრუნეს, იმ დღეს, როცა გურამის ღაბადების დღე ჰქონდა — 26 წელი შეუსრულდა, ერთი ღამე იყო საკუთარ სახლში და მეორე დღისით კი მივაბარეთ მისი ეზოს მიწას. მას სახლში დარ-ჩა დედ-მამა, ცოლი, ერთი წლის ბიჭუნა — კახა, ორი ძმა, რომლებიც შინაგან მილიციაში მუშაობენ, ერთადერთი და, ცხრა აპრილს მოწამლული, ამჟამად მე-ორე ჯგუფის ინვალიდი ნინო ონიანი.

ჩემო ქართველო ხალხო, ძმას ადგილს შევუცვლი, მე აიღებ იარაღს ხელ-ში, მტერს წინ დავუდგები ვაჟკაცურად. ნურავის ეგონება, რომ რაკი ქალი ვარ, ვაჟკაცზე ნაკლებად ვიომებ! ოღონდ საქართველო განთავისუფლდეს მტრისგან, დამიძახეთ, თქვენს გვერდით ვარ თქვენი მონა-მორჩილი.

ნინო ონიანი.

გელა გოგიშვილი

ლამაზი, შინაარსიანი, მაგრამ ძალიან ხანმოკლე ცხოვრების გზა განვლო გელა გოგიშვილმა. მან სულ 21 წელი იცოცხლა.

იყო კეთილშობილი, მოკრძალებული, უფროსებთან მორიდებული, ამხანაგური, მეგობრული, დედ-მამისა და ძმის მოყვარული.

ბავშვობიდან დალუპვის დღემდე მას არ მოუსვენია. 1977 წ. შევიდა დიღმის საშუალო სკოლაში. პარალელურად დადიოდა ყოფილ პიონერთა სასახლეში — ქორეოგრაფიულ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1981 წლის 8 ივნისს. 3 წელი ცეკვავდა ანსამბლ „ნაკადულში". 1985 წელს 15 ივნისს მცხეთის რაიონში ჩატარდა საკავშირო სამხედრო-სპორტული შეჯიბრება. გელას ხელმძღვანელობით რაიონში პირველი ადგილი დაიკავა დიღმის საშულო სკოლამ. 1988 წელს გელამ დაამთავრა დიღმის № 1 საშ. სკოლა. ამავე წელს გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, მაგრამ ქულების უკმარისობის გამო ვერ ჩაირიცხა.

ამის შემდეგ გელამ გულზე ხელი რიდი დაიკრიფა და უსაქმურად რიდი გაატარა დრო. ის 1988 წლის აგვისტოდან 1989 წლის დეკემბრამდე მუშაობდა სოფ. დიღმის მეურნეობაში ტრაქტორისტად, ამავე წლის 27 იანვარს მცხეთის რაიონის სამხედრო კომისარიატმა გელა მძღოლის სპეციალობის დასაუფლებლად გაგზავნა „დოსაფის" სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1989 წლის 20 ივნისს. იმავე წელს ჩაბარა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და ჩაირიცხა ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის დასწრებულ განყოფილებაზე. გელა სწავლას შესანიშნავად უთავსებდა ფიზიკურ წვრთნას. ეუფლებოდა სპორტის სხვადასხვა სახეს — ცურვას, ჭიდაობას, კრივს, კარატეს.

როცა ჩვენს სამშობლოს გაუჭირდა, გელამ გადაწყვიტა საბუთები გადაეტანა დაუსწრებელზე. მესამე კურსის სტუდენტი ყოველგვარი ყოყმანის გარე-

შე ჩაირიცხა ეროვნულ გვარდიაში, „თეთრი არწივის“ მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონში.

თავდაუზოგავად იბრძოდა სამაჩაბლოში. აქაც გამოირჩეოდა ... ნით და საქმის ერთგულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის 13 ივნისს უმუხთლა გელას ბედმა, ერთ-ერთი ოპერაციის ჩატარების დროს მუხანათი მტრის ტყვიამ გაუგმირა ის ვაჟკაცური გული, რომელიც სამშობლოსადმი ერთგულებით უფეთქავდა.

დატოვა გელამ უნუგეშო დედ-მამა, ერთადერთი ძმა და ორი წლის ძმისშვილი თორნიკე, ერთგული მეგობრები და მისი აღმზრდელი მასწავლებლები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვარდათ გელა.

ნათელში იყოს შენი სული, ფიზიკურად და სულით ლამაზო საქართველოს გმირო ჭაბუკო! უმრავლოს ღმერთმა ჩვენს სამშობლოს გელასნაირები!

კვლავაც გადავიხდით ჟირღილებს...

„ლტოლვილი“ თუ „ძალით გადაადგილებული“

დღეს მე „ლტოლვილს“ მიწოდებენ.

ლტოლვილი...

ზოგიერთმა „იძულებითი გადაადგილებული“ შემარქვა.

იძულებით გადაადგილებული...

თუმცა, რა ბედენაა ვინ რას შემარქმევდა, ერთი რამ ფაქტია: სახლ-კარი ჯერ გამიძარცვეს, მერე გადამიწვეს.

და დავრჩი ღია ცისქვეშ.

განა მხოლოდ მე? — მარტო ჩემზე რომ იყოს საუბარი, კრინტსაც არ დავძრავდი. სხვებს რომ ულხინდეთ, ვის გვერდითაც მთელი ჩემი ცხოვრება გამიტარებია, მეც ბედნიერად ჩავთვლიდი თავს. მაგრამ, საუბედუროდ, ისინიც ჩემს დღეში არიან. მოძმეთა ნაწილზე მოგახსენებთ, თორემ, რაც ბევრ მათგანს სჭირს, თქვენს მტერს, — ვანდალურად დახოცეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ... მთელი ის არაადამიანური აქცია, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ჩრდილოკავკასიელმა ბანდიტებმა განახორციელეს, სწორედ რომ ქართველთა რიცხვის შემცირებას ისახავდა მიზნად.

სკეპტიკურად ვუყურებ ამ მონაცემებს, ჩვენი საინფორმაციო საშუალებები რომ ავრცელებენ. ზოგი ამბობს, 1500 კაცი დაიღუპაო, ზოგი — ორი ათასიო, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გაგრის ზონაში — კერძოდ, კოლხიდაში, თვით ქალაქ გაგრაში, განთიადში, ხეივანსა და ლესელიძეში, — ქართველთა ნამდვილი ჟლეტა მოეწყო. სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ქართველს მუსრი გაავლეს. გადაწვეს თითქმის ყველა ქართველის ეზო-კარი. თითქმის-მეთქი, რადგან თუ ქართველის მეზობლად აფხაზის, რუსის ან სომხის სახლი იდგა, არ წვავდნენ, არიქა, ისინი არ დაზარალდნენო. თუმცა, არც ასეთ გარემოცვაში მყოფ ქარ-

თულ ოჯახებს ინდობდნენ — ჯერ გაძარცვავდნენ, მერე აფეთქებდნენ ან უბრალოდ ანგრევდნენ, თან ყოველივე ამას პატრონის თვალწინ სჩადიოდნენ.

ესეც გამიზნულად კეთდებოდა — ქართველების ბუდე უნდა მოეშალათ, რომ უკან დაბრუნება ფიქრშიაც არ გაევლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ყოველივე ეს რა მოსატანია იმ დიდ ტკივილთან შედარებით, რასაც ადამიანთა ულეტა წარმოშობს ხოლმე...

თვალის ერთი გადავლებით

ერთმა ჩემმა ახლობელმა, ჩემსავით ბუდემოშლილმა, ამასწინათ მითხრა — როდის იქნება ჩვენს უბანში ქორწილს ვიხდიდეთო.

ცხადია, მომხდარით დამეხილსა და გატიალებულს ქორწილზე ფიქრის თავი სადა მქონდა, მაგრამ ჩემი თანასოფლელის ნათქვამმა თითქოს კიდევ უფრო თვალნათლივ დამანახა მთელი ის უბედურება, რაც კოლხიდელებს და არა მარტო კოლხიდელებს დაგვატყდა თავს.

მოდი, გამომყევი, ჩემო მკითხველო, და თვალის ერთი გადავლებით შეგახედებ ჩემს კუთხეში, სადაც ერთ დროს სიცოცხლე ჩქეფდა, როგორც იტყვიან, ღუღდა და გადმოდიოდა.

დაწვეს ვლ. კუჭუხიძის, მ. ახალაძის, ა. ახალაძის, ო. დოლბაიას, გ. ძნელაძის, ჩემი, ჩემი ძმის გ. ხუნდაძის, მ. ახალაძის, პ. მახათაძის, შ. აბესალაშვილის, ტ. პაპავას და სხვათა და სხვათა სახლები.

იქვე, ტ. პაპავას ყოფილ ეზოში, დგას აფსუა კ. ხაგბას სახლი. იმ სახლს, როცა მისი პატრონი გუდაუთაში იყო გაქცეული და ქართველთა წინააღმდეგ ცარალით იბრძოდა, ქართველი მეზობლები დარაჯობდნენ. ახლოსაც არავინ გაკარებ. თუმცა, აფსუებმა და მათმა დაქირავებულმა ბანდიტებმა ქართველთა ოჯახები მაინც არ დაინდეს. მტერმა და დუშმანმა ასე იცის მადლის გადახდა.

ვიმეორებ, სახლების დაწვაზე ვინ იწუწუნებდა, ხალხი რომ არ გაეჟლიტათ. არადა, მოკლეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები: 10 წლის გოგიტა უშვერიძე, მისი ბიძა და ბიძაშვილი, 29 წლის გია ფირცხალავა, 40 წლის რომან მეფარიშვილი, ხანდაზმული ვალიკო აფშილავა, ჯვებე კუჭუხიძე. მკითხველმაც შემინდოს და იმ დაღუპულთა სულებმაც, ვის ხსენებასაც მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო აქ ვერ ვახერხებ. მე ამათზე მოგახსენებთ, ვინც ჩემს ნეზობლად, სულ რაღაც ნახევარი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობდა. თორემ მთელ კოლხიდაში და, მით უმეტეს, გაგრის ზონაში განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთ რას ჩამოვთვლი.

სამწუხაროდ, იმ ქართველთა დევნა-შევიწროება, რომელთაც თავს გაქცევით უშველეს, კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონშიც გრძელდება: დადასტურებულია, რომ ამ რეგიონში დაძრწიან აფხაზ-ჩეჩენთა და სომეხთა ჯგუფები, ქართველებს უწყობენ რეკეტს, ართმევენ, რაც კი შერჩენიათ, ზოგიერთებს კი უკან აბრუნებენ, ცხადია, არა კეთილი განზრახვით.

იქნებ ხელისუფლებამ შესძლოს ლტოლვილთა დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და ისედაც მიწასთან გასწორებულ ადამიანებს მეზობელი ქვეყნის მიწაზე მაინც არ ემუქრებოდეს საფრთხე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზი თუ „აფსუა“

ცოცარია: როცა აფსუებს ვეუბნებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-1, საუკუნეში ხართო ჩამოსული ბარში, ქვას აგდებენ ხოლმე და თავს შეუშვერენ — აბორიგენები ვართ. ჩვენი მამა-პაპა ამ მიწაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობსო. მთიელ ხალხთა კონფედერაციაში კი, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულნი შევიდნენ. ორიდან ერთია, აფსუები მართლა ოდითგანვე ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ბარის ხალხია და არაფერი საერთო მთის ხალხთა კონფედერაციასთან არ შეიძლება ჰქონდეთ, ან არადა, ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიური ტომია და ხსენებულ კონფედერაციაში მათი ყოფნა უპრიანია.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება გაგრელი ამირან ბაბუაძის ნაამბობი.

ამირანი მომღერალთა აფსუურ გუნდში დოლს უკრავდა. ამ ათი-თორმეტი წლის წინ ასამბლი ჩრდილოეთ კავკასიაში მიიწვიეს, დააბინავეს ქ. ჩერკესკის ერთ-ერთ სასტუმროში, საიდანაც აულებში დაჰყავდათ კონცერტების გასამართავად. ამირანმა მითხრა, ერთი საღამო კონცერტი ქალაქის მახლობლად მდებარე სოფელ აფსუაშიც გავმართეთ (ვფიქრობ, ამ სოფლის სახელწოდებაც მჭევრმეტყველურად მიუთითებს აფსუათა წარმომავლობის ადგილზე).

კონცერტების განზრახული სერია რომ ჩაუტარებიათ, მასპინძლებს გამოსათხოვარი სუფრა გაუშლიათ. ამ კულტურული ღონისძიების გაგრელ ხელმძღვანელებს, ცნობილ სეპარატისტ ლაკერბაიას მასპინძლებისთვის უთქვამს: — ჩამობრძანდით გაგრაში, გულთბილად მიგიღებთ, მიწებსაც გამოგიყოფთ და კიდევაც დაგასახლებთო.

ამაზე ერთ ხანდაზმულ აფსუას უპასუხნია: ჩვენ კი არ უნდა ჩამოვიდეთ თქვენთან, თქვენ უნდა ამოხვიდეთ, რადგან თქვენა ხართ აქედან წასულებიო.

ეს იმისთვის გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი: ყოველივე, რასაც ახლა ახორციელებენ არძინბა და მისი ბანდა, ათწლეულების წინ იყო ჩაფიქრებული (აკი არაერთი ფაქტი გამოვლინდა, როცა ჩეჩნეთის ბევრი მოქალაქე გაგრელ ქართველთა სახლებში ისე აღმოჩნდა ჩაწერილი, რომ სახლის ბოლობელებმა არაფერი იცოდნენ) და ერთხელაც დასტურდება, თუ სად არის აფსუათა სამშობლო.

თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მათ შორის ბევრია ჭეშმარიტი აფხაზი, ესენი არიან შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, ინალაშვილები და სხვები, რომლებიც დროთა განმავლობაში იქცნენ ჩაჩებად, აჩებად, ინალ-იფებად და სხვ.

აფხაზეთში ამგვარი რამ (ე. ი. გვარების, მაშასადამე ეროვნების, გამოცვლის შემთხვევები) იშვიათობას რიდი წარმოადგენს. ამის თვალნათელი მაგალითია შემდეგიც: გაგრაში ცხოვრობს თურქული წარმოშობის გვარის — ბე-

ფიოლლის მრავალრიცხოვანი ოჯახი. სულ რამდენიმე წლის წინ ცნობილი სეპარატისტისა და ქართველ აფხაზთა შორის შუღლის ჩამოგდების ერთ-ერთი ინიციატორის, დედით ქართველი ენვერ ქაფბას (ისიც თურქია წარმომავალი — ქაფოლლის) ძალისხმევით ამ გვარის წარმომადგენელთა ნაწილი ჩეფიოფად ჩაეწერა. მაშასადამე, აგერ გუშინ, ჩვენს თვალწინ კიდევ ერთი თურქი გააფხაზდა!

სწორედ ესენი და მათნი მსგავსნი ეწევიან ახლა გაგრაში ქართველთა გენოციდს.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ.

მე თუ მკითხავთ, აფხაზეთში ავტონომიის შენარჩუნების არავითარი საფუძველი არ არსებობს. თუ ჩვენმა ახლადარჩეულმა პარლამენტმა არ სძლია გარეშე ძალის (ცხადია, რუსეთს ვგულისხმობ!) წინაშე მოკრძალების (იქნებ სჯობდეს — შიშის) გრძნობას და არ აღადგინა ისტორიული სიმართლე — აფხაზეთი საქართველოს ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორიც ნებისმიერი სხვა კუთხე — და უსაფუძვლო ავტონომია კუთხეში ახლავე არ გააუქმა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი მომავალი თაობის უამრავი წარმომადგენელი კვლავაც შეეწირება სეპარატისტთა წინააღმდეგ გაუთავებელ ბრძოლებს.

და მაინც

ბოლო დროს ხშირად გაისმის მოწოდება — გაგრელებო, დაბრუნდით აფხაზეთში და გაგრის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეთო.

ორი აზრი არ არსებობს — ეს ასეც უნდა მოხდეს. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: თქვენ დალოცვილებო, ყველანი იქ ვიყავით, კოლხიდაც ჩვენი იყო, გაგრაც, ხეივანიც, ლესელიძეც, იქ გვყავდა ცოლ-შვილი, და-ძმები, ნათესავ-მეგობრები, გვქონდა ოჯახები, უძრავ-მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი, მოგეხსენებათ, ადამიანს გასაოცარ სტიმულს აძლევს, აასკეცებს მის შესაძლებლობებს, მაშინ მოწოდებაც არავის სჭირდებოდა, ყველანი მზად ვიყავით თავგანწირულად შევბრძოლებოდით მტერს, მაგრამ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ეს ძალა გამოეყენებინა, გაერთიანებინა მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ კი გაგრა უნდა დავიბრუნოთ.

უეჭველად დავიბრუნებთ, თუ ერთ მუშტად შევიკვრებით.

დავიბრუნებთ, კვლავ გავაჩაღებთ კერებს.

და ქორწილებსაც გადავიხდით. ჩვენებურ, უხვ პურ-ღვინიან და ხალხმრავალ ქორწილებს.

ნოდარ ხუნდაძე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 ნოემბერი, 1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან (ამუკა) გოგოხია

ამირან (ამუკა) ანატოლის ძე გოგოხია დაიბადა 1976 წელს სოფელ ლესელიძეში. სკოლის შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის ავტო-საგზაო ტექნიკუმში. ის იყო პირველი კურსი უნდა დაეხურა, რომ გაგრა-ლესელიძეში ომის ღრუბლები ჩამოწვა. სამშობლოსა და მშობლიურ სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, ჯერ კიდევ არასრულწლოვანმა ამუკამ, ეროვნული გვარდიის რიგებში რომ მიეღოთ, პასპორტში დაბადების წელი 1976 1974 წლად გადააკეთა (საკუთარი ხელით) და ავტომატით ხელში პირველი დღიდანვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში ჩადგა. „ავაზას“ 114-ე ბატალიონის ბიჭებში ასაკით ყველაზე პატარა ამუკა უშიშრად ასრულებდა ყველა საბრძოლო დავალებას. მაშინაც, როცა მტერი მისი მშობლიური სოფლის საზღვრებს მოადგა და ბევრმა მისმა თანამებრძოლმა გაქცევით უშველა თავს, ამუკას წარბიც არ შეუხრია, ისე გაიხიზნა ტყეში პარტიზნად.

1992 წლის 6 ოქტომბერს კი, როდესაც საქართველოს საზღვარს გადამთიელები დაეპატრონენ, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ძლივს გამოაღწია ტყიდან. მშობლიური ქალაქისა და სოფლის დაკარგვის შემდეგ სულ დაკარგა მოსვენება და ამჯერად ოჩამჩირეში გადაინაცვლა. აქაც ბევრჯერ ისახელა თავი ბატალიონის პატარა ამუკამ, რისთვისაც ზემდეგის წოდება მიიღო.

მრავალი საბრძოლო ოპერაციიდან ბატალიონთან ერთად გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ უბოროტესმა ტყვიამ დედისერთა ამირან (ამუკა) გოგოხია 1993 წლის 23 თებერვალს სოფელ ტამიშთან გამოასალმა წუთისოფელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურთაზ
გოგსაძე

მურთაზ გურამის ძე გოგსაძე, დაბადებული 1966 წლის 29 ნოემბერს ბაღდადის რაიონში, განათლება — ტექნიკური, ცოლშვილიანი.

1983 წელს დაამთავრა მაიაკოვსკის სახელობის ბაღდადის საშუალო სკოლა, 1985 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კოოპერატიულ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობდა ქ. ბაღდადში ავეჯის მაღაზიის გამგედ.

1993 წლის 25 იანვარს მოხალისედ შეავიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში“. 25 თებერვალს ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს სოფელ ტამიშთან ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

დასაფლავებულია ბაღდადში გოგსაძეების საგვარეულო სასაფლაოზე.

* * *

ომში უმყოფელს ვაშკაცსა
ომი უბრალო ჰგონია,
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
ფარიკაობა გონია.

ხალხური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა
გოგოლაძე

დაიბადა 1965 წლის 17 აგვისტოს ხაშურის რაიონის დაბა სურამში. 1982 წელს დაამთავრა სოფ. იტრიის საშუალო სკოლა. 1983 წ. ჩაირიცხა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ინსტიტუტიდან გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა ბელორუსიაში, სადაც გაიარა ექვსთვიანი სამედიცინო კურსები. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო აღნიშნულ ინსტიტუტში და 1990 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი. სპეციალობით — ფიზიკური კულტურა და სპორტი, დაუსწრებელი განყოფილება.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: სურამის დიმიტროვის სახელობის საბავშვო სახლში ფიზკულტურის მასწავლებლად, სურამის II საშ. სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, სურამის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში — მასაჟისტად. იყო ოსტატობის კანდიდატი ძალოსნობაში.

როცა სამშობლო განსაცდელში ჩავარდა, იგი უყოყმანოდ დადგა მის დამცველთა რიგებში. გვარდიის ხაშურის მე-20 ბატალიონის ოფიცერი, შტაბის უფროსი ყოველთვის იყო იქ, სადაც სამშობლოს უჭირდა.

საბოლოოდ გადამთიელის ტყვიამ 1993 წლის 3 იანვარს განგმირა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა
გოგოჩიშვილი

გოჩა სამსონის ძე გოგოჩიშვილი დაიბადა 1967 წლის 27 აპრილს დედოფ-ლისწყაროში. სკოლაში შევიდა 1974 წ. დაამთავრა მირზაანის რვაწლიანი სკოლა, შემდეგ — ჯაფარიძის სახელობის პროფტექნიკური სასწავლებელი. მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1985 წელს შეეიდა რუსთავის 104-ე პროფესიულ ტექნიკუმში, დამთავრების მერე მუშაობდა აზოტის ქარხანაში. ჰყავდა დედა და და. იყო უცოლშვილო.

გოჩა მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის რუსთავის ბატალიონში.

აფხაზეთის რეგიონში პირველი დღეებიდანვე მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში.

ეშერაზე ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს გმირულად დაიღუპა 1992 წლის ოქტომბერს.

სამშობლო არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს — გოჩა გოგოჩიშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა
გოგუა

ზუგდიდის შოთა რუსთაველის სახელობის № 3 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე იყო კობა გოგუა, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო. მისი უფროსი ძმა ბესო და ბიძა მერაბ გოგუა დაუყოვნებლივ ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. მოხალისედ ჩაეწერნენ ბატალიონ „ავაზაში". პატარა კობა სახლიდან გამოიპარა და მათ შეუერთდა, მარიალია, მას უფროსები სახლში დაბრუნებას ურჩევდნენ, მაგრამ ჩვენი გმირი ვაჟკაცობით ტოლს არავის უდებდა. იმ ავადსახსენებელ 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დღეს, გაუჩინარდა. 9 დღის შემდეგ გაიგეს ახლობლებმა, რომ აფხაზეთის ზონაში, სადაც ჩვენები ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას, 21 ჩვენი დალუპული მეომარი ერთად ჰყავდათ ორმოში ჩაყრილი. ერთმა აფხაზმა „ბოევიკმა" ერთი მილიონი მანეთი მოითხოვა და პირობა დადო, რომ ტრაქტორს მოიყვანდა და იპოვნიდა კობას გვამს. როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ორმო იყო, დაიწყეს ამოთხრა. ამ საზარელი სურათის შემხედვარე ჭირისუფალს არაადამიანური ძალა მიეცა, აფხაზს თავში რკინა ჩაარტყა, ავტომატი ხელიდან გამოგლიჯა და ხელებით დაახრჩო სხვის ფულს და სხვის უბედურებას დახარბებული არაკაცი.

პატარა კობას ცხედარი ხელში აყვანილი ტყე-ტყე გამოიასვენეს და ქრისტიანული წესით ზუგდიდში საგვარეულო სასაფლაოზე დაასაფლავეს.

ნარგიზა ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგაძე

დაიბადა 1948 წელს, 7 იანვარს თბილისში. დაამთავრა თბილისის მეთორმეტე საშუალო სკოლა. 1965 წლიდან ვარჯიშობდა ეგნატაშვილის სახელობის სპორტსკოლაში სპორტულ ტანვარჯიშის სახეობაში. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

1967 წელს გაიწვიეს საყოველთაო სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამუშაოზე.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი (ზემდეგი).

დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ გაგრაში.

* * *

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

ი ლ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გულივერ
გორგოძე

გულივერ გივის ძე გორგოძე დაიბადა 1957 წლის 10 დეკემბერს, ბაღდადის რაიონის სოფელ ზედა ზეგანში. ამავე სოფლის საშუალო სკოლა დაამთავრა 1975 წელს. 1977 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში. შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. იქიდან დაბრუნების შემდეგ, 1980 წელს მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის № 1 ტრამვაის პარკში მძღოლად. 1982 წლიდან 1992 წლის 24 სექტემბრამდე მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხანაში მეხანძრედ. აქედან გაიწვიეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამხედრო ხაზით — ამ კურსებზე 90 დღე დაჰყო. 1992 წლის 25 სექტემბერს ჩარიცხულ იქნა ქ. ქუთაისის მოხალისეთა მეოთხე ბატალიონში. 1 ოქტომბერს გადაიყვანეს გაგრის ზონის დაბა განთიადში. იყო ოცმეთაური. 1992 წლის 2 ოქტომბერს მოყვა გაგრის ტრაგედიაში. გმირულად დაიღუპა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

გულივერი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ ბედმა აქაც უმუხთლა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავმა ვაჟკაცმა სამშობლოს წინაშე ეს ნოვალეობა ვერ მოიხადა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბახვა
გოგოლაძე

ბახვა კავერდის ძე გოგოლაძე, დაბადებული 1961 წლის 25 ივლისს ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთში, განათლება — უმაღლესი, ცოლშვილიანი.

1967-78 წლებში სწავლობდა სოფელ მანდაეთის საშუალო სკოლაში.

1980-82 წ. გაწვეული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისში საქართველოს სამშენებლო სამმართველოში სმპ-ში, „მაღალმშენში" და პარალელურად სწავლა გააგრძელა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე.

1989 წლიდან შევიდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის რიგებში, შემდეგ ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის „ავაზას" ბატალიონში, მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

1992 წლის 26 დეკემბერს დაიღუპა აფხაზეთში, სოფელ ლაბრაში, ერთ-ერთი შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაჭრილი ბიჭებს შეძახილებით ამხნევებდა და, როგორც ჭეშმარიტი ვაჟკაცი, იარაღით ხელში დაიღუპა.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის „ძმათა საფლაოზე".

დარჩა მეუღლე — ნანა გეწაძე და ორი შვილი, ფიქრია — 3 წლის და ქრისტინა — 2 წლის.

ბახვა გოგოლაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია **ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ
გოცირიძე

სულ ცხრამეტი წელი იცოცხლა ბესიკ გოცირიძემ, მაგრამ მისმა ვაჟკაცობამ, სამშობლოსადმი თავდადებამ უკვდავებას აზიარა.

ბესიკი თბილისში დაიბადა. აქ დაამთავრა 48-ე საშუალო სკოლა. 1991 წლის 7 აგვისტოს სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, გვარდიაში ჩარიცხეს. მათი ნაწილი დმანისის რაიონის სოფელ მთისძირში გადიოდა საბრძოლო წვრთნას.

დედამისი — ქალბატონი ნარგიზა გულისტკივილით იგონებს: — როგორ ეუფრთხილდებოდით! მე და მამამისი ყოველ კვირას იქ, მთისძირში დავდიოდით სანახავად. გვეშინოდა, რომ წამოსულიყო, გზაში რაიმე ხიფათს არ გადაყროდა. იგი ხომ ძალიან მიამიტი იყო, ამხანაგების მოყვარული და მათთვის თავდადებული.

ექვსი თვე დაჰყვეს ამ ნაწილში ბესიკმა და მისმა მეგობრებმა. შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს, გვარდიაში. ერთხანს ფოთში გაემართნენ, იქ ხიდს იცავდნენ, ორ თვეს სენაკში დაჰყვეს, იქიდან სამაჩაბლოში წაიყვანეს, სადაც მათ რუსი ნაციონალისტების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, საკუთარი მიწა-წყალი დაეცვათ.

ბესიკი თანამებრძოლებში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. — ბესოსგან ნაწყენ ადამიანს ვერ ნახავთო, — გვიამბობდნენ მისი მეგობრები გიორგი მუშკუდიანი და ვასო ნატროშვილი, — გულიანი ბიჭი იყო, ზრდილი, თავაზიანი, მხიარული, სულ მუდამ მომღიმარი. თვით დიდი საფრთხის დროსაც ცდილობდა მეგობრები გაემხნევებინა და ოხუნჯობა, გარშემო კეთილ განწყობას ქმნიდა.

ახლა როგორი სიყვარული იცოდა, როგორ გიჟდებოდა თავის დასა და პატარა ძმაზე!

— ბესომ დიდად განიცადა თავისი ამხანაგის გურამ ნიჟარაძის დაღუპვა, — გვიამბობს ბესიკის მამა ბატონი გურამი, — ბატალიონის ბიჭებთან ერთად მიცვალებული რომ ჩამოასვენეს, ბესიკი თითქოს ნაადრევად დავაჟკაცებულიყო. წვერი ჰქონდა მოშვებული და ამბობდა: გურამის სიკვდილს არავის შევარჩენ, მტერს შევაკვდები და მის სისხლს ავიღებო.

აკი მედგრადაც იბრძოდა ვანათის მისადგომებთან.

1992 წლის 24 ივნისი იყო. ბესიკი თავის ამხანაგებთან ერთად, საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ, ისვენებდა. დაჭრილი თანამებრძოლის სანახავად წავიდა. ოთახში როგორც შევიდა, უკნიდან ნაწილში შეპარული ჯაშუში მიუახლოვდა და ახლო მანძილიდან ზურგში ესროლა. ბესიკი უცებ შემოტრიალდა, ღონიერი ბიჭი იყო, კუნთმაგარი, მაჯაში სტაცა ხელი მომხდურს და იარაღი წაართვა, და იქვე ჩაიკეცა. სროლის ხმაზე ამხანაგები შემოვარდნენ, ჯაშუში შეიპყრეს, ბიჭებმა უგონო მდგომარეობაში მყოფი ბესიკი სასწრაფოდ გორის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ არაფერი ეშველა, ფილტვები და ღვიძლი მთლად გაგლეჯილი ჰქონდა. მხოლოდ ნახევარი საათი იცოცხლა, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: ბიჭებო, იმ უბედურს ნუ მოკლავთ, გაუშვით, დაე, იცოცხლოსო.

ასე შეიწირა მტრის ტყვიამ ცხრამეტი წლის ყმაწვილის სიცოცხლე. გამწარებულ დედ-მამას ახლა ნუგეშად ისღა დარჩენიათ, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემა. ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილებამ გადაწყვიტა ბესიკ გურამის ძე გოცირიძის მემორიალის მოწყობა.

სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.

ლარისა ხუბულური

ოლეგ გრიგორიანი

ოლეგ სერგოს ძე გრიგორიანი დაიბადა 1971 წლის 29 აგვისტოს თბილისში.

გვარდიაში მოხალისედ შევიდა 1992 წლის ნოემბერში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის — გიორგი ყარყარაშვილის სახელობის ასეულის მებრძოლი ოლეგ სერგოს ძე გრიგორიანი 1993 წლის 30 მაისს სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა ლაბრაში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ
გუგუნაშვილი

თენგიზ (პაპა) ალექსის ძე გუგუნაშვილი დაიბადა 1949 წლის 26 დეკემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ საცხენისში, გლეხის ოჯახში.

1956 წელს შევიდა საცხენისის რვაწლიან სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1964/65 სასწავლო წელს. სწავლა განაგრძო თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ტექნიკუმის სამრეწველო განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1970 წელს. 1980 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომელიც მოიხადა ქალაქ ჩოგოევში. 1972 წელს იქორწინა სოფელ ნორიოში ნაზი მიხეილის ასულ ძიძიკაშვილზე. ჰყავს სამი შვილი: იმედა – დაბადებული 1974 წელს, თამილა – დაბადებული 1975 წელს, თეა – დაბადებული 1978 წელ.ს

თენგიზ გუგუნაშვილი იყო დინჯი, დაფიქრებული ახალგაზრდა. გვარდიაში წასვლამდეც – ცხინვალის ამბების დაწყების დღიდან ერთი დღეც არ გაჩერებულა სახლში, შევიდა საზოგადოება „სვანეთში“ (პრეზიდენტი ლია ცინდელიანი), გამოიხურა სახლის კარი და მთელი რვა თვის განმავლობაში იბრძოდა – ცხინვალის სხვადასხვა სოფლებში. მონაწილეობდა ლტოლვილების ჩამოყვანა-დაბინავებაში.

1971 წელს მუშაობა დაიწყო ახალსოფლის სასოფლო საბჭოში ბუღალტრად, დანარჩენი წლები მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. სიკვდილის ბოლო ორ წელს მუშაობდა მცირე საწარმოო „ამბარის“ დირექტორად. იყო ახალსოფლის საკრებულოს დეპუტატი, სახალხო ფრონტისა და საზოგადოება „საძმოს“ წევრი. მიუხედავად იმისა, რომ სამი ორგანიზაციის წევრი იყო, მაინც ყველაფერს ასწრებდა, ყველასთან ნათელი გამოდიოდა.

1990 წელს მისმა შვილმა იმედამ სკოლა წარმატებით დაამთავრა და აბარებდა მილიციის უმაღლეს სკოლაში. შინაგან საქმეთა მინისტრმა საბუთები უკან დააბრუნა: ჯარმოვლილი უნდა იყოსო. იმედა მამამისმა მოხალისედ გააგ-

ზავნა გვარდიაში და ის მსახურობდა თიანეთის ასეულში. გვარდიის შავნაბადაზე ყოფნის დროს მამამისმა ჩაიცვა გვარდიის ფორმა და თავის 16 წლის შვილს გვერდზე ამოუდგა. მსახურობდა თიანეთის ნაწილში ასმეთაურის მოადგილედ. პირველად გვარდიაში ჯარისკაცის მამა შეარქვეს, შემდეგ პაპა, ოდგანაც წვერს ატარებდა. შავნაბადაზე დადო ფიცი, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა საქართველოსთვის, არასოდეს არ უღალატებდა მას, და, მართლაც, ის სიტყვის კაცი იყო, კაცურად გაატარა თავისი ცხოვრება.

1991 წლის მძიმე დღეები იდგა.

13 მაისს ცხინვალში წავიდნენ, იქ იბრძოდნენ 40 დღის განმავლობაში. 21 ივლისს წავიდნენ აფხაზეთში, იბრძოდნენ ბიჭვინთაში, ის ზოგიერთივით არასოდეს არ ყოფილა გვარდიის სახელს ამოფარებული ავტომატიანი ბანდიტი და აკი ეს დაამტკიცა კიდეც. 31 აგვისტოს იყო ერთი მხრიდან, რუსის ჯარის, მეორე მხრიდან ოსების, ერთი მხრიდან ჩეჩნების, მეორე მხრიდან აფხაზების მაგარი შემოტევა და ამ ოთხმხრივ ცეცხლში მოექცა მისი მებრძოლი ნაწილი. ვინც იქ მოხვდა, ყველა დაიხოცა, უშიშარი „პაპაც“ შეეწირა ამ ბრძოლას.

6 სექტემბერს მშობლიურ ძირძველ მამა-პაპისეულ მიწას მიაბარეს თენგიზ ალექსის ძე გუგუნაშვილის გვამი.

სიკვდილის ორი თვით ადრე დააწინაურეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში გადმოიყვანეს მისი ნაწილი და მეთაურად დანიშნეს — სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე დარჩა საქართველოს ეროვნული გვარდიის ერთგულ კაცად.

თენგიზ გუგუნაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის II ხარისხის** ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა
გულდამაშვილი

გოჩა დავითის ძე გულდამაშვილი, დაბადებული 1970 წლის 24 ნოემბერს, ი ეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში, ეროვნებით ქართველი, განათლება საშუალო, უცოლო.

1977 წელს შევიდა მარაბდის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა კოდის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს.

1989 წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, კრასნოიარსკში, რის შემდეგაც მუშაობდა მარაბდის მებოცვრეობის მეურნეობაში.

1993 წლის 25 იანვარს მოხალისედ შევიდა ბატალიონ „ავაზაში" და თანამებრძოლებთან ერთად წავიდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. 25 თებერვალს სოფელ ლაბრასთან გმირულად დაეცა. დაკრძალულია მარაბდის სასაფლაოზე.

* * *

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ვაჟა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გურგენიძე

„...როცა შეგხვდი ომის მიმწუხრში, გამორჩეული შუქი გმოსავდა მხედარს და რაინდს, სამშობლოს რაინდს და მე გიპოვე“,

სოხუმი, 3 სექტემბერი. 1992 წელი

— მე გიორგი მქვია, გუგასაც მეძახიან, — გაიღიმე და ხელი გამომიწოდე. მერე ჩაიმუხლე, ავტომატს დაეყრდენი, კომენდატურის წინ საბრალოდ ატუზულ ძაღლს მიეფერე, თავი ასწიე და მითხარი:

— მეც მყავს შინ ძაღლი, ომში რომ მივდივარ, მოიწყენს ხოლმე, სანამ არ დავბრუნდები, პირს არაფერს აკარებს...

სვედრი

„გიორგი მქვია, გუგას მეძახიან“, ისევ ჩამესმის შენი ხმა, გუგა, ასე გაგიცანი, ასე დამამახსოვრდი. პირველი, რაც შენში დავინახე, მხედრული სული იყო. მთასავით ვაჟკაცი, ზოლიანი მაისურით დინჯად მიუყვებოდი გზას. შუბლზე ეკლესიაში ნაჩუქარი შავი ლენტი, გულზე კი ჯვარი და ღვთისმშობელი გეკიდა, ისიც აგვისტოს ბრძოლებამდე რამდენიმე დღით ადრე გაგრის ეკლესიაში მიუციათ მებრძოლებისათვის, გახსოვს, მითხარი, ამ ჯვარმა გადამარჩინა, არ ბოვიხსნი და ღმერთი ყოველთვის დამიფარავსო.

ასეთი რწმენა გქონდა. ამ რწმენით მიდიოდი ყოველთვის ომში თბილისელი ბიჭი **გიორგი (გუგა) გურგენიძე.**

მომიტევე, თუ პათეტიკა მომეძალა, თუ უცრემლოდაც ვერ გიხსენებ. შენ-ჩაირი ვაჟკაცების სიკვდილს უემოციოდ ვერ შევხვდებით, მით უფრო შენს დაკარგვას, ვისაც პირადად გიცნობდი და გამოგარჩევდი. ტრაგიკულია ჩვენი თაობა. შენი ტოლები სამშობლოსათვის კვდებიან, ჟურნალისტებს კი ნეკროლოგების, გარდაცვლილთა გახსენებების წერა დაგვებედა... ყოველი ვაჟკაცის დაკარგვას მიაქვს გულიც და ძალას ვიკრებ, სულის სიმხნევე შევინარჩუნო მორი-

გი წერილისათვის. არ შემიძლია დავივიწყო ჩემი თაობის გმირები, მით უფრო შენ, გუგა, ვისაც გიცნობდი ომის გზებიდან. შენი ტოლა სხვა ბიჭებივით ფეხფუნება არ გიძებნია. პედაგოგის ოჯახში გაიზარდე, შენ უთენია ... ხელში გადიოდი შინიდან და სამშობლოს დამცველთა რიგებში დგებოდი. დღე და ღამე გასწორებული გქონდა...

მითხარი დედის ნაჩუქარი ოქროს ჯვარი მქონდა, მაგრამ ძმაკაცი მოგვიკლეს, შვილი მოვუნათლე და იმ ბავშვს ვაჩუქე. გული კი გწყდებოდა დედის სახსოვარზე, მაგრამ შენს ქცევას გამართლებულად თვლიდი, მეგობრისთვის საკუთარ სულს არ დაიშურებდი.

დიდი ბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღით თბილისში დაბრუნება დააპირე, მაგრამ აეროპორტში შენი მეგობარი ვასიკო ქარსელაძე შეგხვდა, იმისი ხათრით კიდევ დარჩი სოხუმში, ძმაკაცის გვერდით გინდოდა ყოფნა. ჟურნალისტებსაც არ გვშორდებოდი. ყოველ საეჭვო გასროლაზე შემართული იდექი, ავტომატს წამოავლებდი ხელს და მზად იყავი დაგეცვა ყველა. მაშინაც ვწერდი, რომ შენს გვერდით შიშსა და სიკვდილზე არ შეიძლებოდა ფიქრი. მზად იყავი ყველგან გამოგვყოლოდი, გვიამბობდი თანამებრძოლებზე, მათ ვაჟკაცობაზე და ამაყობდი, აფხაზეთამდე სამაჩაბლოში ვიბრძოდიო, ნიქოზს ახსენებდი, წმინდა გიორგის ეკლესიას, საინტერესო ძეგლიაო. ტელევიზიით გამოვედი. იქნებ გაიხსენო, სვანური ქუდი მეხურაო...

ხანდახან უცებ სახე შეგეცვლებოდა, ღიმილიან თვალებში გაკრთებოდა სევდა და იტყოდი, დავიღალე, ადამიანური ცხოვრება მომენატრაო...

შენი დიდი გული

დავყურებ ფოტოს. ეს ბავშვური კეთილი მზერა შემოგრჩა სიცოცხლის ბოლომდე. შინ ვერ ისვენებდი, ბრძოლისკენ მიგიწევდა გული. რედაქციაში შემოივლიდი: ჩამოვედიო, დაგვენახვებოდი, საბრძოლო ეპიზოდებს მოგვიყვებოდი, გაგრის დაცემის შემდეგ ერთი კვირა ტყეში დაჰყავი, ვერტმფრენით აგიყვანეს. სასწაულად გადავრჩი მაშინაო. როცა რამდენიმე თვე არ გამოჩნდებოდი, უკვე ვიცოდით, აფხაზეთში გაპარული იყავი. მარტო ოჯახს კი არა, მეგობრებსაც ეპარებოდი, ცოტა დაისვენეო, გევედრებოდნენ. შენს ხმას რომ გავიგონებდით, გვიხაროდა, რომ ცოცხალი იყავი, რომ ისევ ძველებურად გიძგერდა შენი დიდი გული, რომელიც იტევდა ყველას – ნაცნობსაც და უცნობსაც, იქნებ მთელ სამყაროსაც?

მისი მეუღლე მაია იგონებს:

– სულ სხვაზე ფიქრობდა, სასტუმრო „ივერიაში“ ხშირად მიდიოდა ლტოლვილ ბავშვებთან, კანფეტები, ნამცხვრები მიჰქონდა. ჩემს შვილებს მშობლები ჰყავს, მათგან კი ბევრი ობოლია, სითბო სჭირდებათო. ხელფასს ბავშვებს და მათხოვრებს ახარჯებდა, სახელი დამრჩებაო, სულ ამას ამბობდა.

დღიურიდან:

„შენ მოდიოდი სივრცეებიდან მარადიული გაზაფხულებით. არ ახსენებდი სიკვდილს საერთოდ და არასოდეს გშინებია სიკვდილის, რადგან შენთ-

ვის იგი არ არსებობდა. შენ სივრცეების მოძახილს მოჰყევ და მოძახილად დარ-
ჩი ნათელში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბმირობა

2 ივლისს დესანტთან უთანასწორო ბრძოლები დაიწყო. მაია იხსენებს, რომ ამ დღეს, უჩვეულოდ იქცეოდი თურმე, ველარ გცნობდა, შეიცვალე: შვილები საკანგებოდ გამოაწყვე და მუშტაიდის ბაღში წაიყვანე, პირველად მოიცალე მათთვის ასე ხანგრძლივი დროით. სხვანაირად ესიყვარულებოდაო, მერე ღამის სამ საათზე ამდგარხარ, გამოგიტანია იარაღი, წასასვლელად გამზადებულხარ, შანქანის მოლოდინში სამი საათი წვიმაში მდგარხარ... მაიას უთხოვნია შენთვის, იქნებ გადაგედო წასვლა, გული ცუდს მიგრძნობსო. ბოლო დროს გულზე არცერთი ჯვარი არ გიჩერდებოდა, ყველა ტყდებოდა თურმე.

(შინიდან გასვლისას ჯერ კიბის საფეხური ჩამოგიტყდა თურმე, წინა დღით კი ოთახში ჭაღის თვალი ჩამოვარდნილა). არაო, დღესვე უნდა წავიდე. ჩემი გენერალი იქ არის (გია გულუაზე გითქვამს) და მეც მის გვერდით უნდა ვიდგეო.

ლირიკული გადახვევა:

„ყველაფერი უცნობი იყო და ამ შეუცნობელი, ენითუთქმელი მარტოობითა და სუსხით გამსჭვალული. არაფერი იყო ისეთი, რაზედაც დაყრდნობა შეიძლებოდა — რაც გაათბობდა კაცს. ყველაფერი დაუსაბამი იყო, როგორც ეს ქვეყანა. უსაზღვრო და უცხო“ (რემარკი).

საოცარია, ეს შენი გამგზავრება ტელევიზიით აჩვენეს. აეროპორტში ჩამწკრივებულ ბიჭებს შორის გულიანად იცინოდი, ისევ სვანური ქუდი გეხურა. (შინიდან რომ გამოსულხარ, ქუდი დაგრჩენია, ეს კარგის მაუწყებელი არ არისო და უკან მიბრუნებულხარ).

4 ივლისს გუმისთასთან გადმოსხმულ დესანტთან ბრძოლაში პირველი ჩაები ნატყვიარი მუხლით (სამაჩაბლოში ნაღმის აფეთქებისას დაგრჩა ნამსხვრევი), იქნებოდა მსხვერპლი, ვიღაცას თავის თავზე უნდა აეღო მათი შეჩერება. წამოიმართე, ტყვიამფრქვევის ჯერით მტერი მოცელე და ჩვენს მეგობრებს გადაეფარე. მხარში დაიჭერი, მაინც იბრძოდი. ბოლოს ხელყუმბარა გესროლეს. ასე ხელჩართულ ბრძოლაში დაეცი მთასავით ვაჟკაცი. რჩეულთა შორის რჩეული ებრძოლი.

გუგა გურგენიძის ქუჩა

...შენს სახლში ვარ, ნაძალადევში, გადასასვლელ ხიდთან, გრომოვის ქუჩაზე ცხოვრობდი, ახლა მას შენი სახელი — გუგა გურგენიძის ქუჩა ჰქვია. ქვაფენილიანი, პატარა, მაგრამ ლამაზი აღმართია, საიდანაც თბილისის ასევე ლამაზი ხედი იშლება, შენს ჭიშკართან კი ალვის ხეები დგანან. შენს პატარა, სადა სახლში ხატები და ყვავილებია. შენი შვილები — ლაშა და ლალი დარბიან ეზოში. ლაშა წელს სკოლაში მივა. წამდაუწუმ იძახის, გუგას დამიძახეთ. ლალი, შენ რომ ძალიან გგავს, არ გვცილდება და გვეხვევა. მაგიდაზე ოთ-

ხად დაკეცილი გაზეთი „თბილისი“ დევს, სადაც შენზე ვწერდი ერთი წლის წინათ. გვერდები გასცვეთია. გულის ჯიბით დაჰქონდა გუგას, ყველას აჩვენებდა — მეუბნება მაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილს კი ვერავის ვეღარ აჩვენებ, თვითონ წაიკითხავენ შენზე, გუგა... ვინც გიცნობდა, არ დაგივიწყებს. იცი, თურმე ერთ-ერთ დაბადების დღეზე შენი სადღეგრძელო გამორჩეულად უთქვამთ. შენი სახელი დარჩა, შენი სახელობის ქუჩა დარჩა, შენ ჩვენში ხარ ისევ ისეთი, ბავშვური გამოხედვითა და რაინდული სულით გამორჩეული. სიცოცხლეშივე ჯილდოზე წარგადგინეს, არ დაგცალდა, არც ოცნება აგისრულდა ბოლომდე — ჭიდაობა ძიუდოს მისდევდი, სპორტის ოსტატის თანრიგი გქონდა, მეორე უმაღლეს სასწავლებელში გინდოდა ჩაბარება — იურიდიული განათლება უნდა მივიღოო, ხშირად გითქვამს.

არ გვჯერა, რომ ვეღარ გავიგონებთ შენს ხმას, ვეღარ გიხილავთ... ყოველდამე ესიზმრები შენს მაიას, ახლა მარტო რომ უნდა შეებას ოჯახის უღელს და შენი ლაშას და ლალის დედობას ღირსეულად გაავრძელებს... შენ მათში ხარ, გუგა.

ჩემი სახსოვარი კი ეს პატარა წერილია, რომლის დაუწერლობაც არ შეძეძლო.

რექვიემი

„ყველას საკუთარი სიკვდილი ჰქონდა. იმ კაცებს, იარაღასხმულ სხეულებში სიკვდილს ტყვესავით შებოჭილს რომ დააატარებდნენ... მათ საკუთარ წიაღში ჰქონდათ სიკვდილი, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში“ (რილკე).

რილკეს უნდოდა ეთქვა: ვისაც ნამდვილი, საკუთარი (და არ უსახო) ცხოვრება აქვს, იგი სახესა და აზრს აძლევს მას, კვდება „საკუთარი“, ნამდვილი, დიდი სიკვდილით, თავის მიერვე დაპურებული, ბავშვივით გაზრდილი სიკვდილით, რაც საკუთარი და ნამდვილი ცხოვრების განხორციელებას ნიშნავს. „სიკვდილი — კარგი ნამუშევარი, წიაღში ჩაღრმავებით შექმნილი, საკუთარი სიკვდილი, რომელსაც ვჭირდებით, რადგან ჩვენ ვაცხოვრებთ მას“.

თამარ შაიშმელაშვილი

ავთანდილ დადვანი

1992 წლის 9 სექტემბერი — კიდევ ერთი ტკივილიანი დღე, ზეცაში ჩამქრალი ვარსკლავი, სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული კიდევ ერთი სიცოცხლე, საძირკველგამოცლილი სახლი, დაქვრივებული მეუღლე და ორი დაობლებული ბავშვი.

ღელავენ მოთმინებადაკარგული ვაჟკაცები, მიდიან და ეწირებიან სიცოცხლით სავსე დევგმირები.

ასეთი იყო ავთანდილ დადვანიც — ოცდათხუთმეტი წლის ჯან-ღონით სავსე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი. მისი ცხოვრება ჩვეულებრივი, ბედნიერი გზით მიდიოდა. კოჩარის საშუალო სკოლის დამთავრე-

ბის შემდეგ სწავლა გააგრძელა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ჯერ კიდევ სწავლის დროს შეირთო ნანი ბარბაქაძე და შეჰხაროდა ორ შვილს — გოჩას და გიორგის, სანამ 2 სექტემბერს თბილისი არ დატოვა და ეროვნული მებრძოლ თანამოძმეებს არ ამოუდგა მხარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოზე ზრუნვასთან ერთად ბრძოლის ველზეც არ ტოვებდა ოჯახზე ფიქრი. 14 სექტემბერი საკუთარ ოჯახში უნდოდა გაეთენებინა, თბილისში აღენიშნა უმცროსი ვაჟიშვილის გიორგის დაბადების დღე. მაგრამ...

9 სექტემბერს გამოასალმა ახალგაზრდა სიცოცხლეს მტრის ვერაგმა ტყვიამ, სამუდამოდ დაუბნელდა მზე, რომლის სიმხურვალეც ვეღარ დასწვავს მის უკვდავ სხეულს.

დაადგა ვარდისფერ გზას და ოჯახს, ახლობლებს ტკივილი, სევდა, მონატრება დაუტოვა და კიდევ ორი ვაჟკაცი, რომლებიც სახელოვან ქართველებად დაიზრდებიან, არ შეარცხვენენ მამის სახელს.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი.

ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შასჭამონ მტრისანი.

ჩვენ კი დაგვიტოვა ის დიდი იმედი, რომ საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის დაღვრილი თითოეული წვეთი სისხლისა უკვალოდ არ ჩაივლის და „სამშობლო მათ ხსოვნას სანთლებად აინთებს“.

მსუბუქი ყოფილიყოს, ავთო, შენთვის საქართველოს მრავალჯერ ნატანჯი, ბადლიანი მიწა.

თეა ელბაქიძე
ბელა ქარუმიძე

თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის სტუდენტები

გალაკტიონი

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! —
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.

მომენატრა მზე, სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.

მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა

გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი;
მომაგებე მშობლიური გემი,

მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან.

1945

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გია
დადუნაშვილი

ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო გია დადუნაშვილი. ნაცნობ-მეგობრების წრეში მუდამ სასურველი სტუმარი იყო. უყვარდა მეგობრები და მათაც გულწრფელად უყვარდათ გია.

უყვარდა ოჯახი, ცოლი და შვილი — პატარა ინა, უყვარდა სიცოცხლე... მაგრამ თურმე ყველაზე მეტად სამშობლო ყვარებია, ყვარებია და სიტყვით რომ ვერ ეაუმხილა გრძნობები, გული რომ ვერ გადაუშალა, საქმით დაუმტკიცა ერთგულება და სიყვარული. სოხუმის მხედრიონის წევრი ვაჟკაცურად იბრძოდა აფხაზეთში. ბევრჯერაც გადაურჩა მტრის ტყვიას, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა მაინც არ დაინდო, სოხუმზე დიდი შემოტევის დროს, 16 მარტს, ცხოვრების ოცდამეშვიდე გაზაფხულზე შეწყდა მისი სიცოცხლე...

წავიდა ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა და სინანული, უსაშველო მონატრების გრძნობა. დიახ, გვენანები და გვენატრები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ შენ სხვანაირად არ ძალგიძდა. შენ არ შეგეძლო მშვიდი ცხოვრება მაშინ, როცა სამშობლოს ცხრათავიანი ურჩხული კორტნიდა თავისი ბასრი და ვერაგი ბრჭყალებით, როცა მოძალადე სულში გვიძვრებოდა, სულში გვაფურთხებდა. შენ უნდა ბოლომდე შეგესვა ცხოვრების მწარე ბალღამი. აკი შესვი კიდეც. წარბშეუხრელად მიიტანე სამშობლოს სამსხვერპლოზე ყველაზე ძვირფასი რაც გაგაჩნდა — სიცოცხლე.

ღმერთმა დაიფაროს, აამაღლოს და გააბედნიეროს საქართველო შენი და შენნაირი ვაჟკაცების სადიდებლად.

შენი მეგობრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ
დათაშვილი

დაიბადა 1967 წლის 14 აპრილს ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში. ამ სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ცხინვალის № 4 საშუალო სკოლაში. 1985 წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. 1987 წელს მუშაობა დაიწყო ქ. ცხინვალის წყალთა მეურნეობის სამმართველოში. მისი ოცნება იყო სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში მექანიზაციის ფაკულტეტზე, მაგრამ სამაჩაბლოში დატრიალებულმა კონფლიქტმა მას აზრი შეუცვალა. 1991 წელს შევიდა ქ. თბილისის მილიციის უმაღლეს სკოლაში, რომლის დამთავრებას ვეღარ მოესწრო. პირველი კურსის სტუდენტი მის ბიძაშვილთან ერთად 1991 წლის 5 აპრილს იმსხვერპლა ოსების მიერ განხორციელებულმა თავდასხმამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის
დანელია

დაბადებულია 1953 წლის 20 აპრილს მარტვილის რაიონის სოფ. ლეხაინდრაოში. 1977 წელს დაამთავრა ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა, ცხოვრობდა ქ. სოხუმში. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე შევიდა სოხუმის „მხედრიონის“ რიგებში და სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა მამულის დასაცავად.

10 ოქტომბერს ეშერაში დაზვერვაზე გასული ნაღმზე აფეთქდა და მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა 1992 წლის 16 ოქტომბერს. დარჩა მეუღლე და 10 წლის გოგონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე დვალიშვილი

რიგითი ალექსანდრე ოთარის ძე დვალიშვილი დაიბადა 1974 წელს თბილისში.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1992 წლიდან ოპერატიულ პოლკში.

დაიღუპა 1993 წლს 10 თებერვალს ოჩამჩირეში.

ირაკლი დვალიძე

ირაკლი ლევანის ძე დვალიძე, დაიბადა თბილისში 1965 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა თბილისის ერთ-ერთი რაიონის სანეპიდსადგურში სანიტრად. მერე სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულ-

ტეტის სტუდენტიც გახდა. დაამთავრა და მკურნალმა ექიმმა მრავალ საავადმ-ყოფოში იმუშავა. იყო რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს „ხელოვნური“ თირკმლის განყოფილებაში, 1990–1991 წლებში გაიარა ინტერნატურა ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგის სპეციალობაში; მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრალურ ფილიალში, შოკის ბრიგადის ექიმ-რეანიმატოლოგად, 1991 წლის სექტემბრიდან 1993 წლის თებერვლამდე კი იყო რკინიგზის აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის პირველ საავადმყოფოში ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის განყოფილებაში ექიმად.

1993 წლის 4 თებერვლიდან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი საარმიო კორპუსის მეორე ბრიგადის სამედიცინო ასეულის მედიცინის უფროსი ლეიტენანტია.

მუშაობის მოკლე მანძილზე ირაკლი დვალიძემ მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი. მედიცინის უფროსი ლეიტენანტი ირაკლი ლევანის ძე დვალიძე გმირულად დაიღუპა 2 ივლისს ტამიშთან დესანტის გადმოსხმისთანავე. ირაკლი, თავის ორ თანამებრძოლთან – ლევან მაჭავარიანთან და ზაზა კიკნაძესთან ერთად გაეშურა ფრონტის ხაზისკენ დაჭრილების გამოსაყვანად და აი, უბედურება: ორნი ალყაში მოხვდნენ. მანქანა აუფეთქეს. ექიმები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს.

ირაკლის დარჩა დედა, მეუღლე და სამი წლის პატარა ირინე, მეგობრები, კოლეგები, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ სამშობლოს სიყვარულში დაცხრილულ ვაჟკაცს.



ზურაბ დოლიძე

ზურაბ ვლადიმერის ძე დოლიძე, დაბადებული 1974 წელს, თბილისში. განათლება საშუალო, უცოლო.

1991 წ. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის აგროსამრეწ-
ველო საწარმოში მუშად.

1992 წ. მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში“.

1993 წლის 25 აპრილს სოფელ ტამიშთან შეტაკების დროს
დაკრძალულია მუხალგვერდში.



ლაშა დუნდუა

ლაშა გრიგოლის ძე დუნდუა დაიბადა 1968 წლის 5 დეკემბერს აბაშის რა-
ონის სოფელ პირველ მაისში.

ერთ წლამდე ლაშა სოფელში, პირველ მაისში იზრდებოდა ბაბუასთან და
ბებიასთან. ერთი წლის შესრულების შემდეგ იგი დედ-მამას ჩამოჰყავს თბი-
ლისში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისის № 27-ე ბაგა-ბაღში.
აქვე იგი გადაიღეს სადიპლომო ნაშრომში, საბავშვო ფილმ „ჯადოსნურ ეკრან-
ში“.

1975 წელს ექვსი წლის ლაშა მშობლებმა შეიყვანეს თბილისის № 2 ექს-
პერიმენტულ სკოლაში.

იგი წლების განმავლობაში ირიცხებოდა აგრეთვე თბილისის პიონერთა სა-
სახლის ტექნიკურ წრეში „რადიოში“, საიდანაც მრავალი მადლობა და სიგელი
ქონდა მიღებული.

1983 წლის ზაფხულში თბილისის II ექსპერიმენტული სკოლის მე-9 კლა-
სი შრომითი სემესტრის გასატარებლად წავიდა გურიაში, ნასაკირალში, სადაც
ლაშა აქტიურ საქმიანობას ეწეოდა. მიუხედავად ამისა, რომ იგი ცალი თვა-
ლით მხედველობადაქვეითებულად ითვლებოდა და ამის გამო სამკურნალოდ
ითქმის ყოველ ზაფხულში დედ-მამას ოდესაში დაჰყავდა.

1986 წელს ლაშამ დაამთავრა ზემოაღნიშნული საშუალო სკოლა, მაგრამ
მაინც ვერ თმობდა მას და წლების განმავლობაში, როცა საშუალება ჰქონდა,

კვირაში ერთხელ მაინც მოინახულებდა თავის საყვარელ სკოლას, მასწავლებლებს.

1986 წლის დეკემბერში იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ... გორც მხედველობადაქვეითებულს, შეეძლო არ წასულიყო სამხედრო ... ბულების მოსახდელად, მაგრამ ეს სამსახური მან ყოველი ვაჟკაცის ვალდებულებად მიიჩნია და წავიდა.

იგი ჯარში მსახურობდა ქ. მოსკოვის გარეუბანში, მიტიჩში, სადაც იგი ყველასაგან გამოირჩეოდა. ამხანაგებს შორის იგი მომრიგებელ მოსამართლეობას ეწეოდა. ერთხელ სომეხი და იაკუტიელი ახალგაზრდები წაჩხუბებულიყვნენ. ლაშა მათ შუა ჩამდგარიყო და შეერიგებინა.

იგი იყო მეტად პრინციპული. სამხედრო სამსახურის დამთავრებამდე მას სამშობლოში შვებულებით ჩამოსვლაც არ უცდია, თუმცა მას დედა ხშირად ნახულობდა. ლაშას არაერთი მადლობა ჰქონდა მიღებული სამხედრო სარდლობიდან. 1988 წელს იგი დაბრუნდა თავის ოჯახში, თბილისში, სერჟანტის ჩინით.

1989 წლის მაისში მან მუშაობა დაიწყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეკვიზიტორად, სადაც მუშაობდა 1990 წლის დეკემბრამდე.

1990 წელს იგი შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტიან არსებული ეკონომიკური განათლების მენეჯერთა და ბიზნესის სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და მაშინვე შევიდა იმავე აკადემიასთან არსებულ ინსტიტუტში, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტშიც იგი გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით და სწავლით.

1991 წელს, როცა იგი ზემოაღნიშნული ინსტიტუტის I კურსზე იყო, ჩაება თავისი ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და სამშობლოს სამსახური გაიხადა თავისი ცხოვრების მთავარ საგნად.

მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო და დედ-მამა ხანში შესულები ჰყავდა, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა თავისი გადაწყვეტილებების სისწორეში და როცა სამაჩაბლოში ომი გაჩაღდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ომებში. ბოლო დროს იგი სამაჩაბლოში დაიჭრა, რაც დედ-მამას დაუმალა.

სამაჩაბლოში, როგორც იქნა, მიწყნარდა ომი და თითქოს მშვიდობა დამყარდა, მაგრამ რამდენიმე დღეში აფხაზეთში გაიხსნა ცეცხლის კერა. ლაშას ჯერ ჭრილობა არ ჰქონდა მოშუშებული, რომ აფხაზეთში წავიდა საბრძოლველად.

აფხაზეთში, კერძოდ, ლესელიძეში გასროლილმა ტყვიამ პირველ ოთხეულთან ერთად შეიწირა იგი, დედისერთა.

მას შემდეგ მის კვალს ბევრი დედისერთა გაჰყვა, არამარტო დედისერთები, არამედ მთელი პლეადა მისი სკოლადამთავრებულებისა, სტუდენტი მეგობრებისა: „პაატა და ზვიადი, ლევან სუხიაშვილი, ალან ბიჭიკაშვილი, ალიკო ბიბილაშვილი, გია ყიფიანი, ლევან ეგოროვი, გელა გუგეშაშვილი, ალეკო ალიხანაშვილი, ამდენი ღირსეული ახალგაზრდა ერთი სკოლიდან დიდი დამსახურებაა სამშობლოსათვის“ (გაზეთი „ძლევაი“, № 13, 6 ნოემბერი, 1992 წელი). ამიტო-

მაც გადაუწვეტია ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ქალბატონ ეთერ ჟვანიას ახალგაზრდების მედროშის — ლაშა დუნდუას სახელობის ოთახის გახსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა დასაფლავებულია მისი სკოლის უკან, საბურთალოს პანთეონში, სადაც პატარა, ონავარი ბიჭი თავის ამხანაგებთან ერთად ხშირად თამაშობდა, ეუნდაობდა.

ლაშა დუნდუა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ნარგიზა ბრიგოლია

ვახტანგ ელერდაშვილი

ვახტანგ ომარის ძე ელერდაშვილი ერთ-ერთი პირველი სოხუმელი იყო, რომელიც სამშობლოს დასაცავად მოხალისედ შევიდა ქართულ გვარდიაში.

იგი დაიბადა 1969 წლის 11 აპრილს ქ. თბილისში, ლამაზ თეატრალურ ოჯახში. მისი მშობლები, აფხაზეთისა და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ომარ ელერდაშვილი და ლორინა პაპუაშვილი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ, რომლის გახსნაც სწორედ პატარა ვახტანგმა დალოცა, იგი სანთლით ხელში იდგა სცენაზე და ბაჩანა რამიშვილის ბავშვობაც განასახიერა ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონში“.

შემდგომში ვახტანგი ამავე თეატრში ტექნიკურ რეჟისორად მუშაობდა, თან პარალელურად მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტში სწავლობდა.

თეატრალურ გარემოცვაში აღზრდილმა ბავშვმა ყველა ადამიანური ღირსება შეიძინა. პიროვნული ხასიათითა და ინტელექტით გამორჩეული, ფიზიკური აღნაგობაც შესაფერი ჰქონდა, რატომღაც მუდამ ნაღვლიანი თვალები კი მის პაჟკაცურ იერს ამოუცნობსა და მიუწვდომელს ხდიდა.

1987-89 წლებში ვახტანგი სავალდებულო სამხედრო სამსახურს ქ. ნიკოლაევში იხდიდა, 1989 წლის 17 აპრილს ჯარიდან დედისათვის მოწერილ წერილში იგი გულისტკივილით შენიშნავდა: „დედა, როგორ ხართ, რას ეკრებით. დედა, შენ სულ მაწყნარებ, რომ მანდ, სოხუმში ყველაფერი რიგზეა, რო არაფერი არ ხდება. ახლა მე გაზეთი მომიტანეს, წავიკითხე და ლამის გავგიჟდი, „ეგენი“ ქართველებს რა დღეში აყდებენ, მაგათი ერი ვერა და ვერ ისვენებს, ეს რა დაუჯერებელი ამბები მესმის, ქართველ ქალიშვილებს აუპატიურებენო, მამაკაცებს სწვავენო. მოკლედ, არც ვიცი, როგორ ხდება ასეთი რამ, რისი იმედით აწიეს ხელი ჩვენზე, რამ გაამხნევათ ასე?!

თბილისში 16 კი არა, უფრო მეტი მოუკლავთო (9 აპრილს), ამდენი ახალგაზრდა ქართველი ჯანსაღი კაცი აქ ვართ და მანდ ასეთი რამ ხდება. ვერ გამიგია ვის ვუხდით ვალს და ვისი მშვიდობისათვს ვმსახურობ, თუ ჩემი, ჩვენი სამშობლო ასეთ დღეშია... ახლა ესენი (ბიჭები) მე შემომყურებენ..., მაგრამ ვიცი, რომ ერთი შვილი გყავართ და როგორ მივლით, მარტო ეგ მაკავებს და ისიც, — აქ რომ რამე მოხდეს, ამ ბიჭების მშობლებს რა ვუთხრა მერე. დედა, შენ ნუ მიმალავ, რაც გასაგებია, მე მაინც გავიგებ, ასე რომ, ისევ ჯობია შენ მომწერო, შენ უფრო კარგად ამიხსნი და შენგან უფრო კარგად გავიგებ...“

მტერ-მოყვარეობის გარჩევის შესანიშნავად მცოდნე მაღალი ზნეობის ვაჟკაცმა მშობლებს აფხაზი მეგობრები ჩააბარა, — ჩემს დაბრუნებამდე შეიფარეთო და თვითონ მათ თვალწინ იმ აფხაზების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა, რომლებიც სამშობლოს მთლიანობას ედავებოდნენ.

მაგრამ მტრის მიერ დადებულმა ნაღმმა 1992 წლის 29 სექტემბერს სოფელ სომხურ ათარასთან სწორედ ის ტანკი ააფეთქა, რომელიც წინა დღეს ვახტანგმა თავისი ხელით ააწყო და თვითონვე მართავდა.

23 წლის ქართველი ვაჟკაცი ტანკში დაიწვა, იმავე დღეს მისი მამა, მუდამ ჩუმი და მოკრძალებული ომარ ელერდაშვილი, საკუთარი ბინის აივნიდან, მე-9 სართულიდან გადახტა და 49 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა სამშობლოსა და შვილის უბედობით გამწარებული სიცოცხლე.

ვახტანგ ელერდაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

მარინე სხირტლაძე

მამუკა ელიაშვილი

მამუკა იურის ძე ელიაშვილი დაიბადა 1969 წლის 23 იანვარს, თბილისში. 1973 წელს სწავლა დაიწყო თბილისის 23-ე საშუალო სკოლის პირველ კლასში, შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ტყიბულის № 6 საშუალო სკოლაში. მე-9 კლასიდან გადავიდა მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში და პარალელურად დაიწყო მუშაობა მუშად ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის სისტემაში. სკოლის ფრიადზე დამთავრების შემდეგ 1985-87 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულში მინდელის სახელობის მაღაროში მიწისქვეშა მუშად. 1988 წელს ჩაირიცხა ქ. ორჯონიკიძის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მოსამზადებელ კურსზე. 1990 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და ხალხი. ყოველთვის იდგა იქ, სადაც გრძნობდა, რომ მისი თავი მამულს სჭირდებოდა. ამიტომ 1989 წლის აგვისტის დღეებში აფხაზეთშია. 1991 წლის დეკემბერში ტყიბულის ბატალიონის მეთაურ გელა გიორგაძესთან და სხვა გვარდიელებთან ერთად ის და მისი უმცროსი ძმა ლადო საგანგებო და ფრიად საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებენ. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას მამუკა მსუბუქად დაიჭრა. ბედად გადარჩა. ბუნებით უშიშარი კიდევ უფრო დარწმუნდა შინაგანად, რომ მტრის ტყვია ვერ მოერეოდა, ამიტომ თავშეხვეული გელასთან ერთად ისევ წინა ხაზზე ტრიალებდა და ყველა გაჭირვებაში მყოფს თუ დაჭრილს მშველელად და მხსნელად ევლინებოდა, გელას კი ვერ უშველა. გმირულად დაცემული უფროსი მეგობრის წინაშე ფიცი დასდო, რომ ბოლომდე იბრძოლებდა ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოსათვის. დადებული ფიცი პირნათლად შეასრულა. ამიტომ იდგა იარაღით ხელში ტელეცენტრის განთავისუფლებისას, ამიტომ იყო, რომ აფხაზეთში ომის დაწყებიდან მეოთხე დღეს, მოხალისედ მიმავალს, დედამ შეაპარა — შემოდგომის ფოთლებივით ცვივიან ახალგაზრდებიო, მან უპასუხა: — ყველა დედამ რომ შვილებს ბრძოლაში წასვლა დაუშალოს, ვინღა დაიცვას საქართველო, იქ, აფხაზეთში, ტყვიის ქვეშ მყოფ საძმოს ვერ დავტოვებ მარტოს მტრის პირისპირ და თუ დავეცი, ალბათ, ეს ჩემი ბედისწერა იქნებაო.

დაეცა სოფელ ტამიშთან მუხანათურად ჩასაფრებული მტრის ტყვიით. აგუძერის წმინდა ნინოს სახელობის ჰოსპიტალში, თირკმელდაგლეჯილი და ღვიძლდაფლეთილი, სისხლის გადასასხმელად მისულ ათეულ მეგობარს ამხნევებდა: ვერაფერს მიზამსო მტრის ტყვია, სიკვდილი ვერ მომერევაო.

მაგრამ მაინც მოერია.

ველარ უშველა მრავალი სიცოცხლის გადმრჩენელი ექიმი მშობლების მეღვა გოგრიჭიანისა და იური ელიაშვილის ყოველმხრივმა მცდელობამ, ვერც ძმის — ალექსი ელიაშვილის გადასხმულმა სისხლმა. მოკვდა ვაჟკაცური სიკვდილით.

25 წლისამ ყველაფერი მოასწრო. ვაჟკაცურად მოიხადა ვალი სამშობლოსა და სამეგობროს წინაშე.

ნამუსიანად ვალმოხდილი მიუვიდა იმ ქვეყანაში სათაყვანებელ მასწავლებელს გელა გიორგაძეს და ტყიბულის გვარდიის გმირულად დაღუპულ მეგობრებს.

მიხეილ ერემეიშვილი

დაიბადა 1970 წლის 31 დეკემბერს ვანის რაიონის სოფ. დიხაშხოში, მუშის ოჯახში. ჰყავს მეუღლე — თინათინ დიასამიძე და შვილი — მიხეილი, რომელიც ამ ქვეყანას მამის გარდაცვალების მესამე დღეს მოევლინა. ჰყავს დედა — გულნაზი, მამა — სიპიტო ერემეიშვილები, და-ძმა.

1976 წელს სწავლას იწყებს ვანის რაიონის სოფ. დიხაშხოს საშუალო სკოლაში. გატაცებული იყო სპორტით. სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. სადესანტო ჯარებში იყო სნაიპერი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ თამაშს იწყებს ვანის ადგილობრივი გუნდის „ვანი-სულორის“ მეკარედ.

1992 წლის 15 მაისს გახდა მაშველთა კორპუსის „მხედრიონის“ წევრი. იბრძოდა მთელ რიგ ცხელ წერტილებში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაგრის დაცვისთვის ბრძოლების დროს. მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ბრძოლა სოფელ კოლხიდასთან, სადაც დაიღუპა 1992 წლის 19 აგვისტოს.

ღირსეული მამულიშვილის მიხეილ ერემეიშვილის სახელს მისი თანამემამულეები მომავლის საქართველოში პატივით მოიხსენიებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაატა ექიზაშვილი

პაატა ვარლამის ძე ექიზაშვილი დაიბადა 1966 წლის 29 ნოემბერს. დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო სამსახური და ტელევიზორების ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

1988 წელს დაოჯახდა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, — პატარა თამუნა და ვალერი.

1993 წელს გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში და ჩაირიცხა 114-ე პატალიონ „ავაზაში". 1993 წლის 2 თებერვალს აფხაზეთში ქართული მიწის დასაცავად გმირულად დაეცა ოჩამჩირეში...

* * *

... მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთბი მამულს კელაპტრად.
დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ექსეულიძე

ნუგზარ პავლეს ძე ექსეულიძე დაიბადა 1971 წლის 28 აგვისტოს ახალციხის რაიონის სოფ. აწყურში. სკოლა დაამთავრა 1986 წელს, რის შემდეგაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იბრძოდა სამაჩაბლოში, შემდეგ კი აფხაზეთში, ტაძიშში, სადაც საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას შესწირა თავისი სიცოცხლე. მას ხომ 21 წელი 28 აგვისტოს შეუსრულდა! ჰყავს დედა, ორი და და ერთი ძმა.

დაუვიწყარი იქნება მისი ნათელი ხსოვნა.

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა....
ვერცა ოსძალომ, ვერც მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენი ისე ღრმა ხარ, ისე ვაქიზი,
ქართულო ცაო...

1945

ანა კალანდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა ეჯიბია

მამის ბარათი

ლიანა ტატაშის ასული ეჯიბია დაიბადა 1949 წლის 7 მაისს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში, 1966 წელს დაამთავრა ქ. სენაკის მეორე საშუალო სკოლის სრული კურსი. იმავე წელს სასწავლებლად გადავიდა ქ. სოხუმში, მაგრამ ინსტიტუტში ვერ მოხვდა, ვერ მოაგროვა საჭირო ქულები. იმავე წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმის № 1 პურის ქარხანაში მუშად.

1966 წლის დეკემბერში გათხოვდა მეგონა მიხეილის ძე კვირკველიაზე, ჰყავს ორი შვილი—გოგო და ბიჭი, ორივე დაოჯახებულია. 1970 წელს იგი მუშაობას იწყებს ვაჭრობის სისტემაში და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ორი მცირეწლოვანი შვილის დედა შედის ქ. სოხუმის საბუღალტრო ტექნიკუმში, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მთავარ ბუღალტრად, სადაც მუშაობდა დაღუპვამდე.

1982 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლას აგრძელებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წელს და მიიღო ბუღალტერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. ფაკულტეტის დეკანატი ტოვებს უნივერსიტეტში ლაბორანტად და თან ამზადებს რეფერატს საბუღალტრო აღრიცხვის კურსით თემაზე „კომპიუტერის გამოყენება საბუღალტრო აღრიცხვაში“ და 1991 წლის სექტემბრიდან უფროსი მასწავლებლის ხარისხით კითხულობდა ლექციებს დასახელებულ ფაკულტეტზე პირველ და მეორე კურსელთათვის.

ლიანა იყო კარგი მეოჯახე და კარგი დიასახლისი. შვილებს გზა გაუხს-

ნა, — ქალიშვილმა დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო ვაჟიშვილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, მუშაობს შს ორგანოების სისტემაში და უშიშრად ებრძვის იარაღით ხელში აფხაზ სეპარატისტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობიდან დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით, სკოლაში სწავლის პერიოდში 4-ჯერ იყო ბავშვთა თვითშემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების ლაურეატი და დაჯილდოებული იყო ოქროს მედლებით, ჰქონდა იდეალური მუსიკალური სმენა, მღეროდა და ბრწყინვალედ ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, უკრავდა ფანდურზე, ჩონგურზე და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან ბევრის გაკეთება შეიძლო, საზოგადოებაში დატოვა სამშობლოსათვის თავდადებული მანდილოსნის სახელი, მაგრამ მას ბევრი განუხორციელებელი ოცნებაც დარჩა. იგი ვერ მოესწრო ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობას, მას ადრე მოუსწრაფეს სიცოცხლე აფხაზმა ძმათა მკვლელებმა.

ჩემი შვილი ლიანა ტატაშის ასული ეჯიბია ერთადერთი ქალია, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა ტყვეით დაცხრილეს და ქუჩაში გადააგდეს. უკანასკნელ ხანს იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარ ბუღალტრად, ხოლო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო ძმათამკვლელი საზიზღარი არძინბა.

12 წელი იმუშავა მან ამ ინსტიტუტში, იმ ასკაციან ინსტიტუტში ჩემი ქალიშვილი იყო ერთადერთი ქართველი, რაც მოხსენიებული აქვს თავის საგაზეთო სტატიაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ როინ მეტრეველს (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1989 წ.).

ჩემი შვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ინსტიტუტში, ისე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედიოდა. საკითხავია: მაინც რატომ მოკლეს ეს უმწეო ქალი? როგორც გაირკვა, აგვისტოს შემდეგ აფხაზეთი აირია, გაჩაღდა ომი, არძინბა თავისი აფხაზებითურთ გაიქცა გუდაუთაში, ინსტიტუტი შეატოვა მის მოადგილეს ლიანას და ეს ინსტიტუტი ომის დღეებშიც მუშაობდა. ჩემი ქალიშვილი სოხუმში დარჩენილ თანამშრომლებს აძლევდა ხელფასს. ასეთ ვითარებაში მან, არ ვიცი ვისი მითითებით, თუ პირადი ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 100.000 მანეთი. ისე მოხდა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მას ერთდროულად გამოუტანია თანამშრომელთა ხელფასიც, რასაც ურიგებდა თანამშრომლებს გამოძახებით. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი ბანკის მეშვეობით, ეს შეიტყვეს სოხუმში დარჩენილმა არძინბას ლაქიებმა და, როგორც ჩანს, მოაწყვეს შეთქმულება ჩემი ქალიშვილის გასანადგურებლად, რაც სისრულეში მოიყვანეს კიდეც 1992 წლის 20 ოქტომბერს.

ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 20 ოქტომბერს, როგორც კი მოკვ-
ლეს ჩემი შვილი და მიზანს მიაღწიეს, მეორე საღამოს ცეცხლს მისცეს ამ
ინსტიტუტის შენობა, სადაც მუშაობდა ჩემი ქალიშვილი. ამბობენ, რომ ამ ინ-
ტიტუტსა და არქივის შენობაში, რომელიც დაწვეს, ინახებოდა საიდუმლო დო-
კუმენტები, რაც საბაბი გახდა მისი განადგურებისა.

ასე ტრაგიკულად დასრულდა ჩემი 43 წლის შვილის სიცოცხლე, რაც მან ზვარაკად შესწირა თავი საყვარელ საქართველოს და ქართველ ხალხს.

დიდი პატივისცემით **ლიანა ეჯიბიას მამა.**

რამინ ვაწაძე

დაიბადა 1967 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ნასპერში.

სწავლობდა ნასპერის რვაწლიან სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, იმსახურა გერმანიაში, მიღებული აქვს მრავალი სიგელი.

1991-ში თავისი სურვილით განაგრძო სამსახური საქართველოს ეროვნული გვარდიის 28-ე ბატალიონში.

ამავე წლის 12 ივლისს დაიღუპა ოს ექსტრემისტებთან შეტაკებისას.

სამარადისო იყოს მისი ხსოვნა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიშიკო ვარდიაშვილი

მიშიკო ვალერის ძე ვარდიაშვილი დაიბადა 1970 წლის 18 თებერვალს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობდა გრიბოედოვის თეატრში, თან პარალელურად სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში. მეორე კურსზე იყო, როცა მისი მხედრული ვალის მოხდა გახდა საჭირო საქართველოსათვის და ისიც მოხალისედ ჩაეწერა ბატალიონ „ავაზაში“.

ვაჟკაცურად იბრძოდა აფხაზეთში. ყველა საბრძოლო ოპერაციაში წინა ხაზზე იყო, რამდენიმეჯერ დაჭრილიც იყო, მაგრამ ბრძოლის ჟინი არ უცხრებოდა, ვერ ღალატობდა სამშობლოსა და მეგობრებს. აკი 2 ივლისს მიშიკო მეგობრების გადარჩენას შეეწირა, რამოდენიმე დაჭრილი თანამებრძოლის გამოყვანა შესძლო, თითონ კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდა მტერს და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

მიშიკომ ვერ მოასწრო ოჯახის შექმნა და მემკვიდრის დატოვება, ის კი არადა, თითონაც დედისერთა იყო და აცრემლებულ ოჯახს მხოლოდ გმირის და ვაჟკაცის სახელი დაუტოვა — ცოტაა?

ზურაბ ვარსიმაშვილი

სერჟანტი ზურაბ ვასილის ძე ვარსიმაშვილი დაიბადა 1973 წლის 20 მაისს დუშეთის რაიონის სოფელ ვარსიმაანთკარში. მსახურობდა ოპერატიული პოლკის სადესანტო-საიერიშო ბატალიონ „ღამურაში“.

ღაილუპა 1992 წლის 23 ნოემბერს, ტამიშთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ვაჩეიშვილი

ალექსანდრე (სანდრო) კონსტანტინეს ძე ვაჩეიშვილი — მხატვარი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 31 ოქტომბერს.

მამა — იურისტი. დედა — ისტორიკოსი.

1977 წ. დაამთავრა თბილისის 53-ე საშ. სკოლა.

1977 წ. შევიდა და 1984 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, ფერწერის რესტავრაციის სპეციალობით.

1984 წლიდან — საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრი.

1984—1987 წლებში — მცხეთის რაიონის სოფ. ძველი ქანდის საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებელი.

1989 წლიდან — პუშკინის სახელობის (1990 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახ.) სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხატვის კათედრის პედაგოგი.

1991 წ. დეკემბერს მოხალისედ იბრძოდა სამაჩაბლოში.

1992 წ. 13 აგვისტოს მოხალისედ წავიდა აფხაზეთში.

15 აგვისტოს ლესელიძესთან, დაბა განთიადში საქართველოს პირველი საზღვაო დესანტის გადასხმის დროს გმირულად დაიღუპა.

ჰყავს ცოლი და შვილი.

მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში:

1981 წ. — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა გამოფენა.

1983 წ. — საქართველოს სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა (ბავშვთა მუზეუმის შენობაში).

1987 წ. აპრილში — საქართველოს მხატვართა რესპუბლიკური საგამოფენო-ლო გამოფენა (მხატვრის სახლში).

1987 წ. ოქტომბერში — საქართველოს მხატვართა რესპუბლიკური ... მოდგომო გამოფენა (მხატვრის სახლში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წ. — ივნისი — ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ძველ თბილისში.

1988 წ. ივლისი — გამოფენა ქ. ძნელაძეში.

1988 წ. ივლისი — გამოფენა მოსკოვში.

1988 წ. სექტემბერი — ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა — გაყიდვა მოსკოვში („მზიურში").

1991 წ. თებერვალ-მარტი — ავანგარდისტ მხატვართა გამოფენა თბილისში (მხატვრის სახლში).

1990 წ. — გამოფენა ქ. ზაგრებში (იუგოსლავია).

1990 წ. — გამოფენა ვენაში (ავსტრია, ფირმა „დარაბა").

ალექსანდრე ვაჩეიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.



მალხაზ ვაჩეიშვილი

დაიბადა 1953 წლის 19 სექტემბერს თბილისში. დედ-მამა — ლამარა და დავით ვაჩეიშვილები მხატვრები არიან. ჰყავს და. დაცილშვილება ვერ მოასწრო. დაამთავრა 58-ე საშუალო სკოლა. სწავლობდა თსუ გეოგრაფიულ და სარეჟისორო ფაკულტეტებზე. მუშაობდა უნივერსიტეტში კათედრაზე და კინოსტუდიაში.

მალხაზ ვაჩეიშვილი თბილისელი ღიმილიანი ბიჭი იყო, გამოირჩეოდა რომანტიკული ბუნებით. გატაცებული იყო მაღალი მწვერვალების დალაშქვრით,

შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო და შუა აზია. იღებდა ალპინისტურ ლაშქრობებში მონაწილეობას.

იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. აფხაზეთის ომის დასაწყისიდან ჩაება ბრძოლაში დასასრულამდე. არაღი არ გაუშვია ხელიდან. 1992 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩამოაყალიბა ქართველ მაშველთა კორპუსთან მთამსვლელთა დაზვერვით — მოიერიშე ჯგუფი.

1992 წლის 28 ნოემბერს ტყვარჩელის მისადგომებთან, სოფელ ქეთევანას დაცვისას შტაბიდან ტყვია-წამალი აიღო და განწირულ პოზიციაზე გადასვლით მოისპო უკანდახევის ყოველგვარი საშუალება და ამ თავდადებით შეაჩერა რამდენიმე ხნით მტრის შემოსვლა სოფელში. მტერმა მრავალგზის მოთხოვა დანებება, მაგრამ მალხაზმა ბოლო ტყვიამდე იბრძოლა და უკასკნელი ხელყუმბარის სროლისას რამდენიმე მხრიდან გახსნილი ცეცხლით ჰაერშივე გაიყინა. მას სიყვარულით „ვაჩეს“ ვეძახდითო, ამბობენ ძმადნაფიცები.

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა **ვახტანგ გორგასლის** პირველი ხარისხის ორდენი.



ზაქარია (ზაზა) ვეშაპური

დაიბადა 1969 წლის 1 აპრილს ქ. თბილისში მექანიკოს გიორგი ვეშაპურის ოჯახში.

საბავშვო ბაღის შემდეგ ზაქარია 1975 წელს შეიყვანეს თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში, სადაც გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და გონებამახვილობით. განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა უცხო ენებისადმი. ძალიან უყვარდა გერმანული ენა და გერმანელი ერი.

1976 წლიდან ზაზა ვარჯიშობდა ნაძალადევის მოჭიდავეთა კლუბში. ნიჭიერი ახალგაზრდა მალე შეამჩნიეს და გადაიყვანეს ფალავანთა კლუბში. მის ყველა გამოსვლას ხალიჩაზე მაყურებელი ყოველთვის შეძახილით ეგებებოდა „მიდი, ვეშაპ, მიდი...“ ასე შემორჩა მეტსახელად „ვეშაპა“. ზაზა ვეშაპური ჯილდოებული იყო სიგელებით, დიპლომებით, მონაწილეობა მიღებული აქვს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაში, კიევში, ხარკოვში, ბაქოში, ერევანში, მოსკოვში, საიდანაც ყოველთვის I და II ხარისხის დიპლომებით ბრუნდებოდა. 1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1988 წელს მიეწიჭა სპორტის ოსტატის წოდება, ხოლო 1989 წელს ჩაბარა მილიციის უმაღლეს სკოლაში. იმავე წლის 23 ნოემბრიდან იგი სამშობლოს სადარაჯოზე იდგა ცხინვალის რეგიონში, სადაც განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა.

1990 წლის ოქტომბერში დაოჯახდა. 1991 წლის 23 აგვისტოს შეეძინა ვაჟი, რომელსაც თავისი გარდაცვლილი ძმის სახელი – თემური დაარქვა.

1992 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთში, გაგრაში წასვლა გადაწყვიტა.

საღამოს მეგობრების წრეში საქართველოზე, მის მომავალზე ლაპარაკობდა. თავისი პატარა თემური ჩაბარა ბავშვობის მეგობრებს: „ბიჭებო, მე ისეთ ცხელ წერტილში მივდივარ, შეიძლება ვერ დავბრუნდე და, თქვენ იცით, არავის დაჩაგვრინოთ ჩემი შვილებიო“. 26 აგვისტოს გამოეთხოვა ფეხმძიმე მეუღლეს და გაგრაში წავიდა. ისე წავიდა, რომ მშობლებს არ გამოეთხოვა. იფიქრა გაეპარებიო. არ წაიყოლა დედის ალერსი, დედის ლოცვა.

საბედისწერო გამოდგა მისთვის საქართველოს ეს ლამაზი ქალაქი. 29 აგვისტოს გაგრაში გათენდა მისთვის უკანასკნელი დილა. კოლხიდაში, საბრძოლო პოზიციის დაცვისას, გმირულად დაეცა ზაზა ვეშაპური. გააფთრებული ებრძოდა თურმე ვერაგულად, ზურგიდან შემოპარულ მტერს. როგორც მისი თანამებრძოლები ჰყვებიან, ტყვიანაკრავი მაინც ვაჟკაცური იბრძოდა „პირველკურსელები გააცილეთ აქაურობას, ჩვენ არაფერი გვიჭირსო...“ მუხანათურად ზურგიდან მიუშვეს ავტომატის ჯერი. ასე მარტო, უპატრონოდ იწვა სამი დღის განმავლობაში, მტრის გარემოცვაში. თბილისში კი... თბილისში მის ჩამოსვენებას ელოდნენ გამწარებული დედ-მამა და ახლობლები. სამი დღის შემდეგ ლახურული კუბოთი ჩამოასვენეს. მშობლებმა ვერ ნახეს მათი გმირულად დაღუპული ვაჟკაცის სახე, დედა ველარ მოეფერა უკანასკნელად.

წავიდა და თან წაიყოლა თავისი ერთი წლის „ბომბორას“ დარდი. მისი ჯერ დასაბადებული პაწიას სიხარული, როგორც თვითონ ამბობდა, „პატარა ზაზა“... და ტირის ზაზა ვეშაპურის დედა თავის ორ ვაჟკაცს და ერთადერთი, რაც მის ცხოვრებას აზრს და მიზანს უბრუნებს, ის არის პატარ ზაზა, ვეშაპურის ჯიში და ჯილაგი რომ უნდა გააგრძელოს და გაამრავლოს!

მამული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკარით, ძმებო, დაჰკარით,
ჩვენს ხმლებს მტრის სისხლი ნუ მოშივდება.
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საარაკო გმირებს დიდება!
რა შეედრება იმ წმინდა ღამეს,
როს ომგადახდილთ შეგვარხევს ქარი,
და განა კიდევ იქნება რამე,
გამარჯვებულთა სიმღერის დარი?
დღეგრძელი იყოს ჩვენი მამული,
არ მივაკაროთ მის ნათელს ჩრდილი.
როგორ ინათებს ცა მეწამული
მტრის დამარცხების პირველი დილით!
მიწა თვალს გახსნის, წყნარი და მშვიდი
მამულიშვილთა ნახვის მსურველი.
რარიგ იფეთქებს პირველი კვირტი,
და რა იქნება მისი სურნელი!
მზე რტოებს აყრის ადიდებული
შრიალით, მტვრევით, კორიანტელით,
და რა იქნება, რა დიდებული
იმ გამარჯვებულ დღეთა ნათელი!
დაგვიბრუნდება მშვიდობის დღენი,
გაიფანტება ღრუბლები მტრისა.
და რა იქნება, ბიჭებო, ჩვენი
შეძახილი და სოფელში მისვლა!
ჩვენზე იტყვიან შვილიშვილებიც,
წინაპრები რომ ვყავდით ქებულნი:
მტერს შევეტაკეთ ფრთაგაშლილები,
ბრძოლაში ცეცხლად აფეთქებულნი.
დაჰკარით, ძმებო, უფრო დაჰკარით,
ტყვიას მტრის სისხლი ნუ მოშივდება.
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საამაყო მამულს დიდება!

ალექსანდრე საჯაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაატა ზაზიკაშვილი

დაიბადა 1962 წელს ქ. ხაშურში.

მხედრიონის წევრია მხედრიონის დაარსების დღიდან. იბრძოდა ყოფილ სამხრეთ ოსეთში, გაგრაში და, ბოლოს, ოჩამჩირეში.

დაჭრილი იყო ორჯერ.

სეპარატისტებმა აფხაზეთში ბრძოლის დროს იგი 5 მილიონ მანეთად შეაფასეს, მას კი სახელმწიფოსაგან ბრძოლის საფასურად კაპიკიც არ მიუღია (რა თქმა უნდა, არც უთხოვია).

დაიღუპა 1992 წლის 5 ნოემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფ. არადუში. აფეთქდა ნაღმზე დიდი ოპერაციის შესრულების დროს. დაჭრილი მოიპარეს აფხაზმა სეპარატისტებმა, აწამეს მომაკვდავი და ორი დღის შემდეგ ცოცხალ ტყვეებში გაცვალეს.

პაატა ზაზიკაშვილს დარჩა მეუღლე — ლია ნადირაძე. და ორი მცირეწლოვანი ვაჟი — გურამი (8 წლისა) და ლაშა (7 წლისა).

სამშობლო არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს — პაატა ზაზიკაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო ზარდიაშვილი

დათო (პაატა) თამაზის ძე ზარდიაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, 1963 წლის 15 სექტემბერს, მოსამსახურის ოჯახში.

პაატა რქმევია მის წინაპარ პაპას, რომელიც დიდ ერეკლეს ხლებია ბრძოლებში, ამიტომ საგვარეულო ხმალიც დათოს (პაატას) ხვდა წილად.

ეს სახელი ყოველთვის შიშს მგვრიდა, ამიტომ ვარჩიე დავითიო, — ასე გახდა ბიჭი ორსახელა.

3 წლის ასაკში ბებიამ წერა-კითხვა შეასწავლა. 5 წლისა უკვე სკოლაში წავიდა, 16 წლისამ დაამთავრა თბილისის 87-ე საშუალო სკოლა წარჩინებით და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

1985 წელს წარჩინების დიპლომით დაასრულა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი და ინგლისური ენის მეორადი ფაკულტეტი. დიდ ცხოვრებისთვის უკვე მზად იყო, მაგრამ დაოჯახება ვერ მოასწრო. გახლდათ შესანიშნავი მოცურავე, ფოტოგრაფი, მხატვარი, მებაღე და კიდევ რა არ იცოდა, ქარგავდა კიდეც. საბედისწერო შემთხვევა რომ არა, რამდენს შესძენდა ის თავის ქვეყანას!

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ შესძრა 26 წლის ახალგაზრდის ნატიფი სული, მან რაღაც დიდის მოახლოვება შეიგრძნო, სამჯერ იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი, ამ დროისათვის ყველა საბუთი მზად ჰქონდა გერმანიაში სამუშაოდ წასასვლელად და, უცებ, როდესაც ეროვნული ცეცხლი დაენთო საქართველოში, მან განაცხადა: საქართველოდან წასვლა ახლა ღალატის ტოლფასიაო.

1990 წლის 12 დეკემბერს პაატას წმინდა სისხლმა შეღება ცხინვალის ცენტრალური მოედანი — ღღისით-მზისით.

ოსი ექსტრემისტების ხელით ვერაგულად გასროლილმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა ორ ქართველ ვაჟკაცს — დათო ზარდიაშვილსა და რეზო ურიდიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ქართული სანთელი ერთად ჩააქრეს. ერთი პაატა კრავეთ-კიდევ შეეწირა საქართველოს თავისუფლებას!

მას სიკვდილის შემდეგ გვარდიელის საპატიო წოდება მიენიჭა.

ვაი, ბედკრულო საქართველოვ, შენ ამ უთანასწორო ბრძოლაში ყველაზე კარგი შვილები დაჰკარგე, მაგრამ ისინი კიდევაც დაიზრდებიან!

ლალი ფრანგიშვილი

თამაზ ზოროიანი

დაიბადა 1969 წლის 8 დეკემბერს ქალაქ თბილისში. 1976 წელს შევიდა თბილისის 122-ე საშუალო სკოლაში. 1985 წელს დაამთავრა 9 კლასი, იმავე წელს შევიდა თბილისის 71-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში. გაიარა სრული კურსი, გახდა დურგალი — ხის დამმუშავებელ საწარმოებში უნდა ემუშავა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს 1988 წელს. იყო სნაიპერი მსროლელი. ვალმოხდილი ჩამოვიდა 1990 წელს. იმსახურა მოხალისეობით. 1991 დაამთავრა მძღოლის კურსები.

1992 წლის ოქტომბერში გაიწვიეს აფხაზეთში საბრძოლველად. 3 ნოემბერს სოფელ შრომასთან შეტაკების დროს ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

მამუკა ზურაბაშვილი

დაიბადა 1972 წელს. სკოლა დაამთავრა 1989 წელს. 1990 წელს გაიწვიეს რუსეთის ჯარში, ორი კვირის შემდეგ დატოვა ნაწილი და დაბრუნდა სახლში. ეროვნული გვარდიის შექმნისთანავე წავიდა გვარდიაში. მსახურობდა ტყიბულის ბატალიონში. 1991 წლის აგვისტოში თენგიზ კიტოვანის ბრძანებით წავიდა შავნაბადაზე. ეროვნული გვარდიის გაუქმების შემდეგ დაბრუნდა სახლში. 1992 წლის მარტში ხელახლა წავიდა გვარდიაში — ამჯერად თერჯოლის ნაწილში. აქედან ერთი თვით გადაიყვანეს ცხინვალის რეგიონში, ხოლო აგვისტოს თავიდან — სოხუმში. 1992 წლის 24 აგვისტოს მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური თაბაგარი

ახლადგაჭრილ საფლავთან კიდევ ერთხელ აკაკანდნენ მრავალჭირგამოვლილი საძმოს ავტომატები და სევდიანად გაყუჩდნენ. გახურებული ლულებიდან ამომავალი ლურჯი ბოლი კი ზანტად შეერია ისეც გახურებული ივლისის თაკარა ცას. ცრემლს გზა ჰქონდა გახსნილი, სევდა კი უსასრულო იყო.

კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა მისი მოკრძალებული, პატარა ისტორიისა, რომელიც დიდი სიყვარულითა და ვაჟკაცობით იყო სავსე. კიდევ ერთი სამშობლოსათვის დაღუპული ქართველი მეომრის სიცოცხლე მიითვალა ზენაარმა, ხოლო ტყვიებით დაფლეთილი სხეული მშობლიური თაბაგრების მიწის საკუთრება გახდა.

იური თაბაგარი ჭიათურის ზონის სოფელ თაბაგრებში დაიბადა 1961 წლის 6 სექტემბერს. ხალიფაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთხანს ა. წერეთლის სახელობის მაღაროთა სამმართველოში მუშაობდა გვირაბგამყვანად, 1989 წლიდან კი აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, მისი საბრძოლო გზა „თეთრი გიორგის სადროშოდან“ დაიწყო, 1992 წლის მარტიდან კი იგი უკვე ბატალიონ „ავაზას“ წევრია, რომლის დღევანდელი მეთაური, ბატონი ტრისტან წითელაშვილი, იურის დაკრძალვის დღეს დიდი ტკივილით იხსენებდა, თუ როგორ გამოიყვანა დაჭრილი მეთაური (ბატონი ტრისტანი) იურიმ ცეცხლის ხაზიდან და, რომ არა იურის ვაჟკაცობა, შეიძლება დღეს ცოცხალი აღარ ვყოფილიყავიო, დაუმატა შემდეგ.

ბატონი ტრისტანის სიტყვები ჭეშმარიტებას ღაღადებენ. იურის დიდი და კეთილი გული ჰქონდა. მას არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის მიმართ. ასეთი დარჩა ბოლომდე. დარჩა კიდევ ახალგაზრდა ქალი, სიყვარულგაკარგული, მაგრამ დიდ სიყვარულს ნაზიარევი თინათინი

– იურის მეუღლე და სამი პატარა ობოლი: შალვა, გიორგი და ხათუნა. ბოლო უმანკო ცრემლიც გაჰყვა უდროოდ დაღუპულს სამარადისო გზაზე. შმობლები კი... მათი წუხილი უსასრულო და უიმედო დარჩება ბოლომდე.

საძმო-სამეგობროც დიდი ჰქონდა იურის ცხოვრებაში. მის საფლავზე დადგმული გრანიტის სამახსოვრო სურათიც, ამის ნათელი დადასტურებაა. „სოფლის ახალგაზრდებისაგან“ ასეა აღნიშნული ქვაზე ამოკვეთილი სურათის ქვეშ. გარდა ამისა იურისავე საფლავზე იცლება ხოლმე მეგობრებისაგან მოტანილი ხსოვნის სასმისებიც. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

იური თაბაგარის ნათელი სულიც მაშინ მოისვენებს, როცა ამქვეყნად ბოროტება მოისპობა, სიკეთე იზეიმებს, საქართველო დიდი, ძლიერი, ერთმორწმუნე და მოყვასის გამტანმოჭირნახულე გახდება.

ისიც ხომ სწორედ ამაზე ოცნებობდა.

გიორგი თარხნიშვილი

გიორგი ნოდარის ძე თარხნიშვილი დაიბადა 1973 წლის 30 ივნისს, მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა თბილისის 107-ე საშუალო სკოლაში. ძალზე უყვარდა სამშობლო, თანაკლასელები, მასწავლებლები, პოეზია. შესანიშნავად კითხულობდა ლექსებს და გმირობაზე ოცნებობდა.

სულსწრაფი იყო გია. ალბათ, გული უგრძნობდა, რომ მისი სიცოცხლე მხოლოდ 20 ლამაზ გაზაფხულს გაივლიდა და უკვე 15 წლის ასაკში შეირთო მეუღლე, რომელიც წრფელი გრძნობით უყვარდა. შეიქმნა კიდევ ერთი ლამაზი ქართული ოჯახი, რომელიც ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა. სულ მალე მათ ქალ-ვაჟი ციცინო და ,დავითი შეეძინათ.

ვაჟკაცური ბუნების გია გატაცებული იყო სპორტით. „დოშინკაში“ „ბავ-ქამრის“ მფლობელი იყო. გიამ სამსახურიც რაინდული აირჩია: მუშაობდა კო-ოპერატიულ ფირმა „დეტექტივში“, შემდეგ დეტექტიურ საზოგადოებაში „დეტექ-“, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობის გრძნობითა და თავგანწირვით ემსახურა.

1992 წლის 1 ივლისიდან გიამ მუშაობა დაიწყო თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძთავარ სამმართველოში. მალე ზემდეგი გახდა. ლამაზ ვაჟკაცს სამხედრო ფორმა ძალზე შვენოდა. საიდუმლო დავალებებს პირ-ნათლად ასრულებდა და თითქმის მთელ სამხედრო ტექნიკას შესანიშნავად ფლობდა. ამიტომაც სულ მალე უფროსების ნდობა და მეგობრების სიყვარული დაიმსახურა.

დაიწყო აფხაზეთის ომი. საქართველოს მთლიანობას საფრთხე დაემუქრა. გია თანამებრძოლებთან ერთად უყოყმანოდ წავიდა ოჩამჩირეში. 1993 წლის 23 აპრილს მტრის ტყვიით გულგანგმირული დაეცა ბრძოლის ველზე. ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით იცხოვრა და ამიტომაც უდავოდ დაიმსახურა **„ღირსების ორდენი“.**

სულიკო თევდორაშვილი

დაიბადა 1967 წლის 21 ივნისს, თბილისში. 1973 წელს შევიდა თბილი-სის 99-ე საშუალო სკოლაში, აქ რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გა-ნაგრძო პროფტექნიკურ სასწავლებელში.

1985 წელს დაქორწინდა ინგა შპონნაიაზე. ჰყავთ ორი შვილი: 8 წლის იური და 5 წლის ეკატერინე.

1987 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს კავშირგაბმულობის სამინის-ტროს ავტობაზაში მძღოლად, ხოლო 1988 წლიდან მძღოლ-მეხანძრედ სახან-ძრო დაცვაში.

1992 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლ-ველად წავიდა აფხაზეთის რეგიონში.

1992 წლის 15 სექტემბრიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში.

დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ გაგრაში.

სულიკო თევდორაშვილი იმისთვის იბრძოდა და იმ ნათელ მიზანს შეეწი-რა, რომ მისმა შვილებმა თავისუფალ, მშვიდობიან, დემოკრატიულ საქართველო-ში იცხოვრონ.

გვწამს, რომ ეს ასეც იქნება!

სულიკო თევდორაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორ-გასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიან (მალხაზ) თეთრაძე

დაიბადა ქ. თბილისში (ჩუღურეთის რაიონში, გოგოლის ქ. № 48-ში) 1951 წლის 7 სექტემბერს. პროფესიით ინჟინერი, მუშაობდა რადიოქარხანაში, ფერადი ტელევიზორების საამქროში, ინჟინრის თანამდებობაზე. სადაც კი უმუშავია, თავისი შრომისმოყვარეობით, ადამიანური და საქმიანი თვისებებით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. იგი იყო ჩუმი, მოკრძალებული პიროვნება. ბოლოს სწავლობდა იურიდიულზე და მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების პოლიციის უმაღლეს სკოლაში კურსის უფროსად. იყო მაიორი. 26 აგვისტოს შეიქმნა კურსანტთა ასეული და გაემგზავრნენ გაგრაში, 29-ში, დილით სოფელ კოლხიდასთან აფხაზი სეპარატისტებისა და გადამთიელი ბანდიტების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში კურსის 11 მსმენელთან ერთად სამშობლოს ტერიტორიის ხელმყოფლებთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ისე დაიცალა სისხლისაგან, რომ არ მოსცილებია მის მიერ დამოძღვრილ და დაფრთიანებულ მეომრებს. იყო სპიტაკში, სამაჩაბლოში, ცხინვალში, ბოლოს, აფხაზეთში. სწორედ აფხაზეთში დაამთავრა თავისი სიცოცხლე. ხვედრი ერთი იყო სუყველასათვის — წამებული საქართველოსთვის წამებით სიკვდილი. ყველა გაჭირვებაში ერთგულად ემსახურა თავის ქვეყანას.

სამარადისო იყოს მისი ხსოვნა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ
თინიკაშვილი

მერაბ სარდიონის ძე თინიკაშვილი დაიბადა 1961 წლის 4 იანვარს გორის რაიონის სოფელ ღვარებში, გლეხკაცის ოჯახში, 1968 წელს შევიდა გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატში. 1976 წელს, 8 კლასის დამთავრების შემდეგ, შევიდა სოფელ ხიდისთავის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დაეუფლა ელმავლის მემანქანის პროფესიასაც და 1988 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის დეპოში ჯერ მემანქანის თანაშემწედ, მერე — მემანქანედ.

1988 წელს ჩაება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. როგორც კი ცხინვალში ოსმა ექსტრემისტებმა დაიწყეს ქართველი მოსახლეობის შევიწროება, შევიდა გორის მე-11 გვარდიაში ოფიცრის თანამდებობით და იბრძოდა ჩვენი მიწისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ. 1992 წლის თითქმის ივნისამდე იბრძოდა ცხინვალში, ხოლო ივნისიდან 10 აგვისტომდე წესრიგს იცავდა გორის შემოსასვლელში. 11 აგვისტოს წავიდა აფხაზეთში საბრძოლველად, სადაც ცეცხლის ხაზზე იბრძოდა თავდაუზოგავად. 23 აგვისტოს ღამით, როცა ბზიფის ხიდს იცავდნენ, ის და მისი გვარდიელი ალყაში მოაქციეს და იქ დაიღუპნენ.

მერაბ თინიკაშვილის სახელს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანო თოდაძე

ვანო გივის ძე თოდაძე დაიბადა 1960 წელს გორის რაიონის სოფელ ზერტში. 1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიაში.

სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ მუშაობა განაგრძო სოფლის მეურნეობაში მექანიზატორად. 1986 წელს თავი დაანება მექანიზატორობას და სამსახური განაგრძო ელმავალმშენებელ ქარხანაში მუშად.

1987 წელს დაქორწინდა და დაბრუნდა ისევ სოფელ ზერტში, ისევ მექანიზატორად განაგრძო მუშაობა.

1992 წლის 17 დეკემბერს შევიდა „თეთრი არწივის" ლეგიონის თათარაშვილის ბატალიონში (I ბატალიონი).

1993 წლის 4 ივლისს მტერთან შეტაკების დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ტამიშში.

* * *

სიკვდილო

სიკვდილო, სიცოცხლისადა
თავს როდი მოგცემ მუდამა,
წავალ, მინდორში მოვკვდები,
შამბი მექნება სუდარად!
კაჭკაჭნი დამიტირებენ,
ყორნები მოვლენ მუდამა!

(ხალხური)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ თოთაძე

დაიბადა 1956 წლის 17 მარტს, ქ. სამტრედიაში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა — გიორგი თოთაძე იყო მოსამსახურე. გარდაიცვალა 1989 წელს.

დედა — თინა ჯანჯალია იყო მოსამსახურე. გარდაიცვალა 1990 წელს.

ძმა — ირაკლი თოთაძე ტრაგიკულად დაიღუპა 1991 წელს.

1963 წელს გრიგოლი შევიდა ქ. სამტრედიის IV საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1973 წელს. 1974 წელს შევიდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა ქ. სამტრედიის ყველ-კარაქის კომბინატში საწყობის გამგედ.

1978 წელს დაქორწინდა ლავანდა ჩიქოვანზე. 1979 წელს შეეძინა ქალიშვილი — მარიეტა, 1984 წელს ვაჟი — ირაკლი.

გრიგოლი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავისი ღირსეული წვლილი შეეტანა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ასე იყო ახლაც, როცა აფხაზეთის მიწაზე იბრძოდა და მაშინაც, როცა სამაჩაბლოში ქართველებს ედგა მხარდამხარ მშობლიური მიწის დასაცავად. გრიგოლ თოთაძე 1992 წლის 12 ოქტომბერს გაიწვიეს საქართველოს მთლიანობის დასაცავად. იბრძოდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშთან ქუთაისის 21ე ბატალიონის შემადგენლობაში და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე 1992 წლის 2 ნოემბერს. ის ამ დროს ათმეთაური იყო.

დასაფლავებულია ქ. სამტრედიაში, ილორის სასაფლაოზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი თაქთაქიშვილი

გიორგი (გერა) გივის ძე თაქთაქიშვილი დაიბადა 1969 წლის 8 ხექტემ-ბერს თბილისში.

1986 წელს დაამთავრა თბილისის 33-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს ძუშაობა დაიწყო დიდუბის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო აუზის თანამ-შრომლად.

1992 წელს, მარტში მოხალისედ შევიდა პირველი საარმიო კორპუსის პირ-ველი ბრიგადის მე-3 სპეცდანიშნულების ბატალიონში.

სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადის მე-3-ე ბატალიონის ებრძოლი გიორგი თაქთაქიშვილი გმირულად დაეცა მტერთან შეტაკებისას სოფელ ძველ კინდღში.

დარჩა მეუღლე და ერთი წლის შვილი ნინო.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

გელა თუთარაშვილი

გელა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, გამწარებული მშობლების ერთადერ-თო იმედო, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულო და მისთვის თავგანწირუ-ლო, 14 მარტს შენს საფლავზე შევიკრიბებით, მოგილოცავთ დაბადების დღეს, 21 წლის ვაქკაცო.

გელა, შენ გმირი ხარ, რადგან სამაჩაბლოში ერთ დღესაც არ მიგიტოვებია შენი გადამწვარი სახლ-კარი. დღე და ღამე ტყვიის წვიმაში დარაჯად ედექი შენს საფიცარ თამარაშენს, აკი დაგჭრეს კიდეც არაკაცებმა სოფელზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს...

ჭრილობა ახალი მოშუშებული გქონდა და აფხაზეთში წახვედი-მოხალისედ. ლესელიძესთან მოგისწრო მტრის ტყვიამ. შენი დასახიჩრებული სხეული გულში ჩაიკრა სამაჩაბლოში ნატყვიარმა მიწამ, შენმა სპეტაკმა სულმა ზეციურ სათელში დაიმკვიდრა მარადიული ადგილსამყოფელი.

იძინე მშვიდად, თამარაშენელო გმირო. გწამდეს, რომ შენი სამშობლო იქნება მთლიანი და განუყოფელი, ძლიერი და აყვავებული.

ღმერთმა გააძლებინოს შენს გაუბედურებულ მშობლებს. მუდამ ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული.

ნუნუ ბახტაძე, მანანა გალდავა, მანანა კობიაშვილი.

მამუკა თუშიშვილი

დაიბადა 1962 წლის 19 ივლისს თბილისში. სწავლობდა 134-ე საშუალო სკოლაში. 1984-88 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. იყო სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში.

მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონში (ლეიტენანტი).

დაიღუპა 1992 წლის 4 ოქტომბერს.

გაიყვანეს გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკიდან და დახვრიტეს.

მამუკა თუშიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ იარღანაშვილი

დაიბადა 1959 წლის 10 იანვარს, ქ. თბილისში.

1976 წელს დაამთავრა თბილისის 132-ე საშუალო სკოლა.

1977-79 წლებში მუშაობდა რუსთავში გაერთიანება „აზოტში".

1982-87 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1990 წლის ნოემბრამდე მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური საწყობის გამგედ.

1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების გააქტიურებული მოქმედების შემდეგ თემურ იარღანაშვილი სამშობლოს სიყვარულმა წაიყვანა სოფელ ოქონაში, სადაც 1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის 21 მაისამდე იბრძოდა და იცავდა მშობლიურ მხარეს. ჯერ კიდევ იანვარში ოსი ექსტრემისტებმა დაურბიეს და გადაუწვეს მამაპაპისეული სახლ-კარი.

1991 წლის 21 მაისს თემურ იარღანაშვილი მოკლეს სოფ. კოდაში. თემურის დაღუპვის ეპიზოდი ასე გადმოგვცეს ამ ამბის დამსწრეებმა:

1991 წლის 21 მაისს თემურის მებრძოლი ჯგუფი სოფელ ოქონადან სოფელ კოდაში ჩავიდა. იმ პერიოდში ხშირი იყო ქართული სოფლების დარბევის ფაქტები. სოფელში მიცვალებული უნდა დაეკრძალათ. დაკრძალვის დროს სოფელში ორი „ბტრ" შემოვიდა, რომლებშიც რუს ჯარისკაცებთან ერთად ოსი ექსტრემისტებიც ისხდნენ. მათ უნდოდათ მძევლების აყვანა. ქართველებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. „ბტრ"-ებმა უკან დაიხიეს და სოფლიდან გავიდნენ. მაშინ თემურმა და მისმა ძმებმა გადაწყვიტეს სოფელში შემოსასვლელი მეორე გზა გადაეკეტათ, რათა აქედან არ განმეორებულიყო თავდასხმა და ქართველებს ჰქონოდათ საშუალება გაეპატიოსნებინათ მიცვალებული. „ბტრ"-ები მართლაც მეორე გზიდან აპირებდნენ შემოსვლას. ქართველმა მებრძოლებმა წინააღმდე-

ბობა გაუწიეს. თემურს იარაღმა უმტყუნა, მისი ავტომატი მეორე გასროლაზე ჩწყობრიდან გამოვიდა. თემური ადგილზე მოკლეს. რამდენიმე მეზობელი დაჭრა. ასე დასრულდა თემურის ხანმოკლე, მაგრამ სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულით აღსავსე სიცოცხლე.

* * *

ძე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც არ დაიძინებსა,
ვენაცვალე ძუძუს გამზრდელსა,
გულით ეგ დამიტირებსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომენტი იმედაძე

დაიბადა 1961 წლის 25 სექტემბერს, ქ. თბილისში.

1967 წელს შევიდა ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1978 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ლაბორანტის თანამდებობაზე.

1979 წელს გახდა ამავე ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი. 1980 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1986 წლიდან გვარდიის რიგებში შესვლამდე მუშაობდა საქსოფმშენის საქსოფმშენდეტალის ინჟინრად.

ამავე დროს იყო სპორტსმენი-ცხენოსანი.

საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებული ომის აღსაკვეთად მთავრობის მოწოდებით მონაწილეობა მიიღო ამ ომში, ახალგაზრდობას იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა და დაინიშნა № 101 მოხალისეთა ბატალიონის ოცეულის შეთაურად.

ერთ-ერთი შეტაკების დროს, 13 ნოემბერს 1992 წელს მძიმედ დაიჭრა სოფ. კოლხიდასთან და გარდაიცვალა 1992 წლის 18 ნოემბერს ქ. გაგრის საავადმყოფოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგა
იმერლიშვილი

გაგა თარიმანის ძე იმერლიშვილი, შინაგანი ჯარების საპატრულო პოლ-კის სერჟანტი. გმირულად დაიღუპა 1993 წლის 2 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში.



რომან
იოსელიანი

დაიბადა 1971 წლის 27 თებერვალს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩა-რაში.

1988 წელს დაამთავრა კოჩარის რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა.

1989 წლის მაისში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ორი წელი იმსახურა სახალინის ნახევარკუნძულზე. 1991 წლის მაისში დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

1992 წლის აგვისტოდან ირიცხებოდა ადგილობრივ ქართულ გვარდიაში, იცავდა სამშობლოს. საკუთარ სოფელს, სადაც დაიბადა და გაიზარდა და სადაც ჰპოვა საბოლოო სასუფეველი.

1992 წლის 18 ოქტომბერს ტყვიის მსხვერპლი გახდა.

იმედა ირემაძე

იმედა ენთაზის ძე ირემაძე დაიბადა 1967 წლის 13 ივლისს ცაგერის რაიონის სოფელ ნასპერში. დედამისი დალი ვარლამის ასული ჩხეტიანი და მამამისი ენთაზი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, ალალი და პატიოსანი მშრომელი ადამიანები არიან. იმედამ ბავშვობა ამ სოფელში გაატარა. სწავლობდა ნასპერის არასრულ საშუალო სკოლაში, იყო საოცრად გულისხმიერი, პატიოსანი, სულგრძელი ბავშვი. უყვარდა სუსტების გამოსარჩლება, ყოველგვარ საქმეში ახასიათებდა პირდაპირობა და კეთილსინდისიერება.

1984 წელს დაამთავრა ღვირიშის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ქუთაისის სამთო სამშენებლო ტექნიკუმში. მოიხადა სავალდებულო სამსახურიც მონღოლეთში, საიდანაც უფროსობის მიერ მრავალი მადლობითა და ქების სიგელით დაბრუნდა 1988 წელს.

მისი ოცნება იყო პატარა წვლილი მაინც გაეღო უსამართლობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ უკვე გარკვეული გამოცდილების მქონე ბიჭს გულმა მილიციაში მუშაობისაკენ გაუწია. მილიციაში მუშაობის პერიოდში გამოავლინა საზრიანობა, ნებისყოფა და სიმტკიცე, თავმდაბლობა და მამაცობა, უანგარო სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილება. ყველა ეს თვისება ისე ჰარმონიულად იყო შერწყმული მასში, რომ აქ გატარებული სულ რაღაც 2 წელი გახდა მისი პიროვნების მთელი სისრულით წარმოჩენის პერიოდი. ვისთან არ მეგობრობდა, ვინ არ იცნობდა. არც სოფელს აკლებდა ყურადღებას და მზრუნველობას, მისი მრავალშვილიანი ოჯახი შესამჩნევად წამოიმართა წელში, ხოლო სამსახურში ყველაზე რთული დავალებების შესრულების დროს მისი დიდი იმედი ჰქონდათ.

22 წლის ბიჭის სულში ნამდვილი პატრიოტული გრძნობა გამოვლინდა მაშინ, როცა ქართლის მიწა-წყალს იარაღით დაცვა დასჭირდა ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი მაშინვე გაემართა სამაჩაბლოში, თითქმის უწყვეტად იბრძოდა მთელი 1990 წლის ზამთარში,

იმედა გრძნობდა, რომ მეტის ცოდნა იყო საჭირო, ამიტომ არც ის გაკვირვებია, რომ როცა 1991 წლის სექტემბერში მილიციის უმაღლესი სკოლის I კურსის სტუდენტი გახდა, ყველამ, როგორც ერთმა, ისე გაიხარა მისი წარმატებებით. 1992 წლის 1 აპრილს მამაცურად შეეწირა სამშობლოს.

ღმერთმა გაცხონოს, ჩვენო კარგო, საყვარელო იმედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტარიელ კაზარიანი

ტარიელ სერგოს ძე კაზარიანი, დაბადებული 1975 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისში. ეროვნებით სომეხი, განათლება ტექნიკური, უცოლო.

ტარიელის მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. რუსთავში და მანაც რუსთავის 11-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. საოცარი სითბოთი ახასიათებენ ტარიელს სკოლის დამრიგებელი, ამხანაგები და ახლობლები. იგი ბავშვობიდანვე საოცრად თბილი, ცელქი, მოუსვენარი ბავშვი იყო. ძალიან უყვარდა ბუსიკა, სპორტი, ხელოვნება, ლიტერატურა. მისთვის როგორც სომხური იყო მშობლიური, ასევე მშობლიური იყო ქართული ენა და სულისკვეთება, რადგან მისი დედა ქალბატონი ვარდო მონიავა ქართველი ქალია. ორივე ერის სიყვარულს ერთნაირად უნერგავდა თავის პირმშოს. თავისუფლად მეტყველებდა ქართულ ენაზე.

ქალბატონი ვარდო მონიავა, ქართველი ქალია. ორივე ერის სიყვარულს ერთნაირად უნერგავდა თავის პირმშოს. თავისუფლად მეტყველებდა ქართულ ენაზე.

როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გახდა საჭიროება, ჩუმად გაიპარა სახლიდან და მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ბაზალეთი“-ში. სავიდა აფხაზეთში. 1993 წლის 29 იანვარს მისი ლამაზი სიცოცხლე უმოწყალოდ ჩაიფერფლა, ვაჟკაცურად დაეცა ტამიშთან ბრძოლის ველზე.

ტარიელ კაზარიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ვუძღვნი **ტარიელ კაზარიანს**, სოფ. ტამიშთან დაღუპულ ჩემს მამიდაშვილს

რად მისცემიხარ სევდას?!
რატომ ჩაგიცვამს შავი?
მე სამშობლოსათვის მოვკვდი,
ჩემო ძვირფასო დედა.

ულმერთოდ დაღვრილ სისხლს ხომ
მტერს არ შევარჩენთ, არა!
ტამიშს მიგულე ისევ
სადარაჯოზე ვდგავარ!

რა ვქნა თუ ფეხქვეშ კვლავაც
ამიფეთქდება ნაღმი
ყველას დავრჩები გულში
გმირად შემრაცხავს ხალხი.

რატომ ჩაგიცვამს შავი?!
რად მისცემიხარ სევდას?!
მე სამშობლოსთვის მოვკვდი,
ჩემო ძვირფასო დედა.

P.S. სამწუხაროდ, ეს ლექსი ხელმოუწერლად მივიღეთ.

ნუკრი კანდელაძე

ჭეშმარიტმა მამულიშვილურმა გრძნობამ და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა გიბიძგა დამდგარიყავი შენი ძეგობრების გვერდით, იქ, სადაც „ხისტლიანი დგას ანგელოსი“. ჩვენო ძვირფასო ნუკრი, მხოლოდ მოგონებად დაგვრჩა შენს თანაკლასელებს სკოლის წლები.

ამაზე უკეთესი მომენტი არც გამოჩნდებოდა, რომ დაგემტკიცებინა შენი ვაჟკაცური სული და მხედრული შემართება.

მშფოთვარე და მოუსვენარი იყავი მთის მდინარესავით, არასოდეს და არაფერში არ დაიხევდი უკან მეგობრისა და ამხანაგის გულისთვის და ზედმეტია ლაპარაკი სამშობლოზე, შენს მამულზე. სამშობლოსათვის ბრძოლაში ჩაიფერფლა შენი სიცოცხლე. ჩაიფერფლა — ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, რადგანაც შენი გაციებული სხეულიც ვერ დაიტირეს შენმა მშობლებმა, ახლობლებმა და ძეგობრებმა.

ნუთუ იმხელა ცოდვა გაწვა კისერზე, რომ ნორმალური სიკვდილიც არ გეღირსა? შენი ჯან-ღონითა და მომავლის იმედით სავსე სხეული ბრძოლის დროს დაიწვა.

ძნელზე ძნელია უშენობა ჩვენთვის, შენი მეგობრებისათვის. 20 წლის ასაკში დაგვშორდი. განა ეს ის ასაკი არ არის, რომლის დროსაც ადამიანი იფურჩქნება სულიერად, ფიზიკურად? როცა სამყაროს სულ სხვა თვალით უყურებს და შეიცნობს? ულამაზესი და უტკბესი ეჩვენება სიცოცხლე, ცხოვრება. განა ყველასათვის ტკბილი და შემდეგში თბილი მოსაგონარი არ ხდება ეს წლები? მაშ, რატომ დაგვტოვე ასე დამწუხრებულნი, თუ მოგბეზრდა, გაგიუფერულდა სიცოცხლე ამ არეულ და მტრობა-ღალატით სავსე წუთისოფელში?

გაივლის წლები, ყველაფერი კალაპოტში ჩაბრუნდება, მხოლოდ შენ და მრავალი შენისთანა აღარ იქნება ჩვენს გვერდით. თქვენი სახელები ისტორიის ფურცლებზე დაიწერება და შთამომავლობა მათზე ილოცებს.

შენი თანაკლასელები

ბორის კალატოზიშვილი

ბორის ალექსის ძე კალატოზიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1963 წ. 1 მაისს. დაამთავრა 101-ე საშუალო სკოლა, შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ სწავლას აგრძელებს კიროვაბადის (განჯა) სამშენებლო ტექნიკუმში დაუსწრებელ განყოფილებაზე და მუშაობას იწყებს თბილისში, „ინტურისტსპეცრემმშენში“, ხელოსნად.

1991 წლიდან იმყოფებოდა სოფ. ტყვიავში, მისი ყოფილი კლასელის და განუყრელი მეგობრის ოჯახში, სადაც დროდადრო ღებულობდა თურმე დედის ჩუმად მონაწილეობას სოფლების დაცვაში, რამაც შემდგომ შეიწირა კიდეც. 1992 წლის 12 მაისს სოფელ ფრისსა და ერედვს შუა დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში ტყვიავის დამცველ საუკეთესო ვაჟკაცებთან ერთად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როლანდ
კალგახელიძე

39 წლისა იყო ჩემი როლანდი, — გვიამბობს თვალცრემლიანი მეუღლე, მანანა ბოგვერაძე, — ორი ქალიშვილი დამრჩა ობლად. დიდ სულიერ ტკივილთან ერთად დიდი ჯაფაც დამიტოვა. პატიოსანი კაცის სახელით დადიოდა, უსაზღვროდ უყვარდა ოჯახი და საქართველო. როგორც კი აფხაზეთის ომი ატყდა, მაშინვე მოხალისედ ჩაეწერა ბატალიონ „ავაზაში“ და წავიდა იქ, სადაც ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა წასულიყო. ლოცვასავით დამიბარა: „შენი იმედი მაქვს, მაიას და ნინოს უმამობას არ აგრძნობინებ და ეტყვი, რომ მაგათ ბედნიერ მომავალს შეეწირა ჩემი სიცოცხლე, სულიერად ნუ დაეცემი, თუ ბედმა მიმუხთლა...“ ვაი რომ, სოფ. ლაბრასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ბედმა მართლაც უმუხთლა და ყუმბარის ნამსხვრევმა შეიწირა მისი სიცოცხლე 1993 წლის 10 იანვარს.

* * *

სიკვდილო, შვილი გაგიზარდე,
მე სხვა დედებს კი არ ვგავარ,
ძალიან დაღონებული ვარ,
სისხლის და ცრემლის ტბორში ვზივარ.
აქამდე ბედნიერი ვიყავ,
ეხლა კი მწუხარების მზე ვარ,
დაღონების მზე, გადახრილი,
ბორს იქით გადაფარებული,
ვაჰმე, სიკვდილო, რა ყოფილხარ,
ხანჯრებით ჩამიკაფე გული.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ კანკია

საქართველოს თავდაცვის ფონდის გაზეთ „ნებში“ (6—16 ოქტომბერი, 1993 წელი) ჟურნალისტ ირა ზურაბაშვილის წერილში „ნოდარი“ ვკითხულობთ:

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის ნოდარ კანკია დაჯილდოვდეს **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წ., 14 ივლისი

კაპიტანი ნოდარ კანკია დაიბადა 1955 წლის პირველ ივნისს სენაკში. თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის 64-ე ტოპოგრაფიულ პარტიაში, 1980 წლიდან — სენაკის № 5 ტრესტში ინჟინერ-გეოდეზისტად. 1987 წელს დაამთავრა ტამბოვის სამშენებლო ინსტიტუტი.

დარჩა მამა, დედა, და, ძმა, მეუღლე და 9 წლის ქალიშვილი სალომე.

ნოდარის დედა: „ნოდარმა რამდენიმეჯერ მიმართა კომისარიატს, მაგრამ უარი მიიღო. ორჯერ თბილისში ჩავიდა, არც ამან მოიტანა შედეგი. არ ვიცი, რატომ, ნოდარი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, ვცდილობდი დამეწყნარებინა: ალბათ, არ არის საჭირო ამდენი მეომარი-მეთქი, ვანუგეშებდი, მიწყრებოდა: „მე ოფიცერი ვარ, ჩემი ადგილი იქ არის. მე ხომ ვიცი, რომ ვჭირდები საქართველოს. არმიაში ჩემნაირი სპეციალისტების ნაკლებობაა“. 1993 წლის თებერვალში იგი მოხალისედ წავიდა აფხაზეთში და იმ დღიდან იბრძოდა ბატალიონ „ავაზაში“.

ნოდარ კანკიას დედა — ის გვარად ილცევიჩია — ეროვნებით პოლონელია. მგონი, არავინ შემედავება, რომ სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვა უმე-

ტესწილად დედის დამსახურებაა. ჰოდა, ასწავლა შვილს პოლონელმა დედამ საქართველოს უსაზღვრო სიყვარული.

ნოდარის უმცროსი ძმა: „მეც მინდოდა აფხაზეთში წასვლა, მაგრამ ნოდარი წინ გადამიდგა: „ორი ძმა ვართ და თუ რომელიმე დაიღუპება, ვინ შეგვიბრალებს? ... მიხედოს ჩვენს შვილებს...“ ნოდარი ნიჭიერი სამხედრო იყო, თავისი საქმის ღრმა მცოდნე. ყველა სვლა გათვლილი ჰქონდა. მის გონივრულ მოქმედებას ბევრჯერ გადაურჩენია თანამებრძოლები. ბიჭები ერთ ეპიზოდს იხსენებენ: მოწინააღმდეგე ძალზე გააქტიურებული იყო, მებრძოლები თავს ვერ სწევდნენ სანგრიდან. რაღაცა უნდა ელონათ, თორემ ამოწყვეტა ემუქრებოდათ, ველარც წინ მიდიოდნენ, ველარც უკან. ნოდარი მტრის ბანაკში შეიპარა და იქიდან უკარნახა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები. ისინი ჩვენებმა ჩაახშეს.

ნოდარი ორი თვე არ ჩამოვიდა სახლში. 1 ივლისს მეგობრებითურთ ჩავედი აფხაზეთში და ვთხოვეთ, ერთი დღით მაინც ჩამოსულიყო, მოენახულებინა ჩვენები, ჩვენ კი მის მაგივრად დავრჩებოდით. იცით, რა მიპასუხა? „აქ უკვე ორი დღეა რაღაც საეჭვო სიწყნარეა. ეტყობა, მტერი რაღაცისთვის ემზადება. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რაღაც რომ მოხდეს, მერე ბიჭებს როგორ შევხედო თვალებში, წადით, თქვენ მაინც არაფერი დაგემართოთ“.

ეს სიკვდილის წინა დღეს თქვა. 2 ივლისს კი დაიწყო ის საშინელი ოპერაცია, საქართველოს ამდენი სიცოცხლე რომ წაართვა. მტერი ცდილობდა ალყაში მოექცია ბატალიონი. გაიმართა უმძიმესი ბრძოლა. მუცელში დაჭრილი ნოდარ კანკია ბრძოლის ველზე დაეცა. 22 წლის ჯუმბერმა, ტამიშელმა (სამწუხაროდ, გვარი ვერ დავადგინე) არ დატოვა დაჭრილი მეგობარი და ერთი კილომეტრი ატარა ზურგით. ნოდარმა შენიშნა, რომ მტერი უახლოვდებოდათ. „დამტოვე და წადი“, — უბრძანა მეგობარს. ჯუმბერი გაჯიუტდა, ნოდარი არ ეშვებოდა: „წადი, შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ. არ უნდა მოკვდე“, ჯუმბერი არ უსმენდა. მაშინ ნოდარმა ყუმბარის დამცველი ამოსწია: „წადი, თორემ შენც აგაფეთქებ“. ჯუმბერს სხვა გზა აღარ ჰქონდა... 100 მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მიიხედა, მტრის საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ნოდარს მიუახლოვდა. გაისმა მძლავრი აფეთქება... წავიდა ნოდარი და თან გაიყოლა მტრის რამდენიმე სიცოცხლე... კიდევ ერთხელ გადაარჩინა თავისი ბატალიონი“.

დედა: ნოდარის დაღუპვის ამბავმა კი მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ცხედარი არ მინახავს, როგორ დავიჯერებდი მის სიკვდილს... წავედი აფხაზეთში, რომ ჩემი თვალით მენახა, ჩამომესვენებინა მაინც... ვერაფერი ვნახე... ტანსაცმლის ნაფლეთი მაინც მეპოვა... არაფერი... ყოველთვის მეუბნებოდა: „ტყვედ არასდროს არ ჩავბარდები, ერთი ტყვია ყოველთვის მექნება შემონახული ჩემთვისო“. — ტყვია კი არა, ყუმბარა ჰქონია...

თურმე, დაჭრილი ნოდარი სულ თავის გოგონას — სალომეს ეძახდა...

ნოდარის დედა: დავრჩით ასე, შვილო! საფლავი მაინც ჰქონოდა, მივიდოდი, ყვავილებს მივუტანდი, დაველაპარაკებოდი, ახლა მის ტანსაცმელს და სურათებს ვეფერები,... არ ვიცი, რა ვქნა...

მის სულზე, მის ნათელ სულზე ილოცეთ, ქალბატონო, ყველაფერი წარმავალია, სული მარადიულია. არ დატოვებს თავის სალომეს, თავის საქართველოს, რომლის უსაზღვრო სიყვარულში ასე გაგვიუჩინარდა თქვენი ვაჟიკაცური ... ლოს შვილი, პატარა სალომეს მამა ნოდარ კანკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაპანაძე

რიგითი გიორგი ამირანის ძე კაპანაძე, დაბადებული 1972 წლის 3 ნოემბერს კასპში.

მსახურობდა ოპერატიულ პოლკში 1992 წლის მაისიდან.

დაიღუპა 1992 წლის 23 ოქტომბერს სოხუმში.

* * *

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ,
და მისთვის ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ,
დაობლებულს იჩვენს მამულსა.

ილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი (გია) კაპანაძე

დაიბადა, 1968 წლის 12 აგვისტოს, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში.

1985 წელს დაამთავრა თბილისის 112-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაბარა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში 1987-89 წლებში გაწვეული იყო საბჭოთა არმიაში. მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში.

საქართველოს გვარდიის ჩამოყალიბების დღიდან შევიდა მის რიგებში. იყო „შავნაბადას" ბატალიონის ოფიცერი. შემდეგ წავიდა სამაჩაბლოში. ებრძოდა ოს ექსტრემისტებს.

1992 წლის 25 ივნისს, იმ დღეს, როდესაც უნდა აეღო დიპლომი, დაიღუპა ცხინვალის მისადგომებთან.

გიას ხშირად უყვარდა თქმა: „სჯობია 25 წელი იცოცხლო და იყო არწივი, ვიდრე ყვავი იყო და 300 წელი იცოცხლო".

ღმერთო, დიდხანს ეცოცხლა გია კაპანაძეს!

გიორგი კაპანაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ (გია) კაპანაძე

გრიგოლ (გია) ამირანის ძე კაპანაძე დაიბადა 1962 წლის 14 მაისს, ქუთაისში, მუშის ოჯახში, ტოლებში გამოირჩეოდა როგორც ზრდილობიანი და თავაზიანი ბავშვი.

სწავლობდა ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლაში. 1972 წლის 18 თებერვალს მათი ოჯახი გადავიდა ქ. ბორჯომში საცხოვრებლად, ვინაიდან გიას მამა ამირან არჩილის ძე კაპანაძე წარმოშობით ბორჯომის მკვიდრი იყო. იმავე წელს გიამ სწავლა განაგრძო ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში და ის დაამთავრა 1979 წ. სკოლის დამთავრებისთანავე გიამ მისაღები გამოცდები ჩაბარა ქ. ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში ადმინისტრატორულ განხრაზე. მოუწია სამხედრო სავალდებულო და გაიწვიეს, მოხვდა ქ. ტერმეზში. გიას ხატვა უყვარდა და შტაბში რასაც ავალებდნენ, ხატავდა და აფორმებდა კედლის გაზეთებს. ტერმეზში ყოფნის დროს ოფიცრებს ასწავლიდა კარატეს. მოკლე ხანში გააგზავნეს ავღანეთში. გიამ მშობლებს არ გაუმხილა, რომ ავღანეთში იმყოფებოდა. მისი მისამართი იყო მხოლოდ „საველე ფოსტა". მშობლები ამით მიხვდნენ, რომ გია ავღანეთშია. იმ ქარცეცხლში რამდენი გაჭირვება დ უბედურება გამოიარა და არასდროს ოჯახს არ გაუმხილა თავისი გაჭირვება. თვითონაც ვაჟკაცურად და მხნედ იყო, მომთმენი და ყველაფრის ამტანი ვაჟკაცი ოჯახსაც ამხნევებდა.

ასეთი სულით ძლიერი ქართველი ვაჟკაცი გაწამებული რომ დაბრუნდა ავღანეთიდან 1983 წლის 13 იანვარს, ყველა ურჩევდა, ბევრი უპირატესობა გაქვს, უგამოცდოდ ყველგან მოეწყობიო, მაგრამ თავმოყვარე კაცმა ეს არ იკადრა: არავის არაფერს დავამადლებ, მოვემზადები და ჩავაბარებო. შევიდა თბილისის ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში მოსამზადებელ კურსებ-

ზე. კურსების დამთავრების შემდეგ 1984 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ინგლისური ენის ფაკულტეტზე.

1988 წელს მეხუთე კურსის სტუდენტი მიდის მიხეილ ჯავახიშვილის სოფელ წერაქვში ინგლისურისა და რუსული ენის მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიას არანორმალურად უყვარდა თავისი ერთადერთი ძმა ავთანდილი. ორივე ძმა ოჯახებითურთ გადავიდა სოფელ წერაქვში, ძმასაც შრომის მასწავლებლად დააწყებინა მუშაობა. ორივეს მცირე ხელფასი, არახელსაყრელი პირობები ჰქონდა, მაგრამ გიამ სამშობლოს ინტერესები, როგორც ყოველთვის, პირად ინტერესებზე მაღლა დააყენა.

ბორჯომში 1991 წელს დაბრუნდა. ქალაქში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით ავღანელ ვეტერანთა კავშირთან ჩამოაყალიბა სპეცრაზმი „ქამანდი“ და იყო მისი მეთაური.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე გია კაპანაძე მიდის მოხალისედ და იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე 1992 წლის 28 აგვისტოს ქ. გაგრაში.

გალაკტიონი

აფხიარცა

აფხიარცა! როგორ ჟღერდი,
როგორ ჟღერდი, აფხიარცა!
დამმარცვლელი ქუდზე კაცის
მსგავსი შენი იყო არცა.

როცა მტერი ზღვას გადმოსცდა,
მოიწია და, ვითარცა
ნიაღვარმან, ინაცვლა გზა:
შენ ზარს სცემდი, აფხიარცა!

ძარცვა ბევრი გისმენია,
მაგრამ იმნაირი ძარცვა?
ვერცა მიწა და ვერცა ცა
მსგავსს ვერ ჰგონებს, აფხიარცა.

დაინაცრა მისი ხსოვნა,
ვინაც მხარე ცეცხლს გადასცა,
თავს დაესხა ის აფხაზეთს,
როცა მხარე მოიქანცა.

ოდეს გმირმა არ ისურვა
და თაყვანი მტერს არა სცა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ თრთოდი, როგორ ჟღერდი,
    როგორ ჰქუხდი, აფხიარცა.

მტერი თვისი მოყვრად არ სცნო,
ბევრჯერ, მწარედ დაამარცხა,
ბევრჯერ ტანში გასცრა მომხდურს,
სასიკვდილოდ დაენარცხა.

ღრიანცელით მოგრიალემ
ვერ იფარცხა მისმა ფარცხმა,
სასახლეზე არ იცვლება
მაღალ მთაზე მდგარი ფაცხა.

და ჩხიანი ვეფხის ნახტომს
    ჰგავდა მისვლა მისი აწცა,
ბევრის, ბევრი გარდასულის
მომთხრობი ხარ, აფხიარცა.

აფხიარცა, აწ ბუმბერაზ
ხლვის გვიმღერე კიდევ რამცა,
სიყვარულზე, გმირობაზე
აგუგუნდი, აფხიარცა.

აქე მთები და ტყეები,
  მათი ვარდი და იაცა,
ფხვიერ მიწის, ძველი ვეფხის
გვასმინე ხმა, აფხიარცა.

1941—1945 წ.წ.

გოჩა კარაპეტოვი

გოჩა ალექსის ძე კარაპეტოვი, შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის ზემდეგი — ორი შვილის მამა გმირულად იბრძოდა ოჩამჩირეში. დაიღუპა კინ-ღღში.



დავით კასრაძე

დავით ავთანდილის ძე კასრაძე დაიბადა 1971 წლის 28 სექტემბერს, მო-სამსახურის ოჯახში, ცხინვალის რაიონის სოფელ მამისაანთუბანში.

1977/78 სასწავლო წელს შევიდა ქ. ცხინვალის № 1 საშუალო სკოლაში,

რომლის სრული კურსი დაამთავრა 1988 წელს. შემდეგ დაეუფლა ძმლოლის პროფესიას.

ეროვნული მოძრაობის გამო საბჭოთა არმიის რიგებში არ უმსახურია. მალე ცხინვალში, ასევე მთელს რეგიონში დაიწყო ეროვნული კონფლიქტები. დათო სხვა თანასოფლელ ბიჭებთან ერთად იღებდა ზომებს სოფლის უსაფრთხოებისათვის. ოსი ექსტრემისტები არ ინდობდნენ ქართველობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა ბიჭებს. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში, სკოლიდან რომ ბრუნდებოდნენ, ოსი ბავშვები უხვდებოდნენ ქართველ ბიჭებს და ჩხუბს უტეხავდნენ ხოლმე...

ეს არეულობა რომ მოხდა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა სახლი მიტოვებული, როცა 1991 წლის 26 აგვისტოს დათოს სარკმლიდან ესროლეს. დათო და მისი მეუღლე ნინო ბეწვზე გადარჩნენ. ამის შემდეგ უფრო გაუძლიერდა დათოს სურვილი, რომ დაეცვა ჩვენი სამშობლო. ხშირად თავის უფროს ძმასთან ნუკრისთან ერთად იდგა პიკეტებზე. ბოლოს, როდესაც გაიგო, რომ მამისაანთუბნის მისადგომებთან სჭირდებოდათ ბიჭები შერეულ სამშვიდობო ძალებში. თანასოფლელებთან ერთად დათოც ჩაეწერა. ჩვენ, მშობლები, ვუშლიდით. ვეუბნებოდით, მეუღლე გყავს, ორი უსუსური შვილი გყავს, შენზე არავინ არაფერს იტყვისო. დათომ არ დაგვიჯერა: ჩვენს უბანს და ცხინვალს უცხო ბიჭები იცავენ და მე რატომ არ უნდა ვიყო იქ? მე ეს იმიტომ უფრო მეკუთვნის, რომ ორი შვილი მყავსო.

1992 წლის 14 სექტემბერს დათომ სურვილი აისრულა. შევიდა შერეული სამშვიდობო ძალების რიგებში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მსახურობდა.

დიდი სიხარული იყო მისთვის, როდესაც მამისაანთუბანში ჩავიდა და ნახა ჩვენი სახლი, რომლის შესახებ ცხრა თვის განმავლობაში არაფერი ვიცოდით. მართალია, გული დაწყდა, რომ ჩვენი სახლი და ეზო-კარი გაუბედურებული და გაპარტახებული დახვდა, გული მაინც იმედით ჰქონდა სავსე: მალე დავბრუნდებით ჩვენს სახლებში და ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც გვქონდაო.

დათო და ჩვენი სოფლის ათი ახალგაზრდა ბიჭი რაკი შერეულ სამშვიდობო ძალებში იყვნენ, გამცილებლის როლსაც ასრულებდნენ. შემოდგომით მამისაანთუბნის ოსებს დააბინავებინეს მოსავალი. მათ არავინ ერჩოდა, მაგრამ როდესაც აღარ ჭირდებოდათ ჩვენი „უბნის ბიჭები", ოსმა ბარბაროსებმა დაუნაღმეს გზა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ გზაზე ჩვენი ბიჭები გაივლიდნენ...

და სწორედ 1992 წლის 18 ნოემბერს დავალების შესრულების დროს სოფელ მამისაანთუბანში ნაღმზე აფეთდა მანქანა, რომელშიც იჯდა ხუთი მამისაანთუბნელი ჭაბუკი, მათ შორის დავით კასრაძეც.

დათო 21 წლის იყო. ნაადრევად მოეკიდა ოჯახს, ნაადრევად წავიდა ოჯახიდან, წავიდა და დატოვა 21 წლის მეუღლე ნინო, 2 წლის თეა და სამი თვის ანი, მოხუცებული მშობლები და ორი ძმა.

ყველა დასანანია სიკვდილისთვის, მაგრამ ყველაზე ძნელი ის არის, რომ შენი სახლ-კარიდან ლტოლვილი ხარ, რომ შენს ოჯახში არ დაგიტირონ და

შენს სასაფლაოზე არ დაიმარხო ახლობლების გვერდით. მკვდარიც კი სხვის სასაფლაოზე დაიმარხო, როგორც ლტოლვილი.

დათო აღარ მოვა ამ ქვეყანაზე. იქნებიან მისი შვილები — თეა, [illegible] აზრდებიან, შექმნიან ოჯახებს... ისინი იამაყებენ, რომ მათი მამა დათო (ოთხმოცდ[illegible]ლის სახეს სურათით აღიდგენენ) საქართველოსთვის, მისი ერთიანობისათვის, მათი გულისთვის შეეწირა კონფლიქტს შიდა ქართლში.

დავით კასრაძის მშობლები

დავით კასრაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

კობა კასრაძე

კობა ოთარის ძე კასრაძე დაიბადა 1972 წლის 26 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ერგნეთში. სწავლობდა თბილისის მე-14 საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის 110-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში.

1991 წლის 26 მაისს გაიწვიეს ეროვნულ გვარდიაში, მსახურობდა გორის მე-11 ბატალიონში, რიგით გვარდიელად, იბრძოდა სამაჩაბლოს ომში 3 თვის განმავლობაში და იყო მძიმე ტექნიკის მსროლელი. იგი პირნათლად ასრულებდა სამშობლოს წინაშე თავის პატრიოტულ ვალს. სამშობლოს სიყვარულმა წაიყვანა სამაჩაბლოდან აფხაზეთის დასაცავად, სადაც 2 თვის განმავლობაში იცავდა სოხუმს, ტამიშის ხიდს, ეშერას, რკინიგზის სადგურს, სოფელ შრომას. მან თავისი ვალი პირნათლად შეასრულა. მაგრამ მაინც ბრძოლისაკენ მიუწევდა გული და სწორედ აქ უმუხთლა ბედმა, გმირულად დაეცა სოფელ შრომის განთავისუფლების დროს 1992 წლის 12 ოქტომბერს. იგი დაკრძალულია ბშობლიურ სოფელში გორის რაიონის სოფელ ერგნეთში. მას ჰყავს მშობლები და ერთი ძმა. კობა კასრაძის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, ნათესავების, თანამებრძოლ გვარდიელთა გულებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე (კოტე) კასრაძე

დაიბადა 1954 წლის 22 იანვარს გორის რაიონის სოფელ ერგნეთში, რომელიც ესაზღვრება ცხინვალს. სწავლობდა ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე მამა-პაპათა სამკვიდროს დაუბრუნდა და მუშაობა დაიწყო ცხინვალის მეცამეტე საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში, სადაც მოკლე დროში ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა.

1992 წლის 8 ივნისს ცხინვალის შესასვლელთან ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა ეს 38 წლის ვაჟკაცი. დაობლდა კიდევ ერთი ქართული ოჯახი. კოტეს დარჩა ახალგაზრდა მეუღლე — ლაურა ბაბუციძე, ორი ვაჟი — 12 წლის ტრისტანი, 11 წლის ზურაბი და მოხუცი მამა.

კოტე კასრაძე ამ წუთისოფლიდან იმის ღრმა რწმენით წავიდა, რომ მისი საფიცარი საქართველო ძლიერი და ბედნიერი იქნებოდა. რა ვქნათ, რომ ვერ მოესწრო ასეთ საქართველოს, ვერ იხილა მისი საყვარელი სამაჩაბლო მტრისგან გათავისუფლებული. მწამს, რომ ბედნიერ საქართველოს მისი შვილები — ტრისტანი და ზურაბი იხილავენ და უპატრონებენ.

მზია კასრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ
კასრაძე

ცხოვრობდა ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში. დაიბადა 1955 წლის 9 თებერვალს. საშუალო სკოლა დაამთავრა 1971 წელს. სწავლა გააგრძელა თბილისის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მუშაობდა თბილისში ავტოზეინკლად. 1980 წელს მუშაობა დაიწყო ჯერ ქ. ცხინვალში სახანძრო რაზმში, შემდეგ კი ქემერტის კოლმეურნეობაში. დარჩა მეუღლე, ოთხი მცირეწლოვანი შვილი და მოხუცებული დეიდა.

ნუგზარ კასრაძე დაიღუპა 1991 წლის 18 მარტს. მიდიოდა სამ თანასოფლელთან ერთად მშვიდობიანი ზონიდან სოფელში ბენზინის შემოსატანად. მაგრამ ხეითი-ერედვის გადასასვლელ გზაზე, მთაზე ასვლისას მოულოდნელად თავს დაესხნენ ოსი ექსტრემისტები. ცოცხლები აწამეს, ხეზე მიაბეს, ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს ნუგზარ კასრაძე, მერაბ მინდიაშვილი, ვახტანგ ელბაქიძე, ზურაბ ხაბარელი.

სამშობლო მათ არ დაივიწყებს.

ვაჰ დედასა და ვაჰ დასა

ვაჰ დედასა და ვაჰ დასა,
ვაი, უძმოსა ქალსაო,
ისე არა სძე პატივი,
როგორც შარასა გზასაო.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა
კატუკია

გელა იუზას ძე კატუკია დაიბადა 1971 წელს თბილისში. 1977–1985 წლებში სწავლობდა 154-ე საშუალო სკოლაში. რვაწლედის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში გამოთვლითი მანქანების სპეციალობით, რომელიც 1990 წელს დაამთავრა. პარალელურად მიიღო კინოფიკაციისა და დოსაფთან არსებული ავტომძღოლის მოწმობები, 1991 წელს გელა კატუკია ჩაირიცხა პირველ ქართულ გვარდიაში. 1992 წლის 3 ნოემბერს ხელმეორედ გაიწვიეს, იყო შავნაბადას ბატალიონში, საიდანაც 23 იანვარს წაიყვანეს სოხუმში. შეუპოვრად იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1993 წლის 21 თებერვალს გელა კატუკიამ კინდღის მისადგომებთან მტრის ალყაში მოქცეული ორმოცკაციანი რაზმის თავდაცვა თავის თავზე აიღო, გვერდზე გადახტა ჩაის ბუჩქებში. ყველამ, ორმოცივე კაცმა, თავი დააღწია დაჭრილებთან ერთად მტერს, ხოლო თვითონ ადგილზევე დაიცხრილა.

გელა კატუკია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

კაი ყმა

ვაჟკაცსა – გული რკინისა,
აბჯარი – თუნდა ხისაო,
თვალნი – ქორებულ მხედავნი,
მუხლები შევარდნისაო.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა
კაციტაძე

მამუკა გიორგის ძე კაციტაძე დაიბადა 1965 წლის 6 ოქტომბერს ქ. საჩხერეში. 1982 წელს დაამთავრა საჩხერის მე-2 საშ. სკოლა. 1989 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1988 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. უშუალო მონაწილეა 1988 წლის ნოემბრისა და 1989 წლის აპრილის დღეებისა. 1989 წლიდან არის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი და ამავე პარტიას საჩხერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ბავშვობიდან იტაცებდა მხატვრული ლიტერატურა, წერდა ლექსებს. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, საყვარელი პოეტი — მურმან ლებანიძე, საყვარელი ლექსი — ხალხური — „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა". იყო ღვთისმორწმუნე, საოცრად კეთილი, მეოცნებე და ბავშვივით სუფთა.

მისი ცხოვრების კრედო კარგად ჩანს მისივე ლექსში:

ოცი წლის ვარ და მაქვს გადაწყვეტილი
ორმოცი საუკუნე ვზიდო,
ჩემი სიცოცხლის წლები დარჩენილი
სამშობლოს აკიდოზე ვკიდო.

ერთხელ არჩეული გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

ბესიკ ქუთათელაძესთან ერთად მისი წვლილიც არის პირველი ეროვნული საჯარისო ფორმირების შექმნაში.

იბრძოდა სამაჩაბლოში ომის დაწყების პირველი დღიდანვე.

1992 წლის 12 ივნისს საჩხერელებმა კვების პროდუქტები გაუგზავნეს სამაჩაბლოში საომრად წასასვლელ საჩხერის ბატალიონის მებრძოლებს, რომლე-

ბიც დროებით გორში იყვნენ დაბანაკებული. მათ გაჰყვა მამუკაც ყაზარაულებით. 13 ივნისს მოხდა ცნობილი შეტაკება გორში რუსის ჯარსა და გვარდიელებს შორის. დაჭრილი მეგობრების მოსაძებნად ქალაქში გასული მამუკა [illegible] რუსი ტანკისტის ტყვიამ. საავადმყოფოში გრძნობაზე მოსვლისთანავე [illegible] მოიკითხა: ხომ ცოცხლები ხართო? დაჭრილმა მხოლოდ სამი დღე იცოცხლა. აუსრულდა ლექსში ნაოცნებარი;

„საქართველოვ, შენთვის დავბადებულვარ!
შენთვის მინდა სიცოცხლეც და სიკვდილიც“.

ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო. შეწყდა ოცნება ლამაზ სუფთა ქართულ ოჯახზე...

მამუკა კაციტაძის ინიციატივით საჩხერეში დაარსდა არაფორმალური გაზეთი „მიზანი“.

მამუკა კაციტაძის სახელს დავიწყება არ უწერია.

მამუკა კაჭკაჭიშვილი

მამუკა ნაპოლეონის ძე კაჭკაჭიშვილი დაიბადა 1964 წელს რუსთავში. დაამთავრა რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის შვიდი კლასი და თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ სკოლაში განაგრძო სწავლა. აქტიურად მონაწილეობდა კონკურსებში. მიღებული ჰქონდა მრავალი დიპლომი და ფასიანი საჩუქრები. შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ფიზიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს 1984 წელს II კურსიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. დაბრუნდა და ისევ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, შემდეგ — ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში თეორიული ფიზიკის განყოფილებაში ასპირანტად.

დაწყებული ჰქონდა სადისერტაციო თემა, მაგრამ თავის უპირველეს მოვალეობად ჩათვალა ჩამდგარიყო საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლთა რიგებში.

1993 წლის იანვრიდან მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში, სადაც მისთვის ჩვეული მონდომებითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა მხედრულ მოვალეობას. იყო არტილერისტი, მაგრამ ბედმა უმტყუნა და 1993 წლის [illegible] გმირულად დაიღუპა სოფელ კინდღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა კაჭკაჭიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.



ედიშერ კახიაშვილი

დაიბადა 1971 წლის 5 თებერვალს, ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვში. დაამთავრა კეხვის არასრული საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის პროფტექნიკურ სასწავლებელში. პარალელურად თამაშობდა ფეხბურთს „შევარდენში“.

ქართველ მეომრებთან ერთად ებრძოდა ოს ექსტრემისტებს და ვაჟკაცურად იცავდა საკუთარ მიწა-წყალსა და ხალხს.

1992 წლის მაისში ოსების მიერ მძიმედ დაჭრილი მამა თბილისში ჩამოიყვანა სამკურნალოდ, თვითონ კი კვლავ ბრძოლის ველს დაუბრუნდა.

1992 წლის 7 ივნისს ოსები უმოწყალოდ ბომბავდნენ ქართულ სოფლებს. ედიშერი სოფელ ხეითში იმყოფებოდა. მტრის ინტენსიური ცეცხლის გამო ქართველი მეომრები მიწას გაეკვრნენ. საჭირო იყო ნაღმსატყორცნამდე მისვლა და საპასუხო ცეცხლის გახსნა. ედიშერი სწრაფად წამოხტა, ხელი დასტაცა სასროლ მასალას და ნაღმსატყორცნისაკენ გაიქცა. მებრძოლებს მხოლოდ მისი შეძახილი შემოესმათ: „ერთხელ დავიბადე და ერთხელ მოვკვდები. თქვენ მაინც გადაგარჩენთ, ბიჭებო!“

უცებ აფეთქების ხმა გაისმა და რამდენიმე წუთის შემდეგ მეომრები შეძრა ნანახმა — იქ, სადაც სულ ახლახან ლამაზი, მხიარული, ყველასათვის საყვარელი ედიშერი იდგა, სხეულის დაფლეთილი ნაწილები მიმოფანტულიყო.

სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით გულანთებული კიდევ ერთი ბიჭი მიიბარა საქართველოს მიწამ. 21 წლის ამაყმა ქართველმა მამულის სამსხვერპლოზე უყოყმანოდ მიიტანა თავისი ლამაზი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ კახიაშვილი

დაიბადა 1967 წლის 28 დეკემბერს გორის რაიონის სოფ. მელვრეკისში.

1982 წელს დაამთავრა მელვრეკისის რვაწლიანი სკოლა.

1982 წლიდან სწავლობდა ქ. ფოთის მე-7 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1984 წელს. გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით, ერთნაირი ინტერესით სწავლობდა ყველა საგანს. განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა სპორტისადმი. — გატაცებული იყო ფეხბურთითა და კრივით, იყო „სიჭაბუკის" თასის გათამაშების მონაწილე.

სკოლის დამთავრების შემდეგ იხდის სამხედრო სამსახურს და უბრუნდება მშობლიურ სოფელს, სადაც იწყებს მუშაობას დიდი ლიახვის სახელობის კოლმეურნეობაში მძღოლად.

იმ საბედისწერო დღესაც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ უკუღმართმა ბედმა უმტყუნა საკუთარ მიწა-წყალზე. ოსი სეპარატისტების მიერ დამიზნებულმა გასროლილმა ტყვიამ ძარაში შეაღწია, სასიკვდილოდ დაჭრა გულ-ღვიძლ-ხერხემლის არეში.

დიახ! 1992 წლის 6 თებერვალს... დაილია 24 წლის ლომივით ვაჟკაცის ნათელი, ლამაზი სიცოცხლე, რომელიც ვაჟკაცურად იდგა იქ, სადაც უჭირდა ერს. და არასოდეს უფიქრია თავისი ოჯახითა და მცირეწლოვანი შვილებითურთ დაეტოვებინა მშობლიური კერა და ეძებნა უდარდელი თავშესაფარი. არა, არა, ეს ნამდვილ ქართველ გმირებს არ ჩვევიათ.

შიდა ქართლში სისხლისმღვრელმა ქიშპობამ გააუბედურა, დააქვრივა და დაობლა კიდევ ერთი ჯანსაღი შრომისმოყვარე ოჯახი კახიაშვილებისა.

* * *

სამშობლოს ერთიანობას შეეწირა ჩემი ერთადერთი ძმა, მაგრამ მან შთამომავლობას ვაჟკაცი, გმირი მამის სახელი დაუტოვა.

ზაურის სიკვდილი მწარედ განიცადეს მისმა ფოთელმა მეგობრებმა, თანაკლასელებმა, ნათესავებმა. განა ის არ კმარა მაგალითისათვის, რომ დაკრძალვაზე ჩამოსული ახლობლის რუსიკო თოფურია-კაჭარავას გულმა ველარ გაუძლო ზაურის ოჯახში მომხდარ სიმწარეს და მისი ლამაზი სიცოცხლეც შეწყდა... ეს ძვირფასი ქალბატონი დაბადებული იყო 1940 წლის 9 აპრილს ქ. ფოთში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. იყო ტკბილი დედა და ძვირფასი დიასახლისი.

გთხოვთ ეს ადამიანიც მოვიხსენიოთ იმ ვაჟკაცების გვერდით, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის ერთიანობას შეეწირნენ.

ხოლო რაც შეხება ხსოვნის წიგნის „უკვდავებას" გამოცემას, ის ხომ ერთადერთი ახალი იმედია მათი შთამომავლობისათვის, მათი ჭირისუფლისათვის, ეს, ალბათ, მათი მეორედ დაბადება იქნება.

მანანა კახიაშვილი

გუბაზ კევლიშვილი

დაიბადა 1965 წლის 24 დეკემბერს.

1972-80 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში, 1980-84 წლებში ქ. თბილისის სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმში.

1985 წელს გ. კევლიშვილი მუშაობს მეტალობაზაში ეკონომისტის თანამდებობაზე.

1985—1987 წლებში გუბაზ კევლიშვილი იყო სამხედრო სამსახურში ქ. მოსკოვში.

1988 დეკემბერში გ. კევლიშვილი შედის შინაგან საქმეთა ორგანოებში.

1989 წლის აგვისტოში ირთავს ვარდო (ნატო) რეზოს ასულ ესებუას.

1991 წლის 7 იანვარს გუბაზ კევლიშვილი დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამაჩაბლოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბაზი ძალიან უშუალო ბიჭი იყო, მოგხიბლავდათ მისი ალალი, ემოციური ბუნება. იყო საოცრად კეთილი, მეგობრული, უღალატო, ამაყი, თბილი ვაჟკაცი ბიჭი. უყვარდა სპორტი.

1991 წლის 21 ივლისს გუბაზ კევლიშვილი ქალიშვილის მამა გახდა. გუბაზის ყველა კარგი თვისებიდან სიყვარულმა გაიმარჯვა. სიყვარულმა, რომელმაც, გუბაზი დაღუპვის შემდეგ მამა გახადა და გუბაზის სიცოცხლე მარიამმა გააგრძელა დაყრუებულ, დაცარიელებულ სახლში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერ კვანტრიშვილი

კახაბერ ზურაბის ძე კვანტრიშვილი, დაბადებული 1971 წლის 20 დეკემბერს, ზესტაფონის რაიონის სოფელ თვირში, განათლება – საშუალო, უცოლო.

სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რუსთავში, სამშენებლო ტრესტში მუშად.

1992 წლის ნოემბერში მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში". იყო მენაღმე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად წავიდა საბრძოლველად აფხაზეთში, იბრძოდა სოფელ ლაბრასთან, სადაც 1993 წლის 1 მარტს ომხდა მტერთან დიდი შეტაკება. კახა მეგობრის გადასარჩენად შევარდა ქარცეცხლში, დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა და დაჭრილი ვაჟკაცი აფხაზმა სეპარატისტებმა უმოწყალოდ აწამეს.

დასაფლავებულია ზესტაფონის რაიონის სოფელ თვირში.

კახაბერ კვანტრიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.

– ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით (ჩელე) კვაჭანტირაძე

თავიდანვე სპორტის მოყვარული იყო. თბილისის 22-ე საშუალო სკოლაში ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობდა, მაგრამ ჭადრაკი განსაკუთრებულად უყვარდა. მე-5 კლასის მოსწავლემ 1981 წელს მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან ერთდროული სეანსი ყაიმით დაამთავრა.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის გეოდეზიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, 23 წლის დედისერთა ვაჟკაცი, მეგობრები მოფერებით „ჩელეს“ რომ ეძახდნენ, დედის სიყვარულით თავსაც უნდა გაფრთხილებოდა, მაგრამ სანამ დათო, „შავნაბადას“ სპეცბატალიონის ოფიცერი, მაიორი გახდებოდა, მანამდე უღალატო, თავმდაბალი, განათლებული, სამშობლოზე შეყვარებული ვაჟკაცი იდგა იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქვეყანას, იქნებოდა ეს მიწისძვრები რაჭაში, საჩხერესა და ჭიათურაში, ცხელი წერტილები მარნეულში, ბოგდანოვკაში, სამაჩაბლოში, ეშერაში, კოლხიდაში, გაგრაში.

იმ დღესაც, 29 აგვისტოს „შავნაბადას“ ბატალიონი სოფელ იფნარს იცავდა. ზურგში განლაგებულმა სხვა შენაერთების ბატალიონებმა გაურკვეველი ბრძანებით უკანდახევა დაიწყეს. დაუცველი რჩებოდა ზურგი. დათომ თავისი ინიციატივით ოთხ მებრძოლთან ერთად მისი გამაგრება ითავა... მალე მებრძოლებს ერთი კაცის სროლის ხმა შემოესმათ. გასაგები იყო, რომ ოთხეულს უჭირდა. ადგილზე მისულებს სამი უსულოდ დაუხვდათ, ფეხში დაჭრილი დათო კი გადარჩენილიყო. ყოველთვის მომღიმარი, იუმორით სავსე, ახლაც იცინოდა: ეს ბრაფერია, ბიჭებს მიხედეთო.

ქვეითთა საბრძოლო მანქანით გამოიყვანეს. იქ შეშინებული ბავშვები დაუხვდათ. სისწრაფის გამო მანქანა ადგილზე შემოტრიალდა, დაზიანებული კარი ფართოდ გაიღო და დათომ იარაღმომარჯვებული გადამთიელი დაინახა. ბავ-

შვების გადასარჩენად კარის დაკეტვას რომ ვერ ასწრებდა, „ჩელეშ“ ტყვიას ბკერდი შეუშვირა.

...იმ პატარებმა „ჩელე“ ბიძიას, „შავნაბადას“ ბატალიონის მეთაურს, ედიბერთა ვაჟკაცის — დავით კვაჭანტირაძის საფლავი მინდვრის [illegible] შეამკეს.

უიმედოდ დარჩენილმა გამწარებულმა დედამ დათოს უკანასკნელი სიტყვები გაიხსენა: „შენ სიცოცხლეს მირჩევნიხარ, მაგრამ ჩემს სამშობლოს, საქართველოს, უჭირს და ჩემგან შველას ითხოვს. ნუ იქნები ეგოისტი, დედა, და საბრძოლველად წასულს გზა დამილოცე“.

დავით კვაჭანტირაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით და მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ქ. თბილისის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოსა და კულტურის სამმართველოს წინადადებების საფუძველზე დიდუბის რაიონში 22-ე საშუალო სკოლას ეწოდა დავით კვაჭანტირაძის სახელი.

მირიან კალანდარიშვილი

ელგუჯა კვეკვესქირი

ელგუჯა რევაზის ძე კვეკვესქირი დაიბადა 1972 წელს ოჩამჩირეში, 1989 წელს დაამთავრა ოჩამჩირის № 5 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის სავაჭრო კულინარულ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1991 წელს, მზარეულ-კონდიტერის სპეციალობით.

1992 წლის დეკემბრიდან მონაწილეობდა აფხაზეთის ომში (მსახურობდა ოჩამჩირის № 7 ბატალიონში).

დაიღუპა 1993 წლის 14 მარტს, ოჩამჩირეში, სოფელ ბესლახუბასთან.

1989 წელს კ. კვიტაშვილი გადმოდის თბილისში, მარტოხელა, სამამული ომის მონაწილე დედასთან და ისევ განაგრძობს სამხედრო მოვალეობის შესრულებას. ჯერ მსახურობდა საავტომობილო ბატალიონში, შემდეგ 1991 წლის გაზაფხიდან, საქართველოს რესპუბლიკის კომისარიატში პოლიტგანყოფილებაში უფროს ინსტრუქტორად.

1992 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით, კაპიტნის ჩინით, დაინიშნა საქართველოს კადეტთა კორპუსის უფროსის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. ჯერ ერთი თვეც არ ემუშავა აღნიშნულ თანამდებობაზე, რომ გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში და მოხალისედ გაემგზავრა აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში.

1992 წლის 3 ნოემბერს კახი ალექსანდრეს ძე კვიტაშვილი გმირულად ლაეცა სოფელ შრომასა და ახალშენთან ბრძოლაში.

რატი კიკაჩეიშვილი

უყვარდა გაზაფხული და ნუშის აფეთქება, უყვარდა მამული და სიცოცხლე... დედას ბავშვივით იფიცებოდა, უმეგობროდ ვერ ძლებდა. ეთაყვანებოდა თბილისს და თავის უნივერსიტეტს. რატი ხომ თბილისის მკვიდრი იყო და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. კლასიკურ ფილოლოგიას ეუფლებოდა და ვარდისფრად ესახებოდა მომავალი...

შარშან, იმ ავბედით ზაფხულს კი, როგორც კი საქართველოს ძირძველი მიწის მთლიანობისათვის აფხაზეთში სისხლი დაიღვარა, რატი კიკაჩეიშვილი მაშინვე უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა შორის. იგი იბრძოდა მოხალისეთა გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმში, რომელსაც აკია ბარბაქაძე მეთაურობდა.

იდგა აგვისტო, რიცხვი 30, წელი 1992... ეს დღე რატისთვის ბედისწერო გამოდგა. 21 წლის ჭაბუკი ბზიფის ხეობაში აფხაზი სეპარატისტების სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. დაიმსხვრა ლამაზი ოცნებები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარედ დაიტირეს თანაკლასელებმა გმირი. რა შეუმჩნევლად ლვაჟკაცობულა ბიჭი... თითქოს გუშინ იყო, 150-ე საშუალო სკოლის ეზოში თანატოლებთან ერთად ბურთს რომ დასდევდა...

მწარედ დაიტირეს უნივერსიტეტელმა მეგობრებმაც კაი ყმა, რომელიც „სულეთს შავიდა ხმლიანი, ლაღი, ლაღისა ცხენითა“ და ისიც ირწმუნეს, რომ ეს სტრიქონები პოეტს სწორედ რატი კიკაჩეიშვილისთანა ვაჟკაცისათვის მიუძღვნია და მის ქებას გარდასულ გმირებთან ერთად ჩვენც უშურველად გავიღებთ.

უყვარდა გაზაფხული და მის დადგომას ველარ მოესწრო. აფეთქებული ნაღის რტოებით შეამკობენ თანატოლნი გმირი ჭაბუკის მუდმივ სამყოფელს. რატის სიცოცხლის გაგრძელებაც სწორედ ეს არის.

იზაბელა გერმესაშვილი

გელა კიკნაძე

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის საგამოძიებო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის კაპიტანი — გელა იოსების ძე კიკნაძე.

როგორ ელოდი იმ დღეს, როდესაც შენს სათაყვანებელ სამშობლოში სიმშვიდე და ბედნიერება დამკვიდრდებოდა, ისევ ამღერდებოდა ყველა ქართველი, ისეთივე ლამაზი ხმით, როგორითაც შენ თვითონ უმღეროდი სიცოცხლესა და სიყვარულს, მაგრამ უმოწყალო საწუთრომ ნაადრევად მოგისწრაფა სიცოცხლე. აი, უკვე მერამდენედ ძმამ ძმაზე ასწია ხელი და თითოეულ ქართველს აგრძნობინა თავისი უმწეობა.

აღარ გვყავს გელა — კაცი, რომელიც იმ ძნელადმოსაგონებელ ახლო წარსულშიც კი ჭეშმარიტი პატრიოტისა და პროფესიონალის პოზიციებზე იდგა. საკუთარი სინდისისა და მეგობრების წინაშე იგი ყოველთვის მართალი იყო.

მხოლოდ 35 წელი იცოცხლე საქართველოზე, ქართველობაზე, ძმობაზე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებულო ვაჟკაცო. შენი უდროოდ წასვლა მოუშუშებელ ტკივილად დარჩებათ შენს მეგობრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა
კიკნაძე

აფხაზეთის ომმა დაობლა გოგა და შოთიკო, შავები ჩააცვა ახალგაზრდა ქალს ნათია კიკნაძეს, სამუდამო ტკივილი დაუტოვა მშობლებს ჟუჟუნა და შოთა კიკნაძეებს.

ზაზა კიკნაძე, პროფესიით ინჟინერი, ერთ იმათთაგანია, ვინც უყოყმანოდ ჩაიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. დაიღუპა სოფელ ტამაშთან უთანასწორო ბრძოლაში.

* * *

მეგობრებო, ჩვენი გზა
გასწევს წელთა მრავლობას,
იგი მუდამ დარჩება
ხსოვნად შთამომავლობას.

გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკა კლდიაშვილი

— ჩვენ თხუთმეტი წლის მეგობრობა გვაკავშირებდა. ერთ უბანში ვცხოვრობდით — ვაკეში, რიგის ქუჩაზე. კოკა თუმცა ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო, მაგრამ ისეთი ხიბლი ჰქონდა, თავისზე გაცილებით უფროსებთანაც ადვილად ახერხებდა დაახლოვებას, და შემდგომ ეს მეგობრობა დიდ სიყვარულში იზრდებოდა.

კოკას ხასიათში რა გვხიბლავდა? უპირველესად მისი ვაჟკაცური ბუნება. მუდამ ხალისიანი, უღალატო იყო, იცოდა მეგობრის გატანა. რა საქმეზეც არ უნდა მიგემართა, ყველაფერს გააკეთებდა, თავს არ დაზოგავდა და გვერდში ამოგიდგებოდა. ყველასთვის ასეთი კაცი იყო. მეგობარი კი უამრავი ჰყავდა — თბილისის 57-ე სკოლიდან, თუ პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. კოკა ხომ განათლებით ინჟინერი იყო — ქიმიკოსი. თავისი ნესტანიც სტუდენტობისას გაიცნო და შეიყვარა. თანაც, როგორი სპორტსმენი იყო! გახსოვთ, რას სწერს კოტე ვაბაშვილი „ნატვრისთვალში“: „კოკა რაგბისტი იყო... მოქნილი, სხარტი და გონიერი, სპორტშიც ისეთივე ვაჟკაცი იყო, როგორც ცხოვრებაში — შეუდრეკელი, უშიშარი და, რაც ვაჟკაცისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, სამართლიანი. აი, ნაღდი თბილისელი ბიჭის ერთი აუცილებელი თვისება — სამართლიანი! არ არსებობდა მისგან ტყუილი, ლიქნი, სიტყვის გატეხვა“.

ჩემი მოსაუბრე მცირე ხნით შეჩერდა. ორიოდე წუთით უხმოდ ვისხედით... ქუცო მიქელაძისათვის ადვილი არ იყო თავისი უახლოესი მეგობრის — კოკა კლდიაშვილის გახსენება, მაგრამ პასუხისმგებლობას გრძნობდა და ცდილობდა მნიშვნელოვანი რამ მისი ბიოგრაფიიდან არ გამორჩენოდა.

— გვარდიაში როგორ მოვხვდით? — კოკას წყალობით.

ეს ამბავი როგორ დაიწყო? — შავნაბადაზე ავედით, ჩვენი ბატალიონის უფროსთან აკია ბარბაქაძესთან. გვითხრა: აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად უნდა

წავიდეთო. ალარ შეიძლება ამდენი არეულობის მოთმენა, ძარცვა-გლეჯის, ფეხლის გამოძალვის მიზნით ადამიანების მოტაცება. იმხანად ხომ რამდენიმე თანამდებობის პირი ჰყავდათ ტყვედ აყვანილი. ჰოდა, საჭირო გახდა იქ წესრიგის დამყარება, ომზე კი მაშინ არავინ ფიქრობდა. ჩვენც სამზადისს შევუდექით, 12 აგვისტო იყო. მეორე დღეს კოკას დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა, ის ხომ ოცდაექვსი წლისა სრულდებოდა. კოკა დუშეთში გაემგზავრა თავის აგარაკზე ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად, იმავ დღეს დაბრუნდა. ცამეტში ბიჭები შევიკრიბეთ, ერთხანს მოვილხინეთ, კოკა გატაცებით უკრავდა ფორტეპიანოზე ჯაზურ მუსიკას, ახლა როგორ მღეროდა!.. ცამეტშივე შავნაბადაზე ავედით და იმავე ღამით აფხაზეთში გავემგზავრეთ. თოთხმეტ აგვისტოს უკვე ფოთში ვიყავით და იქიდან რამდენიმე კარჭაპით ლესელიძისკენ გავეშურეთ, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად. გზაში ბევრი დაბრკოლება შეგვხვდა. ჯერ იყო და კარჭაპი დაგვიზიანდა, ერთხანს შევჩერდით, ახლა რუსეთის დიდმა სამხედრო კრეისერმა დაგვაყოვნა, რომელიც ჩვენს მსვლელობას ადევნებდა თვალს და, ალბათ, სათანადო ცნობებსაც გადასცემდა. იმ დროს თურმე გაგრაში უკვე ბრძოლები დაწყებულიყო და აფხაზები განთიადის მხრიდან უტევდნენ.

14 აგვისტოს ლესელიძეში ნაპირს რომ მივადექით, იქ არავინ დაგვხვდა. საშინელი სიცხე იყო. ოთარი და კოკა ნაპირზე გადახტნენ და... სანაპირო მოაჯირთან ჩასაფრებულმა აფხაზებმა ტყვიის წვიმა დაგვაყარეს. ზღვის ქვიშაში სამიზნეები აღმოვჩნდით. შვიდი ბიჭი იქვე ნაპირზე დაგვიჭრეს. კოკა კობაიძეს ცხრა ტყვია მოხვდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი დაჭრილი თანამებრძოლის გამოყვანა. სროლით გავიკაფეთ გზა. განთიადისაკენ წავედით. აფხაზები განუწყვეტლივ გვესროდნენ, მაგრამ მაინც შევედით. ცოტა რომ ამოვისუნთქეთ, ერთმანეთს დავუწყეთ ძებნა. კოკა არსად ჩანდა. გვითხრეს ლესელიძეში ორი ქართველი ბიჭი მოუკლავთო და იქით გავეშურეთ, სირბილით მივედით იმ ადგილას და მხატვარი სანდრო ვაჩეიშვილი ვნახეთ ტყვიებით მთლად დაცხრილული. კოკას ძებნა გავაგრძელეთ. დაბის ერთმა იქაურმა მცხოვრებმა „კამაზი" გამოიყვანა და იმით წაგვიყვანა მე და პატარა თბილისელი ბიჭი ელდარ მუზაევი, რომელმაც ჩვენი დალუპული მეგობრის ადგილი იცოდა. მტერი კვლავ უმოწყალოდ გვიშენდა, მაგრამ ჩვენი მძღოლი იმ ტყვიების წვიმაში მაინც ახერხებდა გზის გაკვალვას და დაბის ბოლოს უვნებლად მიგვიყვანა.

მივედით და... ვნახეთ. იგი ხომ უშიშარი იყო, ნაპირზე ტყვიის წვიმაში მტერს არ შეპუებია, მათ საფარს მაინც გადავლებია და იქ სნაიპერის ნასროლი ტყვია მოხვდა.

ჩემი მოსაუბრე დადუმდა. ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, მას მეტის თხრობა ალარ შეეძლო. მერე მისი ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს. გლოვის ზარი რეკდა კლდიაშვილების ოჯახში, თბილისელი ახალგაზრდების გულებში.

კოკას დედასთან, ქალბატონ ჰენრიეტასთან ვერ შევბედე მისვლა, ვერც მისი პატარები ვნახე. ისევ ნესტანს ვთხოვე, შემხვედროდა. მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა, შაოსანი მშვენიერი ქალი. მას ძალიან უჭირდა საყვარელ მეულ-

ლეზე საუბარი. — იცი, როგორი თბილი და მოსიყვარულე იყო, სიკეთით სავსე. ოჯახში რომ შემოვიდოდა, ყველას დაგვკოცნიდა, მოგვეფერებოდა. ისეთი მეგობრობა იცოდა, ყველა მას ელტვოდა. ჩემი გოგოებიც კი თავიანთ საიდუმლო ამბავს მას უყვებოდნენ და რჩევასაც ჰკითხავდნენ. ბიჭები კი იმას ამბობდნენ, რა სულ ცოლ-შვილში ხარო. ახლა მშობლები როგორ უყვარდა, თავისი და-ძმა — თემური და თინა, როგორ განიცადა მამამისის დაღუპვა, დედაზე ხომ გიჟდებოდა, ვინ არ უყვარდა უსაზღვროდ, ჩვენს გოგონას ხომ თავისი დის სახელი დაარქვა — თიკო ახლა სამწლინახევრისაა, მამა კარგად ახსოვს, მაგრამ რაღაცას გრძნობს და არ ახსენებს. ვინმე კარგ მომღერალ კაცს რომ დაინახავს, მაშინ იკითხავს: კოკა როდის მოვაო? გიორგი კი მამას, ალბათ, სურათით დაიმახსოვრებს.

ლარისა ხუბულური

მასალა ილია კოვზირიძეზე იხილეთ 563 გვერდზე.

ბაჩუკი კოკაია

ბაჩუკი ბორისის ძე კოკაია დაიბადა 1970 წლის 20 სექტემბერს, ქ. ფოთში, 1976-87 წლებში სწავლობდა ქ. ფოთის მე-6 საშუალო სკოლაში, შემდეგ მუშაობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში ელექტრომონტიორად.

1988-90 წლებში გადიოდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ფოთის საქალაქო განყოფილების სამორიგეო ნაწილში.

1992 წელს ჩაბარა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების უმაღლეს სკოლაში. დაიღუპა 1992 წლის 29 აგვისტოს გაგრის მიდამოებში საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი მოეფინოს ღირსეული მამულიშვილის სულს!

იოსებ კოპაძე

იოსებ გურამის ძე კოპაძე დაიბადა 1973 წელს ქარელის რაიონის სოფელ დვანში. 1990 წელს დაამთავრა დვანის საშუალო სკოლა, სწავლობდა ქარელის ელექტრომექანიკურ ტექნიკუმში.

ჰყავს მშობლები და და-ძმა. 1991 წლის 24 მარტს დაიღუპა სამაჩაბლოში ზნაურის რაიონის სოფელ ველებში.

გურამ კოპაძე სულ 18 წლისა დაიღუპა. დაიღუპა მისი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, მისი თავისუფლებისთვის ბრძოლაში, ამიტომ უსაზღვროდ ემადლიერება მას მისი სამშობლო, მისი მშობელი ხალხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ
კორინთელი

ოთარ კორინთელი და იური ძიძიგური თანაგუნდელები იყვნენ. წლების მანძილზე ერთად იცავდნენ საქართველოს კალათბურთის ღირსებას, ახალგაზრდული ნაკრების სახელს, ერთად ისწავლეს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სიკვდილმაც ერთად უწია ბავშვობის მეგობრებს გაგრაში — პირველს ფრონტის ხაზზე, მეორეს — თავის სახლთან!..

ოთარ კორინთელი მთაწმინდელი იყო. 41-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლენინაკანში, კავშირგაბმულობის ბატალიონში მოითავა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო-სავალდებულო სამსახური და 1976 წლიდან მთლიანად სპორტს დაუკავშირა თავისი ცხოვრება. ცნობილ სპორტულ ბუშაკს, ქართული კალათბურთის ქომაგს სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებებსა და სპორტულ სკოლაში „უმუშავია. ყველგან სიკეთე და სიყვარული მოუპოვებია. გულთბილი, სიტყვაძვირი და ნამუსიანი კაცი სამშობლოს ერთგულად ემსახურებოდა და უანგაროდ გადასცემდა თავის გამოცდილებას ახალგაზრდა თაობას, ასწავლიდა სახელმწიფო დროშისა და ჰიმნის ფასს. სწორედ პატრიოტულმა სულისკვეთებამ აიძულა იგი 29 აგვისტოს მოხალისედ წასულიყო აფხაზეთში და ჩარიცხულიყო 101-ე ბატალიონში გაგრაში.

ბატალიონის მეომრები სოფელ კოლხიდაში მოვხვდით. ოთარი ჩვენი მოკავშირე იყო. მამობრივი მზრუნველობით გვევლებოდა თავს და ყოველთვის, როგორც კი დროს იხელთებდა ან პულტთან შეიცვლებოდა, ტყვია-წამლით მოდიოდა და გვამხნევებდა. ტყვიას არ უშინდებოდა. ამის საბრძოლო მაგალითი ბევრი გვაქვს — მოგვითხრობს ო. კორინთელის თანამებრძოლი ავთანდილ ჩიქოვანი: 1. ოქტომბერს, იმ საბედისწერო დღეს მტერი შეტევაზე გადმოვიდა. სარდლობას შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ შევატყობინეთ და თავიდან საარტილერიო სანგრებში გავმაგრდით, ის მაშინაც ახალგაზრდა ბიჭებზე ფიქ-

რობდა. აკი ყოველთვის ამბობდა გაწვრთნილ და გამოცდილ მტერს ჩემისთანები უნდა შეებნენ, საკადრის პასუხსაც ჩვენ გავცემთ, და არა 17-19 წლისანი. მე თუ არ წავედი, აფხაზეთში, აბა, მარტო მათი სადღეგრძელოები ვინ ...

ოთარი მძიმედ დაიჭრა. იცოდა, რომ განწირული იყო. მის მსახურებლად დაბრუნებულებს დათო მშვიდობაძეს, ზაზა კირეულიშვილსა და მე მკაცრად გვთხოვა ადგილზე დაგვეტოვებინა. ტყეში შეყვანის შემდეგ ათი წუთიღა იცოცხლა სისხლისაგან დაცლილმა ვაჟკაცმა.

დარდად დარჩათ თანამებრძოლებს, რომ „დიდ მიწაზე" ვერ გადმოიტანეს მისი ნეშთი და იქვე, სახელდახელოდ მიაბარეს ქართულ მიწას, რომელსაც იმ ჟამად გადამთიელი დაპატრონებოდა.

ია კალანდარიშვილი



ბადრი კუზანაშვილი

დაიბადა 1966 წლის 7 თებერვალს, ქ. თბილისში.

მშობლები: დედა — ეთერ სოსოს ასული გიგილოშვილი-კუზანაშვილი, მუშაობს ისნის რაიონის „სამგორის" სამეურნეო გამწვანებაში.

მამა — არჩილ ბაგრატის ძე კუზანაშვილი, მსახურობს თბილისის № 3 გასამჭედროებულ სახანძრო რაზმში.

ჰყავს და-ძმა, — მაია და ზაალ კუზანაშვილები.

1973 წელს მშობლებმა ბადრი სასწავლებლად შეიყვანეს № 103-ე საშუალო სკოლაში. აქ სწავლობდა 1981 წლამდე. რვა კლასის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გადავიდა საქართველოს რკინიგზის თბილისის № 2 საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1983 წელს სწავლა გააგრძელა № 54-ე ტექნიკურ სასწავლებელში.

1985 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1987 წლიდან მსახურობდა გასამხედროებულ № 3 სახანძრო რაზმში.

1990 წელს დაქორწინდა საგარეჯოს რაიონში სოფელ მანავში მცხოვრებ ნელი მიხეილის ასულ ბორაშვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი ნელი დიასახლისია, ზრდის 1 წლისა და 8 თვის პატარა თამუნას, ელოდება მეორე შვილს. ახლობლები და მეგობრები ბადრის ახასიათებენ, როგორც სამშობლოსთვის თავდადებულ, ოჯახის მოსიყვარულე და ამხანაგ-მეგობრებში გულმართალ, ალალ ბიჭს.

საქართველოში ომი დაიწყო...

როგორც ბევრ სხვა ნამდვილ ქართველს, ბადრისაც აღარ დაუდგა გული სახლში და წავიდა იქ, სადაც ასე ძალიან უჭირს დღეს საქართველოს. „თეთრი არწივის“ მებრძოლთა შენაერთში აფხაზეთის რეგიონის დასაცავად იბრძოდა. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა, თავისი ქვეყნის ერთიანობის ინტერესებს შესწირა სიცოცხლე და უანგაროდ გაიღო მისთვის სისხლი.

1992 წლის 1 სექტემბერს სოფელ ეშერაში მიმდინარე ბრძოლის დროს ბადრიმ გმირულად შესწირა სამშობლოს თავისი სიცოცხლე.

ბადრი კუზანაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთის მამა-პაპათა წმინდა სასაფლაოზეა დაკრძალული.

შოთა ნიშნიანიძე

ვერა, ერთმანეთს ვერ წავართმევთ...

შენ სულ აფხაზობ, რაც არსებობს ეს საქართველო...
და რაღას სწუხარ... აგწეწია სული რაღაზე?
ღმერთი და რჯული! საქართველო სანამ იქნება,
შენ სულ აფხაზი იქნები და სულ იაფხაზებ.

ბაგეზე ლოცვა შეჰყინვიათ ილორის ხატებს
და მათი გმინვა გარდიგარდმო ესმით მეზობლებს.
აფხაზო კაცო, შენს დაწიხლულ, უიღბლო გამდელს —
შენს საქართველოს ჩეჩნის ტყვია როგორ ესროლე?!

ქრისტეშობამდე აქ ვეძებდით სოკოს თუ ასკილს,
ერთად ვხედნიდით მეგრულ ლაფშას...
აფხაზურ ლურჯას...
ქედზე მიჯაჭვულ ამირანს თუ იგივე აბრსკილს
ჯაჭვს ულოკავდა მე და შენი გაზრდილი ყურშა.

ვერა, ერთმანეთს ვერ წავართმევთ ამ ღვთის
საბოძვარს —

ამ ერთ სამშობლოს — წინაპართა ძვლებით მოხრეშილს.
და რატომ ვკვდებით... რატომ ვწყდებით,
მიკვირს საოცრად,
ამ სამოთხიდან
რად მივდივართ
იმ სამოთხეში?...

22.1.93 წ.

* * *

„...არა არს წესი ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენკენ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“.

ქართველი სარდლის
ნათქვამი ბრძოლაში (XIII საუკ.
„ქართლის ცხოვრება“).

სისხლის მინდორი

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც ეკლესიის მსახურისათვის, არამედ როგორც მოქალაქისათვის, წარმოუდგენელი რამ არის. ბავშვობიდანვე ვეზიარე იმას, რომ ქართველები და აფხაზები ნათესავები, ძმები არიან. ყოველთვის ამას ვქადაგებდი ამბიონიდანაც. მაგრამ ახლა ეჭვი გამიჩნდა, დიდი ეჭვი, როგორ შეიძლება ძმა იყოს ის, ვინც მოსაკლავად გაგიმეტებს და ტყვიას გესვრის. მე ღვთის მსახური ვარ და ღვთისავე სახელით კაცს ნებისმიერ შეცდომას მივუტევებ, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც კაცი მოინანიებს, დანაშაულს და მიტევებას ითხოვს. სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ ვხედავთ ამას. პირიქით, დამნაშავე სხვისთვის სისხლის გადაბრალებას ცდილობს. ეს ორმაგი შეცდომა და მკრეხელობაა. ყველაფრის პატიება არ შეიძლება. ამისათვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. როდესაც დამნაშავეებზე ვლაპარაკობ, მთელ ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს, დამნაშავენი პიროვნებები არიან. ვლოცულობ ქართველთათვის და აფხაზთათვისაც, რომლებსაც თავგზას უბნევენ უკეთურები. ყველაფერს ვიღონებ, რათა ორ ხალხს შორის შშვიდობა აღდგეს. ეს ჩემს მისიად მიმაჩნია.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **დავითი**

„ოქროს საწმისი“, № 1, 1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტანისლავ კუზმინი

რედაქციაში გვარდიისფორმიანი მეომრები — ალექსანდრე სიფრაშვილი და ვიქტორ ჭელიძე მოვიდნენ, თან ჩვენდამი მოწერილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრიგადის მეთაურის პირველი მოადგილის პოლკოვნიკ ნოდარ მუსერიძის წერილი მოიტანეს, სადაც ნათქვამია: „გვინდა პრესის საშუალებით გამოვხატოთ დიდი გულისტკივილი ჩვენი საყვარელი მებრძოლის სტანისლავ (სლავიკა) კუზმინის დაღუპვის გამო. კუზმინი წარდგენილია სათანადო ორდენზე. ეს ის კუზმინია, რომელმაც შარშან ზაფხულში თითქმის მთელი ტამიში განაღმა, ახლაც, 28 მარტს დავალებას ასრულებდა, მაგრამ...

ძალიან გთხოვთ ნუ დაინანებთ გაზეთში პატარა კუთხეს, ჩვენი სლავიკა, ის რუსი თბილისელი ბიჭია, რომელიც საქართველოს დიდ სიყვარულს უზადოდ ატარებდა, მის სიყვარულს შეეწირა კიდეც“...

დაბადების დღე ტელევიზიით მიულოცეს, მეორე დღეს კი ნაღმზე აფეთქდა. გადარჩებოდა, მაგრამ მენაღმეთა ოცეულის უფროსმა, თავისი საქმის ჩინებულმა მცოდნემ, სპეციალური ხელსაწყოს გარეშე რომ პოულობდა ნაღმებს, თავის თავს ვერ აპატია შეცდომა, თანაც დაინახა, როგორ დაეცა მის გვერდით ჩვენი მებრძოლი, ეგონა, რომ ისიც შეიწირა და გამწარებულმა ხელყუმბარა აიფეთქა... ის მეომარი გადარჩა. სტანისლავმა ეს ვერც გაიგო.. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბრიგადის მენაღმე ვაჟკაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან. ყველას ძმა და მეგობარი იყო. როცა ნაღმის ამოსაღებად მიდიოდა, წინ არავის უშვებდა, პირველი თვითონ მიემართებოდა. ხშირად ამბობდა ოურმე: მენაღმე ორჯერ ცდება,— ერთხელ მაშინ, როცა იბადება, და მეორედ მაშინ, როცა ნაღმზე ფეთქდებაო.

ვერც იგი გაექცა თავის ბედისწერას, ვაჟკაცურად მოიხადა ვალი მამულის წინაშე, თან კი თანამებრძოლების დიდი სიყვარული და ინვალიდი დედის ცრემლი გაიყოლა...

მაგრამ სტანისლავ კუზმინის ხსოვნა მარადიულია ამ წერილივით, რომელიც თანამებრძოლებმა მის დედას გამოუგზავნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე დ ა ს!!!

ომის ქარცეცხლში გახვეული აფხაზეთიდან გწერთ თქვენი შვილის სიკვდილთან წილნაყარი 250 ქაქუცელი.

ჩვენო დედიკო, გულით ვიზიარებთ თქვენს მძიმე ტკივილს. პირველად ჩვენ გვხვდა წილად ამ უბედურების აღქმა. ტკივილი, ცრემლი და სიამაყე ერთად აირია გონებაში. სიამაყე საქციელისა, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრიგადის ოფიცერმა და ჩვენმა ძმამ სლავიკამ მოიმოქმედა. მან ხეიბრად ყოფნას ვაჟკაცურად სიკვდილი არჩია. გახსნა ხელყუმბარა და ზედ გადაეფარა, რათა სხვა თანამებრძოლები არ დაეზიანებინა.

ჩვენო დედა! ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბრიგადის ყველა მებრძოლის გულის ფიცარზე სამუდამოდ ღიბეჭდა ჩვენი ძმის, სლავიკას სახელი. მისი გმირობა მაგალითი იქნება ყველა ქაქუცელისთვის.

ჩვენო დედა! მოგვიტევეთ, რომ დაკრძალვას ვერ ვესწრებით და ამ მძიმე წუთებში თქვენს გვერდით არა ვართ, რასაც მტკივნეულად განვიცდით.

ჩვენო დედა! სლავიკა გმირია და გმირის დედას უფლება არა გაქვთ გული გაიტეხოთ, და კიდევ ერთი, გახსოვდეთ, დედიკო: აფხაზეთის მიწაზე დღეს 250 თქვენი ქაქუცელი შვილი იბრძვის, ისინი სლავიკას და კიდევ ჩვენი სხვა დაღუპული ძმების სისხლს არავის აპატიებენ, არ შეარჩენენ.

ღრმა პატივისცემით თქვენი შვილები.

სტანისლავ კუზმინი სიკვდილის შემდეგ **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

* * *

არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე,
შენ მეგულები ნუგეშად სანამ...
რა არის ტკბილი დედის ნანაზე,
მე მიმატოვა ადრე იმ ნანამ.
მაინც დავდივარ ამ ქვეყანაზე.

გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ კუპრაშვილი

დაიბადა 1962 წლის 19 თებერვალს ქ. ტყიბულში. დაამთავრა მე-5 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ორჯონიკიძეში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. პირნათლად მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური და დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში.

იგი იყო უნიჭიერესი მუსიკოსი. ქმნიდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, მუშაობა დაიწყო ტყიბულის კულტურის სასახლეში. შექმნა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „იმედი". წარმატებით გამოდიოდა ქალაქისა და რესპუბლიკის ბასშტაბით. მან აღზარდა მრავალი ნიჭიერი მუსიკოსი, რომლებიც დღესაც აგრძელებენ მუსიკალურ მოღვაწეობას.

მადლიერი სამშობლო ყოველთვის სიყვარულით მოიგონებს თავისი ღირსეული შვილის — ზაალ კუპრაშვილის სახელს.

თამაზ კუსიანი

ეს კაცთმოყვარე, ყველასთვის თავდადებული, ენერგიული კაცი არცერთ პარტიასა და პოლიტიკურ მიმდინარეობას არ ეკუთვნოდა. მისი მიზანი, სურვილი და ოცნება იყო ჯერ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ბედნიერი ოჯახის შექმნა.

სწორედ ამ შემოდგომაზე ფიქრობდა დაოჯახებას.

თამაზ შოთას ძე კუსიანი დაიბადა 1971 წელს 2 თებერვალს საჩხერეში, მუშის ოჯახში.

1988 წელს დაამთავრა საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო საჩხერის საქკოოპრეწვის საწარმოო კომბინატში მუშად.

1989-91 წლებში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, მსახურობდა სპეციალური დანიშნულების ნაწილში ხაბაროვსკსა და მოლდავეთში. მეთაურობდა ორ ოცეულს. მიღებული ჰქონდა უფროსი სერჟანტის წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991-92 წლებში მუშაობდა საჩხერის სამშენებლო კომპლექსის სამშენებლო უბანზე მომმარაგებლად.

ორჯერ სცადა ბედი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ არ გაუმართლდა. საერთოდ, უიღბლო იყო მისი ცხოვრება, თითქოსდა სიცოცხლის ყველა გზა შეკრული ჰქონდა.

მშობლებისა და ახლობლების დაჟინებული ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სამსახური დაეწყო ბესო ქუთათელაძის სახელობის საჩხერის გვარდიის ბატალიონში ლეიტენანტის წოდებით, ოცმეთაურად. სწორედ ერთი თვის შემდეგ დაიწყო ომი აფხაზეთში და ერთ-ერთი პირველი აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ სოხუმში, სხვათა გვერდით, საჩხერის ბატალიონი შევიდა. თაზო პირველი კლასის მძღოლი იყო და თანამებრძოლთა თხოვნით, დროებით ხისძარიან მანქანაზე (ზილ-131) გადავიდა სამუშაოდ. გადაჰყავდა დაჭრილები და ემსახურებოდა ადგილობრივ მოსახლეობას მიმოსვლაში.

მარიობის წინა დღეებში სამი დღით იყო ჩამოსული საჩხერეში, ოჯახი მოინახულა. რა ვიცოდით, თუ ეს ბოლო შეხვედრა იყო მასთან და ერთი კვირის თავზე მის გვამს ჩამოასვენებდნენ! გვითხრა დროებით მანქანაზე ვზივარო და პირველი ხელფასი დედას უკლებლივ ჩაუთვალა: ამით ჩემს სახელზე იყიდე რამეო. ხოლო დედა დღესაც ინახავს მის მიერ დატოვებულ ამ 1700 მანეთს.

საბედისწერო გამოდგა თამაზისთვის 1992 წლის 4 სექტემბერი. სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მომდევნო დღეს იგი გმირულად დაეცა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშთან.

ეს ასე მოხდა: თამაზმა და მისმა ორმა თანამებრძოლმა სოფლის მაცხოვრებლები გააცილეს და უკან ბრუნდებოდნენ, წინ შეიარაღებული ბანდა დაუხვდათ. თამაზი მძიმედ დაჭრეს მკერდისა და მუცლის არეში, ორმა თანამებრძოლმა გაქცევა მოახერხა, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ მისაშველებლად მისულმა ბატალიონმა თამაზის ნაწამები და დაცხრილული გვამი მისივე მანქანის ძარაზე იპოვეს დაგდებული (ამის შესახებ ზოგიერთი მასალა ვიდეოკასეტაზე აქვს გადაღებული საჩხერის ბატალიონის უფროსს).

ასეთია მუდამ მომღიმარი, ყველასათვის ერთგული ახალგაზრდა კაცის ხანმოკლე ცხოვრება. იქნებ, იცოდა თავისი ბედისწერა და ამიტომაც იყო „სულსწრაფი“, ერთ ადგილზე გული არ უჩერდებოდა, ყველასი სწამდა და სჯეროდა, ყველა თავის მეგობრად მიაჩნდა, ბოროტი არასოდეს ყოფილა ვინმეს მიმართ, ამიტომაა, რომ ყველა, ვისაც ოდესმე შეხვედრია, დღეს დიდი გულისტკივილითა და პატივისცემით იგონებს მას. მარიობადღეს რომ გვემშვიდობებოდა, გვაფრთხილებდა: ომი მალე დამთავრდება, ნუ გეშინიათო. ცრემლიც კი შევნიშნეთ მის თვალებში, რა ვიცოდით, რომ კიდევ ხუთი დღის სიცოცხლის მეტი თუ არ ეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ კუსიანის სახელი უკვდავია მის ახლობლებში, მეგობრებსა და თანატოლებში.

თამაზ კუსიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „**ბრძოლა დამსახურებისათვის**“.



გიორგი კუხიანიძე

ლეიტენანტი გიორგი ბიჭიკოს ძე კუხიანიძე დაიბადა 1962 წლის 14 მარტს, ზესტაფონში.

1991 წლის 23 ივლისიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სპეცდანიშნულების ათასეულის, ამჟამად შინაგანი ჯარების სწრაფი რეაგირების სპეციალიზირებული ბატალიონის საბრძოლო სამსახურის ოფიცერ-სპეციალისტად.

1992 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთში მდინარე გუმისთის მიდამოებში მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

* * *

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს,
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია.
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის
მოძმე, ერი და ბერია.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი (დიმა) ლაზარეიშვილი

დიმიტრი (დიმა) გივის ძე ლაზარეიშვილი – დაიბადა 1955 წლის 19 თებერვალს ბოლნისში.

1972 წელს დაამთავრა ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართული საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბოლნისის „საქსოფლტექნიკაში" აგრონომად, მერე – მთავარ აგრონომად.

1981-82 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში უფროს აგრონომად, 1982-86 წლებში „საქსოფლტექნიკაში" მმართველის მოადგილედ, 1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბოლნისის „ავტოვაზის" დირექტორად.

დიმა ლაზარეიშვილი 1989 წლიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1991 წლის იანვრიდან იბრძოდა სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ, სადაც მას მიანიჭეს ოფიცრის წოდება. იგი იყო ბოლნისის სარეზერვო რაზმის მეთაური. ეს რაზმი დღეს მის სახელს ატარებს.

1992 წლის 25 მაისს სოფ. ნიქოზში ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი დაიღუპა.

დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი.

დიმა ლაზარეიშვილი დაკრძალულია მის მშობლიურ სოფელ რატევანში. ბოლნისის რაიონში. დიმა ლაზარეშვილის სახელს ატარებს ქუჩა, რომელზეც იგი დაიბადა და გაიზარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ („მალიშა“) ლაზაშვილი

„მალიშა“ ასე შეარქვეს თანამებრძოლებმა პატარა რეზოს, რომელსაც 17 წელიც კი არ ჰქონდა შესრულებული. მაღალი, ლამაზი, ამაყი, თავმოყვარე, თავისი სიტყვის პატრონი, მეგობრებში უღალატო, მოსიყვარულე, ასე ახასიათებენ ამ პაწია ვაჟკაცს ნაცნობ-მეგობრები.

რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა კაჭრეთის პროფსასწავლებელში. მეორე კურსზე იყო, როცა თავი ვალდებულად ჩათვალა დაეცვა თავისი მამული, სახლიდან გაიპარა, მოხალისედ მივიდა ბატალიონ „ავაზაში“, ასაკიც მოიმატა — 19 წლისა ვარო, ძალიან გთხოვთ პირდაპირ ფრონტის ხაზზე გამიშვითო.

— რა დროს შენი ომია, შვილო, — უთხრა მე-11 ბრიგადის მაშინდელმა მეთაურმა პოლკოვნიკმა რევაზ გურგენიძემ, — წადი სახლში, ვინ დაგიჯერებს, შენ რომ 19 წლისა ხარ, მე არ შემიძლია შენი ფრონტის ხაზზე წაყვანა.

— რამდენჯერაც არ უნდა გამაგდოთ, მე მაინც მოვალ, — ამაყად უპასუხა რეზომ.

— რადგან არ იშლი, მაშინ აქ დაგტოვებ ბატალიონის დისლოკაციის ადგილზე, გასწავლით სამხედრო საქმეს, გამოგზრდით, ჩემი მოსახელე ხარ და შენ უნდა დაიკავო ჩემი ადგილი, როცა გაიზრდები და გაიწვრთნებიო, — უთხრა ბატონმა რევაზმა. პატარა რევაზი კი, როგორც სახლიდან გამოიპარა, ისე შეიპარა სოხუმისაკენ მიმავალ თვითმფრინავში, მაინც თავისი გაიტანა. ეს იყო თებერვლის დასაწყისი. თანამებრძოლი გმირი ქალის ნანა ჩოხელის თქმით, „მალიშა“ იყო უშიშარი, საოცარი ვაჟკაცი, უკან დახევა არ იცოდა, ყოველთვის პირველი გარბოდა შეტევის დროს. სულ მეშინოდა ბავშვს არაფერი მოუვიდეს, რაც შემეძლო, დედურ სითბოს ვაძლევდი, მინდოდა დამეფარა, მაგრამ იმ ავადსახსენებელ 2 ივლისს მეც დავიჭერი. ერთი დღე და ღამე უპატრონოდ ვეგდე დაჭრილი. მეც არ

ვიცი როგორ გამომიყვანეს ფრონტის ხაზიდან, გონს რომ მოვედი, მაშინვე მალიშა მოვიკითხე, მაშინ არ გამიმხილეს, ეჰ... ისეთი ლამაზი, ... იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალიშას მამამ ბატონმა სულიკომ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ბატალიონ „ავაზაში“ მოხალისედ ჩაირიცხა.

რევაზი დასაფლავებულია კაჭრეთის სასაფლაოზე.

ზემდეგი ნარგიზა ლომთაძე

ზაქარია ლაფერაშვილი

დაიბადა 1958 წლის 30 სექტემბერს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა 48-ე საშუალო სკოლა. პროფესიით იყო მძღოლი. ემსახურებოდა წიოელი ჯვრის საზოგადოებას.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი პირველსავე დღეებში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. მოხალისედ ჩაეწერა შინაგან ჯარებში. იყო ოცმეთაური. იბრძოდა ცხინვალში. 1993 წლის სექტემბერში მსახურობდა დიდგორის ასეულში და იბრძოდა აფხაზეთში. 1993 წლის 9 იანვარს მოულოდნელად ერთ-ერთი ბრძოლის დროს წინა ხაზზე ოჩამჩირეში დაიღუპა. დაკრძალულია კასპის რაიონის სოფელ ბარნაბიანთკარში.

მას დარჩა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი ბავშვი.

კონსტანტინე (კახა) ლაფერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე (კახა) გიორგის ძე ლაფერაშვილი დაიბადა თბილისში, 1973 წლის 8 იანვარს მოსამსახურის ოჯახში.

1979 წ. სწავლა დაიწყო №1 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წ.

იმავე წელს სწავლა გააგრძელა პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ქიმიურ ფაკულტეტზე.

უზომოდ უყვარდა საქართველო. მისმა დიდმა სიყვარულმა ხელია მშობლებისა და საყვარელი დის სიყვარულს და ყველას დაუკითხავად მოხალისედ წავიდა 1992 წლის 1 სექტემბერს შავნაბადადან ბატალიონთან ერთად, წაიღეს ორი ყუთი საბრძოლო იარაღი და სურსათი ფოთში. ფოთიდან 2 სექტემბერს კომეტით წავიდა გაგრაში საბრძოლველად, საიდანაც აღარ დაბრუნდა.

1992 წ. 2 ოქტომბერს. დაამწუხრა საყვარელი მშობლები, ახლობლები და ნეგობრები.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.



ვლადიმერ ლობჟანიძე

ვეძებთ სიტყვას, რომელიც ახალგაზრდა ჭაბუკის, უშიშარი მებრძოლის, მშობლების ერთადერთი შვილის, ობლად დატოვებული ერთი წლის პირმშოს მამის ვლადიმერ ლობჟანიძის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს გამოხატავს და ვერ გვიპოვია, თუმცა მისი ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული ტკივილი ყველას საკმაოდ გვაქვს. თურმე ტკივილიც ისეთივე განუმეორებელი ყოფილა, როგორც თითების ანაბეჭდი... რაოდენ მწუხარებასა და ათას მოგონებას აღძრავს ამ ნეკროლოგის ეს სიტყვები იმათ მეხსიერებაში, ვინც ამ სიცოცხლით აღსავსე

ვაჟკაცს იცნობდა, მასთან სწავლობდა, მის გვერდით ცხოვრობდა — და მასთან იდგა საბრძოლო საგუშაგოზე.

ვლადიმერ ლობჟანიძე დაიბადა 1965 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. 1971 წელს იგი სასწავლებლად შედის თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში, 8 კლასის დამთავრების შემდეგ ირიცხება მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ვ. ლობჟანიძე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქარხანა „ზარიაში" ხარატის სპეციალობით. 1986 წელს იმავე სპეციალობით იწყებს მუშაობას თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანში". აქ გამოვლინდა მისი მიდრეკილება სპორტისადმი, განსაკუთრებით კი ჭიდაობა „ძიუდოში". ქარხნის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით ვ. ლობჟანიძე სამუშაოდ იგზავნება თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისტემაში, სადაც მას ნიშნავენ სახელმწიფო დაწესებულებების დაცვის პოლკში რიგით მილიციონერად. 1987 წელს ვ. ლობჟანიძე წარჩინებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ირიცხება სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც მუყაითმა და ცოდნას მოწყურებულმა მსმენელმა, სპორტისა და მუსიკის მოყვარულმა ვაჟკაცმა. სწავლაში მუდამ ჰქონდა მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, სანიმუშო დისციპლინის, სიმამაცისა და ოპერატიულობის გამოჩენისათვის ვ. ლობჟანიძე მრავალჯერ იქნა წახალისებული.

ვ. ლობჟანიძე მილიციის უმაღლეს სკოლაში გამოირჩეოდა როგორც ალალი გულის ადამიანი, კეთილსინდისიერი და პატიოსანი. სწავლას საუკეთესოდ უთავსებდა ოჯახურ ცხოვრებას, ყველა მეგობარი მიიპატიჟა, როცა მის შვილს ამას წინათ დაბადების ერთი წელი შეუსრულდა. მრავალშვილიანობაზე ფიქრობდა, დედისერთა ვარ და ჩემზე საცოდავი არა მგონია ვინმე იყოს საქართველოში, — იტყოდა ხოლმე. საუბედუროდ, ცხინვალში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველა ოცნება შეუსრულებელი დაუტოვა საქართველოს ეროვნული მილიციის ღირსეულ წარმომადგენელს ვლადიმერ ლობჟანიძეს, რომლის პროფესიონალ თანამშრომლად ჩამოყალიბებაზე დიდი იმედი ჰქონდათ სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს.

ვლადიმერ ლობჟანიძის ნათელი სახე მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის კოლექტივი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა",
19 იანვარი, 1991 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლეგ ლოლაძე

ზემდეგი ოლეგ დავითის ძე ლოლაძე დაიბადა 1957 წლის 15 აგვისტოს, თბილისში.

1992 წლის ოქტომბრიდან მსახურობდა შინაგან ჯარებში, — კერძოდ, სოხუმის ბატალიონში.

დაიღუპა 1993 წლის 17 მარტს სოფელ აჩადარასთან.

ელგუჯა ლომიძე

დაიბადა 1965 წლის 4 აპრილს, დაბა სურამში (სოფ. ზეკოტა), გლეხის ოჯახში, მამამისი — ეორეიკა ლომიძე მუშაობდა ხელოსნად (იგი ამჟამად პენ-

სიონერია), დედა – ვერიკო გრიგალაშვილი იყო მწველავი (ამჟამად პენსიონერია). მათ ჰყავდათ 1 ქალი და 3 ვაჟი.

ელგუჯა ლომიძე 1971 წელს შევიდა იტრიის საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ შევიდა სურამის პროფტექნიკურ სასწავლებელში და მიიღო მექანიზატორის პროფესია.

1982 წელს სწავლა განაგრძო ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დაამთავრა.

1984-1986 წწ. მურმანსკში მოიხადა სავალდებულო-სამხედრო სამსახური.

1986 წლიდან ქირით ცხოვრობდა ქ. თბილისში და მუშაობდა სამხატვრო სახელოსნოში (ამჟამად ფურცელაძის ქ.) კოოპერატივ „ორნამენტში".

1989 წელს დაქორწინდა ქ. თბილისში მცხოვრებ რუსუდან დავითის ასულ ღვინიაშვილზე. ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი: 3 წლის თორნიკე და 2 წლის თეონა.

ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე იგი ამ მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო.

1992 წელს შევიდა „მხედრიონში".

1992 წლის 5 ოქტომბერს მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, იყო ოცეულის მეთაური.

ქ. ოჩამჩირეში ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს მას დაჭრილები გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან, იგი მტრის ტყვიით განგმირული დაეცა 1992 წლის 28 ოქტომბერს.

ირაკლი (იტა) ლომიძე

მხოლოდ 25 გაზაფხულს შეესწრო ირაკლი (იტა) გურამის ძე ლომიძე. იტას სიცოცხლე უყვარდა, მეგობრები, გაზაფხული, ყვავილებიც უყვარდა. იტას რომ მეგობრები უყვარდა, ამას ცრემლმორეული ღიმილით იგონებს

მამამისი – ბატონი გურამი: იტამ სკოლა რომ დაამთავრა და გამოსაშვებ საღამოზე უნდა წასულიყო, როგორც ყველა მშობელი ცდილობს გაახაროს შვილი და უყიდოს ახალი სამოსელი ამ დღისთვის, მეც ახალი პიჯაკი და შარვალი ვუყიდე, მოვიდა გამოშვების საღამოს გადახდის დღე და ვხედავ, იტა სახლში დაღონებული ზის, წასასვლელად არ ემზადება, გამიკვირდა და ვეკითხები: შვილო, რატომ არ ემზადები? – არ მინდა, არ წავალო, ვხედავ თვალებში ცრემლი უდგას. ძალიან გამიკვირდა, არ მოვეშვი: გამაგებინე, რატომ არ მიდიხარ, არ გიხარია? რომ აღარ მოვეშვი, მიპასუხა: მამი, ჩემს მეგობარს ახალი ჩასაცმელები არა აქვს, და მეც ამიტომ აღარ მივდივარო. თუ შენ არ გეწყინება, მე ჩემს ახალ პიჯაკს და შარვალს ვათხოვებ. მე თან გამიკვირდა, თან გამიხარდა მისი ასეთი საქციელი და თანხმობა მივეცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი. სასწრაფოდ დაურეკა თავის მეგობარს. ისიც მოვიდა. იტამ ძველი სამოსი ჩაიცვა. მეგობარს ახლები დაუთმო და მე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მათი ბედნიერი თვალები, გაღიმებული სახეები და კიბეებზე ჩარბენა მათი, ერთმანეთს რომ ასწრებდნენ გახარებულები.

იტა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიზაციის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. სამწუხაროდ, ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო, რადგან მისმა გულმა ვერ აიტანა საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა და მოხალისედ შევიდა შავნაბადას სპეცბატალიონში 1992 წლის 6 იანვარს და სამაჩაბლოში იბრძოდა. ოფიცრის წოდება ჰქონდა, ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს. 1992 წლის 17 ივნისს სამაჩაბლოში სოფელ ფრიზთან ოსების გარემოცვაში მოჰყვნენ ის და მისი მეგობარი, იტა მეგობარს გადაეფარა, საშველიდობოს გამოიყვანა, თვითონ კი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. დღეს შვილის ნაცვლად, ბატონმა გურამმა ჩაიცვა სამხედრო ფორმა, მიუხედავად თავისი ასაკისა და მუშაობს შავნაბადას სპეცბატალიონში.

იტა დასაფლავებულია დიღმის სასაფლაოზე.

ირაკლი ლომიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

მასალა მოამზადა თავდაცვის სამინისტროს ზემდეგმა

ნარგიზა ლომთაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ლომიძე

დაიბადა 1971 წლის 11 ივლისს ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში. 1978 წელს შევიდა კლდის რვაწლიან სკოლაში, რომელიც 1986 წელს დაამთავრა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ახალციხის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1990 წელს ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ასპინძის რაიონის სოფელ ჭომარეთში, ხოლო შემდეგ კლდის საზოგადოებრივ მეურნეობაში — ტრაქტორისტად.

1992 წლის 24 მაისს ნუგზარი გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მოხვდა ქ. თბილისის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. საბრძოლო ნათლობა მიიღო ქ. ცხინვალში, 1992 წლის 14 აგვისტოდან იმყოფებოდა ქ. სოხუმში, სადაც ქ. ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი მალე ჩაება გადამთიელებთან ბრძოლაში. ბრძოლის დაწყების დღიდან ნუგზარს დაუწყია სამხედრო მოქმედებებზე ბლოკნოტში ჩანაწერების კეთება. აგვისტოს მიწურულს მისი პოლკი ბრძოლის წინა ხაზზე გავიდა, მას იქ დაელუპა ახალციხელი მეგობარი, რომელიც თავის საგაზრდილოში ჩამოასვენა, მშობლებიც მოინახულა და თავის ნაწილში დაბრუნდა. მას დღიურში აღწერილი აქვს მისი მონაწილეობით 5 ნოემბრამდე ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები, ხოლო 6-ში მძიმედ დაიჭრა და მოათავსეს ოჩამჩირის საავადმყოფოში, აქედან კი გადაიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში, სადაც მის გადასარჩენად ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ, ვაი რომ, ვერაფერი უშველეს.

ნუგზარ ლომიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან ლომიძე

დაიბადა 1963 წლის 16 თებერვალს ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში. 1980 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1982-84 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1984 წლიდან მუშაობდა საკონსერვო ქარხანაში, წყალთა მეურნეობაში, მშენებლობაზე და, ბოლოს, კოოპერატივ „მშენებელში" — 1992 წლამდე. 1992 წლის 10 ოქტომბერს გაიწვიეს აფხაზეთში. კარგად გვახსოვს ოჯახის წევრებს ეს გაწვევის დღე. რომანთან ერთად გაძახებული იყო მისი ძმა მურმანი. ხუთი ძმიდან ორი გაიძახეს. რომანმა გაწვევის პუნქტში სთხოვა კომისარს: „ჩემი ძმა დატოვეთ, მას პატარა ბავშვები ჰყავს და მე წამიყვანეთო". ასეთი ერთგული იყო ბრძოლაშიც. იგი იბრძოდა სოფელ ტამიშთან. 8 მებრძოლი იცავდა მდინარე გუმისთაზე ხიდს. 26 ოქტომბრის ორშაბათი დილა თენდებოდა, როდესაც ხიდს თავს დაესხნენ. საგუშაგო განაწილებული ჰქონდათ. ხიდის ერთ მხარეს ოთხნი იდგნენ, მეორე მხარესაც ოთხნი. ცეცხლი პირველ ოთხეულს გაუხსნეს, რომანი კი მეორე ოთხეულში იმყოფებოდა. ის და მისი ერთი მებრძოლი გადახტნენ მეორე მხარეზე მყოფთათვის მისახმარებლად. ამ დროს დარჩენილ ორ მათს ამხანაგს დაუშინეს ცეცხლი. რომანი უკან გამობრუნდა მათკენ, მაგრამ ის ორი იქ არ დაუხვდა, ისინი უკვე მეორე მხარეს გადასულან. მას ამ მომენტში მარტოს მოუხდა ბრძოლა. საგუშაგო არ დაუტოვებია და იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ხიდი აფეთქებას. იგი იბრძოდა და დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

უკვდავია მისი სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო ლომიძე

დაიბადა 1967 წლის 1 ივნისს ქ. რუსთავში.

მამამისი — გიორგი თედოს ძე ლომიძე წარმოშობით იყო სოფ. სკრადან (გორის რაიონი). პროფესიით მძღოლი, გარდაიცვალა 1980 წელს.

დედა — ციური ალექსის ასული ელბაქიძე დიასახლისია.

1974 წელს სწავლა დაიწყო გარდაბნის მე-4 საშუალო სკოლაში. 1982 წელს დაამთავრა 8 კლასი და იმავე წელს სწავლა განაგრძო რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1985 წელს და მუშაობა დაიწყო თბილისის თბოელექტროსადგურში. 1985 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც დაამთავრა უმცროს მეთაურთა სასწავლებელი და მსახურობდა ასეულის უფროსის მოადგილედ. დემობილიზაციის შემდეგ დაუბრუნდა თბოელექტროსადგურს და იმუშავა 1992 წლის მაისამდე. მაისში შევიდა რუსთავის ეროვნული გვარდიის მე-12 ბატალიონში, სადაც იყო ოცმეთაური, ორი თვე იბრძოლა სამაჩაბლოში, აგვისტოში გადაიყვანეს აფხაზეთში, სადაც 1 სექტემბერს დაიღუპა მდინარე გუმისთასთან ბრძოლაში უფროსი ლეიტენანტის ჩინით. ჩამოასვენეს და დაკრძალულია გარდაბანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ლომსაძე

დავით ვახტანგის ძე ლომსაძე დაიბადა 1975 წლის 13 აგვისტოს თბილისში.

1990 წელს დაამთავრა თბილისის 167-ე საშუალო სკოლის 8 კლასი. იმავე წელს სწავლა გააგრძელა 110-ე პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრებაც ვერ მოასწრო.

1992 წლის დეკემბერში შევიდა მოხალისედ „თეთრი არწივის" გია ყარყარაშვილის ბატალიონში.

აფხაზ სეპარატისტებთან შეტაკების დროს 1993 წლის 1 ივნისს სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კინდღში დაიღუპა.

* * *

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი...

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა —
დარი მამალ ხოხბის ფრთისა
მოყვრის მსასოებელი და
დამზაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი, ვაშენებდი
ბაყდარსა და სანთლის ნიშას.

რეზო ამაშუკელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი
სულს ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე
სხივს ვახვევდი
კაბადუკიელის თმისას,
საწნახელში
ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას,
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა.

იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქეთ დიდოს,
ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,
ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს,
ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
... შინაურმა თუ არ დამკლა,
მე მომხდური ვერას მიზამს!

მე ჩემი მაქვს მოსავლელი,
თვალი არ გამირბის სხვისას,
წვეთ-წვეთად და
მისხალ-მისხალ
მიწა მეფე თამარისა!

ვინც შეირგებს
ჩემს ზედაშეს,
ჩოხას მივუბოძებ ძმისას,
ვინც არა და —
ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!

აღარც ხონთქრის მეშინია,
არც შაჰის და ყაენისა,
ხატზე ბევრჯერ გადავეცი,
ვინც მამული გაასხვისა,
ჩემად ვიჩნევ მოძმის ტკივილს,
ამის სიხარულს და ჭირსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მწამს ჩემი ბედისწერის,
აწმყოსი და მომავლისა!

აღორძინებულო მზვარევ,
მხარევ,
გაბადრულო მზისა,
ილოცვიდე დედაენას —
ჩინს საკუთარ თვალებისას,
ზეპირობდე
ხმალზე წერილს
სამუდამო პარაკლისად: —
-- „მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა!“

აფხაზთა და ქართველთა ხსნა ურთიერთგაგებასა და ერთობაშია

კითხვა: თქვენ დაგნიშნეს აფხაზეთის მთავრობის, იმ მთავრობის პირველ-ვიცე-პრემიერად, რომლის ძალაუფლება ჯერჯერობით მხოლოდ იმ ტერიტორიაზე ვრცელდება, საქართველოს მხარე რომ აკონტროლებს. ახლა აფხაზეთში რეალურად ხომ ორი მთავრობაა: ერთი — სოხუმში, მეორე — გუდაუთაში. თქვენ დათანხმდით, შესულიყავით ფაქტობრივად ქართული მთავრობის შემადგენლობაში. თქვენ, როგორც აფხაზ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ხომ არ გაგიჭირდათ ამ ნაბიჯის გადადგმა, რომელმაც, როგორც ცნობილია, მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია გუდაუთაში?

პასუხი: თქვენს კითხვაში არის რამდენიმე ქვეკითხვა, გიპასუხებთ თანამიმდევრულად. ომის დაწყებიდან აფხაზეთში სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას არ ჰყავდა რეალურად საგრძნობი აღმასრულებელი ხელისუფლება, ე. ი. ფაქტობრივად, უპატრონოდ იყო. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ყველაზე, განსაკუთრებით მცირერიცხოვან აფხაზ ერზე. ერთი მხრივ, იგი მიატოვა „მშობლიურმა“ აფხაზურმა ხელმძღვანელობამ, რომელიც აქამდეც შორს იყო თავისი ხალხისაგან. მეორე მხრივ, ომის დაწყების შემდეგ, ბევრი აფხაზი (და არა მარტო ისინი) სამ-ოთხჯერ გაძარცვეს, თუ ვინ გაძარცვა — ესეც კარგად არის ცნობილი. ამ მოვლენების შედეგად, როგორც სოხუმში, ისე რაიონებში დარჩენილი ბევრი აფხაზი შოკურ, სტრესულ და გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ, სულით ძლიერი ადამიანები თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. საჭირო იყო რაღაც გველონა, რაღაცნაირად გაგვემხნევებინა ხალხი, გამოგვეყვანა შოკიდან და გვეხსნა ფიზიკური გაქრობისაგან. ამის გაკეთება შემეძლო მხოლოდ მთავრობის სტრუქტურებში ჩემი უშუალო ყოფნითა და მუშაობით, როგორც მოქალაქეს, მამულიშვილს, ჩემს მოვა-

ლეობად მიმაჩნდა მხარი დაეჭირა ადამიანებისათვის ამ ძნელბედობის ჟამს, მისი ისტორიის მორიგ ერთობ ტრაგიკულ პერიოდში და ოდნავ მაინც შემეს-ბუქებინა მისი ტკივილი და გაჭირვებული მდგომარეობა. სხვათა შორის, იმ მთავრობაში, რომელშიც მე პირველი ვიცე-პრემიერი ვარ, მთელი რიგი ჯერ საგები პოსტები უკავიათ აფხაზური ეროვნების მუშაკებს: სვეტლანა ქეცბა კულ-ტურის მინისტრია, რაულ ეშბა -- ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, ანა-ტოლ კობახია — სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე, კონსტანტინე ანუა — სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე და ა. შ. ეს აფხაზი ხალხის სწორედ ის წარმომადგენლები არიან, რომლებიც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება იბრძოდნენ აფხაზი და ქარ-თველი ხალხების ერთიანობისათვის. დარწმუნებული ვარ, კარგად ვიცი, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის აფხაზურ ფრაქციაშიც იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც ასევე მხარს უჭერენ თქვენი ხალხების ერთობასა და ურთიერთგაგებას. მაგრამ სინდრომი — „მტრის“ იარლიყი არ მომაწებონო აკავებდა და აკავებს მათ აფხაზი ხელმძღვანელობისადმი დაუფარავი პოზიცი-ისაგანა.

რაც შეეხება სოხუმში ჩამოყალიბებულ მთავრობას (მის წევრებს შორის კი, ქართველებთან და აფხაზებთან ერთად არიან სხვა ეროვნებათა წარმომადგენ-ლებიც), აღვნიშნავ, რომ ასეთი შეწინასწორებული საკადრო პოლიტიკა გა-გრძელდება და გაღრმავდება.

კითხვა: თქვენ და თქვენი თანამოსაქმენი აფხაზ პოლიტიკოსთა ნაწილმა და აფხაზეთის საინფორმაციო სამსახურებმა, გუდაუთაში რომ იმყოფებიან, აფ-ხაზი ხალხის „მოღალატეებად“ და „მტრებად“ მონათლეს. ხომ არ გეშინიათ ასეთი იარლიყებისა?

პასუხი: იარლიყების მოწებებას, კარგა ხანია მივეჩვიე, მრავალი წლის მანძილზე ხომ დიდი გასავალი ჰქონდა პრინციპს: „ვინც ანტიქართველი არ არის, იმას ჭეშმარიტი აფხაზი არ ეთქმისო“. დიდი ვნება მოუტანა აფხაზეთსა და აფხაზებს ყველაფრის პატიების, იმ აფხაზი მოღვაწეების მოთაფვლისა და გულის მოგების პოლიტიკამ, ვინც ერთობ რადიკალურად და აშკარად სეპარა-ტისტულად იყო განწყობილი. უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მოჩვენებითი სიმშვიდის შე-ნარჩუნების გულისათვის, ფაქტობრივად ხელს აძლევდა პრინციპი: „აფხაზეთის ხელმძღვანელებო, რაც გინდათ, ის ჰქენით, ოღონდ ნუ იხმაურებთო“. ისინიც იმას აკეთებდნენ, რაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. ასეთი მიდგომის მან-კიერების შესახებ მე ვლაპარაკობდი და ვწერდი ჯერ კიდევ 1978 წელს, 1989 წელს (იხ. „ზარია ვოსტოკა“, 1989 წლის 19 აგვისტო). მაშინ ამ მოვლენებს არ მისცემია პრინციპული შეფასება. სარგებლობდა რა ასეთი თავაშვებულობით, ზოგიერთმა აფხაზმა ლიდერმა და საზოგადო მოღვაწემ უკანასკნელ ათწლეუ-ლებში ყველაფერი იღონა, რათა ქართველთა სახით შეექმნა აფხაზი ხალხის „მტრის ხატი“, შედეგმაც არ დააყოვნა: აფხაზი მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი თავისივე ხელმძღვანელებმა მოატყუეს და ავანტიურაში ჩაითრიეს. ნუ

დაგვავიწყდება, რომ მრავალი წლის მანძილზე რეალურად მოაზროვნე აფხაზთა ირგვლივ იქმნებოდა უნდობლობის ატმოსფერო, მათ უგულებელყოფდნენ აფხაზთა ლიდერები (და არა მარტო ისინი). მოსკოვი კი ნებისმიერ რეალურ პირობებში იცავდა პრინციპს „გათიშე და იბატონე“.

ბიბლიოთეკა

მე და ჩემს თანამოსაქმეებს, მათ შორის, აფხაზეთის ხსნის კომიტეტის წევრებს, ახლა გუდაუთაში მჟოფთაგან ზოგიერთები კვლავინდებურად გვაკრავენ ძველ იარლიყებს: „მოღალატეები“, „მტრები“. ეს ლექსიკონი და ტერმინოლოგია ჩემთვის კარგად არის ცნობილი.

ჯერ ერთი, არც ხასიათითა და არც ჩამომავლობით არ გახლავართ მხდალი. რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ იცის, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ალალმართლად ვემსახურე ჩემს ხალხს — და აფხაზ-ქართველთა ერთობას. მეორეც, დარწმუნებული ვარ, აფხაზი ხალხი დროთა განმავლობაში გაარკვევს, ვინ რას წარმოადგენს სინამდვილეში, ვინ მიიყვანა ისინი დღევანდელ ტრაგედიამდე. ბევრ აფხაზს უკვე ახლა ესმის, რომ მათი ჭეშმარიტი მტრები გახდნენ ისინი, ვინც უბედურება მოუტანა თავის ხალხს, ვინც პროვოკაციულად გამოიწვია ომი, ჩაითრია იგი ავანტიურაში, ისინი, ვისაც ხელი სისხლით აქვს შეღებილი. მუჰაჯირობის შემდეგ (XIX საუკუნიდან) აფხაზეთის არცერთ ხელმძღვანელს არ დაუტეხია თავისი ხალხისათვის ასეთი უბედურება, არ დაუყენებია იგი ფიზიკური გაქრობის პირას, როგორც ეს გააკეთეს თავიანთი წინდაუხედავი პოლიტიკით აფხაზეთის დღევანდელმა ლიდერებმა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისტორია და თვით აფხაზები ჯეროვანს მიუზღავენ ახლად გამოჩეკილ ბელადებსა და დიქტატორებს მათი ავანტიურული ქმედობის წილ. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ვ. არძინბა და „აიდგილარას“ ლიდერები — ეს სულაც არ არის აფხაზი ხალხი. ისინი არ არიან ის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ აფხაზი ერის მისწრაფებანი, დაიცვან მისი ჭეშმარიტი ინტერესები.

დიდად სამწუხაროა, რომ სწორედ ამ ხელმძღვანელობამ დაჭყო აფხაზები „თქვენიანებად“ და „ჩვენიანებად“, დაიწყო ისედაც მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის გარჩევა დაბადების ადგილის ნიშნით. პრივილეგიები ეძლეოდათ ერთთ და არარად აგდებდნენ მეორეთ. ჩვენ შემთხვევაში, ეს არის გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების აფხაზთა დაპირისპირება. ცხადია, რომ ასეთი ტენდენციები ტრაგიკულია ყოველი ერისათვის, მით უმეტეს, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის. სხვათა შორის, მე და მრავალმა აფხაზმა უკვე კარგა ხანია გავიგეთ, საით მიჰყავდა ხალხი ზოგიერთ აფხაზ ლიდერს, მაგრამ ჩვენ ვინ გვიგდებდა ყურს?

აქვე უნდა ითქვას, რომ ლორიკ მარშანია და მისი თანამოსაქმენი ყელზე დაადგათ არა მარტო აფხაზ სეპარატისტებს, არამედ იმ ქართველ ექსტრემისტებსაც (მათ შორის აფხაზეთში), ვინც მოგვიწოდებს იომეთ აფხაზებზე „სრულ გამარჯვებამდეო“ და გვთავაზობს ასეთი გზით „გადავწყვიტოთ საბოლოოდ აფხაზთა საკითხი“. ტრაგედია ის არის, რომ ზოგან ქართველთა შორისაც არიან

ისეთი დესტრუქციული ძალები, რომლებიც საერთოდ ვერ იგუებენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ასეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კატეგორიულად ვგმობ საქართველოს იმ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც აცხადებენ, აფხაზებს კულტურული ავტონომიაც ეყოფათო, რომ თუ ასი ათასამდე ქართველმა გასწირა თავი, მაშინ ყველა აფხაზი განადგურდებაო, რომ აფხაზი ქართველისათვის იგივეა, რაც კახელი, იმერელი, გურული. დროა შევიგნოთ, რომ კახელები, გურულები, მეგრელები, სვანები, იმერლები — ქართველები არიან, ქართველი ერია, ხოლო აფხაზები არიან აფხაზები — აფხაზი ერი. და ეს არასოდეს არ გვიშლიდა ხელს გვემეგობრა და გვემოყვრა. გარდა ამისა, როდესაც ლაპარაკია ჩვენი ხალხების ურთიერთობაზე, ცოდვაც კია იხელმძღვანელო სტატისტიკით და ითვალო, ვინ მეტი ცხოვრობს აფხაზეთში, და ვინ — ნაკლები. ასეთი მიდგომა ძირფესვიანად მცდარია, და ჩემი აზრით, უზნეოც კი არის (მით უმეტეს, რომ აფხაზი ხალხი მცირერიცხოვანი გახდა ტრაგიკული ისტორიული ბედის გამო). ჩვენი ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველს — უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, თუ რანი ვართ ერთმანეთისათვის. ვიქტორ ჰიუგო წერდა: „ხალხის სიდიადე არ განიზომება მისი სიმრავლით, ისევე როგორც ადამიანის სიდიადე არ განიზომება მისი სიმაღლით...“.

ჩვენი ხალხების კონსოლიდაციის საქმეს თავის დროზე დიდი ვნება მოუტანეს აგრეთვე როგორც ქართველი, ისე აფხაზი ინტელიგენციის წინდაუხედავმა, ზოგჯერ საფუძველს მოკლებულმა საჯარო გამოსვლებმა პრესაში და ტელევიზიით. ამის შესახებ მე ვწერდი ჯერ კიდევ 1992 წლის მაისში გაზეთ „აბხაზიისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. დროა, მოათავონ გაუთავებელი კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ შემოდგა პირველმა ფეხი ამ მიწაზე, ვინ და როდის, საიდან მოვიდა აფხაზეთში. ასეთ ორმხრივ ბრალდებებს კარგი არაფერი მოუტანია და ვერც მოგვიტანდა. განა არ აჯობებდა, გვეფიქრა დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე, იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად ერთ მიწაზე, ერთ ცის ქვეშ.

და, ბოლოს, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ აფხაზეთი და აფხაზები განუყოფელი ერთობაა. აფხაზეთი აფხაზისათვის სამშობლოც არის და აკვანიც. მას სხვა სამშობლო არ ჰქონია, არა აქვს და ვერც ექნება. ზუსტად ასევე, როგორც საქართველოა ქართველისათვის. აქ არ არსებობს დავის საგანი, იგი ობიექტურად არ არის.

დარწმუნებული ვარ, აფხაზური სეპარატიზმის ფესვების ლიკვიდაციასთან ერთად, აღმოიფხვრება ქართული ექსტრემიზმის ფესვებიც. ვფიქრობ, ქართველი საზოგადოებრიობის რეალურად მოაზროვნე და პროგრესული ნაწილი კონსტრუქციულად მოაზროვნე აფხაზ მოღვაწეებთან ერთად ყოველნაირად ეცდება, რომ აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის ახლანდელი ფორმა (ავტონომია — ესეც სახელმწიფოებრიობაა თავისი კონსტიტუციით, პარლამენტითა და მთავრობითურთ) იყოს არა ფიქციური, არამედ ყოველმხრივი შინაარსით, უფლება-მოვალეობითა და მაქსიმალური დამოუკიდებლობით აღსავსე, რათა თავად სწყვეტდეს საკადრო, ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო, კულტუ-

რულ და სხვა ავტონომიური ხასიათის პრობლემებს, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი ჭეშმარიტი ავტონომიით არიან დაინტერესებული აფხაზები, ქართველები და, საერთოდ, აფხაზეთის მთელი მოსახლეობა. ამასთანავე, [illegible] ვგმობ ვანდალიზმსა და სისხლიან ტრაგედიას როგორც გაგრაში, ასე [illegible]ის რაიონში. მიმაჩნია, რომ უმკაცრესი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ ამ საშინელებათა უშუალო ორგანიზატორებს და აღმსრულებლებს.

კითხვა: თქვენ აფხაზეთის ხსნის კომიტეტის წევრი ბრძანდებით. როგორია მისი ამოცანები? აქვს თუ არა ამ კომიტეტს რეალური დასაყრდენი აფხაზ მოსახლეობას შორის, ხომ არ გამოეკიდა ჰაერში კომიტეტის იდეები? ბევრი ხომ სწორედ ასე ფიქრობს.

პასუხი: ხსნის კომიტეტის გაჩენის მიზეზები მომდინარეობს იმ პოზიციებიდან, რომლებიც მე პირველი კითხვის პასუხად მოგახსენეთ. კომიტეტის მიზანია კონსოლიდაცია, აფხაზი და ქართველი მოსახლეობა, მათი ძალისხმევა გააერთიანოს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკის გზით გადაწყვეტის, სისხლისღვრის შეწყვეტისათვის ბრძოლაში. ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ აფხაზეთში მიმდინარეობს აფხაზი და ქართველი ხალხების მეთოდიკური ჟლეტა მესამე ძალის სასარგებლოდ, შურისგების პრინციპით: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ".

აფხაზეთის ხელმძღვანელობის უმწიფარ, არარეალურ და მაშასადამე, ავანტიურულ მოქმედებას, ყველა ჯურის სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს, ხსნის კომიტეტი უპირისპირებს საღ აზრსა და რეალიზმს, ეწევა გულმოდგინე მუშაობას ჩვენ ხალხებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების აღსადგენად. კომიტეტის შექმნის ინიციატორთა და წევრთა შორის მრავლად არიან როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხალხების სახელოვანი წარმომადგენლები. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი თავისი თვითნებური და დესტრუქციული მოქმედებით დარტყმის ქვეშ აყენებს ჩვენი კომიტეტისა და პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი საზოგადო მოღვაწეების მთელ მუშაობას. უწინარეს ყოვლისა, მე მხედველობაში მაქვს ბევრი აფხაზის დაკავება, ზოგჯერ კი გაქრობაც (ქუჩიდან თუ ბინიდან), ვითომდა, მძევალთა გაცვლის მიზნით. ასეთი გზა დამღუპველია ორივე ხალხისათვის, ეს უკანონობა და ბარბაროსობა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

კითხვა: ცნობილია, რომ აფხაზეთში, შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, თქვენ აკრიტიკებდით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობასა და თვით პარლამენტს. მაშინ ზოგიერთები ამას იმით ხსნიდნენ, რომ თქვენ გარიყული აღმოჩნდით, ვერ მოხვდით აფხაზეთის პარლამენტში, თუმცა, 1991 წლის შემოდგომაზე კენჭი იყარეთ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. და ახლა ზოგ-ზოგები ცდილობენ წამოგძახონ, რომ თქვენ გსურთ პოლიტიკური რევანში აიღოთ იმ აფხაზ ლიდერებზე, რომლებმაც მაშინ მშრალზე დაგტოვეს.

პასუხი: ჯერ ერთი, პარლამენტში შევალ თუ არ შევალ, გარიყული ვარ. ასადროს ვიქნები. მეორეც, ვინც პირადად მიცნობს (ასეთი ადამიანი კი რეპუბლიკაში ძალიან ბევრია), და ვინც იცის ჩემი მუშაობის სტილი და ჩემი [illegible] სი, ის არასდროს არ იფიქრებს ამას. არ ვაპირებ მათ შეგონებას, [illegible] იარლიყს მაწებებს. ვინც რაღაცეებს მაბრალებს და მიგონებს, რადგან, შეიძლება ეკამათო და შეაგონო მხოლოდ ჭკუათმყოფელ ადამიანებს, და არა იმათ, ვინც ამბიციას არის აყოლილი, ვინც ეიფორიასა და უტოპიურ იდეებს შეუპყრია.

დიახ, სწორედ ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკანის სხვადასხვაგვარი ბინძური პოლიტიკური ტრიუკების გამო ვერ მოვხვდი აფხაზეთის პარლამენტში. არჩევნები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უხეშად ჩაშალეს ჩემმა „კეთილმოსურნეებმა". ეს იცის აფხაზეთის მთელმა საზოგადოებრიობამ. სხვათა შორის, იმათი მოქმედება, ვინც უხეში ჩარევით ჩაშალა არჩევნები, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. ჩემმა ოპონენტებმა კარგად იცოდნენ, რომ პარლამენტის კედლებში არც კვერის კვრას მოვყვებოდი, და არც პირში წყალს ჩავიგუბებდი ასეთ გადაწყვეტილებათა მომზადებისას, რომლებსაც ახალგამოჩენილი „ბელადები" აფხაზი ხალხისათვის უდიდეს სიკეთედ ასაღებდნენ. ძალიან ვწუხვარ, რომ აფხაზ დეპუტატთა რეალურად მოაზროვნე ნაწილი, რომელსაც კარგად ესმოდა, რისკენ მიჰყავდა საქმე პარლამენტის ხელმძღვანელს, დუმილს ამჯობინებდა ბევრი ავანტიურული გადაწყვეტილების მიღებისას. პარლამენტის აფხაზურ ფრაქციაში რომ ყოფილიყო ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპოზიცია, და ასევე ქართველთა დეპუტაციაც რომ დასდგომოდა პრაქტიკულად კვალიფიციური საპარლამენტო ბრძოლის გზას, მოეშველიებინა ჯეროვანი კონტრარგუმენტაცია, დარწმუნებული ვარ საქმე დღევანდელ ტრაგედიამდე არ მოვიდოდა. გაზეთ „აბხაზიისათვის" მიცემულ იმავე ინტერვიუში 1992 წელს მე ვთქვი: ხშირად ვართ იმის მოწმენი, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიებზე მხარეები ძალას ხარჯავენ ცდებზე, როგორმე აჯობონ ოპონენტებს და გადაყოლილნი არიან უშინაარსო რიტორიკას, ნაცვლად იმისა, რომ ეძებონ ურთიერთგაგება, ამასთან, აშკარად ავიწყდებათ, რომ დიალოგი ეს არის გონებათა, და არა ამბიციათა პაექრობა. გული გეტკინებოდა კაცს, როდესაც ხედავდი, რომ სესიებზე ცალ-ცალკე ისხდნენ საუკუნეთა მანძილზე გვერდიგვერდ მცხოვრები ერების წარმომადგენლები, ან საერთოდ, არ მოდიოდნენ, ან თუ მოვიდოდნენ, ერთურთში „მტრის ხატს" ეძებდნენ. პარლამენტში სუფევდა უნდობლობა და ტენდენციურობა, აშკარა იყო სესიის სხდომების მოსამზადებელი მუშაობის დაბალი დონე.

კითხვა: რა მიგაჩნიათ აფხაზეთში ომის შეწყვეტის კონკრეტულ გზებად, თუ აფხაზეთს მოელის „ლიბანიზაცია" — უსაშველო კონფლიქტები და ომები?

პასუხი: გამოსავლად მიმაჩნია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის, იმ პირების გადადგომა, ვინც, ერთი მხრივ, სეპარატისტული, ხოლო მეორე მხრივ, ექსტრემისტული განცხადებებითა და მოქმედებებით მიგვიყვანა დღევანდელ სიტუაციამდე. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელებმა და თვით პარლამენტის სპიკერმა თავიანთი ერის შენარჩუნების, გადარჩენის, გაქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭიშკარი გაიხსნება!
ხალხში მეჯვარეა!
[illegible] ახალგაზრდა ის იყო!
ყველანი ვიცოდა ვინ,
რიგზე მოიქცეს, ვინ-ღონეა
[illegible] ყველაფერს! ბოროტებაში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობის საფრთხისაგან ხსნის გულისათვის უნდა დაძლიონ პირადი ამბიციებისა და განაწყენების ბარიერი და გადადგან ეს ნაბიჯი, რაოდენ სწორადაც უნდა ივლიდნენ თავს. ომმა უკვე მრავალი ათწლეულით მოუტანა ვნება აფხაზი ერის ეროვნულ ინტერესებს.

კითხვა: მაგრამ თქვენ გასული წლის რვა სექტემბერს მოუწოდეთ სატელევიზიო გამოსვლაში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს გადამდგარიყო და ეს წინადადება იგივე მოსაზრებებით დაასაბუთეთ, მაშინ იგი არ გადამდგარა. ალბათ, არც ახლა იზამს ამას. მას აქვს თავისი პოზიცია, არგუმენტები, თავისი მოთხოვნები. მე მგონია, რომ თქვენ ჯეროვნად არ აფასებთ არძინბას გავლენას, როგორც აფხაზ მოსახლეობაში (ბევრს ხომ იგი თავისი ხალხის გმირად მიაჩნია), ისე რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში. რის გაკეთებას აპირებთ თქვენ და თქვენი თანამოსაქმენი, თუ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არ გადადგება?

პასუხი: მე ვიცი, რომ ვლადისლავ არძინბა და მისი მომხრეები იყვნენ „სამი ვეშაპის" იმედად: 1. ბორის ელცინისადმი ოპოზიციური რუსეთის კონსერვატიული და რეაქციული ძალები, ბლოკი „სოიუზი" და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წრეები. 2. კავკასიის მთიელ ხალხთა სეპარატისტულ და რადიკალურად განწყობილი ნაწილი (ერთმანეთთან ნუ გავაიგივებთ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხებს, აქ ლაპარაკია, მხოლოდ ექსტრემისტული ყაიდის მოღვაწეებზე).

სხვათა შორის, აფხაზ ხალხს არასდროს არ ჰქონია აღნიშნულ ხალხებთან არავითარი საერთო პრინციპული ხასიათი: არც რელიგიაში, არც ტრადიციებში, არც ზნე-ჩვეულებებში, არც ისტორიულ ერთობაში (თუ არ ჩავთვლით ენობრივ ერთიანობას ადიღებთან), და, მით უმეტეს, არავითარი სისხლით ნათესაობა. მათ შორის იყო ჩვეულებრივი კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა, მაშინ, როდესაც აფხაზი და და ქართველი ხალხები ყველაზე ახლობლები არიან ერთმანეთისათვის ყველა ზემოაღნიშნული ნიშნის მიხედვით. წარსულის ტრაგიკული ფურცლების მიუხედავად ამ ხალხების ერთიანობას, ყველაზე მძიმე დროშიც კი მყარი საფუძველი ჰქონდა. გამოვლილია ერთობლივი ისტორიული გზა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, გზა, რომელიც აღსავსეა საგმირო საქმეებითა და ძნელბედობით, სიხარულითა და ჭირვარამით. ჩვენი მრავალმხრივი ურთიერთობა შეადუღაბა მრავალი მთავრობის გარჯამ, ოფლმა და სისხლმა სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. უამრავია შერეული აფხაზურ-ქართული ოჯახები, რომლებისთვისაც დღევანდელი მოვლენები ორმაგი ტრაგედიაა.

მესამე ფაქტორი, მესამე „ვეშაპი" გახლავთ გარკვეული დაპირისპირება ქართველ საზოგადოებაში, რომელსაც ასევე იყენებდნენ თავიანთი ინტერესებისათვის აფხაზეთის ხელმძღვანელები. ზემოაღნიშნული ფაქტორების („ვეშაპების") მთელი ეს ალიანსი ვ. არძინბამ და მისმა თანამოსაგრეებმა დაუპირისპირეს ქართველ ხალხს, ხოლო თუ ობიექტურად განვსჯით, — საკუთარ ხალხს, ისე, რომ, არც კი დაფიქრებულან ამაზე. ბუნებრივია, ეს ფაქტორები მეტნაკ-

ლებად მოქმედებენ დღესაც. მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ, ჩაებნენ რა ფართო მასშტაბის პოლიტიკურ თამაშში, რომელსაც ლოკალურს ვერ უწოდებ, ბევრი აფხაზი ხელმძღვანელი და ვ. არძინბა დღეს ფაქტობრივად ადგენენ თავიანთი თავის უფალნი. ისინი გახდნენ ერთგვარი მძევლები ზემოაღნიშნული სამი „ვეშაპისა", მაგრამ, ვფიქრობ, ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით აფხაზებზე, რომელთა უმეტეს ნაწილსაც საუცხოოდ ესმის, თუ რაოდენ დამღუპველია სეპარატიზმის პოლიტიკა. თავიანთი სიტყვა უნდა თქვან, და იმედი მაქვს, იტყვიან, აფხაზმა უხუცესებმა მრავალტანჯული აფხაზი ხალხის ხსნის გულისათვის, მათ შეუძლიათ მოითხოვონ და უნდა მოითხოვონ, გადადგნენ ისინი, ვინც საკუთარ ხალხს თავს მოახვია უგუნური ომი. ამავე დროს ქართველი პოლიტიკოსები და საზოგადოებრიობა მოვალენი არიან, გამოიჩინონ სათანადო მოქნილობა, როგორც აფხაზთა უმრავლესობის ჭეშმარიტი მისწრაფებებისა და აფხაზეთში წარმოშობილი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისადმი მათი ლტოლვის გაგება, და, შეძლებისდაგვარად, პოლიტიკურად გარიყონ და მოუსპონ დასაყრდენი ქართველ ხალხში იმათ, ვინც ცდილობს, იარაღის ძალით ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს აფხაზეთის საკითხი.

რაც შეეხება იმას, რომ ვლადისლავ არძინბა „თავისი ხალხის გმირია", შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის „ჰეროსტრატეს სადარი გმირობა".

დასკვნა ასეთია: ახლანდელ ეროვნულ ტრაგედიამდე აფხაზი ხალხი მიიყვანეს ადამიანებმა, რომლებიც აღაზევა ფსევდოდემოკრატიული გარდაქმნების ტალღამ. მათ უმრავლესობას არ გააჩნია პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის გამოცდილება, არ ჰქონდა თვისებრივად ახალ სახელმწიფო და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვითარებაში მოქმედების ისტორიულად დასაბუთებული პროგრამა და მათ იმათზე უკეთესს ვერაფერს მიაგნეს, რომ გამოეყენებინათ დიდი ხნის მომწიფებული თავაშვებული ნაციონალ-პატრიოტიზმის ნაყოფი, წამოეყენებინათ აფხაზეთის სუვერენიზაციის ლოზუნგი და ერთბაშად, დემონსტრაციულად შეექციათ ზურგი ქართველი ხალხისათვის. და ეს კურსი მიღებული იქნა აფხაზი ხალხის უმეტესი ნაწილის ნების მიუხედავად, რომელსაც კარგად ესმოდა, თუ რა მოჰყვებოდა შედეგად, ჩვენი ხალხების ცოცხალი კავშირის ძალისმიერი გაწყვეტის პოლიტიკას.

სწორედ ამიტომ, ჩვენ მოვალენი ვართ, გავაჩეროთ ყველანი, თანამდებობისა და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, გავაჩეროთ ისინი, ვინც საზოგადოებას გათიშვისაკენ უბიძგებს, ვინც პოლიტიკურ თამაშში ავანტიურისტული მიზნების მისაღწევად სასწორზე აგდებს ხალხის სვებედს.

ლორიკ მარშანია,

გაზეთი „სვობოდნაია გრუზია",

23 იანვარი, 1993 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ლონგურაშვილი

დაიბადა 1958 წლის 2 აგვისტოს ქალაქ ცხინვალში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, მუშაობდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ამწყობ ზეინკლად. 1977-80 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი. (ლეიტენანტი).

დაიღუპა 1992 წლის 4 ოქტომბერს – გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიყვანეს მიცვალებულთა ასაკრეფად და დახვრიტეს.

დარჩა მეუღლე – ცინა ლონგურაშვილი და ორი მცირეწლოვანი შვილი – მამუკა და თამარი.

* * *

მშვიდობა, მარად მშვიდობა შენდა,
მრავალჟამიერ!
ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი
ძლევით გალიე,
ჩემო სამშობლოვ, დიდება შენდა,
მრავალჟამიერ!

ანა კალანდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია მაზმიშვილი

ზაქარია (ზაზა) კონსტანტინეს ძე მაზმიშვილი დაიბადა 1965 წლის 23 ნოემბერს, მუშის ოჯახში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის 154-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა კემეროვოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუსწრებლად ისტორიის სპეციალობით, რომელიც 1990 წელს დაამთავრა.

1984 წელს ჩაირიცხა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. იყო სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი, ნაკრების ყოფილი წევრი, მუშაობდა მწვრთნელად სპორტულ კლუბ „იბერიაში“.

1986 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქ. პოლტავაში.

1992 წლის 1 მაისიდან ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის „ქართველ შევარდენთა ლეგიონის“ სადესანტო მოიერიშე ბატალიონში ასეულის მეთაურის თანამდებობაზე. მას მინიჭებული ჰქონდა სამხედრო წოდება — კაპიტანი.

1992 წლის 11 ოქტომბერს ზაქარია მაზმიშვილი დაიღუპა სამაჩაბლოში სოფელ დისევში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ (ვეფხო) გათიაშვილი

ნოდარ (ვეფხო) გურამის ძე მათიაშვილი, დაბადებული 1959 წლის 28 ივლისს დაბა წყნეთში, ეროვნებით ქართველი, განათლება – ტექნიკური, ცოლშვილიანი.

1966-76 წ. დაამთავრა თბილისის 137-ე საშუალო სკოლა, შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში, იყო მსროლელი.

1981 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის № 54 პროფტექნიკურ სასწავლებელში ავტოშემკეთებელ-ზეინკლის პროფესიით.

1989 წლიდან მუშაობდა თბილისის საფეიქრო ნედლეულის დამუშავებისა და გადამამუშავებელ ფაბრიკაში ინჟინრის თანამდებობაზე.

1992 წლიდან შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", ზემდეგის წოდებით, 7 დეკემბრიდან წავიდა აფხაზეთში საქართველოს მიწის დასაცავად. 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან ერთ-ერთი მძიმე საბრძოლო შეტაკების დროს, ეჟეკაცურად იბრძოდა, თავის თანამებრძოლების გადარჩენის მომენტში ტყვედ იყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა და საშინლად აწამეს. მთელ სხეულზნე ნაჩხვლეტები ჰქონდა, კანი – ამომწვარი, მხრები – ჩამტვრეული, მარჯვენა თვალი – ამოთხრილი, ყელი – გამოჭრილი, ავტომატის 80 ტყვია მოხვედრილი. თანამებრძოლების თქმით, აფხაზებს მისი თავი 5 მილიონად ჰქონდათ შეფასებული, რადგან კარგი მსროლელი იყო.

დაკრძალულია წყნეთის სასაფლაოზე.

გაიზრდებიან პატარა მაია და გოგა და იამაყებენ, რომ მათი გმირი მამა სამშობლოს კეთილდღეობისთვის დაიღუპა.

ნოდარ მათიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მაისურაძე

ოცდახუთ აგვისტოს გიორგის ოცდაერთი წელი შეუსრულდებოდა. ოცდაერთი წლის ახალგაზრდამ მთელი სიცოცხლის გზა გაიარა. 1990 წელს მოხალისედ შევიდა ეროვნულ გვარდიაში. პირველი ფიციც აქ მიიღო. შემდეგ რკონში იმყოფებოდა, მერე — შინაგანი ჯარი, შიდა ქართლი — ლიახვის ხეობა. აქ გიორგი სამშვიდობო ჯარების ქართული ბატალიონის წევრია;

1992 წლის აგვისტო. საქართველოს სამხედრო ძალები სოხუმში შევიდნენ. ბრძოლით განვლო თითქმის მთელი წელი. და აი, სულ ახლახან ათ ივლისს სოფელ შრომის მისადგომებთან მტრის ტყვიამ უწია.

გიორგი მაისურაძე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაეცა. სამარადისოდ გვახსოვდეს ის.

* * *

მზეო, დედასთან მიმავალო,
ღმერთი რო შაგხვდეს, შამახვეწე,
ჩემ შვილ უკვენავ გამოგზავნოს...

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან
მაისურაძე

დაიბადა 1958 წლის 16 მარტს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1964 წელს შევიდა ქ. თბილისის 61-ე საშ. სკოლაში, დაამთავრა მისი სრული კურსი, 1974-76 წელს იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქ. ოდესაში. დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

1991 წლიდან მონაწილეობდა ომში. ახმეტის ბატალიონის ჩამოყალიბების შემდეგ, შედის აღნიშნული ბატალიონის მეთაურის თანაშემწედ. სექტემბრის თვიდან აღნიშნული ბატალიონი იბრძვის აფხაზეთის ომში, სადაც 1992 წლის 26 ნოემბერს დაზვერვის დროს დაიღუპა. დარჩა მეუღლე და ერთადერთი შვილი — 2 თვის პატარა ანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო
მამაგულაშვილი

სოსო ნოშრევანის ძე მამაგულაშვილი დაიბადა 1965 წელს ქარელის რაიონის სოფელ დვანში. 1982 წელს დაამთავრა დვანის საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1988 წელს დაამთავრა ცხინვალის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი.

ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი ბავშვი. 1991 წლის 24 მარტს დაიღუპა სამაჩაბლოში, ყოფილი ზნაურის რაიონის სოფელ ველებში.

სოსო მამაგულაშვილი თავისი შვილების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში დაიღუპა. გვწამს, რომ მისი შვილები ნამდვილად თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრებენ.

სიკვდილის ზნე

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ (მიშიკო) მამადაშვილი

დაიბადა 1963 წლის 30 ოქტომბერს თიანეთის რაიონის სოფელ მამადაანებში. დაამთავრა თონეთის საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თელავის სამშენებლო ტექნიკუმში. 1986 წელს მუშაობა დაიწყო ექსპედიტორად, 1991 წელს კი — თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში გადავიდა.

1992 წლის 27 აგვისტოს ჩუღურეთის რაიონის სამხედრო განყოფილებამ გაიწვია სამსახურში და ჩაირიცხა 101-ე ბატალიონში. 27 აგვისტოდან იმყოფებოდა გაგრაში, 2 ოქტომბერს ღამის 2 საათსა და 30 წუთზე მოხდა თავდასხმა, როდესაც მიხეილი (მიშა) დაიჭრა თავში და მიიყვანეს გაგრის საავადმყოფოში, სადაც გაუწიეს სამედიცინო დახმარება. შემდეგ დატოვეს გაგრა და 7 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში თავის საცხოვრებელ სახლში (ნაძალადევის რაიონი, მოლითის ქ. № 22), რადგან თავის არიდან 7 ნაკერი ამოუღეს, ისევ დაუბრუნდა სოხუმს. სოხუმში 29 წლისა გახდა — 30 ოქტომბერს დაბადების დღე გადაუხდია. 2 ნოემბერს ღამის 3 საათისთვის სოფელ შრომასთან მოხდა შეტაკება, სადაც დამხმარე ძალა გამოიძახეს. და მანქანიდან პირველი გადასულა მიშა მამადაშვილი, რომელსაც მარჯვნივ მუცლის არეში მოხვდა აფხაზების თუ ჩეჩნების ნასროლი ავტომატის ტყვია — მაინც ამდგარა ზეზე, ითხოვდა ტანკის გამანადგურებელ იარაღს, მაგრამ დაცხრილეს.

მიხეილ მამადაშვილი მის მშობლიურ თიანეთში დაკრძალეს.

რა კარგია, რომ მას დარჩა ორი შვილი, რომლებიც, გვწამს, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ასახელონ თავიანთი ძვირფასი მამის სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა
მანჩხაშვილი

დაიბადა 1970 წლის 15 იანვარს თელავში. 1977 წელს შევიდა თელავის მერვე საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თელავის 152-ე პროფსასწავლებელში — ტრაქტორისტ-მემანქანის განხრით. იყო სპორტსმენი. პროფსასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ წელიწადნახევარი იყო უმუშევარი, მაგრამ სპორტთან კავშირი არ გაუწყვეტია, რადგან ყველაზე ძალიან სპორტი იტაცებდა. 1992 წლის ივნისის თვეში თელავში ჩამოყალიბდა გვარდია მეშვიდე ბატალიონის სახელწოდებით, სადაც შევიდა მოხალისედ. წაიყვანეს ცხინვალში. ერთი თვის შემდეგ 1992 წლის 10 ივლისს დაიღუპა ცხინვალის რაიონის სოფელ ოქონასთან. დასაფლავებულია ქ. თელავში. იყო უცოლშვილო.

ნეტავ სიკვდილსამც

ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,
იმას სხვა შვილი შამახყარაო,
დედასა, დასამც ახედვინაო, —
იქნება მაისვენებდ გულიო,
იქნებ წეს გამოიცვლებოდაო.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურიკო
მანჯიკაშვილი

დაიბადა 1972 წლის 30 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში. 1988 წელს დაამთავრა ქვემო ჭალის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის № 6 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში.

1990 წლიდან გაიწვიეს ეროვნულ გვარდიაში. მსახურობდა სპეცდანიშნულების ბატალიონში.

1992 წლიდან მსახურობდა კასპის გვარდიაში.

დაიღუპა 1992 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთში, ტამიშთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის მარგველანი

ბორის მურადის ძე მარგველანი, დაბადებული 1969 წლის 13 აგვისტოს ლენტეხის რაიონის სოფელ მამში, განათლება საშუალო, უცოლო.

ბორისის სკოლის დამთავრების პერიოდი დაემთხვა მიწისძვრით სვანეთის დაზარალებას და მათი მრავალშვილიანი ოჯახი (6 ძმა და 2 და) ჩასახლებული იქნენ ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში.

1987 წელს ბორისი გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც პირნათლად იმსახურა. სამსახურის მოხდის შემდეგ შევიდა „მხედრიონში", შემდეგ მოხალისედ ჩაეწერა 114-ე ბატალიონ „ავაზაში". ვაჟკაცურად იხდიდა თავის ადამიანურ ვალს სამშობლოს დასაცავად, 1993 წლის 25 თებერვალს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მტრის ტყვიამ გული გაუგმირა.

დასაფლავებულია სოფელ ასკანაში.

დატირება

სახლიც ტირის და კარიც ტირის,
სანაპირონიც ჩამოდიან,
წვიმათოდენი ცრემლი გინდა,
ფოთოლთოდენი მოტირალნი.

(ხალხური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ მარგიანი

მერაბ სალარეფის ძე მარგიანი დაიბადა 1974 წლის 25 აგვისტოს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში, მოსამსახურის ოჯახში. 1990 წელს წარმატებით დაამთავრა კოჩარის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (ფიზკულტურის) განხრით. III კურსის სტუდენტი მონაწილეობდა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში, უყვარდა ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

მერაბი იყო უღალატო, თავმდაბალი, განათლებული ახალგაზრდა, გულმხურვალე მამულიშვილი.

— როცა ჩემი შვილი მერაბი მიდიოდა, გვერდით დავისვი და შევეხვეწე: ჩემო მერაბ, არ წახვიდე, შვილო, შენ დედისერთა ხარ, მამა 3 თვის წინ მოგიკვდა, ძმა შენ არა გყავს და სტუდენტი ხარ, არავინ წაგიყვანს ჯარში — მეთქი. კი, დედიკო, მართალი ხარ, მაგრამ მე ჩემი სამშობლო უნდა დავიცვაო, ადგა და შემეხვეწა: დედიკო, ომია, ომი, და სხვა გზა არაა, ომში უნდა წავიდეო. შვილო, შენთან ერთად წავიდა შენი მეგობარი რომან იოსელიანი და კიდევ სხვები, მაგრამ არცერთი აღარ დაუბრუნდა საცოდავ დედებს-მეთქი.

ასე შეფიცულებმა სამშობლოს, მის მთლიანობას შესწირეთ თავი, ჩემო ძვირფასებო!

ახლა დედაშენმა რა ვქნა, ჩემო მერაბ! უშენოდ ყოფნა არ შემიძლია. მე არავის ვუნდივარ, არავის ვეცოდები!..

შენი ჯერჯერობით ცოცხალი დედიკო **თამარ შელია**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუქრი მარგიანი

უშენოდ მწუხრი ჩამოწვა დალის ხეობაში. თვით სიცოცხლემ დაკარგა აზრი და სილამაზე უშენოდ, ძაძებშია გახვეული ომარიშალა, გლოვობს მამულისათვის ზვარაკად შეწირულ ლომგულ ჭაბუკებს – შუქრი მარგიანს და ამირან ავალიანს. არაერთგზის უთხრეს შუქრის, რომ ომი და ავტომატი არ იყო მისი საქმე – უნივერსიტეტელის, ცნობილი ეკონომისტის, მენეჯერის, დალის ხეობის უერთგულესი ლიდერის, შუყერის ეკლესიის ამგების, ყველგან და ყველაფერში სილამაზის, სიკეთის მძებნელის, შუქრი კი ღიმილით პასუხობდა, „არავინ თუ არ იომა, მაშ, სამშობლოს ვინღა დაიცავს? სამასი არაგველი ერთ დღეს გაწყდა, საქართველო კი გადარჩა, მეც ერთი კოდორელი ვიქნები, მამულს შეწირულიო.

თქვა და სიმღერით წავიდა ომში, ახალი წელიც მოწინავე ხაზზე გაატარა და 3 იანვარს გამიზნულად გადაეშვა ცეცხლის მორევში, ტყვიების წვიმაში, შეწყდა საოცრად ლამაზი სიცოცხლე, თან გაჰყვა სიცოცხლის ტრფიალი, დალის ხეობის აყვავების გეგმები, ნათელი ოცნებები. გაუმხელელი სიყვარული...

ოცდაათ გაზაფხულს მოესწრო მხოლოდ.

არც უცხოვრია თითქოს, გაიელვა და გაიბრწყინა მხოლოდ, მაგრამ ისე ძალუმად, ისე ძლიერად, რომ სამარადისო სახელი დატოვა.

ქენო მარგიანი

გაზ. „თბილისი“, 11 მარტი, 1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა
მარუაშვილი

„მინდა დავთვალო ისტორიის ყველა ფურცელი. ყველა დღე. წუთი, საქართველოს ყველა ტკივილი“, — წერდა გოჩა თავის დღიურში. მთელი მისი არსებაც ხომ საქართველოს ტკივილით იყო გაჟღენთილი. სწორედ ამ ტკივილმა მიიყვანა ეროვნულ მოძრაობაში საფიჩხიელი ბიჭი, მოხუცი მშობლების ერთადერთი იმედი.

გოჩა დაიბადა 1964 წ. 7 ივლისს. დაამთავრა ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა და № 33 პროფტექნიკუმი. იყო სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, მუშაობდა მწვრთნელადაც, სადაც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და მადლობებსა და ქების სიგელებს იმსახურებდა.

„7 რიცხვი ცუდი აღმოჩნდა ჩემი ბიჭისათვის: 7 ივლისს დაიბადა და 7 აგვისტოს მომიკლეს დედაშვილობის მადლგამწყრალმა ავაზაკებმა“, — ამას ამბობს ქალბატონი შუშანა, გამწარებული დედა.

„5 აგვისტოს, პარასკევს ჩამოვიდნენ ბიჭები, — ახლა თხრობას მამა აგრძელებს, — შამპანური გამოვუტანე. მამა, შენ დალიე, მე მანქანაზე ვარო, მითხრა. ერე... როგორ არის საქმე, ობჩაში თუ აკეთებენო ხელოსნები სახლს, დაინტერესდა. ზამთარში დიდმა თოვლმა დაგვიზიანა სახლი. შემოდგომაზე ქორწილის გადახდას აპირებდა და ამიტომ ეჩქარებოდა მისი შეკეთება, სულ ახალი მოყვანილი ჰყავდა მეუღლე, ბაიასავით ნაზი და სათნო ელისო“.

„ჰო, თიხის ფიალებიც მოიტანა იმ დღეს, ოთხი ცალი, რომ მანახა, გამეცინა, რატომ იცინიო? ბიჭო, ან ექვსი გვყიდა, ან თორმეტი-მეთქი. რა მოხდა, შამა, იმ გზაზე კიდევ ხო გავივლი და ვიყიდიო... ეგ იყო და ეგ... იმ ფიალებიდან დალევა არც მოსწრებია. ბიჭები ახლა იმით მის შესანდობარს სვამენ“.

ეს იყო 5 აგვისტო, პარასკევი, 7 აგვისტოს... სამაჩაბლოში, სოფელ ძევერის გადასახვევთან აღმოაჩინეს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზო-

გადოების წევრის, გოჩა მარუაშვილის გვამი, რომელსაც ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი.

ენით უთქმელ ელდას იტევდა ის ძუნწი ინფორმაცია ქ. ქუთაისში და მის შემოგარენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავას საზოგადოების ბიჭებთან ერთად წავიდა სამაჩაბლოს ომში, იბრძოდა დიდ ლიახვში, საბუეში, თამარაშენში, კეხვში, კოდაში, ნიქოზში, ქალეთში. სულ უმართლებდა. ქალეთში რომ დაიჭრა, ეს შემთხვევაც თავისებურ ხუმრობაში ჩააცარა:

სიკვდილის ანგელოზმა მსუბუქად გამკრა ფრთა და მაგრძნობინა, რომ არ გემტერებიო, — თავის მეგობრებში უთქვამს სერიოზულად, რაკი ქალეთის ომში გადავრჩი, აწი სიკვდილი კარგახანს არ მომეკარებაო, — ამბობდა და სჯეროდა კიდეც, რომ დიდხანს იცოცხლებდა და მოასწრებდა უამრავი კარგი ჩანაფიქრის, გეგმის, ოცნების ასრულებას.

საკუთარი ტკივილივით განიცადა ძიწით დამეწყრილი რაჭის ტრაგედია. ბიჭები შეკრიბა და აღდგენით სამუშაოებზე წაიყვანაო, იხსენებენ მისი საძმოს ბიჭები.

გოჩას ძალიან უყვარდა მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, უყვარდა ჭადრაკი, ფეხბურთი, ჭიდაობაში ხომ მწვრთნელი და ოსტატი იყო, იხსენებენ მისი მეზობელი ახალგაზრდა ბიჭები: მირიან მიქაძე, გიგა ზაუტაშვილი, ნიკა ვაშაყმაძე, ავთო ბზიკაძე, ალეკო კირკიტაძე და ჟორა დიდბერიძე.

იცით, გოჩა ჩვენი საზოგადოების სული და გული იყო, კაცობაში ნაღდი, მეგობრობაში უღალატო, ამბობენ გულისტკივილით სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის წევრები, თანაც საზოგადოების შენობაში გოჩას და სხვა დაღუპული ბიჭების სურათებს უცქერიან და ტირიან.

ნაადრევად წავიდა გოჩა ამ ქვეყნიდან. დარჩნენ მარტოდ-მარტო თაფლობისთვეში დაქვრივებული ახალგაზრდა შერთული მეუღლე ელისო და მშობლები პირქუშ სახლში გოჩას ხატებთან, მისი ხსოვნის პირისპირ.

ლ. ლიპერტელიანი

გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციის კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკრი მარშანიშვილი

ნუგზარ (ნუკრი) ილიას ძე მარშანიშვილი დაიბადა 1966 წლის 25 თებერვალს ქ. თბილისში.

1983 წელს დაამთავრა 39-ე საშუალო სკოლა. 1984 წელს მოულოდნელად გარდაეცვალა დედა, რომელზეც ფიქრი არ ასვენებდა მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე. მის თვალებში უცნობიც კი შეამჩნევდა ნაღველს, რომელიც დედის მონატრებით იყო გამოწვეული.

1985 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რასაც იგი გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით ასრულებდა. იყო ოცეულის მეთაური.

1986 წელს ნუკრი დაუბრუნდა ინსტიტუტს, სადაც ისწავლა სამ წელიწადს.

1989 წელს ეროვნული მოძრაობის ტალღამ მასაც გადაუარა, ააფორიაქა და ერის სამსახურში ჩააყენა. იმავე წელს საკუთარი სურვილით და მოწოდებით გამოცდები ჩააბარა მილიციის უმაღლეს სკოლაში, ასე თვლიდა საჭიროდ: ჩემს ტანჯულ ქვეყანას — საქართველოს იქ უფრო გამოვადგებიო. მუდამ იქ იყო, სადაც მამულს უჭირდა. გმირულად იცავდა სამაჩაბლოს და აფხაზეთს... „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილებაო", — იტყოდა და რისხვა ჩაუდგებოდა საოცრად კეთილ თვალებში.

1990 წელს სოხუმელმა პატარძალმა შეაღო მისი სახლის კარი და ამდენხანს ქალის ხელს მონატრებულ ოჯახში სითბო და სიხარული შეიტანა. სულ მალე მამობის სიხარულმა გაუთბო გული, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ახალგაზრდა ოჯახის ბედნიერება.

მიუხედავად ავადმყოფობისა, მეგობრებს ვერ უღალატა და 1992 წლის აგვისტოში ერთხელ კიდევ ჩადგა მამულის დამცველთა რიგებში. „ნუ გეშინიათ,

ტყვიას ზელით ვიჭერო“ — დაამშვიდა ახლობლები. „ნათიას მიხედეო“ — მავედრებელი თვალებით შეხედა მეუღლეს, მერე აღელვებულმა გამოიხურა კარები, ლიფტს აღარ დაელოდა, კიბეები ისე ჩაირბინა, იგი იმ ღღესაც ისეთი იყო, როგორც ყოველთვის: ყოყმანი და უკანდახევა არ ჩვეოდა. ქართული სული ბობოქრობდა მასში. ჩვეული შემართებით დაადგა გზას, რომელსაც ოურმე მარადისობისა და უკვდავებისაკენ მიჰყავდა.

29 აგვისტოს, გაგრაში კოლხიდის საბჭოს სოფელ წითელ ჯვარში, მანდარინის ბაღებიდან გორაკებზე განლაგებულ პოზიციებზე ვერაგულად დახოცეს თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის 8 კურსანტი, მათ შორის იყო ჩვენი ნუკრიც.

...და კიდევ ერთ ოჯახში გაისმა გლოვის ზარი. კიდევ ერთი მშობელი გაუბედურდა, გაუბედურდა ქვრივი მამა. დაქვრივდა ახალგაზრდა ქალი და დაობლდა პატარა ნათია, რომელიც ამაყად ივლის საქართველოს მიწაზე. იმ მიწაზე, რომლისთვისაც თავი გასწირეს ნუკრიმ და ქართველი ერის სხვა საუკეთესო შვილებმა. რამდენი ჩანაფიქრი, ოცნება და მიზანი დარჩა განუხორციელებელი... მაგრამ, ამასთანავე, დარჩა საქართველოსთვის გმირულად შეწირული ლამაზი სახელი, რომელსაც ჰქვია ნუკრი მარშანიშვილი.

ვლადიმერ მაქსიმოვი

რიგითი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მაქსიმოვი დაიბადა 1973 წლის 18 აპრილს თბილისში. ეროვნებით რუსი, საშუალო განათლებით.

1992 წლის მაისიდან მსახურობდა შინაგანი ჯარების ოპერატიულ ჯგუფში.

დაიღუპა 1992 წლის 28 დეკემბერს ოჩამჩირეში.

ვლადიმერ მაქსიმოვი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მაჭავარიანი

ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა ახალგაზრდა ექიმი ლევან მაჭავარიანი. ერთი წლის წინ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი, და ერთი წლის თავზე ექიმი-პედიატრი უკვე აფხაზეთშია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძვის, დაჭრილები გამოჰყავს ფრონტის ხაზიდან, სიცოცხლეს უბრუნებს.

აქ კი, ტამიშთან, უთანასწორო დესანტთან ბრძოლისას დაჭრილთა საშველად მიეშურებოდა სამედიცინო მანქანით თავის კოლეგებთან ირაკლი დვალიძესა და ზაზა კიკნაძესთან ერთად. მტერმა არად ჩააგდო სამედიცინო მანქანის სასწრაფო დახმარების ნიშანი და სროლა აუტეხა. სამივენი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და გმირულად დაიღუპნენ.

ლევან მაჭავარიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით.

ლამარა აბესაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნუგზარ
მაჭარაშვილი

ნუგზარ მაჭარაშვილმა რუსთავში დაამთავრა საშუალო სკოლა. ბევრ პროფესიას დაეუფლა. იყო მძღოლი, ზეინკალი, შემდულებელი, მექანიკოსი, ბოლოს სვერდლოვსკის საინჟინრო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა მე-3 კურსზე.

18 წლის ასაკიდან მსახურობდა. დაოჯახდა, ჰყავს ქალიშვილი და ტყუპი ეაჟები — საქართველოს ფიზიკური ინსტიტუტის სტუდენტები.

ნუგზარის მამა, ბატონი ნიკო, II ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა მეორე სამამულო ომიდან. ნაომარი კაცის შვილს როგორ შეეძლო გულზე ხელი დაეკრიფა, როცა სამშობლო განსაცდელში ჩავარდა! ის, ქართველ შევარდენთა ლეგიონის წევრი, ჯერ სამაჩაბლოში იბრძოდა, შემდეგ გაგრის მისადგომებთან.

1992 წლის 16 ოქტომბერს ოჩამჩირეში დაღუპულა გააფთრებულ ბრძოლებში.

ია კალანდარიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უჩა
მაჭარაშვილი

1993 წლის ორი ივლისი მძიმე და სისხლიანი გამოდგა საქართველოსთვის. მრავალი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა ამ დღეს აფხაზეთში მამულის ერთიანობისთვის ბრძოლას.

სოფელ ტამიშთან პირველი საარმიო კორპუსის სპეცდანიშნულების „შავნაბადას“ ბატალიონმა მტრის დესანტისგან პირველი დარტყმა სხვებთან ერთად საკუთარ თავზე მიიღო. სისხლისგან დაცლილი ბატალიონი ბოლომდე გმირულად უმკლავდებოდა მტერს. ტამიშის განთავისუფლების შემდეგ გადაქანცული ბიჭები ბრძოლაში დაცემული მეგობრების ძებნას შეუდგნენ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყველა ჩვენი დაღუპული უნდა მოვიძიოთო... მებრძოლებმა დიდი სიფრთხილით დაიწყეს საერთო სამარის ამოთხრა, ეშინოდათ, მტერს არ დაენალმა იგი, შემდეგ კი საშინელი სურათი — ერთად ჩაწვენილი მეომართა გვამები გამოჩნდა. ერთ-ერთი უჩა სერგოს ძე მაჭარაშვილის ცხედარი იყო. მეხივით გავარდა საქართველოში ამ სისხლიანი ბრძოლების ამბავი. იქ, მშობლიურ საჩხერეში, სოფელ კორბოულში, შვილის მომლოდინე დედას გულმა უგრძნო უბედურება. აკი არც შემცდარა ათასგზის გამოცდილი დედის ინტუიცია.

ცხრამეტი წელი ლამაზად იცხოვრა უჩა მაჭარაშვილმა და როცა ქვეყანას დასჭირდა, გმირულად მიიტანა ჭაბუკისათვის ყველაზე სანუკვარი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

უჩა მაჭარაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა
მახათაძე

დაიბადა 1963 წლის 28 აგვისტოს, ქალაქ თბილისში. ჰყავს დედ-მამა, ოთხი ძმა და ერთი და. დაოჯახდა 1982 წლის 24 ივლისს, 19 წლის ასაკში, 18 წლის ციცინო ბეჟაშვილზე. აი, ასე შეიქმნა ბავშვური სიყვარულით ტკბილი ოჯახი. სიხარულს სიხარული მოჰყვა. შეეძინათ პირველი შვილი, მეორე, შესამე. უხაროდა სამი შვილი, მრავალშვილიანი მამა ვარო.

მახათაძე თამარი ვაჟას ასული, — 1985 წ.

მახათაძე თემური ვაჟას ძე — 1987 წ.

მახათაძე სალომე ვაჟას ასული — 1991 წ.

უყვარდა ცოლ-შვილი, ოჯახი, მეგობრები, ნათესავები. ყველგან და ყველასგან სიყვარულს იმსახურებდა.

1992 წლის 28 აგვისტოს 29 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე მიატოვა და ძმაკაც ნუგზარ ჩოხელთან ერთად სამშობლოს სადარაჯოზე დადგა. თეთრარწმელი, მეტსახელად „მამაო“ მებრძოლებთან ერთად გაგრას იცავდა მტრისაგან. სამი დღის მანძილზე კოლხიდაში, ალყაში მოქცეულმა ძლივს დააღწია თავი.

1 ოქტომბერს გაგრაში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. გაგრაში მტრის შემოტევის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ჩვენში ყოველთვის ლამაზ, დაუვიწყარ მოგონებად დარჩები. ზეციერ ნათელში სუფევდეს შენი სპეტაკი სული, „მამაო“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი
მგელაშვილი

გიორგი დავითის ძე მგელაშვილი — დუშელი ბიჭი — 1992 წლიდან ირიცხებოდა საპატრულო პოლკის სერჟანტად. სოფელ კინდღში დაჭრილის გამოყვანისას დაიღუპა.

ზალიკო
მდინარაძე

„დე, არ ინერვიულო, ოჩამჩირიდან დაგირეკავ", — სწერდა პაწია ბლოკნოტის შუა ფურცელზე. ეს არის თბილი და ამაყი ქართველი ბიჭის, ზალიკო მდინარაძის უკანასკნელი წერილი დედისადმი.

თბილისიდან გაიპარა აფხაზეთში საომრად; ოჩამჩირეში ლანჩხუთელი მებრძოლები მოძებნა და გამოუცხადა თქვენთან უნდა ვიბრძოლოო. მეთაურს მოეწონა მისი სითამამე, მაგრამ გააფრთხილა: უნდა გამოუცადო, ჩვენს რაზმში ასე ადვილად ხალხს არ ვღებულობთო. ბედს არ ენება, რომ ზალიკოს ეს გამოცდა გაევლო, თორემ ერთ კვირაში იგი რაზმის სული და გული გახდებოდა, იჩქარა საბრძოლო ნათლობის მიღება.

გამთენიისხანს გავიდნენ პოზიციებზე ლანჩხუთელი მებრძოლები, ზალიკო „შინ“ დატოვეს, მაგრამ ორიოდე საათში მან გაიგო, რომ ბიჭებთან რაცია იყო წასაღები და თავისთავზე აიღო ეს მისია. უიარაღოდ, უშიშრად გაიარა ცეცხლის წინა ხაზამდე, სწორედ იქ მოუსწრო სნაიპერის ტყვიამ და აუხდენელი დაუტოვა ოცნებები გმირულ ბრძოლებზე. ყველაზე დიდი მსხვერპლის ფასად, პატარა სამსახური მაინც გაუწია თავის ქვეყანას, არ დასცალდა, რომ მისი სახელი მთელს ქვეყანას მოჰფენოდა. ის ჩვენ, ლანჩხუთელებმა უნდა დავიტიროთ და მოწიწებით დავხარეთ თავი, რადგან მისთანების თავგანწირვა აფხიზლებს მიძინებულ სულებს. მისი დედის ცრემლები მალამოდ ედება ქართულ მიწას, მამის გოდება მოსვენებას არ აძლევს შურისძიებით ავსებულ გულებს.

კიდევ ერთი ნათელი ბიჭი შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას, ხალასი ნიჭი, მომავლის იმედებით სავსე სიცოცხლე.

ღმერთო, გვაკმარე!

ზალიკო მდინარაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.



ოგარ მეგრელიშვილი

დაიბადა 1947 წლის 24 მარტს ქალაქ გორში. დაამთავრა თბილისის 87-ე საშუალო სკოლა. 1966-69 წლებში მსახურობდა ჯარში. 1973 წელს დაამთავ-

რა ზემდეგობის მოსამზადებელი კურსები. მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში. იყო დაოჯახებული — მეუღლე — რიტა სიმონის ასული მეგრელიშვილი. ჰყავს ერთი შვილი — მაია მეგრელიშვილი — ჭელიძე, შვილიშვილი — ნინო ჭელიძე.

ცხოვრობდა ქალაქ თბილსში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონში.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი. დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ს. გაგრაში.

ომარ მეგრელიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

* * *

მთაწმინდა

მთაო წმინდაო, მზიან მხარეში
შენს სანახავად ისევ მოვედი.
ბრწყინავს დიდებულ მატიანეში
შენი სახელი, ოქროს მთოველი.
უქარო დღეა და სიწყნარეა,
ამოველ სიბრძნის დასაწაფებლად
და არწივივით არ მიჩქარია
ფრთების გაშლა და მაღლა აფრენა.
რადგან მაღლა ვართ, შენს თბილ უბეში
ვხედავთ ბალახებს ნამით განბანილს!
ვხედავთ, ვით ჰყვავის ცის სილურჯეში
უბერებელი ქართლის მთა-ბარი.
შენი უქრობი შუქი დაჰნათის.
მათი სავანე მხოლოდ შენა ხარ.
წერდნენ, იბრძოდნენ, რათა ლამაზად
აყვავებული ქართლი ენახათ.
მთაწმინდავ, შენ ხარ მათი ნუგეში,
პატიოსნების განსხივოსნება,
საუკუნიდან საუკუნეში
გადაგაქვს მათი წმინდა ოცნება.
თავზე ადგახარ გმირთა სავანეს
ისე, ვით დედა, დედა-მარადი,
თავდადებულთა შთამომავლობას
შენი უქრობი შუქი დაჰნათის.
შენს მკერდზე გაჩნდა სხივი დილის მზის,
კალთებს გეყრება ოქროს ბწკალები,

გაგრატ შინკუბა

შენ მეუფე ხარ დიდი თბილისის,
მარადიული მისი თვალები.
ახალმა ჰანგმა გაიწკრიალა
და ნაპერწკლები სიტყვას დასცვივდა
და დილის დამწველ მზეში ბრიალებს
ეძველესი და ნორჩი მთაწმინდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

ილია მელაძე

დაიბადა 1970 წლის 26 ივნისს მცხეთის რაიონში, სოფელ ჩარდახში, მოსამსახურის ოჯახში.

ილიას დედა — ოლია (ცაცა) ასათაშვილი, პროფესიით ეკონომისტი, მუშაობს მცხეთის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს ეკონომისტად.

მამა — ტარიელი პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი, მუშაობს ამავე რაიონის აგრომრეწვტრანსის მთავარ ინჟინრად.

ძმა — მირიანი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

ილია მელაძემ 1987 წელს დაამთავრა მცხეთის რაიონის სოფელ წეროვნის საშუალო სკოლის სრული კურსი წარმატებით.

1989 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე.

ილია მელაძე 1989 წლიდან „მხედრიონის“ აქტიური წევრია. მონაწილე-

ობას ღებულობდა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში იგი პირველად წავიდა როგორც მედიცინის შაკი და მაშველი.

შემდეგ კი იყო აფხაზეთი... ავად მოსაგონარი აფხაზეთი.

იგი მუდამ აქტიური იყო, მუდამ წინა ხაზისაკენ მიილტვოდა. ილია აფხაზეთში ოცეულს ხელმძღვანელობდა. 1992 წლის 11 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეშში ილია თავისი ოცეულით იცავდა სამშობლოს.

აფხაზ სეპარატისტთა ხროვამ ალყაში მოაქცია ილიას ოცეული. აღნიშნული ალყა ილიამ პირადად თვითონ გაარღვია და თავისი ოცეული უკლებლივ გადაარჩინა.

სულგაყიდულმა მოძმეებმა უმოწყალოდ დაცხრილეს ტყვიით და სიცოცხლე მოუსწრაფეს 22 წლის ილია მელაძეს.

როინ მელიტონიანი

რიგითი როინ რობიზონის ძე მელიტონიანი დაიბადა 1972 წლის 28 ნოემბერს, გორში. ეროვნებით სომეხი.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1991 წლის ნოემბრიდან ოპერატიულ პოლკში.

დაიღუპა სოხუმის ტელევიზიასთან ბრძოლაში 1992 წლის 24 ივლისს.

* * *

ტიალო წუთისოფელო,
ნახვას არ გვაცდი მზისასა!
ჩვენც ასე დავიხოცებით,
როგორაც ვხედავთ სხვისასა,
რა ბევრი ჩამოუშლია
ამ სატიალე მიწასა!

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ
მელიქიძე

დაიბადა 1972 წელს 18 თებერვალს დაბა ასპინძაში, პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლის არასრული კურსი და სპორტზე შეყვარებული ბიჭი სწავლას თბილისის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლა-ინტერნატში აგრძელებს კლასიკური ჭიდაობის სექციაში. ახალგაზრდა სპორტსმენი სამგზის ჩემპიონი იყო თავის წონით კატეგორიაში რაიონისა და ორგზის საქართველოსი მოზარდთა შორის.

ზრდილი და გულთბილი ბიჭი ბედმა გასწირა: ჯერ კიდევ 12 წლისას მამა დაეღუპა, ორი წლის შემდეგ მისი აღმზრდელი ბიძა იმსხვერპლა დუშმანის ტყვიამ. მოზარდის სუსტ მხრებს დააწვა ოჯახის მძიმე ტვირთი. ის დედის ჭირში ამომდგარი ინაწილებს ცხოვრების სიმწარეს.

1991 წლის 19 მაისს გაიწვიეს ახალშექმნილ ეროვნულ გვარდიაში. დედისა და ერთადერთი დის საფიცარს საქართველოს სიყვარული და ლოცვა გაჰყვა საგზლად.

მალხაზი, როგორც სპორტსმენი, ჩაირიცხა „თეთრი არწივის“ სპეცდანიშნულების ბატალიონში. ყველასათვის საყვარელი ცისფერთვალება ბიჭი გია და გოჩა ყარყარაშვილების ძმადნაფიცი იყო.

გვარდია დაიშალა...

1992 წელს თებერვალში მალხაზი კვლავ ომში ბრუნდება, ამჯერად სამსახური ტყიბულის მე-17 ბატალიონში უწევს. ტექნიკაზე უზომოდ შეყვარებული ბიჭი თავისი ხელით აწყობს მწყობრიდან გამოსულ საბრძოლო მანქანა „ბტრ“-ს და შემდეგ მართავს კიდეც. ბატალიონი სამაჩაბლოში შექმნილი გართულებული მდგომარეობის გამო ცხინვალში შედის და მონაწილეობს საბრძოლო ოპერაციებში.

1992 წლის 13 ივნისს ერთ-ერთი ბრძოლის დროს არ ინდობს დედისერთა, მამით ობოლ ბიჭს დუშმანის ტყვია, სასიკვდილოდ იჭრება [illegible] ნიკ ბესიკ ქუთათელაძესთან ერთად 19 ივნისამდე ებრძოდნენ ქართველ [illegible] ბები და მალხაზის ახალგაზრდა სხეული სიკვდილს, მაგრამ ამაოდ.

ძსუბუქი იყოს შენთვის, მართლაც მალხაზო ბიჭო (სიკვდილის წინ მღეროდაო), მესხეთის მიწა!

ვეფხია მესხიშვილი

დაიბადა 1968 წლის 8 მაისს გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, კოლმეურნის ოჯახში. წარმატებით დაამთავრა მელაანის საშუალო სკოლა. გულით ეწადა სწავლის გაგრძელება, მაგრამ მუხანათურმა ბედისწერამ არ დააცადა. სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში", საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო ორწლიან სამსახურში. იმსახურა სადესანტო ნაწილში, მიიღო მადლობები და სიგელები. იქიდან დაბრუნებისთანავე დაუბრუნდა თავის სამსახურს.

1992 წლის 20 აგვისტოს გაიწვიეს საშშობლოს დასაცავად აფხაზეთში, სადაც 26 აგვისტოს გმირულად დაასრულა თავისი ნორჩი სიცოცხლე.

სამშობლო არ დაივიწყებს მის ღირსეულ შვილს — ვეფხია მესხიშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო
მეტრეველი

1960 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ გუდაუთაში შვიდი წლისა შევიდა გუდაუთის რაიონის ახალსოფლის № 1 საშუალო სკოლაში, სკოლის პერიოდში მისდევდა სპორტს — ჭიდაობაში საქართველოს მოსწავლეთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. დაჯილდოებული იყო რამდენიმე სიგელით.

რეზოს მამა 1981 წელს დაელუპა, 1983 წელს— დედა. რეზოს ჰყავს დედმამიშვილები: ძმები — თამაზი, თეიმურაზი, დაზმირი და ნაილი.

1977 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში 1978 წელს. მოხვდა ქალაქ ხაბაროვსკში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ დაბრუნდა შინ, გუდაუთის რაიონის ახალსოფელში. 1981 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის სავაჭრო ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გუდაუთაში ძძღოლად. მშობლების გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრობდა. უნდოდა დაოჯახებულიყო, მაგრამ არ დასცალდა. 1990 წელს გადაიყვანეს სოხუმის „ატეკაში“ მძღოლად. 1992 წლის 14 აგვისტოდან დაიწყო ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი. ომის დაწყებისთანავე ჩაეწერა გვარდიაში, თავისი მიწა-წყლის დასაცავად. შეაგროვა თავისი სოფლის ბიჭები, ჩამოაყალიბა გუდაუთის ბატალიონი, დანიშნეს ოცეულის მეთაურად, აქაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. რაც შეეძლო, არაფერს აკლებდა მეომარ ბიჭებს. 1992 წლის 7 ოქტომბერს შეუსრულდა 32 წელი. ამავე წლის 9 ნოემბერს იმსხვერპლა მტრის ტყვიამ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარასთან. თავი შესწირა საქართველოს ერთიანობას. რეზო მეტრეველი ვერ დაიკრძალა ახალსოფელში, თავისი მშობლების გვერდით. იგი დაკრძალეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში, თავისი დის სოფელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ მინდიაშვილი

გურამ დიმიტრის ძე მინდიაშვილი დაიბადა 1957 წელს ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში.

იყო ოცეულის მეთაური – ტანკისტი. დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან.

მადლობა მას – სამშობლოსთვის დაღუპულ შესანიშნავ ადამიანს.

მერაბ მინდიაშვილი

დაიბადა 1957 წლის 14 იანვარს ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში.

1964-74 წლებში სწავლობდა ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწემის საშუალო სკოლაში.

1975-77 წწ. მსახურობდა. ქ. ხაბაროვსკში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ სწავლა გააგრძელა ქარელის მექანიზაციის ტექნიკუმში.

1980 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა თამარაშენის მეკურდღლეობის მეურნეობაში მძღოლად.

1989 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში.

1990 წლის 22 ივნისს შევიდა წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში, რომლის წევრიც იყო სიცოცხლის ბოლომდე. აქტიურად იბრძოდა ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ. მან დაიმსახურა ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული. მერაბის იმედით სულდგმულობდა მთელი სამი წლის განმავლობაში დიდი ლი-

ახვის ხეობის ბლოკირებული 9 ქართული სოფელი, მისი იმედი ჰქონდათ ბრძოლებშიც და სიმშვიდის დროსაც. ამიტომ მიანდეს მას ხეობის უფროსობა. იყო „უშიშარი, ვითარცა უხორცო“, ფიზიკურად ძლიერი, რის გამოც ხალხმა სიყვარულით „ვირო“ შეარქვა. ეს უხერხული მეტსახელი თითქოს გააკეთილშობილა მისმა თავდადებამ და გმირობამ. ქართველები ამ სახელს მაშინაც და ახლაც დიდი სიყვარულითა და მოწიწებით წარმოსთქვამენ, ხოლო ოსებს შიშის ზარს სცემდა „ვიროს“ ხსენება, ეგონათ, რომ ტყვია ვერაფერს დააკლებდა და, ალბათ, ამიტომაც ხეზე მიაბეს ცოცხალი, დაჭრილი, ისედაც სასიკვდილოდ განწირული და ისე დაწვეს. მან სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანა საქართველოს სამსხვერპლოზე და სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი მღეროდა თავისი სათაყვანებელი მერაბ კოსტავას საყვარელ „შავლეგოს“.

დარჩა მეუღლე — მზია ოთინაშვილი და 4 მცირეწლოვანი შვილი — ლია, ია, ნათია და ლელა, მეოთხე — ლელა მისი სიკვდილის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. მერაბ მინდიაშვილი და ზაურა ხომარელი იყვნენ დების ქმრები. ერთმა ოჯახმა ერთ დღეს ორი სიძე დაკარგა.

გელა მინდიკაური

დაიბადა 1969 წლის 6 მარტს. 1986 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 107-ე საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში.

1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ 1989 წელს შედის ავღანელთა კავშირში. 1991 წელს მუშაობას იწყებს კერძო დეტექტივად თბილისში. ამავე წელს შექმნა ოჯახი.

1992 წელს შევიდა სამგორის რაიონის მე-8 პოლკის ეროვნულ არმიაში.

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი“, რომლის წევრიც გახდა გელა და აქედან გაიწვიეს აფხაზეთში 1992 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ერთიანობის დასაცავად.

ბრძოლაში ჩაება ოჩამჩირის რაიონში. საბრძოლო ოპერაციების დროს გელა სამედიცინო დახმარებასაც უწევდა მებრძოლებს. მას მეტსახელად „მგელკაცა“ შეარქვეს, ცხენისწყალთან მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ორი დაჭრილი, მესამედ შებრუნებული გელა დაეცა მტრის ტყვიით განგმირული. 10 დღის შემდეგ მისი გვამი მიიღეს აფხაზი ტყვეების სანაცვლოდ.

გელა მინდიკაურის ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება მისი ნათესავებისა და ახლობლების, მისი მეუღლის თამილა ჭინჭირაულის გულში.

გელა მინდიკაური სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ზურაბ მირაქიშვილი

ზურაბ ბორისის ძე მირაქიშვილი დაიბადა 1972 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. სწავლა დაიწყო 113-ე საშუალო სკოლაში 1978 წელს. 1979 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა გლდანის რაიონში და სწავლა გააგრძელა 69-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.

1991 წლიდან ზურაბი თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია.

1992 წლის ოქტომბრის თვეში ზ. მირაქიშვილი მოხალისედ ჩაეწერა თავდაცვის სამინისტროს 114-ე ბატალიონ „ავაზაში“. იმავე წლის 18 დეკემბრიდან იგი აფხაზეთშია და აქტიურ მონაწილეობას იღებს საბრძოლო ოპერაციებში.

დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან, დესანტის გადმოსხმის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან მიქელაძე

დაიბადა 1967 წ. 12 თებერვალს ქ. ბოლნისში და აღიზარდა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ავლაბარში, გურჯაანის ქ. № 18-ში.

1973 წელს შევიდა 77-ე საშუალო სკოლაში. 1976 წლიდან სწავლობს მე-80 რვაწლიან სკოლა-ინტერნატში, ორ დასთან ერთად იზრდებოდა უმამოდ. სკოლის დამთავრების შემდეგ 1983 წელს სწავლა განაგრძო 107-ე პროფ-ტექნიკურ სასწავლებელში III თანრიგის კვალიფიკაციით. 1986 წლის დეკემბრის თვეში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, 2 წელი იმსახურა მურმანსკში და ჩამოვიდა 1988 წლის დეკემბერში.

1992 წლის 23 ოქტომბერს მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში და 3 ნოემბერს ერთ-ერთი შეტაკების დროს სოფ. ეშერაში დაიღუპა.

ამირან მიქელაძე სახლში, მეზობლებში, ნათესავებში და, სადაც არ უნდა ყოფილიყო, გამოირჩეოდა თავაზიანობით, კაცთმოყვარეობით.

* * *

ლაშქარს გიკითხვენ სწორები!
— დალაი, დალაი!
წინ აღარ გაუძღვებია!
დალაი, დალაი!
მტერთან ხმალამოღებულო!
— დალაი, დალაი!
სწორში თავგამოდებულო!
დალაი, დალაი!

(ხალხური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა მიქელაძე

კახა მიქელაძე დაიბადა 1972 წლის 29 ივნისს ქ. თბილისში. 1980 წელს შევიდა ქ. თბილისის 149-ე საშუალო სკოლაში. 1988 წელს გადავიდა 164-ე სკოლის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ჯგუფში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს. იყო ნაჭიერი, გონიერი მოსწავლე. დაინტერესებული იყო სპორტით. განსაკუთრებით უყვარდა ფეხბურთი. ოცნებობდა მსახიობი გამხდარიყო, უკრავდა და მღეროდა. ცეკვავდა ანსამბლ „თბილისში", წერდა ლექსებს, მაგრამ არ აჩენდა.

1991 წელს ეროვნულ გვარდიაში შევიდა მოხალისედ. მსახურობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. როდესაც სამაჩაბლოში საჭირო შეიქმნა საჯარისო ნაწილების შესვლა, თავის თანამებრძოლებთან ერთად კახაც სამაჩაბლოში წაიყვანეს. 1992 წლის 13 ივნისს მონაწილეობა მიიღო ბესიკ ქუთათელაძის მიერ განხორციელებულ ოპერაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქ. გორში იარაღის ჩატანას, რის შედეგადაც მოუხდათ რუსეთის საჯარისო ნაწილთან შეტაკება. და ვერაგულად დახოცეს 16 გვარდიელი, მათ შორის კახა მიქელაძეც; სნაიპერის მიერ ნასროლმა ტყვიამ გადაუჭრა არტერია, მერე კი წაქცეულს, ტანკზე მდგარმა ჯარისკაცმა მთელი ავტომატის ჯერი დაახალა ბეჭებში...

კახას ძალიან უყვარდა მეგობრები. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მიუტოვებია განსაცდელში ჩავარდნილი თავისი მებრძოლები. ბევრის სიცოცხლეც იხსნა. ბოლოს კი იმ დროს მოუსწრო მტრის ტყვიამ, როდესაც დაჭრილ მეგობარს შველოდა სამშვიდობოზე გასვლაში.

კახას სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს ოფიცრის წოდება, ერთ-ერთ ოცეულს კი — კახა მიქელაძის სახელი.

კახა ოცნებობდა ეკეთებინა ისეთი საქმე, რომელიც მის ქვეყანასა და ხალხს გამოადგებოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, თუ სიკვდილი მიწერია, გმირულად მინდა მოვკვდეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა მიქელაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით.

გიორგი მიქიაშვილი

გაგრის ზონის სოფელ ალახაძის პირველ საშუალო სკოლაში ხშირად ნახავდით თბილისიდან და სოხუმიდან ჩასულ სტუმრებს. მიზეზი უბრალო იყო — აქ იღვწოდა პედაგოგი, რომელიც მთელ აფხაზეთში იყო დაფასებული.

გიორგი მიქიაშვილმა თქვა და სწორედ ასე იქნებაო, იტყოდნენ აფხაზეთის განათლების სამინისტროში და ამაგდარი, ღვაწლმოსილი მასწავლებლის სიტყვას ისე ენდობოდნენ, როგორც საკუთარს.

ბატონი გიორგი ამავე სოფელში 1927 წელს დაიბადა. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სკოლაში იწყებს მასწავლებლობას. მალე მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა აღმზრდელმა და ორგანიზატორმა. დააწინაურეს კიდეც მთელი 30 წელი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ბატონი გიორგი ამ სკოლის უცვლელი დირექტორი გახლდათ.

ამ დღეებში გაგრიდან საშინელი ცნობა მივიღეთ: ბატონი გიორგი მიქიაშვილი და მისი მეუღლე მედეა ცაგურიშვილი საკუთარ ოჯახში გამოასალმეს სიცოცხლეს.

რედაქციაში მოვიწვიეთ მათი შვილები ანჟელა და ბეჟანი, ძმა ოთარი, რომლებიც თბილისში იმყოფებიან. მათ თვალები ცრემლით აქვთ სავსე. მეც ხმას ვერ ვიღებ, რა ვუთხრა, რითი ვანუგეშო?

დუმილს ბატონი გიორგის ქალიშვილი არღვევს.

— ვერც დავიტირეთ, ვერც მოვეფერეთ...

ვაჟიშვილი კი გულზე მჯიღს იცემს:

— ნეტავ შინ ვყოფილიყავი, ეგებ დამეცვა საყვარელი მშობლები...

ისევ დუმილი. მძიმე დარდს წამით ვძლევთ და მორიდებით ვეკითხებით.

— მაინც როგორ მოხდა?

ბეჟანი: — ჩვენ თბილისში, ნათესავებთან ვართ... დედ-მამა შინ დარჩნენ. მამაჩ სოფელში ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი, იმდენი აღზრდილი, ნამოწაფარი ჰყავდა, რომ... არა, მშიშარა როდი იყო, მაგრამ ასეთ საომარ ვითარებაშიც ადამიანობის იმედი ჰქონდა.

ჩვენ ეს შორიდან, გადმოცემით ვიცით... 26 ოქტომბერს საღამოს, მამა თურმე შინ იჯდა და ტელეგაღაცემას უყურებდა, უეცრად შევარდნილან ბანდიტები და სროლა აუტეხიათ. მამა იქვე დაცემულა. დედას უმარჯვნია, უკანა კარიდან გავარდნილა, მაგრამ ეზოში, ჭიშკართან მისწევია ბანდიტის ტყვია.

აი, ესაა ყველაფერი, რაც ვიცით.

ოთარი: — გიორგი სოფელში ძალიან უყვარდათ, არ ვიცი, რა ვიფიქროთ, თანასოფლელი მასზე როგორ აღმართავდა ხელს.. თუმცა, ახლა ისეთი დრო ა, რომ... მაინც პატივი უციათ, ორივე დაუსაფლავებიათ. ამისთვისაც მადლობელი ვართ!

ქალიშვილი ცრემლს ვერ იკავებს, ხმამაღლა გვეკითხება:

— როდემდე გაგრძელდება ასე?!. როდემდე უნდა დაგვიხოცონ მშობლები, მასწავლებლები... შვილები... ოჰ, ღმერთო ჩემო!

რა გვეთქვა, რა გვეპასუხა!!

ვცადეთ ოდნავ მაინც დაგვემშვიდებინა შვილები, რომლებმაც საყვარელი ადამიანები ვერც დაიტირეს, გულზე ვერ მოაყარეს მშობლიური მიწა...

მართლა როდემდე?

ჯამბულ ჯიქია

ჯუმბერ მიქუტიშვილი

ჯუმბერ ალექსანდრეს ძე მიქუტიშვილი, დაბადებული 1948 წლის 18 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, განათლება საშუალო, ცოლშვილიანი.

სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. შემდეგ მუშაობდა რკინიგზის სამმართველოში გზის ოსტატად.

ჰქონდა სამხედრო წოდება — იყო თადარიგის ოფიცერი, ამიტომ ჯარში გაიწვია კასპის სამხედრო კომისარიატმა. 1992 წლის ნოემბერში მოხალისედ ჩაეწერა 114-ე ბატალიონ „ავაზაში“.

1993 წლის 13 თებერვალს სოფელ ლაბრასთან გმირულად დაიღუპა.

დასაფლავებულია კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, გაღმა კვართას სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ
მიხანაშვილი

დაიბადა 1956 წლის 2 მაისს ქალაქ გორში. 1974 წელს დაამთავრა ატენის სკოლა-ინტერნატი და ჩააბარა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1979 წ. და ჩაბარა ასპირანტურაში. ამავე წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, იბრძოდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ განაგრძო სწავლა ასპირანტურაში, დაამთავრა იგი წარჩინებით, დაიცვა დისერტაცია და მიიღო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. მუშაობდა ი. საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და გაიარა გზა ლაბორანტიდან უფროს მეცნიერ-თანამშრომლამდე. იყო სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, თანრიგოსანი ჭადრაკსა და ცურვაში.

1988 წელს გააგზავნეს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში მრჩევლად, საიდანაც დაბრუნდა 1989 წელს.

იყო ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იბრძოდა და დაიჭრა სამაჩაბლოში 1991 წელს. არჩეული იყო რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატად, თუმცა ვეღარ დაესწრო პირველ სესიასაც კი. 3 ნოემბერს სოფ. შრომასთან გამართული ბრძოლის დროს დაეცა გმირულად. თან გაიყოლა ფიქრი წლინახევრის ნინოსა და ფეხმძიმე მეუღლეზე.

ნუგზარის დაკრძალვის მეორე დღეს, 11 ნოემბერს, გამთენიისას დაიბადა მისი ვაჟი — პატარა ნუგზარ მიხანაშვილი.

ნუგზარ მიხანაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით.

მაია ბუჩუკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა მორჩილაძე

დაიბადა 1964 წლის 29 თებერვალს. მალე გარდაეცვალა მამა. დაამთავრა თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, რის შემდეგაც მუშაობდა თბილისის № 2 საავეჯო კომბინატში. 1982–84 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურშია. შემდეგ მუშაობდა ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში", იყო ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, სამაჩაბლოში იბრძოდა ოსი ექსტრემისტებისაგან ცხინვალის შესასვლელის განთავისუფლებისთვის. 1992 წლის აპრილში მსახურობდა 27-ე ბატალიონში.

1992 წლის 29 მაისს ისევ მიემგზავრება სამაჩაბლოში, ქართული სოფლების დასაცავად, სადაც 1992 წლის 22 ივნისს მამისაანთუბანში ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა.

გია მოსეშვილი

ერთ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ოსი ექსტრემისტების ხელით მოკლული გავაცილეთ. მაშინ ღმერთს ვევედრებოდით, რომ ეს მსხვერპლი ყოფილიყო უკანასკნელი, მაგრამ განგებამ არ შეისმინა ჩვენი ვედრება და აი, 1993 წლის 25 თებერვალს ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში ექსტრემისტების მორიგი შემოტევის დროს დაიღუპა კიდევ ერთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა — თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის ლეგიონის მილიციის უმცროსი სერჟანტი გია გერონტის ძე მოსეშვილი. იგი დაიბადა 1967 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში, იქვე დაამთავრა საშუ-

ალო სკოლა, შემდეგ პროფტექსასწავლებელი, გაიარა სამხედრო სამსახური და დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.

შინაგან საქმეთა ორგანოებშია 1990 წლის იანვრიდან. თავის განცხადებაში იგი წერდა: „მზად ვარ ვიყო იქ, სადაც ამას მოითხოვს სამსახურის ინტერესებიო". და აჰა, სამაჩაბლოს მიწაზე დაიღვარა მისი უმანკო სისხლი.

რამდენიმე კვირაში აპირებდა ჯვრისწერას, ოცნებობდა ბევრ შვილზე. მაგრამ აუხდენელ ოცნებად დარჩა მამობა, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში ბედნიერი ცხოვრება.

წავიდა ჩვენგან ქართული ეროვნული მილიციის ღირსეული ახალგაზრდა თანამშრომელი, მისი ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მაია მოსეშვილი

26 წლის მაია გურამის ასული მოსეშვილი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარიდან იყო.

მაია მრავალშვილიანი ოჯახის წევრი იყო. დაამთავრა ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატი, შემდეგ სწავლა გააგრძელა ლაგოდეხის 88-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში.

26 წლის მაიას 9 წლის ვაჟი, აცრემლებული დედ-მამა და დედმამიშვილები დარჩა.

როცა საქართველოს გაუჭირდა, ის მოხალისედ შევიდა ბატალიონ „ავაზაში" და იარაღით ხელში წავიდა აფხაზეთში. პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის,

უშიშარი, ვაჟკაცური შემართებისა იყო ჩვენი მაია, — ასე ახასიათებენ მას თანამებრძოლები.

1993 წლის 1 მარტს სოფ. ლაბრასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ბანდიტი სნაიპერის ტყვია მოხვდა, სამწუხაროდ, ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ — ის ავადმყოფოში გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზრდება პატარა თემური და ამაყად ივლის იმის გამო, რომ გმირი დედის ვაჟკაცია.

ნარგიზა ლომთაძე



დავით მოსიაშვილი

დავით ელგუჯას ძე მოსიაშვილი დაიბადა ქ. საჩხერეში 1966 წლის 19 ნოემბერს. სკოლაში სწავლის წლებში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ისტორიისა და ლიტერატურისადმი. უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით კრივი, რაშიც ჰქონდა მიღწევები: იყო ჩემპიონი ახალგაზრდათა შორის. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ბამბეულის ქარხნის მშენებლობაზე. შემდეგ იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მერე — ისევ სპორტსკოლა. იყო კრივის სექციაში — მწვრთნელად. მერე ახმეტის სახალხო უნივერსიტეტში ისტორია_სამართალმცოდნეობის სპეციალობას ეუფლებოდა, პირველი კურსი ფრიადზე დახურა.

როცა საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთიანობას საფრთხე შეექმნა, იგი ერთ-ერთი პირველი შევიდა საჩხერის გვარდიის ბატალიონში და მონაწილეობა მიიღო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით დაჯილდოვებული იყო სამშობლოს დაც-

ვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

დათო 1993 წლის მარტში დაიჭრა ოჩამჩირის რაიონში წარმოებულ ბრძოლაში, მაშინ სასწაულად გადარჩა სიკვდილს, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, არ შედრკა და როცა კვლავ საშიშროება შეექმნა აფხაზეთს (დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით), დათო უყოყმანოდ წავიდა სოხუმში მის დასაცავად, საბედისწერო გამოდგა მისთვის ეს ნაბიჯი. 9 ივლისს ტამიშთან შეტაკებაში დაიღუპა.

მშობლები

ზაზა მუნჯიშვილი

დაიბადა 1956 წლის 21 ნოემბერს გორში, მუშის ოჯახში.

ზაზა — მუნჯიშვილმა 1973 წელს სწავლა დაიწყო ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ხიდისთავის № 15 პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1984-1986 წლებში იხდიდა სამხედრო სამსახურს. 1986 წლიდან 1988 წლამდე მუშაობდა გორის საკონსერვო ქარხანაში, პარალელურად აგრძელებს სწავლას გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში.

1988-1990 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვაში.

დღიდან გვარდიის დაარსებისა იგი ჩაირიცხა გორის მე-11 ბატალიონის ოცმეთაურად. 1991 წლის ივნისიდან იყო გორის მე-11 ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე.

1992 წლის 21 ივნისს ვერაგი მტრის ხელით ნასროლმა ტყვიამ კიდევ ერთი ერთგული ვაჟკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

* * *

წუთისოფლის სტუმრები ვართ

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რასაც ერთურთს გავახარებთ,
იმის მეტი რა შაგვრჩება?
სამი აღლი ტილოს მეტი
სამარეში რა ჩაგვყვება?

(სალხური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მუსერიძე

დავით ნოდარის ძე მუსერიძე დაიბადა 1958 წლის 26 მარტს, თბილისში, სამხედრო პროფესიონალთა ოჯახში. აწ გარდაცვლილი ბაბუამისი ომარ დავითის ძე მუსერიძე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, გენერალი, ღვაწლმოსილი და ცნობილი პიროვნება იყო, მამა — გენერალ-მაიორი ნოდარ მუსერიძე დღესაც მოქმედ ეროვნულ ჯარში მოღვაწეობს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილეა, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული არმიის ფორმირების საქმეში. დღეს პირველი გვარდიული ბრიგადის მეთაურია.

დედა — ლამარა მუსერიძე — ექიმია, და — თამრიკოც ექიმია. ორი შვილის დედაა. მისი მეუღლე — ჯუმბერ იაკობიძე, სპეციალობით ინჟინერი, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა. დღეს მაიორი, ერთერთი სამხედრო ნაწილის მეთაურია.

დავით მუსერიძემ 1975 წელს დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო, და მე-8 მუსიკალური სკოლები; 1986 წელს ალმა-ატის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

გატაცებული იყო სპორტით, მუსიკით, ხატვით.

1976-78 წლებში იმსახურა ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში კალუგის ოლქში, სარაკეტო ძალებში — საზენიტო დანადგარის მართვის რადიოტექნიკური საშუალებების ოპერატორად.

აღმოსავლური ორთაბრძოლის სხვადასხვა სახეობებით გატაცებული, 1979 წლიდან ალმა-ატის სპეციალურ კლუბში ეუფლებოდა კარატეს, კუნ-ფუს.

1982 წელს ალმა-ატის ოლქის 80 კგ. წონით კატეგორიაში პირად პირველობაზე კარატეში პირველი ადგილი დაიკავა, 1983 წელს კი ოლქის ჩემპიონი გახდა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ყოფილი დო-

საფის სპორტულ-ტექნიკურ კლუბში მწვრთნელად და მსაჯთა კოლეგიის წევრად, სპორტსაზოგადოების ინსტრუქტორ-მეთოდისტად, — საქჰიდროკომუნმშენის — სახელმწიფო-საპროექტო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში — ინჟინრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის მარტიდან დავითი საქართველოს ეროვნული გვარდიის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში ჩაირიცხა. ძალე პოლკის დაზვერვის უფროსად დაინიშნა.

დათოს საბრძოლო ბიოგრაფია სამაჩაბლოში დაიწყო. საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ფიქრშიც ვერ ეგუებოდა მშობლიური მიწის თუნდაც ერთი მტკაველის დაკარგვას.

მამაცმა და საზრიანმა, უშიშარმა და ერთგულმა არაერთი საუკეთესო მაგალითი უჩვენა იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ქართველი ვაჟკაცი მამულისათვის. დაჭრილი პირველი სამედიცინო დახმარების შემდეგ ისევ ცხელ წერტილში დაბრუნდა. მხოლოდ სამაჩაბლოდან ჯარების გამოყვანის შემდეგ დაწვა საავადმყოფოში სამკურნალოდ.

აფხაზეთის კონფლიქტმა, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, დათოს საავადმყოფოში მოუსწრო. ჩოლოყაშვილის პოლკი გაეშურა კონფლიქტის ზონისაკენ. დათო საავადმყოფოს პალატიდან შეუერთდა თანამებრძოლებს ისე, რომ აუცილებელი მკურნალობის კურსი დამთავრებულიც არ ჰქონდა.

სოხუმში, ეშერაში, ოჩამჩირეში, ტამიშში, ცაგერაში, არადუში, შრომაში, ყველგან თავდადებით იბრძოდა ჩოლოყაშვილის პოლკი, რომლის უფროსი და მისი შემადგენლობა ნამდვილი მებრძოლი პატრიოტების სანიმუშო მაგალითს იძლეოდნენ. 1992 წლის სექტემბერში დავით მუსერიძეს ვიცე-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან ჭრილობის გართულების გამო დათო სამკურნალოდ გამოგზავნეს თბილისში.

სტაციონარული ინტენსიური მკურნალობის შედეგად როგორც კი თავი უკეთ იგრძნო, შეუდგა აფხაზეთში დასაბრუნებლად თადარიგს. „არ შეიძლება ბიჭების მიტოვება!“ — ჯიუტად იმეორებდა. ბიჭები კი მოუთმენლად ელოდნენ მეთაურს.

დათო კი 16 ოქტომბერს დაიღუპა.

1993 წლის 26 მარტს 35 წელი შეუსრულდებოდა.

აფხაზეთიდან გაზეთის საშუალებით ასე მიესიყვარულნენ დათოს მისი თანამებრძოლები: „...სიმამაცის, ვაჟკაცობის, ერთგულების და სიკეთის სიმბოლოდ დაგვრჩება შენი ხატება, დათო! დაუვიწყარი ხარ ყველასათვის, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია შენი სიახლოვის ხიბლი, ძმაო! ჩვენ დღესაც აქ, აფხაზეთში მეომრული წესით აღვნიშნავთ შენი დაბადებიდან 35-ე გაზაფხულს ზეცაში მოგაწვდით ხმას, დათო!

გპირდებით, არასოდეს შეგარცხვენთ!“

დათოს საფლავზე აღმართულ ძეგლს ასეთი წარწერა ამშვენებს:

„სიკეთით და სიყვარულით სავსე გულით, რაინდულად იცხოვრე, ირანათელი წახვედი. სავანედ გექცეს მშობლიური მიწა, რომელსაც შეეწირე!

იყავ ნათელში, ჩვენო საამაყო ძმაო!

სიკვდილის შემდეგ ვიცეპოლკოვნიკი დავით მუსერიძე **ვახტანგ გორგასლის** პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

შოთა მუჯირიშვილი

შოთა ალექსანდრეს ძე მუჯირიშვილი დაიბადა თბილისში 1976 წლის 11 მაისს.

დაამთავრა თბილისის 92-ე საშუალო სკოლა.

1992 წლის სექტემბრიდან მოხალისედ წავიდა აფხაზეთში „თეთრი არწივის“ გიორგი ყარყარაშვილის ბატალიონში. 16 წლისამ ეროვნული გვარდიის ოფიცრის წოდება მიიღო.

1993 წლის 13 თებერვალს მტერთან შეტაკების დროს, ლაბრასთან ახლოს, სოფელ კინდღში გმირულად დაეცა.

მარად ნათელში ყოფილიყოს შოთა მუჯირიშვილის რაინდული სული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლეგ მწყერაშვილი

ოლეგ მწყერაშვილი დაიბადა 1960 წლის 9 იანვარს. ადიგენის რაიონის, სოფელ პატარა სმადაში. 1974 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის ლაგოდეხში და ოლეგიც სწავლას აგრძელებს ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. 1978-79 წწ. მუშაობს ლაგოდეხის ღვინის ქარხანაში, ხილისა და წვენის გადამუშავების პირველი თანრიგის ოსტატად. შემდეგ სამხედრო სამსახურშია. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. 1987 წლიდან აქტიურად ებმება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების აქტიური წევრი. უზომოდ უყვარდა საქართველო. მისი ჭირ-ვარამის მონაწილე იყო. თავის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო იქ, სადაც საქართველოს უჭირდა. აქტიურად მონაწილეობდა ჯავახეთის ტერიტორიაზე იმერეთიდან მოსახლეობის გადასვლა-დაბინავებაში, რათა ეს დიდი ხნის წინათ ჩვენთვის დაკარგული, გაყიდული ჯავახეთის მიწა—ბაგრატიონთა საუნჯე, საქართველოს დაბრუნებოდა.

ოლეგი პირველი დღიდანვე იბრძოდა სამაჩაბლოში, ოს ბოევიკთა წინააღმდეგ.

1991 წლის 27 აპრილს იგი ტრაგიკულად დაიღუპა. მისი გვამი ლიახვში იპოვეს.

დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი ვაჟი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო ვერ გააქრობს

(ეძღვნება ოლეგ მწყერაშვილის ხსოვნას)

დრო ვერ გააქრობს არყოფნის ტკივილს,
მზემ გაგვინათოს გულები თუნდაც,
შენ, რომ ლიახვზე მოგკლა ავკაცმა,
იმ კაცს მამულის სიკვდილი სურდა.
დრო ვერ გააქრობს და ის ვერ წაშლის
ავკაცის სისხლით შეღებილ ხელებს,
ცოდვა ცოდვაა, მაგრამ კაი ყმის
სიკვდილი მკვლელსაც არ მოასვენებს.

დრომ მუხთალმა და დაუნდობელმა
ტანჯვის ცრემლებით აგვივსო მზერა,
მართალ ვაჟკაცზე უფრო ლამაზი
დაბადებულა არავინ ჯერაც.

იზო ბიაშვილი

1991 წლის 1 მაისი

ბადრი მჭედლიშვილი

დაიბადა 1965 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში. იყო მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. კეთილ, მართალ, ალალი სულის პატრონს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო. ამ შემართებით შევიდა იგი შინაგან საქმეთა ორგანოში და პირნათლად ასრულებდა თავის საქმეს. იგი ერთ-ერთი პირველი წავიდა საქართველოს მთლიანობისათვის საბრძოლველად.

ქ. ოჩამჩირეში გადამთიელი მოძალადის თუ აფხაზი ექსტრემისტის ტყვიამ მოკლა 1992 წლის 26 სექტემბერს. წავიდა ისე, რომ 27 წლის ვაჟკაცმა ვერ მოასწრო ბევრი კარგი საქმის გაკეთება, დარჩა აუხდენელი ნატვრა-ლტოლვა და გულმოკლულ მშობლებს ოჯახიც ვერ დაუტოვა ნუგეშად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი მჭედლიშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

თეიმურაზ მჭედლიშვილი

თემო (თეიმურაზ) ოთარის ძე მჭედლიშვილი დაიბადა ქ. ხაშურში 1960 წელს, მოსამსახურის ოჯახში. 1967 წელს შევიდა ხაშურის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1977 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა ელიავას სახელობის თბილისის სარკინიგზო ტექნიკუმში. პარალელურად მუშაობდა თბილისის სალოკომოტივო დეპოში ელმავლის მემანქანის თანაშემწედ, შემდეგ მემანქანედ. იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა მემანქანე ამიერკავკასიის მასშტაბით. აქედან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც ორი წელი კეთილსინდისიერად იმსახურა. შემდეგ დაამთავრა როსტოვის სარკინიგზო-სატრანსპორტო ინსტიტუტი და სამუშაოდ დაუბრუნდა მშობლიურ კოლექტივს. იყო დეპოს საამქროს უფროსი. აქვე აიღო თბომავლის მემანქანის მოწმობაც.

თეიმურაზ მჭედლიშვილი 1992 წლის თებერვლიდან ირიცხება საქართველოს „მხედრიონის“ ხაშურის რეგიონის მებრძოლთა რიგებში. ქართველ მაშველთა კორპუსის სხვა წევრებთან ერთად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად სხვადასხვა ადგილებში. ბოლოს იმყოფებოდა აფხაზეთში, რათა გადამთიელთათვის არ მიეცა საშუალება ქართულ მიწაზე დაეღვარათ მოძმეთა სისხლი.

გაგრაში 24 სექტემბერს მზაკვრის ხელით გასროლილმა ჭურვმა მოცელა მისი სხეული. ტანკში დალია სული.

შავებით შეიმოსა დედა, მეუღლე. დაობლდა მისი ერთადერთი შვილი ნინიკო, რომელიც ჯერ ხუთი წლისაა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თეიმურაზ მჭედლიშვილის წმინდა სული, ალალი იყოს მისთვის ცრემლი, მსუბუქი — ქართული მიწა, რომლის სიყვარულსა და დაცვას უძღვნა ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი — ახალგაზრდული სიცოცხლე. იგი ხომ სულ 32 წლისაა იყო...

გიორგი მჭედლიძე

გიორგი გურამის ძე მჭედლიძე, დაბადებული 1961 წლის 14 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზში, განათლება საშუალო. უცოლო.

1978 წ. დაამთავრა ნიქოზის საშუალო სკოლა.

1980-82 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საიდანაც დაბრუნდა უფროსი სერჟანტის წოდებით.

1985-86 წლებში მუშაობდა გორის მილიციაში.

1989 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში.

1989-91 წლებში მუშაობდა ნიქოზაში არსებულ სამხედრო შტაბის უფროსად. იყო სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი.

1992 წლის ზაფხულში ქართულ მიწას იცავდა აფხაზეთში, მაგრამ სამაჩაბლოში მდგომარეობის გამძაფრების გამო იქიდან გამოიწვიეს.

1992 წლის 25 დეკემბერს კვლავ წავიდა აფხაზეთში, ხოლო 1993 წლის 10 იანვარს გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში.

დასაფლავებულია ნიქოზის ღვთაების ეკლესიის ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლერი
მჭედლიძე

დაიბადა 1967 წლის 6 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ კოდაში. დაიღუპა სამაჩაბლოში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული!

ვახტანგ
ნადირაშვილი

ვახტანგ (ვატო) ივანეს ძე ნადირაშვილი დაიბადა 1959 წლის 1 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ ძვილსებში. ოჯახური მდგომარეობის გამო გადასახლდნენ მცხეთის რაიონის სოფელ ნავაზარში. ვახტანგმა იქ დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა.

1978 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. სამსახურის მოხდის შემდეგ 1981 წელს მუშაობა დაიწყო წყალსადენის სისტემაში მუშად. შემდეგ დაოჯახდა შეეძინა ორი ვაჟიშვილი.

1992 წლის ოქტომბერში კომისარიატიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, ჩარიცხული იქნა 114-ე ბატალიონ „ავაზაში". 1993 წლის იანვარში წავიდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. 1 მარტს სოფელ ლაბრასთან დაეცა ბრძოლის ველზე.

არწივი

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს აღგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალ მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩამიგდეთ ჩელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ვაჟა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახა ნანოშვილი

კახა ნანოშვილი 1970 წლის 29 სექტემბერს დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში, უცოლო იყო, განათლება – საშუალო, ლეიტენანტი – ოცეულის მეთაური.

თავისებური ხასიათისა იყო ჩვენი კახა, უსაზღვროდ კეთილი, მეგობრების მოსიყვარულე, ერთგული, საქმეში უღალატო.

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური პირნათლად მოიხადა, შემდეგ მშობლიურ სოფელში ტრაქტორისტად მუშაობდა. უყვარდა თავისი სამშობლო და, როცა საქართველოს დაცვა დასჭირდა, ის მოხალისედ შევიდა 1992 წლის 28 აგვისტოს ბატალიონ „ავაზაში“. გმირულად იბრძოდა აფხაზეთში.

1993 წლის 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დღეს, მტერს ტანკით შეება, მაგრამ მოწინააღმდეგემ მისი ტანკი ააფეთქა და შეწყდა 23 წლის ჭაბუკის გულისცემა. დარჩა აცრემლებული დედა და სამი და.

დასაფლავებულია მშობლიური სოფლის ყველაწმინდის სასაფლაოზე.

კახა ვიქტორის ძე ნანოშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ნარგიზა ლომთაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ ნემსიწვერიძე

დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფ.. ჭყვიშში 1962 წ. 14 ოქტომბერს. დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა 1980 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის კოოპერატიულ ტექნიკუმში, საიდანაც გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

არის ცოლ-შვილიანი.

1992 წ. 20 ოქტომბერს მოხალისედ წავიდა აფხაზეთში. ჩაირიცხა 101-ე დივიზიაში. დაიღუპა 3 ნოემბერს სოფ. შრომაში. ჰყავს 7 წლის ვაჟი — გიორგი. მშობლები და 2 ძმა. საოცრად უყვარდა სამშობლო. იყო უღალატო, ერთგული.

მე, მისი მეუღლე — ნანა შალვას ასული ზურაბიშვილი — როდესაც ვთხოვდი შენთან ერთად წამოვალმეთქი, მიპასუხებდა ხოლმე — ქალის ვალი შვილის აღზრდაა, მამაკაცისა კი ბრძოლაა... როდესაც ეუბნებოდნენ შენ ცოლ-შვილს რას უშვები, სად მიდიხარო, საოცრად აღელვებული პასუხობდა: მე რომ არ წავიდე, ის რომ არ წავიდეს, ვიღა წავაო.. ხვალ სხვა ტერიტორიასაც შეგვედავებიან და რაღა დარჩება საქართველო?! ჩაიფერფლა საქართველოსთვის ანთებული გული და დატოვა საშინელი სევდა და სიცარიელე. დაუჯერებელია მისი ერთადერთი ვაჟისთვის ის, რომ მამა აღარ ჰყავს და ბავშვური მიამიტობით კითხულობს: ქრისტე ხომ მოიყვანს მამიკოსო და რატომ ტირიანო?..

პასუხი კი.... პასუხი ერთია, რომ ის მამას ვეღარასოდეს იხილავს...

ნანა ზურაბიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ნეფარიძე

დედისერთა ბიჭო, ალიკა, როგორი უბედური გამოდგა 1992 წ. 10 ივლისი ნეფარიძეების პატარა საგვარეულოსათვის. სამაჩაბლოს უბედურება გულთან მიიტანე და შენც, უღალატო და ყველას მოყვარული, გმირულად იცავდი „ავაზას“ მებრძოლებთან ერთად უიარაღო სოფლელებს. უბედურმა გადამთიელმა და არაკაცმა გაგიმეტა სასიკვდილოდ. ჩვენ კი, შენი მშობლები. და დისშვილები, მამიდები, ბიძები, ბიძაშვილები, მეზობლები და შენი მებრძოლი მეგობრები პირველად აღვნიშნავთ უშენოდ შენი დაბადების დღეს — 9 თებერვალს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის თბილისის ხღვის საძმო სასაფლაოს მიწა.

შენგან გულმკვდარი მშობლები
გოგია და ტანია

* * *

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

ილია



ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ნინოშვილი

სულ 17 წელიწადი იცხოვრა ყველასათვის საყვარელმა და დაუვიწყარმა ჭაბუკმა. ნაადრევად ჩაქრა მის მეოცნებე თვალებში მზის შუქი და მოულოდნელად დაბნელდა სხივმოსილი ზეცა დედისათვის, რომელსაც მხოლოდ ეს ერთი თამაზი გააჩნდა ამ ქვეყნად. მოხალისედ წავიდა საშინელ ომში, ბატალიონ „ავაზაში“ იბრძოდა და პირზე ღიმილით შეხვდა სიკვდილს. როგორ მოგერიაო ტყვია?! — მოგტირის ცრემლგამშრალი დედა. თურმე 2 ივლისს ტამიშის ენით აუწერელი ტრაგედიის დროს უკან მობრუნებულხარ ექთნის გადასარჩენად და სხვისთვის სიცოცხლე გიჩუქებია საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვით. შენი თავისუფალი, ავაზასებური ნახტომი მუხანათურად ნასროლ ყუმბარას შეუჩერებია ჰაერში და ძარღვებში ამაყად მჩქეფარე სისხლიც მას გაუყინავს. ალბათ, ამოკვნესებაც ვერ მოასწარი, გამოუცდელო, მაგრამ ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილო მეომარო! იბრძოდი გმირულად, მტერსაც აგემე შენი ძლიერი მარჯვენის ძალა და ისე გამოემშვიდობე შენს საყვარელ სამშობლოს.

ტამიშის მიწას 12 დღის მიბარებული, ნაწამები შენი ცხედარი თანამებრძოლებმა თბილისში ჩამოასვენეს. გამწარებული დედაშენი ამბობს: ჩემი თამაზის დაკრძალვის მეორე დღიდან ერთი ლამაზი მტრედი არ მშორდება, თითქოს ნაღვლიანი თვალებით მიცქერის და თავისთვის ღუღუნებს. მე კი მგონია, რომ ჩემი შვილის სული მტრედში გადავიდა და იმიტომ არ მტოვებს, მე ხომ თამაზის მეტი არავინ მებადა ამ ქვეყნადო.

ალალი იყოს შენი სპეტაკი სისხლი იბერთა მიწისათვის.

ნარგიზა ლომთაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ნიჟარაძე

დაიბადა სოფ. უშგულში (მესტიის რაიონი) 1961 წლის 15 ოქტომბერს.

დედა გურამს არ ახსოვდა, ვინაიდან მისი დაბადებიდან ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა. 4 წლისა იყო გურამი, როცა მამა გარდაეცვალა. მისი აღზრდა იკისრეს ბებიამ და ბაბუამ – ნატა და კონსტანტინე ჩარქსელიანებმა.

გურამ ნიჟარაძემ 1978 წელს დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა. მიღებული ჰქონდა საშუალო ტექნიკური განათლება, 1982-84 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1988 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში.

1992 წელს ჩამოყალიბდა დიდგორის ბატალიონი. გურამ ნიჟარაძე ამ ბატალიონში ჩაეწერა მოხალისედ. იგი ყოველთვის სამშობლოს ინტერესებს იცავდა.

1992 წლის 27 მაისს გურამ ნიჟარაძემ თავი შესწირა სამშობლოს მიწაწყლის მთლიანობას. იგი სამაჩაბლოში, კერძოდ, სოფლების საცხენეთისა და ვანათის დაცვის დროს, ვერაგულად მოკლეს ოსმა ექსტრემისტებმა. დაკრძალულია თბილისის მახლობლად სოფელ დიღომში.

გურამ ნიჟარაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეუღლისა და შვილის– 3 წლის ნინოს გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათო ნიშნიანიძე

დაიბადა 1969 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში. დაამთავრა 159-ე საშუალო სკოლა.

დათომ თანაკლასელების დიდი სიყვარული დაიმსახურა, ჰქონდა ორგანიზატორული ნიჭი. იყო თავმდაბალი და სამართლიანი. ორჯერ სცადა უმაღლესი განათლების მიღება, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. შემდეგ დიდი უბედურება გადაიტანა — გარდაეცვალა 43 წლის მამა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა. მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ დათო გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მას ორი წელი სამშობლოს მიწა და ახლობლები არ ენახა, მხოლოდ წერილით ინუგეშებდა თავს. პირნათლად და კეთილსინდისიერად იმსახურა მონღოლეთში. ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ მუშაობა განაგრძო გაზის აპარატურის ქარხანაში. ერთი წლის მუშაობის შემდეგ თავისივე სურვილით და სამშობლოს სიყვარულის გამო შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო მრავალი მადლობაც დაიმსახურა. შემდეგ გაიგზავნა ცხინვალში, სადაც დაიჭრა მკლავში. ჭრილობამოუშუშებელი ნებაყოფლობით წავიდა აფხაზეთში თავისი მიწა-წყლის დასაცავად. 6 დღის შემდეგ ოჩამჩირის ტერიტორიაზე სოფელ ცხენისწყალთან ერთ-ერთი შეტაკების დროს დაასრულა დათომ ხანმოკლე სიცოცხლე. იგი 23 წლისა უნდა გამხდარიყო 15 დეკემბერს. თურმე, დაბადების დღე და ქორწილი ერთად უნდა გადაეხადა. ასე ჰქონია დედისთვის ნათქვამი. საბრალოს არ დასცალდა ერთი შვილი მაინც დაეტოვებინა სამშობლოსათვის ან დედის სანუგეშებლად, რომ მის სახელზე გაზრდილიყო! გმირულად წავიდა იგი ჩვენგან და მოუშუშებელი იარა დაგვიტოვა. [illegible] სიყვარულის

ცეცხლი მარად იგიზგიზებს ჩვენს გულებში. მისი სახელი უკვდავი იქნება. დათოს ხსოვნა არასოდეს წაიშლება.

სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდრდეს და სათელი დადგეს მის სულს.

დათო ნიშნიანიძის ახლობლები

მიხეილ ნოზაძე

მტრის ტყვიამ უკვე ბევრი კარგი ვაჟკაცი გამოგვაცალა ხელიდან აფხაზეთში, შავი ძაძები ჩვენს რაიონშიც მომრავლდა.

წინა კვირას მორიგი მსხვერპლი მიიღო მიწამ მოზისში, ერთი კარგი ბიჭის მიხეილ (მიშიკო) სერგოს ძე ნოზაძის მზე ჩაესვენა.

მიხმარება, სხვისი ტკივილის გაზიარება და გაიგივება იყო მისი ცხოვრების მიზანი. ჯერ სად იყო ავადსახსენებელი ომი, გადამთიელთა შემოტევა, მიშიკომ უყოყმანოდ რომ დაიკაპიწა ხელები მიწისძვრით დაზარალებულ რაჭველთა დასახმარებლად. რამდენიმე თვე შრომობდა იქ. თავი შეაყვარა თანამოსაქმეებს.

მეომართა რიგებშიც უყოყმანოდ ჩადგა, მსურველი ბევრი იყო, მაგრამ მოხისიდან სულ სამი კაცი შეარჩიეს, მათ შორის მიშიკოც. სამიდან ორი უვნებლად დაბრუნდა. ახლა სწორედ ის ორი ჰყვება მიშიკოს გმირობებზე:

— შეუპოვარი და უშიშარი იყო. ყოველ დავალებაზე ხალისითა და შემართებით მიდიოდა, მტერს შიშის ზარს სცემდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მისი თავი ფულად იყო შეფასებული.

მდგომარეობა რომ ცოტა გამოსწორდა, სახლში გამოგვიშვეს. მიშიკო არ წამოგვყვა, ამხანაგებს, თანამებრძოლებს ვერ მივატოვებ, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოო. ერთ-ერთი შეტევის დროს დაიღუპა გაგრასთან.

ველარ დაბრუნდა მიხეილ ნოზაძე თავის მშობლიურ სოფელში, მოაკლდა ოჯახს, მეგობრებს, მაგრამ დარჩა სახელი სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა, რომელმაც თავისი მიწისთვის არ დაიშურა ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე, ასეთები კი არ კვდებიან, ასეთები — მარადიულად ცოცხლობენ!

მეგობრები

ანდრეი ნოზდრინი

ანდრეი ვასილის ძე ნოზდრინი, დაბადებული 1969 წლის 13 მაისს ქ. რუსთავში, ეროვნებით რუსი, განათლება ტექნიკური, უცოლო.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა რუსთავის № 61-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, ელექტროშემდუღებლის სპეციალობას დაეუფლა, შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. გაგზავნეს ექვსთვიან სამხედრო სასწავლებელში, სადაც მიიღო უმცროსი სერჟანტის წოდება. სამხედრო სამსახურს გადიოდა ნახჭევანში, იქიდან გაიგზავნა სომხეთში მიწისძვრასთან დაკავშირებით მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებული ხალხის დასახმარებლად. ანდრეიმ კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რისთვისაც სპიტაკში მადლობა გამოუცხადა სამხედრო ხელმძღვანელობამ. ამის შემდეგ აქტიურად მუშაობდა საჩხერეში, დაზარალებული რაიონის აღდგენისათვის. 1992 წ. ქ. გორში გაიძახეს გადამზადებაზე, შემდეგ გაგზავნილი იქნა ოჩამჩირეში, სადაც სოფელ ლაბრასთან მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში საქართველოს ტერიტორიის დასაცავად.

1993 წლის 25 თებერვალს სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა აფხაზეთში ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს.

ქალბატონ იზოლდას — ანდრეის დედას ეამაყება, რომ მისი შვილი, ერთ-ნებით რუსი, გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე საქართველოს გულისათვის, რადგან მისი სამშობლო საქართველო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაფლავებულია ქ. რუსთავში, ახალ სასაფლაოზე.

ანდრეი ნოზდრინი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ალბერტ (ჯუმბერ) ნონიაშვილი

კეთილი, სათნო, თბილი, დაუზარელი, უზომოდ შეყვარებული თავის ცოლ-შვილზე, ახლობლებზე, სამშობლოზე, — ასე ახასიათებენ ნაცნობ-მეგობრები ჯუმბერს.

მან სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა, შემდეგ სწავლა გააგრძელა გეოფიზიკის ინსტიტუტში. თავისი კაცურ-კაცობით აქაც გამოირჩეოდა ტოლ-მეგობრებში. ინსტიტუტის დამთავრების შემ.. დეგ მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი ჭაბურღილის ხელმძღვანელად, შემდეგ გადა-ვიდა დიდუბის რაიონში საბინაო სამმართველოში და იქ მუშაობდა გვარდიაში შესვლამდე.

1992 წლის 7 დეკემბერს ძოხალისედ შევიდა ბატალიონ „ავაზაში“ და და-დგა იქ, სადაც ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა მდგარიყო, შვიდი თვის მანძილზე ვაჟკაცურად ებრძოდა მომხდურ მტერს, მაგრამ იმ ავადსახსენებელ 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დღეს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად დაეცა სოფ. ტამიშში.

ალბერტი დაკრძალულია ზღვაზე, ძმათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ნონიაშვილი

ირაკლი ნონიაშვილი დაიბადა თელავის რაიონის სოფელ სანიორეში 1961 წ. 19 სექტემბერს. დედა — მართა ნონიაშვილი, პედაგოგი, მამა — სოლომონ ნონიაშვილი, მძღოლი.

დაამთავრა სოფელ სანიორის საშუალო სკოლის 8 კლასი, შემდეგ სწავლა განაგრძო ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც გაიარა საშუალო სკოლის სრული კურსი, და ატესტატთან ერთად მიიღო ელექტრომონტიორის სპეციალობა და მძღოლის წიგნაკი — 1978 წელს.

1979—1981 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური — ახალქალაქში, სადაც წარჩინებულობისათვის დააჯილდოვეს ლიმიტით, და სამხედროდან დაბრუნების შემდეგ, 1982 წელს სწავლა დაიწყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოსამზადებელ განყოფილებაზე — დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის ორპროფილიან სპეციალობაზე, სადაც ჩააბარა მისაღები გამოცდები და სწავლა გააგრძელა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში იმავე სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა პრაქტიკაზე — დასავლეთ საქართველოში, 1989 წლიდან მუშაობდა თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში ღვინის ქარხანაში — მძღოლად.

1992 წელს შეიტანა განცხადება თელავის სამხედრო ნაწილში — გვარდიაში მოხალისედ მიღებაზე, საიდანაც პასუხი მიიღო 1992 წლის ივნისში და დაინიშნა საფინანსო სამსახურის უფროსად.

ამავე წლის აგვისტოში გვარდიის შენაერთებთან ერთად იბრძოდა აფხაზეთში, გაგრის მახლობლად, ლესელიძეში და სხვა ადგილებში, ყველგან გმი-

რობის მაგალითს უჩვენებდა ოცმეთაური თავის ამხანაგებს. იგი მეტად თავგანწირულად იბრძოდა სოფელ განთიადში და გმირულად დაეცა მტრის 80 ტყვეს დაცხრილული და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარით დაფლეთილ [illegible] ოცმეთაური ირაკლი ნონიაშვილი დაიღუპა 1992 წლის 30 აგვისტოს, კვირას. გადმოასვენეს თავის მშობლიურ სოფელში — სანიორეში. 30 წლის ვაჟკაცის, საშინლად დასახიჩრებული გმირის წმინდა სხეულს მიაცილებდა ათასობით ადამიანი, გვარდიელი მეგობრების მიერ გასროლილი ავტომატების ზალპები და თვთმფრინავების გუგუნი.

ირაკლი თავის უკანასკნელ სამყოფელში წავიდა უცოლშვილო, ჩვენ კი ამქვეყნად მხოლოდ გმირის შარავანდედით შემოსილი და უმწიკვლოდ გავლილი გზის წმინდა სახელი დაგვიტოვა.

ნიკოლოზ ოდიაშვილი

ნიკოლოზ (ნიკო) ბაგრატის ძე ოდიაშვილი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ტყვიავში 1953 წლის 30 მარტს.

ჰყავს მამა — ბაგრატ ბასილის ძე ოდიაშვილი, დაბადებული 1910 წ. სოფ. ტყვიავში, საშუალო განათლებით, მჭედელი.

დედა — თებრონე ნიკოლოზის ასული არჩვაძე, დაბადებული 1919 წელს. საშუალო განათლებით.

ნიკოლოზ ოდიაშვილი 1960 წელს შევიდა ტყვიავის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1970 წელს. 1972–74 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ნ. ოდიაშვილი 1975 წელს სწავლის გასაგრძელებლად შევიდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც 1977 წელს დაამთავრა წარჩინების დიპლომით. ამ წლიდან მუშაობას იწყებს ტყვიავის კოლმეურნეო-

ბ:ში ზეინკლად და მუშაობს 1992 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე. პარალელურად 1991 წლიდან ნიკო იყო იტალია-საქართველოს ერთობლივი ასოციაციის გორის ფილიალის დირექტორის მოადგილე. გაერთიანებული იყო თავდაცვის შტაბში დაღუპვის იმ საბედისწერო დღემდე — 1992 წლის 12 მაისამდე.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

სამშობლო ყოველთვის მადლიერების გრძნობით გაიხსენებს მის ღირსეულ შვილს, ჩინებულ მოქალაქეს, ოთხი შვილის მამას — ნიკოლოზ ოდიაშვილს!

* * *

ჩემ შვილს რად უნდა სამოსელი?
ჩოხა გახადეთ, გადააგდეთ,
მიწის სამოსელი შეუკერეთ,
სარჩულად მოთქმა დაუდევით,
ცრემლები ღილად დაუკერეთ,
სამარეს პირი გაუკერეთ
დედის ცრემლების ძაფებითა,
ხავერდოვანი ბალახითა,
სამარევ, პირი დაიბანე
მწუხარე დედის ცრემლებითა,
მიწაო, შვილი შამინახე,
შენ შემოგჩივი ვედრებითა.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხათუნა ოდიკაძე

22 წლის, ზესტაფონის რაიონის სოფ. კვალითში გაზრდილმა ლამაზმა, სათნო, კეთილმა ქალიშვილმა ყველაფერი მოასწრო — ლამაზი სიცოცხლე, კარგი შეუღლეობა, ბედნიერი დედობა — გიორგი და ბექა ვაჟას ძე წერედიანების გაჩენა, სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტობა, ფრონტის ხაზზე გმირული სიკვდილი.

ხათუნა მურადის ასული ოდიკაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“**, ის დაიღუპა 2 ივლისს სოფ. ტამიშში დესანტის გადმოსხმის დროს.

მართალია, ძალიან გაუჭირდებათ პატარა გიორგის და ბექას უდედობა, მათ ხომ იმ სითბოს ვერავინ ვერ მისცემს, რასაც ხათუნა აგრძნობინებდა და განაცდევინებდა, მაგრამ როცა ისინი ვაჟკაცები გახდებიან, ყოველთვის იამაყებენ იმით, რომ მათი საყვარელი დედიკოს სიცოცხლე მათ ბედნიერ მომავალს შეეწირა. თუ არა შვილებისა და სამშობლოს დიდი სიყვარული, მაშ რამ აიძულა ხათუნა, ხელში იარაღი აეღო და მტერს გასწორებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური ოთინაშვილი

ლეიტენანტი იური გიორგის ძე ოთინაშვილი დაიბადა 1969 წლის 17 დეკემბერს, ცხინვალის რაიონში.

1991 წლის 27 აგვისტოდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შსს. სპეცდანიშნულების ასეულში, ოცეულის მეთაურად.

1993 წლის 3 ივლისს აფხაზეთში სოფელ ზემო კინდღის მიდამოებში მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ ონიანი

დაიბადა 1963 წლის 22 ივლისს ლენტეხის რაიონის სოფელ ლუჯში, 1980 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა გააგრძელა რუსთავის მეტალურგიულ ტექნიკუმში. დედამისმა ჟოზეტინა ონიანმა გაზარდა 5 შვილი და მინიჭებული აქვს შრომის გმირობა. ემზარი მუშაობდა რუსეთში, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, ჩადგა ქართველ მაშველთა კორპუსის ქუთაისის განყოფილების რიგებში. იყო რაზმის უფროსი. მონაწილეობას იღებდა ქ. გაგრის დაცვაში, სადაც სოფელ კოლხიდაში თავის თავზე მიღებული ცეცხლით 28 ქართველი მებრძოლის სიცოცხლე გადაარჩინა. ამ ვაჟკაცობისათვის შეარქვეს მხედრიონელებმა მეტსახელი „სვანი კარაბინა“. შემდეგ მონაწილეობდა ოჩამჩირის რაიონის ბრძოლებში. გმირულად დაიღუპა 1992 წლის 28 ნოემბერს სოფელ კოჩარის განთავისუფლების დროს.

29 წლის ვაჟკაცმა დაოჯახება ვერ მოასწრო და თავისი ლამაზი სიცოცხლის დანარჩენი წლები სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებულმა მას აჩუქა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ორაგველიძე

გივი ტიტეს ძე ორაგველიძე დაიბადა 1956 წლის 9 ივლისს ბორჯომის რაიონის სოფელ დიდ ცემში.

1973 წელს დაამთავრა ბორჯომის რაიონის დაბა წაღვერის საშუალო სკოლა.

1973–1976 წლებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა ახალციხის კავშირგაბმულობისა და სამშენებლო ორგანიზაციებში.

1977–1978 წლებში იყო ახალციხის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

1977–1983 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თავდაპირველად მოსამზადებელ განყოფილებაზე, ხოლო შემდეგ – ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტზე.

1983–1992 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის ტრესტ „მაღლივმშენის" სამმართველოში საქმეთა მწარმოებლის თანამდებობაზე.

1982 წ. დაქორწინდა მარინე უშანგის ასულ თევზაძეზე და შეეძინა ორი ქალიშვილი: ანა – დღეს ცხრა წლისაა, მარიამი – ოთხისა.

1992 წლის 27 ოქტომბერს მოხალისედ წავიდა აფხაზეთში მშობლიური მიწის დასაცავად. იბრძოდა ქართველ მაშველთა კორპუსში – „მხედრიონში". დაიღუპა 1992 წლის 10 ნოემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის ხიდის დაცვისას.

1988 წელს გარდაეცვალა მამა – ტიტე ორაგველიძე. ჰყავს დედა – მარიამ ლურსმანიშვილი-ორაგველიძე, და – ნანა ორაგველიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ოსიშვილი

ვლადიმერ ოთარის ძე ოსიშვილი დაიბადა 1971 წლის 26 მაისს მცხეთის რაიონის სოფ. წილკანში. სკოლა დაამთავრა 1988 წელს. სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1989 წელს. 1991 წლის 17 სექტემბრიდან დაიწყო სამსახური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეციალური დანიშნულების ბატალიონში ზემდეგის წოდებით.

ჰყავს მეუღლე: ეკა ირაკლის ასული მუკნიაშვილი. ელოდებოდა შვილს.

მამა — ოთარ ვლადიმერის ძე ოსიშვილი.

ძმები —აჩიკო ოთარის ძე ოსიშვილი და ლევანი.

გამზრდელი ბებია —ნ ატალია დიმიტრის ასული ოსიშვილი.

რითი ვანუგეშოთ მისი გულმოკლული პაპა მისმა შვილებმა — ის ხომ დიდი სიყვარულით ზრდიდა ვლადიმერს და უმისოდ სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნდა? დაეცა სოხუმთან.

ვლადიმერ ოსიშვილი დაკრძალულია მცხეთის რაიონის სოფ. წილკანში.

ნაირა ოსიშვილი-ლოლაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ოქროპირიძე

დაიბადა 1950 წლის 25 თებერვალს ცხინვალის რაიონის სოფელ დისევში. დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სწავლის პერიოდში მუშაობდა კოლმეურნეობაში რიგით კოლწევრად, ეკონომისტად, მთავარ ბუღალტრად, შემდეგ ყოფილი ცხინვალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში რევიზორ-ბუღალტრად. ანდროს ჰყავს მოხუცი მშობლები, ორი ძმა და ერთი და. მის ერთ-ერთ ძმას ოსმა ბანდიტებმა მარჯვენა მკლავი მოაჭრეს.

ანდრო უაღრესად კეთილი და სამართლიანი პიროვნება იყო, როგორ შეიძლებოდა მისთვის მიგემართა და დახმარება არ აღმოეჩინა. ბუნებრივი ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული. მას ხომ სკოლაში პატარა პითაგორას ეძახდნენ.

დიდი და პატარა ლიახვების ხეობაში ყველა იცნობდა, როგორც სამართ-
დაიღუპა 1992 წლის იანვარში სამხედრო დავალების შესრულების დროს.
ლიან და პატიოსან პიროვნებას. 1991 წლის ადგილობრივი
მმართველობის არჩევნებში სოფლების დისევის, ქსუისის, ჭარების და
კულბათის თემის საკრებულოს გამგებლად აირჩიეს. თავისი ხალხის საკეთილ-
დღეოდ, რაც კი შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა. მაგრამ როცა ქართველებს შე-
მოუტიეს ოსმა ბარბაროსებმა, ანდრო მაშინვე თავისი მიწის დამცველთა რი-
გებში ჩადგა. ყველაფერს აკეთებდა, რომ მსხვერპლი არ ყოფილიყო არცერთ
მხარეს. ანდროს ხომ სამშობლო თავდავიწყებით უყვარდა! ამიტომ არ აპატიეს
ოსმა ბანდიტებმა და ნაადრევად გამოასალმეს სიცოცხლეს.

1991 წლის მაისში. სოფელი გარემოცული იყო ჯავშანტრანსპორტიორებით. ანდროს არცერთი დღე არ მიუტოვებია თავისი ხალხი, თუმცა ოცოდა, რომ იმ „შავ სიაში", რომელიც კაციჭამიებს ჰქონდათ, თვითონაც [illegible]

ღამის 3 საათზე შეეჭრნენ ანდროს სახლში. მძევლად წაიყვანეს [illegible] მისი მეუღლე მადონა ჟამერაშვილი თავისი 3 მცირეწლოვანი შვილის წინ უღმერთოდ სცემეს და ისიც წაიყვანეს, მაგრამ ისე იყო ნაცემი, რომ შეიძლებოდა ცხინვალში ცოცხალი ვერ ჩაეყვანათ და ერედვის მინდვრებში გადააგდეს. ტვინის მძიმე შერყევა დაემართა და თვენახევარი თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში იწვა, ანდრო კი ჩაიყვანეს ცხინვალში. მიმდინარეობდა გამოძიება. ამ დროს რუსეთიდან ჩამოსული იყო საგამომძიებლო ჯგუფი, რომლებიც ჰუმანურები გამოდგნენ. ანდროს არაერთი ბრალდება წაუყენეს, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს, რადგან ანდრო ის კაცი არ იყო, რომ რაღაც დანაშაული ჩაედინა.

25 დღის წამების შემდეგ ანდრო გამოუშვეს და ურჩიეს მიეტოვებინა მშობლიური კუთხე და წასულიყო ლტოლვილად მაგრამ ანდრომ ეს არ გააკეთა. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ხალხისა.

ანდროს გამოშვებით კაციჭამიები უფრო გაგულისდნენ, რადგან ყველა მძევლის გადაცემას მოითხოვდნენ. ანდროსთან ერთად 4 კიდევ სხვა ჰყავდათ, მაგრამ გამომძიებელთა ჯგუფმა არ მისცა. და ანდროს დაუწყეს დევნა. ალბათ, ზოგიერთი ჩვენი „კაიქართველიც" მოისყიდეს.

1991 წლის ნოემბრის დასაწყისში ანდროს და მის მეგობრებს როლანდ ტოლიაშვილსა და აკაკი ცოტნიაშვილს დიდი ლიახვის ხეობაში პროდუქტები და სამშენებლო მასალა უნდა გაეგზავნათ. გზად მიმავლებს ერედვი-ფრისის მონაკვეთში დაუხვდათ 10 ოსი ბანდიტი, რომლებიც ავტომატური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი და დაიჭირეს ბიჭები.

ავის მომასწავებელი ხმა დაირხა: ბიჭები დაუჭერიათო. თითქოს მთელი შიდაქართლი ფეხზე დადგა.

ანდრო და როლანდი ცხინვალში ჩაიყვანეს ნაცემები. მეორე დღესვე შევიტყვეთ მათი ადგილ-სამყოფელი. როლანდი ისე იყო ნაცემი, როგორც მერე შევიტყვეთ, მეორე დღესვე გარდაცვლილა, ანდრო კი ბანდიტების ხელში იყო. ანდროს ჰქონია შესაძლებლობა გამოპარვისა, მაგრამ მას არ მიუტოვებია ცემისაგან გონებამიხდილი მეგობარი. როგორც შეგვატყობინეს, პირველად სადაც მიუყვანიათ, ის ოსი კაციჭამიები საქმეზე გასულან. ამათთან მხოლოდ ერთი ქალი დარჩენილა. მას უთქვამს ანდროსთვის გაიპარეო, მაგრამ ანდროს ეს არ გაუკეთებია: თუ წასვლაა, ორივე ერთად უნდა წავიდეთ, თუ არაღა, ორივე უნდა დავრჩეთო.

დაიწყო მოლაპარაკება ანდროს გამოსახსნელად. მათ შემოგვთავაზეს ვიღაც საკაევში გაგიცვლითო, რომელიც თბილისში ციხეში იმყოფებოდა. ანდრის მეუღლემ მადონა ჟამერაშვილმა, რომელიც მხარში უდგა ანდროს ყველა საქმეში, ყველაფერი გააკეთა, რომ რომან საკაევი გამოეყვანა ციხიდან.

დათქმულ დროს, როდესაც უნდა მომხდარიყო გაცვლა, ამოვიდნენ და თქვეს, ანდრო სხვა ჯგუფმა გაიტაცაო. მოიქცნენ ისე, როგორც ექცევიან ყველა

ჩვენს ბიჭს. 17 დღე გვატყუეს, ხან რას გვეტყოდნენ ხან — რას. ხან იძახდნენ, ორჯონიკიძეში გვყავსო. მაგრამ, აი, სიმართლე როგორ იყო: ცხინვალში ამ დროს ჩიტიც ვერ ჩაფრინდებოდა. ანდროს, ძალიან კარგად იცნობდნენ ოსები, იცოდნენ, მისი სიკვდილით ყველას ძალიან დაგვწყვეტდნენ. ეს-კი, რადგან ხედავდნენ, რომ ფეხზე იდგა დიდი და პატარა ლიახვის ხეობა. ოღონდ ანდრო (ცაცი — ასე ეძახდნენ შინაურ წრეში) ცოცხალი გამოეყვანათ.

ანდრო გამოუყვანიათ და წამებით სიკვდილი მიუსჯიათ.

ცაცი ჯერ სტადიონზე მიუყვანიათ, იქ უწამებიათ, ხოლო შემდეგ თეატრალურ მოედანზე ორი დღე ხეზე ჰყოლიათ დაკიდებული და ისე აწამებდნენ, წამების რა ფორმა არ იხმარეს: ყურები დააჭრეს, ცხვირი მოაჭრეს, თვალები დასთხარეს და მაინც ვერ ათქმევინეს ეს მიწა საქართველოსი არაო. სულ ჩასძახოდნენ „ოსეთი, ოსეთი თქვიო!“, ის კი სულ იძახდა საქართველოსიაო. თავისი სიცოცხლე „ჩემო კარგო ქვეყანაო“ ამ სიმღერით დაუმთავრებია.

მის წამებას ხელმძღვანელობდა ცხინვალელი ექიმი, რომელსაც დედა ქართველი ჰყოლია. ხალხი მიურეკიათ, რომ ყველას დაენახა მისი წამება. ზოგი ოსი, თურმე, ტიროდა მისი შემხედავი.

ივანე მახარობლის სალოცავთან ასწლოვანი მუხების ქვეშ განისვენებს ანდროს დატანჯული სხეული. სოფლის მცხოვრებთა გულებში იგი უკვე ლეგენდად იქცა.

ნათელი დაადგება შენს სულს, ანდრო! შენ საქართველოს საამაყო შვილი ხარ. „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

საქართველო აუცილებლად იქნება თავისუფალი და ლეგენდად ქცეული ანდრო ოქროპირიძის სახელი თაობებში გადავა.

ანდრო ოქროპირიძის მეგობრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა
ოქრომჭედლიშვილი

მამუკა არტემის ძე ოქრომჭედლიშვილი დაიბადა 1969 წელს თბილისში. 1975-1983 წლებში სწავლობდა თბილისის ძე-15 საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის 110-ე პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1986 წელს და მიენიჭა მშენებლის პროფესია.

1987-1989 წ.წ. სამხედრო სამსახურშია, შემდეგ ისევ სამშენებლო სამმართველოშია. მონაწილეობას ღებულობდა მიწისძვრის შედეგად დაზარალებული დასავლეთ საქართველოს რაიონების აღდგენით სამუშაოებში.

1992 წლიდან სამსახური დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, იმყოფებოდა შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონში.

აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ ირიცხებოდა პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის „თეთრი არწივის“ ბატალიონში. იბრძოდა აფხაზეთში.

1993 წლის 26 ივლისს აფხაზეთში სოფელ შრომასთან მტერთან შეტაკების დროს დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა ოჩიაური

— ჩვენი გელა! — რაოდენ ძნელია ჩვენს საყვარელ ძმასა და მეგობარზე წარსულ დროში წერა, გახსენება: იმისა, თუ როგორი იყო ურთიერთობაში, მეგობრობასა და სიყვარულში. როგორი იყო და არა როგორი არის. დღესაც არ გვჯერა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ფიზიკურად, თორემ ჩვენს გულებში, ჩვენს შორის იგი ყოველთვის იქნება, როგორც ადრე, ჭირშიც და ლხინშიც.

ყოველი ადამიანი თავისებურად განუმეორებელია, მაგრამ გელა განსაკუთრებით სხვაგვარი იყო. რაღაც უსაზღვროდ კეთილი, გულუხვი, მოყვარული, ერთგული. რამდენის გაკეთება მოასწრო მან ოცი წლის განმავლობაში! ახლაღა იწყებოდა მისი ცხოვრება, მაგრამ სად ეცალა გელას იმისათვის, რომ ჯერ თავის ცხოვრებაზე ეფიქრა!

უზომოდ იცოდა ყველაფერი, დაუზოგავად ყველაფერში პირველობა უყვარდა. სხვანაირად არ შეეძლო, „ყოჩი“ და „დელფინა“ — ასე ვეძახდით, ეს მისი მეტსახელებია. „ყოჩი“, ალბათ, ნაწილობრივ გასაგებია, რატომაც. მეგობრებს წინამძღოლად გვყავდა, ყველაფერს ითავებდა, თავს მოუყრიდა. ყველაზე რთულ საქმეს ვანდობდით. ვიცოდით, რომ არ დაგვაღალატებდა და მშვიდად ვიყავით.

ამ არეულობის დროს სულ იქ იყო, სადაც სამშობლოს უჭირდა, სადაც მისი მეგობრები იბრძოდნენ. ვნერვიულობდით, ვეტყოდით ხოლმე: ნუ წახვალ, ცოტა ხანს მაინც იყავი ჩვენთანო. გაიცინებდა: სულ თქვენთან არა ვარ? იქაც თქვენზე ვფიქრობო. მერე მუშტს მკერდზე დაირტყამდა: აბა, ხელი მომკიდეთ, კაჟივით ვარ, მე რომელი ტყვია მომერევაო. ჩვენც გვჯეროდა, გვჯეროდა და ტყუილს არც ამბობდა. ტყვიამ, ცეცხლმა ხომ მის ნათელს და სუფთა სულს ვერაფერი დააკლო, პირიქით, უფრო აამაღლა და, ალბათ, წამებული წმინდანი-

ვით აღუვლინა ზეცას ჩვენი ყოჩი. აქაც იყოჩა, სხვანაირად არ შეეძლო, ეგეთი თავდაუზოგავი იყო. ახლა, ალბათ, აფხაზეთში იქნებოდა. სახლში მშვიდად ვერ დაჯდებოდა. უჭირთო, იტყოდა და წამით არ დაფიქრდებოდა, ისე წავიდოდა.

რამდენიც არ უნდა ვწეროთ გელაზე, ჩვენ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვექნება, რადგან ვერასოდეს მოვახერხებთ ყველაფრის ჩამოთვლას და გელას ისე დახასიათებას, როგორც მას შეეფერება. ვიცით, რომ მისი კეთილი, წმინდა სული მფარველი ანგელოზივით იტრიალებს ყოველი ჩვენთაგანის თავზე. იმედად მისი მომავალი პირმშო გვესახება, რომელიც მალე მოევლინება ქვეყანას და გელასადმი სიყვარულს, უმისობას სწორედ მისი სისხლი და ხორცი აგვინაზღაურებს.

გელა ოჩიაური სიკვდილის შემდეგ **ვახტანგ გორგასლის II** ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

თანაკლასელები

შუქური ოჩიგავა

დაიბადა 1956 წლის 13 აგვისტოს. დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი, სწავლობდა მოსკოვის პროფკავშირული მოძრაობის უმაღლეს სკოლაში. ის სკოლა წელს გადააკეთეს აკადემიად. ის, მესამე კურსის სტუდენტი (განხრა — ეკონომიკა და ფინანსები), მუშაობდა ქ. გაგრის კურორტსამმართველოში პანსიონატ „ჟოეკვარას" მთავარ ეკონომისტად.

დაოჯახდა 1978 წელს. ორი შვილი ჰყავს. ის იყო გაგრის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსი. დაიღუპა 6 ოქტომბერს. სოფ. ხოლოდნაია რეჩკასთან. იქიდან ბრძოლის შემდეგ ვიღაც აფხაზს მოუყვანია საავადმყოფოში (ალბათ, ნაცნობი იყო). 1—2 საათის შემდეგ გაჩერდა მისი გული, 7-ში დილით გვამი გამო-

აპარეს და იმ დღესვე დავმარხეთ სახლში. მისი სახლი აწიოკებული, გაპარტახებული, გაქურდულია. საცოდავ მამამისთან ყოველდღე დადიან და ცემენ. თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მითხრეს, ალყაში მოხვდა დარჩენილ ბიჭებთან ერთად ბოლამდე დარჩენილა. უსაზღვროდ უყვარდა მისი ქალაქი და მთლიანად საქართველო. ნამდვილი პატრიოტი იყო.

ქეთევან კუჭუხიძე

* * *

...გემი გუგუნებს, პორტში ხალხი ირევა, ხელს გვიქნევენ პორტის კაფედან. გვიცინიან ჭრელ ქოლგებს ქვეშ მაგიდასთან მსხდომი შეყვარებულებიც.

გემი აუჩქარებლად მიადგება სანაპიროს.

ბაგირით მიაბამენ გემს.

დაბლა და დაბლა დაეშვება კიბე.

შემოგვხვდებიან მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები, უცნობებიც კი, ყველანი... მათ უხარიათ, უხარიათ... ჩვენ დაგვხვდება ომამდელი სოხუმი და გვკითხავს, როგორ ვგრძნობთ თავს.

დიდებულად, დიდებულად, დიდებულად. ჩვენ ხომ უკვე სახლში ვართ!.. სოხუმში ვართ!..

დღე იქნება ნათელი და — ულრუბლო.

ჩვენ გემით დავბრუნდებით სოხუმში.

ჩვენ გემით დავბრუნდებით სოხუმში.

ჩვენ გემით დავბრუნდებით სოხუმში.

გემით...

1995 წელი.

მაისი — ივნისი — ივლისი

გურამ ოდიშარია

* * *

ასიათასი ქართული სიტყვა

ეს არის ჩემი მწარეც და ტკბილიც,
სხვა ეტრფის სხვათა,
დროშებს და გერბებს.
მე ვადღეგრძელებ
საყვარელ თბილისს,
ჩემს დედაქალაქს,
ჩემს ლამაზ ბებერს.
მივდივარ შორ გზას,
მიმყვება საგზლად,
დამყვება ჩუმად —
ნისლიან მხრებით...
გადავაბიჯებ მიუვალ საზღვარს,
იქაც იმისი ჩამესმის ხმები.
ასიათასი ნათელი ფიქრი,
ასიათასი ნათელი სიტყვა...
მე ვადღეგრძელებ
მშობლიურ ჭიქით,
უფრო ლამაზი ამ ქვეყნად ვინ მყავს.
მე ვადღეგრძელებ
ჩემს ლამაზ ქალაქს,
მისი უღელი და ჩემი ქედი...
მის ლაჟვარდებში
დაიდგამს კარავს
ჩემი ღიმილი და ჩემი ბედი.
ეს არის ჩემი მწარეც და ტკბილიც,
სხვა ეტრფის სხვათა
დროშებს და გერბებს.
მე ვადღეგრძელებ
საყვარელ თბილისს, —
ჩემს დედაქალაქს,
ჩემს ლამაზ ბებერს.

ჯანსუღ ჩარკვიანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური
პალაგინი

ზემდეგი იური იაროსლავის ძე პალაგინი დაიბადა 1971 წლის 17 მარტს თბილისში. ეროვნებით რუსი.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1992 წლის 8 სექტემბრიდან საპატრულო პოლკში.

დაიღუპა 1992 წლის 7 დეკემბერს, ტამიშში.

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

ანა პალანდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამირან ჰაპუნაშვილი

დაიბადა 1949 წელს. ქობულეთელია. იზრდებოდა თბილისში.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი — ინჟინერ-ტექნოლოგის და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი — მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით. გაიარა სამხედრო სამსახური. ჰქონდა ლეიტენანტის წოდება.

1967 წლიდან მუშაობდა თბილისის აბრეშუმსაქსოვ გაერთიანებაში, თბილისის სამკერვალო ფაბრიკაში, სოცუზრუნველყოფის სამინისტროში, „საქმრეწვდანერგვის" საქართველოს რესპუბლიკურ ფილიალში.

იყო ქართველ მაშველთა კორპუსის წევრი.

ომის დაწყებისთანავე აფხაზეთში გაემგზავრა და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ჩაება. იბრძოდა გაგრის ახლოს, სოფელ კოლხიდაში.

დაიღუპა 30 აგვისტოს.

დარჩა მეუღლე, ორი მცირეწლოვანი ვაჟი, დედა და ძმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა პატარაია

დაიბადა 1974 წელს თბილისში. დაამთავრა 149-ე საშუალო სკოლა. 15 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა სამაჩაბლოში. იყო 9 აპრილს მოწამლული.

1992 წლის სექტემბრის თვიდან იყო „გორდას“ ბატალიონში.

დაიღუპა 1993 წლის 1 ივნისს, კინდღში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

გიორგი პოპიაშვილი

საავიაციო ბომბის უვნებელყოფის ოპერაციის გადაღების დროს დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების აკადემიის სტუდენტი **გიორგი ანზორის ძე პოპიაშვილი.**

წავიდა ჩვენგან, სამშობლოსა და სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული კაცი, რომელიც კამერით ხელში ფირზე აღბეჭდავდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენებს. საბრძოლო ოპერაციების დროს გადაღებული მრავალი უნიკალური კადრი შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთი დღე ჩემი ცხოვრებიდან". — საკურსო დავალება სტუდენტმა პოპიაშვილმა სხვა რომელიმე დალხინებული ერის შვილივით სატრფოსთან გასეირნებას, ან შესაქცევ თავგადასავალს კი არ მიუძღვნა — არამედ თბილისში ატეხილ ომს. ასეთი იყო მისი ხვედრი — ბრძოლა! კინოკამერით ხელში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის მანდატით, იღებდა ისტორიას და საკუთარი მხატვრული ფილმის შექმნა კი არ დასცალდა. კინორეჟისორი გიორგი პოპიაშვილი სამშობლოს განსაცდელის ჟამს „თეთრი არწივის" ჯარისკაცად იქცა და დაეცა კიდეც ბრძოლის ველზე, ხელოვანმა კაცმა გმირულად შესწირა თავი ერს, უსაზღვროდ დამწუხრდნენ დედა, ქალ-ვაჟი, მეუღლე...

წავიდა ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანი და უზომო ნაღველი დაგვიტოვა. ღმერთო, ნათელში ამყოფე გიორგი პოპიაშვილის სული.

გიორგი პოპიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ხელოვნების აკადემია,

ლევან (უსუპ) ჟამიერაშვილი

დაიბადა 1973 წლის 17 ივლისს ქარელში, დაამთავრა ქ. თბილისის 139-ე საშუალო სკოლა. 1989 წ. ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იგი იყო ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მებრძოლი და მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი.

იბრძოდა სამაჩაბლოში. ერთი სიტყვით, სადაც საჭირო იყო, იქით მიდიოდა. ლევანის გული ცხრა აპრილის შემდეგ აირია, ველარ ისვენებდა. ასევე ვერ ისვენებდა ლევანის დედა, თითქოს გული უგრძნობდა, რომ ლევანს [illegible] ალბა არ ელოდა. ლევანს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

ბიბლიოთეკა

16 აგვისტოს, როგორც ყოველთვის, ლევანი შეუერთდა თავის თანამებრძოლებს. დედამისი ამბობს: „წავიდა და წაიღო დედის სიცოცხლე. მთელი ორი კვირის მანძილზე ვერ ვისვენებდი. მასთან წასვლა მინდოდა. არ გამიშვეს: შენისთანა დედა მილიონი გვყავსო. გამწარებული ტელევიზიაში, ჰოსპიტალში, მორგში ვეძებდი ჩემს შვილს. ვიცოდი, რომ რაღაც დიდი უბედურება მელოდა. ჩემი წინათგრძნობა არასდროს გამტყუნებულა. ნეტა, მაშინ ეღალატნა მაინც ჩემს წინათგრძნობას. 30 აგვისტოს სულ აეროპორტში გავატარე. მტირალი დედა ველოდი შვილს. 31 დილის შვიდის ნახევარზე ზარმა დარეკა. მოვდივარ, შვილო-მეთქი მივაძახე. მაგრამ სხვა შემრჩა ხელში. ჩემი შვილი მკვდარი ჩამომიყვანეს. გმირად გაუხდია მტერს. გალამაზებული, თითქოს უფრო გაზრდილი გაღიმებული წავიდა ამ ქვეყნიდან, ისე ჩავიდა იმ დაღუპულ სამარეში, თითქოს გული არ დაწყდა ამ ცხოვრებაზე.

* * *

მაშ, მამულს თავი შევსწიროთ,
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

ილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი ჟვანია

„ამ დროს დავიბადე მე, უგზო-უკვლოდ განათლებული ისტორიკოსი, სად არ ვყოფილვარ და რა არ მინახავს, თქვენ რა იცით. თქვენ რა იცით ვინა ვარ. მგონია, მე ვარ ამოუცნობი და რთული პიროვნება. გარეგნულად შეიძლება ვიყო უბრალო და ხუმარა, მაგრამ, ჩემის აზრით, მე თვითონ ნაღდად არ ვიცი როგორი ვარ, ვცდილობ ყველასთან კეთილად ვიყო განწყობილი. ვცდილობ ყველა ადამიანს გავუგო, როგორიც არ უნდა იყოს იგი. ყველასთან შეიძლება გამოვნახო საერთო ენა, მაგრამ შეფასებისამებრ ვიქცევი მასთან, როგორც ჩემის აზრით, მას ეკადრება. რამდენადაც სწორია ჩემი საქციელი ამა თუ იმ მომენტში, რაც გარეგნულად შესამჩნევია, მე მგონი, ამას თქვენ თვითონ შეაფასებთ. ისე ყველა ამხანაგთან მინდა ვიყო ამხანაგი, მეგობართან მეგობარი, და ქალთან ძმაკაცი, ძმაკაცთან ძმაკაცი. კიდევ მიყვარს ჩემი სამშობლო ყველაზე მეტად, მის ავ-კარგს განვიცდი და რეაქციაც შესაბამისი მაქვს. მიყვარს ყველა ის ერი და ეროვნება, ვინც ჩემს ქვეყანაში ცხოვრობს და, რა თქმა უნდა, ეს მათი ქვეყანაცაა. მიყვარს ჩემი ცოლ-შვილი, მიყვარს ყველა ამხანაგი, ვისთანაც ცხოვრების გარკვეული პერიოდი გამიტარებია“.

ეს სიტყვები სოფელ შრომასთან დაღუპულ ჭაბუკს ბადრი ჟვანიას ეკუთვნის.

ბადრი ჟვანია დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ ფშავში 1963 წლის 23 სექტემბერს 1978 წელს დაამთავრა ფშავის რვაწლიანი სკოლა. სწავლა განაგრძო ფოთის მე-12 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. მუშაობდა გემის კორპუსის ამწყობ ზეინკლად. 1982 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა ავღანეთში. დაბრუნდა მესამე ჯგუფის ინვა-

ლიდ.დ. ისევ სწავლას დაუბრუნდა და 1986 წელს დაამთავრა ტექნიკუმის სრული კურსი. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირში. აფხაზეთში საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ავღანელთა კავშირში შეიქმნა ავღანელთა სპეციალური დანიშნულების ასეული. პოლიგონზე ბადრი ჟვანია იყო ავღანელთა სპეციალური დანიშნულების ასეულში ოცმეთაური. ყველა დანიშნულების საბრძოლო იარაღში ერკვეოდა. კარგად იცოდა სამხედრო ტექნიკა. ისროდა შესანიშნავად. თვალის ჭრილობა ხელს არ უშლიდა, რომ პირველი კლასის სნაიპერი ყოფილიყო. კონტრშეტევაზე გადასვლის დროს სნაიპერი შეცვალა.

უშიშრად შეეგება სამშობლოსათვის სიკვდილს. 1992 წლის 3 ნოემბერს სოფელ შრომასთან უმძიმეს ბრძოლაში დაეცა.

გარბიან ტკივილიანი დღეები და გრძელდება ბადრის შეწყვეტილი სიცოცხლე, — ლაშა ხომ საოცრად ჰგავს მამას. მასაც მამასავით უყვარს სიცოცხლე, მზე და მშვენიერება. მასში ის გენი დუღს, რომელსაც გადაშენება არ უწერია.

თამაზ (ტუსა) ჟვანია

ტუსას მამა სენაკელი იყო, დედა — ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიიდან. თვითონ ტუსა გაგრის რაიონის დაბა განთიადში დაიბადა და 21 წელიწადი იქ იცხოვრა.

ძალიან უყვარდა სენაკი, მისი მამის ძირძველი სამკვიდრო, ანაკლია — დედულეთი, გაგრა — მისი საგაზრდილო და, რასაკვირველია, მთელი საქართველო, რომელსაც 21 წლის ასაკში შესწირა თავი.

ის დაიბადა 1971 წლის 6 ოქტომბერს. 1988 წელს საშუალო სკოლის კურსი დაასრულა სოფელ განთიადში და იქვე დაიწყო მუშაობა მაღაზიაში გამ-

ყიდველად, თან დაუსწრებლად სწავლობდა ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში. ემზადებოდა უმაღლესი ეკონომიკური განათლების მისაღებად, მაგრამ... აფხაზმა სეპარატისტებმა ომი გამოუცხადეს ქართველ ხალხს და ყველაფერი აირია. მშვიდობიანი მოსახლეობა მისი საცხოვრისიდან აიყარა და ვინ სად გაიხიზნა და ვინ სად. ტუსას დედაც იძულებული გახდა დაეტოვებინა მისი სახლ-კარი... მაგრამ ტუსამ ბრძოლის გზა აირჩია. ის ჩაირიცხა გია მორგოშიას ხელმძღვანელობთ მოქმედ პარტიზანულ რაზმში. დედამ ერთხანს არაფერი იცოდა შვილზე. ბოლოს დადგა ის წყეული დღეც (1992 წლის 5 ნოემბერი)...

დედამ შესძლო შვილის საფლავის მონახვა და შვილი თამაზი (ტუსა) იქ გადაასვენა, სადაც მამამისი — სულხან ჟვანია ესვენა.

ღმერთმა აცხონოს ჩვენი თამაზ (ტუსა) ჟვანია!

დავით რაზმაძე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა დავით რაზმაძემ პარტიის რიგებში შემოსვლისთანავე დაიმკვიდრა ალალი, მოსიყვარულე და უშიშარი კაცის სახელი. იგი მუდამ ამართლებდა პარტიის ნდობას და პირნათლად ასრულებდა ყველა დავალებას მეტად რთულ და საპასუხისმგებლო უბნებზე. აქტიურად მონაწილეობდა პარტიის მიერ მოწყობილ ყველა აქციაში. ასევე მას დიდი წვლილი მიუძღვის პარტიის საორგანიზაციო სამსახურის ფორმირებაში.

სამშობლოს პირველივე დაძახებაზე დავით რაზმაძე სოხუმში გაემგზავრა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში ჩაირიცხა მოხალისედ.

ეშერასთან ბრძოლის დროს მტრის ტყვიამ შესწყვიტა მამულიზთვის გულანთებული ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საამაყოდ დარჩება სამაგალითო პატრიოტის დავით რაზმაძის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე

ვიორგი ჭანტურია



თამაზ რამაზაშვილი

ბატონი თამაზი მრავალშვილიან ოჯახში აღიზარდა, თვითონაც მრავალშვილიანი მამა იყო — ოთხი ქალიშვილი და ერთი ნანატრი ვაჟი დარჩა აცრემლებული. თამაზი შრომას ბავშვობიდანვე მიაჩვია მამამ, რომლის გარდაცვალებას შემდეგაც მას უქმად ერთი დღე არ უცხოვრია. სავალდებულო სამხედრო სამსახურიც პირნათლად მოიხადა, რძის ქარხანაში მუშადაც პატიოსნად შრომობდა, ოჯახიც სანიმუშო შექმნა თავისი ალალი შრომით. 40 წლისა იყო, როცა საქართველოს გაუჭირდა. ის უყოყმანოდ გამოცხადდა კომისარიატში, ხან ასაკი დაუყენეს, ხანაც მრავალშვილიანობის გამო უთხრეს უარი გაწვევაზე, მაგრამ მან თავისი მაინც გაიტანა, მოხალისედ შევიდა ბატალიონ „ავაზაში", გმირულად იბრძოდა. 2 ივლისს ტამიშთან დესანტის გადმოსხმის დროს მძიმედ დაჭრილი 5 ივლისს გარდაიცვალა.

ნარგიზა ლომთაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დავით
რეხვიაშვილი

დავით რეხვიაშვილი დაიბადა 1968 წლის 25 აგვისტოს ამბროლაურის რაიონის სოფ. ურავში.

სოფ. ურავის 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა ხაბაროვსკში. 1989 წ. საცხოვრებლად გადავიდა ქ. რუსთავში და მუშაობა დაიწყო ქიმიურ გაერთიანება „აზოტში" — ზეინკლად.

1992 წლის 10 ოქტომბრიდან ჩაირიცხა ბატალიონ „ავაზაში" და ვაჟკაცურად იბრძოდა აფხაზეთში ქართული მიწის დასაცავად.

1993 წლის 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დროს, სოფ. ტამიშში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. დარჩა ბევრი აუხდენელი ოცნება, აცრემლებული მშობლები, და-ძმა, ახლობლები და სიყვარული...

დავითი დაკრძალულია მშობლიური სოფლის სასაფლაოზე.

* * *

ოხერო წუთისოფელო

ოხერო წუთისოფელო,
ზარავანდივით მწარეო,
სად გადახკარგავ ვაჟკაცსა,
საით სანამდე ავლეო...

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა
რეხვიაშვილი

შოთა რეხვიაშვილი დაიბადა 1949 წლის 1 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, 1950 წელს ოჯახი გადაასახლეს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში. 1963 წელს სოფელ ლიხნის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის ცეკავშირის სავაჭრო ტექნიკუმში ჩაირიცხა. მან ეს სასწავლებელიც წარჩინებით დაამთავრა და მუშაობა დაიწყო რევიზორად ჯერ ამბროლაურის რაიონში, ხოლო შემდეგ სოხუმში . სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დაბრუნდა გუდაუთაში და დაიწყო მუშაობა ისევ რევიზორად. 1989 წლიდან 1992 წლამდე გუდაუთის „კურორტვაჭრობაში" იმუშავა (ამ დაქვემდებარებაში ქართველს არ უნდა ემუშავა).

შოთა რეხვიაშვილი 1972 წელს დაოჯახდა, შეეძინა ორი ვაჟი — შალვა და ბეჟანი და ცხოვრობდა გუდაუთაში ჯაზბას ქუჩა № 18-ში აფხაზების გვერდით.

1989 წლიდან 1992 წლამდე აფხაზმა ექსტრემისტებმა დაიწყეს ქართველების დევნა. შოთას თავისი სამშობლოს, აფხაზეთის სიყვარულმა ააღებინა ხელში იარაღი და 19—20 წლის სოხუმელი და გუდაუთელი ბიჭებისაგან შემდგარ ჩამოყალიბებულ № 2 საბრძოლო ბატალიონში ჩაირიცხა, თან ბატალიონში შექმნილ საფინანსო განყოფილებასაც ხელმძღვანელობდა.

შოთა რეხვიაშვილი, მის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ყოველთვის წინა ხაზზე იბრძოდა, ამის გამო განრისხებული აფხაზი ექსტრემისტები წავიდნენ სოფელ ლიხნში, მიუვარდნენ შოთას დედას და მამიდას, გამოყარეს გარეთ, მამიდამ როგორღაც ტყეში მოახერხა გადამალვა, დედა კი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, სახლი გაძარცვეს და გადაწვეს. აქაც ღვთისნიერმა აფხაზმა უსაშველოდ ნაცემი შოთას დედა ჩაიყვანა თბილისში შოთას ძმის ოჯახში. მანამდე 1990 წელს, როდესაც შოთამ დედა მოინახულა ლიხნში, უკან

დაბრუნებისას აფხაზმა ექსტრემისტებმა სცემეს და ხრამში გადააგდეს, საკუთარი ჯანმრთელობის მეოხებით ისევ დადგა ფეხზე და კვლავ ჩადგა მეომრების გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რეხვიაშვილი გამჭრიახი გონების იყო, ყოველთვის ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა, ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა დაჭრილები, ახერხებდა ტყვეების გაცვლასა და გამოყვანას ორჯონიკიძიდან და ლიხნიდან. მიცვალებულებს სოფელ ოდიშში მარხავდა, როცა სოხუმიდან მატარებელს ლტოლვილები მოჰყავდა, ოჩამჩირეში მოახერხა მატარებლის გაჩერება და ერთ-ერთი მეომარი ბიჭუნას მშობლები ჩამოიყვანა სოხუმში და თავიანთი შვილი დაამარხვინა. ასევე თბილისში გუდაუთიდან ჩამოსული ლტოლვილი დედა ჩამოიყვანა სოხუმში შვილის დასატირებლად.

შოთა რეხვიაშვილი თავისი მტკიცე ხასიათის გამო მის წინ დასმულ საკითხებს ბრწყინვალედ ართმევდა თავს, ერთხელ როდესაც სოხუმის სამხედრო კომენდანტთან კორნელი ჩალაძესთან ერთად იბრძოდა და გუდაუთაში უნდა შესულიყვნენ ტანკებით, მიზნის მისაღწევად, აქ მის წინ დასმულ საკითხსაც ვაჟკაცურად გაართვა თავი.

შოთა რეხვიაშვილი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ოფიცრის წოდებით ჩამოვიდა. სოხუმში ბატალიონში ყოფნის დროს კაპიტნობა მიიღო, პირველი დღეებიდანვე გმირული შემართებით იბრძოდა სამშობლოს ერთიანობისათვის, სეპარატიზმის წინააღმდეგ.

1993 წლის 16 თებერვალს აფხაზებმა შეტევა დაიწყეს. ეს დღე მისთვის საბედისწერო გამოდგა, შეტაკების დაწყების დროს ბრძოლის წინა ხაზიდან დახოცილები და დაჭრილები გამოჰყავდა. ერთ-ერთი მეომრის გამოყვანის დროს ფეხში მოხვდა ტყვია და იმ ვერაგმა ტყვიამ იქამდე იარა ფეხში, ვიდრე არ დაიღუპა. ივი დაიღუპა ვაჟკაცების გვერდით, ისე როგორც ეს ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, — „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილებაო“ — ამ გრძნობით იბრძოდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე... შოთას სიკვდილზე არ უფიქრია, მას უყვარდა ოჯახი, შვილები, დედა, ახლობლები, ეთაყვანებოდა მის სამშობლოს და კარგი მომავლის იმედითაც იყო.

დასანანია, რომ მას არ დასცალდა ბოლომდე დაეხარჯა თავისი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები.

უსახლკაროდ დარჩენილი შოთა რეხვიაშვილი თავისი ძმის ოჯახიდან დაკრძალეს თბილისში, კუკიის ძმათა სასაფლაოზე, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მიხ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

შოთა რეხვიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

მზია ბალანჩივაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით რიჟამაძე

დავით, (დათო) რეზოს ძე რიჟამაძე დაიბადა 1966 წლის 13 თებერვალს, ტყიბულის რაიონის სოფელ საწირეში.

1972 წელს შევიდა ქ. ტყიბულის № 1 საშუალო სკოლაში, საიდანაც 1980 წელს გადავიდა სოფ. საწირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1983 წელს დაამთავრა.

1984 წლის 25 აპრილს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გერმანიაში. 1986 წლის 9 მაისს ჩამოვიდა სამხედროდან. 1986 წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო მაღაროში, 1987-88 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის № 74 სპტ სასწავლებელში. 1989 წელს მუშაობა დაიწყო მაღაროში. 1990 წლის სექტემბერში სწავლა განაგრძო ქ. ტყიბულის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. პარალელურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წლის 13 ივნისს დაიჭრა ქ. გორთან შეტაკების დროს, 14 ივნისს — დაიღუპა.

მამა — რეზო რიჟამაძე — პენსიონერი.

დედა — ნელი რიჟამაძე მუშაობს ქ. ტყიბულის დაზღვევის სახელმწიფო ფირმაში.

ძმა — გოჩა რიჟამაძე.

და — მარიკა რიჟამაძე.

მეუღლე — ნონა რიჟამაძე — სწავლობს ტყიბულის სამედიცინო ტექნიკუმში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი (გია) რობაქიძე

დაიბადა 1973 წ. 19 დეკემბერს. დედამისი — ლარისა ივანეს ასული რობაქიძე საშუალო სკოლის მასწავლებელია, მამა — გიორგი რობაქიძე ინჟინერ-მშენებელი.

გივი 1980 წელს შევიდა თბილისის 30-ე სკოლაში, 1991 წელს დაამთავრა 123-ე სკოლა, ამავე სკოლაში, მე-11 კლასში სწავლისას ჩაირიცხა გვარდიაში.

1991 წელს ჩარიცხეს ასოციაცია „ფალავანის" უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1992 წლის 7 ივნისს მოხალისედ წავიდა სამაჩაბლოში ბატალიონ „ავაზაში". მისი მეთაური იყო თორნიკე ონიანი, შემდეგ მისი უშუალო მეთაური იყო ტრისტან წითელაშვილი, ვისთან ერთადაც იბრძოდა. როდესაც სამაჩაბლოში შეიყვანეს სამშვიდობო ჯარები, ბატალიონთან ერთად დაბრუნდა თბილისში. ჯერ კიდევ სამაჩაბლოში ყოფნის დროს ჟურნალისტმა გიორგი იოსებიძემ გივისგან აიღო ინტერვიუ „სად გაჩერდება დაგორებული ქვა" (გაზეთი „დრონი", 1992 წლის 10 ივლისი).

სამაჩაბლოდან დაბრუნების შემდეგ გივიმ ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში და ჩაირიცხა მენეჯერის ფაკულტეტზე (ის კარგად ფლობდა ინგლისურ ენას).

ამ დროისათვის ბატალიონში „ავაზას" გვარდიელები გადიოდნენ მომზადებას ყოფილ „ტაუს" შენობაში. გივიც იქ იყო.

1992 წლის 18 აგვისტოს ბატალიონი „ავაზა" წავიდა აფხაზეთში სამშობლოს მთლიანობის დასაცავად და, რასაკვირველია, გივიც მათთან ერთად გაემგზავრა.

1992 წლის 19 აგვისტოს გივი მოკლა მტრის ტყვიამ. მისი გვამი სამი დღე

და ღამის განმაყლობაში ეძიეს. დასაფლავებულია ქ. თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

როდესაც მამამისი შეეკითხა ვიას: რატომ მიდიოდა აფხაზეთში, ჯანა შენ სამაჩაბლო არ გეყოო? მან ასეთი პასუხი გასცა: მამა, შენ სულ პატრიოტიზმზე გველაპარაკებოდი, ახლა რა დაგემართაო?

ვიამ საყვარელი საბშობლოსათვის გასწირა თავი.

„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ"...

ეროვნებით რუსმა, ქალბატონმა ლარისამ ქართული სულისკვეთებით, საქართველოს სიყვარულით აღზარდა გივიკო, როგორც თვითონ ეძახდა. თვალცრემლიანი გვესაუბრება ქართულ ენაზე: როცა გიორგის გავყევი, 3 წელი შვილი არ გვყავდა. 3 წლის შემდეგ გაჩნდა პატარა გივიკო, მთელს ნათესაობაში პირველი პატარა დაიბადა, ჩემი გივიკო საერთოდ ყველაფერში პირველი იყო, პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თანატოლებისაგან როგორც ფიზიკური სილამაზით, ასევე გონებაგახსნილობით, საოცრად ცოცხალი და მოძრავი იყო, უყვარდა სიმღერა, ცეკვა, თავისუფლად ფლობდა ინგლისურ ენას. სკოლაში ყველას გამორჩევით უყვარდა. 1991 წელს დაამთავრა 123ე საშუალო სკოლა. დიდი გეგმები ჰქონდა, ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა. სიყვარულიც ადრე ეწვია. ბორჯომში ისვენებდა ერთ ზაფხულს, სადაც გაიცნო თავისი ტატა. ტატას ოჯახური მდგომაერობის გამო შორეულ ატლანტის შტატში მოუწია საცხოვრებლად გადასვლა, სიყვარულს მანძილი ვერ აშორებს, პირიქით, კიდევ უფრო გაუმძაფრდათ სიყვარული...

გივიკო!

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხანია არ მინახიხარ, არ ვიცი რა დავწერო, ალბათ, ერთად რომ ვყოფილიყავით, ბევრი მექნებოდა სათქმელი, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ჩვენი სიყვარულის გამო მინდა მადლობა გადაგიხადო, ბევრი კარგი რამ შევიძინე შენს გვერდით ყოფნისას, ბევრი რამ ვისწავლე. კიდევ გთხოვ პატიებას ბავშვური კაპრიზებისათვის. მართლა ბედნიერი ვიყავი შენს გვერდით, ვგრძნობდი კაცის მფარველობას, რისთვისაც დიდი მადლობა!

ცხოვრების საკმაოდ დიდი გამოცდა ჩამაბარებინე და დამანახე, რომ ცხოვრების გზა მხოლოდ ია-ვარდებით მოფენილი არ არის, არამედ ხშირად ეკალი ურევია — კვლავ გმადლობ!

იმედი მაქვს, აღარ გავიმეორებ იმ სისულელეებს და აღარ დავუშვებ იმ შეცდომებს, რომ გამახსენდება, მეცინება — მართლა რა ბავშვი ვიყავი.

14 თებერვალი სიყვარულის დღეა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც ვიყიდე ეს მისალოცი, ალბათ მივეჩვიე, რომ შენ ხარ ჩემს ცხოვრებაში. ალბათ, ისევ, ისევ... კიდევ ერთხელ გილოცავ, ღმერთმა დაგლოცოს.

არასოდეს დაგივიწყებ, ყოველთვის იმედი მაქვს, რომ (თუ სიწყნარე იქნა) სექტემბრისთვის ჩამოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გკოცნი, გეხვევი, შენი ტატა
1.02.92 წ.

გივი რობაქიძე მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", მისი ძმა ირაკლიც ოცნებობდა: სკოლას დავამთავრებ თუ არა, შენს გვერდით დავდგებიო. ასეთი სულისკვეთებით აღზარდა იგი ქალბატონმა ლარისამ, რომელმაც თქვა: არასოდეს არ მეუბნებოდა გივიკო, თუ რას აკეთებდა სამაჩაბლოში, კარტოფილს ვთლი, რა უნდა გავაკეთოო და თან გამიღიმებდა, მხოლოდ ერთხელ მითხრა, როცა ჩვენმა მეომრებმა ოსების მეომარი მოკლეს, მიცვალებულების გაცვლის დროს, ჩვენებმა ის მეომარი გააპატიოსნეს, თავისი პირადი ნივთები ყველაფერი თან ჰქონდა, ავტომატიც კი გულზე ედო და ისე ჩააბარეს მეორე მხარეს, ამ დროს ოსების მხრიდან ვიღაცამ ქართულ ენაზე თქვა: „ომშიც ყოფილან ჯენტლმენებიო". სულ ეს იყო მისგან მოყოლილი საბრძოლო ოპერაცია.

1992 წლის 10 ივლისს გაზეთ „დროშში" გიორგი იოსებიძე წერილში „სად გაჩერდება დაგორებული ქვა" წერდა: „დაღლილ და წვერგაუპარსავ გვარდიელებს შორის ერთი ყმაწვილი შევნიშნე, იგი აშკარად გამოირჩეოდა სხვებისაგან და ავტომატიც თითქოს ზედმეტ ნივთად ჩანდა მის ხელში. სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოეთის ეკონომიკისა და საგარეო ურთიერთობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გივი რობაქიძე მოხალისედ წამოსულიყო თბილისიდან. მშობლები რას გეუბნებიან-მეთქი, ვკითხე (მამამისი სწორედ იქ იყო მაშინ). რა უნდა მითხრან, თბილისში რომ წამიყვანონ, იციან, მაინც უკან დავბრუნდებიო. გივი „ავაზას" შემადგენლობაშია, ძნელ პირობებს უკვე შეეჩვია და მზად არის საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლოს. იგი თვლის, რომ სამაჩაბლოში მებრძოლები მეტ ყურადღებას იმსახურებენ...

ნუ გეშინია, დედა, ის ტყვია ჯერ არ ჩამოსხმულა, მე რომ უნდა მომკლას, მე ბოლომდე, სანამ ჩემი ქვეყანა არ დაწყნარდება, ვიქნები ბრძოლის ველზეო,— ასე ამშვიდებდა დედას ყოველი ნახვის დროს. მეც მჯეროდა, რომ ჩემს გივიკოს, თუმცა იგი მხოლოდ 18 წლისა იყო, მაგრამ ფიზიკურად ისეთი ძლიერი, მაღალი და ლამაზი იყო, ტყვია მართლაც ვერ მოერეოდა. — სამაჩაბლოდან მშვიდობით დამიბრუნდა ჩემი გივიკო, სიყვარული მას ამერიკაში იხმობდა, ყველა საბუთი გამზადებული გვქონდა. თვითმფრინავის ბილეთის ჯავშნის ქვითარსაც კი ინახავს გამწარებული დედა, მაგრამ ამ დროს ატყდა აფხაზეთში ომი, ჩემს გივიკოს ერთი წუთიც კი არ უფიქრია, იარაღი აიღო ხელში და წავიდა სამშობლოს მიწის დასაცავად: დედი, რომ დავბრუნდები, ამერიკაში მერეც მოვასწრებ წასვლას, ტატა და სიყვარული მოიცდის, სამშობლოს კი გაჭირვებაში ვერ დავტოვებო. წავიდა და 1992 წლის 19 აგვისტოს ოჩამჩირის მისადგომებთან მტრის ულმობელმა ტყვიამ არც გივიკოს სილამაზე, სიყვარული, ოჯახი და სამშობლოსათვის ანთებული გული არ დაინდო...

(გაზეთი „თბილისი“, 18 დეკემბერი, 1992 წელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან გოდერძიშვილი გახსენებაში წერს): „19 დეკემბერს 19 წელი უნდა გეზეიმა, გივიკო, მაგრამ მშობლიური მიწის სიყვარულით ანთებულმა 19 აგვისტოს დაასრულე ოცნებებით გავარდისფერებული ოცდაცხრა. მტრის ულმობელმა ტყვიამ არ დაგინდო, მაგრამ იმავე ტყვიამ გაქცია გმირად. შორეული ქვეყნისაკენ გიხმობდა შენი ტატა, ჩქარობდი კიდეც მასთან წასვლას. ის ბედნიერი დღეც არ იყო შორს, გული ატლანტის შტატისაკენ გეწეოდა, მაგრამ ქართული მიწის კვნესა მოსვენებას არ გაძლევდა. სამაჩაბლოდან წამოსული აფხაზეთის გზას დაადექი. ეს შენი მიწის ძახილი იყო.

მიჰყევი მას და... ამაღლდი.

ვაი რომ, სულეთს წასვლამდე შენ და ბევრმა შენისთანა ვაჟკაცმა ვერ მოასწარით მომავლის იმედათ დაგეტოვებინათ „ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

გივიკოს დაკრძალვაზე ტატამ ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ გვირგვინი მოიტანეს მისი შეკვეთით:

გივიკო!

„ულმობელი ბედისწერა ვერ მოკლავს
ჩვენს სიყვარულს“
შენი ცრემლიანი ტატა.

ქალბატონი ლარისა დღეს ტატას წერილებით საზრდოობს, რომელიც ჩვეული სიყვარულით და სითბოთი სავსე წერს მას, ჩემი სული თქვენთან არის, მე აქ მხოლოდ ფიზიკურად ვარსებობო.

ქალბატონმა ლარისამ თქვა: ჩემი გივიკო საბურთალოზე „ძმათა სასაფლაოზეა“ დაკრძალული, მე რატომღაც არ მინდოდა ქვაზე სურათი გამეკეთებინა, მაგრამ ტატამ მომწერა და მთხოვა: „მართალია, მის სილამაზეს ვერც ქაღალდი და ვერც ქვა ვერ აღიქვამს და გამოხატავს, მაგრამ სურათი მაინც გააკეთეთ ქვაზე და ჩემს სახელზე წარწერაც გაუკეთეთ: **„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“... შენი ტატა.**

გივი გიორგის ძე რობაქიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის II ხარისხის** ორდენით.

ნარგიზა ლომთაძე

თამაში დამთავრებულია! ანუ შეკითხვა: მკვდრები საფლავიდან დგებიან?!

ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის უპირველესი და უწმინდესი ხატი სამშობლო, მისი ერთიანობა და თავისუფლება გახლავთ.

ეს ჭეშმარიტება კარგად გვესმის აფხაზეთის ქართველობას, რამეთუ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აშკარად ვხედავდით, თუ როგორ ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ საქართველოსათვის ეს ულამაზესი და უმშვენიერესი მხარე, როგორი სითავხედითა და დაუნდობლობით ანგრევდნენ, პირისაგან მიწისა ჰგვიდნენ აფხაზეთის ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს, დამშვენე-

ბულთ ქართული ასომთავრული წარწერებითა და ორნამენტებით.

აფსუა სეპარატისტები, გაბანგულნი ისლამური იდეოლოგიით, ცალკე ამ ძველისძველი ქართული ქრისტიანული კულტურის მემკვიდრეობაფ[illegible] ხალხებ[illegible] დნენ თავს და ცალკე მეჩეთის აშენებლობაზე ოცნებობდნენ, ცალკე [illegible] რუსული იმპერიის გულის მოსაგებად თითქოსდა აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან მიერთების პროვოცირების ცდას ახდენდნენ. ამ ქაოტურმა, შავმიზნურმა თამაშმა განსაზღვრა ვლადისლავ არძინბასა და ძმათა მისთა ალიანსი, ე. წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სამი ყრილობის ჩატარება ქართულ მიწაზე — სოხუმსა და ცხინვალში, ბოლოს კი მიმდინარე წლის ივლისის თვეში აფხაზურ-ადიღეური ფესტივალი ქალაქ სოხუმში და ამ ფესტივალის ნიღბით აფხაზეთში შემოზიდული აურაცხელი იარაღი, აქ შემოსული და ჩასაფრებული ასობით კავკასიელი გადამთიელი ბოევიკი. სწორედ მათი იმედითა და წაქეზებით მოხდა აფსუა და ბლოკ „სოიუზის“ მიერ არჩეული დეპუტატების მიერ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების საწინააღმდეგო, ანტიკონსტიტუციური აქტების მიღება, მათ შორის „აფხაზეთის რესპუბლიკის“ გამოცხადება, ისლამური დროშისა და სხვა სახელმწიფო სიმბოლიკების მიღება, მონონაციონალური აფხაზური გვარდიის შექმნა და მისი არძინბაზე დაქვემდებარება, რომლის წყალობით მთელი აფხაზეთის მოსახლეობა — ქართველი თუ არაქართველი — მძევლის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ოდით სვანო-კოლხური ქრისტიანული აფხაზეთი შუასაუკუნოვან ისლამურ სამთავროს დაემსგავსა: ისლამური დროშები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობებზე, აეროპორტსა და „აფხაზეთ-სამეგრელოს“ საზღვრებზე, ენგურთან. ახალი დიქტატორული მმართველობის შემოღება აფხაზეთის ყველა რაიონსა თუ ქალაქში, რომელთა მეთაურები მხოლოდ ერთ პიროვნებას — მანიაკ არძინბას ემორჩილებოდნენ. უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს აპარატი ხომ მთლიანად აფხაზური ეროვნების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

სოხუმში, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ასეთ კურიოზსაც ჰქონდა ადგილი: არძინბას მიერ ქალაქის ახლადშექმნილი ადმინისტრაციის მეთაურის (რასაკვირველია, ანტიქართველის!) მითითებით ქართველ თანამშრომელთა კაბინეტებს უქმე დღეს გასაღებები გამოუცვალეს და ათეული წლობით ნაღვაწ-ნამუშევარი ქართველი მუშაკები ქუჩაში დატოვეს. რასაკვირველია, ეს კაბინეტები ყველა, უკლებლივ, აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებმა დაიკავეს. მათ შეუვალობას ე. წ. აფხაზური გვარდია იცავდა.

აფხაზეთში ჩვეულებრივი და აშკარა გახდა ცინიკური მოწოდება: „ყველა ქართველი აფხაზეთიდან ენგურგაღმა“.. ამ მოწოდების ცხოვრებაში განხორციელებისათვის ყველაფერს აკეთებდნენ აფხაზი სეპარატისტები.

აბა, ამის შემდეგ რა დარჩენოდათ საქართველოს ხელისუფალთ, თუ არა სამართლიანობის აღდგენა აფხაზეთში?!

მტერი, რომელიც განსაკუთრებით მოეძალა დღეს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის მებრძოლ საქართველოს, ყოველნაირად ცდილობს რესპუბლი-

კის მთავრობის მიერ გადადგმულ ყოველ სამართლიან ნაბიჯში პროვოკაციას დაინახოს.

აბა სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ამოდენა ხმაური იმის შესახებ, რომ ქართული გვარდია მის მშობლიურ, ღვიძლ მიწაზე — აფხაზეთში შემოვიდა სამართლიანობისა და წესრიგის დასამყარებლად და შინაური თუ გარეული მოლაყბენი მას აგრესორს უწოდებენ?!

განა სადმე ან ოდესმე გაგიგიათ საკუთარი მიწა-წყლის აგრესია?!.

ყველა უბედურების მიზეზი, რაც დღეს აფხაზეთს დაატყდა თავს, ის გახლავთ, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებიც ძირითადად გუდაუთური ისლამური კლანისაგან შედგება და, რომელსაც ვლადისლავ არძინბა და აფხაზური სახალხო ფორუმის — „აიდგილარას" სპიკერი სერგეი შამბა უდგას სათავეში, ნამდვილ ქრისტიანულ აფხაზობას დაავიწყეს, თუ აიძულეს დავიწყებინათ თავიანთი წარსული, როცა აფხაზი სახლს აშენებდა და სარკმელს აღმოსავლეთისაკენ ატანდა, ნიშნად ქართველთან ძმობისა და თანადგომისა. დღეს ეს პირწავარდნილი კარიერისტები და უცხო ძალთა ლაქიები, დახარბებულნი რბილ და თბილ სავარძლებს, ყველა ქართველში მტერსა და აგრესორს ხატავენ, რათა ხაზი გადაუსვან ყოველივე ქართულსა და ქრისტიანულს და თვალი იქეთკენ უჭირავთ, საიდანაც თავად არიან ჩამობრძანებულნი.

ისლამს ადიდებდე, მუჰამედს ქედს უხრიდე და თან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანო-კოლხური ქრისტიანული ცივილიზაციის მემკვიდრედ და ბატონპატრონად მიგაჩნდეს თავი, პარადოქსულიცაა და აბსურდულიც.

გამაოგნებლად მკრეხელური იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ტრადიციონალისტთა კავშირის სპიკერის აკაკი ასათიანის ამასწინანდელი ორგზისი გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით, როცა იგი იაფფასიანი, გულისამაჩუყებელი მოჩვენებითი კეთილშობილებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს და საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფალთ, გამოიჩინონ გულმოწყალება და ისევ დაუთმონ (უკვე მერამდენედ!) აფხაზ სეპარატისტებს იმ მიზეზით, რომ აფხაზები საქართველოში უმცირესობას წარმოადგენენ.

კარგი დაგემართოს, რადგან უმცირესობა ხართ, მაშ, ჩემს ხარჯზე უნდა იცხოვრო და ჩემი სისხლი უნდა წოვო!.. დიახაც, ვერაფერი ლოგიკაა!.

ბატონ აკაკის უნდა შევახსენო ანბანური ისტორიული ჭეშმარიტება, რომ დღემდე გაბატონებული ყველა კლასი, ფენა თუ კლანი დიახაც უმცირესობას წარმოადგენენ, ხოლო უმრავლესობა — ექსპლოატირებულს. სწორედ მსგავს გაბატონებულ და ექსპლოატატორულ კლანად აქცია იმპერიულმა ძალებმა აფხაზი და ოსი ექსტრემისტები და მათი დამქაშები საქართველოში.

გარდა ამისა, გულცივი მამინაცვლის კეთილშობილებას იჩენს ბატონი აკაკი, როცა გულმოწყალედ მფარველობს აფხაზ ექსტრემისტებსა და სეპარატისტებს, რომელთაც ასე უმოწყალოდა და გულქვაობით დაგვახვიეს თავს გადამთიელი ბანდიტები.

ჯერ ერთი: თუ აფხაზეთი მართლაცდა საქართველოა, მაშინ არამც და არამც ქართულმა ჯარმა არ უნდა დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია. მეორე, ჩვენ, აფხაზეთის ქართველობა რამდენადმე უფრო ძლიერნი და მრავალრიცხოვანი ვართ, ვიდრე სამაჩაბლოს ქართველობა. ამიტომ დროა, მორჩილებისა და მონობის სინდრომი მოვიშოროთ, ძილბურანიდან გამოვიდეთ და 250 ათასი ქართველიდან 30-მა ათასმა მაინც ავიღოთ იარაღი ხელში, რომ ჩვენი თავი ჩვენვე დავიცვათ. მაშინ მე მგონია, ვერც შინაური და ვერც გარეული მტერი ჩვენ ვერ დაგვჩაგრავს.

ჯანო ჯანელიძე



არჩილ
როზომაშვილი

დაიბადა ქალაქ ყვარელში 1968 წლის 28 იანვარს. სწავლობდა ყვარლის სკოლა-ინტერნატში. სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში მწყემსად.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი. (ზემდეგი).

დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ გაგრაში.

დარჩა დედა — ლენა როზომაშვილი.

ძმები — გელა, ბაკური, ჯუმბერი ჯიმი, და — ნანა.

არჩილ როზომაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ საბაშვილი

ვლადიმერ (რომა) ანატოლის ძე საბაშვილი დაიბადა 1967 წლის 23 იანვარს, თბილისში. გაიზარდა ბორჯომში, აქვე დაამთავრა ბორჯომის რუსული საშუალო სკოლა. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მუშაობდა ავტოგასამართ სადგურში. იყო თავმდაბალი, წყნარი, უყვარდა მეგობრები, სამშობლო. აფხაზეთში საომრად წავიდა 1992 წლის 30 აგვისტოს, იბრძოდა გაგრის მისადგომებთან. აქვე დაიღუპა 23 სექტემბერს. დარჩა მეუღლე, ქალი და წლისა და ოთხი თვის ვაჟი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მევლუდ საბაშვილი

მევლუდ მირიანის ძე საბაშვილი დაიბადა 1972 წლის 2 სექტემბერს, გორის რაიონის სოფ. ქვემო არცევში. 1978 წელს შევიდა ქვეშის საშუალო სკოლაში, დაამთავრა 8 კლასი. მას ჰქონდა ხატვის დიდი ნიჭი და 1987 წელს შევიდა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელში, სადაც 4 წელი ისწავლა და ბრწყინვალედ დაამთავრა სამხატვრო სასწავლებელი 1991 წელს.

სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დანიშნული იყო ქვეშის საშუალო სკოლაში ხატვის მასწავლებლად, მაგრამ მას აღშფოთებდა სამშობლოს ბედი და ჩადგა მის დამცველთა რიგებში. მევლუდი პირნათლად ასრულებდა სამხედრო დავალებებს, რის გამოც ყველას უყვარდა. 1992 წლის 12 აგვისტოს შედის სოხუმში, სამშობლოს მიწის დასაცავად. მას ბევრი სურვილი ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ... მტრის ტყვიამ აღარ დააცალა და 1992 წლის 31 აგვისტოს გმირულად დაეცა ეშერასთან ბრძოლის დროს. 2 სექტემბერს კი მის მშობლებს და მეგობრებს მისი დაბადების დღე უნდა ეზეიმათ.

ზუსტად სექტემბერში, ზუსტად იმ ორში მას ოცი წელი უსრულდებოდა. დაბადების დღეს ვუხდიდით მევლუდს, მაგრამ ეს დღე მას სიკვდილმა გადაუხადა. ზუსტად იმ დღით დედას გმირულად დაღუპული შვილის სიკვდილი ამცნეს.

მევლუდის სახელი სამარადისოდ იცოცხლებს მისი მეგობრების გულებში.

მევლუდ საბაშვილის მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინ სამსონიძე

22 წლის სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ახალციხის რაიონის სოფელ გიორგიწმინდიდან იყო. მან ყველაფერი მოასწრო, ორი ვაჟკაცი — 5 წლის ბესიკი და 4 წლის ბექა დაუტოვა საქართველოს, კაი ყმის, გმირი ვაჟკაცის სახელი შვილებს.

სკოლა გიორგიწმინდაში დაამთავრა, შემდეგ იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური, დაოჯახება. მაგრამ როცა სამშობლოს მისი ვაჟკაცობა დასჭირდა, ის უყოყმანოდ ჩაირიცხა მოხალისედ ბატალიონ „ავაზაში", წავიდა აფხაზეთში და გმირულად იბრძოდა. ყველასათვის საყვარელი, თბილი, ენატკბილი იყო როინი. ბიჭები მოფერებით „სალამურას" ეძახდნენ.

2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დღეს, იგი ვაჟკაცურად შეეგება მტერს და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

დაკრძალულია მშობლიური სოფლის სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ სამხარაძე

თეიმურაზ (თემო) რობერტის ძე სამხარაძე დაიბადა ქ. თბილისში 1972 წლის 13 მაისს. 1978 წელს სასწავლებლად შევიდა თბილისის ახალგახსნილ 71-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1989 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები კუიბიშევის (ახლანდელი სამარის) რკინიგზათა მშენებლობის ინსტიტუტის გზათა მშენებლობის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე და დახურა 3 კურსი.

ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ ვაჟკაცს კიდევ უფრო განუმტკიცა სამშობლოს სიყვარული ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ბატონმა თედო კოზირიძემ, რომელმაც თავის სადამრიგებლო კლასში შექმნა ეროვნული სულისკვეთების გამომჟღავნების, საქართველოს წარსულის შეფასების, აწმყოს გათავისებისა და ბედნიერი მომავლის იმედის ატმოსფერო.

თემურისათვის ბედნიერება მხოლოდ თავისუფალ, ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერ საქართველოში იქნებოდა სრულყოფილი, რაშიც დაგვარწმუნა მისმა ხანმოკლე. მაგრამ ასაკისათვის ძნელად შესაფერმა განვლილმა გზამ.

1988 წლის ნოემბერში მან პირველმა ააფრიალა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა სკოლის შენობაზე და წინ გაუძღვა საკუთარი და მეზობელი სკოლების მოწაფეებს მშობელი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ნაადრევად დაავაჟკაცა, როგორც ბევრი მისი თანატოლი, 1988 წლის ნოემბერში, 1989 წლის თებერვალსა და 9 აპრილს გადატანილმა ქართველი ერისათვის დაუვიწყარმა სულიერმა და მორალურმა განცდებმა და პატივი ხვდა გამხდარიყო საქართველოში პირველი დისიდენტური ორგანიზაციის სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრი.

სისხლის ყივილისა და ძლიერი გენის გამოვლენის პირველი ხიშანი გამოჩნდა მის მიერ, ჯერ კიდევ 1987 წელს, 15 წლის ასაკში დაწერილ და მეგობრებში კონსპირაციულად გავრცელებულ წერილში სათაურით „როგორ მოვუპოვოთ საქართველოს დამოუკიდებლობა“. წერილში ნათლად იგრძნობა ჩვენ შობლისათვის გულანთებული ყმაწვილის საღი აზრი და ძლიერი სულისკვეთება — „მე ვიცი, მრავალი პრობლემა მრჩება გასაანგარიშებელი. ზოგი შეიძლება ჩემთვის უცნობია, ზოგიც ნაცნობი, მე ჯერ ყმაწვილი ვარ და ეს ჩემთვის დასანახავია. რაც დავინახე, დავწერე და ცხოვრების მანძილზე რასაც დავინახავ, კვლავ დავწერ“. წერილის დასასრულს ვკითხულობთ — „მე ლექსებს ვერ დავწერ საქართველოზე, რადგანაც პოეტური ნიჭი არ გამაჩნია! მეც ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი და ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო საქართველოს!“

ფიზიკურად უზადოს, გონიერსა და ზნეკეთილს არც უღალატია არჩეული გზისათვის. ძლიერი სულით და ნათელი რწმენით შეძლო ჩამოეყალიბებინა ახალგაზრდული საქველმოქმედო კავშირი „ჰერეთი“, რომელმაც მიზნად დაისახა დანგრეული ისტორიული ძეგლების აღდგენა საქართველოს სასაზღვრო ზონებში. 1990 წლის ზაფხულში თემურის ხელმძღვანელობით სტუდენტებისაგან შემდგარმა თანამოაზრეთა ჯგუფმა დაიწყო გამწმენდი სამუშაოები ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული VI საუკუნის მსხალგორის წმინდა გიორგის ეკლესიის (სავარაუდო სამონასტრო კომპლექსი) ტერიტორიაზე.

1991 წელს აღნიშნულ ძეგლზე მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პრეზიდიუმმა საპატრრიარქოსთან და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გასცა ღია ფურცელი სამუშაოების ჩასატარებლად. იმავე წლის ზაფხულში სტუდენტთა უფრო გაზრდილი ჯგუფის თანხლებით გაგრძელა ძეგლის აღდგენისათვის აუცილებელი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები არქეოლოგის, არქიტექტორის და ბოდბის ეპარქიის წარმომადგენლის მონაწილეობით.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ზურაბ ჭავჭავაძის საქველმოქმედო ასოციაციის დაარსებაში და იყო მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1991 წლიდან იყო მხედრიონის ქართველ მაშველთა კორპუსის მებრძოლი და ყველა ცხელ წერტილში იარაღით იცავდა სამშობლოს საოცნებო თავისუფლებასა და ერთიანობას.

1992 წლის ზაფხულში დაინიშნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრთაგან შემდგარ მოხალისეთა სამხედრო შენაერთის „ილიას ლაშქრის“ მეთაურად.

1992 წლის 30 ოქტომბერს აფხაზეთში — საქართველოს ძირძველ მიწაზე მიმდინარე ბრძოლების დროს, მტრის 8 ტყვიით დაჭრილმა ვაჟკაცმა 31 ოქტომბერს, გამთენიისას, 5 წლის წინ ნაფიქრალით — „მეც ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი და ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო საქართველოს“, მიიტანა თავი საოცნებო სამშობლოს სამსხვერპლოზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „გაუმარჯოს საქართველოს!“

ღირსეული პატივი მიაგო ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ სამშობლოს ღირსეულ შვილს, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის განკარგულებით. პანაშვიდი და წესის აგება ჩატარდა ქაშუეთის ეკლესიაში. თემურ სამხარაძის ნათლითძოსილი ცხედარი ამავე ეკლესიიდან გამოასვენეს 1992 წლის 7 ნოემბერს.

დაკრძალულია თბილისის საბურთალოს ძძათა სასაფლაოზე.

მისი ხანმოკლე, მაგრამ ღირსეულად გატარებული ცხოვრებითა და კაცური სახელით ამაყობენ მისი ორი ძმა, მისი მშობლები, ძმისშვილები, ნათესავები და მეგობრები.

ირაკლი სამხარაძე

ირაკლი შალვას ძე სამხარაძე, დაბადებული 1962 წლის 30 ნოემბერს, ონის რაიონის სოფელ ღარში. ეროვნებით ქართველი, განათლება საშუალო-პროფესიული, ცოლშვილიანი.

სოფელ ღარის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის 131-ე პროფსასწავლებელში.

1982 წლის მაისში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1992 წლის ოქტომბერში მოხალისედ შევიდა ეროვნული გვარდიის „ავაზას“ ბატალიონში და იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში. 23 დეკემბერს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს გმირულად დაიღუპა.

დასაფლავებულია ონის რაიონის სოფელ ღარის სასაფლაოზე.

ვეფხვ[illegible] სანაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფხვია ბახუტის ძე სანაია დაიბადა 1969 წლის 1 მაისს, ოჩამჩირის რ-ნ ი. ონის სოფელ კოჩარაში.

დაიღუპა 1992 წლის 5 დეკემბერს.

სამშობლო არ დაივიწყებს მისი ღირსეული შვილის სახელს!

ანზორ სარალიძე

ანზორ გიორგის ძე სარალიძე დაიბადა 1947 წელს, თელავში.

იყო ეროვნული გვარდიის ქიმიური სამსახურის ოფიცერი. იბრძოდა აფ-ხაზეთში.

გმირულად დაიღუპა. დარჩა მეუღლე და ერთი შვილი.

ანზორ სალარიძე სიკვდილის შემდეგ **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ეროვნული გვარდიის სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ
სახამბერიძე

თეიმურაზ მამიას ძე სახამბერიძე დაიბადა 1964 წელს ქუთაისში. 1971 წელს სწავლა დაიწყო თბილისის მე-8 საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლობდა 85-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს.

1981-1982 წ.წ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში, საძიებო განყოფილებაში.

1982 წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის ფილიალის ქიმიურ ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობდა რუსთავის ქიმიურ ქარხანაში. პირველი კურსის დახურვის შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ღღის დასწრებულ განყოფილებაზე, ქიმიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. განაწილებით ერთი წელი იმუშავა მეტეხის აგურის ქარხანაში ცვლის უფროსად. ამის შემდეგ მუშაობას აგრძელებს თბილისის ფარმაცევტულ ქარხანაში.

1992 წლის 1 აგვისტოდან 1993 წლის 9 ივლისამდე იმსახურა ქართულ ეროვნულ გვარდიაში, ორხევის ცალკეული ასეულის მეთაურის მოადგილედ. მინიჭებული ჰქონდა კაპიტნის წოდება. მონაწილეობდა აფხაზეთში საომარ მოქმედებაში.

1993 წლის 9 ივლისს თეიმურაზ სახამბერიძე გმირულად დაიღუპა აფხაზეთში ტამიშის ხიდთან მოწინააღმდეგის დესანტის შემოტევის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ
სებისკვერაძე

დაიბადა 1967 წლის 6 თებერვალს ქარელის რაიონის სოფელ აბანოში.
დაიღუპა სამაჩაბლოში.
ღმერთო, აცხონე მისი სული!

ვიტალი სევორიანი

ვიტალი გიორგის ძე სევორიანი დაიბადა 1969 წლის 22 მარტს თბილისში, აეროპორტის დასახლებაში ცხოვრობდა და საპარაშუტო სპორტი იზიდავდა. საწადელს მიაღწია კიდეც, თანრიგოსანიც გახდა. ამასთან გატაცებული იყო ხატვით, ხატავდა ტუშით. ავღანეთის ომშიც მიიღო მონაწილეობა. ბატალიონში გამოირჩეოდა თავდაჭერილობით. თბილისის აეროპორტში ყველას უყვარდა და აფასებდა ალალმართალ, გამორჩეულ ბიჭს, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს სახელისათვის, იტაცებდა სპორტი: საპარაშუტო ხტომა, თუ კარატე, ბავშვების აღზრდა სპორტულ სკოლაში და მრავალი სხვა, იყო ზედმიწევნით მუსიკალური და ლექსის მოტრფიალე, სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე.

საქართველოს მთლიანობას საფრთხე დაეშუქრა და ვიტალი სევორიანი სამშობლოს დამცველთა რიგებშია, მოხალისედ, ავღანელ ბიჭებს შეუერთდა.

სამი ნოემბერი საბედისწერო გამოდგა მისთვის. შრომა — ახალშენთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

თბილისელებს კარგად ახსოვთ როგორ გამოასვენეს კინოს სახლიდან აფხაზეთში დაღუპული ოთხი ავღანელი. ერთი მათგანი ვიტალი სევორიანი იყო.

ნაწყვეტი **ვიტალის** დღიურიდან: „სიცოცხლე ბედნიერებაა. მე ბედნიერი ვარ, რომ **ცოცხალი** ვარ. სიცოცხლე უნდა გამოსცადო — სიყვარულიც, დარდიც, ბედნიერებაც, უბედურებაც, მაშინ შეიძლება წახვიდე ამ ქვეყნიდან".

ასეთი იყო თბილისელი ბიჭი ვიტალი სევორიანი.

ვიტალი სევორიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ (ვოვა) სელეპანოვი

ვლადიმერ (ვოვა) ალექსანდრეს ძე სელეპანოვი, ეროვნებით სომეხი, დაბადა 1968 წლის 25 სექტემბერს, ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში 3-დან 6 წლამდე იზრდებოდა პირველ ექსპერიმენტალურ ბაღში. 1974 წლიდან 1985 წლამდე სწავლობდა თბილისის 52-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა კარგი მაჩვენებლებით. იმავე წელს ჩაბარა გამოცდები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ჩაირიცხა სატრანსპორტო ფაკულტეტზე. სკოლაში სწავლისას პარალელურად დაამთავრა მუსიკალური შვიდწლედი ფორტეპიანოს განხრით, იქვე დაიწყო ვარჯიში სპორტის სახეობებში, განსაკუთრებით უყვარდა მძლეოსნობა — სირბილი დიდ დისტანციებზე — იყო თანრიგოსანი, ხშირად გამოდიოდა სპორტულ შეჯიბრებებში სკოლის, ინსტიტუტის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის სახელით. მიღებული აქვს მრავალი დიპლომი და მედალი. 1985 წლის პირველ სექტემბრიდან ვოვა სტუდენტია. ორი კურსის დახურვის შემდეგ გაიწვიეს ჯარში. სავალდებულო სამხედრო სამსახური 1987-1989 წლებში გაიარა ყაზახეთის ტერიტორიაზე. ძალიან მძიმე კლიმატურ პირობებში — საიდუმლო სარაკეტო სახეობის ჯარში. 1989 წლის აპრილის ბოლოს გაერკვა ეროვნულ მოძრაობაში, გაიგო სად რა პარტიები იყო და რა მიზნები ამოძრავებდათ მათ, ესწრებოდა დემოკრატიული პარტიის მიტინგებს. მეხუთე

კურსზე იყო, როცა გადაწყვიტა აფხაზეთში წასვლა. აგვისტოს ბოლოს გამოცხადდა ვაკის რაიონის სამხედრო კომისარიატში და ითხოვა გაწვევა აფხაზეთში — მოხალისედ. 1 სექტემბერს თვითონვე გაიმზადა ჩანთა და გაუდგა გზას. სახლში დაიბარა, თითქოს მივლინებით მიდიოდა ვოლგოგრადში 2 კვირიო. ის მუშაობდა ასოციაცია „იბერიაში" მენეჯერ-კომერსანტად. ორი კვირის შემდეგ 15 სექტემბერს ინსტიტუტში დაიწყო სწავლა და მაშინ გახდა ცნობილი, რომ ვოვა იმყოფებოდა გაგრაში, სადაც 37 დღე დაჰყო და 7 ოქტომბერს თავის 103-ე ბატალიონის გადარჩენილ წევრებთან ერთად დაბრუნდა თბილისში. დაბრუნდა დაღლილი, დაჭრილ-დასახიჩრებული, ნაომარი, სხეულზე ჰქონდა უამრავი ჭრილობა, მარცხენა ყურიდან სისხლი სდიოდა, მარჯვენა თვალიდან — ცრემლისმაგვარი სითხე, მარცხენა მუხლი დამტვრეული ჰქონდა, გულთან ხორცი ამოგლეჯილი, მკლავი ნატყვიარი... საჭირო იყო მისი სასწრაფო მკურნალობა, მაგრამ მან ჯერ მოინახულა დაჭრილი და ცოცხლად გადარჩენილი თანამებრძოლები, ხოლო 19 ოქტომბერს დილით ისევე გაუფრთხილებლად „გაიპარა" აფხაზეთში და, აი, საბედისწერო დავალება: 2 ნოემბერს, მდინარე გუმისთის ხეობაში, როდესაც დაზვერვაზე გავიდნენ ის და მისი 3 თანამებრძოლი, მოულოდნელად მათ თავს დაესხა გადამთიელთა ბრბო და შესთავაზეს: „დაყარეთ იარაღი და ტყვედ დაგვნებდითო". ამ მოთხოვნაზე ვოვას 3 თანამებრძოლი ტყვედ გადავიდა. ვოვა დარჩა მარტო პირისპირ უამრავი მტრის წინაშე. გახსნა ცეცხლი და კიდევაც გამოასალმა სიცოცხლეს რამდენიმე გადამთიელი, მაგრამ ისინი ბევრნი აღმოჩნდნენ და ვოვა ცეცხლსასროლი იარაღებით დაცხრილეს — ასე დაასრულა მან თავისი 24 წლის სიცოცხლე და შეეწირა საქართველოს მთლიანობისა და დემოკრატიის წმინდა საქმეს. ვოვა იბრძოდა თავგანწირვით, შეუპოვრად, გმირულად და დაეცა ბრძოლის ველზე სრულიად ვალმოხდილი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეირან სილაგაძე

ჯეირან ჭიჭიკოს ძე სილაგაძე დაიბადა ცაგერას რაიონის სოფელ მახაში 1966 წლის 3 მარტს.

1982 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. დაბრუნების შემდეგ შეირთო ცოლი. ჰყავდა ორი შვილი — 5 წლის თეონა და 3 წლის შოთიკო. ცხოვრობდნენ ტკბილად, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდნენ სოხუმში, სოფელ ღვარდიაში, სადაც მალე დაიწყო ომი. ჯეირანი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ გული მაინც სოხუმში უწევდა და აი 16 მარტს გუმისთასთან ააფეთქეს 27 წლის ვაჟკაცი, რომელსაც მოგლიჯეს გული და მარჯვენა მკლავი.

ზვარაკად შეწირულ სულებს შეუერთდა მისი ლამაზი სული.

მეუღლემ ბევრი წვალების შემდეგ, მიცვალებული თავის მშობლიურ სოფელ მახაში ჩაასვენა და წინაპართა საძვალეს მიაბარა.

ჯეირან სილაგაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

* * *

დიახ! თუ მოძმეთ გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა...
გამოღვიძებულს სურვილს ქვეყნისას
ელს მოუმართავს, მრწამს მე, თვით ზეცა!..

ა კ ა კ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ სიხარულიძე

„გამარჯობათ, დედებო, დებო, ყველა მოკეთევ! მივდივარ აფხაზეთში საბრძოლველად. ნუ ინერვიულებთ. მე ვალდებული ვარ ჩემი მშობლების, ჩემი წინაპრების გულისათვის თავიც გავწირო.

ჩვენი ნაწილი ოცდამეხუთე ბატალიონია. მე არტილერისტი ვარ. როდის დავბრუნდები, არ ვიცი. მიხედეთ და მოეხმარეთ ჩემს ცოლ-შვილს,.

ღმერთი ჩვენთანაა, ამინ!“

ეს წერილი ქართველ შევარდენთა ლეგიონის რუსთავის სადროშოს შტაბში დაიწერა, მისი ავტორი — მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მგლინავი გურამ სიხარულიძე კი ოცდაორ აგვისტოს უკვე კოლხიდაში იყო და გადამთიელი ორი სნაიპერიც ჰყავდა უკვე მძევლად აყვანილი.

სამხედრო სამსახურში გავლილს ბრძოლა არ უჭირდა: ტყვიას ტყვიაში სვამდა. საქართველოს მიწის მოშურნე მტერს არ ახარებდა.

ერთხანს კი, როცა მიწყდებოდა ავტომატების კაკანი, არტილერისტი გურამ სიხარულიძე უბიდან ბავშვების სურათს ამოიღებდა — ვახტანგს და ცირას მიუალერსებდა.

— ნუ გეშინიათ, შვილებო, მამათქვენი კარგად არის. მალე ჩამოვალ!

მერე თანამებრძოლები შემოეხვეოდნენ გარს.

— გვიმღერე რამე, გურამ, გვიმღერე. ჰე, დავიწყოთ...

და ჭექდა ქართული სიმღერა ქართულ მიწაზე.

..ჩოხატაურელი ბიჭი ერთდროულად სწავლობდა ტექნიკურ და მუსიკალურ სასწავლებლებში. თავის ძმასთან გიორგისთან ერთად წერდა სიმღერებს და ასრულებდა თბილისისა და რაიონის ანსამბლებში. იყო ტექნიკური უნივერსიტეტის, ცეკავშირის, როკ-ანსამბლის, „გუბაზის“ და სხვა ანსამბლების წევრი. უყვარდა ლექსი, სიმღერა, სიცოცხლე...

ეს შინ..

...ოცდაექვს ოქტომბერს კი უკვე ოჩამჩირეში იყო.

ღამის ოთხ საათზე მათ მოულოდნელად თავს დაესხნენ დაქირავებული ბანდიტები.

— ბიჭებო, არ შეშინდეთ, თავს უშველეთ, — გადასძახა მებრძოლებს.

— მე დაზვერვაზე დავდგები. თქვენ გადით.

გურამ სიხარულიძის ავტომატის შემხვედრმა ცეცხლმა გზა გაუკაფა მებრძოლებს, თავად კი — ბრძოლის ველზე დაეცა როგორც გმირი!

„არა, არ შევარჩენ, ვფიცავ საქართველოს,
სისხლს საქართველოს უმწიკვლო შვილების,
დაე, მათთან ერთად სიკვდილი მელოდეს,
მეც მათთან ვიქნები,
მეც მათთან ვიქნები!“

ყოველდღე იმეორებენ გურამ სიხარულიძის მებრძოლები მისსავე სიტყვებს და მიდიან იერიშზე, რათა უკუაგდონ მოძალებული მტერი, იხსნან საქართველოს ერთიანობა.

მაყვალა ინასარიძე

კობა სოიტაშვილი

დაიბადა აგარაში. დაამთავრა დაბა აგარის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობა დაიწყო საქართველოს შაქრის კომბინატში აპარატის ოსტატად, სადაც გამოირჩეოდა მუყაითობით და დირექციის მადლობასაც იმსახურებდა. აქედან გაიწვიეს ეროვნულ გვარდიაში. იმსახურა ჯერ ბაკურიანში,

შემდეგ — ახალციხეში 1992 წლის მაისის თვიდან ხელახლა გაიძახეს საქართველოს შინაგან ჯარში, საიდანაც გაანაწილეს სამაჩაბლოში მშვიდობის მიღწევის მისიით.

1992 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მტრებმა მუხანათურად [illegible] ქარელის რაიონიდან 6 მებრძოლი, რომელთა შორის იყო კობა სოიტაშვილი [illegible] დედისერთა ვაჟკაცი. მას დარჩა სამი და და გულდამწვარი მშობლები.

რაიონის ხელმძღვანელობამ გმირებს კობა სოიტაშვილს, ზაზა ბუზალაძეს და გელა ფარასტაშვილს საბმო საფლავი მიუჩინა.

ელგუჯა სუარიშვილი

ელგუჯა არჩილის ძე სუარიშვილი დაიბადა 1965 წლის 16 თებერვალს ქალაქ ტყიბულში.

1982 წელს დაამთავრა ტყიბულის № 4 საშუალო სკოლა, 1983 წელს — ტყიბულის № 136-ე პროფ. სასწავლებელი.

1983—85 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ზემდეგის წოდებით.

1991 წელს შექმნა ოჯახი.

1992 წელს 27 ივნისს მოხალისედ ჩაეწერა ტყიბულის № 17 ბატალიონში.

1992 წელს 5 ივლისს დაიღუპა ერთ-ერთი შეტაკების დროს სამაჩაბლოში.

დაკრძალულია ტყიბულში.

მამა — არჩილ სუარიშვილი, პენსიონერი.

დედა — ელენე ჩოხელი-სუარიშვილი — გარდაცვლილია.

მეუღლე — ნინო ზაურის ასული ჭანტურიძე.

ელგუჯა არჩილის ძე სუარიშვილი ცხოვრობდა ქ. ტყიბულში, საბჭოს ქ. № 19-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაქარ
სულხანიშვილი

დაიბადა 1970 წლის 21 სექტემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში. 1987 წელს დაამთავრა გომბორის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ქ. თბილისის ტოპოგრაფიის ტექნიკუმში, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1990 წელს არმიელის გამოცდილებით დაბრუნებულმა გადაწყვიტა შესულიყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, ვინაიდან მიაჩნდა, რომ იგი იქ სჭირდებოდა მის სამშობლოს და ასეც მოიქცა. საგარეჯოს რაიგანყოფილებიდან გადაიყვანეს ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის განყოფილებაში, საიდანაც მოითხოვა გაეგზავნათ სამაჩაბლოში ქართველი მოსახლეობის დასაცავად, გაგზავნეს ქვემო ნიქოზში. 1992 წლის 9 ივნისს მორიგი შეტაკებისას იგი „ბერდეუმის“ მსროლელიც იყო და მძღოლიც. მან თანამებრძოლებს შეუძახა: თქვენ დაჭრილები გადაიყვანეთ, მე კი დაგიცავთო, და გადააყვანინა კიდეც დაჭრილები, თვითონ კი დაეცა სამაჩაბლოს სისხლით მორწყულ მიწაზე.

ბექან სურგულაძე

აფხაზეთში საქართველოს დამცველთა პატრიოტულ რიგებს კიდევ ერთი ვანელი ახალგაზრდა გამოაკლდა — სოფელ მერკულასთან გააფთრებულ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა სოფელ ბზვანში დაბადებული და აღზრდილი ბექან ლევანის ძე სურგულაძე.

შენი თანამებრძოლებისა და მეგობრებისათვის ძნელია ყველა იმ სიკეთის და იმ ვაჟკაცობის გადმოცემა, რასაც ამ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე აკეთებდი. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა წარმატებით დაამთავრე მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის შვიდი კლასი და სწავლა ქუთაისის 21-ე გაძლიერებულ საშუალო სკოლაში განაგრძე. სწავლის პერიოდში

განსაკუთრებულ ნიჭს სამხედრო საიდუმლოების დაუფლებას ახმარდი. ამიტომაც არ გაგვკვირვებია ის, რომ შენ საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯწავლა ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. კარგად ვიცოდით, რომ შენგან ნამდვილი სამხედრო გამოვიდოდა, 1981 წელს წარჩინებით დაამთავრე აღნიშნული სასწავლებელი სამხედრო ინჟინრის სპეციალობით და მოძმე ყაზახეთის დედაქალაქში — ალმა-ათაში დაიწყე მუშაობა.

1989 წლიდან საქართველოში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ეროვნულმა მოძრაობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მოძმე ყაზახეთიდან, ჩვენო ბეჟან, შენ ყურადღებით ადევნებდი თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტე — უარი გეთქვა იმპერიის ჯარში სამსახურზე და სამშობლოში დაბრუნებულიყავი, სადაც ის იყო ყალიბდებოდა ეროვნული საჯარისო ფორმირებები. შენ პირველი სამხედრო წრთობა ქუთაისში დისლოცირებულ გვარდიაში გაიარე. ახალგაზრდა, ნიჭიერი და მზარდი ოფიცერი ყველაფერს აკეთებდი კიდეც ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნა აფხაზეთში, შენ ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადექი სამშობლოს დამცველთა რიგებში. 27 წლის ახალგაზრდას ქუთაისის 213-ე პატალიონი ჩაგაბარეს და მამაცურად იბრძოდი კიდეც ქართული მიწის დაცვისათვის. საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულასთან გამართული ბრძოლები. მტრის ტყვიამ იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე.

გვიმძიმს, ძალიან გვიმძიმს უშენოდ ყოფნა. რა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ შენი გამწარებული მეუღლე ხათუნა, მშობლები, დედმამიშვილები, უახლოესი ნათესავები, ხოლო შენი ერთადერთი შვილი ლევანი, რომელიც ახლა 10 თვისაა, გვწამს, ნამდვილი ვაჟკაცი გაიზრდება და მამას სურათით გაიცნობს. რას ვიზამთ, ასეთია ომის ბუნება!

შაბათს, 6 მარტს, უკანასკნელად მიგაცილებთ სამუდამო სასუფეველთან, კიდევ ერთხელ დავიტირებთ შენს ნატყვიარ ცხედარს და ხმამაღლა ვიტყვით, რომ სამშობლო იყო შენი სალოცავი ხატი და უკანასკნელი ფიქრიც ცივ ნამარეში ჩაიტანე.

ბეჟან სურგულაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

თანამებრძოლებისა და თანაკლასელების ჯგუფი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ტატიური

დაიბადა 1968 წლის 11 მარტს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში — მისი მშობლები პედაგოგები არიან. 1983 წელს დაამთავრა თბილისის მე-10 საშუალო სკოლის რვა კლასი წარჩინებით. სწავლის გაგრძელება სურდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ამიტომ მუშაობა დაიწყო აკად. ფიფიას სახ. კლინიკურ საავადმყოფოში სანიტრად, პარალელურად კი სწავლა გააგრძელა საღამოს ცვლის საშუალო სკოლაში.

1986 წელს გაიწვიეს არმიის რიგებში, მსახურობდა ქ.გორში 6 თვის განმავლობაში, დანარჩენი დრო კი ნახჩევანში, ქ. ჯულფაში იმსახურა. იყო უფროსი ტანკისტი (დაჰყავდა „ბეტეერი"). 1988 წელს ჯულფიდან ჯარისკაცების ნაწილი და მათ შორის ზაზაც გადაყვანილი იქნა ყარაბაღში საჭიროების შემთხვევაში საომრად.

1988 წლის ნოემბრის თვეში დაბრუნდა თბილისში და დაოჯახდა კიდეც. მუშაობა დაიწყო თბილისის საიუველირო ფაბრიკაში. შეეძინა ქალი და ვაჟი.

1992 წლის თებერვლიდან სამსახური დაიწყო გვარდიაში, იყო „თეთრი არწივის" წევრი. ეგონა მას ვერაფერი მოერეოდა და გაწყვეტდა საქართველოს მტრებს.

იგი 1992 წლის 6 ივნისს, დილით ცხინვალის რაიონში, სოფელ თამარაშენის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს მეღვრეკისთან საფეთქელში მოხვედრილი ერთადერთი ტყვიით დაილუპა.

დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში, ძმათა სასაფლაოზე.

ლამარა აბესაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ტელიაფუსი

პეტრე ანატოლის ძე ტელიაფუსი დაიბადა 1956 წლის ოქტომბერს ქალაქ ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. დედა — ქართველი, მამა — პოლონელი. 1965 წელს შევიდა ა/კ რკინიგზის № 5 საშუალო სკოლის პირველ კლასში. დაამთავრა 1975 წელს. 1976 წლის ოქტომბერში გაწვეული იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა გერმანიაში, ქ. პოტსდამში. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ დაოლშვილდა და შეეძინათ ორი შვილი — მადონა და ანატოლი. მუშაობდა საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში, ხოლო შემდეგ გახსნილი ჰქონდა მცირე საწარმო, რომლის თავმჯდომარეც იყო. 1988 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. სამ წელზე მეტხანს იდგა იქ, სადაც საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა. პირველად წმინდა ილიას საზოგადოებაში შევიდა, შემდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი გახდა. არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია არ ჩატარებულა მისი მონაწილეობის გარეშე. მალე აფხაზეთში დაიღვარა ქართველთა სისხლი. ბევრ ქართველ პატრიოტიან ერთად პირველი გაეშურა მოძმეთა დასახმარებლად. 1989 წლის ნოემბერში, როცა სამაჩაბლოში დაიძაბა სიტუაცია, მხედრიონის სხვა წევრებთან ერთად ისიც იცავდა ქართულ სოფლებს, კვირაობით ტანგაუხდელი ნახევრად მშიერი ეხმარებოდა მიწისძვრის დაზარალებულებს. ის, როგორც გვარდიის ხაშურის ბატალიონის ერთ-ერთი მეთაური, ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იყო. 1992 წლის 13 ივნისს ტანკმა გასრისა გორში, როდესაც დაჭრილი გამოჰყავდა. ასე დასრულდა მისი ერთგულება თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას.

ნათელში იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ შარიან მიწა-წყალზე ვცხოვრობთ“

სულიერ ტკივილებს ასეთ დროს სალპუნად ედება ხოლმე გონიერებით, სიკეთით, სიყვარულით და იმედით გაჯერებული სიტყვები. მით უმეტეს, მათგან, ვისაც ვჯერა, ვისი მამულიშვილობა და პატრიოტიზმი გწამს...

ჩვენი კორესპონდენტი, რიტა ბაინდურაშვილი შეხვდა და ესაუბრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს.

...მოვიდა მტერი, გაგიქელა შენი ძოდგმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი, შეგიგინა სარწმუნოება. ცხადია, ამ კაცს კლავ, ძაგრამ იმიტომ კი არა კლავ, რომ გძულს. — უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გაგიქელა, შეგიგინა, წაგართვა ის, რაც გიყვარდა. შენი წინააღმდეგობა სიყვარულიდან იწყება, სიყვარულიდან მოდის ის მსხვერპლის გაღება, თავგანწირვა და ძლევამოსილებაც, წართმეულს რომ დაგიბრუნებს. ეს სიყვარულის ერთ-ერთი სახეა და არა სიძულვილი“ — „(დათა თუთაშხია“).

— დღეს საქართველოში ხდება ის, რაც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ხდებოდა და რაც მოხდება მომავალშიც. ნურვის ეგონება, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ამას შეიძლება ჰქონდეს პერიოდული ხასიათი, ანუ შეიძლება ჩაწყნარდეს, მაგრამ მერე ისევ ატყდება ომიანობა და ლეკიანობა.

ზოგს ჰგონია, რომ დღეს საქართველო განიცდის ყველაზე დიდ გასაჭირს, რომელიც მას ოდესმე გადახდენია. არ არის სწორი — ქართველი იყო, არის და, დარწმუნებული ვარ, მომავალი საუკუნეების განმავლობაშიც იქნება პერმანენტული ომის მდგომარეობაში. ამას თავისი მარადიული მიზეზები აქვს.

მე ერთხელ ერთ-ერთ ინტერვიუსა თუ სტატიაში ვიხმარე ასეთი გამოთქმა: „ჩვენ შარიან მიწა-წყალზე ვცხოვრობთ“. რას ნიშნავს ეს: კავკასია და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ტერიტორია მუდამ იყო, არის და იქნება მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გზაჯვარედინი. ყველა სახელმწიფოს, ვისაც კი მიაჩნია, რომ სამხედრო-პოლიტიკური პრეტენზიების უფლება აქვს, სურს ჩაიგდოს ხელში ეს ტერიტორია და დააკონტროლოს ქვეყნიერების ოთხივე მხარის ურთიერთკავშირი, ეს ვითარება იყო და დღესაც არის მიზეზი ჩვენი გამუდმებული საომარი მდგომარეობისა. თუ დავაკონკრეტებთ, დღეს ჩვენი ტერიტორია არის მსოფლიო ისლამის, რუსეთის იმპერიის და დასავლეთის საქრისტიანოს ინტერესების გადაკვეთის ადგილი.

„...მცირე ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით კაცობრიობის ან მისი ერთი ნაწილის წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა. სახელმწიფოს არსებობას საერთაშორისო ფუნქცია, ისტორიული მისია სჭირდება.

ქართველთა ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობას სული იმან ჩაუდგა. რომ დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისათვის განაპირა გოდოლის როლი ვიკისრეთ აღმოსავლეთში. მეორე მხრივ, სპარსეთისა და ბიზანტიისათვის ის ძალა გავხდით, რომელსაც ჩრდილოეთ მომთაბარეთა სამხრეთულ ... ბების დაკონტროლება შეეძლო. სახელმწიფომ შექმნა წესრიგი, სტაბილურობა მოიტანა. მაშინ ქართველთა მიწა-წყალზე გაიდო და გადაჯვარედინდა დიდი სავაჭრო გზები, განვითარდა ეროვნული ეკონომიკა, რომელმაც აზიურ აღებ-მიცემობაში დიდი ადგილი დაიკავა. ასეთი მსოფლიო-ისტორიული მისიის აღსრულება ნიშნავდა ათასნაირი მტრის მოგერიებას და სახელმწიფოც საომარ ყაიდაზე გვქონდა მომართული"...

— ჩვენი მოსვენება და სრული მშვიდობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ან ყველაზე და ყველაფერზე ძლიერები ვიქნებით, ან თუ ჩვენს მიწა-წყალს ვინმე დაავლებს ხელს და ცეცხლოვანი მიწის ტერიტორიაზე დასდებს, მიწისა, სადაც ძლიერთა ინტერესები ერ არ დაპირისპირებულან ისე რომ, ჩვენ და ჩვენი ჩამომავლობა მზად უნდა ვიყოთ მომავალი განსაცდელისათვის— ეს ჩვენი ერის ხვედრი და ბუნებაა. ამიტომაც სრულად უნდა გამოვიენოთ საერთაშორისო საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი. ამას ვაკეთებთ კიდეც. ამას აკეთებს კერძოდ ედუარდ შევარდნაძე და დასი მისი. ჩვენ რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ამდენი სხვადასხვა ჯურის და გვარის ინტერესების გადაკვეთას, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენს კისერზე გადადის? ალბათ ის, რასაც უპირისპირდებოდნენ ჩვენი წინაპრები — მტერთა წინააღმდეგობებზე თამაში და, რა თქმა უნდა, უდრეკობა, შეუპოვრობა დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზებზე და შეგნება, რომ თუ არ გავიმარჯვეთ, ჩვენ ის თაობა ვიქნებით, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, ქართველი ერის სახელმწიფოებრიობისა და ფიზიკური არსებობის ლიკვიდაციის ოქმზე მოაწერს ხელს.

„...რუსეთთან შეერთებამ ყველა პრობლემა ერთბაშად მოხსნა. გაგვანთავისუფლეს ომებისაგან, ლეკიანობისაგან, ამოწყვეტის საშიშროებისაგან, ბაგრატოვანთა ათასწლოვანი დინასტიისაგან და გადასახადებისაგანაც კი. ეს შესვენება ქართველი ერისათვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ ერთი კანონზომიერი რამ მოხდა, ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა, მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრულიად აღარაფერი. ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს...

— ქართველი ერი კუდაბზიკობას უნდა ერიდოს. ჩვენი ხსნა გონიერებაშია და არა ტრაბახში. გარემოებებს, რომლებსაც მე მოვიხსენიებ, ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს. ჩვენ ის ერი ვართ, რომელმაც რუსეთის იმპერიასა და მსოფლიოს მარტო მეოცე საუკუნეში რამდენიმე დიდი ადამიანი მისცა: სტალინი, რომელმაც შემდგომ თაობებს რუსეთის იმპერიის სახით მონსტრი დაუტოვა, ხოლო შთამომავლობას ავი კაცის სახელი; ორჯონიკიძე, რომელმაც რუსეთის იმპერიის ინდუსტრიულ პოტენციალს ჩაუყარა საფუძველი და მისი

სამხედრო ძლიერების წინაპირობა შექმნა; შევარდნაძე, რომლის მოდვაწეობას მოჰყვა დღევანდელ მსოფლიოში მრავალი ისეთი მოვლენა, რომლებმაც კაცობრიობის მეოცე საუკუნის ისტორიის მკვეთრი შემობრუნება განაპირობეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახ არ ვასახელებ კიდევ რამდენიმე პიროვნებას, რომლებმაც ასევე ლები როლი შეასრულეს მეოცე საუკუნის კაცობრიობის ასავალ-დასავალში.

ყოველივე ამას ვამბობ იმისათვის, რომ აღვნიშნო, რომ ჩვენ არა ვართ ხელწამოსაკრავი ერი. ჩვენს პოტენციალში კიდევ ბევრი ბრწყინვალე პიროვნების დაბადება და ჩამოყალიბება იგულისხმება და რჩება მხოლოდ ერთი რამ; ერმა გამოიჩინოს იმდენი ენერგია და გონება, რომ პირუთვნელად, ერთგულ-ერთსულად წაჰყვეს წინამძღოლს.

ვიტალი ტიელიძე

დაიბადა გორის რაიონის სოფელ ზერტში 1963 წლის 18 ნოემბერს. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ამბროლაურის მექანიზაციის ტექნიკუმი დაასრულა. წავიდა სამხედრო სამსახურში, იმსახურა უნგრეთში...

საოცრად უშიშარსა და გაუტეხელს ყველაფერში პირველობა სურდა. განსაკუთრებით სახიფათო საქმეში არ გაუშვებდა წინ არავის. ჰქონდა დიდი იუმორის გრძნობა, ძლიერ უყვარდა ბავშვები — ოჯახის შექმნას ომის დამთავრების შემდეგ აპირებდა.

სძულდა ორპირობა და სიცრუე. ვერ ეგუებოდა სპეციალური დანიშნულების ფორმის ტანსაცმელს, განსაკუთრებით კი სამხედრო ფორმას, მაგრამ სამშობლოს სიყვარულისათვის ყოველგვარი პირადული გასწირა და უყოყმანოდ ჩაეწერა მოხალისეთა რიგებში, მხედრულ ფორმასაც შეეგუა.

„აფხაზს მე პირველი არ ვესვრი, უცხო გადამთიელს კი არ დავინდობ", — ამბობდა ომში წასვლის წინ. სწორედ უცხოტომელთა შეკავება და მათი თარე-

შის აღკვეთა იყო უპირველესი საბაბიც და მიზეზიც ვიტალის აფხაზეთში წასვლისა, თორემ იქაური ქართველები და აფხაზები გორელთა ჩარევის გარეშეც შერიგდებიან და მორიგდებიანო, — უთქვამს.

თავგამეტებით იბრძოდა კოლხიდასთან, ვიდრე უცხოტომელებმა ზურგიდან არ შემოუარეს დიდი ძალებით. ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის — „ცეცხლის ნაფლეთებად აქცია გადამთიელთა ბრბოს თითქმის მთელი ათეული, მაგრამ ზურგში მუხანათურად ნასროლი სამი ტყვიით თვითონაც დაეცა ბრძოლის ველზე მის გორელ თანამებრძოლ ჯონი კოჭლავაშვილთან ერთად. კიდევ ორი ქართველის სიცოცხლე შეეწირა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ 30-მდე თანამებრძოლის სიცოცხლე კი გადაარჩინეს, რომლებიც ღამის ბრძოლაში ღამენატეხნი უთენიისას ისვენებდნენ, — აღნიშნეს შემდეგ ვიტალის თანამებრძოლებმა.

წავიდა ვიტალი და თან წაიღო სამშობლოსა და ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული, რომელთა მომავალს შესწირა თავისი ლამაზი სული და სხეული.

სამშობლოსათვის დაღუპული გმირები არ კვდებიან!



მამუკა ტოგონიძე

სოფელ შრომასთან უთანასწორო ბრძოლები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა 13 ივლისს.

— მებრძოლები ტყვია-წამალს ითხოვენ, მამუკა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, — მეთაურმა მხარზე დაკრა ხელი სართიჭალელ ჭაბუკს.

მამუკას გაელიმა, ნუ გეშინიათ, წუთში ბიჭებთან გავჩნდებიო და ტყვია-წამლით დატვირთული მანქანის საჭეს მიუჯდა. ოთხი თანამებრძოლიც თან გაჰყვა.

მძიმე იყო სავალი გზა. ის იყო, მიუახლოვდა კიდეც და გზაზე გაჩერებული მანქანა დახვდა. რაღაც წამებში მოხდა ყველაფერი. ბენზინი გადაუსხა. მანქანები დაიძრნენ და მტერმა „გრადი“ ისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ტოგონიძესთან ერთად დაიღუპა ოთხი ქართველი მებრძოლი და დაიჭრა ოთხი.

სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას შესწირა თავისი სიცოცხლე 22 წლის მამუკა ტოგონიძემ — ბატალიონ „თეთრი არწივის“ მებრძოლმა.

თეა მაჭარაშვილი

ვეფხია ტოლიაშვილი

დაიბადა 1974 წლის 2 აპრილს ცხინვალის (ამჟამად გორის) რაიონის სოფ. ქსუისში.

მამა — რობიზონ ტოლიაშვილი, საშუალო განათლებით, ქსუისის კოლმეურნეობის წევრი.

დედა — ლუბა ტოლიაშვილი — დიასახლისი.

1980 წელს ვეფხია ტოლიაშვილი შეიყვანეს ქსუისის საშუალო სკოლაში.

1992 წელს უნდა დაემთავრებინა საშუალო სკოლის სრული კურსი. მაგრამ რეგიონში წარმოქმნილმა ექსტრემალურმა სიტუაციამ არ დააცალა. X კლასში სწავლობდა, როდესაც მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა და იგი პირველი დღეებიდანვე ჩადგა მშობლიური მიწის ერთიანობის დამცველთა რიგებში, სწავლისთვის დრო აღარ რჩებოდა, რადგან ღამით მორიგეობდა, დღისით კი სხვა საქმეებით იყო დაკავებული.

იგი აიმედებდა თავის თავს და მშობლებს, რომ როცა მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, სწავლას გააგრძელებდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

1991 წლის 24 ნოემბერს მტრის ვერაგულმა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე სოფლის სათაყვანებელ ვაჟკაცს.

როლანდ ტოლიაშვილი

დაიბადა 1949 წლის 16 სექტემბერს გორის (ყოფილ ცხინვალის) რაიონის სოფელ ქსუისში.

მამა — არჩილ მიხეილის ძე ტოლიაშვილი — გლეხი, სამამულო ომის ინვალიდი. გარდაიცვალა 1970 წელს.

დედა — ანა ტოლიაშვილი — დიასახლისია.

7 წლისა შევიდა ქსუისის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1966 წელს, შემდეგ კი სწავლა განაგრძო თბილისის კოოპერაციულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშაობდა თავისსავე სოფელში.

1968 წლის მაისში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სადაც მსახურობდა 1971 წლის მაისამდე. მისი სამსახურის ადგილი იყო ბალტიისპირეთის სამხედრო — საზღვაო ფლოტი.

1972 წელს შექმნა ოჯახი. ჰყავს მეუღლე — ელისო სოლომონის ასული ტოლიაშვილი და სამი ვაჟი: არჩილი, ჭაბუკა, მოგელი.

1979 წლიდან მუშაობდა „თბილგვირაბმშენის“ № 13 რაზმში, რომელმაც ააშენა როკის გვირაბი, შემდეგ კი იმავე რაზმს გადაჰყვა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე. ამ გაერთიანებაში მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

1989 წლის 23 ნოემბრიდან, როცა დაიწყო ეთნოკონფლიქტი სამაჩაბლოში ქართველებსა და ოსებს შორის, როლანდ ტოლიაშვილი უყოყმანოდ ჩადგა

მშობელი მიწის დამცველთა რიგებში და იმყოფებოდა ყოველთვის იქ, სადაც ყველაზე ძალიან სჭირდებოდა თავის ხალხს. მისი ეს აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ოს ექსტრემისტებს. მას დასდევდნენ, რომ როგორმე ხელში ჩაეგდოთ. ეს ბნელი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს 1991 წლის 1 ნოემბერს. გზად მიმავალს ჩაუსაფრდნენ და საკუთარი მანქანიანად ახლობელ ნათესავთან და განუყრელ თანამებრძოლთან ანდრო (ცაცი) ოქროპირიძესთან ერთად შეიპყრეს იგი. როლანდის შეპყრობის ამბავი იმავე დღეს ცნობილი გახდა ყველასათვის და მოითხოვეს მისი დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. მის დაბრუნებაში მოითხოვეს ჯერ პატიმრობაში მყოფი ოსი მოქალაქის განთავისუფლება, შემდეგ კი დიდძალი თანხა (მილიონნახევარი). ყველაფრის შესრულება აღვუთქვით, მაგრამ ისინი დაპირებას არ გვისრულებდნენ, მხოლოდ გვაიმედებდნენ, რომ აუცილებლად გამოუშვებდნენ. ასე გვატყუეს 17 ნოემბრამდე, როცა განგვიცხადეს, რომ იგი წამებით მოკლეს 3 ნოემბერს, მაგრამ მაინც არ გვაძლევდნენ მის ცხედარს, ვიდრე მათივე ეროვნების ადამიანს, ქართველთა მიერ მძევლად აყვანილს, არ მიუყვანდნენ. დიდი წვალების, ძებნის შემდეგ ამ პიროვნებასაც მიაგნეს ამხანაგებმა და თანამებრძოლებმა. ამის შედეგად სიკვდილიდან 21-ე დღეს, 24 ნოემბერს გადმოვასვენეთ და მივაბარეთ მშობლიური სოფლის მიწას როლანდ ტოლიაშვილის ნატანჯი სხეული.

ვიდრე ცხედარს მოგვცემდნენ, იმით იმედგადაწყვეტილებმა, რომ მისი სხეული საერთოდ აღარ არსებობდა დედამიწაზე, მოვაწყეთ სიმბოლური დასაფლავება: მიწას მივაბარეთ ცარიელი კუბო, რომელშიც ელავა მიცვალებულის ტანსაცმელი და გადიდებული სურათი.

ცხედრის გადმოყვანისას კი ხელმეორედ ამოვიღეთ კუბო სამარხიდან და რაკი ჩაცმა შეუძლებელი იყო, ზეწრით გადავიტანეთ ცხედარი საავადმყოფოს საკაციდან კუბოში და ასე მოგვიხდა ერთი მიცვალებულის ორჯერ დასაფლავება.

როლანდ ტოლიაშვილის ახლობლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით უზუნაშვილი

დავით იურის ძე უზუნაშვილი დაიბადა 1965 წელს, თბილისში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის 140-ე საშუალო სკოლა. 1983-1985 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში — შორეულ აღმოსავლეთში. 1986 წლიდან სწავლობდა ხარკოვის საინჟინრო ეკონომიკურ ინსტიტუტში.

1991 წლის ნოემბერში დაბრუნდა სამშობლოში და 1992 წლის თებერვალში შევიდა ქართული ნაციონალური გვარდიის 28-ე ბატალიონში.

იბრძოდა ცხინვალში. 1992 წლის ივლისში გადავიდა „თეთრი არწივის" სადაზვერვო დივერსიული ჯგუფის ხელმძღვანელად.

პირველივე დღიდან მონაწილეობდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფის „თეთრი არწივის" წევრი, გვარდიის კაპიტანი დავით იურის ძე უზუნაშვილი გმირულად დაიღუპა 1992 წლის 1 სექტემბერს აფხაზეთში, მდ. გუმისთის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლაში.

* * *

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი:
„ოდელა-დელა-დელაო!"

ა კ ა კ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ
ურიდია

რევაზ ვარლამის ძე ურიდია დაიბადა 1953 წლის 22 აგვისტოს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. ჰყავს — დედა ლუბა წოწორია — ურიდია, შვიდი და-ძმა; მეუღლე — ლიანა ბეკურაშვილი, ორი შვილი — 11 წლის სოფიკო და 9 წლის მარიანა.

იყო სრულიად საქართველოს წმინდა ილია მარილის საზოგადოების წევრი და საქართველოს უზენაესი საბჭოს დაცვის თანამშრომელი. ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც მთავრობის სახლზე დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა აღმართა.

დაიღუპა ოსი ექსტრემისტების ხელით ქ. ცხინვალში 1990 წლის 12 დეკემბერს.

დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

* * *

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

აკაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ
უსენაშვილი

1987 წლის 14 ნოემბერს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა გერმანიაში. იყო ფრიადოსანი ტანკისტი. დაბრუნდა ოფიცრის წოდებით და 1990 წელს მისალები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე. დახურა სამი კურსი და ამით დამთავრდა მისი სწავლა.

ზურა ბავშვობიდანვე აღზრდილი იყო სამშობლოს სიყვარულით. უზომოდ უყვარდა დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, საქართველო.

მეოთხე კლასის მოსწავლე დედას ეუბნებოდა, მალე დადგება დრო, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება. საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ მიწებს, ეს აუცილებლად მოხდებაო.

ზურა სამაჩაბლოშიც იბრძოდა. გაგრაში პირველი დესანტი იყო, — ამბობდა იგი, — საქართველოს რამდენი საუკუნეა არ ჰყოლია თავისი დესანტი, დღეს კი პირველი დესანტი ვარო. მას ყოველთვის უხაროდა ცხელ წერტილებში პირველი წასულიყო, მეგობრებს უფრთხილდებოდა თავისთავზე მეტად. გაგრაში ბრძოლის დროს დაიჭრა თავის არეში, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. ბრძოლა ტამიშთან, სოფელ ანუარხოასთან საბედისწერო გამოდგა. დილიდან შემოუტია სატანკო ნაწილმა ცალკეულ სადაზვერვო და შავნაბადას ბატალიონებს, ალყაში მოაქცია მებრძოლები და ორი მხრიდან ტანკებით, ქვეითი ძალებით ცდილობდა მათ განადგურებას.

ამ ბრძოლას შეეწირა ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის მეთაურის პირველი მოადგილე ზურაბ უსენაშვილი. ასე დაასრულა ზურამ თავისი ლამაზი სიცოცხლე — 24 ლამაზი წელი.

ზურა ყველა ბრძოლაში ისე მიდიოდა სახლიდან, რომ მშობლებმა არ იცი-

დნენ, ურეკავდნენ მეგობრები, ზურა სასეირნოდ წავიდა რიგაში და ორ-სამ დღეში დაბრუნდებაო. ზოგჯერ თვითონაც ახერხებდა დარეკვას, გორიდან და სოხუმიდან ითხოვდა, ფოსტამ ისეთი ზარი მიეცით, რომ რიგას გავდეს, ... დაჩემს მართლა რიგაში ვეგონებიო. ბოლოს, როცა ოჯახმა გაიგო დაჭრილ შვილის ამბავი, ახლა ამ უკანაკნელად კოჯორში ნაწილის გადაყვანა მოიმიზეზა, ოჯახში მოსვლა დამაგვიანდებაო, ასე ელაპარაკა თავის დას ტელეფონით ამ დილით, როცა აფხაზეთში მიფრინავდნენ.

სიკვდილის შემდეგ პირველი საარმიო კორპუსის ცალკეული ბატალიონის მეთაურის პირველი მოადგილე ზურაბ უსენაშვილი გამოჩენილი მხედრული მამაცობისთვის **ვახტანგ გორგასლის** პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

გელა ფარასტაშვილი

დაიბადა 1972 წლის 30 მაისს ქარელის რაიონის დაბა აგარაში. სწავლა დაიწყო დაბა აგარის საშუალო სკოლაში 1978 წელს. დაჯილდოებულია წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის მიერ „იმედის სტარტების" რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებაზე IV–V კლასებს შორის პირველი ადგილის დაკავებისათვის. იყო წევრი როგორც სკოლის, ასევე რაიონული ნაკრები გუნდებისა როგორც მძლეოსნობაში, ასევე ფეხბურთში, წევრი აგარის „მეშაქრეს" ფეხბურთელთა გუნდისა, რომელიც რესპუბლიკის პირველობაზე გამოდიოდა. 1987 წლიდან. სკოლა დაამთავრა 1989 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო

შაქრის კომბინატში ხარატად. სამაჩაბლოში არეულობის პირველი დღიდანვე აქტიურად მონაწილეობდა პიკეტებსა და შეტაკებებში. 1991 წლის მაისში გაიწვიეს ეროვნული გვარდიის რიგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის 13 ივლისს ხელმეორედ გაიწვიეს საქართველოს შინაგან ჯარებში.

დაიღუპა 1992 წლის 13 აგვისტოს სამაჩაბლოში სამხედრო მოვალეობის შესრულებისას ოსი ბანდიტების ხელით მის 5 თანამებრძოლთან ერთად (რომლებიც სასტიკად აწამეს). იყო უცოლშვილო. დარჩა დედა — მერი ჩადუნელი, მამა — პავლე ფარასტაშვილი, და — მზია და ძმა — ზურა.

მერაბ ფანჯავიძე

მხოლოდ 18 ოცნებით სავსე გაზაფხულს მოესწრო მამით დაობლებული მერაბი. მართალია, ობლობას არც დედა და ახლობლები აგრძნობინებდნენ, მაგრამ მის ლამაზ თვალებს ოდნავი სევდა ყოველთვის დაჰკრავდა, წყნარი, ოდნავ გულჩათხრობილიც იყო, მაგრამ ოცნება და ხატვა ძალიან უყვარდა. თავის ნაფიქრალსა და განცდილს ქაღალდზე ან ტილოზე გადაიტანდა, თუმცა რამდენი უნდა მოესწრო 18 წლის ვაჟკაცს. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო, სიყვარულიც ადრიანად ეწვია, მაგრამ... მისი სამომავლო გეგმები და ოცნებები აუხდენელი დარჩა, რადგან მის საყვარელ სამშობლოს საფრთხე დაემუქრა და მერაბს შინ რა დასვამდა ან რა გული მოუთმენდა შორიდან ეცქირა ქვეყნის გასაჭირისათვის, ის კი არადა ორი წელიც მოიპარა, 20 წლისა ვარო და მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში“, 7 სექტემბერს ოჩამჩირეში წავიდა თავისი მიწის დასაცავად. უფროსებთან ერ-

თად ვაჟკაცურად იბრძოდა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მათ, მაგრამ 13 დეკემბერს მტრის ულმობელმა ტყვიამ არ დაინდო მისი ნორჩი სიცოცხლე და მისი ანთებული გული უმოწყალოდ ჩაიფერფლა. დარჩა აცრემლებული დედა, ცოლი და ძმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრძალულია თავის სოფელში — ასურეთში.

დავით ფარჯიანი

1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრაზე აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოწყობილი თავდასხმის დროს, ქალაქის გასასვლელთან შეუპოვარი შეტაკებისას გმირულად დაიღუპა დავით ვალიკოს ძე ფარჯიანი. დაღუპვის ადგილზე დავითი იმყოფებოდა მიკროავტობუსში, რომელიც მოწინააღმდეგემ ააფეთქა. დავითი მძიმედ დაიჭრა და ვერ გამოაღწია ავტობუსიდან, სადაც იგი დაიწვა.

ყოველივე ეს მოხდა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ პოზიციაზე.

დავითი ჯერ ხაშურის ბატალიონში იყო, მაგრამ ამ ბატალიონმაც მალე დაასრულა თავისი ისტორია, უმეტესი ნაწილი დაიღუპა, დანარჩენნი კი სხვადასხვა ბატალიონში განაწილდნენ. დავითმა მხედრიონი აირჩია და იგი საკუთარი მიწა-წყლის დაცვის სურვილმა დატოვა გაგრაში. გარდა ამისა, მას ჰქონდა კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი, რათა შეუპოვარი და დაუნდობელი ყოფილიყო მტრის მიმართ. ახსოვდა 1989 წელი, როცა მონაწილეობდა უსამართლო ბრძოლაში. ოღონდ, მაშინ გალის რაიონში ცხოვრობდა, სამშობლოსათვის თავგანწირულმა ვერც მარნეულის რაიონში მოისვენა, პირველი დღიდანვე ჩაება ომის ქარცეხლში. და 33 წლის ჭაბუკმა სიცოცხლე დაასრულა თავის საყვარელ გაგრაში. ვერ მოესწრო ვაჟიშვილის დავაჟკაცებას, დაიღუპა და დარჩა 7 წლის გიორგი და 32 წლის მეუღლე, უნუგეშოდ დატოვა ტანჯული

დედ-მამა — ვალიკო და გაბი ფარჯიანები. ძმის გამო შურის საძიებლად წავიდნენ მისი ძმები ვალოდია და მალხაზ ფარჯიანები.

1959 წელს დაბადებულმა, 1992 წელს სიცოცხლე მამულს შესწირა, ... ვიდა ჩვენგან და დატოვა კვალი სათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალე (ჩაგუნა) ფეიქრიშვილი

დაიბადა 1954 წლის 1 ოქტომბერს, კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში. დაამთავრა ხანდაკის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო პროფტექნიკურ სასწავლებელში ავტოშემკეთებლის სპეციალობაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც პირნათლად მოიხადა.

ჰყავს მამა, და, მეუღლე და ორი შვილი. დედა ადრე გარდაეცვალა, ის იყო მაშინდელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მან მთელი თავისი პატიოსანი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულს, ერის სამსახურს შესწირა. შვილებსაც სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგა. ალეს უზომოდ უყვარდა სამშობლო, თავისი კუთხე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ირგვლივ მყოფთ იწვევდა პაექრობაში საქართველოს ისტორიის ცოდნაში, შეეძლო უსასრულოდ ელაპარაკა ჩვენი ერის ისტორიაზე და დაეჯაჯნა ირგვლივ მყოფნი. აკი ამიტომაც ვერ დარჩა გულგრილი აფხაზეთის ომის გამო. მოხალისედ ჩაეწერა კასპის ბატალიონში და წავიდა საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად. ცოლისთვის ეთქვა: „ვიდრე მტერი ჩემს სოფლამდე მოვა და ცოლ-შვილს ამიწიოკებს, იქ უნდა წავიდე და სამშობლო უნდა დავიცვაო“.

რამდენიმე ხანს იბრძოლა, შემდეგ ცოლ-შვილს მონატრებული დაბრუნდა სახლში, უკანასკნელად მოეფერა შვილებს — ეკას და მურიკოს და ისევ წავიდა... ცოლისთვის დაებარებინა მალე დავბრუნდებიო, მაგრამ ვაგლახ, რომ მართლაც

მალე დაბრუნდა — სამი დღის შემდეგ წინა ხაზზე იბრძოდა ეშერასთან. 20 სექტემბერს, ღამის 2 საათზე, დახვერვაზე მიდიოდა. მაგრამ მტრისგან გამოსროლილი ჭურვი რამდენიმე მეტრში გასკდა და ჩაიფერფლა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ 1 ოქტომბერს 38 წელი შეუსრულდებოდა.

ამირან ფეიქრიშვილი

ოთარ ფერაძე

ბატონი ოთარი, ასე ვეძახდით „ავაზელები" მას, რადგან ის 47 წლისა იყო, ჰყავდა მეუღლე — ქალბატონი დალი, სამი შვილი, ორი შვილიშვილი და იყო დიდი ოჯახის პატრონი და დიდი ადამიანობის მქონე პიროვნება. ის ჩვენი მამაც იყო და მეგობარიც, ჩვენ ვთვლით, პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ რომ ბრძანა: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს", ნამდვილად დააკლდა ბატონი ოთარი ჭუთაისს და დააკლდა ჩვენს სულს, გულს და მთლიანად საქართველოს, მან თავისი კაცურ-კაცობით მოიხადა ვალი ოჯახის, მეგობრებისა და სამშობლოს წინაშე. თუ არა სამშობლოს უანგარო სიყვარული, სხვა რა ამოძრავებდა ამ ბედნიერ კაცს, ოჯახით დახუნძლულს, რომელიც მიწის ყივილის პირველივე დაძახებაზე დადგა სამშობლოს სადარაჯოზე, ლამაზი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, მოხალისედ ჩაეწერა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", ჰქონდა უფროსი ლეიტენანტის წოდება, იბრძოდა მამულის დასაცავად და 1993 წლის 3 თებერვალს აფხაზეთში, მტრის ტყვიამ შეაჩერა მამულისათვის ანთებული მისი გულის ფეთქვა-გმირულად მოიხადა ვალი ყველას წინაშე. მსუბუქი იყოს ბატონი ოთარი-

სათვის ქ. ქუთაისში წყალტუბოს ვზატკეცილზე ავტოქარხნის ახალ სასაფლაოზე დაყრილი მიწა.

ვამაყობთ „ავაზელები“ თქვენი კაცურ-კაცობით და იამაყებენ ჩემი ქალიშვილები და შვილები და შვილიშვილებიც, ბატონო ოთარ.

ოთარ ფერაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ნარგიზა ლომთაძე

იური ფიოლია

დაიბადა 1946 წელს. 1984 წელს დააცთავრა ხონის მექანიზაციის ტექნიკუმი ელექტროტექნიკოსის კვალიფიკაციით, 1981 წელს კი მოსკოვის სამთო ინსტიტუტი. შემდეგ დონეცკში, შახტში, უფროს ინჟინრად მუშაობდა. მერე ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროშია, უბნის უფროსად, სადაც იმუშავა 1986 წლამდე, 1986 წელს სამუშაოდ გადმოყავთ თბილისში „საქტრანსფეთქინდუსტრიაში“. მუშაობდა უბნის უფროსის თანამდებობაზე. 1992 წლის ნოემბრის თვეში გახდა დივიზიონ „თბილისელის“ წევრი და მიენიჭა ზემდეგის წოდება, 1993 წლის 6 დეკემბერს კი დაიღუპა ონიჩარის რაიონის სოფ. ცხენისწყალთან. დაეცა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ფინცაკია

ავთანდილ რევაზის ძე ფინცაკია დაიბადა ქალაქ ვორკუტაში — კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 1973 წლის 22 აპრილს.

1988 წელს დაამთავრა თბილისის 136-ე საშუალო სკოლის 9 კლასი.

1988 წლის პირველ სექტემბერს სწავლა განაგრძო თბილისის მე-6-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში: იყო ფართო პროფილის მეჩარხე, რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხის მე-4 თანრიგის ოპერატორი.

1991 წლის 1 ივლისს მუშაობა დაიწყო თბილმეტროპოლიტენის ელექტროდეპოში ხარატად.

1991 წლის 16 დეკემბერს გლდანის რაიონის სამხედრო კომისარიატიდან გაწვეული იქნა ეროვნულ ჯარში. იყო თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების პირველი ბრიგადის შემადგენლობაში.

1993 წლის 1 ივნისს, აფხაზეთში, კერძოდ ძველ კინდღში, მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა ოცმეთაური ავთანდილ ფინცაკია.

„შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე მხოლოდ,
დანარჩენები სამშობლოსთვის შეგიწირია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ფირგასიმოვი

დავით ფირგასიმოვი, ეროვნებით აზერბაიჯანელი, **დაიბადა 1964 წლის** 15 ივნისს. დაამთავრა თბილისის № 12 საშუალო სკოლა. სამხედრო ვალდებულება მოიხადა 1982-84 წლებში, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

იბრძოდა გაგრა-ლესელიძეში. 1 სექტემბერს გაიწვიეს 103-ე ბატალიონში, ბრძოლამ მოუწია კოლხიდის მთაზე. ჩასვლისთანავე მან თანამებრძოლების ოიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამ მოკლე დროში გააკეთა ის, რაც სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს შეეფერებოდა.

ჩასვლის მეორე-მესამე დღეს დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი. იგი უშუალო ძონაწილეობას იღებდა მტრის პოზიციებიდან დაჭრილების გამოყვანაში.

დიდი სიყვარულით სარგებლობდა მოსახლეობაში. მეთაურის ბრძანებას პირნათლად ასრულებდა.

გაგრა-ლესელიძის ტრაგედიის შემდეგ იგი ჩამოვიდა და შევიდა თავდაცვის სამინისტროში, „ავაზაში“. 19 ოქტომბერს მოხალისედ ჩაირიცხა 101-ე ბატალიონში, რომელიც ჩავიდა სოხუმში, სოფელ შრომაში, საიდანაც გაანაწილეს ახალშენში. შემდეგ ასეულის ზემდეგია, ზრუნავდა თანამებრძოლებზე. ერთი თვის განმავლობაში იდგა ეგრეთწოდებულ პოზიცია „კარიერზე“.

დათოს ამხანაგები იცნობდნენ როგორც „დათკა-პრიკროის“. ეს მეტსახელად იმიტომ დაერქვა, რომ იგი ყოველთვის, როცა კი საჭირო იყო, ზურგიდან იფარავდა თანამებრძოლებს, რითაც ბევრი ვაჟკაცი გადაურჩენია.

ერთ სისხამ დილით მოხდა შეტაკება გზაჯვარედინზე, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა დათოსთვის. ამ შეტაკების დროს იგი დაიღუპა.

საქართველო მადლიერების გრძნობით გაიხსენებს მის მოქალაქეს, ღირსეულ ვაჟკაცს დავით ფირგასიმოვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომარ ფურცელაძე

დაიბადა 1971 წლის 25 აპრილს თბილისში. დაამთავრა 124-ე საშუალო სკოლა. სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა გერმანიაში, ქალაქ პოსტდამში. 1991 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის სამმართველოში სისხლის სამართლის სამძებროში ოპერრწმუნებულად.

მისი ოცნება იყო ძლიერი სამართლებრივი საქართველოსათვის ბრძოლა. ამიტომაც აირჩია ეს პროფესია. ცდილობდა ყოველთვის იქ ყოფილიყო, სადაც საჭრო იყო. წელს მისაღები გამოცდები ჩაბარა პოლიციის აკადემიაში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე თუმცა...

14 აგვისტოს სოხუმისკენ მიმავალ გვარდიას წინ მიუძღოდნენ თბილისის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები. ომარი პირველ მანქანაში იჯდა. ტყვარჩელთან ატყდა სროლა. ცეცხლი აფხაზებმა გახსნეს. ფეხში დაიჭრა იმავე მანქანაში მყოფი მამუკა ლომიძე. ომარმა იგი მანქანას ამოაფარა და უცებ დაინახა, რომ სნაიპერის ტყვიამ მოცელა პაატა ნათენაძე და ახლა მის მისახმარებლად გაიქცა, მაგრამ მისი გადარჩენა ვეღარ მოასწრო. ისიც სნაიპერის ტყვიით განგმირული დაეცა ბრძოლის ველზე.

პაატას ერთი ოჯონა დარჩა. ომარს ცოლ-შვილი არ ჰყოლია. მან ისიც კი ვერ გაიგო, რომ სტუდენტი გახდა. მტერთან ბრძოლაში დაეცა და დატოვა ერთადერთი ვაჟკაცის გამზრდელი გამწარებული მშობლები.

უფალმა აცხონოს მისი სული!

ომარ ფურცელაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ (ფხაჭო) ფხაჭიაშვილი

რამდენი მეგობარი წასულა ერთად ფრონტზე. რამდენისთვის გაუჭრიათ გვერდიგვერდ საფლავები. მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ, ის არის ძნელი, მის გადასარჩენად გაწეული ყოველი ღონე ამაოდ რომ რჩება, მადლობას კი უსიცოცხლო სხეულიდან ხოლოდ თვალები გიხდიან.

...ექიმმა გია ჯაფარიძემ დაწვრილებით მოგვითხრო მისი სიყრმის მეგობრის, თბილისში დაფუძნებული ველისციხელი კაცის სიდინჯით, გულღიაობითა და სიბრძნით გამორჩეული ახლობლებისათვის საყვარელი პიროვნების თამაზ ფხაჭიაშვილის შესახებ, რომელიც ასე ცნობილი იყო საქართველოს ახალგაზრდულ მეცნიერთა წრეებში, რადგან თავის დროზე ხელმძღვანელობდა „ახალგაზრდულ სამეცნიერო კლუბს“.

— მე და თამაზი მცირე ხნით, მაგრამ ადრეც ვიყავით სოხუმში საბრძოლველად. როცა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ოცკაციანი ჯგუფი შეიკრიბა აფხაზეთში გასამგზავრებლად, ოჩამჩირე და მისი მიმდებარე სოფლები მაშველთა კორპუსის მეომრებით იყო გამაგრებული. თამაზი ომში წასვლით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავდა.

ტამიშის ხიდთან, სოხუმ-ოჩამჩირის ტრასიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით დაბანაკდნენ ბიჭები ბოსელში. მათ მოვალეობას მაღლობიდან აფხაზი მწყემსების მიერ კარგად ნაცნობი ბილიკების დაცვა, თან ოთხმოციოდე მეტრის თავშესაფარის ფხიზელი მეთვალყურეობა წარმოადგენდა. ეს ერთი შეხედვით უწყინარი შენობა ტამიშის ხიდის პოზიციური ბრძოლების პირველივე შეხების ცხელი წერტილი იყო. ჩასვლიდან მეორე დღესვე სასიკვდილოდ დაიჭრა 20 წლის ოცმეთაური თემურ სამხარაძე. თამაზს თემურის ჯგუფის სისხლი ჰქონდა. ოჩამჩირის საავადმყოფოში წვალებით მიყვანილ დაჭრილს

გადაასხმევინა, მაგრამ არაფერი ეშველა. თემური მალე გარდაიცვალა. „ფხაჭო“, გულამომჯდარი დასტიროდა მეგობრებისათვის საყვარელ ვაჟკაც ყმაწვილს, გუნება წაუხდა. მერე გახევებული სახით მისთვის ჩაილაპარაკა: „ეს ბიჭი ნავ-ვდილის შემდეგ მე აქედან წამსვლელი არა ვარო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილზე დაბრუნებულებმა გააფთრებული ბრძოლების გამო ხოხვით ძლივს გავიკვლიეთ გზა. გასაგები იყო, აფხაზეთში ჩასვლიდან მესამე ღამე მძიმე იქნებოდა ჩვენთვის და მოვემზადეთ: საგუშაგოები გავაძლიერეთ. საღამოს ჯოგად შემოსულ საქონელს ყურადღებით დავაკვირდით: ხომ შეიძლებოდა მას ჩვეული მუხანათობით ზურგს ამოფარებული შემოყოლოდა მტერი. „ფხაჭომ“ 21 საათისთვის ჩაიბარა საგუშაგო. ნათელი ღამე იღრუბლებოდა, გულისგამაწვრილებლად წამოწვიმა. შემდეგ ავისმომასწავებლად გაირინდა ირგვლივ ყველაფერი. თამაზი მოსასვენებელ პატარა ოთახთან იდგა, მე მისგან მოშორებით.

ნამსხვრევ მინაზე ფრთხილი ფეხის ხმამ შემაძრწუნა, ცეცხლი გავხსენი, მაგრამ გვიანღა იყო. თამაზის განწირული შეძახილი ყურში მიწიოდა და ველარაფერს ვგრძნობდი. მტრის მოგერიებამდე მელოდა თამაზი. ყველაფრის გაკეთება ვცადე, მაგრამ ამაოდ. თამაზმა მშვიდი თვალებით გამომხედა და სამუდამოდ წავიდა ჩვენგან უშვილოდ, უძიროდ. მოხუცი მშობლები ერთადერთ უფროს დას დაუტოვა მოსავლელად. დას, რომელმაც შვილივით გახარდა იგი.

ია კალანდარიშვილი

იაგო ქავთარაძე

სამშობლოს მთლიანობისათვის დაღუპული გმირის უფროსი ლეიტენანტის იაგო გურამის ძე ქავთარაძის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მისმა დედამ ქალბატონმა იზა ქავთარაძე-ბადრიძემ მოგვაწოდა.

იაგო 1963 წლის 27 სექტემბერს დაიბადა გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში, მუშის ოჯახში. საშუალო სკოლაც აქვე, ნორიოში დაამთავრა. იგი თავის თანატოლებში გამოირჩეოდა სიბეჯითით, წესიერებითა და კეთილშობილ-ლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთხანს მეურნეობაში, მშენებელთა ბრიგადაში მუშაობდა მუშად. 1982 წელს ცხრამეტი წლის ჭაბუკი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მათი ნაწილი გორში იდგა. იაგო ტანკისტობამ გაიტაცა და ამ საქმეს კარგადაც დაეუფლა. მას ისე მოსწონდა ეს მამაცური პროფესია, რომ დედას ასეთი ბარათიც გაუგზავნა: „დედა, შენ უნდა იამაყო შენი შვილით, რადგან იგი ნამდვილი ჯარისკაცია. ესე იგი ტანკისტია“.

სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, იაგომ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში და ამ მიზნით 1985 წელს მისალები გამოცდები ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით. სტუდენტობის წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის შრომით ბრიგადების საქმიანობაში და ამისათვის მადლობებიც ჰქონდა მიღებული.

ეს სერიოზული, მშრომელი ჭაბუკი თავისი ბუნებით, კეთილი გულით ამ-ხანაგებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ყველასაც უყვარდა. განსაკუთრებით პატივს სცემდნენ მეტროპოლიტენის დიდ კოლექტივში, სადაც შემდეგ იგი მივიდა და სალიანდაგო და გვირაბნაგებობათა სამსახურში მოღვაწეობდა. 1992 წლიდან კი თბილისის ოფიცერთა და ზემდეგთა მოსამზადებელი კურსების ასეულის ზემდეგია და თავის თანამებრძოლებთან ერთად მონაწილეობს აფხაზეთში საქართველოს დაცვისა და ერთიანობისათვის გამართულ ბრძოლაში.

იაგო, როგორც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა თანამებრძოლთ, სწამდა სამართლიანი საქმისათვის იბრძოდა და თავის სათაყვანებელ დედასაც იმედით აღვსილ წერილებს წერდა. „დედი, ნუ გეშინიან, მალე დაგიბრუნდები, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, მხოლოდ აქ, ჯარში თუ მიხვდები კაცი, რა ძვირფასია, დედა“.

1992 წლის 3 ნოემბერს სოფელ შრომასთან გამართულ მთაზე ბრძოლაში მტრის ტყვიამ იმსხვერპლა იაგო ქავთარაძის სიცოცხლე. უსაზღვრო გლოვამ დაისადგურა ქავთარაძეების ოჯახში.

გულდათუთქულ დედას ისღა აქვს სანუგეშო, რომ იაგოს ხსოვნა მარად იცოცხლებს თანამებრძოლთა და მის ახლობელთა გულებში, სამშობლოს თავისუფლებისათვის შეწირული ჭაბუკთა მოგონება ხომ მარადიულია.

საკვლილის შემდეგ დაჯილდოებულია **ღირსების ორდენით.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიძე, შე ძველო!

მაგონდება ის კარგი წლები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ რომ ვმუშაობდი. იმ პერიოდში არაერთხელ მიმიღია ყოფილი ქართველოლოგის და ამჟამად ქართველოფობის ჯორჯ ჰიუიტის წერილი ლონდონიდან. ყოველთვის ვცდილობდი, მისი სურვილები დროულად შემესრულებინა და ვასრულებდი კიდეც.

არც აკაკი შანიძის საიუბილეო დღეები დამავიწყდება, როცა დამაგვირგვინებელ საღამოზე ბატონმა ჰიუიტმა მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა სუფთა ქართულ ენაზე. ალბათ, იქ დამსწრე საზოგადოებას და ტელემაყურებლებსაც კარგად ახსოვთ მისი სიტყვები: — მე ცოლი აფხაზი მყავს. მან ინგლისური არ იცის, მე კი აფხაზური. ამიტომაც ოჯახში ქართულად ვლაპარაკობთო.

ეხ, ჩვენო ძვირფასო ჯორჯ! არ გამადლით იმ ტაშს და სიყვარულს, მაშინ რომ დაიმსახურეთ. სტუმრის გულმხურვალე მიღება ქართველი კაცის თანდაყოლილი და გამორჩეული თვისებაა, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. მით უფრო სამწუხაროა, გულში ჩაკრული სტუმარი ასპიტივით რომ დაგვგესლავს.

იმ დღეებში, როცა თქვენ საშინელი ცილი დასწამეთ საქართველოს და ქართველ ხალხს, პრესაში ბევრი წერილი გამოქვეყნდა. მეც ვაპირებდი გამომეთქვა ჩემი აზრი თქვენი „კაიკაცობის“ თაობაზე, მაგრამ ჩანაფიქრი აღარ გამიხორციელებია. უბრალოდ, იმდენი რამ დაიბეჭდა და რადიო-ტელევიზიით იმდენი რამ ითქვა თქვენი გამოხდომის საპასუხოდ, რომ მებევრა კიდეც. თქვენ ხომ მშვენივრად იცით ქართული ანდაზა — ჩიტი ბდღვნად არ ღირსო. თქვენ არა ხართ ის ფიგურა, ამოდენა ხმაურს რომ იმსახურებდეს.

მე მაშინაც კი აღარ გამჩენია სურვილი თქვენი საწინააღმდეგო წერილი დამეწერა, „აიდგილარას“ 2 აპრილის ნომერში თქვენი წერილი რომ წავიკითხე, გულწრფელად გეტყვით, შემებრალეთ კიდეც: განდიდების მანიასაც შეუპყრიხართ: წერილის ასლს გივი გუმბარიძეს ვუგზავნიო, მიგიწერიათ ბოლოში. მინდა მოთუხთუხე ტემპერამენტი ოდნავ მაინც დაგიოკოთ, ბატონო ჰიუიტო, თქვენი წერილებისათვის დღეს აღარავის სცალია.

ვერც იუმორს მოგიწონებთ. არ ჰგავს იგი დინჯ, ღრმა, მახვილგონივრულ, დარბაისლურ ინგლისურ იუმორს. თქვენ წერთ: როგორც ჩანს, მე ზაფხულის (იგულისხმება შარშანდელი ზაფხული. გ. ფ.) ყველაზე პოპულარულ მხეცად ვქცეულვარ, რომელზეც თურმე ასე გამწარებით ნადირობდნენ ეგრეთწოდებული ქართველი ინტელიგენტებიო. მაგრამ მაინც ვერ დამიჭირესო, — აგრძელებთ სიამაყით — ეტყობა, ან მათ არ იციან ნადირობა, ან ისინი ჩემმა მეთოდმა — სიმართლის თქმამ დააბნიაო.

ბრავო, ჯორჯ! რასაკვირველია, რიყეზე ისე შეგიძლიათ გაიაროთ, კენჭები არ დაინახოთ, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი და უმთავრესი ისაა, რომ თქვენ აფხაზეთის დიდი განმათავისუფლებელი (გაიხსენეთ ელადაში მებრძოლი

თქვენი სეხნია ჯორჯ ბაირონი), ლონდონში ან გუდაუთაში უკვე ხედავთ თქვენი მომავალი ძეგლის კვარცხლბეკს.

ერთ რამეში კი მართალი ბრძანდებით: რა საჭირო იყო თქვენს წინაშე მდეგ დაწერილი ამდენი წერილი, რადიო და ტელეგადაცემა? რადის იყო ბელურას ზარბაზანს ესროდნენ?

აბა, ყოველივე ამის შემდეგ რაღამ აგაღებინათ ხელში კალამიო, — ლოგიკური იქნებოდა თქვენი ასეთი შეკითხვა.

ახლავე მოგახსენებთ. ვფიქრობ, მომავალში თქვენს მეცნიერულ ოპუსებს აღარავინ უპასუხებს, მათ შორის, არც მე. მაგრამ თქვენ, ჯორჯ ბატონო, ამ ბოლო დროს ისეთ აკრძალულ ზონაში გადახვედით და ისეთი ვერაგული საქმიანობა გააჩაღეთ, რომ არ გამხილოთ, ნამდვილად დანაშაული იქნება.

რამ გაგამწარათ ასე? მართლა თქვენმა დიდმა ჰუმანიზმმა?

სამწუხაროდ, მაღალი იდეალები როდი ასაზრდოებენ თქვენს ბინძურ საქმიანობას. მაღალი იდეალები ხომ მხოლოდ მაღალი ზნეობისაკენ წარმართავენ ადამიანთა გონებას.

მაშ, რა გამოძრავებთ და გაბობოქრებთ? იმდენად დიდი გქონიათ ცოლოურში თავის გამოჩენის სურვილი, იმდენად შეუპყრიხართ ცთუნებას საკუთარი მეუღლის ოჯახისა და მისი ხალხისათვის დაგემტკიცებინათ თქვენი მეცნიერული სიდიადე და ვაჟკაცური შემართება, უსამართლობასთან შეუგუებელი ბუნება და პოლიტიკური სიტყვის მასშტაბურობა, რომ წონასწორობა ვერ შეინარჩუნეთ და... იკადრეთ უკადრებელი და ეს მაშინ, როცა საკუთარ სამშობლოში ერთხელ არ გაგხსენებიათ ოლსტერი და წლების მანძილზე იქ დაღვრილი სისხლი, დღესაც რომ უხვად იღვრება, ერთხელაც არ აუღელვებიხართ ჩრდილოეთირლანდიელი ხალხის ბედს...

მაშ, საქართველოში რაღამ გადაგრიათ? იქნებ იმ მრავლისმეტყველმა ფაქტმა, რომ თქვენი ცოლისძმა ანატოლი ხიბა მანამდე რვაჯერ იყო ნასამართლევი და თქვენ ერთხელაც ვერ უშველეთ?

ბატონო ჯორჯ, ჩემი ლაპარაკი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მკითხველს მოკლედ მოვახსენებ თქვენი ცოლისძმის სახელოვანი ცხოვრების „სევდიან“ ქრონიკას.

მას 1947, 1959, 1961, 1962, 1967, 1968, 1979, 1982 წლებში სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის, 14 წლის კ.-სთან სქესობრივი გარყვნილებისათვის, იარაღის ხმარებისთვის, თაღლითობისა და ხულიგნობისათვის მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

ამჯერად იგი მეცხრედაა პასუხისგებაში მიცემული 206-ე მუხლით. აი, ახლა კი მოგეცათ საშუალება გამოგესწორებინათ წარსულის შეცდომები და თავი მოგეწონებინათ ცოლოურის წინაშე. მით უმეტეს, რომ ამჯერად გმირის მანტიაშიც კი შეიძლება გაახვიოთ საკუთარი ცოლისძმა: მან ხომ ბენზინით სავსე ცისტერნიანი მანქანა ასაფეთქებლად შეაგდო შეჯგუფულ ქართველებში. თვითონ კი კაბინიდან გადმოხტა და გაიქცა. ბედად ცისტერნა არ აფეთქდა. პატივცემული ანატოლის საქმის გამოძიება რომ დიდად ჭიანურდება, მთლად თქვენი

დამსახურება არაა, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ შეფერხებაში თქვენი ღვაწლიც ანგარიშგასაწევია.

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. რაკი ხმალი იშიშვლეთ, აბა, წინ [illegible] დაგიდგებათ! მოედო ევროპას თქვენი შხამიანი წერილები...

უნებურად იბადება კითხვა — ვინ ხართ თქვენ? მე ვიცი ამ შეკითხვის ზუსტი პასუხი, ოღონდ, ჩემს თავს არ ვაკადრებ გამოვთქვა იგი. ქვემოთ მკითხველს მხოლოდ თქვენს ერთ წერილს შევთავაზებ. დარწმუნებული ვარ, ვერაფერი ისე ვერ დახატავს თქვენს ინტელექტუალურ და სულიერ პორტრეტს, როგორც ეს წერილი, თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ ბრისტოლში რომ გაგზავნეთ ამ დაძმობილების ერთ-ერთ ორგანიზატორთან — ბატონ გარლანდთან.

აი, ის წერილიც:

„ძვირფასო მისტერ გარლანდ!

მე კარგად მესმის, რომ თქვენ ერთ-ერთი ინიციატორი იყავით ბრისტოლისა და თბილისის დაძმობილებისა. როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, გამეხარდა, — რადგან ბოლო 14 წლის განმავლობაში სულ იმას ვცდილობდი, გაძლიერებულიყო ინტერესი ქართული ენისა და საქართველოს მიმართ (რომ არაფერი ვთქვათ ზოგადად კავკასიისადმი). მაგრამ საქართველოს უდარდელი ცის კაბადონზე უკანასკნელი წლის განმავლობაში შავი ღრუბელი ჩამოწვა. ეს შედეგია თბილისის საზოგადოებრივი აზრის ლიდერების უკიდურესი შოვინიზმისა, რასაც ისინი დაუფარავად ამჟღავნებენ და ავრცელებენ „გლასნოსტის" დადგომასთან დაკავშირებით. ვიდრე თქვენი თვალით არ წაიკითხავთ ქართულ (ან რუსულ) პრესას, ან არ ისაუბრებთ ამ ენაზე, თქვენ მიგეტევებათ არ იყოთ საქმის კურსში, თუ რა სიბინძურეს ავრცელებენ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის წყაროები ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ა დ.

მე ახლახანს დავბრუნდი აფხაზეთში სამთვიანი ვიზიტის შემდეგ და ერთობ ნათლად შემიძლია დავადასტურო, თუ რა ხდება იქ, ამის შედეგად მე მოვამზადე ცირკულარი უნივერსიტეტის წევრებისათვის, რომლითაც მოვუწოდებ ბოიკოტი გამოუცხადონ თბილისს ახლო მომავალში. ამ წერილთან ერთად გიგზავნით ამ დოკუმენტის ასლს, აგრეთვე ასლს წერილისა, რომელიც ჰოლანდიელ კოლეგას მივწერე, რომელშიც უფრო დეტალურად ვაშუქებ მოვლენებს. თუ თქვენ გსურთ იხილოთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცირკულარი, რომლის რედაქტორიც, პროფესორი გვარამია, თქვენი სტუმარი იყო გასულ შემოდგომას, აგრეთვე აფხაზეთის ეროვნული ფორუმის დახმარების თხოვნა, გაგზავნილი საერთაშორისო ამნისტიისადმი, მე მოხარული ვიქნები, გამოგიგზავნოთ. თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღოთ საქართველოს სხვა ექსპერტ დოქტორ დ. რეიფილდისგან.

ვიმედოვნებ, თქვენ და ბრისტოლის სხვა ხელისუფალნი მოისურვებთ გადასინჯოთ საკითხი ქალაქ თბილისთან თქვენი ურთიერთობის გაგრძელების სარგებლიანობის თაობაზე, ქალაქთან, სადაც დღეს პოლიტიკა სრულიად ფ ა შ ი ს ტ უ რ ი ა.

პატივისცემით ჰ ი უ ი ტ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოისურვებთ რაიმე დამოუკიდებელ ინფორმაციას ჩემს „რწმუნებებ-თანაც დაკავშირებით, დარწმუნებული ვარ, პროფ. რიჩარდ პისი სიამოვნებით მოგაწვდით.

გთხოვთ, არ აცნობოთ ამ წერილის არსებობის ამბავი არცერთ ქართველ სტუმარს!“

სიძე, შე ძველო, ახლა მაინც არ გრძნობთ სინდისის ქენჯნას?

ამ წერილის არსებობის ამბავი არცერთ ქართველს არ აცნობოო, ეველ-რებით ადრესატს;. ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილოთ, პატივცემულო მეცნი-ერო, — ნაგავი შეიძლება დამალო, მაგრამ სუნს ვერაფერს მოუხერხებ. ჰოდა, ჩამოაღწია საქართველოში თქვენი ნამოქმედარის სიმყრალემ. ბნელი ნამოქმე-დარი ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს. ეს კარგად უნდა გახსოვდეთ, ჯორჯ ბატონო.

ისე კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენს თავგანწირულ საქმიანობას დიდად დაგიფასებენ როგორც აფხაზი ექსტრემისტები, ასევე ცოლის ნათესა-ვებიც. ისინი კი, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან თქვენს ღირსებასაც გაუფ-რთხილდნენ. არა, ცოლისძმაზე არაფერს მოგახსენებთ. აფხაზი ექსტერიმისტე-ბის საქციელზე უნდა გავამახვილო ოქვენი ყურადღება, უკადრისი, თანაც სა-ცოდავი და უსუსური ხერხებით რომ ცდილობენ საზოგადოების მოტყუებას. დიახ, დიახ, სწორედ იმაზე მოგახსენებთ, აფხაზეთის სახალხო ფრონტის გა-ზეთმა „ერთობამ“ („აიდგილარამ“) რომ იკადრა და თბილისელი პენსიონერი ქალბატონის ვერა ვარძიაშვილის სახელით წერილი რომ გამოაქვეყნა. აი, ნაწ-ყვეტი ამ წერილიდან:

„...აგრესორის დაშოშმინებამ მეორე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა, რადგან იგი დღითიდღე თავხედდებოდა, აფხაზთა დაშოშმინებამ კი აქამდე მიგვიყვანა, რომ ისინი აღარ სჯერდებიან იმას, რომ მოსახლეობის 17 პროცენტს თავისი უნივერსიტეტი აქვს (და ნაცისტებივით არბევენ ორმოცპროცენტიანი ქართუ-ლი მოსახლეობის უნივერსიტეტს). თქვენ ისეთ ფერლანას მოგიწყობთ, თქვენი შინაგანი უშიშროების სამინისტროს იარაღი რომ დაგვირიგონო... არ გინდათ ჩვენთან ყოფნა? მაშინ წაეთრიეთ ჩვენი მიწიდან. რუსეთთან ყოფნა გინდათ? დედა-რუსეთს საკმარისი აქვს მიწა საიმისოდ, რომ შეიფაროს ხალხი, რომე-ლიც „დინამოს“ სტადიონზე დაეტევა. თურქ-მესხეთელებს ხომ ეყოთ იქ ადგი-ლი. ოზგანი ამბობს, ბერიამ აფხაზური ინტელიგენცია გაწყვიტაო. გყავდათ კი ოდესმე ინტელიგენცია თავადების შერვაშიძისა და ემხვარის გარდა? ბერიამ ბიუტეველი შეცდომა დაუშვა. ის რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო, ერ-თი დღე-ღამე ეყოფოდა, აფხაზებისაგან გაეწმინდა ჩვენი მიწა; ოზგანის, ამ თურქეთის აგენტის, კვალიც კი აღარ დარჩებოდა. არც ლიხნის პროვოკაცია მოხდებოდა. ამიტომ, რომ ყველაფერ ამას ოზგანები მეთაურობენ და არა ის კრეტინები, ტელევიზიით რომ გვიჩვენეს, ისინი ისეთ რამეებს მიედ-მოდებოდნენ, რომ გაბრაზების ნაცვლად სიცილით ვიხოცებოდით. ის რენეგატი ბოკუჩავა კი, რომელიც ისეთივე ქართველია, როგორც მე ვარ აფხაზი...“

აი, ამ ტექსტს დიდი ამბით აცნობენ ისინი ამხ. ვ. ვ. ლანდსბერგისს, თანაც უსაყვედურებენ, ხომ ხედავთ, რა ხალხი არიან ქართველები, ისინი, ცდილობენ რა განთავისუფლდნენ უფრო ძლიერი დამმონებლისაგან, თვითონ იძულებენ ჯატარა ხალხებსო... რატომ ჩამოართვით ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ და რატომ გაიზიარეთ მისი პასუხებიო, ამით ხომ მას საშუალება მიეცით დაუსჯელად დაემცირებინა თქვენი გაზეთის მკითხველის წინაშე აფხაზეთის სახალხო მოძრაობაო.

ბატონო ჯორჯ, დარწმუნებულ ვარ, იცით, რაც გაირკვა შემდგომში. თურმე თბილისელ ქალბატონ ვერა ვარძიაშვილს არავითარი წერილი არ დაუწერია. თქვენ კი მას წერილის მისამართიც ზუსტი მიაწერეთ, კიდევ უფრო სარწმუნო რომ ყოფილიყო წერილის ავტორისა და თვით წერილის რეალობა. აფხაზ ექსტრემისტებს ეს იაფფასიანი ფარსი იმისთვის დასჭირდათ, რომ „დოკუმენტურად" დაერწმუნებინათ ვ. ლანდსბერგისი და ხსენებული გაზეთის რედაქცია. ქართველი ხალხის შოვინიზმში.

არ ვიცი, აფხაზ „მეგობრებს" რატომ ეგონათ, რომ ჩანაფიქრშივე განწირულ უპრიმიტივეს ფინტს გოლი მოჰყვებოდა?!

კაცი ვერ დათვლის, რამდენი მუქარის წერილი მიიღო გაოცებულმა და გაოგნებულმა ქალბატონმა აფხაზეთიდან. ის კარგა ხანს ვერ გაერკვა რა ხდებოდა მის ირგვლივ და ბოლოს იძულებული გახდა პროკურატურისათვის მიემართა. შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო ბრიგადა. საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ კომისიამ თხოვნით მიმართა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" გამოექვეყნებინა შემდეგი წერილი (გთავაზობთ ნაწყვეტს):

...„როგორც გამოძიებით დადგინდა, მოქ. ვ. ი. ვარძიაშვილს, დაბადებულს 1914 წელს, დიასახლისს, დაწყებითი ქართული განათლების მქონეს, აღნიშნული წერილი არ დაუწერია და მასთან არც არავითარი კავშირი არა აქვს. მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ შეწყდეს მისი მისამართით მუქარითა და შეურაცხყოფით აღსავსე წერილების გაგზავნა, გთხოვთ ამ საკითხის გამოძიების ზემოთ მოყვანილი პირველადი შედეგები მიაწოდოთ გაზეთის მკითხველებს.

გამოძიება ყოველ ღონეს ხმარობს წერილის ნამდვილი ავტორის ვინაობის დასადგენად.

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო ბრიგადის ხელმძღვანელი **კ. მასლოვი**".

„სოვეტსკაია აბხაზიამ" შეასრულა პროკურატურის თხოვნა და... წერილი სადღაც ბოლოში „მიაჭყლიტა" ყოველგვარი კომენტარის გარეშე ეგლა აკლდათ შეურაცხყოფილი და შეშინებული ქალისათვის ბოდიში მოეხადათ!

მოგწონთ, სიძევ ბატონო?

ვერ დავიჯერებ!

თუმცა შეთითხნილი წერილი რა მოსატანია იმ ფაქტთან შედარებით, აფხაზმა ექსტრემისტებმა „ქართველ ახალგაზრდათა ფიცი" რომ შეთხზეს და სტამ-

ბური წესით გამზადებული მთელ აფხაზეთს მოჰფინეს, რა იყო ამ „ფიცის“ გავრცელების მიზანი? აფხაზ ექსტერიმისტებს სურდათ კიდევ ერთხელ დაერწმუნებინათ აფხაზი ხალხი, როგორი შოვინისტები ვყოფილვართ ქართველები, როგორ გვეზიზღება აფხაზები. მალე გაირკვა ამ „ფიცის“ შეთხზვის [illegible] გია, მაგრამ მისმა ბინძურმა ტექსტმა მაინც შეძლო აფხაზთა გულებში ქართველებისადმი ზიზღი ჩაეთესა.

ცხადია, ნამდვილად არ გიმართლებენ თანამებრძოლები, ბატონო მეცნიერო.

აფხაზმა ექსტრემისტებმა ახლა რესპუბლიკის პროკურორს შეუტიეს.

შედეგი?

შედეგი ნამდვილად ვერ მიიღეს სახარბიელო.

რესპუბლიკის პროკურორისადმი გაგზავნილ ღია წერილში მხოლოდ თავიანთი დაბალი ღონე გამოაჩინეს, დიახ, დღეს, როცა მსოფლიო დუღს, დღეს, როცა საბჭოთა კავშირში აზრთა და იდეათა არნახული, დღემდე წარმოუდგენელი ქარტეხილებია, დღეს, როცა ფასეულობათა, პოლიტიკურ პლატფორმათა, ფილოსოფიურ შეხედულებათა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა არნახული მასშტაბისა და გაქანების გადაფასებანი მიმდინარეობს, აი, რას ვკითხულობთ ღია წერილში:

„თქვენთან მრავალპარტულობაა, ჩვენთან ერთპარტიულობა, პარტიას ლენინურს ვუწოდებთ“.

ასე გააგეს ღია წერილის ავტორებმა „პერესტროიკა“? ერთხელ მაინც არ დამსხდარან ტელევიზორის წინ და არ მოუსმენიათ, რა ხდება მოსკოვში უმაღლესი საბჭოს ყრილობებსა თუ სესიებზე, რა ხდება მოძმე რესპუბლიკებში? ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ უნებურად ძველებური ხუმრობა მომაგონდა, „ვორონცოვზე დაბმულო ვირო, ქვეყანა გამოიცვალა, შენ კი ისევ ვირად დარჩიო“.

ვერ დავიჯერებ, რომ ზემოთმოტანილ აბზაცს „აიდგილარის“ გუდაუთის განყოფილების გამგეობის ყველა წევრი იზიარებდა, იგი, ალბათ, სულ ბოლო მომენტში ჩაამატა რომელიღაც ავტორმა:

„თქვენთან პარტბილეთს წვავენ, ჩვენ კი მას გულთან ახლოს სათუთად ვინახავთო“. — ვკითხულობთ ღია წერილში.

რატომ გულთან? ხომ შეიძლება წვიმაში დაუსველდეთ? ისიც ხომ შეიძლება, რომ დაეკარგოთ და მტერმა ვამოიყენოს?..

„თქვენთან ვანდალურად იქცევიან, შეურაცხყოფენ ლენინის, კიროვის, ორჯონიკიძის ძეგლებს, ჩვენ კი წმინდად ვიცავთ და ყუმბარების ნაცვლად ყვავილებით ვამკობთ“, — ვკითხულობთ კიდევ უფრო ქვემოთ, რესპუბლიკის პროკურორისადმი გამოგზავნილ ღია წერილში.

ახლა კი, სიძევ ბატონო, ნამდვილად უნდა დავყაროთ ფარ-ხმალი, ოღონდ ერთი რამ კი მინდა ვურჩიო ღია წერილის ავტორებს: ყვავილებით საღამოობით შეამკონ ჩამოთვლილ პიროვნებათა ქანდაკებების კვარაცხლბეკები, უფრო დიდხანს არ დაჭკნებიან. რაც შეეხება რუსთაველის ქანდაკებას, კარგა ხანია ცნობილია, როგორ „ამკობენ“ მას აფხაზი ექსტრემისტები.

რა ვქნათ, ჯორჯ ბატონო, კიდევ გავაგრძელოთ? მე მგონია, არა ღირს.

თქვენ კი უზიხართ მაგიდას, თხზავთ ცილისმწამებლურ, გესლიან წერილებს და გზავნით ევროპის ქვეყნებში. შემდეგ, ალბათ, ამერიკის კონტინენტსაც დროზე აუწყებთ ქართველი ხალხის ფაშისტურ გამოხდომებს, ოღონდ, რასაკვირველია, აქამდე არ გაგიგზავნიათ იქ წერილები. თქვენდა სამწუხაროდ, აზრადაც არ მოგდით, რომ, ადრე თუ გვიან, ბრისტოლში გაგზავნილი წერილისა არ იყოს, ყველაფერი გაირკვევა, თქვენი მწირი ფანტაზიით შეკოწიწებული უსუსური და უდღეური ბრალდებები უკვალოდ გაქრა.

თუმცა, რატომ უკვალოდ?

წინასწარ მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი და თქვენისთანების მიერ შექმნილი ცილისმწამებლური, ყალბი, პროვოკაციული და არამეცნიერული დოკუმენტები თქვენი და აფხაზი ექსტრემისტების ჭეშმარიტი სულიერი პორტრეტის ამსახველ უტყუარ დოკუმენტებად დარჩება.

წერილის დასასრულს, თუ ნებას დამრთავთ, შექსპირს შეგახსენებთ, სიძევ ბატონო:

პატივაყრილებს სურთ პატივი
სხვასაც აჰყარონ
და მოგვაჩვენონ ეს ქვეყანა ცოდვილთ
სამყაროდ.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“.
1990 წ. 11 მაისი.

აპოლონ ქარდავა

დაიბადა 1952 წელს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში. სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების დღიდან თავისი მშობლიური სოფლის სკო-

ლაში მუშაობდა ხაზვისა და ხატვის მასწავლებლად უყვარდა თავისი მოსწავ-
ლეები და უყვარდათ მის მოსწავლეებსაც. მონაწილეობდა გამოფენებში.

როცა შრომას მტერმა ცეცხლითა და ტყვიით შემოუტია, იქაურობა-
დაცვითი შენაერთები შექმნეს. ხალხი იცავდა თავის სოფელს. 17—18 ივლისს
სოფელი შრომა უმოწყალოდ დაბომბეს. აპოლონის სახლ-კარი გადაიბუგა. სა-
ბედნიეროდ, ცოლ-შვილი ამ დროს ცოლოურში — ზუგდიდში, სოფელ ტყაიაში
ჰყავდა.

22 ივნისს უკვე სამხედრო პოლიციის მუშაკი აპოლონ ქარდავა თავის
40-მდე თანამებრძოლთან ერთად საბრძოლო პოზიციაზე იდგა. ირგვლივ თით-
ქოს სიმშვიდე სუფევდა. აპოლონი ფრთხილი, დაკვირვებული კაცი იყო. იქა-
ურობა გადაამოწმა — ერთხელ, მეორედ, მესამედ... მესამე გადამოწმებისას სნა-
იპერის ტყვიამ იმსხვერპლა. მისი მისაშველებლად მისული დღობული (ავთო),
და ლევანტი ქარდავებიც მტრის ტყვიის მსხვერპლნი გახდნენ.

აპოლონ ქარდავას ცხედარი 18 დღე-ღამე მინდორში ეგდო. შემდეგ მისი
იქიდან გამოსვენება შესძლეს. დაკრძალულია სოფელ ტყაიაში.

აპოლონს დარჩა მეუღლე — ციალა ფიფია და შვილები — მესამეკლასელი
ლადო და პირველკლასელი ცირა.

სამშობლო არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს აპოლონ ვალიკოს ძე
ქარდავას.

მასალა ლერი ქარდავაზე იხილეთ 564 გვერდზე.

კობა ქარელი

კობა რობერტის ძე ქარელი დაიბადა 1960 წლის 15 აგვისტოს გორის
რაიონის სოფელ ტყვიავში.

1967 წლიდან სწავლობდა ტყვიავის საშ. სკოლაში, დაამთავრა 1977 წელს. 1978 წელს დაამთავრა ქ. თბილისის № 108-ე საამშენებლო ტექნიკური სასწავლებელი, 1979 წელს — ხიდისთავის 106-ე ტექნიკური სასწავლებელი. 1973 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობის სპეციალობაზე. აღნიშნული ინსტიტუტი დაამთავრა 1984 წელს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

1984-88 წლებში მუშაობდა ქ. გორის № 3 სამშენებლო ტრესტში მშენებელ ინჟინრად. 1990-91 წლებში მუშაობდა მშობლიურ სოფელ ტყვიავში, მთავარ ინჟინერ-მშენებლად. სისტემატურად ზრუნავდა სოფლის კეთილდღეობისათვის. ბევრი კეთილი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა, მხოლოდ სოფლის ცენტრის გალამაზება მოასწრო, საუკეთესო პარკი დაუტოვა სოფელს სამახსოვროდ.

ს. ტყვიავი აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, რომლის ხელმძღვანელი და მოთავე იქ შეუპოვარი კობა ქარელი იყო. მისი ნიჭი და პატრიოტობა სოფელს შეუმჩნეველი არ დარჩენია და 1991 წლის 8 მაისს კობა ქარელი მან ერთხმად აირჩია ტყვიავის თემის საკრებულოს გამგებლად. კობამ, იგრძნო რა ხალხის ესოდენ დიდი ნდობა, უფრო აქტიურად, უფრო დიდი შემართებით გაგანაგრძო მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა ეროვნულ მოძრაობაზე. მთელი საკრებულოს ახალგაზრდობა მხარში ამოიყენა, თავისუფლება სწყუროდა, საქართველო იყო მისი ტკივილი, ვერ იტანდა მშობლიურ მიწაზე ურჯულოების თარეშს.

საკრებულოს გამგებელს ათასი საქმე აქვს, მაგრამ კობა ქარელი ამდენად ძლიერი იყო, რომ ათასივე საქმეს აგვარებდა და დღედაღამ იარაღით ხელში ტყვიაველ ვაჟკაცებთან ერთად სამაჩაბლოს განთავისუფლებისათვის იბრძოდა, სადაც ცხელი წერტილი იყო, კობა თავის ბიჭებითურთ იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ასე მოხდა 1992 წლის 12 მაისსაც, იგი თავის საძმოსთან ერთად ცხინვალის მისადგომებთან, სეჩგნეთში მყოფებოდა. უცებ სიგნალი მოვიდა ს. ერედვიდან, ოსი ექსტრემისტები ქართულ ფარისში შემოიჭრნენო. კობ თავისი ბიჭებითურთ მაშინვე იქ გაჩნდა, წინა ხაზზე გაიჭრა და ბრძოლაში ჩაება. ორსაათიანი ბრძოლის მერე ტყვიები გამოელიათ, დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ... ყველანი გაქცეულიყვნენ და რვა ქართველი შეატოვეს.

ფაქტიურად გაწირეს საუკეთესო ბიჭები. ამასობაში ოსებმა დამატებითი ძალა მიიღეს და ჩვენი ბიჭები შეიპყრეს, წამებაში ამოხადეს სული, ამასაც არ დასჯერდნენ, ერთად შეაგროვეს და ცეცხლი მოუკიდეს.

მათი სულები ზეცად ამაღლდა.

კობაზე ისღა გავიგეთ, წამების დროს „შავლეგოს“ მღეროდაო. (მკერდზე ქართული ჯვარი ეკიდა, ღმერთი ნამდვილად სწამდა). ყოფილა შეძახილები: „გაგვყიდეს!“ „გვიღალატეს!“...

ჩვენი ბიჭები იმ დღეს გმირებად დაიბადნენ. რვა გმირიდან ოთხი ტყვიაველი იყო, ერთი — ტყვიავში გაზრდილი თბილისელი, ორი ერედველი, ერთი ქორდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს!

მიშიკო ქარელი

მიშიკო სტეფანეს ძე ქარელი დაიბადა 1965 წლის 2 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში.

1972 წელს სწავლა დაიწყო ქ. გორის მე-10 საშუალო სკოლაში, სადაც მიიღო რვა კლასის განათლება. შემდეგ სწავლა გააგრძელა სოფ. ტყვიავის საშუალო სკოლაში. პარალელურად მუშაობდა ტყვიავის კოლმეურნეობაში.

1984-86 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, შემდეგ კი მუშაობა განაგრძო ტყვიავის კოლმეურნეობაში, სადაც მუშაობდა დალუპვამდე.

მიშიკოს მამა — სტეფანე ქარელი მუშაობდა ტყვიავის წვენების ქარხანაში უფროს ინჟინერ-მექანიკოსად.

დედა — ჟუჟუნა ხარაზიშვილი მუშაობდა ფეიქრად. ამჟამად ორივე პენსიონერია.

უფროსი და — მარინე კობერიძე მუშაობს თბილისის „საქქალაქმშენებსახ-ოსტატად. ჰყავს ერთი შვილი.

ძმა — გია ქარელი მუშაობს გორის ბამბეულის ქსოვილების ფაბრიკაში ოსტატად ჰყავს ერთი შვილი.

უმცროსი და — ნინო ქარელი მუშაობს თბილისის ქ-ნა „ელექტროავტომატში“ ინჟინერ-ეკოლოგად.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების დღიდან მიშიკო მის მოწინავე რიგებში ჩადგა და ყოველთვის აქტიურად იბრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქართველიშვილი

ბედისწერამ ძალზე ხანმოკლე ცხოვრება არგუნა წილად გიორგი ოთარის ძე ქართველიშვილს. ის 1963 წლის 25 ივნისს სამტრედიაში დაიბადა.

საშუალო სკოლა დაამთავრა 1980 წელს ქ. რუსთავში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება საყოველთაო სავალდებულო შრომით საქმიანობაში — მუშაობა დაიწყო უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ფონიჭალაში".

1982 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1987 წელს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1988 წელს მუშაობას იწყებს რუსთავის სარემონტო სამმართველოში მთავარ ენერგეტიკოსად.

1992 წლის 1 სექტემბრიდან პატრიოტი ვაჟკაცი ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის რიგებში ოფიცრად. სანიმუშო წესრიგით გამორჩეული გიორგი ქართველიშვილი აირჩიეს ქ. რუსთავის სამხედრო პოლიციის საპატრულო ბრიგადის უფროსის მოადგილედ უფროსი ლეიტენანტის წოდებით. აგრეთვე წარდგენილ იქნა კაპიტნის წოდებაზე. ხოლო 19 ოქტომბრდან მონაწილეობას იღებს სამხედრო პოლიციის შემადგენლობასთან ერთად აფხაზეთის რეგიონის საომარ მოქმედებებში. სიყვარულსა და სიცოცხლეს მოწყურებულ ახალგაზრდას ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის დროს მუხანათი მტრის ტყვიამ დაუბნელა მზე ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფელ კოჩარასთან 1992 წლის 28 დეკემბერს.

სამშობლო და ერი არ დაივიწყებს პირნათელ მამულიშვილის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლას (ბაჩუკი) ქარსელაძე

დაიბადა 1967 წლის 23 თებერვალს, ქ. სოჭში.

1973 წელს შევიდა ქ. ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლაში.

1977 წელს მათი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. სოხუმში და მან სწავლა განაგრძო ქ. სოხუმის მე-5 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1984 წელს.

გაიზარდა პედაგოგის ოჯახში. მამა ტრაგიკულად დაკარგა მის დაბადებამდე.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღიდანვე მოხალისედ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იყო სოხუმის 11 ბატალიონის ოცეულის უფროსი.იგი მონაწილეობდა პირველ შეტაკებაში, პატარა არმიანსკაიასთან, ტამიშში. ის არაერთხელ გადასულა მტრის ზურგში დასაზვერად.

როდესაც განახლდა ეშერის მისადგომებთან ბრძოლები, ის აქაც აქტიურად ჩაება და 3 ოქტომბერს მტრის სნაიპერის ტყვიამ განგმირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალოდია ქელეხსაშვილი

იგი თბილისში დაიბადა 1968 წლის 13 აგვისტოს. დაამთავრა თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით ავტო — მოტო კროსი, სადაც მიღებული აქვს მრავალი სიგელი. იყო ავღანეთში. სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ დაჭრილი დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს. მოიშუშა ჭრილობა. მძღოლად დაიწყო მუშაობა. ერთხანს წერეთლის გამზირზე მდებარე კოოპერატივ „სამება“ — 2-შიც მუშაობდა. აფხაზეთში ომი დაიწყო და ვალოდია იმ დღესვე გამოცხადდა გლდანის რაიონის სამხედრო განყოფილებაში. იბრძოდა გუმისთაზე, იმყოფებოდა მეექვსე სატანკო ბატალიონში. მისი თანამებრძოლების გადმოცემით, 26 ნოემბერს მოხდა შეტაკება გუმისთაზე და ამ ბრძოლაში დაიჭრა ვალოდიას თანამებრძოლი.

— ბიჭებო, თქვენ დაჭრილი გაიყვანეთ, მე კი გადამღობი ცეცხლით დავიცავ პოზიციას.

ბიჭები მალე დაბრუნდნენ. ვალოდია მკვდარი დახვდათ. თავში ჰქონდა მოხვედრილი სნაიპერის ტყვია, ხელში კი გაუხსნელი „ლიმონკა“ ეჭირა. იგი 24 წლის იყო. დასაფლავებულია თბილისის ზღვის ტერიტორიასთან მდებარე საძმო სასაფლაოზე.

* * *

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია.
სთქვა: „სამშობლო,, უპირველეს ყოვლისა!“

გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ქიმერიძე

საქართველოს თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას თავი შესწირა სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა ირაკლი გურამის ძე ქიმერიძემ.

ირაკლი დაიბადა 1965 წელს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მან სწავლაში, შრომასა და სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში გალია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ირაკლიმ სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დასრულებისთანავე ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის მეცნერ-თანამშრომლად. მისი სამეცნიერო საქმიანობა თანამედროვე ფიზიკის მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. სადისერტაციო ნაშრომის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა, მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ირაკლი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად, სადაც მან თავისი დაჭრილი ძმა შეცვალა. ირაკლიმ აფხაზეთში აითვისა არტილერიის რთული სპეციალობა და თავის ქვედანაყოფში ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი გახდა. ამასთანავე, იყო მეტად წყნარი, თავმდაბალი და ზრდილი ახალგაზრდა, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა უფროს კოლეგებსა და ამხანაგებს შორის.

მსუბუქი იყოს, ირაკლი, შენთვის მშობლიური მიწა.

ირაკლი ქიმერიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ქირია

მესამე წელია, რაც საქართველოს ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში ქართველებს მამულის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის უხდებათ ბრძოლა.

ჯერ იყო და რუსეთის მიერ წაქეზებულმა, ძმასავით მიღებულმა ოსებმა გვიმუხთლეს და როცა საქართველომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო. შიდა ომი მოგვიწყეს. მინელდა ომი სამაჩაბლოში და იგივე განმეორდა აფხაზეთში. ყოველივე ამან ქართველ ახალგაზრდათა მხრებზე და ბედ-იღბალზე გადაიარა.

ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ბედმა და მოქალაქეობრივმა მოვალეობამ იარაღი დააკავებინა ხელში, იყო შოთა ქირია.

იგი დაიბადა ქალაქ რუსთავში. იქვე დაამთავრა 21-ე საშუალო სკოლა. როგორც თითქმის ყველა მის თანატოლს, მასაც მრავალი ლამაზი ოცნებისა და ნატვრის შესრულება სწადდა. მისი ცხოვრება მხოლოდ იწყებოდა და წინ ბედნიერი მომავალი ჩანდა, მაგრამ დაიწყო ქართული ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება და ისიც უყოყმანოდ ჩადგა მის რიგებში.

ჯერ ქალაქ ფოთში მსახურობდა. შემდეგ ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი, რომლის წევრიც ის იყო, გორში გადაიყვანეს და პირველი საბრძოლო ნათლობაც იქვე ახლოს, სამაჩაბლოს მიწა-წყალზე მიიღო. 18 წლის ჭაბუკმა პირდაპირ ჩახედა სიკვდილს თვალებში და არ შედრკა.

მაშინ ვერ მოერია სიკვდილი. უკან დაიხია, მაგრამ დაიმახსოვრა ლამაზი, ვაჟკაცი ჭაბუკი და ხვაშიადის აღსრულება სხვა დროსთვის გადადო. ეს სხვა დრო კი რამდენიმე თვის შემდეგ დადგა, როცა ნამდვილმა ძმებმა, რომლებთანაც საუკუნეების მანძილზე საერთო გვქონდა ჭირიც და ლხინიც, იგივე გაგვიკე-

თეს, რაც ოსებმა. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — აფხაზეთი ცეცხლის ალში გაეხვია და სწორედ ამ ალში დაიფერფლა 19 წლის შოთა ქირიას სიცოცხლე. 1992 წლის 1 სექტემბერს ეშერასთან ბრძოლაში ეროვნული ნალმზე აფეთქდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ — ღმერთს ვინც უყვარს, იმას სცდისო.

იმასაც ამბობენ — როცა მიწაზე ვინმე დაიღუპება, ცას ვარსკვლავი მოსწყდებაო. 1 სექტემბერს მოწყვეტილი ვარსკვლავის ნაცვლად შოთა ქირიას დისშვილებისა და ძმისშვილების სახელზე ანთებული ვარსკვლავები კიაფობენ, ამ ვარსკვლავებმა კი დიდხანს უნდა ინათონ აყვავებული და თავისუფალი საქართველოს თავზე, მამულის საამაყოდ და სათაყვანებელი ბიძის მოსაგონრად.



ადგული ქირია

დაიბადა 1940 წლის 21 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბერში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მესამე კურსიდან — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1973 წელს.

1970 წლიდან მუშაობა დაიწყო მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მომკვლევად, ორი წლის შემდეგ გადაყვანილ იქნა გამომძიებლად, სადაც მუშაობდა 1980 წლამდე.

1980 წლიდან 1991 წლამდე მუშაობდა ვაკის რაიონის შ.ს. განყოფილებაში უფროს გამომძიებლად. გადატანილი ჰქონდა გულის ინფარქტი. მიუხედავად ამისა, როდესაც სამაჩაბლოში შეიქმნა ასეთი სიტუაცია, სურვილი გამოთქვა წასულიყო და თავისი წვლილი შეეტანა მისი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მანამდე 1989 წელს თვით იმყოფებოდა აფხაზეთში.

1991 წლის 21 იანვარს ოსი ექსტრემისტების ნაღმს შეეწირა. მისი გვამი მეორე დღეს იპოვეს მდინარე ლიახვის ხეობაში. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ქიტუაშვილი

შემაძრწუნებელი სიკვდილით დაიღუპა პაატა ქიტუაშვილი. ვინ დაივიწყებს ფრონტის წინა ხაზიდან ჟურნალისტ ლულუ ჩხენკელის მიერ მოწოდებულ ვიდეომასალას, სადაც 19 სექტემბერს მომხდარი ვანდალური აქტია ნაჩვენები. სამხედრო დავალების შესრულებისთვის მიმავალ ავტობუსს ჩასაფრებულმა აფხაზმა ექსტრემისტებმა ჯერ სნაიპერის ტყვია დააწიეს ქართველ მეომრებს, შემდეგ კი ავტობუსი დაწვეს. დამწვართა შორის პაატაც იყო.

ველარ დაბრუნდა შინ მარიამობის დღეს სახლიდან იმედით გამოსული ვაჟკაცი. ვერ დაუბრუნდება იგი თავის შვილებს — ვანიკოსა და გიორგის, სიკვდილის წინ ფრონტიდან დაშნა რომ გამოუგზავნა დაბადების დღის აღსანიშნავად, მის უსაყვარლეს დედას, დეიდას, რომლებმაც ის უმამოდ გაზარდეს და დაავაჟკაცეს.

ისე უცბად დაიფერფლა საბურთალოელი ბიჭის, პოეზიის, ხელოვნებისა და სპორტის მოყვარული კაცის სიცოცხლე, რომ, საჰაერო დესანტში ნამსახურებმა პაატამ თავის გადარჩენა ვერ შესძლო.

პაატამ 16 წელი იმუშავა ტელე-რადიო დეპარტამენტში ტექნიკურ განყოფილებაში, შემდეგ კორესპონდენტი იყო...

მაშინ, როცა მის დედასთან, ქალბატონ რუსუდან ქიტუაშვილთან გადავწყვიტე ტელევიზიაში შეხვედრა (იგი იქ წლების მანძილზე მუშაობს), პაატას უკანასკნელ გადაცემას — „ხიდს“ ეთერში ხელახალი გაშვებისათვის ამოწმებდნენ. გულდაწყვეტილები ვუყურებდით მასალას. უცებ ქ-ნმა რუსუდანმა ვაიო

დაიძახა, ფეხზე წამოდგა და გარეთ გავიდა. ეკრანზე ცოცხლად გამოჩნდა პაატა, რომელიც მომღიმარი სახით საფრანგეთში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველ ქალიშვილსა და მის მეუღლეს — თბილისელ ჭაბუკს ესაუბრებოდა.

„თეთრი ვერხვები" მიყვარსო, უთქვამს ძაიას პაატასთვის და ამის შემდეგ მეუღლის პატივსაცემად ის ყოველთვის გაუნძრევლად უსმენდა ამ სიმღერას".

აცხონოს!

ია კალანდარიშვილი

აკაკი ქომეთიანი

დაიბადა 1955 წლის 29 მარტს ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენში, ეკონომისტის ოჯახში. 1956 წელს აკაკის მამა ომის დროს მიღებული ჭრილობების განკურნების მიზნით გადასახლდა ქ. გაგრაში. ეს იყო იძულებითი გადასახლება ექიმების დასკვნის შემდეგ.

1961 წელს შევიდა კოლხიდის საშუალო სკოლაში, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. ეკლიანი ბავშვობა არგუნა ბედმა. უჭირდა გაგრაში ახლადჩამოსახლებულ ოჯახს, რომელსაც ოთხი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. ამ გაჭირვებას დაერთო დედის გარდაცვალება 1968 წელს, რამაც ისედაც გაჭირვებული ოჯახი სულიერ ტრაგედიამდე მიიყვანა. ამ დროს უფროსი ძმა დემური 18 წლისა იყო, ხოლო უმცროსი და ლია — 12-ისა.

კაკო უდედოდ გაიზარდა და დავაჟკაცდა. 1992 წლის 1 ოქტომბრის საღამოს კოლხიდის შტურმის დროს ერთ-ერთი პირველი დაეცა კაკო ქომეთიანი, რომელმაც მოასწრო 12 გვარდიელის გაყვანა სამშვიდობოს. ამ სტრიქონების წერის დროს ცნობილი არ არის ცოცხალია თუ არა შუათანა ძმა ვარლამ ქომეთიანი, რომელიც უკანასკნელად ნახეს 1992 წლის 2 ოქტომბრის დილას ტყვიამფრქვევით ხელში სანატორიუმ „გრუზიასთან". ღმერთმა ის მაინც აცოცხლოს!

ნათელში იყავ, მამულისთვის დაღუპულო კაკო ქომეთიანო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქორიძე

დაიბადა 1971 წლის 14 აგვისტოს, 1988 წელს დაამთავრა თბილისის 58-ე საშუალო სკოლა.

სწავლობდა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე კურსზე. იყო შესანიშნავი სპორტსმენი. მოხალისედ იბრძოდა გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმში.

1992 წლის 10 აგვისტოს სნაიპერის ტყვიით დაიღუპა აფხაზეთში, ბზიფის ხეობაში.

სამშობლო არ დაივიწყებს თავის სულითა და ხორცით ლამაზ შვილს — მიხეილ ქორიძეს.

მიხეილ ქორიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

გია ქოქოშვილი

...ომს თავისი კანონები აქვსო, უთქვამთ მაგრამ, რატომ არის, რომ მაინც — დამაინც რჩეულნი იღუპებიან?..

დიახ, რჩეულნი, ისეთი, როგორიც გია ქოქოშვილი იყო.

ბავშვობაში მამით სიობლე იწვნია, თუმცა გორის რაიონის სოფელ შორდში, მშობლიურ სოფელში, ყველასთვის თითით საჩვენებელი პიროვნება იყო.

სამშობლო უყვარდა გიას და სწორედ ამ სიყვარულს შეეწირა კიდევაც მისი სიცოცხლე. იმ ავბედით დღეს, 1992 წლის 23 მაისს, გია თავის მეგობრებთან ერთად სოფელ ფრისთან მედგრად იდგა ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ. როცა გია დაიჭრა, ყველამ სთხოვა: ბრძოლის ველს გასცლოდა, მაგრამ ბუნებით ვაჟკაცმა მეგობარს ავტომატი წაგლიჯა და წინა ხაზზე დაბრუნდა. არადა, ბრძოლა უთანასწორო იყო.

ერთ-ერთი თვითმხილველის სიტყვებით, დაჭრილი გია ქოქოშვილი ვაჟკაცურად ებრძოდა ოს ექსტრემისტებს, მაგრამ ძნელია ახუგეშო ჭირისუფალი, როცა მიცვალებულის დანახშირებულ გვამს დამარხავენ. დიახ, ოსმა ექსტრემისტებმა რვა ერთიმეორეზე უკეთესი ვაჟკაცი დაწვეს ცოცხლად და-მათ შორის გია ქოქოშვილიც იყო.

ცრემლშეუმშრალი დედის, დაქვრივებული ნინო ცოტნიაშვილის, 21 წლის ახალგაზრდა ქალის ერთადერთი სიხარულია პატარა შალვა, რომელიც დღე არ კავა, მამის ხსენებაში რომ არ იყოს...

ჩვენ არ დაგივიწყებთ, გია!

ეკა ოდიკაძე

კობა ჭარელი, ნიკო ოდიაშვილი, მიშა ჭარელი, იაკობ ჩიხლაძე, ძორის კალატოზიშვილი

მარტო სოფელი ტყვიავე არაა... სრულიად საქართველო ვტირით, ტირით ნაწამებთ, უდროოდ, ვაჟკაცურად დაღუპულებს ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის, მამულისთვის...

კობა... არქიტექტორი იყავი... სოფლის გამგებლად რომ აგირჩიეს, უპირველესად მის გამშვენიერებაზე დაიწყე ფიქრი, მშვიდობიანი რუდუნება ვინ დაგაცალა... მამულს გეცილებოდნენ და... იარაღი აიხი... სიცოცხლისთვის, სიყვარულისთვის დაბადებულს სიკვდილი გაგიხადეს ოცნების მოზიარედ.

ვაი დედასა შენსა...

ნიკო... ჯიქების საგვარეულოდან წამოსულ ჯიქივით ყმას ეგრე როგორ მოგერია მტერი მომხდური... ზურგი არ გიჩვენებია, აკი ამიტომაც დაგიძიძგნეს შეუვალი მკერდი.. შენი მამა-პაპანი მჭედლები ყოფილან... შენც ვაჟკაცური სიკვდილით გამოიჭედე შენი ხსოვნის ზარი...

ვაი შენს დედას...

აკო... სოფლისათვის საყვარელი კაცის შვილი საყვარელ და ერთგულ ყმად გაიზარდე.. მისი ჭირისა და ლხინის ერთგულ ჭირისუფალს დღეს სრულიად საქართველო გჭირისუფლობს, მეგობრებზე, სიცოცხლეზე გადაგებულს.

ვაი შენს დედას...

მიშიკო... ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ, კაცის კვლა ჩვენგან არ ეგებისო... ესეც გვასწავლეს, რადგან მამულს, სამშობლოს გვეცილებიან და სულაც არ ესმით შენი ვაჟკაცური მორალი.. მტრისგან, ზურგში მახვილის ჩამცემ მტრისგან ეს დიახაც რომ მოსალოდნელია. აკი ამიტომაც შავად ამოგიბლანდეს სამზეოს ჩითები...

ვაი შენს დედას...

ოთხი კაი ყმა სოფლისთვის ოთხი ბალავარია, ვაი, რომ მარტო ნიკო ოდიაშვილის ვაჟი ჩაიცვამს მამის სახელობის თორს და ისევ იმ **მიზნისათვის**

იბრძოლებს, რისთვისაც თავი დასდეთ... თქვენ სამს კი... სიყვარული ვინ გაცალათ...

გმირებად არ იბადებიან... გმირებად კვდებიან... სიცოცხლის ამ უკანასკნელ მონაკვეთზე აიგო თქვენი ნათელი ხსოვნის ტაძარი...

ვაი მათ, ვისაც არც სააქაოს და არც საიქიოს არ მიესვლება...

ნათელ სასუფეველში მიმავალი თქვენი გზა სრულიად საქართველოს გულზე გადის.

* * *

მორის...

სულით ხორცამდე თბილისელი იყო. თბილისში დაბადებული, გაზრდილი და დავაჟკაცებული. თავის სამშობლოზე, ქალაქსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული.

სამაჩაბლოს მიწა არ ემეტებოდა სხვისთვის, ნიჭიერსა და ოქროს მარჯვენის პატრონს რამდენი რამის გაკეთება შეეძლო თბილისისათვის, მაგრამ გულმა ტყვიავისაკენ გაუწია. ნათესავისი ოჯახში დასახლებულს გულისყური დღენიადაგ სამაჩაბლოსკენ ჰქონდა მიპყრობილი.

კეთილი, ჭკვიანი, მშრომელი, ერთგული და უღალატო ბიჭი იყავი და, რასაკვირველია, არც სამშობლოსათვის გიღალატნია.

საკუთარი მკერდით იცავდა ქართლის მიწას და სწორედ იმ მკერდში გაუცივდა საქართველოზე შეყვარებული გული.

ვაი შენს დედას, მორის, მამაცი შვილის გამზრდელ დედას, მაგრამ საამაყოც ბევრი აქვს — სამშობლოს მართალი და მამაცი კაი ყმა გაუზარდა!

ნათელი დაგბედიბოდეს ამ ქვეყანაშიც. აქ, სამზეოზე ადრე დაღამებულო ბიჭო!

ტყვიავის თემის საკრებულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა ქრისტესიაშვილი

ზემოდგეგი კობა ვლადიმერის ძე ქრისტესიაშვილი დაიბადა 1966 წელს თბილისში.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1992 წლიდან სოხუმის ბატალიონში. დაიღუპა 1993 წლის 17 მარტს სოფელ აჩადარასთან.

ბესიკ ქუთათელაძე

ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე. პოლკოვნიკი ბესიკ თენგიზის ძე ქუთათელაძე.

ბესიკი დაიბადა 1958 წელს საჩხერის რაიონში. 1973 წელს დაამთავრა საჩხერის ილია ჭავჭავაძის სახელობის 11 საშუალო სკოლის 8 კლასი და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. საქართველო. ფაკულტეტზე. 1977-79 წლებში მსახურობდა რუსის ჯარში. მისი ცხოვრების დიდი ნაწილი სპორტს ეკუთვნოდა. იგი იყო საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის წევრი, იყო სპორტის ოსტატი ორ სახეობაში.

1979 წელს მუშაობა დაიწყო საჩხერის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელად ჭიდაობა ძიუდოში. 1980 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1982 წლიდან მუშაობდა საჩხერის № 153-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელად, ხოლო 1984 წლიდან საჩხერის სპორტული კომპლექსის დირექტორად. პარალელურად მოღვაწეობდა როგორც მწვრთნელი და მამულს ბევრი სახელოვანი ჩემპიონი აღუზარდა.

ბესიკი არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად, იყო საჩხერის რაიონის პირველი პრეფექტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე.

ბესიკ ქუთათელაძე ეროვნულ საქმეს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა. დიდია მისი წვლილი საქართველოში პირველი ეროვნული გვარდიის ფორმირების შექმნაში. იგი იყო ამ ფორმირების ერთ-ერთი პირველი მეთაური და ამ საქმეს სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა.

ბესიკის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯები იმ კაცური ღირსების ანარეკლს წარმოადგენდნენ, რომლებიც ჩვენს სახელოვან წინაპრებს ახასიათებდათ და ჩვენს დროში დავიწყებას მიეცა. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის უძველესი მხედრული ტრადიციების აღორძინებაში. ამ ტრადიციების ერთგულს ახასიათებდა სიმამაცე, პირდაპირობა, შეუპოვრობა. ყოველივე ამ თვისებებთან ერთად, იგი იყო საოცრად მიმტევებელი და მზრუნველი პიროვნება უებრო ვაჟკაცის სულის ძახილმა მისი ფიქრები საქართველოს მხედრული ძლიერების აღდგენის საქმეს შეალია და ამ საქმეს შეეწირა კიდეც. მისი სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოს სამსხვერპლოზე სვლის გზა იყო, ამ გზას ის სავსებით ცნობიერად, შეწირული სიმტკიცით მიუყვებოდა და როგორც მოწამეს, არც ერთი წუთით არ უფიქრია თავისი ბედი როგორმე შეემსუბუქებინა, ეყო ძალა და უნარი ვისიმე ლიქნის ან ლანძღვის სიტყვით პრინციპები არ შეეცვალა და გზიდან არ გადაეხვია

— მამაცი მხედრები ღალატით კვდებიან, — ასეთია ომის ღმერთის განგება...

გორში, რუსი ოფიცრების მუხანათურად ნასროლმა ტყვიებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე მას და მის თანამებრძოლებს...

ბესიკი ორივე ხელისუფლების დროს გვარდიის მეთაური იყო. მის ირგვლივ ბევრი ბრალი და სიბინძურე დუღდა, მაგრამ მას მწიკვლი არ მოსცხებია, რადგან ერთი საზომით ზომავდა — მოუხდებოდა თუ არა ეს ნაბიჯი საქართვე-

ლოს. ეს იყო და ეს. ალბათ, ამან ატარა იგი ამ ცოდვით სავსე წუთისოფელში ასე ნათელ კაცად და ამანვე აქცია ყოველი ქართველის საყვარელ ადამიანად.

მამა-პაპათა გზას ნაადრევად გაუდგა სამშობლოს სიყვარულში დაფეთ-ლილი ვაჟკაცი, ჩვენ კი დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი, რომელიც „ასობიდ გვათქმევინებს: „ღმერთო, რა დიდი ბრალია სიკვდილი კაი ყმისაო!" იგი მთელ საქართველოს მოუკვდა, უფრო სწორად, ზეცაში წავიდა მამულისათვის თავდადებულ დიდ მხედრებთან. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართველ მხედართა ვაჟკაცობისა და სულგრძელობის ისტორიაში.

და მაინც, სიცოცხლეს აგრძელებს მისი ორი ბოკვერი, რომლებიც მამის დაწყებულ საქმეს ვაჟკაცურად გააგრძელებენ.

ბესიკ ქუთათელაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით.

ილო (ილარიონ) ქურდობაძე

დაიბადა ქ. სამტრედიაში 1971 წლის 27 ნოემბერს. 1978-86 წლებში სწავლობდა სამტრედიის № 3 საშუალო სკოლაში, 1986-1988 წლებში — სამტრედიის № 5 საშუალო სკოლაში. 1989 წლის 16 ივლისს სხვა სამტრედიელ ბიჭებთან ერთად ისიც აფხაზეთში წავიდა ქართველების მისაშველებლად, დეკემბერში კი საბჭოთა ჯარში გაიძახეს. უარი არ უთქვამს წასვლაზე, აფხაზეთის ამბებმა სამხედრო საქმის ცოდნის აუცილებლობაში დაარწმუნა იგი. ჯარიდან 1991 წლის მიწურულს დაბრუნდა. შემდეგ მუშაობდა ავტოსარემონტო საწარმოში. აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღეებში განცხადება დაწერა, რომლითაც მოხალისედ ითხოვდა წასვლას, სექტემბერში გაიწვიეს კიდეც მოკლევადიანი მომზადების შემდეგ. 2 ოქტომბერს უკვე გაგრის რაიონში გადაიყვანეს. იმ მძიმე დღეებს გადაურჩა, მხოლოდ ფეხები ჰქონდა დაზიანებული, მო-

იშუშა თუ არა, ისევ აფხაზეთს მიაშურა. ცრემლით ნუ გამაცილებო, დედას სთხოვა, მე მალე დავბრუნდებიო. ვაი, რომ, ცუდად დაბრუნდა, 19 დეკემბერს სოფელ აძიუბჟასთან (გულრიფშის რაიონი) აფეთქდა ნაღმზე ჯავშანმანქანით. შემდეგ ნეკროლოგში წერდნენ მისი თანამებრძოლები: „ძნელია ნუგეში ცემ-დედას, რომელმაც 21 წლის უცოლშვილო ვაჟკაცი დაკარგა. ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, მუდამ დაუვიწყარი იქნება ილო ქურდობაძის პირდაპირი და ვაჟკაცური ხასიათი, მისი გმირული შემართება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

თინიკო ივანიშვილი



ვასია ღამგაშიძე

დაიბადა 1964 წლის 15 თებერვალს სოფელ არგვისში. ჰყავს დედ-მამა, ორი ძმა და ორი და. 1981 წელს დაამთავრა ბერულის საშუალო სკოლა და დაიწყო მუშაობა ერედვის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზატორად. 1982 წლის 5 მაისს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1984 წელს დაბრუნდა სოფელში და მუშაობა გააგრძელა ისევ მექანიზატორად. ორი წლის განმავლობაში იყო დეპუტატად. 1986 წელს არგვისიდან გადავიდა ქალაქ რუსთავში და დაიწყო მუშაობა ამწემშენებელ ქარხანაში შემდულებლად. 1990 წელს სამაჩაბლოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მან მიატოვა სამსახური და დაბრუნდა სოფელში. სამშობლოს დასაცავად. დროებითი სიმშვიდის შემდეგ მშრომელმა ვაჟკაცმა ვერ გასძლო უმუშევრად და დაიწყო მუშაობა ისევ მექანიზატორად, მაგრამ ოსმა ბოევიკებმა არ აცალეს დიდხანს მუშაობა. 1992 წლის 12 მაისს ბრძოლის დროს მსუბუქად დაიჭრა, სისხლი გასდიოდა ღვიძლის მხრიდან და ისე გამოიყვანა შედარებით უფრო მძიმედ დაჭრილი ტყვიაველი ახალგაზრდა სამშვიდობოს. როცა უკან დაიხიეს, გაიგო, რომ მისი შვიდი დაჭრილი თანამებრძოლი

ბრძოლის ველზე დარჩა. გულმა აღარ გაუძლო და შებრუნდა უკან მათ დასახმარებლად. კბილებით იცავდა თავის შვიდ მგმინავ ძმას, მაგრამ მუხანათმა მტრებმა უკვე მძიმედ დაჭრილი ჯალათურად აწამეს და დაწვეს 1992 წლის 12 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერ ღამბაშიძე

დაიბადა ქალაქ რუსთავში 1970 წლის 21 აპრილს. ცხოვრობდა თბილისში, „თემქის" დასახლების II მიკრორაიონში. სწავლობდა თბილისის 164-ე საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ჩაბარა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. 1989 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში — ორი წელი იმსახურა შორეული აღმოსავლეთის ოლქში.

იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის წევრი. (ლეიტენანტი).

დაიღუპა 1992 წლის 4 ოქტომბერს — ის, ტყვედ აყვანილი, დახვრიტეს გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკში.

იყო უცოლშვილო.

დარჩა დედა — ქეთევან ღონღაძე.

კახაბერ ღამბაშიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლიზ** III ხარისხის ორდენით.

ანდრო ღარიბოვი

რიგითი ანდრო ანზორის ძე ღარიბოვი დაიბადა 1972 წლის 25 ოქტომბერს ქ. თბილისში. ეროვნებით სომეხი.

მსახურობდა ოპერატიულ პოლკში 1991 წლის მაისიდან.

დაიღუპა 1992 წლის 28 დეკემბერს, ტამიშთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ღვალაძე

ვაჟა გიორგის ძე ღვალაძე 1969 წელს დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვაზისუბანში. შინაგანი ჯარების პოლკში მსახურობდა 1992 წლიდან. იყო ზემდეგი, ავღანეთის ომის მონაწილე. საზრიანად იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში ძველი კინდღასთან უთანასწორო ბრძოლისას ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო, ხელყუმბარით აიფეთქა თავი.

გრიგოლ ღონღაძე

ზემდეგი გრიგოლ დავითის ძე ღონღაძე დაიბადა 1964 წელს თბილისში. შინაგან ჯარებში მსახურობდა 1993 წლის 10 ივნისიდან სწრაფი რეაგირების სპეციალიზირებულ ბატალიონში.

28 ივნისს მივლინებულ იქნა აფხაზეთში საქართველოს მთლიანობის დასაცავად, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მტერთან ბრძოლებში ზემო კინდღის მიდამოებში. ერთ-ერთი შეტაკების დროს იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა. 3 ივლისს ზემდეგი გ. დ. ღონღაძე ნახეს მოკლული.

ჰყავს მამა, დედა, ძმა.

ზაურ კალანდია

აფხაზეთს სიკვდილიც ვერ ეამართმევს!..

12 ოქტომბერია, ხუთნი ვართ თბილისის აეროპორტში, მწერალთა ერთი ჯგუფი, და მივემგზავრებით აფხაზეთს...

ჩვენს ჯგუფში ჯანო ჯანელიძეცაა, სოხუმელი კაცი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ერთი კვირაა თბილისში იმყოფება. თექვსმეტგვერდიანი გაზეთი „კოლხური დიადემა“ სამ დღეში მარტოდმარტომ გამოსცა, აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებში ქართველი საზოგადოებრიობა უფრო ღრმად ჩაახედა და შეაძრწუნა, მერე ჩვენ, მისი უმცროსი კოლეგები — ირაკლი სამსონაძე, ვახტანგ ღლონტი, ზურაბ ლობჟანიძე და მე — აგვიყოლია და სოხუმისაკენ დაგვამგზავრა...

თვითმფრინავის სალონში ვართ.

ჩვენს გარდა იარაღი ყველას აქვს და, აქედან გამომდინარე, ყველა საბრძოლველად მიდის, და ჩვენ ცოტა უხერხულადაც კი ვგრძნობთ თავს... არის ხმაური, იარაღის ჩხაკუნი, გადაძახილები... აქა-იქ არაყიც ისმევა და არც ანთებულ სიგარეტს მალავს მუჭში ვინმე... არც არაფერია გასაკვირი: ბიჭები — ქართველები! — ომში, მამულის დასაცავად მიდიან!..

მანამდე, 7 ოქტომბერს, საქართველოს მწერალთა კავშირში სახელდახელო მიტინგი გაიმართა, სადაც აფხაზეთში წამსვლელ მოხალისე ახალგაზრდა მწერალთა საკმაოდ მოზრდილი სია შედგა. სხვათა შორის, მსგავსი ოცეული უკვე არსებობს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციასთან, რომელიც მზად არის აიღოს იარაღი და საკუთარი სამშობლო, მისი მთლიანობა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას.

თუმცა, ჯერ ჩვენ ყველას რეზერვისტები გვქვია.

და აი, მწერალთა ეს ერთი მცირე ჯგუფი ჰაერში ვართ...

ჩვენი ნაუცბათევი წასვლა იმანაც განაპირობა, რომ აფხაზეთიდან ახალ ცნობებს თითქმის მოკლებულნი ვართ. ტელევიზია ერთსა და იმავე ინფორმაციას ხშირად ორი დღე იმეორებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, ვთქვათ, დილით ჩხიკვაძე რომ მოგვაწვდის, ნაშუადღევს — შენგელია, საღამოს — ბაჯელიძე, ან პირიქით.

ტრაგიკულია მწერლის ხელში იარაღი. ომში გამარჯვებული მწერალიც, ალბათ, კვდება, როგორც შემოქმედი, სამარდება; მაგრამ უფრო ტრაგიკულია,

როცა მშობლიურ მიწა-წყალს გეცილებიან, ერის ერთიანობას ხელყოფენ, გკლავენ, შვილებს გიხოცავენ, გენოციდს გიწყობენ დაქირავებული გადამთიელები და, რამეთუ არაერთი ჩვენნაირი რიგითი უკვე იბრძვის ეს ქვეყნის წინაშე ვალს იხდის აფხაზეთში, ჩვენც მზადა ვართ, იარაღი (თუკი ვიმოვეთ, ცხადია!) მომხდურთა წინააღმდეგ ავისხათ.

სოხუმში ვართ, სტალინის ყოფილ აგარაკზე, სადაც აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლებაა განლაგებული. აქ არიან ბატონები გოგა ხაინდრავა, თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ნაპოლეონ მესხია... ბატონ გოგას ჩვენს საბრძოლო მზადყოფნაზე ეღიმება: არც ისე გვიჭირს, თქვენ რომ ჩაგრიოთ ბრძოლებშიო, გვამშვიდებს და, ისევ ჩვენ ვპოულობთ გამოსავალს — სამხედრო კორესპონდენტებად ვაცხადებთ თავს, რაზეც თანხმობასა და დახმარებას გვპირდება გოგა.

შუაღამისას, სამი საათიდან ექვსამდე, ჰაუბიცების ბათქსა და ზარბაზნების გრიალში ჩვენი მასპინძლის, ბატონ გენო კალანდიას ბინის კარ-ფანჯრები ზანზარებენ და, რა თქმა უნდა, ძილი და მოსვენება, დაღლილობისდა მიუხედავად, გვიფრთხება...

დილით სამხედრო შტაბში ვართ.

შტაბში სოხუმის მე-3 ბატალიონის უფროსს, ბატონ დათო ღვინჯილიას ავალებენ ომის წინა ხაზზე ჩვენს გაყვანას და მეგზურობას და ეშერისაკენ, სადაც წუხელ ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობდა თურმე, მივემართებით.

ჯანოს შოფრული გამოცდილება რომ ვიცი, მის მანქანაში სიკვდილს კეფაში როყიო ტყვია მირჩევნიაო, ხუმრობს გენო და ის, ვახტანგ ღლონტი და მე ბატალიონის მეთაურის მანქანაში ვთავსდებით, ირაკლი და ზურაბი — ჯანოსთან.

მანქანის უკანა სავარძელში ნაღმსატყორცნი დევს, რომელიც ვახტანგმა მუხლებზე ფრთხილად დაისვენა და, ეს რაღააო, დაინტერესდა.

ქართველმა ხალხმა უკვე ირწმუნა, რომ 14 აგვისტოს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენი საჯარისო ნაწილების შესვლა მარტო ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადაადგილება არ იყო... მაგრამ ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, დღესაც არ სჯერა, რომ 21 აგვისტოს აფხაზ სეპარატისტებსა და მთიელთა კონფედერაციის ბანდებს ქართული მოსახლეობისთვის გენოციდის მოწყობა ჰქონდათ აფხაზეთში განზრახული... დროც „შესაშური“ იყო შერჩეული: ორად გახლეჩილი, დაძაბუნებული საქართველო, „უკანონო“ ხელისუფლება და, რაც არანაკლებ აძლევდა ხელს არძინბას, ექსპრეზიდენტისაგან აშკარა მხარდაჭერა და ასევე მისგან დივერსიული აქტების კასკადი მთელი საქართველოს მასშტაბით...

დიახ, არძინბა და მისი თანამზრახველები მზად იყვნენ... ასობით „ბოევიკი“ ჩეჩენი, ყაბარდოელი, თურქი, რუსი თუ ჩერქეზი უკვე „შინ“, საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდათ, ორი სამი თვის მანძილზე ინახავდნენ მათ და, როგორც დამტკიცდა, არამარტო აფხაზეთის მოქალაქეობას, არამედ თითოეული

მოკლული ქართველის მკვლელს მოკლული ქართველის ჭერს და საცხოვრისს სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ თურმე.

ვაი ჩვენს თავს, ისევ ჩვენი მიამიტური ბუნება და მიმნდობლობა, ქართული ძილქუში და დაუდევრობა რომ არა, ეს საშიშროება ჯერ კიდევ რიდის უნდა გვეგრძნო და აგვეცდინა!

რაც თავი მახსოვს, სულ ასე, კრაზანების ბუდესავით ბზუის, იგესლება და ავად ფუთფუთებს გუდაუთა... აგერ, ახლახან არ იყო 1989 წლის 15—16 ივნისი და... თითქოს არაფერი, თითქოს ვოვა ვეკუას ვერაგული მკვლელობა, თვრამეტი ქართველი ვაჟკაცის წმინდა სისხლი მათ ცოდვილ კისერზე არ იყოს!

ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ბედოვლათობას, თორემ სწორედ მაშინ უნდა გვეყვირა, როცა სოხუმი, უძველესი ქართული ქალაქი, მთიელთა კონფედერაციის დედაქალაქად გამოგვიცხადეს!...

დღეს რა?... დღეს უკვე გაგრაში, განთიადსა და ლესელიძეში კანიბალიზმმა იზეიმა, მშვიდობიანი მოსახლეობა თითქმის მასობრივად გაიჟლიტა, იქაურობა, გაჩანაგდა, დაინგრა, გადაიწვა...

ქართველი კაცი ვერასოდეს აპატიებს აფხაზ სეპარატისტებსა და მათ დაქირავებულ მკვლელებს ამ მუნახათობას! ღმერთმანი, არც ეპატიებათ, მაგრამ ეს ერთიც ხმამაღლა უნდა ითქვას, უნდა გაიგოს ბრმამ და თვალხილულმაც, რომ მსგავსი ვანდალიზმი მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო დაგეგმილი, სიებიც კი ჰქონდათ უკვე: პირველები ვინ უნდა ამოეხოცათ, ხოლო გალის რაიონს, ეტყობა, მისი თითქმის ასპროცენტიანი ქართული მოსახლეობის გამო, „თმობდნენ“ და... ენგურჰესის კაშხლის აფეთქება და სამურზაყანოს აღგვა პირისაგან მიწისა ჰქონიათ განზრახული...

ასე რომ, ჩვენი გვარდიის არშესვლა აფხაზეთში არამარტო საკუთარი ტერიტორიის დაკარგვას მოასწავებდა, არამედ ორასორმოცდაათი ათასი ქართველის შესაძლო გაწყვეტასაც!

არადა, საქართველომ მართლაც არ იცის, ვინ არიან და რა სისაძაგლეები ჩაიდინეს ამ კაციჭამიებმა!

თურმე... ერთმა ჩეჩენმა ფეხმძიმე ქართველ ქალს მუცელი გადაუფატრა და მეორე ჩეჩენმაც გადმოსძახა — ბიჭია თუ გოგო?!

თურმე... ჩეჩნისთვის სულ ერთია, ყოფილი პრეზიდენტის მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე; ყანყრატოს ამოგართმევს, მერე ენას გამობრდღვნილი ყელიდან დაგქაჩავს, მკერდზე დაგკიდებს და... ამ გაუგონარ საშინელებას „ოპერაციაჰალსტუხს“ ეძახიან!..

ამას ჰყვებიან რაღაც სასწაულად გადარჩენილი თვითმხილველი გაგრელები, ლესელიძელები, განთიადელები...

დიახ, ჩვენ უნდა შევსულიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა ვთქვათ, არა ასე და ამდაგვარად!..

ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ დრო, ჩვენი რუსი „ძმების“ წყალობით, მათ სასარგებლოდ იმუშავებდა!

აფხაზებისათვის ერთი საათი ერთ თვეს ნიშნავსო, ხშირად გაიგონებ სოხუმელთაგან და, ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს იმისი შიშიც, კვლავ შეცდეთ, კვლავაც იგივე განმეორდეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა შევსულიყავით, მაგრამ, ესეც ცხადია, დამარცხებისთვის არ

-დიან.

არადა, აშკარად დავმარცხდით.

ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ვარაუდით, გაგრაში 2500-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეა დახვრეტილი. ვინ იცის, კიდევ რამდენი გვარდიელი, მხედრიონელი თუ მოხალისე ჭაბუკი შეეწირა ამ უთანასწორო ბრძოლას და, თუ ფიზიკურად გავნადგურდით, პოლიტიკურად მოგებული ომი ვერაფერი შეღავათია!

დღეს ძნელია თქმა: რა მოხდა? ვინ არის დამნაშავე?!

საზოგადოებისათვის ისიც ცნობილია, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა პოლიტიკოსებს დებს ბრალს, პოლიტიკოსები კი მას ადანაშაულებენ. არის შესამე ვერსიაც — ვაი ქართველთა ღალატი, მაგრამ აქედან რომელიც უნდა დამტკიცდეს, ათობით ნაგვემ-ნაწამებ სხეულს სულს ვერ შევუმსუბუქებთ.. ვერც სასწაულად გადარჩენილთათვის არის ეს რაიმე ნუგეში და ვერც საკუთარ თავს დავიმშვიდებთ, თუნდაც იმიტომ (რაც არანაკლებ ტრაგიკულია!), რომ, სამარცხვინოდ, არაქართულად წავაგეთ ომი: 48 წუთში დავთმეთ გაგრა!

არადა, შიშის ფაქტორი დღესაც მოქმედებს სოხუმის მკვიდრ მოსახლეობაში, ღალატის შიშის... სხვათა შორის, სახელმწიფოს სამხედრო შენაერთებშიც იგრძნობა ეს შიში... არის ამისი საბაბიც.

სამჯერ ვიღებთ ერთ მაღლობს... წავიწევთ წინ, ხელისუფლება უკან გვექაჩებაო, უკმაყოფილებას არ მალავენ მებრძოლები. უკმაყოფილოა ადგილობრივი მოსახლეობაც. ყოველდღე ათობით ახალგაზრდა ბიჭი მიდის სამხედრო შტაბში, ქალაქის კომენდატურის წინ: მოგვეცით იარაღი და საკუთარ ქალაქს თავად დავიცავთო, მაგრამ იარაღის უქონლობის (?) გამო გულდაწყვეტილები უკან ბრუნდებიან.

თუმცა, როგორც ღირსეული და თავგანწირული მებრძოლი, ისე ნაძირალაც ბევრია ადგილობრივშიც და ჩამოსულშიც; ამას მტკიცება არ სჭირდება. თუნდაც ეს ფაქტი: თავიდან, როცა ყოველი მხრიდან ათასი რჯულის მოხალისეთა მოზღვავება იყო, 1700 ავტომატური იარაღი დარიგდა. სად გაქრა, ეშმაკმა იცის!..

ყველაზე დიდი უბედურება კი, ჩემი აზრით, ალბათ, ეს არის: რატომაა ასეთი ქაოსი სამხედრო შენაერთებში..

არადა, თითქოს ყველა ბატალიონს თუ შენაერთს საკუთარი უფროსი ჰყავს, თან ისეთი უფროსები, ერთმანეთს ტოლს რომ არ უდებენ ერისა და ქვეყნის სიყვარულში!.. მართლაც, მათ ბუზს ვერავინ აუფრენს, თავიანთი თავის უფროსები და ხელისუფალნიც თავად არიან. მეტიც, ჯარისკაცი ჯარისკაცი რაა (სულერთია, რომელ შენაერთს ეკუთვნის). თუ უნდა, იომებს, თუ უნდა —

არა... თუ უნდა, გადამთიელს აჰყრის იარაღს და გასკვანჩავს, თუ უნდა — თავის მოძმეს, ქართველს დააჩოქებს და გაძარცვავს!.

ეს, რა თქმა უნდა, ცალკეული შემთხვევებია, თუმცა არაიშვიათი და ამი-ტომაც გვაწუხებს.

მხოლოდ ღალატისა მეშინიაო, ამბობს ბალმარანელი ჭაბუკი, ასმეთაური ლიპარტია.

თითქოს არც უნდა გვიკვირდეს, ღალატიც ხომ ჩვენშია, ჩვენს სისხლ-ხორცში გამჯდარი, უმცროსო მეგობარო.

ჯერ კიდევ როდის გადაგვარდა ბევრი...

ერთი: აფხაზი კაკალია აფხაზური გვარდიის უფროსია.

მეორე: აფხაზი ადამია (ლომია) — შანიბოვის „მთავრობის" თანათავმჯ-დომარე.

მესამე: აფხაზი წერეთელი სპორტული თვითმფრინავის სოხუმის აერო-პორტს ბომბავს რუს თანამოძმესთან ერთად.

მეოთხე: 1989 წლის 15—16 ივლისის გმირს, უვაჟკაცეს ბიჭსა და მამული-შვილს, სოხუმელ აბესალომ მიქელაძეს აფხაზეთის გასანთავისუფლებლად ჩა-მოსული „მოხალისეები" იჭერენ და მანქანასა და ავტომატს ართმევენ..

მეხუთე?..

ბიუხედავად არაერთი გულსატკენი ამბისა, ჩვენი ერთკვირიანი ოდისეის მერე, მაინც იმედიანად ვართ, ბევრი ისეთი რამ ვნახეთ და მოვისმინეთ, რაც თითოეულ ქართველს აამაღლებს... პირადად ჩვენ ეს გრძნობა არაერთხელ დაგ-ვეუფლა და თითქოს გამარჯვებულები ვბრუნდებით უკან, თბილისში.

გვწამს ჭეშმარიტად, რომ საქართველო გაიმარჯვებს!

ჩვენი ბრძოლა ხომ სამართლიანია!

არც იმას უნდა, ალბათ, დიდი დრო, ერთიანი, მძლავრი, პროფესიული ჯარი გვყავდეს და უფრო ფხიზლად და მობილიზებულად ვიყოთ ომისა თუ მშვიდობის დროს.

რაც მთავარია, საქართველო ერთი გოჯი მიწის დათმობას არ აპირებს!

ისეთი განწყობილების ადგილობრივ მოსახლეობაში.

ასეთივე განწყობილებაა მებრძოლებშიც!

იქნებ, აფხაზიც მოვიდეს გონს და რუსიც...

მაშინ როგორც აფხაზეთი, ისე აფხაზი კაციც გადარჩება!

ქვეყანა ერთიანი და მთლიანი გახდება.

9 ოქტომბერს, სოხუმზე სერიოზული თავდასხმა რომ იყო მოსალოდნელი, ბუხარი ამოვაშენე მარანში და არ გაინტერესებთ? — გვეუბნება სამოცდა-თორმეტი წლის კაცი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ფსი-ქიატრი, ბატონი ბიძინა მგალობლიშვილი და შინ, ჭიქა ღვინოსა და თევზის კონსერვზე გვეპატიჟება.

ქართველი კაცი დღესაც ქართულ ბუხარზე ფიქრობს აქ და არძინბას მუქარა კი არა, სიკვდილიც ვერ დაატოვებინებს ამ მიწას, ანუ სიკვდილს უფ-რო შეურიგდება, ვიდრე უცხოტომელთა პარპაშს...

მე მაინც ერთი ახალგაზრდა პოეტის — სერგო წურწუმიას ნათქვამი არ მასვენებს:

— წალენჯიხელი ვარ, დღეს აქ ვცხოვრობ, მაგრამ ყველა ჩემიანი იქა მყავს, და, როცა მომკლავენ, მაინტერესებს, გვაძის წასაღებად თუ ჩამოვლენო?!

ვის გვერდით ვდგებით და სად?!

საერთოდ, რაც უნდა გულნატკენი იყოს ვინმე, ღირს კი დღეს მტყუანმართლის გარჩევა, როცა ასეთ ჯოჯოხეთურ ცეცხლშია საქართველო, თითოეული ჩვენგანი გახვეული?!

არადა, ეს არამარტო ამ ახალგაზრდა კაცის — სერგო წურწუმიას ფიქრია. ასე ფიქრობს, წუხს, განიცდის, სისხლს ღვრის ბევრი იარაღასხმული დღევანდელი სოხუმელი, რომელთაგან ერთი გუშინდელი ზუგდიდელია, მეორე — წალენჯიხელი, მესამე — გალელი და ა. შ.

1989 წლის 15—16 ივლისის ტრაგიკულ დღეებს შენატრის აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა, როცა, როგორც ერთი, მთელი სამეგრელო ლაღალიძგასთან იყო საომრად მომდგარი...

სამეგრელოს ტკივილიც და განწყობაც ცნობილია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ისინი ტერორიზებულნი არიან!..

და მერე ვისგან და რა ხალხისაგან?!

ღმერთო, შენ გვიშველე!

მიეც გონი გზააბნეულთ!

იხსენ საქართველო!!!

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,

23 ოქტომბერი, 1992 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა ყარყარაშვილი

ომი თითქმის დამთავრდა... მაგრამ ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა მისი ექო. ჩვენს თაობას, რომელსაც არ განგვიცდია ომის საშინელება, კიდევ დიდხანს გაგვყვება გუშინდელის გამოძახილი... რამდენი პირტიტველა ბიჭი შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას, სამაჩაბლოთი დაწყებული, აფხაზეთით დამთავრებული. რამდენი შვილი მოსწყდა დედის გულს, რამდენი მოხვდა ტყვეობაში, რამდენი დაიკარგა, მაგრამ როცა საქართველოს ბედ-იღბალი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ნათლად გამოჩნდა ვინ შეიქნა მამულის ერთგული შვილი.

გოჩა ყარყარაშვილიც დააკლდა იმ თბილისელ ბიჭებს, რომლებიც გაგრის დაცემის დღეებში იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ.

სიმამაცით გამორჩეული „თეთრი არწივის" მეომარი, ჯერ ბოლნისთან, მერე სამაჩაბლოში იბრძოდა და თავიც ბევრჯერ ისახელა ძმის — გია ყარყარაშვილის გვერდით, არცერთი შეიარაღებული კონფლიქტი, თუ შეტაკება ხრ ყოფილა მისი მონაწილეობის გარეშე.

გაგრაში ექსტრემისტი აფხაზების მიერ დაქირავებულთა შემოტევისას ქართველი მებრძოლების ერთადერთი თავშესაფარი ტყე აღმოჩნდა. ამ დროს გია ყარყარაშვილი სხვა უბანზე იყო. როცა მამაც სარდალს თანამებრძოლებისა და მათ შორის ძმის დაღუპვა შეატყობინეს, იგი ოცდაათკაციანი რაზმით გაეშურა იმ ადგილისაკენ. გიამ ძალზე დიდი წრე გააკეთა, რომ დარჩენილი მებრძოლები და ძმა გამოეყვანა, მაგრამ მასაც ყველა გზა გადაუჭრეს. მანამდე კი... ჩვენმა მეომრებმა უკან დაიხიეს, ტყეში, თუმცა იყო იმის საშიშროება, რომ მტერი მათ ალყაში მოაქცევდა. ვარაუდი გამართლდა. ყველა მხრიდან შემოუტიეს და ჩვენები ხეობაში შეიმწყვდიეს. მდგომარეობა კრიტიკული იყო, ერთი გამოსავალი ჰქონდათ მხოლოდ — მტერთან ხანმოკლე შეტაკებებით ქვევით,

ხეობაში თუ ჩააღწევდნენ, შეიძლება გადარჩენილიყვნენ. ამოცანა ძნელი შესასრულებელი ჩანდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. სწორედ ამ დროს მოხვდა ტყვეში გოჩა ყარყარაშვილს. დაჭრილი ატარეს ციცაბო ფერდობზე, ძალიან გაუჭირდა სიარული. ერთ-ერთ მეომარს ქვა დაუგორდა და გოჩას უნდა დასცემოდა. ...ეს სახელად ხვიჩა ერქვა, — გადაეღობა და.. ფეხი მოიტეხა. ამაოდ იფრთხილეს ბიჭებმა, თურმე გოჩა ამ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი. ერთი მიცვალებული და ფეხმოტეხილი ხვიჩა უნდა დაეტოვებინათ ადგილზე. ხეობიდან მათი გამოყვანა შეუძლებელი იყო. მოწინააღმდეგემ უფრო ძლიერ შეუტია, გაიფანტნენ მებრძოლები, გოჩასთან და ხვიჩასთან მხოლოდ ოთარ ოძელაშვილი დარჩა. ხშირფოთლებიანი ტოტები დააფარა ბიჭებს, უცხო თვალს მოარიდა, ხვიჩას ხელყუმბარები გადასცა და იმით დაიმედებული წავიდა, რომ უეჭველად გაიყვანდა მათ. ოთარ ოძელაშვილი სამწუხაროდ, მერე აღარავის უნახავს.

ეს იყო 1992 წლის 5 ოქტომბერს...

მერმე კი... ხვიჩა ორი დღე-ღამის განმავლობაში დარჩა დაღუპულ გოჩა ყარყარაშვილთან, აი, სწორედ ამ დროს ეძებდა გია ყარყარაშვილი ტყეში გაფანტულ მებრძოლებს, თავის დაღუპულ ძმას, და არ იცოდა, თუ გოჩასთან ფეხმოტეხილი მეომარიც იქნებოდა.

...ხვიჩა უიმედოა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, იფიქრა, მტერიაო. ძნელია, როცა მეომარმა არ იცის, მტერი მოდის, თუ მოყვარე. ხელში საკუთარი თავის ასაფეთქებელი ყუმბარა უჭირავს... უახლოვდებოდა ბიჭების სილუეტები, ეს რომ დალანდა, შესძახა: ბიჭებო, აქ ვარ და მომეხმარეთო. გია ყარყარაშვილის ხმამ იგი მეორედ დაბადა.

როცა შვეულმფრენი გამოჩნდა, ასეთი სიტუაცია შეიქმნა, ერთ-ერთი მებრძოლი უნდა დარჩენილიყო, დაყოვნება საბედისწერო იქნებოდა შვეულმფრენისათვის, დრო გამოთვლილი იყო.

— მაშინ მივხვდი, რომ განწირული ვიყავი, ვრჩებოდი ამ მიუვალ ხეობაში. მეგონა, გია გაღუპულ ძმას წაიყვანდა მე დამტოვებდნენ. მებრძოლებმა გოჩა ყარყარაშვილს მოკიდეს ხელი... გიამ კი მებრძოლებს შესძახა: დაღუპულს შეეშვით და ჯერ ცოცხალი გაიყვანეთ აქედანო. ეს ამაღელვებელი წუთები იყო. ჩვენმა მამაცმა სარდალმა — გიამ დაღუპული ძმა დატოვა, მე კი... წამიყვანეს. — იტყვის შემდეგ ხვიჩა.

...დედა კი შვილის ცხედრს ელოდება შინ, იცის გიას ხასიათი ყველაფერს იღონებს დედის ვარამის ცოტათი მაინც შესამსუბუქებლად. შისდაბრუნებული კი დედას ასე ამშვიდებს: იმ ბიჭის თვალებს რომ შევხედე, ვერ შევძელი. მაპატიე, დედა!

ძნელი იყო შვილის დაღუპვასთან შეგუება, მაგრამ მის უსაფლაობასთან შეგუება უფრო ძნელია...

— შენ სხვანაირად ვერც მოიქცეოდი, გია, რა გაქვს საბოდიშო, — დააწყნარებს დედა შვილს, ათი დღის მერეღა შესძლო გიამ ძმის ცხედრის შინ ჩამოსვენება, დედას რომ შვილის გვამის ჩამოსვენება გაეხარდება!..

მშობლები იგონებენ: მამა — ნოდარ ყარყარაშვილი, სწრაფი რეაგირების პირველი ბრიგადის მეთაურის მოადგილე:

— ბავშვობიდანვე ოცნებობდნენ სამხედრონი გამხდარიყვნენ.

ოჯახში ხშირად იყო საუბარი ქართულ არმიაზე, ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა არმიაში ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა თითქმის ნულზე იყო. ბევრი ბჭობის შემდეგ თვითონვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ორივეს სამხედრო განათლება მიეღოთ. გოჩა ახლომხედველი იყო, სათვალეს ატარებდა. ამიტომაც უარი უთხრეს სამხედრო სასწავლებელში შესვლაზე თბილისში, ხარკოვშიც. როცა დაიღუპა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტი იყო.

— ძნელია შვილზე ილაპარაკო, — საუბარში დედა ერთვება, ქალბატონი მზია კვაჭაძე, — მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, ორიოდ სიტყვას მაინც გეტყვით, მას უზომოდ ვუყვარდით მე და გია,—თან ტირის... — გოჩა ოცნებობდა ერთი ვინმე ქერა, ცისფერთვალება გოგონას შერთვაზე, მაგრამ თუკი ვინმეს გაიცნობდა, მაშინვე ძმად გაუხდებოდა, ყველას შინაური თვალით უყურებდა და ვერ მოიცალა სიყვარულისთვის.

ბატონი ნოდარი კი გოჩას მეომრულ ხასიათზე გვესაუბრება, — მებრძოლად იყო დაბადებული, ავტომატის ორმოცამდე ვაზნას მჭიდებში აწყობდა და იმდენს ისროდა, ერთი დღე ძლივს ჰყოფნიდა.

— ომში ჩემი გოჩას ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ ტყვიები ეშოვნა. რუსის ჯარშიც იმსახურა, იყო ჩინებული სპორტსმენი, კალათბურთელი, ფრენბურთელი, ფეხბურთელი და ბუნების უზომოდ მოყვარული.

როცა გია სასაზღვრო ჯარში, ირანთან საზღვარზე, ჯულფაში მსახურობდა, გოჩა ხშირად ჩადიოდა ძმასთან და კვირეები რჩებოდა, უჭირდა უმისოდ ყოფნა.

გოჩამ დაღუპვამდე ორი კვირით ადრე მიიღო პოლკოვნიკის წოდება.

— ერთხელ, — იგონებს დედა, — როცა ბიჭებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს თანამებრძოლი, უკან მობრუნებულებს შეიარაღებული ჯგუფი დახვდათ. მათ მოქალაქეები დაეტყვევებინათ, გოჩასა და გიას სახელით, ძარცვავდნენ; გოჩა გადასულა მანქანიდან და უკითხავს:

— იცნობ გიას და გოჩასო?

— დიახ, სწორედ მათ დავალებას ვასრულებთო.

— რატომ ტყუიხართ!

თურმე ბეწვზე გადაურჩნენ გოჩას რისხვას, გოჩას შეეშინდა გიაც არ გადმოსულიყო მანქანიდან და მდგომარეობა არ დაძაბულიყო.

იყო ასეთი შემთხვევაც, მე თვითონ შევესწარი ამ ამბავს: ბენზინის გამყიდველი, ხალხს ეუბნებოდა, გოჩასა და გიას რაზმის წევრები ვართო, რა უნდა მეთქვა. მხოლოდ ესღა მოვახერხე — მე დედა ვარ მათი, რა თქვენი სახსენებლები არიან ისინი. მკვდარს მაინც თავი დაანებეთ-მეთქი. უმეტესობა მათი რაზმიდან „თეთრი არწივის“ წევრები ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ. ჩემს ხელში გაზრდილები, მე ხომ თითოეულ მათგანს კარგად ვიცნობდი, მათგან მეტწილი დაიღუპა

— დღეს საქართველოში ყველა თავისას ტირის. მე სხვების ტკივილი, შვილის დაკარგვის მერე გავიგე. ადრე ასე არ იყო. — ამბობს ბატონი ნოდარი:

— ჩემი აზრით, შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის ძალაში აღ-ცილებელია. აუცილებელია ქვეყანამ, ხალხმა სული მოითქვას. ზოგიერთი ამ შეთანხმებას კაპიტულაციას უწოდებს. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთო. — მათ შვილები საზღვარგარეთ, კოლეჯებში ჰყავთ გახიზნული, და სხვისი შვილების ბედი არ აინტერესებთ. აქ ხომ ერის საუკეთესო ნაწილი იბრძვის, როგორც ჩემს გოჩას, ბევრ მათგანსაც საკუთარი ოჯახიც არ შეუქმნია, ისე მიებარნენ მიწას, ბევრს საფლავიც არ ჰხვედრია რიგიანი. ასე როგორ შეიძლება, შოუ-კონცერტებს ვაწყობთ, აუქციონებზე ფაბრიკა-ქარხნებს ვყიდით, მებრძოლები რომ ჩამოვლენ, ყველაფერი გაყიდული დავახვედროთ? კი, ბატონო, მივცეთ გლეხს მიწა, მაგრამ ქარხანა გავყიდოთ, სადაც ჩვენი შვილები — ჩვენი მებრ-ძოლებიც მუშაობდნენ? ეს ხომ მკრეხელობაა. მხოლოდ ფულის შოვნაზე ხომ არ უნდა ვიფიქროთ. იმ ჯარისკაცს, თერთმეტი თვე რომ აფხაზეთიდან ფეხი არ მოუცვლია, ახლა რომ ჩამოვა, რა პირით მივყიდოთ ათას კუპონად ერთი კოლოფი „კოლხეთი“? ჩვენ მებრძოლთა სულში პატრიოტიზმს ვკლავთ და არც ვფიქრობთ — რას ჩავდივართ.

გაგრაში უგზოუკვლოდ დაკარგულები დღემდე არავის გახსენებია. არ ვი-ცით, რამდენი და ვინ არიან ისინი — ოჩამჩირეშიც ბევრი გვყავს უგზო-უკვ-ლოდ დაკარგული...

გია და გოჩა ყარყარაშვილების სიმამაცე ქართველი კაცის ამაღლებული და ძლიერი სულის გამოძახილია. გაივლის დრო და სხვა ბევრი უცნობი გმი-რის სახელიც გამობრწყინდება.

გოჩა ყარყარაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით.

იზა ჯაჭვაძე.

გოჩა ყარყარაშვილი

ხუთი ოქტომბრის დღე უკანასკნელი აღმოჩნდა შენთვის, გოჩა.

მეორე დღესვე გავარდა თბილისში ხმა გოჩა ყარყარაშვილი მოუკლავთო.

შენ ყველა გიცნობდა, გოჩა. ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილე-ობდი. ეროვნული გვარდიის წევრი იყავი, პოლკოვნიკის წოდებაც მოგენიჭა, სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „თეთრი არწივი“ ჩამოაყალიბე მეგობ-რებთან ერთად. 1989 წლიდან ყველა ბრძოლაში მიიღე მონაწილეობა — ცხინ-ვალში, აფხაზეთში, ყველგან ვაჟკაცობითა და გმირობით გამოირჩეოდი.

ხუთ ოქტომბერს ტყეში გაანადგურეს „თეთრი არწივის“ ბიჭები. შენ მეთა-ურის მოვალეობას ასრულებდი. არცერთი ნაბიჯით არ დაგიხევია, გმირი იყავი და გმირობის მაგალითი დაგვიტოვე.

შენს სისხლს არავის შევარჩენთ, გოჩა.

მუდამ გვეხსომები.

თანამებრძოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ყაულაშვილი

გიორგი გრიგოლის ძე ყაულაშვილი დაიბადა ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში 1964 წლის 29 აგვისტოს.

დედა — კლავდია ჩუბატარიოვა.

მამა — გრიგოლ ყაულაშვილი.

მეუღლე — ირინა მეტრეველი, შვილი — ზურაბი, 5 წლის.

1981 წელს დაამთავრა ქ. ცხინვალის № 5 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ცხინვალის ავტოსკოლაში. 1983 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. იმსახურა პოლონეთში. 1985 წელს დაბრუნდა სამხედროდან და ცხოვრობდა ქ. ცხინვალში. დაოჯახდა 1986 წელს. მუშაობდა ტურისტულ ბაზაში მძღოლად სიკვდილამდე.

დაღუპა 1991 წლის 8 თებერვალს ოს ექსტრემისტებთან შეტაკების დროს.

სამშობლო არ დაივიწყებს მისი შვილის — გიორგი ყაულაშვილის სახელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხსოვნა გულისა

(ავთანდილ ყარალაშვილის ხსოვნას)

რა დროს შენი, ამ ქვეყნიდან წასვლა იყო,
თუნდაც, წმინდა სულის ცაში მიბარება,
ხომ იცოდი, ეს ცხოვრება ისედაც რომ
შეუმჩნევლად, მაინც სწრაფად იპარება.

ხომ იცოდი, გულს დაწყვეტდი ყველა ნაცნობს,
უშენობით ბუნებაც კი იავდრებდა,
გულს დაწყვეტდი, ახლობლებს და ნათესავებს,
ცოლ-შვილი და დედაშენი იდარდებდა.

მაგრამ ღმერთსაც კარგი მიჰყავს, გამიგია,
აქ, რამდენი უქმად დადის გარეწარი,
გული, ყველას მიტომ გვტკივა ჩვენო ავთო,
დაბადების დღესაც ველარ დაესწარი.

ვაზაფხულდა, შენც გიყვარდა გაზაფხული,
შენს საფლავზე ყვავილს გული გაუშლია,
რაც წახვედი, გაწამებულ მშობელ დედას,
სურათები ხელიდან არ გაუშვია.

გული გქონდა მგრძნობიარე, ვით მისანი,
უცნაური ოცნებებით ცაში ქროდი,
ძმობის წესი, ბოლომდე ვერ დაიცავი,
ერთადერთ ძმას უდროოდ რომ ჩაბოშორდი.

ნუ იდარდებ, კვლავ გრძელდება შენი გვარი,
ეს ყოფილა, ალბათ, შენი ბედისწერა.
ქართლის მიწამ ნებით გახსნა გულის კარი,
ზაგიკრა და დედასავით მოგეფერა.

1. V. 94 წ.

ზ'ურაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ყარალაშვილი

ავთანდილ ყარალაშვილი იყო უაღრესად წესიერი, კულტურული და დიდი ეთიკის მქონე, ყველგან აატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა. მისი დაკარგვით საქართველომ დაკარგა შესანიშნავი ახალგაზრდა, მშობლების სახელოვანი მემკვიდრე, მეუღლე, დიდი მამულიშვილი.

1986 წელს დაამთავრა თბილისის 37-ე საშუალო სკოლა. გამოირჩეოდა საშობლოს სიყვარულითა და ეროვნული სულისკვეთებით. უყვარდა ხელოვნება. მღეროდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ანზორ ერქომაიშვილის ანსამბლ-„მართვეში“.

საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ავთანდილ ყარალაშვილი სწავლას აგრძელებს თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში, რომელსაც ასევე წარჩინებით ამთავრებს.

1987 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში (გერმანიაში), აქ მან უფროსების ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა, როგორც სამხედრო საქმით უსაზღვროდ გატაცებულმა ახალგაზრდამ.

1993 წლის მარტის თვეში ავთანდილი ჩაირიცხა „თეთრი არწივის“ გია ყარყარაშვილის ბატალიონში, იბრძოდა აფხაზეთში. ლეიტენანტი ავთანდილ ყარალაშვილი 1993 წლის 22 ივლისს საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა მისი გოგონა ნათია. მას ღირსეულად ზრდიან დაღუპულის მეუღლე — იამზე და დედა — ნათელა ყარალაშვილი. ავთანდილის მეგობრები, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელები დარდს უმსუბუქებენ გულდათუთქულ დედას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ყვავაძე

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში ერთმა ახოვანმა, ჭაღარაშერეულმა კაცმა შემოაღო კარი.

— გავიგე, აფხაზეთში დაღუპულ მებრძოლებზე გამოდის წიგნი, იქ ჩემი ბიჭიც...

ხმა აუკანკალდა მამაკაცს.

— ტელევიზიით ნახეთ, ალბათ, ბეტეერი რომ ააფეთქეს იმ წყეულებმა, იქ ჩემი ბიჭი იყო, ჩემი ზურა...

დავაწყნარეთ, დავამშვიდეთ. ყელში ამობჯენილი სევდა ერთხანს უკუყარა.

— ვიცი, წიგნის გამოცემა ძვირი ჯდება, ჩემი ზურას სახელით ათასი ევანეთი შემომაქვს.

მეორე ბიჭიც იქ იბრძვის, ბეტეერს ეცა, მაგრამ ვერ გადაარჩინა... — კვლავ აქვითინდა ვაჟკაცი. ავქვითინდით ჩვენც.

— ღმერთო, წყევლა და კრულვა არ მოუშალო მათ, ვინც ეს ომი თავს მოგვახვია, იღუპებიან საუკეთესოზე საუკეთესო ახალგაზრდები, გულანთებული ბიჭები.

ზაურ ყვავაძე ერთი იმათგანია, ვინც სამშობლოს პირველსავე დაძახილზე აფხაზეთში წავიდა. მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, შესანიშნავად მართავდა ბეტეერს. შიშის ზარს სცემდა მომხდურს, უშიშრად შედიოდა მტრის გარემოცვაში, გამოჰყავდა დაჭრილები. ასე გამოიყვანა ოცდაერთი. ოცდამეორესთან კი მტრის ტყვიამ მოუსწრო...

მშობლიურმა საწარმომ, მეგობრებმა, თანამებრძოლებმა თბილისში ჩამოასვენეს ზაური და პატივით დაკრძალეს.

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია...

მ. ირემაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხუმი

თუ დაეცემა ცხუმი,
ცხუმარს, ჩხუმსა და ცხინვალს
ველარ უშველის ჩუმი
ჩვენი ცრემლების ბრწყინვა.

ვერ დაგიბრუნებთ სხუმის
(ქვისკენ მიქნია პირი),
თუ დაეცემა ცხუმი —
ჩვენი ქალაქი გმირი.

რა უნდა მოხდეს მეტი
უფრო მწარე და ყუმი,
თუ დაეცემა თეთრი
ჩვენი ქალაქი ცხუმი.

თუ დაეცემა ცხუმი,
ვერ დაგიმალავ, — გეტყვი:
შეგვაჭმევინებს უმად
ძაღლის სალაფავს ბედი!

1993.5.11

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“.
19 თებერვალი, 1993

...ვაჰაძლიერე ღვთივ დაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი ბრძოლასა შინა, რომელნი გვიღვწიან ჩვენ, და გვწყალობენ, მიმადლე მათ შენდობა შეცოდებათა. რომელნიცა ლოცვასა შემოვედრებულ არიან ჩვენ უღირსთასა, შეიწყალენ დიდითა შეხ̆ითა წყალობითა, მოიხსენე, უფალო, პირველ გარდაცვალებულნი მამანი და ამანი ჩვენნი, და განუსვენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა. ‹ოიხსენე, უფალო, ძმანი ჩვენნი, რომელნი ტყვეობასა შინა არიან, და იხსენ ‹კინი ყოვლისაგან განსაცდელისა...

„ლოცვები“.

მასალა ლევან შათირიშვილზე იხილეთ 565 გვერდზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შმაგი შალამბერიძე

შმაგი რეზოს ძე შალამბერიძე დაიბადა 1973 წლის 27 ოქტომბერს ქუთაისში. სწავლობდა ავტოქარხნის 24-ე საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის 167-ე პროფსასწავლებელში კერამიკის სპეციალობაზე.

1992 წელს მუშაობა დაიწყო არასაუწყებო დაცვაში, სადაც 6 თვის განმავლობაში იმუშავა. 1992 წ. 1 სექტემბერს წავიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რაც საბედისწერო გამოდგა მისთვის. 19 წლის გამოუცდელი, ალალი ბიჭი პირველივე ტყვიის მსხვერპლი გახდა აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს. ოჩამჩირეში სოფ. მერკურში დალია სული ყველას მონატრებულმა ბიჭმა.

იყო ერთი თაფლისფერ — ლამაზთვალება, კეთილი, უთქმელი ბიჭი. ათ კითხვას ერთ პასუხს თუ გასცემდა, ისიც ძუნწად, უხმო ღიმილით. წყენის დროსაც კი თვალები მაინც კეთილად უციმციმებდა.

თურმე, რამხელა გული ჰქონია, რამდენ საიდუმლოს ინახავდა, ერთხელაც არ დასცდენია, თუ სამშობლოს დასაცავად სიცოცხლეს გასწირავდა...

ჩვენი „ბეტეერაო“, ასე გიტირეს შენმა თანამებრძოლებმა. ზედმეტი სახელიც შეგარქვეს ბიჭებმა. დაგვტოვე დაუმშვიდობებლად, ჩუმად და დაგვიტოვე ულევი ცრემლი და მოუნელებელი სევდა. რა ინატრე, ნეტავ, სიკვდილის წინ, რა დასცდა შენს გაცივებულ ბაგეს ბოლო სიტყვა, რა იყო შენი ამონასუნთქი... ვაი, რა მწარე მოსაგონარი ხარ, რა ტანჯვა ხარ, შვილო!..

შმაგი შალამბერიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

შენი მამა **რეზო შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი შალიკაშვილი

უმცროსი ლეიტენანტი ბადრი შალიკაშვილი, ცოლშვილიანი, 1993 წლიდან მსახურობდა საპატრულო პოლკში. გმირულად დაიღუპა 2 ივნისს ზემო კინდღში.

იოსებ შალვაძე

იოსებ ვალერის ძე შალვაძე დაიბადა თბილისში 1972 წელს.

1978 წელს შევიდა თბილისის მე-15-ე საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1990 წელს.

ნაადრევად დაობლდა, ოთხი წლისას გარდაეცვალა მამა, დარჩა დედა — ანელი არსენის ასული ელიაური.

1992 წლის 10 ნოემბერს შევიდა სწრაფი რეაგირების კორპუსის №1-ში, გადაში რიგით მებრძოლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992—1993 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ არ დასცალდა მისი დამთავრება.

1993 წლის 26 ივლისს აფხაზეთში სოფელ შრომაში მტერთან შეტაკების დროს დაიღუპა.

სანდრო შალუტაშვილი

დაიბადა 1971 წ. 9 იანვარს გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზში.

მამა — ზაურ შალუტაშვილი — პენსიონერი.

დედა — მერი ჭამპურიძე — აწ გარდაცვლილი.

იზრდებოდა, როგორც ბევრი ქართველი, ბავშვის სიყვარულითა და მზრუნველობით გარშემორტყმული, პატიოსანი, მშრომელი კაცის ოჯახში. ჰყავს ორი უფროსი და — მაია და გიული.

ბავშვობიდანვე იყო ფიზიკურად ამტანი და ძლიერი, კარგად ცურავდა, 8 წლის ასაკიდან ქ. ცხინვალში დაიწყო ვარჯიში ჭიდაობაში. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მონაწილეობდა მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში, მიღებული აქვს სიგელები და ჯილდოები.

სწავლობდა ქვემო ნიქოზის რვაწლიან სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1988 წ.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. 1989 წელს 10 მაისს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ქ. ულან-უდეში. ჯარიდან დაბრუნდა 1991 წ.

მაისში. იმ დღიდან მოყოლებული, სიკვდილის დღემდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1991 წ. 23 ნოემბერს გიორგობადღეს ოსებმა განახორციელეს ხიფანგი თავდასხმა ქვემო ნიქოზზე. სანდროც მოწინავეთა რიგებში ჩადგა. დაიღუპა ოსებისა და დაქირავებული რუსების მიერ გამოსროლილი რაკეტით. 55-ზე მეტი ჭრილობა მიაყენეს რაკეტის ნამსხვრევებმა, დაიღუპა ადგილზევე 20 წლის ასაკში. სანდროს დედა შვილის დარდს გადაჰყვა ცოტა ხანში.

ვახტანგ შანავა

უფროსი კაპიტანი ვახტანგ ტერენტის ძე შანავა დაიბადა 1961 წლის 25 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1991 წლიდან. 1992 წლის მაისში დააწინაურეს სადენსანტო-საიერიშო ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე.

დაიღუპა 1992 წლის 24 ნოემბერს ქ. ოჩამჩირეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შარაშენიძე

გიორგი აბესალომის ძე შარაშენიძე დაიბადა 1962 წლის 11 ივნისს თბილისში.

1977 წელს დაამთავრა 31-ე საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა მე-5 პროფტექნიკურ სასწავლებელში. მერე მუშაობდა კამის ქარხანაში მუშად.

1981 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომლის შემდეგაც მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ ტექნიკურ საწარმოში.

1985 წელს იქორწინა მზია მეხრიშვილზე.

1992 წლის 3 სექტემბერს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში 114-ე ბატალიონ „ავაზაში". ამ დროს მოხდა სტიქიური უბედურება, — მეზობლის სახლს გაუჩნდა ხანძარი და მათი სახლიც ცეცხლმა შთანთქა. ოჯახი დარჩა ღია ცის ქვეშ. ამჟამად ისინი ცხოვრობენ ვარკეთილის მეურნეობის სასტუმროში.

1993 წლის 25 თებერვალს ერთ-ერთი ბრძოლის დროს სოფელ ქვემო ლაბრასთან განგმირა მტრის ტყვიამ.

დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა შილაკაძე

შილაკაძეების ოჯახმა ადრე იწვნია სიკვდილის სიმწარე. ოჯახის თავკაცი ნიკოლოზი და მისი ორი ვაჟი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ, სამამულე რქამ მაინც იხარა — მესამე ვაჟმა, რობერტმა მაინც მოახერხა უმაღლესი განათლების მიღება, ოჯახიც შექმნა და ორი ვაჟი გაუზარდა სამშობლოს.

ამ რქანაყარი ოჯახის მეორე შვილი იყო გოჩა — ზნეკეთილი და სახიერი.

მშობლიური სოფლის — წითელმიწის დაწყებით სკოლაშივე გამოირჩეოდა ცინცხალი გონებით და სიბეჯითით. შემოქმედის საშუალო სკოლა დაამთავრა.— ჩვენს სკოლას გოჩასთანა მოსწავლე რამდენიმე ათეულ წელიწადს არ ჰყოლიაო, — დღესაც ამბობენ მისი აღმზრდელი მასწავლებლები. წიგნის სიყვარულთან ერთად უყვარდა ფეხბურთი და მუსიკა. ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვა.

გოჩას ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც სკოლის დამთავრებისთანავე წარმატებით ჩააბარა გამოცდები 1981 წელს. ინჟინერი გახდა და საავტომობილო გზების სამინისტროში უფროს მეცნიერ ტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. იქაც შეიყვარეს და დააფასეს თავისი სიალალითა და მაღალი პროფესიონალიზმით, რასაც გოჩა ყოველდღიური შრომით სრულყოფდა. ბევრს მუშაობდა. თავისუფლად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს, იღრმავებდა ინგლისური ენის ცოდნას, ასპირანტურისათვის ემზადებოდა...

წინ ცხოვრების დიდი და ლამაზი გზა ესახებოდა.

ცოდნის, ცხოვრების სიყვარულით უნდა ყოფილიყო ეს გზა განათებული. მაგრამ ჰქონდა გოჩას ერთი ყველაზე დიდი სიყვარული, რომელშიც ერთიან-

ლებოდა წიგნის, მუსიკის, ლექსის და ყველა სხვა სიყვარული და მას სასულად მამული ერქვა.

ეკლესიაში მოწიწებით შესული ერთ სანთელს ანთებდა — „სამშობლოსთვის“! დანარჩენი ყველაფერი ამაში შედისო, იტყოდა.

და როცა საქართველოს გაუჭირდა, კაბინეტში ჯდომის დრო არ არისო, თქვა ჭაბუკმა, ყველა საქმე გვერდზე გადადო და ავტომატით ხელში მოხალისედ წავიდა აფხაზეთში.

იცოდა, სიკვდილის გზით მიდიოდა, მაგრამ ასე ახლოს თუ იყო სიკვდილი ჩასაფრებული, ვინ მოიფიქრებდა!

აფხაზეთში ჩასვლისთანავე, 23 აგვისტოს, დაახლოებით 17 საათზე დავალებაზე გასული ბატალიონის მისაშველებლად მიმავალნი აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლაბრაში ალყაში მოიქცეს. ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ნიჭი და მაღალი ადამიანური თვისებები უძლური აღმოჩნდა კბილებამდე შეიარაღებულ არაკაცებთან.

სნაიპერის ტყვიამ გაუჩერა გული...

მერე ავტომატის ჯერით დაუფლითეს სხეული.

გოჩას და მისი ოთხი თანამებრძოლის ცხედრები ვერტმფრენით ჩამოასვენეს ოზურგეთში.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა სოფელში მოსული ეს ავი ამბავი. დედა-მამა საქორწილო თადარიგს იჭერდა, გოჩა ოჯახის შექმნას ფიქრობსო...

გლოვამ და ძაძებმა შეცვალა ყოველივე. შვილის მაგივრად მის სურათს და სისხლიან პასპორტს ეფერება დედა. მონატრებას გულში იბრუნებს მამა. „მოვა გოჩა ბიძიაო“, — თითქოს მათ სანუგეშოდ იმეორებს სამი წლის ნიკა.

ვაი რომ, ვეღარ მოვა, მაგრამ გვჯერა, რომ მის სახელს სამუდამოდ შეინახავს საქართველო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

* * *

მრავალჟამიერ
გუგუნებდეს ხმა
„მუმლი მუხასა“
და „ლილეოსი“.
ეს გმირთა ჩვენთა
არის სიმღერა, —
ეს სიმღერაა
საქართველოსი!

გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა შონია

სამუშაოდან გასვლის წინ მოინახულა ყველა მისი ავადმყოფი. განსაკუთრებული ყურადღება შეაჩერა სამ მძიმედ დაჭრილ მეომარზე, რომელთაც რამდენიმე დღის წინ საკუთარი სისხლი გადაუსხა. ამათგან ორი თბილისელი ქართველი, ერთი კი სოხუმელი აფხაზი იყო. ისინი თავს უკეთესად გრძნობდნენ და ახლა გაწეული სიკეთისათვის მადლობას უხდიდნენ ლეილას. გოგონამ მებრძოლები გაამხნევა, ჯანმრთელობა უსურვა და დაემშვიდობა. ვინ იცოდა, რომ ეს მათი უკანასკნელი საუბარი იქნებოდა.

ლეილამ თეთრი ხალათი გაიხადა და შინ ტრანსპორტით გაემგზავრა. ავმა ბედისწერამ მას გზაში მოუსწრო. მდინარე გუმისთის მხრიდან აფხაზი ექსტრემისტების მიერ გასროლილი ნაღმი ტროლეიბუსის თავზე გასკდა და ელექტრობაზი დააზიანა. თავის გადასარჩენად ხალხი კარებს მიაწყდა, მაგრამ მგზავრების საშინელი ალიაქოთი ჩაახშო მეორედ გასროლილმა ნაღმმა, რომელმაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის ლეილა შონიაც იყო.

გოგონას ტრაგიკული სიკვდილის ამბავი სოხუმის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში ყველაზე ადრე გაიგეს. მედპერსონალის ჭირს არაფრით ჩამოუვარდებოდა სამი დაჭრილი მეომრის მოთქმა: „ჩვენი გულები ლეილას სისხლით მოძრაობენ, მისი გული კი სამუდამოდ გაჩერებულა! ვაი ასეთ სამართალს!..“

ლეილა გიორგის ასული შონია დაიბადა აფხაზეთის რესპუბლიკის გალის რაიონის სოფელ წარჩეში, პედაგოგების ოჯახში, 1974 წლის 9 სექტემბერს. წარჩეს მეორე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო ჯაფარიძის სახელობის სოხუმის მედსასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1984 წელს. 1985 წლიდან სიკვდილამდე მუშაობდა ოსტროუმოვის სახელობის სოხუმის № 1 კლინიკურ საავადმყოფოში მედმუშაკად.

აფხაზი ექსტრემისტების ბოროტ ზრახვებს შეეწირა ყველასათვის საყვარელი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, საქმის მოყვარული ადამიანი, ერთგული სინდისიერი, ცქრიალა ახალგაზრდა გოგონა. მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა ერთბაშად დაამწუხრა მშობლები, მეგობრები, ნათესავები.

ვერაგულად მოკლული ლეილა გიორგის ასულ შონიას ცხედარი დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფელში „წმინდა გორად" წოდებულ სასაფლაოზე.

იოსებ შოშიტაშვილი

იოსებ შოშიტაშვილი დაიბადა 1954 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის 85-ე საშუალო სკოლა. 1972 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საიდანაც დაბრუნდა 1974 წელს. ამავე წელს გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც დაამთავრა 1980 წელს. ამავე წლიდან მუშაობდა შორეულ აღმოსავლეთში. 1982 წლიდან მუშაობდა „თბილმრეწვმშენის" № 3 ტრესტში.

1992 წლის 1 დეკემბრიდან გაიწვიეს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, სადაც მსახურობდა ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსად უფროსი ლეიტენანტის წოდებით.

დაიღუპა 1993 წლის 9 ივლისს ტამიშთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონი ლატარია:

„ბაგრას მთელმა საქართველომ ვერ უპატრონა“

ამ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნა ბატონი **ჯონი ლატარია,** რომელიც გაგრის აღებამდე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს რწმუნებული იყო ამ რეგიონში და, ბუნებრივია, ყველა იმ მოვლენის აქტიური მონაწილეა, რომლებიც გაგრაში მოხდა მიმდინარე წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე.

ინტერვიუ, რომელიც მას ჩვენმა კორესპონდენტმა ჩამოართვა, უმთავრესად სწორედ გაგრის ამბავს ეხება.

— ბატონო ჯონი, მას შემდეგ, რაც მტერმა გაგრა თითქმის უბრძოლველად აიღო და საქართველოში ერთბაშად ათიათასობით ლტოლვილი გაჩნდა, ხშირად გვესმის სიტყვები: „გაგრა გაიყიდა“, „გაგრა ჩააბარეს“. გაგრის ამბებს დღეს რესპუბლიკის პროკურატურა და საპარლამენტო კომისია იძიებენ, მაგრამ მკითხველისათვის, ვგონებ, უინტერესო არ იქნება თქვენი პოზიცია გაგრის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების მიმართ, მით უფრო, როცა გაგრიდან ლტოლვილები „გამყიდველთა“ სიაში, არ დაგიმალავთ და, თქვენს გვარსაც ხშირად ასახელებენ.

— მე მესმის დღეს ჩემი გაუბედურებული და ფუძემოშლილი გაგრელებისა. ძალიან კარგად მესმის და ამიტომ მზად ვარ მათგან ყველაფერი ავიტანო, ჩვენ მათ მართლაც ვუღალატეთ, ჩვენ, ყველამ, ვისაც გაგრის მოვლა-პატრონობა და დაცვა გვევალებოდა. დიახ, ჩვენ ვერ ვუპატრონეთ გაგრას, ვერ დავიცავით. მეტსაც გეტყვით — გაგრას მთელმა საქართველომ ვერ უპატრონა, იგი ჩვენ ყველამ ერთად გავწირეთ, ჩვენმა ორად გახლეჩამ, უდისციპლინო და არაორგანიზებულმა საქართველომ შეიწირა ამდენი უდანაშაულო ადამიანი. ჩვენ რომ შიგნით ერთიანობა გვქონოდა და იმ ყველაზე ძნელ და გადამწყვეტ დღეებში მაინც მოგვეთოკა ჩვენი გადაჭარბებული პატივმოყვარეობა და კერპთაყვანისმცემლობა, ეს ამბავი, ალბათ, საერთოდ არ მოხდებოდა.

ამიტომ, როდესაც დღეს გაგრის გაყიდვასა თუ ჩაბარებაზე ვლაპარაკობთ. ყოველივე ამას კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ და სწორი განაჩენი გამოვუტანოთ უწინარესად საკუთარ თავს. რაც შეეხება „გამყიდველთა“ სიას, მას, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოძიება დააკონკრეტებს, და ყველა, იმედია, მალე გაიგებს, თუ ვის ან რას მიუძღვის მთავარი ბრალი მოხდარ უბედურებაში. მე არ მინდა ამ სიტყვებით პასუხისმგებლობა მოვიხსნა და თავის მართლებას შევუდგე, მაგრამ სათქმელი, რაკი ამის შესაძლებლობა მომეცა, მაინც უნდა ვთქვა:

გაგრის მოახლოებულ უბედურებას მე რამდენიმე ხნით ადრე ვგრძნობდი, და როცა ეს საჯაროდ განვაცხადე, ბევრმა „პანიკიორი“ შემარქვა, ერთხელ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზეც გამწკეპლეს — ფერებს ამუქებ[illegible] ტყუილუბრალოდ აშინებო. დღე ისე არ გავიდოდა, ჩემთვის „პიკის საათიდან“ არ დაერეკათ. იმედი მაქვს, ამ პროგრამას შემორჩა ჩემგან მიღებული „გამუქებული“ თუ „გაშავებული“ მასალები, რომლებშიც ვცდილობდი არაფერი დამემალა, სამხედრო საიდუმლოების გარდა, რა თქმა უნდა. ჩემი ზედმეტი გულახდილობით გაღიზიანებულმა ერთმა სამხედრო პირმა ისიც კი მითხრა, შენ როგორმე ჯარისკაცების კვების საკითხი მოაგვარე, ქალაქს მიხედე, ხოლო სამხედრო საქმეებს თავადაც მოვუვლითო. სწორიც იყო: აბა, რომელი გენერალი მე ვიყავი, მათთვის ჭკუა მესწავლებინა.

— თქვენ, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტის რწმუნებულს, ფაქტობრივად, მთელი ქალაქი გებარათ...

— მას შემდეგ, რაც გაგრის ადმინისტრაციის მეთაური რუსლან იაზიჩბა ქალაქიდან გაიქცა და გუდაუთაში „არძინბას რაზმს“ შეუერთდა, ოფიციალურად დამევალა ქალაქის ხელმძღვანელობა. ჩემს ფუნქციებში შედიოდა პარალიზებული სამეურნეო სტრუქტურების ამოქმედება იმდენად, რამდენადაც ეს საომარ პირობებში იყო შესაძლებელი, კერძოდ, ქალაქის სურსათით მომარაგება, მძევალთა გაცვლა, დაჭრილთა მოვლა-პატრონობა, ქალაქში სანიტარიული წესრიგის დამყარება და ა. შ. თავის ქებად თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს გაგრაში არცთუ ცუდად კეთდებოდა, თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა და დედაქალაქის აქტიური მხარდაჭერა რომ არა, მარტო ჩვენ რას გავხდებოდით იზოლირებულ ქალაქში. აქ არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და არ აღვნიშნო რესპუბლიკის წამყვანი ქირურგებისა და პირადად ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ავთანდილ ჯორბენაძის უდიდესი წვლილი ჩვენი დაჭრილი მეომრების ბრძოლის ველიდან გამოყვანისა და მათი სიცოცხლის გადარჩენის საქმეში. გაგრის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილესთან, 2 ოქტომბერს მუხანათურად მოკლულ მიხეილ ჭინჭარაძესთან ერთად ღამეებს ვათენებდით, რათა ქალაქს სამყოფად ჰქონოდა პური. შელავათიან ფასებში იყიდებოდა ბრინჯი, კარტოფილი, ხახვი, მუშაობდა ბაზარი. არაფერს ვამბობ ჯარისკაცთა სამჯერად კვებაზე, მოხუცებსა და ინვალიდებს მათთვის განკუთვნილი მაღაზიიდან უფასოდ დაურიგდათ პროდუქტები, გაგრაში პენსიონერებს ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში პენსიები არ ჰქონდათ მიღებული, ჩვენ, მართალია, დიდის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც გამოვნახეთ სახსრები და პენსიების გაცემაც დავიწყეთ. საკმარისად გვქონდა საწვავიც, ყოველდღე სამხედრო ფორმირებებს ტონანახევარ საწვავს ვაძლევდით — ამდენი გვჭირდებაო, ამბობდნენ და სხვა რა გზა მქონდა. ის კი მიკვირდა, თუ რაში ხარჯავდნენ ამდენ საწვავს, თუმცა, საკვირველი რა იყო, როცა გაგრის ერთადერთ ცენტრალურ

ქუჩაზე, რომლის დაგვა თუ მოკირწყვლა ბოლო დღემდე არ შეგვიწყვეტია. „ბტრ“-ებით დათარეშობდა ზოგიერთი ვაიმებრძოლი. სად იყო ამ დროს სამ-ხედრო ხელმძღვანელობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა ღმერთს, დღეს ფერების გამუქებას ვერავინ დამწამებს და ამიტომ შემიძლია თამამად განვაცხადო, თუმც ჩემამდე ეს უკვე ათასგზის ითქვა— გაგრას სამხედრო ხელმძღვანელი, როგორც ასეთი, არ ჰყავდა, ცალკეულ სამ-ხედრო ფორმირებებს კი თავ-თავიანთი მეთაურები ჰყავდათ და თითოეული მათგანი თავისი ჭკუით მოქმედებდა ბრძოლის ველზე. ერთი თვის განმავლობაში გაგრაში დისლოცირებული შეიარაღებული ნაწილების ხელმძღვანელი სამჯერ გამოიცვალა. თავიდან ბარბაქაძე დაინიშნა, შემდეგ დათუაშვილი, ბოლოს კი მარინაშვილი, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ეშველა, სამხედრო ნაწილებში სრული განუკითხაობა და ქაოსი იყო. ხალხი ატყობდა ყოველივე ამას, აშკარად ხედავდა, რა დღეშიც იყო ქალაქი, მაგრამ ყველას რაღაცის იმედი მაინც ჰქონდა, დასაიმედებელ სიტყვებს კი, იცოცხლეთ, არ იშურებდა სამხედ-რო ხელმძღვანელობა: — ნუ გეშინიათ, გაგრაში ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო. როცა აფხაზთა ერთ-ერთი მორიგი მუხანათობის გამო გამართულ საპროტესტო მიტინგზე შეკრებილ ქართველებს ამ სიტყვებით მიმართა ერთ-ერთმა სამხედ-რო ხელმძღვანელმა, წარბიც არ შეტოკებია.

სწორედ ამ იმედით ამუშავდა გაგრაში რამდენიმე წარმოება-დაწესებუ-ლება, ამ იმედით წავიდნენ ჩვენი ბავშვები სკოლაში 1 ოქტომბერს, გაგრის აღებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე. 2 ოქტომბერს კი, ყველამ იცის, რაც მოხდა 2 ოქტომბერს.

ამგვარი დაიმედების უფრო თვალსაჩინო მაგალითსაც გეტყვით: მაშინ, როდესაც აფხაზებს გაგრა აღებული ჰქონდათ და ჩვენი სამხედრო შტაბი გან-თიადში იყო, პრინციპულად მოვითხოვე განთიადისა და ლესელიძის მოსახლე-ობის ქალაქიდან გაყვანა. ამაზე ერთ-ერთმა მაღალი რანგის სამხედრო პირმა (ვინაიდან საქმე ძიებაშია, გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) მიპასუხა: — რას ლაპარაკობ, ჩვენ ორ-სამ დღეში დავიბრუნებთ გაგრას, ხომ არ დაგავიწყდა, რომ სამშაბათს ეკლესიის გახსნა გაქვს დაგეგმილიო... გაგრელებმა იციან: ეს უბედურება რომ არა, გაგრაში ორ-სამ დღეში მართლა საზეიმოდ უნდა გახსნი-ლიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თბილისიდან საგანგებოდ გამოგზავნა ჯვრები, ძვირფასი ხატები, სასულიერო ლიტერატურა. ორი-სამი დღის შემდეგ კი ისევე, როგორც გაგ-რაში, განთიადსა და ლესელიძეში არცერთი ნაღმი არ აფეთქდა (!) და მტრის ტანკები, შეიძლება ითქვას, „ჩიტებივით შემოფრინდნენ“.

არავის ეგონოს, როცა ყოველივე ამას ვამბობ, ჩემი თავი უცოდველად მიმაჩნდეს. მე რომ იმავე „მაღალი რანგის სამხედრო პირისთვის“ არ დამე-ჯერებინა და ჩემი აზრით მემოქმედა, გაგრის ბანკში 28 მილიონ მანეთს არ ჩავუტოვებდით აფხაზებს. არაფერს ვამბობ ღიღძალ სურსათზე და, რაც მთა-ვარია, იარაღზე... მე არ ვიცი, ყოველივე ეს რას დავაბრალო — დაბალ სამ-

ხედრო პროფესიონალიზმსა თუ უდისციპლინობას. ასეა თუ ისე, უსაფუძვლო თავდაჯერება და ხალხის ფუჭი დაიმედება ომის დროს, მე ვფიქრობ, [illegible] ტოლფასია და ამიტომ მინდა დავიჯერო, რომ მოღალატენი, [illegible] ერის სამსჯავროზე წარსდგებიან.

— დღეს საქართველოში არ მალავენ, რომ აფხაზეთში და, კერძოდ გაგრაში, მართლა მზადდებოდა ქართველთა გენოციდი და 14 აგვისტოს მოულოდნელი შეტაკება რომ არა, გაგრის ქართველებს 24 საათის განმავლობაში უპირებდნენ ამოხოცვას და ქალაქიდან გაყრას. თქვენ, როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგდოების გაგრის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, თუ გქონდათ ამის შესახებ რაიმე ცნობები?

— ყველამ ვიცოდით, რომ ბიჭვინთაში, ინკიტის ტბის მიდამოებში, იქ, სადაც ადრე რუსეთის სარაკეტო ბაზა მდებარეობდა, წვრთნას გადიოდა ე. წ. აფხაზური გვარდიის გაგრის შენაერთი. გაგრის „მხედრიონი" რომ ძალზე აქტიურად ჩაერია ამ საქმეში და აგვისტოს ტრაგედიამდე ორი თვით ადრე, სრული მზადყოფნის მიზნით სანატორიუმ „თბილისში" დაბანაკდა, აფხაზებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ნაცადი პროვოკაციები წამოიწყეს. გაგრელებს ახსოვთ შეტაკება, რომელიც მაშინ სანატორიუმ „თბილისში" მოხდა. კონფლიქტი, მართალია, მალე ჩაცხრა, მაგრამ აშკარა იყო, რომ აფხაზები უფრო ფართომასშტაბიანი პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ. გაგრაში გადამალული იყო დიდძალი იარაღი, მზადდებოდა რაღაც უფრო დიდი და საშინელი. ამას მოწმობდა თუნდაც ის, რომ მათ ქალაქიდან გაჰყავდათ თავიანთი ოჯახები — ბავშვები და ქალები. ერთი სიტყვით, აფხაზები რაღაცას გვიწყობდნენ, მაგრამ ამ დროს არც „მხედრიონს" და გაგრის მილიციის რჩეულ ბიჭებს ეძინათ... დღეს ბევრს უკვირს, თუ როგორ შეძლეს მათ სულ რაღაც 40-კაციანი თითქმის უიარაღო რაზმით კბილებამდე შეიარაღებული აფხაზების ჯერ განდევნა გაგრიდან და შემდეგ კი 4 დღის განმავლობაში, გარედან ძალის დაუხმარებლად, მათი შეჩერება სოფელ კოლხიდასთან. ეს ცალკე თემაა და ამას, ალბათ, ჩემზე უკეთ ის ბიჭები იტყვიან. მე კი არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ გაგრის მილიციის ნაწილი, მათთან ერთად ზოგიერთი სომეხიც, ნაცვლად იმისა, რომ ქალაქი დაეცვათ და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ეზრუნათ, აფხაზების დასახმარებლად გაიქცა.

— თქვენ ამჯერად ფრიად საპასუხისმგებლო და რთული უბანი მოგენდოთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი ამდენი გაჭირვებული და უსახლკაროდ დარჩენილი ხალხისთვის საგრძნობი დახმარების გაწევას?

— საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს, რომელიც ეს-ესაა ჩამოყალიბდა და ბატონი ვალერი

[illegible]ეიძე ჩაუდგა სათავეში, მართლაც უამრავი საქმე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლტოლ-

ვილების პრობლემა დიდი ხანია დგას, დღემდე არ იყო მოწესრიგებული მათი ორგანიზებული, რაღაც კანონებსა და ნორმებს დაქვემდებარებული დახმარების საკითხი. დღეს კი, როდესაც რესპუბლიკაში ლტოლვილთა საერთო რიცხვი 30 ათასამდე ადის და ქვეყანაში ომია გაჩაღებული, მათი უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით, ტანსაცმლით, ფულით, დროებითი საცხოვრებელი ბინებით, დამეთანხმებით, არცთუ ისე იოლი საქმეა. მხარში უნდა ამოგვიდგნენ დედაქალაქის ყველა რაიონის გამგეობები, საქველმოქმედო ორგანიზაციები. მე არ მინდა დღეს ვინმე დავამშვიდო და ლამაზი სიტყვებით გული მოვულბო, მაგრამ, მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ჩვენს ქვეყანას მაინც აქვს ომის პოტენციური შესაძლებლობა, ამდენ უსახლკარო და გაუბედურებულ ხალხს უპატრონოს. რას ვიზამთ, თუ დღეს ასე გვიჭირს? ომი ომია და, როგორც ყველა სხვა ომს, ამასაც ექნება თავისი დასასრული, და წუთითაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ გაგრელი ქართველი ისევ გაგრაში გააღვივებს თავის ფუძეკერას, ცხინვალელი — ცხინვალში. საქართველოს კიდევ ექნება ბედნიერი დღეები. სხვა გზა არა გვაქვს — ამ რწმენით უნდა ვიცხოვროთ.

ვენერა რურუა

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,

26 იანვარი, 1993 წ.

ზვიად შუკაკიძე

ზვიადი გოდერძის ძე შუკაკიძე დაიბადა 1973 წლის 27 თებერვალს საჩხერის რაიონის სოფ. პერევში. დაამთავრა პერევის საშუალო სკოლის 8 კლასი, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სარკინიგზო სამშენებლო სასწავლებელ-

ში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ცხინვალის რეგიონში, სადაც იბრძოდა 2 თვის მანძილზე. შემდეგ გაერთიანდა ბატალიონ „ავაზაში“. ვაჟკაცურად იბრძოდა აფხაზეთში, ოთხჯერ იყო დაჭრილი, 25 თებერვალს სოფ. კვიტოულთან ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიჭრა ხელის და ფეხის არეში, მკურნალობდნენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, 1993 წლის 28 მარტს, თავისი დაჟინებული მოთხოვნით ისევ ფრონტის ხაზს მიაშურა, რადგან ზვიადს არ შეეძლო საქართველო და მეგობრები გაჭირვებაში მიეტოვებინა. ოჯახის წევრების გადმოცემით, ის სახლში ვერ ისვენებდა, გული ფრონტის ხაზისკენ ბიუწევდა, რადგან გასაჭირში ჩავარდნილი თანამებრძოლები ეცოდებოდა და ჩემი მხრიდან ღალატი იქნება, რომ არ წავიდეო, ამბობდა. მეგობრობაში უტყუარი, ჭეშმარიტი ვაჟკაცი და უშიშარი მებრძოლი იყო, — ასე ახასიათებენ თანამებრძოლები მას. ცნობილი 2 ივლისის დესანტის გადმოსხმის დროს ზვიადი გმირულად დაიღუპა ფრონტის ხაზზე.

პაატა შუხოშვილი

პაატა ალექსის ძე შუხოშვილი, დაბადებული 1971 წლის 21 სექტემბერს თელავში, განათლება — ტექნიკური, უცოლო.

1977 წელს შევიდა თბილისის № 85-ე საშუალო სკოლაში, რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში, კერამიკის ტექნოლოგიის განხრით. იყო 31-ე ქარხანასთან არსებულ კლუბ „შევარდენის“ წევრიც, გაიწაფა კლასიკურ ჭიდაობაში. აქტიური მონაწილეობა მიიღო მიწისძვრით დაზარალებული რაჭის აღდგენით სამუშაოებში.

1992 წლის 5 ნოემბერს ისნის რაიონის კომისარიატმა გაიწვია სამხედრო სამსახურში. საბრძოლო წრთვნას გადიოდა შინაგანი ჯარის ნაწილებში. 1993 წლის 7 დეკემბერს მოხალისედ შევიდა მე-11 მექანიზებული ბრიგადის 114-ე ბატალიონ „ავაზაში“. იყო ოცმეთაური, ზემდეგის წოდებით, 1993 წლის 25 იანვრიდან დაინიშნა ასმეთაურად.

1993 წლის 13 თებერვალს სოფელ ლაბრასთან შეტაკების დროს ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

დაკრძალულია ყვარლის რაიონის სოფელ ალმატში.

ზაზა ჩადუნელი

ზემდეგი ზაზა მელიტონის ძე ჩადუნელი დაიბადა 1962 წლის 13 ივლისს, ბორჯომში.

1992 წლის 9 სექტემბრიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შსს. შ. ჯ. სპეცდანიშნულების ბატალიონის სწრაფი რეაგირების სპეციალიზირებული ბატალიონის მსროლელად.

1992 წლის დეკემბერს აფხაზეთში სოფელ ქეთევანას მიდამოებში მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ჩანტლაძე

ოჩამჩირესთან ქართული მიწის ერთიანობას შესწირა თავი ირაკლი ჯემალის ძე ჩანტლაძემ, რომლის სიკვდილი დიდი ტრაგედია გახდა მეგობრებისთვის. იგი ჩვეულებრივი სოხუმელი ბიჭი იყო, მასაც სხვასავით უყვარდა სიცოცხლე, ძალიან დიდი გეგმები ჰქონდა.

დაიბადა 1968 წლის 23 აპრილს. დაამთავრა ქ. სოხუმის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-11 საშუალო სკოლა. 1985 წლიდან 1988 წლამდე იმსახურა გერმანიაში, ხოლო დაბრუნების შემდეგ ჩააბარა სუბტროპიკულ ინსტიტუტში, რომელიც წელს უნდა დაემთავრებინა, მაგრამ დაიწყო ომი. ირაკლის არცერთი წუთი არ უყოყმანია აეღო თუ არა ხელში იარაღი. ის შენაერთ „თეთრი არწივის“ წევრი იყო და, ამასთანავე, ბოლო მომენტამდე მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის თანამშრომლად.

ოჩამჩირესთან, 25 დეკემბერს პოზიციებზე გასვლის დროს დაიღუპა.

მხოლოდ 24 წელი იცოცხლა. ოჯახის შექმნას აპირებდა, ოცნებობდა ლამაზ, ქართულ ოჯახზე, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სოხუმელი ბიჭი წავიდა ჩვენგან, წავიდა როგორც გმირი. ყველა, ვინც კი ირაკლის იცნობდა, ყოველთვის თვალცრემლიანი, მაგრამ ღიმილით მოიგონებს მას, ხოლო პატარა გიორგის — ირაკლის დისშვილს, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა, ალბათ, ყოველთვის მოუყვებიან ბიძამისის გმირობის ამბავს.

ირაკლი ჩანტლაძე სიკვდილის შემდეგ ღაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჩაჩუა

ტარიელ ამირანის ძე ჩაჩუა, დაბადებული 1966 წლის 11 მარტს, სამტრედიის რაიონის სოფელ გომში, განათლება საშუალო-ტექნიკური, უცოლო.

1983 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ გომის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კოოპერაციულ ტექნიკუმში.

მუშაობდა სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში კომერციულ მაღაზია „იმედში“.

ოჯახში ტარიელი ნანატრი შვილი იყო, ხუთ დას მხოლოდ ეს ერთი ძმა უმშვენებდა მხარს, მაგრამ, როგორც კი მტერმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა განიზრახა, ტარიელი სასწრაფოდ ჩაეწერა მოხალისედ 114-ე ბატალიონ „ავაზაში“ და საყვარელ დედას ლოცვასავით დაუბარა: „ნუ გეშინია, დედი, მე ჯანმრთელი დაგიბრუნდებით, მაგრამ თუ ბედმა მიმუხთლა და მოვკვდი, მაინც ნუ იდარდებთ, რადგან ყველა დედა ვალდებულია ერთი შვილის სიცოცხლე მაინც შესწიროს სამშობლოს კეთილდღეობასო“. აკი შესწირა კიდეც სამშობლოს ბატონი ამირანის ოჯახმა ყველაზე ძვირფასი განძი — ერთადერთი მემკვიდრის სიცოცხლე — იგი 1993 წლის 13 თებერვალს ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

დასაფლავებულია სამტრედიის რაიონის სოფელ გომის სასაფლაოზე.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ბრძანებულებით სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლა გომის სკოლას, სადაც ტარიელი სწავლობდა, მიენიჭა ტარიელ ჩაჩუას სახელი.

ტარიელი ამირანის ძე ჩაჩუა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის შეყვარებული იყო თამუნაზე.

ცოცხალი რომ იყავ, იები აჩუქე
სიძულვილს ნიშნავსო, უკან დაგიბრუნა,
სევდანარევი დაჰყურებ იებს,
ვერაფერს ამბობ, კითხულობ მიზეზს.

დღეს შენ არა ხარ იები მოგართვა,
სურათთან ტირიან ლურჯთვალა იები,
შენც გაუბრაზდი, ძამიკო, თამუნას,
აღარ მიიღო მისგან იები.

ლურჯთვალა იები
ლარნაკში ტირიან,
რაღა ქნას არ იცის საით წავიდეს,
დაბრუნდი, იებო,
ლოცულობს სული და
ჩემი სურათი ამშვენე
ჯერ კიდევ.
გვედრებ შენ, უფალო,
რას არ მომასწარი,
სიცოცხლე წამართვი,
საკვდილი მარგუნე.

შენი დაიკო რენიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ჩახნაშვილი

პაატა ანზორის ძე ჩახნაშვილი, დაბადებული 1963 წლის 7 აპრილს სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარში, განათლება საშუალო, ცოლშვილიანი.

1992 წელს მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", წავიდა საბრძოლველად აფხაზეთში საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად. 1992 წლის 16 დეკემბერს სოფელ ტამიშთან, მტერთან შეტაკების დროს პაატამ და მისმა ორმა თანამებრძოლმა, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ხელყუმბარით თავი აიფეთქეს. გმირულად მოიხადა თავისი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე. დაობლდნენ 4 წლის ანზორი და 7 წლის თამარი, დარჩა მისი აცრემლებული ოჯახი, მეუღლე — ქალბატონი დოდო მინდიაშვილი, ეს ისედაც გამწარებული ქალი, რომლის ძმაც მერაბ მინდიაშვილი ცოცხლად დასწვეს ოსმა ექსტრემისტებმა. დოდოს სულ რაღაც ორ წელიწადში ორი საყვარელი ადამიანის — მეუღლისა და ძმის დატირება და გლოვა მოუხდა.

გაიზრდებიან პატარები და იამაყებენ თავიანთი მამითა და ბიძით, რომლებიც სამშობლოსა და მათი ბედნიერი ცხოვრების მომავალს შეეწირნენ.

პაატა ჩახნაშვილი დაკრძალულია სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარში.

გურამ ჩახუნაშვილი

დაიბადა 1953 წლის 12 აგვისტოს. 1986 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა მეცხრე პოლიკლინიკაში, მერვე საავადმყოფოში ექიმ-ნერვოლოგად... 1990 წლიდან ნერვოლოგიის კათედრაზე ორდინატორად. 1991 წლის 21 მარტს წავიდა სოფელ ქორთაში, საომრად, მეორედ — 1992 წლის 14 ივნისს. 16 ივნისს ნიქოზაში დაიჭრა. გარდაიცვალა გორის საავადმყოფოს მიმღებში.

მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება იმათ გულში, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომარ ჩიტუაშვილი

23 წლის ომარი **გორის** რაიონის სოფელ ხიდისთავიდან იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. შემდეგ გორის პურკომბინატში მუშაობდა მუშად.

თვალცრემლიანი დედა იგონებს: 8 წლამდე წამლის წვენით ვზრდიდი, სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, ღვიძლი აწუხებდა, სირბილი არ შეეძლო. სამხედრო სამსახურში რომ გაიწვიეს, შემპირდნენ იქ არ დავტვირთავთ ფიზიკურადო. ნეტავ, როგორც იქიდან დამიბრუნდა საღ-სალამათი, აქედან, თუნდაც ორივე ფეხი მოეჭრათ, ოღონდ ცოცხალი დამბრუნებოდაო. ნემსის გაკეთების ეშინოდაო და ფრონტზე ტყვიის წვიმებს არ უშინდებოდაო. დინჯი, აუღელვებელი, თავისებური ვაჟკაცური სულისა იყო, ასე ახასიათებენ თანამებრძოლები „პონჩიკას“.

პირველ მარტს ლაპრაში ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს 2 ხელყუმბარა აუფეთქა მოწინააღმდეგეს, მესამეს ჩემთვის ვინახავდი, ოღონდ ტყვედ არ ჩავვარდნილიყავიო. დაჭრილმა მოახერხა თავისიანებამდე მიღწევა. ერთ თვეზე მეტხანს არ გაჩერდა საავადმყოფოში, ისევ ფრონტის ხაზზე გაიპარა. 2 ივლისს ტამიშში დესანტის გადმოსხმის დროს ვაჟკაცურად დაიღუპა. დარჩა ბევრი აუხდენელი ოცნება, აცრემლებული დედა და სიყვარული...

დაკრძალულია მშობლიური სოფლის სასაფლაოზე.

ომარ ჩიტუაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ჩიხლაძე

იაკობ (აკო) ჩიხლაძე დაიბადა თბილისში, 1962 წლის 8 თებერვალს. მამამისი — პიმენ ჩიხლაძე, უმაღლესი განათლებით, 1976 წელს გარდაიცვალა. დედა — ლეილა ფერაძე უმაღლესი განათლებითაა.

ჰყავს ორი ძმა. იყო უცოლშვილო.

1968 წელს სწავლა დაიწყო თბილისის 14-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ღაამთავრა 1978 წელს.

1980 წლიდან სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაცია-ელექტროფიკაციის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის განაწილებით 1985 წლიდან მუშაობა დაიწყო გორის რაიონის სოფ. ტყვიავში კოლმეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორად.

1986—1987 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სამაჩაბლოში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო მიმდებარე სოფლების მოსახლეობა აქტიურად იყო ჩაბმული სისხლისმღვრელ ომში. თითქმის ყველა სოფელში ჩამოყალიბდა თავდაცვის შტაბი, შეიძინეს იარაღი და ეხმარებოდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველებს, ცხინვალის მოსაზღვრე სოფლებში. სოფ. ტყვიავში თავდაცვის შტაბს აკო ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა.

1992 წლის 11 მაისს სოფელ ერგნეთთან დაიწყო საომარი მოქმედება. როგორც ყოველთვის, ტყვიავის შტაბის წევრებიც — აკო ჩიხლაძე, კობა ქარელი, ნიკო ოდიაშვილი, მორის კალატოზიშვილი და მიშიკო ქარელი — წავიდნენ საბრძოლველად.

12 მაისს ტყვიაველ მეომრებს ერედველებმა დახმარება სთხოვეს ოსურ სოფ. ფრისზე შეტევის განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, არ შეშინდნენ და უარი არ უთხრეს.

ბრძოლაში ვაჟკაცურად ჩაებნენ და რამოდენიმე საათი შეუსვენებლივ იბრძოლეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე არ გაჩერებულა მათი იარაღი. მტერს ზურგი არ უჩვენეს, არცერთს ტყვია ზურგში არ ჰქონდა მოხვედრილი. ... ქართველს ქართველის ღალატი უფრო ამარცხებს, თორემ მტერი რას დააკლებს!

ბრძოლის წინა ხაზზე მდგომი ბიჭები მარტო დატოვეს და უკან დაიხიეს.

რვა ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე ოსის ტყვიამ შეიწირა, ურჯულოებმა სიკვდილიც არ აკმარეს ვაჟკაცებს, აწამეს და დაწვეს. ტყვიაველებთან ერთად ბრძოლაში ორი ერედველი და ერთი ქორდელი მებრძოლიც დაიღუპა.

ტყვიაველი ვაჟკაცები სოფლის ცენტრში არიან დაკრძალული. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებულია მემორიალი.

ვაჟკაცებად არ იბადებიან, ვაჟკაცებად კვდებიან. მათ სახელებს სამშობლო სანთლებად აინთებს. მარად გვახსოვდეს **აკო ჩიხლაძე, კობა ქარელი, ნიკო ოდიაშვილი, მორის კალატოზიშვილი**, მიშიკო ქარელი.

გია ჩიხრაძე

დაიბადა 1968 წლის 5იანვარს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 5 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ქალბატონმა რუსიკომ — გიას დედამ ერთადერთი შვილი გაზარდა პატიოსანი შრომით, სიყვარულით, ერთგულების და კაცთმოყვარეობის პრინციპით.

1985 წელს გიამ დაამთავრა 89-ე საშუალო სკოლა. 1987—1989 წლებში იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1989 წელს ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო...

1992 წლის 1 აგვისტოს მუშაობა დაიწყო მე-3 ლეგიონში კომენდანტად, საიდანაც სამჯერ წავიდა აფხაზეთში. შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ნაწილში. 1993 წლის 17 მარტს წავიდა აფხაზეთში

და, თურმე, ორი კვირის სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი გიას და მასთან ერთად წასულ თანამებრძოლს, ახალდამეგობრებულ, მასავით ობლებში ვეზრდილ ზურა ჯაჭვაძეს... 3 აპრილს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ ახალშენში პოსტის შესაცვლელად მიმავალნი გია ჩიხრაძე, ზურა ჯაჭვაძე, საჩხერელი მამუკა ქამუშაძე, ხარაგაულელი ხვიჩა ჭყუიძე, თბილისელი თემურ თევდორაძე, სოხუმელი საშა ცხვარაძე ღალატით დახოცეს. ერთად გაიზიარეს ბიჭებმა ტკივილები, სიკვდილთან შეყრის მძიმე წუთები. ფიზიკურად განადგურდნენ ეს ლამაზი და სიცოცხლით, სიყვარულით ანთებული ბიჭები, სულიერად კი ეზიარნენ უკვდავებას... დარჩა ქალბატონი რუსიკო მარტო თავის ფიქრებთან და მოგონებებთან და საბურთალოს საძმო სასაფლაოზე, სადაც გვერდიგვერდ არიან დაკრძალულია გია და ზურა. შორიდანვე მოჩანს მათ საფლავებზე ჩამომჯდარი ორი შაოსანი გაუბედურებული დედა, ყოველდღე ცოცხალი ყვავილებით რომ რთავენ მიწის პატარა ნაჭრებს...

საქართველომ კიდევ ერთი კარგი ბიჭი დაკარგა — გია ჩიხრაძე — კარგი მსმენელი, კარგი მკითხველი და ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული — გია.

გია ჩიხრაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით.

იმედა ჩოთირიძე

უფროსი სერჟანტი იმედა ალექსანდრეს ძე ჩოთირიძე დაიბადა 1967 წელს. 25 სექტემბერს. გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში. საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. მოიხადა სამხედრო ვალდებულება. შემდეგ თბილისის ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმი დაამთავრა. სამშობლო გასაჭირში რომ ნახა, უყოყმანოდ ჩადგა მარტყოფის ეროვნული გვარდიის რი-

გებში. წუთით არ ივიწყებდა, რომ სამშობლო უმთავრესია. მის თავისუფლებასა და ბედნიერებაზე ოცნებობდა. იბრძოდა სამაჩაბლოში. ვერ მოესწრო აფხაზეთში წასვლას. 7 აგვისტოს კანონებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის [illegible] თებული, ამხანაგებთან ერთად, არ შეუშინდა ყაჩაღებთან შებრძოლებას, რომ ლებიც გვარდიელთა სახელით ავტომაგისტრალზე ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ბანდიტთა ჯგუფიდან ერთი მოკლეს, მეორე — დაჭრილი დააკავეს. თავად კი დაიღუპა.

ზაზა ჩხაიძე

ზაზა ჩხაიძეს შესახებ 1993 წლის 6—16 ოქტომბრის გაზეთ „ნებში" სათაურით „პატარა ბიოგრაფია — დიდი სახელი" ჟურნალისტი ირინე ზურაბაშვილი წერდა: „მამა არ ტიროდა — არა, ზაზას მამა საოცრად ნაღვლიანი თვალებით მიყურებდა და მით უფრო ღრმად მისერავდა დამძიმებულ გულს. მინდა ვანუგეშო, დავაწყნარო, მაგრამ რას ეტყვი, რით ანუგეშებ სამუდამოდ გამწარებულ მშობლებს...

— იქნებ, რაიმე მომიყვეთ თქვენი შვილის ბიოგრაფიიდან...

— ამ ფურცელზე მთელი მისი ბიოგრაფიაა. მეტი ბიოგრაფია არ ჰქონდა. 21 წლისა იყო...

ზაზა ელგუჯას ძე ჩხაიძე 1972 წლს 3 მარტს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვემო აკეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოზურგეთის ჩაის ტექნიკუმში. 1991 წელს, ეროვნული გვარდიის რიგებში გაიწვიეს. სავალდებულო სამსახურს იხდიდა ქალაქ თელავში. 1992 წლის მაისში თელავის ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა სამაჩაბლოში. სამხედრო

ვალის მოხდის შემდეგ იბრძოდა გაგრაში მოხალისედ. გაგრის დაცემის შემდეგ იბრძოდა „თეთრი არწივის“ შემადგენლობაში გუმისთაზე. ამის შემდეგ გადაიყვანეს 114-ე ბატალიონ „ავაზაში“. დაიღუპა ტამიშთან 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დროს. უცოლშვილო იყო. ოჯახში დედა, მამა და ერთი და დარჩა.

— ვერაფრით დავაკავე სახლში, ოთხჯერ გამეპარა. ბოლოს 12 აპრილს წავიდა სახლიდან, — ამბობს ზაზას მამა.

ვერაფერს ვეკითხები, მეშინია, რაიმე გაუფრთხილებელი შეკითხვით ტკივილი არ მივაყენო. ბატონი ელგუჯა სიტყვაძუნწია, მის თვალებში თუ ამოიკითხავ უსაზღვრო ტკივილს და უსაზღვრო სიყვარულს.

— პატარა იყო, ბაჭიას ვეძახდი...

ზაზა ჩხაიძე გმირულად დაიღუპა ტამიშთან დესანტის გადმოსხმის დროს. თავად ფეხში დაჭრილი, ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანისას მათ წინ ეფარებოდა. როცა ბოლო დაჭრილი გამოიყვანეს, თვითონაც სცადა გამოსვლა და ზუსტად ამ დროს სნაიპერის ტყვიამ განგმირა 21 წლის ჭაბუკი...

— ზაზა სხვანაირი იყო. საოცრად თბილი და კეთილი. საიდან იყო ამდენი სიმამაცე და უშიშროება ამ ერთ ციცქნა ბიჭში? — ამბობს მისი თანამებრძოლი ნანა ჩოხელი, — ბრძოლაში ყოველთვის წინ მიილტვოდა, უკან დახევა არ იცოდა. ერთი სიტყვით, ზაზა ნამდვილი გმირი იყო. ყველა რომ ასეთი იყოს, საქართველო არასოდეს დამარცხდება.

ბაჭიამ პატარა ბიოგრაფია და დიდი სახელი დატოვა, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის სახელი. მისი სახელი შარავანდედით შეიმოსა.

ზაზა ჩხაიძე დასაფლავებულია ლანჩხუთის რ-ნის სოფ. აკეთში.

რევაზ ლორია

აფერუმ, მართლა, შენს ვაჟკაცობას

აფხაზეთის ომში მძევლად აყვანილ ქართველ მებრძოლებს შუქრი მგელაძეს მაჯა გადაუხსნეს, მისი სისხლით პიქა აავსეს და... დალიეს

გაზეთი „ეროვნული დიადემა“
№ 1, 1992 წელი

ვერ დავიძინებ ნაღდად ამაღამ,
ვერ დავიძინებ ვერასდიდებით,
გამიგონია კაცის დაღალვა,
თვალების დათხრა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაჭრა თითების...
ვაგლახ, ვაუკაცო, ერის ნარჩევო,
ეს რა მხეცობის ხელი დაგრიეს...
მაჯა გადაგხსნეს, სისხლი აჩქეფეს,
და შენი სისხლი ჭიქით დალიეს...
ნეტავ, რას გრძნობდი მაშინ ქართველო,
რა გაიფიქრე ფეხზე მომდნარმა?
ნაძირალების სული ნათრევი
თუ შეიტოკა მაინც ოდნავად?!
არა მგონია, ლეშმა გახრწნილმა
იგრძნოს სირცხვილი მცირეოდენი,
ის ჭიქა სისხლი, მტრისთვის გაწვდილი,
შენი კაცობის იყო ორდენი.
მწყურვალს, — ვინ არის? — ვინ ეკითხება,
ვინ შეყოვნდება ჭიქა წყლისათვის,
შენ სისხლი გქონდა, სულის კრთება,
და გაიმეტე ისიც მტრისათვის...
აფერუმ, მართლა, შენს ქართველობას!
ხალხში დაქუხდა ცრემლი იმ დილის...
ეს იყო შენი მზის გათენება,
შენი მტრების კი იყო სიკვდილი!

რეაქციული რუსეთის მიზანი — ჰქონდეს აფხაზეთი უქართველებოდ და უაფხაზებოდ

შვიდთვიანმა ომმა, რომელიც დაგეგმილი და პროვოცირებული იყო თავიდანვე ბლოკ „სოიუზის“, მისი წარმომადგენლების მიერ აფხაზეთში, უკვე ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაინგრა ათობით ქალაქი და სოფელი.

მიზანი რუსეთის რეაქციული ნაწილის სამხედროებისა, რომლებიც მიეტმასნენ გუდაუთს დაქირავებული ინსტრუქტორების, პილოტების, მედესანტეების, რიგითი მეომრების სახით, არის გაანადგურონ მშვიდობიანი ობიექტები და სრულიად უდანაშაულო მოსახლეობა. რა უნდა გვიკვირდეს რიგითი მეომრებისა, როცა თვით რუსეთის „დიდი მხედართმთავარი“, ბატონი გრაჩოვი უსირცხვილოდ იმასაც აცხადებს, რომ ქართული ავიაცია თავად ბომბავს თავისივე ქალაქ სოხუმს. ამის თქმა იმას ჰგავს, რომ ამტკიცებდე, — მაიმუნი ადამიანისგან არის წარმოშობილი და არა პირიქით. თუმცა, რა გასაკვირია — ძალის პოზიციიდან ამის დამტკიცებაც შეიძლება! მაგრამ რას იტყვის ბატონი გრაჩოვი რუსეთის საჰაერო ძალების თვთმფრინავის სუ-27 ფაქტთან დაკავშირებით? ეს შეიძლება შეფასდეს როგორც „სალდაფონური“ უცერემონიულობა, რომელსაც რუსეთის სამხედრო დოქტრინის იმპერიული სუნი უდის.

ამის მიუხედავად, არ მსურს დავიჯერო, რომ პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ჩეხოვის, დოსტოევსკის, ჩაიკოვსკის, შალიაპინის, ლომონოსოვის

პეტრე დიდისა და სხვა გამოჩენილ წინაპართა ნემკვიდრენი ისე აღიზარდნენ, რომ დაქირავებულ კაცის მკვლელებად იქცნენ. სხვანაირად ვერ ვუწოდებთ იმ მფრინავებს, რომლებიც მეთოდურად და სინდისის ქენჯნის გარეშე ბომბავდ-ნენ მშვიდობიან ქალაქ სოხუმს. მათს სინდისზეა ასობით სიცოცხლე და ამ-დენივე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა.

აგრესორის მიზანი ახლა უკვე მთელი მსოფლიოსთვისაა ნათელი — აფხა-ზეთი მათ უნდათ აფხაზებისა და ქართველების გარეშე. სწორედ ეს არის მცირერიცხოვანი ხალხების გენოციდის კლასიკური მაგალითი რუსეთის დეს-ტრუქციული ნაწილისა, რომელიც მიეჩვია თავის საყვარელ მეთოდს, „გათიშე და იბატონეს", ახლა კი მოქმედებს პრინციპით — „მოკალი და დაიპყარი".

ნუთუ ჩემმა თანამოძმეებმა გუდაუთის რაიონიდან (მხედველობაში მყავს მოსახლეობა და ხელმძღვანელობის პროგრესული ნაწილი) დღემდე ვერა და ვერ შეიგნეს, თუ რა ავანტიურაში ჩაითრიეს ჩვენი ხალხები პოლიტიკანებმა, სეპარატისტებმა და ყველა ჯურის ექსტრემისტებმა?! ჩვენ ყველას დიდი უბე-ღურება დაგვატყდა თავს. აფხაზი ერი კრიტიკულ ზღვართან აღმოჩნდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გუდაუთის ხელმძღვანელობის გარემოცვიდან ბევრი ასეთივე აზრისაა. მაგრამ ცრუ პატრიოტიზმის წყეული სინდრომი — იარლიყი „აფხაზი ხალხის მტერი" და ზოგიერთი ნამოქმედარი აწვება ფსიქიკას და მათ უჭირთ გამოვიდნენ ამ წნეხიდან. გამოსვლა კი საჭიროა. საჭიროა გონს მო-ეგონ და დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მორატორიუმი ურთიერთმოსპობაზე. სა-ჭიროა დაუყოვნებლივ მისხდომა მოლაპარაკების მაგიდასთან წინასწარი პი-რობების გარეშე. ჯერ კიდევ არის შანსი, საბოლოოდ არ დაიღუპოს ერი.

თითოეული ხალხის ლტოლვა (განსაკუთრებით — მცირერიცხოვანისა) — შეინარჩუნოს თავისი თავი და უზრუნველყოს მისი გამრავლება — სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ არ უნდა იქნეს დავიწყებული საშუალებანი, რომლებიც გამოიყენება ამ კეთილშობილი მიზნების მისაღწევად. აქ უნდა გამოირიცხოს ურთიერთდაპირისპირება და ძალადობა, რა მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს �ი. არ უნდა იყო შენი სამშობლოს არც მემარჯვენე და არც მემარცხენე, ჩვენთვის ძვირფასია ყოველი ადამიანი და სწორედ მისი გა-დარჩენის მიზნით უნდა იყოს მიმართული ორივე მხარის ძალისხმევა.

ცნობილია ჭეშმარიტება იმის თაობაზე, რომ ყველაფერი, რაც არარეალუ-რია, — არის ავანტიურული, ხოლო ამ უკანასკნელს მივყავართ მხოლოდ სის-ხლისღვრამდე.

სამწუხაროდ, ამჯერად ეს ასეც მოხდა. ხელმძღვანელები, თუკი ისინი ნამ-დვილი პატრიოტები არიან, უნდა გამოხატავდნენ მთელი ხალხის ინტერესებს და არა ჯგუფურ, კლანურ ან პირად ინტერესებს. ცხოვრებაში თითოეულ ჩვენ-განს თავისი დრო გვაქვს გაზომილი და კი არ უნდა ჩავიქროთ, არამედ უნდა დავუტოვოთ კეთილი კვალი მომავალ თაობას.

დღეს უპრიანია მოვაგონოთ ზოგიერთ „ცხელი" თავის მქონეთ, რომელთაც გადაწყვიტეს მყისვე აშენონ აფხაზური სახელმწიფო, რომ ჯერ კიდევ საქარ-თველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე ყრილობაზე ნ. ლაკობა თა-

ვის გამოსვლაში ამბობდა: „აფხაზეთში დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად დამოუკიდებელია და სადღაც სურს წავიდეს საქართველოსაგან, მიგვიყვანს იქამდე, რომ აფხაზეთი, როგორც მუყაოს სახლი, ერთ ელონავარმა ბიჭუნამ ააგო, დაიშლება“... დამეთანხმებით, რომ კომენტარები ზედმეტია. ღრმად ვწუხვართ, რომ ნ. ა. ლაკობას სიტყვები ფაქტობრივად გამართლდა.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია პირველ რიგში აფხაზეთში მცხოვრებთ და, უწინარეს ყოვლისა — აფხაზებსა და ქართველებს, — მივცეთ სრული შესაძლებლობა მესამე პირის (მით უმეტეს — მესამე ძალის) ჩარევის გარეშე გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები ადგილზე. საქმე ისაა, რომ ვცხოვრობთ რა საუკუნეების მანძილზე ერთ მიწაზე, ჩვენ გვაკავშირებს საერთო წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები, რელიგია, ისტორიული და ეკონომიკური ერთიანობა. ჩვენ გვესმოდა ერთმანეთისა, ვგრძნობდით ძმის მარჯვენას, ჭირს და ლხინს ვიყოფდით როგორც მეგობრები, მეზობლები და სისხლით ნათესავები.

გამომდინარე აქედან, თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ სახელდობრ ეს ორი ხალხი, რომელთაც უნდა განაგრძონ საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცება, რაც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს, პირველ რიგში უნდა იდგეს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ინტერესების განუხრელი დაცვის სადარაჯოზე. ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განმტკიცების საქმეში, რომელშიც ისინი დაიბადნენ, ცხოვრობენ და შრომობენ. ესე იგი აფხაზეთი უნდა აღორძინდეს და განმტკიცდეს ეკონომიკურად, პოლიტიკურად. სოციალურად და სულიერად მთელი მოსახლეობის ძალისხმევით სრული ეროვნებათაშორისი ურთიერთგაგებით, ურთიერთპატივისცემით, ურთიერთმხარდაჭერით.

და ბოლოს. კიდევ ერთხელ, თუ როგორ გვესმის ხალხის მეგობრები და მტრები.

ხალხის მეგობრები მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე რწმენითა და სიმართლით ემსახურებიან თავიანთ ხალხს, მის ინტერესებსა და ყველა ხალხის ერთიანობის საქმეს. მათი პრაქტიკული ნაბიჯები მუდამ მიმართულია აფხაზი და ქართველი ხალხების ნამდვილი ინტერესებისა და სულისკვეთების დაცვისაკენ.

ხოლო ნამდვილი მტრებია ისინი, ვისაც ხელები სისხლში აქვთ გასვრილი, ვინც მოახდინა ომის პროვოცირება, ჩაითრია თავისი ხალხი ავანტიურაში და უბედურებათა მორევში, მოუტანა მას მწუხარება და ფიზიკური მოსპობის ზღვარზე დააყენა.

1993 წ. 22 მარტი

ლორიკ მარშანია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 27 მარტი, 1993 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი მაინც მამული არის

ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს მწვერვალებს
ჩვენს შორის ვინმემ გადაუფრინა,
ვერ დავიჯერებ, იყოს მძლევარი,
იყოს მძლევარი, გარდა უფლისა.

ახლა ვინ არის ასე მცთომარე,
ასე მცოდველი და მჩემებელი,
მოდის თამარის სავსე მთოვარე,
მე უნდა მისი დავრჩე მხლებელი.

ვერ დავიჯერებ, რომ შენს მთაწმინდას
არ ჰქონდეს მაინც კაცის ნაკვლევი...
მაშ, რაც წყვდიადში უცებ გაბრწყინდა,
სწორედ ის არის შენი სამკელი.

სწორედ ის არის შენი ნალხენი
და თუ მძლევარი ფეხდაფეხ მოგდევს,
იქ უნდა ჰპოვო შენი სახელი,
ბოლოს და ბოლოს იქ უნდა მოკვდე.

და თუ მიმტყუნებს თვალი ტიალი,
და თუ მიმტყუნებს მთვარე თამარის,
მთავარი მაინც მამული არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

ჯანსულ ჩარკვიანი

* * *

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა
ფერი მათი მერანის.
მამულისთვის დაიღუპნენ
ვაჟკაცობის, მნახველნი,
საქართველო იყო მათი
უწმინდესი სახელი,

ლადო ასათიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ ჩხუტიაშვილი

მალხაზი ვაჟას ძე ჩხუტიაშვილი დაიბადა 1971 წლის 25 დეკემბერს. დუშეთის რაიონის სოფ. ყარსიმაასში. აღიზარდა და სკოლა დაამთავრა დაბა ჟინვალში, დედასთან, უმამოდ. ვულით ეწადა მონაწილეობა მიეღო სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში და ამიტომაც ჩაეწერა მოხალისეთა რიგებში. იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, იბრძოდა ოჩამჩირის ტერიტორიაზე. ახლობლებს მონატრებულმა 4 იანვარს დარეკა და დედას შეპირდა, რომ 14–15 იანვარს სახლში იქნებოდა, მაგრამ ამავე დღის ბოლოს არ დაინდო სნაიპერის ტყვიამ და სასიკვდილოდ შეუნგრია გულ-მკერდი. ჩაუქრო 21 წლის დედისერთა ვაჟკაცს სიცოცხლე.

* * *

...მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.

და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

მირზა გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ცაგურია

მწუხარებასა და ტანჯვას ვერ უძლებს გული. უკვე სამი წელი შესრულდება 4 ოქტომბერს, რაც აფხაზების მიერ დაქირავებულმა სნაიპერის ტყვიამ შეწყვიტა შენი უკეთეს მომავალზე ფიქრებით სავსე სიცოცხლე. შენმა სიკვდილმა დედაშენს გაუჩინა მოურჩენელი სევდა. ჩემო ერთადერთო იმედო, როგორ მოშენატრე, დედა, ხომ იცოდი შენს იქით დედას გზა არ ჰქონდა. დედა შენით ხარობდა, შენით სულდგმულობდა. შენც კიდევ დედაზე უზომოდ იყავი შეყვარებული. დაიბადე 1968 წელს, საშუალო სკოლა დაამთავრე 1985 წელს. იმავე წელს ჩაირიცხე რიგის სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში, დაამთავრე 1989 წელს, იყავი თსუ იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. ჯერ კრასნოიარსკში სამხედრო ნაწილში მუშაობდი ბატალიონის უფროსის მოადგილედ. შემდეგ დედის თხოვნით გადმოგიყვანეს აფხაზეთში და მუშაობდი გ ლის სამხედრო კომისარიატში მეოთხე განყოფილების უფროსად. როცა სოხუმში შინაგანი ჯარი ჩამოყალიბდა, როგორც სპეციალისტი, მიგიწვიეს ჯერ შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ შტაბის უფროსად. სანამ აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, იყავი ოსეთში წასული საომრად. აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან იბრძოდი სოხუმის მისადგომებთან. უკანასკნელად, შვილო, გნახე 1992 წლის 15 სექტემბერს. არაფერი მინდა, ოღონდ შენი ყურებით გამაძღეო, ასე მითხარი. რა ვიცოდი თუ 4 ოქტომბერს ტყვიით განგმირულ შვილს ჯერ კიდევ თბილს მომისვენებდნენ სახლში. ვერ აიტანა ყოველივე ეს გამზრდელმა მამამ ტარიელ ბანძელაძემ, გული გაუსკდა და დროებით მივაბარე ვაკის სასაფლაოზე, შენი 65 წელს მიტანებული დედა კი შეიკედლა სამხედრო ნაწილმა, რომელსაც მეთაურობს პოლკოვნიკი შაქრო ხურციძე. ახალგაზრდა ოფიცრები ზრუნვას არ

აკლებენ დედაშენს გაუხანგრძლივონ სიცოცხლე, რათა ორივე გადაგვაფ-
ლავოთ ზუგდიდში და მეც თქვენს გვერდით მივიჩინო ბინა.
ნათელში მიმყოფოს შენი სული, დედის ალერსი და მოფერება
იმ ქვეყნად.

შენი დედა

ფოთოლა ცაგურია

საქართველოს მთლიანობისათვის
გმირულად დაღუპულ
დიმა ცაგურიას ხსოვნას

ჩემო დიმა, ჩემო სიყვარულო,
მეჯლისია გაზაფხულის ფერთა,
მარტის თვეში დაიბადე, შვილო,
ღმერთის ტოლი, ბიჭი დედისერთა,
სასიკვდილოდ გაგიმეტა ტყვიამ
(უბედური ამის თქმასაც ვბედავ),
გაგაქანა სულთა საუფლოში,
ღმერთის ტოლი ბიჭი დედისერთა.
ანგელოზთა გუნდი მიკეკლუცობს,
შემიფერებს ძალა ღვთისნიერთა,
ვარსკვლავებში იქორწინებ, შვილო,
ღმერთის ტოლი, ბიჭი დედისერთა.
გეყოლება მოდგმა უთვალავი,
გაგიქრება სინანული, სევდა,
გადმოხედავ საქართველოს მთლიანს,
ღმერთის ტოლო, ბიჭო დედისერთა.

ნუნუ კვირკველია

ქ. სოხუმი
15/III–93 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი
ცალუღელაშვილი

დაიბადა 1961 წელს დუშეთის რაიონის სოფელ დოლოშაში. 1967 წლიდან ცხოვრობდა თბილისში თავის მშობლებთან ერთად. მას მამა ადრე გარდაეცვალა, ამის გამო ობლობასა და გაჭირვებაში იზრდებოდა თავის ძმასთან ერთად.

გაჭირვებული ცხოვრების გამო უარი თქვა ოჯახის შექმნაზე. ფიქრობდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამის გულისთვის ის მონაწილეობას ღებულობდა ეროვნულ მოძრაობაში.

დაიწყო რა აფხაზეთის ამბები, ის მაშინვე გაემგზავრა მოხალისედ თავისი

აქტიური მონაწილე იყო 9 აპრილისა.

მიწა-წყლის დასაცავად. 1992 წლის სექტემბრის თვეში მონაწილეობას ღებულობდა გაგრის ბრძოლებში. სიკვდილს გადარჩა, ცოტა ხნით სახლში ჩამოვიდა, 23 ოქტომბერს კვლავ შეიკრიბა მისი 101-ე ბატალიონი. უნდა წავიდეო, დედას უთხრა, ხომ არ დავიმალებიო. კვლავ ჩაება ბრძოლაში და, აი, მტრის ტყვიამ უწია სოფ. შრომასთან 1992 წ. 3 ნოემბერს. ასე დაამთავრა თავისი ხანმოკლე, სიცოცხლე 31 წლის ახალგაზრდამ.

მისი ხსოვნა მუდამ იქნება მისი დედის, ძმის, ძმისშვილების გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ცანკაშვილი

დაიბადა 1972 წლის 7 თებერვალს თბილისში.

მამა — რაჟდენ გიორგის ძე ცანკაშვილი, დედა — ქეთევან (ციცო) დიმიტრის ასულ თავზარაშვილ-ცანკაშვილი.

1978 წ. შევიდა თბილისის 172-ე საშ. სკოლაში, რომელიც დაამთავრა. 1989 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში, მაგრამ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის გამო უარი განაცხადა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურზე. საქართველოში ახლად შექმნილი ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებისთანავე ჩადგა მის რიგებში. 1991 წ. მაისში მსახურობდა ოზურგეთში.

1992 წლის ივნისში დაამთავრა სამხედრო ვალდებულება, მაგრამ არ მიუტოვებია სწორ-ამხანაგები, არ გაუტეხავს ის ფიცი, რომელიც მან დასდო მის გვარდიაში ბრძოლაში დაღუპული ბიჭებისათვის. მას მიანიჭეს ოფიცრის წოდება. დარჩა თავისსავე ნაწილში, ოზურგეთში.

საქართველოს კვლავ დაატყდა უბედურება, აფხაზეთში დაიწყო ომი, რომელიც საქართველოს დაქუცმაცებას უქადდა. კვლავ პირველი ჩაება იგი საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში, მაგრამ 21 აგვისტოს ბედმა უმუხთლა. მანქანიდან წყლის დასალევად გადმოსულს სოფელ ტამიშთან მუხანათურად ჩასაფრებულმა მტერმა სიცოცხლე მოუსწრაფა ჯან-ღონით სავსე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდა კაცს. ჰყავს ორი და.

დაკრძალულია საქართველოს თავისუფლებისა და მთლიანობისათვის ბრძოლა ში დაღუპულ სხვა ბიჭებთან ერთად საბურთალოს პანთეონში, ძმათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ციბაძე

გია ციბაძე დღეს ჩვენთან აღარაა, უკვდავებაშია გადასული, შიშის ზარს რომ სცემდა საქართველოს ასაოხრებლად მოსულ, ჩვენს მიწაზე მყოფი უძღები შვილებისაგან დაქირავებულ მკვლელებს.

იგი ჯერ კიდევ თბილისში, სტუდენტობისას, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთეკურსელი, ოც ძმადნაფიცთან ერთად, სამაჩაბლოს დასაცავად გაეშურა.

გიას ეს ნაბიჯი არავის გაჰკვირვებია, რადგან მისი მშობლების, დედის — რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, ისტორიკოს ეთერ ტორძელაძისა და მამის, ქალაქისათვის სათაყვანებელი პიროვნების გრიგოლ ციბაძის შვილს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

გია ყარყარაშვილის „თეთრი არწივის“ მებრძოლებთან ერთად ყოფნის სამი წელი სამი საუკუნის ტოლფასია.

მტრისთვის რისხვადქცეული ვაჟკაცი გულით შეიყვარა სამაჩაბლოელმა ქართველობამ, ნათლიადაც მოიკიდეს. მან შვიდ ბავშვს აცხო ნათელ-მირონი.

მესამე ძალამ გამოცდისა და წამებისათვის მარტო სამაჩაბლო არ აკმარა საქართველოს და აფხაზეთი — ძირძველი ქართული მიწა გაგვიჩინა სატკივრად.

14 აგვისტოს „თეთრი არწივის“ ვაჟკაცებმა გენერალ გია ყარყარაშვილის მეთაურობით არწივის ფრთები შეისხეს და ფარად დაუდგნენ ქართულ მიწას გათავხედებული აფხაზებისა და ჩეჩენ-კაზაკებისაგან დასაცავად. ისინი ყველგან იბრძოდნენ — გუმისთაში, ეშერაში. ლესელიძეში, გაგრაში, მომხვდურებისაგან იცავდნენ უმწეო ადამიანებს, ეცემოდნენ და მაინც გმირულად უერთდებოდნენ მშობლიურ ზეცას.

„თეთრი არწივი“ განსაცდელში აღმოჩნდა. არწივივით მხრებგაშლილ ვაჟკაცებს მტრის ურიცხვი ურდო შემოესია.

...და კიდევ ერთი დარტყმა, გაგრა-განთიადის მთების, მისი ამწვანებული ტყეების სახსნელად შეფრენილ არწივებს მტრის სნაიპერები შეესივნენ, ულვთოდ გაანადგურეს.

მაიორ გია ციბაძეს, თანამებრძოლებთან ერთად, უკვე დაღუპული ბიჭებიც გამოყავდა ტყიდან, მკვდარიც რომ არ გამხდარიყო მტრის საჯიჯგნად და საკუთარ ჭირისუფალს მაინც დაეტირებინა.

გიამ ერთის გამოყვანა შეძლო, მეორის გამოყვანისას მუხთალი ტყვია წამოეწია.

„ქუთაისელ გიად" წოდებული ვაჟკაცი ურჯულოს ხელით დაიღუპა. იგი გია ყარყარაშვილმა გამოიყვანა ტყიდან, საკუთარ მკვდარ ძმას რომ ეძებდა, სწორედ მაშინ იპოვა მტრისგან განგმირული. მანვე პირველმა დაიტირა უახლოესი მეგობარი.

ვიცეპოლკოვნიკის წოდებაზე წარდგენილი გია ციბაძე მტრის ხელით დაიღუპა. ალბათ, ურჯულომ ისიც არ იცოდა, სიკვდილისათვის გამეტებულს უკვდავებისაკენ რომ უკვალავდა გზას...

გია ციბაძე ჩვენთან აღარაა... გვიჭირს ამ სიტყვების განცდის გარეშე წარმოთქმა, მაგრამ ისიც გვწამს, რომ სამშობლოსათვის დაღუპული რაინდის სულს ღმერთი ნათელ სასუფეველს დაუმკვიდრებს. ერი მის სახელს დიდებით შემოსავს.

მეოთხე სპეცდანიშნულების ბატალიონი „თეთრი არწივი",

გაზეთი „ქუთაისი", 1992 წ. 17

გელა ცირეკიძე

გელა ბონდოს ძე ცირეკიძე დაიბადა 1965 წელს ტყიბულში. 1982 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის № 5 საშუალო სკოლა. 1983 წლის შემოდგომაზე გაიწ-

ვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა უნგრეთში, საბჭოთა ნაწილში.

1989 წელს დაამთავრა ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი, და მუშაობა დაიწყო რუსთავის „აზოტის“ ქარხანაში.

აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ ჩაირიცხა ბატალიონ „გორდაში“.

დაიღუპა 1993 წლის 1 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღთან გამართული ბრძოლის დროს.

გელა ციხელაშვილი

გელა სოლომონის ძე ციხელაშვილი დაიბადა 1963 წლის 20 ივნისს ხაშურის რაიონის სოფ. სავანისუბანში (ქვიშხეთის სასოფლო საბჭო), მოსამსახურის ოჯახში. გელა ცოლშვილიანი იყო. მას დარჩა მეუღლე — ლიზიკო ბრეგვაძე, შვილი — თორნიკე.

სწავლა დაიწყო სავანისუბნის დაწყებით სკოლაში 1970 წელს, განაგრძო ტეზრის საშუალო სკოლაში. საშუალო დაამთავრა 1980 წელს, უმაღლესში სწავლა არ გაუგრძელებია.

1982 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ბოლომდე მოიხადა სავალდებულო სამსახური.

სამხედრო სამსახურის შემდეგ მუშაობდა პურის მიმღებ საწარმოში საწყობის გამგედ. ბოლო წლებში მუშაობდა აგროსატრანსპორტო გაერთიანებაში მძღოლად.

1992 წლის ნოემბრის თვეში წავიდა მოხალისედ აფხაზეთში სამშობლოს მთლიანობის დასაცავად.

თავი შესწირა საქართველოს მთლიანობას — 1992 წლის 13 ნოემბერს დაიღუპა კინდღში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ (ბადრი) ცქვიტიშვილი

მის თვალებში სათნოება და სიყვარული იკითხება. სახეზე ვაჟკაცური იერი და სიკეთის სხივი აფენია. ჯან-ღონით სავსე, ხალასი, დიდი შინაგანი ენერგიით დამუხტული – ასეთად იცნობდა ყველა ტარიელ (ბადრი) ცქვიტიშვილს კასპშიც, სადაც დაიბადა და გაიზარდა, თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმშიც, სადაც ფიზკულტურის მასწავლებლის სპეციალობა მიიღო, ახალგორის რაიონის სოფელ ბაზუანის საშუალო სკოლაშიც, სადაც მასწავლებლად მუშაობდა.

სამხედრო წრთობა გერმანიაში ჰქონდა გავლილი. მისი სისხარტე და მოქნილობა პირველი შეხედვისთანავე იზიდავდა ადამიანს. ან რა გასაკვირი იყო. კასპელი ჭაბუკი ბავშვობიდანვე მისდევდა სპორტს, იყო თავისუფალი სტილით მოჭიდავე. ბავშვობის სიყვარული სპორტის ოსტატის წოდებით დააგვირგვინა, საექიმო ფიზკულტურისა და მასაჟის სპეციალური კურსისადმი განსაკუთრებული ყურადღება იქნებ კიდეც მიგვანიშნებს ბადრი ცქვიტიშვილის სამომავლო ფიქრებსა და მისწრაფებებზე, მაგრამ ფიქრი ფიქრად დარჩა. სამშობლოს პირველ დაძახილზევე იგი მოხალისეთა რიგებში ჩადგა და აფხაზეთს მიაშურა.

27 აგვისტოს 25 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე თანამებრძოლებთან ერთად აღნიშნა. ამ დღეს განსაკუთრებულად გამობრწყინდა მისი ხალისიანი, იმედიანი ხასიათი და იუმორით აღსავსე ბუნება.

ეს უკანასკნელი გალაღება იყო. ოთხი დღის შემდეგ, 1992 წლის 1 სექტემბერს მის თვალებში უკანასკნელად ჩაიხატა უგონოდ გახელებულ არაკაცთა ტყვიების ცეცხლით დასერილი აფხაზეთის ზეცა.

ჩაქრა კიდევ ერთი სიცოცხლე.

კიდევ ერთი შტო ჩამოესხეპა მომავალ საქართველოს.

რით ვანუგეშოთ დედ-მამა და და-ძმები?

მისი გმირული თავგანწირვა და სამშობლოს სიყვარული უთუოდ კეთილ ნერგად იხარებს და სიცოცხლის აზრსა და მიზანს გაულამაზებს იმ გოგო-ბიჭებს, ვინც კიდევ უფრო უნდა აამაღლოს ბადრი ცქვიტიშვილის სამშობლო საქართველოს სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვიჩა ცხადაია

ხვიჩა ცხადაია დაიბადა ქალაქ სოხუმში, 1974 წლის 1 სექტემბერს. 1981 წელს შეიყვანეს სოხუმის მე-16 საშუალო სკოლაში.

გატაცებული იყო მუსიკით, მისდევდა სპორტს. კერძოდ, ვარჯიშობდა ძიუდოში. უყვარდა ამხანაგები და მეგობრები. იყო თავაზიანი, დინჯი, წინდახედული.

1991 წელს დაამთავრა მე-16 საშუალო სკოლა. უნდოდა ჩარიცხულიყო ფიზკულტურულ ფაკულტეტზე, მაგრამ ოცნება არ აუხდა.

ხვიჩა ცხადაია 18 წლისა იყო, როცა ვერ აიტანა ასეთი გაუთავებელი შემზარავი ომი და 1993 წლის 1 თებერვლიდან შევიდა სოხუმის № 2 ბატალიონის მესამე ასეულში. ის გამოდგა ნამდვილი გმირი მებრძოლი. 15—16 მარტს აფხაზთა შემოტევის დროს ის მედგრად იბრძოდა წინა ხაზზე. 17 მარტს მტრის ვერაგულმა ტყვიამ განგმირა. მას ბევრი ლამაზი ოცნება და მიზანი ჰქონდა. მაგრამ ეს ოცნებები და მიზნები თან წაიღო. დაკრძალულია ხობის რაიონში, სოფ. ნოჯიხევში.

სამარადისო იყოს ხვიჩა ცხადაიას ხსოვნა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თემურ ძიძიგური

დაიბადა 1954 წლის 12 აპრილს. 1961 წელს შევიდა რუსთავის მე-16 საშუალო სკოლაში, 1971-ში კი დაამთავრა რუსთავის მე-18 საშ. სკოლა, რის შემდეგაც 1973 წლამდე მუშაობდა მეტალურგმშენში მუშად.

1973 წელს გახდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. დაამთავრა 1977 წელს. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი და საქართველოს პირველობის არაერთგზის პრიზიორი ფარიკაობაში.

1977-79 წლებში მსახურობდა ჯარში.

1980-83 წწ. მუშაობდა მეტალურგიულ ქარხანაში მუშად.

1983-91 წწ. პედაგოგად მუშაობს რუსთავის 22-ე, 26-ე სკოლებში და № 162-ე სპტს-ში.

1991 წელს მისი ინიციატივით დაიწყო რუსთავში გვარდიის ქვედანაყოფის ჩამოყალიბება. იყო ამ ბატალიონის შტაბის უფროსი, რუსთავ-გარდაბნის კომენდანტი.

ბოლო ხანს მუშაობდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში უფროს მასწავლებლად, ჰქონდა მინიჭებული ეროვნული გვარდიის კაპიტნის წოდება. დაიღუპა 1992 წლის 3 ნოემბერს აფხაზეთში, სოფელ შრომასთან.

ბრძოლაში მოულოდნელად ჩაბმულა, წასვლის წინ საბუთები დაუტოვებია მეგობრისთვის, რომელსაც ასაფეთქებელი მიუცია: „შეიძლება დაგჭირდეს“. მართლაც, თვითმხილველი ამბობს, რომ ჯერ ფეხში დაჭრილა და მაინც იბრძოდა, ბოლოს, როცა მტერი გარშემო შემორტყმია, თავი აუფეთქებია. მისი დამახინჯებული გვამი მხოლოდ 6 დღის შემდეგ იპოვეს ბუჩქებში და დაკრძალეს 19 ნოემბერს ქ. რუსთავში.

თემურ ძიძიგური სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ღირსების ორდენით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ძიძიგური

ლავრენტი (ჯუგა) მანცოს ძე ძიძიგური დაიბადა 1974 წლის 15 დეკემბერს თბილისში. 46-ე საშუალო სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-4 საშუალო სკოლაში. პარალელურად 1990 წლის ოქტომბრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე მუშაობდა თბილისის ზოოლოგიური პარკის ჩლიქოსანთა განყოფილებაში მუშად.

1992 წლის 26 აგვისტოს დაიჭრა ეშერის ხეობაში ბრძოლების დროს, თვითმფრინავით გადმოიყვანეს თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტში, სადაც გარდაიცვალა 30 აგვისტოს. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ჰყავს მშობლები და ორი ძმა.

არდავიწყება მის ნათელ სახელს!

* * *

ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი
და ცივად გავცქერ გაცრეცილ და საოცარ სივრცეს.
დანატრდა გული, ვიქმენ უტყვი, უგრძნობელიც კი
ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი,
აღარ ელირსა შენს ცივ ნაცარს ხვითო ფენიქსის,
ნუთუ სიცოცხლე ვერ დაცარავს სიკვდილის ცივ ცელს?
ვარ შენს საფლავზე შემართული, ვით ობელისკი
და მკაცრად გავცქერ გადაცრეცილ და გულცივ სივრცეს.

გაბრიელ ჯაბუშანური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა წარია

დაიბადა 1941 წლის 30 მარტს. შოთას მამა — რადიონი დაიღუპა ომში, 1941 წელს.

შოთა წარია ცხოვრობდა გაგრაში, კოლხიდა-სოხუმის ქუჩაზე.

შოთა ჯიხვებზე მონადირე იყო და მას ყველა მონადირედ იცნობდა. 1992 წლის 14 აგვისტოდან წინ მიუძღოდა ჩვენს მეომრებს და გზებსა და გადასასვლელებს ანათებდა მთებში. მისთვის ეს ძნელი არ იყო, რადგანაც ის ისე იცნობდა ახლო თუ შორეული მთების ყველა ბილიკსა და გადასასვლელს, როგორც საკუთარ ეზოს. რამდენჯერ გადაურჩენია დაჭრილი და გამოუყვანია სამშვიდობოზე, თითონაც ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს. შოთა პირნათლად ასრულებდა სამხედრო ხელმძღვანელობის დავალებებს, მაგრამ ბოლოს მაინც უმტყუნა ბედმა. 1992 წლის 16 სექტემბერს გაგზავნეს მამზიშხის უღელტეხილზე, სადაც ის დაიჭირეს და 17 სექტემბერს წამების შემდეგ დახვრიტეს ბზიფში აფხაზებმა.

შოთა წარიას შვილებს მთვარისას (6 წლისას) და ნათიას (3 წლისას) სანუგეშოდ ისღა დარჩენიათ, რომ მათი მამის სახელს მუდამ ამაყად წარმოთქვამს მადლიერი შთამომავლობა.

* * *

ოდეს მამაცი იბერი,
ცისა და ქვეყნის ასაკის,
ლაღი და თვალებცისფერი,
მცხეთის მახლობლად დავსახლდი;
წელს მერტყა ხმალი ხალიბის,
ხელში გუთანი მეჭირა,
ქვის ტახტზე ვიწექ ყარიბი,
ვარსკვლავების ქვეშ მეძინა...

გიორგი შატბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა წიაბელაშვილი

ვაჟა ალექსანდრეს ძე წიაბელაშვილი დაიბადა 1958 წ. 22 თებერვალს ქ. რუსთავში, მოსამსახურის ოჯახში.

ვაჟას ადრე გარდაეცვალა მამა, დედამისს გასაზრდელად დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილი — ორი გოგონა და ერთი ვაჟიშვილი. ვაჟა ამათგან ყველაზე პატარა იყო. დედა ყოველთვის ცდილობდა ჩაენერგა შვილებისთვის სამშობლოსა და ერის სიყვარული, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. იგი იყო სულით უღრეკი, ერთგული, ზედმიწევნით გულკეთილი, სამშობლოსა და ერის მოყვარული.

1971 წელს დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, რის შემდეგაც ჩააბარა ქ. თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში. 1976 წ. გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც კეთილსინდისიერად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

1978 წ. იცვლის პროფესიას და სწავლას განაგრძობს სავაჭრო ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობას იწყებს სავაჭრო დარგში და ჰქმნის ოჯახს.

ვაჟა იყო სამი მცირეწლოვანი შვილის მამა. როდესაც სამშობლოს გაუჭირდა, 1992 წლის სექტემბერში, იგი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. იბრძოდა „მხედრიონის“ რიგებში.

საბრძოლო მომზადება გაიარა ქ. თბილისთან, საგურამოში, რის შემდეგაც იბრძოდა აფხაზეთში ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშთან.

1992 წლის 16 ნოემბერს მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა სახელოვანი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის შვილი ირაკლი ამირეჯიბი. ბრძოლის ველიდან ირაკლის გამოყვანა იმ დღეს ვერ მოხერხდა მტრის ინტენსიური შემოტევების გამო. ამიტომ ვაჟამ გადაწყვიტა დაღუპული თანამებრძოლის გვამი გადაემალა, რადგან მტერი ულმობლად ასახიჩრებდა ჩვენი მეომრების გვამებსაც კი. ბრძოლის ველიდან ირაკლის გვამის გამოსატანად გვარდიელების

მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. რის შემდეგაც ვაჟამ გადაწყვიტა „მხედრიონელებთან“ ერთად წასულიყო ჯავშანტრანსპორტიორით გვამის გამოსატანად. ის ამ ჯავშანტრანსპორტიორის თავს ზემოთ მოექცა, რათა იქიდან ადგილი, სადაც ირაკლი ჰყავდა გადამალული. ამ დროს მტრის მიერ გაძარცულმა ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა ვაჟა. თანამებრძოლებს ვაჟა გადარჩენის მიზნით სასწრაფოდ გადაჰყავდათ ოჩამჩირის საავადმყოფოში, მაგრამ მან გზაში დალია სული. ასე შესწირა მან სიცოცხლე 34 წლის ასაკში 1992 წლის 18 ნოემბერს ერისა და სამშობლოს სიყვარულს.

თანამებრძოლებმა ოჩამჩირის საავადმყოფოდან ვაჟა გადმოასვენეს ქ. თბილისში. იგი დაკრძალულია წმინდა ნინოს ძმათა სასაფლაოზე.



ნიაზ წითელაშვილი

ნიაზ გურამის ძე წითელაშვილი, დაიბადა 1969 წლის 17 მარტს, ღ-ლადის რაიონის სოფელ მეორე დიმში, განათლება საშუალო, უცოლო.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1992 წელს ბატალიონ „ავაზაში“ შევიდა მოხალისედ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოში ოს ექსტრემისტებთან ბრძოლაში. თანამებრძოლები მას ახასიათებენ როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, სამშობლოსთვის გულანთებულ ვაჟკაცს. გაგრის ცნობილი ტრაგედიის დროს ნიაზი ტყვედ ჩავარდა, შემდეგ ტყვეების გაცვლის შედეგად განთავისუფლდა, მაგრამ ერთი ღამითაც არ შეუსვენია და არ გაუშვია ხელიდან იარაღი. გმირულად იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. 1992 წლის 9 დეკემბერს აფხაზეთში მტრის ტყვიამ განუგმირა ის ანთებული გული, რომლითაც საქართველოს დიდ სიყვარულს დაატარებდა.

დაკრძალულია სოფელ მეორე დიმის სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტარიელ წიკლაური

ტარიელ გაბრიელის ძე წიკლაური დაიბადა 1957 წლის 25 აპრილს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. საშუალო სკოლა დაამთავრა ასურეთში და დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1975 წლის 10 მაისს გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომლის მოხდის შემდეგ ისევ გააგრძელა შრომითი საქმიანობა. დაოჯახდა, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იყო სიკეთით აღსავსე, კეთილსინდისიერი.

1992 წლის 27 ოქტომბერს მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში". დადგა იქ, სადაც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა დამდგარიყო, იცავდა საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ 1992 წლის 17 დეკემბერს აფხაზეთში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

* * *

...ვფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ,
საზიზღარ მტერზე ხიშტშემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო – დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

...თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

სევერიან ისიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა
წიწიკაშვილი

ზაზა ომარის ძე წიწიკაშვილი დაიბადა 1966 წლის 15 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში, განათლება — ტექნიკური, უცოლო.

უფლისციხის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ხიდისთავის № 15 პროფტექნიკურ სასწავლებელში, შემდეგ მუშაობა დაიწყო ზეინკლად.

1992 წლის 1 ივნისს მოხალისედ შევიდა 114-ე ბატალიონ „ავაზაში", მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, იბრძოდა სამაჩაბლოში, გაგრაში, ოჩამჩირეში.

1993 წლის 1 მარტს ერთ-ერთი დიდი ოპერაციის დროს სოფელ ლაბრასთან გმირულად დაეცა.

დასაფლავებულია გორის რაიონის სოფელ უფლისციხის სასაფლაოზე.

* * *

...რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები;
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!
ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები!

ვლადიმერ უბილავა

ოთხნი ერთი ოჯახიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკრი წიკლაური



ვახილ წიკლაური

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვას ერთმა ქართულმა ოჯახმა ზვარაკად ოთხი ღირსეული ვაჟკაცის სიცოცხლე შესწირა. 1993 წლის 22 სექტემბერს, საბრძოლო დავალების შესრულებისას, ბაბუშვრის აეროპორტთან, საავიაციო კატასტროფაში (მომხვდურის ძიერ თვითმფრინავის აფეთქებისას) ტრაგიკულად დაიღუპნენ ტყუპი ძმები — ნუკრი და ვახიკო წიკლაურები და მათი დისშვილები — თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილები. გმირი ძმები იქვე დრანდის სასაფლაოს მიაბარეს. პატრიოტიზმმა, დაუცხრომელმა საბრძოლო შემართებამ, გამბედაობამ სამშობლოს პირველსავე დაძახილზე — აფხაზეთის ომში ჩააყენა ისინი საქართველოს ერთგულ ჯარისკაცთა რიგებში. წარმოუდგენელია შემოქმედ კაცს, ფუნჯსა და ნახატს შეჭიდებულს, ჰყვარებოდა ომი და სისხლისღვრა, მაგრამ მამულის სიყვარულმა ყველა სხვა გრძნობას სძლია, გააწირინა ყველა და ყველაფერი... და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი — ნუკრი წიკლაური და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი — ვახიკო წიკლაური (დაბადებულები 1962 წელს თბილისში), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი-- თემურ ზალდასტანიშვილი (დაბადებული 1968 წლის 2 მარტს, თბილისში) და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული — ზურაბ ზალდასტანიშვილი (დაბადებული 1969 წლის 22 ოქტომბერს, თბილისში) წარბშეუხრელად შეეგებნენ სიკვდილს.



თემურ ზალდასტანიშვილი

ზურაბ ზალდასტანიშვილი

ძმები 1993 წლის მარტში ჩაირიცხნენ საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში (ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრო), სადაც თავიანთი ხანმოკლე მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინეს როგორც კეთილსინდისიერმა და დისციპლინირებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა. 4-ჯერ მიაშურეს ძმებმა ბრძოლის ველს, როგორც მოხალისეებმა და როგორც უშიშროების სამსახურის მუშაკებმა. მეოთხე ჯერი საბედისწერო გამოდგა. ძმები წიკლაურები, ისევე როგორც ინსტიტუტში, საცხოვრებელ უბანშიც გამოირჩეოდნენ ზრდილობით, გულისხმიერებით, მეგობრებისადმი უზადოდ თავდადებით.

ასეთივე იყვნენ მათი დისშვილები თემური და ზურაბ ზალდასტანიშვილები.

ოთხივე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ძმები წიკლაურების ხსოვნის უკვდავსაყოფად ნაძალადევის რაიონის გამგეობა მეტრო „ნაძალადევის“ მიმდებარე სკვერს მალე მათ სახელს მიაკუთვნებს.

ნუცუბიძის ქუჩის მაცხოვრებლები, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორატი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრო შუამდგომლობენ თბილისის ვაკის რაიონის გამგებელთან, რათა ნუცუბიძის ქუჩის მონაკვეთს, დასაწყისიდან საბაგირო გზამდე, ეწოდოს ძმები ზალდასტანიშვილების სახელი.

გაივლის წლები და სასიქადულო მამულიშვილების თავდადება კვლავაც სამშობლოს დაცვის ჟინით აღანთებს ქართველთა თაობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა წულაია

გოჩა თენგიზის (ბორისის) ძე წულაია დაიბადა 1969 წლის 15 ნოემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრინში.

1976 წელს სწავლა დაიწყო გუმბრინის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სწავლობდა წყალტუბოს პირველ საშუალო სკოლაში, ხოლო მერვე კლასიდან ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში, რომელიც დაამთავრა 1985-86 სას. წელს და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკის ფაკულტეტზე.

1988 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ქ. სტერლიტამაკში, ხოლო შემდეგ მანჩეგორსკში.

1992 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო ბიზნესის უმაღლეს სკოლაში, სადაც სწავლის დროსაც წავიდა მოხალისედ „თეთრი არწივის“ სწრაფი რეაგირების პირველი კორპუსის არტილერისტთა ბრიგადაში. რომელც ფიზიკოსებისაგან იყო დაკომპლექტებული. დაიღუპა კინდღში 1993 წლის 19 იანვარს.

გოჩა იყო ერთ-ერთი იმ ორ მებრძოლს შორის, რომლებმაც გადაიარეს ზეწრებში გამოხვეულებმა გუმისთის თოვლიანი ნაპირი, გადაცურეს გუმისთა 7-8 იანვარს და მეორე მხარეს ააფეთქეს მტრის პოზიციები, შემდეგ კი უკან უვნებლები დაბრუნდნენ. 19 იანვარს სნაიპერის ტყვიით დასრულდა მისი სიცოცხლე, ის ვერ მოესწრო მისი დიპლომის ხელის შეხებას, რომელიც დაკრძალვის დროს გამოგვიგზავნა უნივერსიტეტმა.

უყვარდა მოგზაურობა, ნადირობა, მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი. იცოდა და სწავლობდა საქართველოს ისტორიას. ჯარიდან გვწერდა: რომ ჩამოვალ, მიწას უნდა ვაკოცო, თურმე, რა ქვეყნის შვილი ვყოფილვარო. შესწირა კიდევაც თავი მის თავისუფლებას.

მადლობას მოვახსენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც შრომობთ ჩვენი შვილების უკვდავსაყოფად.

დავით ჭავჭანიძე

დავით ანზორის ძე ჭავჭანიძე დაიბადა თბილისში 1969 წლის 25 იანვარს.

1975 წელს შევიდა თბილისის №-16 საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1986 წელს. იმავე წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საიდანაც დაბრუნდა 1989 წლის ივლისში. ამ პერიოდიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი.

1991 წლის ოქტომბერში გადავიდა დაუსწრებელ განყოფილებაზე და დაიწყო მუშაობა პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, შრომის დაცვის კათედრის ლაბორანტად.

1991 წლის 22 დეკემბერს შევიდა ეროვნული გვარდიის რიგებში მოხალისედ.

30 აგვისტოს აფხაზეთში — სოფელ კოლხიდასთან მომხდარი შეტაკების დროს, დაჭრილი თანამებრძოლის საშველად შესული, სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

ოჯახის წევრებია: დედა — ვალერტინა ჭავჭანიძე, მამა — ანზორ ჭავჭანიძე, და — ირინა ჭავჭანიძე.

ბესიკ ჭანკვეტაძე

ბესიკ ზაბულონის ძე ჭანკვეტაძე დაიბადა 1970 წ. 30 მარტს. ჭიათურის რაიონის სოფელ ნავარძეთში. არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში 1985 წელს.

ამავე წლიდან სწავლა ვააგრძელა ქ. თბილისის კ. ლესელიძის სახელობის სპეციალურ სამხედრო სკოლა-ინტერნატში. შემდეგ სწავლობდა ვლადიკავკაზის სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში. მე-4-ე კურსიდან ბესიკ ჭანკვეტაძე გამოვიდა ამ სასწავლებლიდან და ჩაირიცხა საჩხერის გვარდიის ბატალიონში.

იბრძოდა სამაჩაბლოში, იყო საოცრად კეთილი და კარგი მეგობარი. დაიღუპა გორში რუს სამხედროებთან შეტაკების დროს 1992 წ. 13 ივნისს. ჰყავს დედა და ორი ძმა.

ღმერთმა აცხონოს ბესიკ ჭანკვეტაძის სული!

* * *

...აქ გამითხარონ ცივი სამარე,
აქვე დამმარხონ ამ მაღალ მთაზე,
ნაზის იისა კუბო შემიკრან,
გულს დამაყარონ ტურფა კესანე;
არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი,
არ დაივიწყო, შენი კვნესამე!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრია ჭანტურიძე

ანდრია ვლადიმერის ძე ჭანტურიძე დაიბადა 1971 წლის 11 აპრილს თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში.

1988 წელს წარმატებით დაამთავრა ზედა საზანოს საშუალო სკოლა. მრავალჯერ მონაწილეობდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. ორჯერ აქვს მიღებული I და II ხარისხის დიპლომები ქართულ ლიტერატურასა და ქიმიაში.

1988 წელს სწავლა გააგრძელა თერჯოლის № 87 პროფტექნიკურ სასწავლებელში მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა 1989 წელს.

1989 წლის 24 მაისიდან ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა გერმანიის რამდენიმე ქალაქში. დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა ქ. პოტრდამში დაზვერვა-კავშირგაბმულობის ხაზით, ბოლოს კი მსახურობდა სატანკო პოლკში, იყო ტ-85 ტანკის მეთაური, უფროსი სერჟანტი. ბრწყინვალედ იცოდა ყველა სახის ჯავშნიანი მანქანა.

1991 წლის 25 მაისს გერმანიიდან დაბრუნებული ანდრია ჭანტურიძე შინ დაბრუნდა. ამავე წლის სექტემბრიდან მუშაობას იწყებს თერჯოლის შ/ს რაიონულ განყოფილებაში ქვემორიგედ, აქ მხოლოდ ერთი წელი იმსახურა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თავი გამოეჩინა, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოს სანიმუშო მუშაკს. ამიტომ ის გაგზავნილ იქნა უშიშროების უმაღლეს სკოლაში. იქ გამოცდების ჩაბარების შემდეგ მხოლოდ ორი დღით დარჩა ოჯახში, შემდეგ კი წავიდა აფხაზ სეპარატისტებთან და ჩეჩენ გადამთიელებთან საბრძოლველად. 1992 წლის 26 აგვისტოს ის ჩავიდა გაგრის რეგიონის ყველაზე ცხელ წერტილში. 29-ში დილით საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს, რომელთა შორისაც იმყოფებოდა ანდრია ჭანტურიძეც, თავს დაესხა გადამთიელთა

დიდ იჯგუფი. ამ ორთაბრძოლაში თაოვის სხვა 10 ამნაგთან ერთად დაიღუპა 21 წლის ანდრია ჭანტურიძეც.

მას დარჩა მამა — ვლადიმერ ჭანტურიძე (ამჟამად შალვა და პეტრე ბაბ-რანაშვილების სახლ-მუზეუმის დირექტორი) და დედა — ქეთინო ფანჩულიძე (დიასახლისი).



ზურაბ ჭელიძე

ოზურგეთის რ-ნის სოფ. მთისპირის მკვიდრი, 36 წლის ვაჟკაცი ზურაბ ჭელიძე, რომელმაც ჩვილი ნატო და მეუღლე დატოვა სახლში, უყოყმანოდ წავიდა აფხაზეთში სამშობლოს დასაცავად. ის მოხალისედ ჩაეწერა ბატალიონ „ავაზაში". სწორედ იმ ავადსახსენებელი 1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დღეს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ზურაბი დაკრძალულია ოზურგეთის რ-ნის სოფ. მთისპირის სასაფლაოზე.

ნარგიზა ლომთაძე

* * *

...და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, შაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ ჭიკარტაძე

ერთი ჩვეულებრივი ლამაზი ბიჭი იყო რამაზ ჭიკარტაძე, მასაც უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრობდა ისე, როგორც ათასობით მისი თანატოლი. ახლობლებს ისევ ბავშვად ეგულებოდათ, იგი კი თურმე უკვე ვაჟკაცი იყო, თავისი გზა უკვე მოძებნილი ჰქონდა, მას მხოლოდ კაცურად უნდა ეცხოვრა.

როცა სურვილი გაუმხილა ახლობლებს და განუცხადა, რომ მოხალისედ უნდა წავიდე აფხაზეთშიო, შეეცადნენ გამოუცდელი ჭაბუკისათვის გადაეთქმევინებინათ გადაწყვეტილება, მაგრამ მან მტკიცედ განაცხადა: „იქ ბიჭები იღუპებიან, ისინი ჩემი ტოლები არიან, ჩემი ადგილი იქ არისო“ და წავიდა უთქმელად, ოჯახის წევრებთან დაუმშვიდობებლად.

არჩევანიც თვითონ გააკეთა, მოითხოვა პირდაპირ ფრონტზე გაეგზავნათ. რამაზი ტამიშთან იბრძოდა. საგარეჯოელმა ჭაბუკმა აქვე შესწირა სამშობლოს ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე.

* * *

...ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —
მამულისა და ჯრულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

ი ლ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ჭინჭარაული

გოჩა ჭინჭარაული ლესელიძის სახელობის სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულია. დაიბადა 1970 წლის 4 ოქტომბერს. დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი და მაშინვე მოეწყო თბილისის მესამე სამედიცინო საბაზო სასწავლებელში, რომელიც ფრიადებზე დაამთავრა. მერე გვარდიაში შევიდა. გახიზვნის დროს რკონში მსახურობდა. როცა შინაგანი ჯარი შეიქმნა, იქვე არსებულ სპორტულ ლეგიონში იმსახურა. მონაწილეობდა ოსი ბოევიკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში ცხინვალში, დორსა და ნიქოზში.

შემდეგ აფხაზეთის ბრძოლებში მონაწილეობდა და 1993 წლის 2 ივლისს კინდღში მძიმე შეტაკების დროს დაიღუპა — დაჭრილის საშველად წასულს ტყვია მოხვდა თავში. დაღუპვიდან ერთი თვის შემდეგღა მოხერხდა მისი ცხედრის გადმოსვენება.

იმ მძიმე დღეს ხუთი ძმადნაფიცი შეეწირა ომს. იმათგან ერთ-ერთი გოჩა იყო.

ომში გოჩა ჭინჭარაული ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა, ამიტომაც ბიჭებმა ზედმეტ სახელად „ფერშალა“ შეარქვეს.

ხევსურეთში ჭინჭარაულების გვარს კაი ყმები ჰყავს. ვაჟკაცობით გამორჩეული ეს მერამდენე ჭინჭარაულია...

დედისერთა ბიჭი, დიდ მომავალზე მეოცნებე, სიკეთითა და იუმორით სავსე, ბუნებით ხელოვანი, უდროოდ გამოაკლდა სამშობლოს. მას შვილიც არ დარჩენია.

გოჩას დედამ ვერ აიტანა შვილის დაღუპვის ამბავი და იმავე დღეს მოიკლა თავი.

იზა ჯაჭვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხო ჭინჭარაული

ვერონაში, საგარეჯოს რაიონის ფშაურ სოფელში იბადებოდნენ პატარა ბიჭის ოცნებები, მერე ერთი მათგანი გამოიკვეთა: მსახიობობაზე ოცნებობდა. ლამაზ, მოხდენილ, ნიჭიერ ყმაწვილს აკი არც უთხრეს უარი და მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტად ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც აფხაზეთში ომის დაწყების წელს დაამთავრა.

თეატრი და სცენა სამომავლოდ გაღაიღო. მიხომ იცოდა, რომ ახლა სამშობლოს სჭირდებოდა და არც დაფიქრებულა, ისე ჩაიცვა მეომრის სამოსი და ხელში იარაღი აიღო.

მგზნებარე, ერთგულ, უღალატო მეგობრად თვლიდნენ მას მისი თანამებრძოლები, მისი მეგობრები, ყველა ვინც იცნობდა.

ვერონაში დაბადებული ბიჭი სოხუმის მახლობლად დაეცა, როგორც გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული ჭაბუკი.

გავა დრო და მისი სახელი, სხვა პატრიოტ ქართველ ჭაბუკებთან ერთად უფრო მეტად გაბრწყინდება და საამაყოდ დარჩება შთამომავლობას.

მიხო ჭინჭარაული სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** II ხარისხის ორდენით.



თენგიზ ჭიპაშვილი

დაიბადა 1950 წლის 7 ნოემბერს ხარაგაულში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1968 წელს გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში — იმსახურა კოსტრომაში.

1972 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაცვის განყოფილებაში, ხოლო 1973 წელს შედის მილიციის სკოლაში, რომელსაც ამთავრებს წითელ დიპლომზე.

1976 წელს სასწავლებლად შედის მილიციის უმაღლეს სკოლაში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1980 წელს. ამ ხნიდან მოყოლებული, 1988 წლამდე, იგი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორია, ხოლო 1988 წლიდან სამუშაოდ გადადის ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის შსს განყოფილებაში გამომძიებლის თანამდებობაზე — კაპიტნის წოდებით.

1991 წლს 13 იანვრიდან თავის მორიგ საბრძოლო ვალდებულებას იხდიდა სამაჩაბლოში, სადაც გმირულად დაიღუპა 1991 წლის 17 იანვარს.

დარჩა მეუღლე — თამრიკო და ორი ქალიშვილი —ეკა და ნინო.

დასაფლავებულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

* * *

დიდება იმ დღეს, დიდება იმ დღეს,
ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული,
ლაზარესავით, ხვალ ისევ აღდგეს
დღეს დაფლეთილი მისი სხეული!

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკა ჭილლაძე

ჭაბუკა მიხეილის ძე ჭილლაძე დაიბადა 1960 წ. 10 თებერვალს საჩხერის რაიონის სოფელ ქვემოხევში. 1975 წ. დაამთავრა საჩხერის ილ. ჭავჭავაძის სახელობის № 2 საშუალო სკოლის 8 კლასი, ხოლო 1977 წელს თბილისის საშუალო სასწავლებელი.

1978–1980 წ. მსახურობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

იყო საჩხერის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზირებული სკოლის მწვრთნელი. ამასთანავე შეთავსებით მუშაობდა მოხვის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

დიდია მისი წვლილი საჩხერის გვარდიის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

იბრძოდა სამაჩაბლოში, რესპუბლიკის გვარდიის ხელმძღვანელობის დავალებით რამდენიმეჯერ გაიგზავნა ცხინვალში მოლაპარაკების მიზნით.

მუხანათურად დაიღუპა გორში რუს სამხედროებთან შეჯახების დროს 1992 წ. 13 ივნისს.

ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

ღმერთმა აცხონოს სული მისი!

ჭაბუა ჭილლაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჭუბაბრია

სულ 19 წელი იცოცხლა ლევან ბორისის ძე ჭუბაბრიამ. ვერ მოასწრო ოჯახის შექმნა, არ ეღირსა თავისუფალ საქართველოში ცხოვრება, სამაგიეროდ წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი კაცის, გმირის სახელით.

ლევანი ღარიბი გლეხის ოჯახში გაიზარდა, ბავშვობიდანვე დიდობაზე ოცნებობდა, ყოველთვის თავისზე უფროს ადამიანებთან მეგობრობდა, რატომღაც თვალები ყოველთვის სევდიანი ჰქონდა, იყო ინტერესიანი, თავმოყვარე. ფიზიკური ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, მაგრამ, როცა სამშობლოს დასჭირდა მისი სამსახური, უყოყმანოდ წავიდა ვალის მოსახდელად. ბრძოლის პერიოდში რამოდენიმე დღით იყო სახლში ჩამოსული ლევანი. კონტუზია ჰქონდაო, — თვალცრემლიანი გვესაუბრება ლევანის დედა. ამ დროს ბრძანება გამოიცა: იარაღიანი მეომარი ქუჩაში არ უნდა დადიოდესო და მე შემეშინდა, რაიმე არ შეემთხვეს ჩემს შვილს — მეთქი და წამოვყევი. შეხვეული ავტომატი მე მეჭირა ხელში და ისე მივყევი 114-ე ბატალიონ „ავაზას“ ხელმძღვანელობასთან და ჩავაბარე ჩემი შვილი.

1993 წლის 22 აპრილს ლაბრასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა, მიცვალებული ტყვედ ჰყავდათ აფხაზ სეპარატისტებს. სასტიკად ნაწამები იყო, თვალები დათხრილი ჰქონდა, მისმა თანამებრძოლებმა ლევანის ცხედარი ცოცხალ ტყვეზე გადაცვალეს.

ლევანი დასაფლავებულია სენაკის სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭან ხაბარელი

დაიბადა 1959 წელს 6 მაისს ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო აჩაბეთში. 1975 წელს დაამთავრა აჩაბეთის საშუალო სკოლა. ადრეული ქორწინების გამო არ ყოფილა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ჰყავს მეუღლე — ლეილა ბაბუციძე და შვილები — 17 წლის სანდრო, 16 წლის თეა და 6 წლის რომანი. მუშაობდა ხეითის მეფრინველეობის ფაბრიკაში მძღოლად.

არეულობის დაწყების დღიდანვე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო ყველგან და ყველაფერში წინა ხაზზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხეობის პროდუქტებით მომარაგებაში, რის შედეგადაც დაიმსახურა ხალხის სიყვარული და დიდი ნდობა. 1990 წლის 18 მარტს მუხანათურად მოუკლეს და შემდეგ დაუწვეს 27 წლის ვაჟკაცობით და აღნაგობით გამორჩეული საყვარელი ძმა, რის შედეგადაც მართლა დაუძინებელი მტერი გახდა ოსი ექსტრემისტებისა. თავისი შეუპოვრობით და ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ მამაცური ბრძოლით ისე გაითქვა სახელი, რომ ოსმა ექსტრემისტებმა მისი თავი მილიონ მანეთად შეაფასეს. 1991 წლის ავადსახსენებელ 22 იანვარს ხეითი-ერედვის გზაზე ოსმა ექსტრემისტებმა შეიპყრეს და წაიყვანეს ქ. ცხინვალში და მოითხოვეს გამოსახსნელი თანხა — ხუთასი ათასი მანეთი და 10 ავტომატი, რაც მთელი ხეობის მოსახლეობამ ნახევარ დღეში შეაგროვა, მაგრამ ოსმა ექსტრემისტებმა მას სადისტური წამების შემდეგ მოუსწრაფეს სიცოცხლე. სამი დღე სხეულის ყველა ნაწილი დაუსახიჩრეს, ცოცხალს მკერდში გაუყარეს შანთები, მოაჭრეს ყური, ცხვირი, ხოლო შემდეგ გამოაბეს მანქანას და ათრიეს, მკერდი ჰქონდა 13 ტყვიით დაცხრილული, მუხლები და მკლავები გადატეხილი, თვალები ამოცლილი.. მიუხედავად ასეთი სადისტური წამებისა, სულიერად მაინც ვერ დასცეს, სულის ამოხდომამდე იგი ოსი ექსტრემისტების დაუძინებელი მტერი იყო.

1992 წლის 25 იანვარს დამთავრდა მისი გმირული და ვაჟკაცური სიცოცხლე. მის გვამში ოსი ექსტრემისტები იმავე თანხას ითხოვდნენ. თხუთმეტი დღის შემდეგ ცხედარი ოჯახმა დაიბრუნა, დაიბრუნა ხეობამ გმირი ვაჟკაცი, რომელიც დიდი პატივით დაკრძალა და რომლის სახელიც და ხსოვნაც [illegible] იცოცხლებს მისი სახლეულებისა და თანამებრძოლების გულში.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲔᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ

გაზეთის ტრადიციული რუბრიკა „ჩვენი დღეების ქრონიკა“ საოცრად მძიმე და ტკივილიანია...

ომს შიშჩამდგარი თვალები აქვს. ქართველის აფორიაქებულ სულს იმედიანი სიტყვა სჭირდება. აფხაზეთიდან კი ერთმანეთზე შემაშფოთებელი ცნობები მოდის...

მოდიან... მოდიან და არაფერს ერიდებიან. სიკვდილი ცელავს ქართველს თავის მიწაზე... რუსის ჯარის და მათი ტექნიკით ზურგგამაგრებულთა მიზანი ერთია — აფხაზეთი — ქართველთა ძირძველი საუფლო ჩვენივე სასაფლაოდ აქციონ.

წუხს აფხაზეთი, გოდებს სრულიად საქართველო! ამ ომში კიდევ ერთხელ იჩინა თავი ჩვენივე ჯიშში ჩაბუდებულმა გაუტანლობამ, ძმის თვალში დირეს ძიებამ, შურლმა, სიძულვილმა, უღმერთოდ აღზრდილი თაობების ვნებები ეხეთქება ერთმანეთს... ის, რაც საქართველოს შიგნით ხდება, გარეშე მტრის წისქვილზე ასხამს წყალს (არადა, რამდენი გვყოლია!).

საქართველოს ერთობა სჭირდება, ომს გონიერი და ხელებსუფთა სარდალი, ჯარს კი — სიმკაცრე და შეიარაღება. ორგანიზებულ, ერთიან სარდლობას დამორჩილებულ საქართველოს მტერი ვერ მოერევა.

მტერი პირდაპირ დგას და იცი ვინც არის! შინაურ და უხილავ მტრებს რა ეშველებათ, უდიერად რომ შლიან საქართველოს ერთიანობას? ჩვენ ის უფრო დიდ მტრად მიგვაჩნია, ახლა ბენზინს გამდიდრების მიზნით სომხეთის გზას რომ გაუყენებს. თურქეთიდან გამოგზავნილ პურის ფქვილს მეორე გზით ისევ სასპეკულაციოდ რომ გაგზავნის, ჩუმ-ჩუმად ფულს რომ შეაგროვებს და გროზნოს ხიზნებს მოახმარს, ხიდს რომ ააფეთქებს, სპილენძის მოპოვების მიზნით ტროლეიბუსის სადენებს რომ გაანადგურებს, იარაღს რომ სახლში დამალავს, სხვის სახლში ქურდად რომ შევა... მტრის ტყვიაზე მწარეა ეს ყველაფერი და კიდევ რამდენი რამ ტკივა ჭეშმარიტ ქართველს.

ღმერთო, მოგვეცი ძალა ამ გაუსაძლის დროს გავუძლოთ!

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ახსოვთ ქართველ ვაჟკაცებს ეს მშვენიერი სტრიქონები!

ფრონტის მიღმა დარჩენილ ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს კიდევ ერთი რამ: დღეს საქართველოს ხსნა არჩევნების ნორმალურად ჩატარებაშია. ლეგიტიმური ხელისუფლება ყველა გზას გამონახავს ოკუპანტების გასაძევებლად.

მაშ ერთი ჩვენი ცნობილი მწერლის თქმისა არ იყოს —

ჭკუით, ქართველებო!

გაზ. ერი", 6—13 ოქტომბერი, 1992 წ.

ბიძინა ხაბარელი

დაიბადა 1966 წლის 10 ოქტომბერს. ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო აჩაბეთში. სკოლის დამთავრების შემდეგ, ძუშაობა დაიწყო სოფლის კოლმეურნეობაში. 1985 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. რომლის დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

სამაჩაბლოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების დღიდან აქტიურად მონაწილეობდა ყველა ბრძოლაში.

მაგრამ ავბედითი გამოდგა მისთვის 1992 წლის 23 სექტემბერი: თავისივე სოფელში გამოასალმეს სიცოცხლეს ოსმა ექსტრემისტებმა, უღვთოდ დაცხრილეს და კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირეს, კიდევ ერთი შვილი მოუკლეს საქართველოს.

სოფელმა გულწრფელად დაიტირა ლამაზი ვაჟკაცი, მისი ხსოვნა მარად დარჩება თანასოფლელებისა და მეგობრების გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურა ხაბარელი

დაიბადა 1964 წლის 4 ივნისს, ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო აჩაბეთში. 1980 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს წავიდა საავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყო ძუშაობა სოფელ ხეითის მეფრინველეობის ფაბრიკაში მძღოლად. ჰყავს მეუღლე — ირმა ოთინაშვილი, და ტყუპი ქალ-ვაჟი — ალიკა და ანუკა, დაბადებულნი 1987 წელს. ეროვნული მოძრაობის დროს აქტიურად ჩაება ბრძოლაში ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ. იყო შეუპოვარი და უშიშარი მებრძოლი, რის გამოც ოსმა ექსტრემისტებმა დაუწყეს დევნა და დაწყევლილ 1990 წლის 18 მარტს ხეითი-ერედვის გზაზე მუხანათურად ჩასაფრებულმა ოსმა ექსტრემისტებმა ჯერ ტყვიით დაცხრილეს, შემდეგ ბენზინი დაასხეს და დაწვეს 27 წლის ჭაბერი ვაჟკაცი. ასეთი არის ბიოგრაფია ზურა ხაბარელისა, რომლის სახელი უკვდავად დარჩება ჩვენს გულებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გურამ ხადური

ზემდეგი გურამ აბრამის ძე ხადური დაიბადა 1963 წლის 6 მარტს ქ. ცხინვალში.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1991 წლის 12 დეკემბრიდან. ცხინვალის ბატალიონში დაიღუპა 1992 წლის 26 ნოემბერს, კოჩარასთან.

სიმონა ხადური

ტირილითა და ვოდებით შეეგებებიან საცოდავი, შენი მშობლები, დედმამიშვილები და ახლობლები 16 ივნისს, კვლავ გაგიშლიან საიუბილეო მაგიდას, ოღონდ სახლში კი არა... შენს საფლავზე, კვლავ მოიწვევენ შენს მეგობარ-

ამხანაგებს და ცრემლი იწვიმებს შენს სადღეგრძელოდ ავსებულ ჭიქებში, უამრავი ცხელი ცრემლი დაგეყრება მაგ ნორჩ გულზე.

დრო არ გაჩერდება, მოვა 16 ივნისი, შენი დაბადების დღე. [illegible] ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი ასაკი — 25 წელი, ოცნებებისა [illegible] სურვილებისა და ნატვრის ყველაზე სასიამოვნო თარიღი.

ტკივილისა და სიამაყის დიდი გრძნობით გილოცავთ დაბადებიდან 25 წელს, შევყურებთ შენს საფლავზე აყუდებული შავი მარმარილოს სვეტს, საიდანაც შენი მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი სურათი შემოგვცქერის. შევყურებთ და ვგრძნობთ, რომ სამშობლოს სიყვარულით ანთებული და ჭაბუკური მგზნებარებით აბრიალებული შენი დიდი გული უსიტყვოდ მიგვიხვდება, რისი თქმაც გვინდა.

გჯეროდეს, სიმონ, რომ ის დიდი ეროვნული საქმე, რომლის უშუალო და აქტიური მონაწილე შენც იყავი და რასაც შეეწირე, დღეს იქნება თუ ხვალ, კეთილად დაგვირგვინდება. მტერსაც გავუხეთქეთ გული და შევყვირეთ, რომ თუმცა სიმონი მოკალით, მერაბი მოკალით, დინორი მოკალით და, ვინ იცის, კიდევ რამდენი, მაგრამ იცოდეთ რომ არც სიმონით იწყება საქართველო და არც მერაბით მთავრდება, ან დინორით.

გაჩნდებიან და დაიზრდებიან ბევრი სიმონები, მერაბები, დინორები საქართველოში და გოჯ მიწას არავის დაანებებენ.

გაჩნდებიან და დაიზრდებიან ბევრი სიმონები, მერაბები, დინორები. სიამოვნების გრძნობა მაინც გვეუფლება, ვიცით, რომ შენ მამულისათვის შეწირული ზვარაკი ხარ, სამშობლოსათვის დანთებული სანთელი ხარ, რომელსაც ზეციურ საქართველოში უდევს ბინა და ამით ვმშვიდდებით.

შიდაქართლელები

გაზ. „შიდა ქართლი“,

13 ივნისი, 1992 წ.

* * *

...ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად...
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, —
ჯერ ისევა ვარ ფხიანად.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ (გიორგი) ხაჭომია

დაიბადა თბილისში, 1971 წლის 31 ოქტომბერს. 1974 წლიდან იზრდებოდა დედის — ლია ხუბულურის შშობლებთან გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში. 8 კლასი იქვე დაამთავრა, საშუალო სკოლა და პროფესიული ტექნიკუმი — თბილისში. ის მუდამ დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მასწავლებლებსა და ამხანაგებს შორის.

1992 წლის 29 მაისს მოხალისედ წავიდა შავნაბადას მოხალისეებთან ერთად სამშობლოს დასაცავად.

მისი მოკლე, სიკეთით სავსე, ღირსეული ცხოვრება 1992 წლის 13 ივლისს სამაჩაბლოში, ცხინვალის ახლოს ერთ-ერთი შეტაკების დროს დასრულდა.

მალხაზ ხაჭომია დაკრძალულია სოფელ გამარჯვების სასაფლაოზე. შავნაბადას გვარდიამ თავისი თანამებრძოლი სამხედრო პატივით დაკრძალა.

დარჩა ერთი ძმა და დედა.

სამარადისო იყოს მალხაზ ხაჭომიას ხსოვნა!

მ ალხაზ ხაჭომია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **მხედრული მამაცობისათვის“.**

ვანო ხარაშვილი

დაიბადა 1971 წლის 5 მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში. 1977 წელს შევიდა ვაქირის საშუალო სკოლაში. 1989 წელს დაამთავრა რვა კლასი და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში პროგრამული მართვის ჩარხების დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალობით. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1991 წელს სწავლა განაგრძო წნორის საშუალო სკოლაში, ხოლო, აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს მუშაობა დაიწყო ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მძღოლად. 1992 წლის 21 მაისს გაიწვიეს გვარდიაში. და მსახურობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ნაწილში, საიდანაც 3 ივნისს წაიყვანეს სამაჩაბლოში და დაიღუპა 1992 წლის 4 ივნისს სოფ. ეგრისში.

ღმერთმა აცხონოს!

გიორგი ხახუტაშვილი

დაბადებული 1961 წლის 6 მაისს, უპარტიო, ცოლშვილიანი, 1992 წლის 24 აპრილიდან 11 მაისამდე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის გორის ს/ნ № 55063-ში დაზვერვის უფროსად.

სამსახურის პერიოდში ოფიცერმა გიორგი ხახუტაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა, თავისი საქმის ერთგულმა ოფიცერმა, ზედმიწევნით კარგად ასრულებდა მეთაურის განკარგულებებს და ბრძანებებს. ბატალიონის ოფიცრებსა და გვარდიელებს შორის სარგებლობდა ავტორიტეტით.

ოფიცერი გ. ნ. ხახუტაშვილი გორის ს/ნ 55063-ში მოსვლის დღიდან აქტიურად მონაწილეობდა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე განლაგებული ქართული სოფლების ოსი ექსტრემისტებისაგან დაცვაში, სადაც დაიღუპა 1992 წლის 11 მაისს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ხეცურიანი

დაიბადა 1957 წლის 9 მაისს ქალაქ ქუთაისში. 1974 წელს დაამთავრა ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლა. ერთი წლის შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1977 წელს, ჯარიდან ჩამოსვლისთანავე მუშაობა დაიწყო ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მძღოლად, სადაც ორი წელი დაჰყო. 1979 წლიდან მუშაობა განაგრძო ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში, სადაც 1982 წლამდე იმუშავა.

1983 წლიდან მეუღლესა და ორ შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ალექსანდრიაში, სადაც ექსპედიტორად მუშაობდა ხორცკომბინატში. გაიგო თუ არა, რომ საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრებოდა, უყოყმანოდ ჩადგა მისი ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში. იბრძოდა გაგრაში, სადაც დაიჭრა, მაგრამ არ შემდრკალა. შემდეგ ბრძოლა განაგრძო ოჩამჩირეში, სადაც დაიღუპა 1992 წლის 12 ნოემბერს.

თეიმურაზ ხეცურიანი, ცხოვრებაში უკვე ბევრისმნახველი, მრავალჭირგადანახადი ვაჟკაცი, პირადი მაგალითით უჩვენებდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა, როგორ უნდა იშრომოს ღირსეულმა მამულიშვილმა და მოქალაქემ მშვიდობიანობისას და როგორ უნდა იბრძოლოს მან ცეცხლის ხაზზე, როცა მის სამშობლოს უჭირს.

მადლიერი სამშობლო ამას არასოდეს დაუვიწყებს თავის სასახელო შვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხვედელიანი

დავით ხვედელიანი დაიბადა 1965 წლის 16 იანვარს თბილისში. სწავლობდა მე-4 საშუალო სკოლაში. გატაცებული იყო სპორტით. 1978–79 წლებში იყო საქართველოს ნაკრების წევრი ხელბურთში.

სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხარატად. 1990 წელს დაოჯახდა, შეეძინათ ვაჟი. 1993 წლის 13 ივლისს გაწვეული იყო „საჯარისო ბატალიონში". დაიღუპა 19 ივლისს სოხუმში, სოფელ შრომასთან საბრძოლო მოქმედების დროს. დარჩა შვილი – 3 წლის ირაკლი.

* * *

დაეცი, შენი მზე დაგნათის...
ნამიც ხომ იარებს გისველებს,
სისხლიან მაჯაზე საათი
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, –
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სიცოცხლე ჩვენია,
ჩვენია სამშობლო, კაპიტან!
...დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
გენია სამშობლოს სიცოცხლის,
რომ ჟამი გმირობის დღისთანა
არ არის სხვა, ენით უთქმელი...

ალექსანდრე საჯაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი ხვედელიძე

ბადრი ლევანის ძე ხვედელიძე დაიბადა 1954 წლის 25 მაისს ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში. სწავლობდა ქუთაისის საქონელმცოდნეობის ვეტერობის ტექნიკუმში. პარალელურად მისდევდა სპორტს, კერძოდ ძიუდოს. მიღებული ჰქონდა პრიზები, 1972 წელს ისევ დაბრუნდა ჭიათურაში და მუშაობდა რაიკავშირის მომარაგების საწყობში, სპორტთან კავშირი არ გაუწყვეტია, ჰქონდა თანრიგი და ავარჯიშებდა ბავშვებს.

1980 წლიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში. მუშაობა გააგრძელა ამიერკავკასიის სამშენებლო ტრესტში.

1992 წლიდან იბრძოდა სოხუმის დასაცავად, სოხუმის ბაგრატიონის სახელობის ბატალიონში. 1993 წლის 17 იანვარს კი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოურთან იყო, სადაც ტყვედ ჩავარდა თანამებრძოლებთან ერთად.

1993 წლის 5 თებერვალს გამოიყვანეს შვიდ მებრძოლთან ერთად. დალუპულები არაადამიანურად იყვნენ ნაწამები და ნატანჯნი.

დარჩა ცოლი და სამი შვილი.

ბადრი ხვედელიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერ ხვედელიძე

დაიბადა თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის 29-ე საშუალო სკოლა და მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1992 წელს დაამთავრა და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

1985-1987 წლებში იმყოფებოდა საძხედრო სამსახურში, სამშენებლო ბატალიონში, მსახურობდა დასავლეთ უკრაინაში.

1987-1989 წლებში მუშაობდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასა და გაერთიანება „ელექტროაპარატში" ზეინკლად.

1993 წელს გაიწვიეს შავნაბადას ბატალიონში სამხედრო შეკრებაზე.

შავნაბადას ბატალიონის დაზვერვის უფროსი ოფიცერი, ლეიტენანტი კახაბერ ბეჟანის ძე ხვედელიძე 1993 წლის 2 ივლისს დაიღუპა ტამიშთან ბრძოლაში.

კახაბერ ხვედელიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით **„მხედრული მამაცობისათვის"**.

* * *

მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

ი ლ ი ა

კობა ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა ვარდენის ძე ხვედელიძე დაიბადა 1971 წლის 11 იანვარს ქ. ფოთში. გაიზარდა ახალციხის რაიონის სოფ. აწყურში.

მამა-ვარდენ გრიგოლის ძე ხვედელიძე პროფესიით აგრონომია, დედა — მარიამ ალექსის ასული გელაშვილი გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებელია.

1987 წელს დაამთავრა აწყურის საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა ახალციხის სამედიცინო სასწავლებელში. აღნიშნული სასწავლებელი ასევე სანიმუშოდ დაამთავრა 1989 წელს. მისი ოცნება, რომ ესწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ოცნებადვე დარჩა, — მაშინვე გაიწვიეს საბჭოთა ჯარში, მსახურობდა ლენინგრადის სამხედრო ოლქში ბატალიონის ფერშლად. სერჟანტის ჩინით. ჯარიდან დაბრუნდა 1991 წლის გაზაფხულზე. მუშაობა დაიწყო ეროვნული გვარდიის ახალციხის მე-9 ბატალიონში. (ბატალიონის უფროსი გივი ფარადაშვილი). მუშაობდა ბატალიონის ფერშლად ზემდეგის ჩინით. აღნიშნულ ბატალიონში მსახურობდა ოთხი თვე. ამ პერიოდში მოუხდა ყოფნა რკონის ტყეში, შემდეგ კი შავნაბადაზე.

1991 წლის სექტემბერში მშობლების რჩევით შევიდა თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ ინსტიტუტში — მცირე აკადემიაში. სწავლობდა ვაჭრობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე. მშობლებმა არ ვიცოდით, ისე შესულა ისევ ეროვნულ გვარდიაში. მუშაობდა თბილისის 28-ე ბატალიონში (ბატალიონის უფროსი გელა რუსიშვილი) — ფერშალ-ფარმაცევტის თანამდებობაზე. დღე მუშაობდა, საღამოს სწავლობდა, — ორივეს ასწრებდა, ორივეგან სანიმუშო და მისაბაძი იყო. მე — მისი დედა თბილისიდან ფრთებშესხმული ვბრუნდებოდი ხოლმე, რადგან, როცა ინსტიტუტში მივიდოდი, მეუბნებოდნენ: ასეთი ზრდილი, განათლებული, კეთილი და ინტერესიანი სტუდენტი არ გვყავსო და გვარდიაში მისმა უფროსმა გვითხრა — კობასნაირი კარგი ახალგაზრდა არ მყოლია და, ალბათ, არც არასოდეს მეყოლება, ასეთები იშვიათად იბადებიანო.

თავდავიწყებით უყვარდა საქართველო და ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული მისი მომავლისადმი. „ნუ გეშინა, დედა, რაც საქართველოში ხდება, ყველაფერი დროებითია. სულ მალე საქართველოსნაირი ქვეყანა ევროპაში არ იქნებაო“, მაიმედებდა. უაღრესად მომთხოვნი იყო თავის თავისადმი, მოკრძალებული სხვებისადმი. ტყვიის ცეცხლიდან გამოჰყავდა დაჭრილები და დაღუპულები, სამაჩაბლოში. თვითონაც ბეწვზე გადარჩა მაშინ. შუბლზე გვერდიდან გაჰკრა ტყვიამ. ოთხი ნაკერი ჰქონდა. მე კი დამიმალა — არ ინერვიულოსო. რკინის მაგიდის კუთხეს ჩამოვკარიო, მითხრა. ისევ შენახული მაქვს ტყვიით გაგლეჯილი მისი ფეხსაცმელი. ექიმის დონეზე ასრულებდა სამედიცინო დახმარებას, გარეგან ოპერაციებსაც კი. ეამაყებოდა სხვებს რომ ეხმარებოდა. გვარდიაში რომ ვარ, მაშინ ვგრძნობ, რომ რაღაცას წარმოვადგენ, ვი-

რომ მუშაობდა, პრაქტიკას ვლებულობო, ამბობდა: ათი ინსტიტუტი რომ დავამთავრო, ბოლოს მაინც სამედიცინო ინსტიტუტი უნდა დავამთავროო, ქირურგობაზე ოცნებობდა. სავაჭრო ეკონომიკურზე მშობლების ხათრით შევიდა, მაგრამ მაინც კარგად სწავლობდა. პატარაობიდანვე შეყვარებული იყო წიგნებზე. სულ იცნობდა მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებებს, ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას. ყველა დარგში ერკვეოდა, ყველაფერი აინტერესებდა, ვერაფერში ჩაჭრიდი. საიდან იცი ამდენი რამეო, ეტყოდნენ ხოლმე.

კობა იყო ჩვენი ოჯახის ბურჯიც, ჩვენი კერპი, ყველა ჩვენგანის დამრიგებელი, უაღრესად მოსიყვარულე, დამხმარე, იმედი და ნუგეში, ოჯახში ყველა საქმის ინიციატორი და უშუალო მონაწილე. მეტყოდა-ხოლმე; ოღონდ საშუალო დაამთავრებინე ჩემს ძმებს, მერე მე მივხედავ, მე დავაყენებ ცხოვრების გზაზეო.

თავისი ჭკუა-გონებით, ჰუმანურობით, თავმდაბლობითა და კაცთმოყვარეობით, უცბად პოულობდა ყველასთან საერთო ენას, ამიტომ ყველას გამორჩევით უყვარდა სკოლაში, ტექნიკუმში, ჯარში, გვარდიაში, ინსტიტუტში და ნათესავებში. ყველგან გამოირჩეოდა თავისი ნაღდი და უხინჯო ურთიერთობით. ყველას სასურველი სტუმარი იყო, რადგან ყველასთან სიყვარულსა და სიკეთეს თესდა.

ყველგან რჩეული და საამაყო ჩემი შვილი სიკვდილმაც გამოარჩია. ტყვიის ცეცხლში გამოვლილი. 1992 წლის 11 მაისს საგანგებო დავალებით მიმავალი ჯავშან-ტრანსპორტიორი გზაზე გადაიჩეხა. ცხრა გვარდიელიდან ორი დაიღუპა — აწყურელი კობა ხვედელიძე და თბილისელი გელა ლიჩელი.

თითქოს წამიერად გაიელვა კობას 21 წლის სიცოცხლემ. მე მაინც ვამაყობ იმით, რომ ჩემი მკვდარი შვილი ბევრ ცოცხალს სჯობია, რომ სამშობლოს შეწირული მისი ლამაზი სიცოცხლე ლამპრად ენთებათ მის ძმებს ცხოვრების გზაზე, და რომ მის სახელსა და გვარს დავიწყება არ უწერია, რადგან მას ატარებს მისი მშობლიური აწყურის საშუალო სკოლა.

მარია გელაშვილი
კობა ხვედელიძის დედა

* * *

ხმალმა თქვა ვახტანგისამ:
ბევრი მინახამს ომია,
ათასი შუბი და ხმალი
ბევრჯერ პირისპირ მდგომია,
მაგრამ არც ერთხელ ჩემს პატრონს
უკან არ დაუხვევია:
დაუკრამს — რკინის პერანგი
გამიკვეთ-დამიხევია.

(ხალხური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან ხიდაშელი

მირიან ზაურის ძე ხიდაშელი დაიბადა 1969 წლის 18 მარტს ქ. ჭიათურაში, მოსამსახურის ოჯახში. დედა: მზია გრიგოლის ასული ბერიძე — პედაგოგი. მამა: ზაურ გრიგოლის ძე ხიდაშელი — მოსამსახურე.

1986 წელს დაამთავრა ქ. ჭიათურის მე-8 საშუალო სკოლა.

1987—1989 წლებში მოიხადა სამხედრო ვალდებულება.

1990 წლიდან სწავლა გააგრძელა ქ. ქუთაისის ტექსიკურ უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. იყო მე-3 კურსის სტუდენტი.

1992 წლიდან იყო ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის გვარდიის მებრძოლი. იბრძოდა ქ. ცხინვალში, შემდეგ კი ქ. სოხუმში.

1992 წლის 15 სექტემბერს ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაეცა სოფელ ცაგერაში, სოხუმის მახლობლად.

ოჯახში დარჩა დამწუხრებული მშობლები და უფროსი ძმა.

მარადი იყოს ღირსეული მამულიშვილის — მირიან ხიდაშელის ხსოვნა!

მირიან ხიდაშელი

მირიან ხიდაშელის მამიდამ ჩვენთან საუბრისას სული ვერ მოითქვა. ტირილისგან გულშეწუხებულმა ძმისშვილზე მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, ქალაქისა და რაიონის სათვალო და გამორჩეული შვილი იყო...

ქალბატონი ნანი მართალი გახლდათ.

1969 წლის 18 მარტს ჭიათურაში, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა მირიან ხიდაშელი. არ გაცუდებიათ შვილებზე — მირიანსა და კახაზე ზრუნვა და ამაგი მშობლებს ქალბატონ მზიასა და ბატონ ზაურის. ოჯახი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა სიყვარული და სითბო დაეთესა ახლობლებში და სწორი აღზრდით ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინათ შვილები.

სულ პატარა მირიანი ჯერ კიდევ ქალაქ ჭიათურის მე-8 საშუალო სკოლაში სწავლისას გამოირჩეოდა მასზე მინდობილ საქმესთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, პასუხისმგებლობით, გონებამახვილობითა და გამჭრიგონებლის ნიჭით, ბავშვურ გატაცებად რომ უთვლიდნენ უფროსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ გაირბინა სწავლით დატვირთულმა სკოლის წლებმა. ყმაწვილმა ნიჟნიკამსკში საბჭოთა არმიის სავალდებულო-საშხედრო სამსახურის შემდეგ 1990 წელს ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ზოგადტექნიკურ ფაკულტეტზე (მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია) ბრწყინვალედ დაიჭირა მისაღები გამოცდები.

მეოთხე კურსის ნიჭიერმა სტუდენტმა საქართველოს ცარგვალზე დატრიალებული ბედუკულმართობის გამო ირჩია პირნათლად მოეხადა სამშობლოს წინაშე ვალი და დაუსწრებელ განყოფილებაზე გადავიდა. მოკლე, მაგრამ საბრძოლო დიდებით მოსილი იყო მისი განვლილი გზა: ცხინვალი, ოჩამჩირე, ცაგერა, სოფელი ტამიში. აქ, ტამიშის ხიდის აფეთქებისას შეწყდა სიცოცხლე ახალგაზრდა მეომრისა, მძიმეწონიანი ხელის ტყვიამფრქვევით რომ ებრძოდა მტერს. მისი გმირობის მომსწრე თანამებრძოლები და სოფლის მკვიდრნი მაღლიერებით იხსენიებენ უბოროტო, სათნო, კეთილშობილ ახალგაზრდას.

ველარ შეასხამს ფრთებს მის ოცნებას — ახალი ტიპის იარაღის გამოგონებას მისი განუყრელი მეგობარი, თანამოაზრე და პროექტის თანაავტორი ზურაბ აბაშიძე, რადგან ისიც მამაცურად დაეცა ბრძოლის ველზე მტერთან ბრძოლაში.

მირიან კალანდარიშვილი

* * *

...მამულის დამხსნელს, — ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.
...მაშ, მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.

ილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონდო ხიფთანი

სვანური ზარით არ გაუცილებიათ ჯონდო ხიფთანი მარადიულ საუფლოში, იგი ტყვიების ზუზუნში დაეცა გაგრაში, სოფელ კოლხიდასთან.

ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა. დაამთავრა ქ. სოხუმში ინდუსტრიული ტექნიკუმი, ჰყავდა მეუღლე და ორი გოგონა, მაგრამ ადამიანის სული [illegible]შინ გამოვლინდება მთელი სისრულით, როცა ის სამშობლოს ჭირდება.

ომის პირველი დღეებიდანვე აიღო ჯონდო ხიფთანმა იარაღი და მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა. იმ საბედისწერო დღეს, 29 აგვისტოს, სადაზვერვო ოპერაციის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება ისურვა. სვანეთში გაზრდილ ვაჟკაცზე უფრო ვის ემარჯვებოდა უცნობი ბილიკებისა და სათვალთვალოების მიკვლევა. დავალება წარმატებით შეასრულა, მაგრამ თანამებრძოლებთან დაბრუნება აღარ ეწერა. სოფელ კოლხიდასთან შეჩერდა მისი გულისცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ხორბალაძე

მერაბ ხორბალაძე საქართველოს ძირძველ მიწაზე — აფხაზეთში, სოხუმის მისადგომებთან დაეცა ვაჟკაცურად. მშობელი მიწის მოცილენი არასდროს არ დაგვლევია, არადა, ღვთის მადლით, არც მერაბისნაირი ვაჟკაცები გვყოლია ცოტა.

დაიბადა გორში 1965 წლის 28 მარტს. დაამთავრა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლა. სწავლობდა ქარელის 155-ე ტექნიკურ სასწავლებელში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა ბალტიისპირეთის რეგიონში. მუშაობდა გორის ხელსაწყოების ქარხანაში, შემდეგ კი საბინაო სამმართველოში. იმ მძიმე დღეებში, როცა საქართველოს უჭირდა სხვადასხვა სეპარატისტულ ძალებთან ბრძოლა, როცა არ ჰყავდა რეგულარული არმია და იქმნებოდა სხვადასხვა სამხედრო ფორმირებები, მერაბი ქართველ შევარდენთა ლეგიონში ჩაირიცხა და თავისი საბრძოლო ვალიც, როგორც დაზვერვის უფროსმა, პირნათლად მოიხადა. იმ პერიოდში, როცა ყალიბდებოდა ერთიანი საჯარისო ფორმირება, მერაბი თავის მეგობრებთან ერთად შევიდა გვარდიის გორის მე-11 ბატალიონში. და იბრძოდა სამაჩაბლოში, ცხინვალის რეგიონში. მონაწილეობას იღებდა განათში, ფრისში, ერგნეთში, მამისაანთუბანში გამართულ ბრძოლებში. ამ ტერიტორიაზე სამშვიდობო ჯარების შეყვანის შემდეგ გორის დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ ბიჭები ჭრილობების მოსაშუშებლად, მაგრამ ახლა აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა მკვლელებმა წამოყვეს თავი და აგორდა ახალი ტალღა თავდადებისა და ვაჟკაცობისა... 1992 წლის 8 სექტემბერს შეწყდა მისი ლამაზი სიცოცხლე და ეს პატარა ბიოგრაფია ერთ დიდ გულისმომკვლელ წუხილში ჩაეტია, იმ წუხილში, რომელიც ასე მოუმრავლდათ შაოსან დედებს. მერაბისნაირი ამაყი, კეთილი, გულმართალი, პატიოსანი ბიჭები მარტო ახლობლებს და მეგობრებს კი არა, სრულიად საქართველოს უკვდებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხორგუანი

მირონ გივის ძე ხორგუანი დაიბადა მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში 1963 წელს 3 ნოემბერს. სკოლაში შევიდა 1970 წელს და დაამთავრა 1980 წელს. 1981-82 წლებში მიიღო საშუალო ტექნიკური განათლება. 1982 წელს წავიდა სამხედრო სამსახურის მოსახდელად და დაბრუნდა 1984 წელს. ამავე წელს შექმნა ოჯახი.

1987 წელს მესტიის რაიონში დატრიალებული ეტნიკური უბედურების შედეგად იძულებული იყო ჩასახლებულიყო მარნეულის რაიონის სოფელ სიონში. 1992 წელს შევიდა გვარდიის რიგებში და თავისი წვლილი შეიტანა ოსეთში მიმდინარე ეთნოკონფლიქტების ორგანიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აფხაზეთში იმყოფებოდა ომის დაწყების დღიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე. მოკლეს ქ. გაგრაში, სოფელ კოლხიდასთან აფხაზმა სეპარატისტებმა.

დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

* * *

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორძნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს,
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ხუციშვილი

ალექსი ლევანის ძე ხუციშვილი, დაბადებული 1940 წლის 5 თებერვალს ლენინგორის რაიონის სოფელ ზოდეხში, განათლება — სამხედრო სპეციალური ცოლ-შვილიანი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამუშაოებზე, 1960-63 წლებში მოიხადა საბალდებულო სამხედრო სამსახური, იმავე პერიოდში დაამთავრა ორწლიანი პარტიული-სამხედრო სასწავლებელი, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ჰქონდა თადარიგის ლეიტენანტის წოდება.

1968 წელს ალექსი გაიწვიეს სამსახურში როგორც კადრის ოფიცერი, 1971 წელს დაამთავრა ნოვოჩერკასკის სამხედრო სასწავლებელი. 1980 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, კერძოდ, ახალციხეში, ახალქალაქში. 1980-84 წწ. მუშაობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შემდეგ გაიგზავნა ვლადიკავკაზში 1986 წლამდე. 1986 წელს პენსიაზე გავიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესუსტების გამო, სადაც ცხოვრობდა მეუღლესთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად. როცა ქართულ-ოსური კონფლიქტი დაიწყო, ბატონ ალექსის გულმა აღარ მოუთმინა, საცხოვრებლად ოჯახთან ერთად გადმოვიდა თბილისში და მიაკითხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, როგორც სამხედრო სპეციალისტმა. მიუხედავად თავის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ბატონი ალექსი მე-11 მექანიზებული ბრიგადის ბატალიონ „ავაზას“ შტაბის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. არაერთხელ მიიღო მონაწილეობა აფხაზეთში, საქართველოს მიწის დასაცავად ბრძოლაში. 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან ვაჟკაცურად დაეცა ჩვენი „პაპა“, როგორც მას ავაზელები ეძახდნენ.

ბატონი ალექსი დასაფლავებულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის „ძმაოა სასაფლაოზე“.

სიკვდილის შემდეგ ალექსი ხუციშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემდეგი ნარკვევა [illegible]



იმედი ხუციშვილი

რიგითი იმედ ლონგინოზის ძე ხუციშვილი. დაბადებულია 1971 წლის 18 ივნისს ქ. თბილისში.

მსახურობდა საპატრულო პოლკში.

დაილუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. ცხინვალში.

ჩიხი

ბატონი ედუარდ შევარდნაძე პრესკონფერენციაზე აცხადებს: ჩიხში მოვექეცი. ცეცხლის ალშია გახვეული აფხაზეთი, ბობოქრობს მთელი საქართველო, რომელიც თითქმის ორასი წელი ებრძოდა იმპერიათა შორის ყველაზე დაუნდობელ იმპერიას და თითქოს დადგა ნანატრი თავისუფლების ჟამი. ამ დროს სახელმწიფოს მეთაური ასეთ შემაძრწუნებელ ფრაზას ამბობს!

რა არის ეს? ნუთუ საქართველო მართლაც ისეთ დღეშია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი გამოსავალს ვერ ხედავს? ჩვენ ვიცით, რომ არასდროს მოხვედრილა იგი ჩიხში, მაშინაც კი, როცა მსოფლიო მასშტაბის გლობალურ საკითხებს წყვეტდა. როგორც ეტყობა, დღევანდელი პრობლემა, რომელიც თითქოს რამდენიმე ათეული ათასი აფხაზისა და რამდენიმე მილიონი ქართველის ურთიერთობას ეხება, მართლაც ერთი რგოლია, ერთი კვესია, რომელმაც შეიძლება უზარმაზარი, მსოფლიო მასშტაბის აფეთქება გამოიწვიოს.

სიძულვილი ბრმაა. სიძულვილმა შეიძლება ისეთი ნაბიჯი გადაგადგმევინოს, საკუთარი თავიც წააგო. ასეთ დღეშია რუსეთი. იგი ვერ შეგუებია მიუჩვეველ როლს: სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს საკუთარ ნებას უკარნახებდა, დღეს კი კარგავს უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს ამიერკავკასიაში [illegible] ვის, რომ ეს შეინარჩუნოს, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომლებმაც შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაც დააკარგვინოს.

სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ. რუსეთმა აშკარა საინფორმაციო ომი გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც არაფრით განსხვავდება კომუნისტური იდეოლოგიური ომისაგან „ამერიკელი იმპერიალისტების" წინააღმდეგ. „ცივი ომის" მთავარი სამიზნე დღეს საქართველოა. მაგრამ ეს „ცივი ომი" ისევე მარაგდება ცხელი იარაღით, რუსული იარაღით, როგორც თავის დროზე კუბა, ვიეტნამი თუ ერაყი. უფრო მეტიც: მარაგდება არა მხოლოდ სამ-ხედრო სპეციალისტებით და უახლოესი ტექნიკით, არამედ ცოცხალი ძალითაც — რუსეთის მოქალაქეებით. აფხაზ სეპარატისტთა თუ მთიელთა კონფედერაციის დაქირავებული რაზმების უშუალო თანაშემწენი არიან აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ნაწილები, საზღვაო და საჰაერო ფლოტი. „სამშვიდობო მისიით" ჩამობრძანებული ჩინოვნიკები მხოლოდ შირმის როლს ასრულებენ და 3 სექტემბრის ხელშეკრულების დარღვევაზე მხრებს იჩეჩავენ — ამის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ გავარკვევთო.

დავუბრუნდეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმულ შემაძრწუნებელ ფრაზას ჩიხში მოხვედრის შესახებ. დღეს ყველამ ვიცით, თუ ვინ იყო ახალი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი კონსტრუქტორი. ვინ შეძლო მიხეილ გორბაჩოვის გამოყენება ავღანეთის ომის შეწყვეტის, ბერლინის კედლის დარღვევის, ცივი ომის შეწყვეტის, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლების და საბჭოთა იმპერიის დაშლის საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, განაპირობა უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურმა ძლიერებამ და რეიგანისა და შემდეგ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკურმა ძალისხმევამ, მაგრამ არაფერი გამოვიდოდა, გორბაჩოვი იმპერიული, კომუნისტური ძალების ტყვეობაში ბოლომდე რომ აღმოჩენილიყო, რაც მის მდგომარეობაში სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. მიხეილ გორბაჩოვი მოქმედებდა თავისი ბუნების წინააღმდეგ, აკეთებდა მას, რაც მისი წყობის ადამიანს არ უნდა გაეკეთებინა. აკეთებდა იძულებით, და ამით იყო გამოწვეული მისი მერყეობა მარჯვნიდან მარცხნივ, და არა რაღაც განსაკუთრებული, კომპრომისული დიპლომატიური ნიჭით. გორბაჩოვი რომ ახლაც მტკიცე ლენინელია, ლიგაჩოვისაგან ბევრად რომ არ განსხვავდება, დღეს, როცა დიდი პოლიტიკიდან წავიდა სავსებით აშკარაა: იგი ახლაც იმპერიას და „დიდი ოქტომბრის" მონაპოვარს მისტირის.

მაშ, რა იყოს ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გორბაჩოვის ავტორიტეტს ეფარებოდა, მისი საშუალებით აკავებდა საბჭოთა იმპერიულ ძალებს და აკეთებდა იმას, რაც სურდა დასავლეთს? ეს ძალა იყო ედუარდ შევარდნაძე! შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს პოლიტიკოსები ამას კარგად ხედავენ, შემთხვევითი მხოლოდ ის არის, რომ ამას ვერ ხედავენ ქართველები!

ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდ პოლიტიკაში მოსვლით დაიწყო მსოფლიო დიპლომატიის ახალი ერა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიპლომატიის ჰუმანიზაციის ერა, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრება. რა თქმა უნდა, ასეთი პრინციპების დამკვიდრება მხოლოდ მას არ მიეწერება, ერთდროულად მოქმედებდა პოლიტიკოსების შესანიშნავი პლეადა: ბუში, ბეიკერი, ტეტჩერი, კოლი, გენშერი, მიტერანი, დიუმა და სხვები. ისინი, რა თქმა უნდა, ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ და ამ ზემოქმედებაში დიდი იყო საბჭოთა იმპერიის ისტორიაში პირველად ღიმილისა და თბილი ადამიანური ურთიერთობის უნარის მქონე საგარეო საქმეთა მინისტრის როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომატიის ისტორიაში მოვიდა ხანა, როცა სიტყვას ფასი დაედო, მოვიდა ხანა არა მოტყუების, არამედ დარწმუნებისა. ახალი დიპლომატიის ერთი უბრწყინვალესი დიდოსტატი გახლავთ ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

და მაინც ჩიხი?

ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი დიდად წაადგა საქართველოს. იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა სახელმწიფომ ცნო საქართველო და ბევრმა უკვე დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომ საქართველო გახდა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის — გაეროსი, ჩვენ სწორედ მის დიდ ავტორიტეტს უნდა ვუმადლოდეთ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამის გარდა მრავალი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის ხელისუფლების მიერ ორგზის ოფიციალურად აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა, რომლის უარყოფა რუსეთს ამიერიდან მხოლოდ მსოფლიოსთან დაპირისპირების ფასად შეუძლია.

და მაინც ჩიხი?

ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზეთში გაჩაღებულ ომში, ჩიხში იმიტომ კი არ მოვექეცით, რომ რაიმე პოლიტიკური შეცდომა დავუშვით.

ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც გადადგა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, სწორი იყო, ითვალისწინებდა თანამედროვე მსოფლიო დიპლომატიის დონეს. მაგრამ არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ არც დღევანდელი რუსეთი, არც მისი ნაწილი — მთიელ ხალხთა კონფედერაცია, არც აფხაზი ექსტრემისტები, არც მათი კოლეგები — ქართველი „ზვიადისტები", თვით ხიზანი ექსტპრეზიდენტის და მისი მასპინძლის ჩათვლით, ამ დონეზე არ დგანან. გამსახურდიას, არძინბას, დუდაევის, შანიბოვის, რუსეთის პარლამენტის დიპლომატიის დონე არ ვასცილებია მონღოლი ნოინების, ხაზარების თუ ყივჩაღების აზროვნების დონეს, ვინც ღონიერია, ის არის მართალი! ამ ნახევრად ველური პოლიტიკოსების იარაღად დღემდე რჩება სიცრუე, სიტყვის გატეხა, მუხანათობა და თვალთმაქცობა.

ამიტომ შეიქმნა ჩიხი! ედუარდ შევარდნაძე მოქმედებდა მეოცე საუკუნის მიწურულის პოლიტიკოსის ხერხებით, რუსეთის პოლიტიკა კი ვერ გასცილდა ჩიჩერინის, ლიტვინოვის, მოლოტოვის თუ გრომიკოს დონეს, რადგანაც მას ჯერ

კიდევ ხურგს უძაგრებენ გუშინდელი აკლანეთის, ანუ „ინტერნაციონალური ვალის“ შემსრულებელი გენერალი გრომოვი, გენერალი რუცკოი და მმარი მათნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე თვითონ ეჭვობს სულა ამ ჩიხში. იგი უთუოდ კარგად ხედავდა, რომ შეუძლებელი იყო მშვიდობიანი მოლაპარაკება რუსეთის იმპერიულ ძალებთან და მათს მარიონეტებთან — მოწკავწკავე არძინბას ფინიების ხროვასთან. ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდებათ რუსეთის დიპლომატიას და მხედრიონს, ვიდრე საოცარი გვარის მქონე გენერალ ტოტლებენის დონეს გასცდებიან. ტოტლებენი გერმანულად „სიკვდილსიცოცხლეს“ ნიშნავს! სიტყვის გატეხა ძველი რუსული დიპლომატიის ქვაკუთხედია — სიცოცხლეს დაგპირდება და სიკვდილს გიმზადებს. ასე რომ, ჩიხში ჩვენ კი არ მოვექეცით, არამედ რუსეთის იმპერული პოლიტიკა. ჩვენ ყველა მშვიდობიანი გზა მოვსინჯეთ, კონსტრუქციული კომპრომისი ვცადეთ. მხოლოდ ერთი გზა დარჩა: სამხედრო ძალით ექსტრემისტთა და დაქირავებულ გადამთიელთა ლიკვიდაცია! ახლა რუსეთი იძულებულია ან განზე გადგეს და საშინაო საქმის მოგვარება გვაცალოს, ან ინფორმაციულ ომს, ცივ ომს არ უნდა დასჯერდეს და ნამდვილი ომი გამოგვიცხადოს (ასეთი მუქარა დაიგრგვინა კიდეც გრომოვმა!). ეს კი ნიშნავს რუსეთის დაპირისპირებას მსოფლიო თანამეგობრობასთან, სადამჰუსეინობას. შეძლებს რუსეთი ცივილიზებული ქვეყნის ნიღბის ახდას?

ვინ ყოფილა ჩიხში, ბატონი უნტერ პრიშიბეევებო?

რომან მიმინოშვილი

„საქართველოს რესპუბლიკა“
7 სექტემბერი, 1992.

* * *

...იხილოს მიწამ მშობელმა,
გული გვაქვს პაპათეული,
სისხლი გვიფუის ძარღვებში,
სისხლი ლაშქრობას ჩვეული,
მკლავიც გვაქვს შამქორს ნაცადი,
არა ვართ გამორჩეული!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ხუცურაული

ნუგზარ ხუცურაული დაიბადა 1957 წელს თბილისში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის 133-ე საშუალო სკოლა. 1976 წელს კი – 26-ე პროფტექნიკური სასწავლებელი.

1980 წელს შევიდა ვაჭრობის თბილისის ტექნიკუმში, 1983 წელს დაამთავრა და მიენიჭა ტექნოლოგის კვალიფიკაცია. 1984 წლიდან 1991 წლამდე მუშაობდა სპეციალობით.

1992 წლის 1 დეკემბერს ჩაირიცხა ბატალიონ „თბილისში".

1992 წლის 7 დეკემბერს გმირულად დაიღუპა აფხაზეთში სოფელ კოჩარასთან საბრძოლო ოპერაციის დროს.

ნუგზარ ხუცურაული სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

* * *

თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი.

ვაჟა-ფშაველა



ვალერი ჯამბაზიშვილი

ვალერი ჯამბაზიშვილი დაიბადა 1966 წელს, სწავლობდა ქალაქ თბილისის 136-ე სკოლაში. 1984 წელს დაამთავრა I მუსიკალური სასწავლებელი. 1986-87 წლებში მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში. არმიაში. 21 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა ჯერ თემქის ქარხანაში შემდულებლად, შემდეგ — სამშენებლო სამმართველოში.

1989 წლის აგვისტოში ჩააბარა მისაღები გამოცდები ხარკოვის იურიდიულ აკადემიაში დასწრებულ განყოფილებაზე, სადაც ჩაირიცხა და დღემდე იყო აკადემიის V კურსის წარჩინებული სტუდენტი.

არდადეგებზე ოთხი დღის ჩამოსულიც არ იყო, რომ მოხალისედ ჩაეწერა აფხაზეთში წასასვლელად. მოხვდა ბაბუშერის საარტილერიო ნაწილში, იძალა, რომ გადასულიყო დესანტთა რიგებში, მათთან ერთად პირველი შევიდა სოფელ შრომის მისადგომებთან. 400 გრამი სისხლი მის მეგობარს გადაუსხა და იმის მაგივრად, რომ დაესვენა, იმ წუთშივე წავიდა შეტევაზე, სანამ ავტომატის ტყვიები ჰქონდა, თავდადებული იბრძოდა, როცა კი გაუთავდა, იარაღი გვერდით მოისროლა და დაიწყო დაჭრილების გამოყვანა. რამდენიმე დაჭრილს უშველა და გამოიყვანა, თვითონ კი ნამსხვრევი მოხვდა გულში და სულიც იქვე განუტევა.

* * *

...დაჰკარით, ძმებო, დაჰკარით,
ჩვენს ხმლებს მტრის სისხლი ნუ მოშივდება:
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საარაკო გმირებს დიდება!

ალექსანდრე საჯაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჯაბაური

დავით (დათო) გიორგის ძე ჯაბაური, დაბადებული 1969 წლის 24 ივლისს კასპში, განათლება საშუალო-სპეციალური, უცოლო.

კასპის მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. იტაცებდა ხატვა, მუსიკა, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. დათო მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში.

შემდეგ მუშაობა დაიწყო საწარმოო გაერთიანება „კასპცემენტში" მუშად.

1992 წლის 21 დეკემბერს დათო გაიწვიეს ქ. გორში ეროვნული გვარდიის ნაწილებში. შემდეგ შევიდა ბატალიონ „ავაზაში". 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან მტერთან მძიმე შეტაკების დროს დათო გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

დაკრძალულია კასპში.

* * *

...არ არსებობს სხვა სიტყვები,
მას მივენდე, მას მივყვები,
სადაც კი ვარ, მზეში, ქარში,
ხმალს არ ვაგებ მე ქარქაშში,
ორი სიტყვა წინ მიძღვება:
„სამშობლო" და „გამარჯვება!"

იოსებ გრიშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვთისო ჯაბნიაშვილი

დაიბადა 1971 წელს. ცხოვრობდა თბილისის ძველ უბანში — ფონიჭალაში. აქ დაამთავრა 127-ე სკოლა. შემდეგ მუშაობდა ელექტროშემდუღებელ ქარხანაში. დაოჯახდა და ოჯახს თავისი ალალი შრომით არჩენდა. დარჩა დედა — ლალი, დაიკო — ეკა, ძმა — ვაჟა, მეუღლე — შორენა და ბოლოს, ოჯახის დიდი სიხარული — პატარა ეკა, მამის საფიცარი.

საქართველოს მთლიანობას საფრთხე დაემუქრა და ვაჟკაცს გული რას გაუძლებდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დამცველთა რიგებში ჩადგა. იბრძოდა შრომაში, ცაგერში, შემდეგ ოჩამჩირეში, სოფელ ლაბრასთან კი, ფერმებთან დაზვერვისას სნაიპერის ტყვიამ უწია. ეს იყო 1993 წლის თებერვალში...

სამშობლოს დაცვას შეეწირა გულანთებული ჭაბუკი ხვთისო ჯაბნიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჯალალი

თამაზ ჯემალის ძე ჯალალი დაიბადა 1969 წელს ქ. თბილისში. 148-ე საშუალო სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა 110-ე პროფსასწავლებელში – ელექტროშემდუღებლობას დაეუფლა.

1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომლის მოხდის შემდეგ მუშაობა დაიწყო „კავკაზელექტროქსელში" № 90 მექანიკურ კოლონაში მძღოლად.

1992 წელს 7 დეკემბერს თამაზი მოხალისედ შევიდა ბატალიონ „ავაზაში" და წავიდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე, ცნობილი 2 ივლისის დესანტის გადმოსხმის დროს სოფ. ტამიშთან გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

* * *

სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორთავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა.

რაფიელ ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ჯანიაშვილი

დაიბადა სოფელ დიღომში 1966 წლის 21 თებერვალს, დაამთავრა დიღმის საშუალო სკოლა. მსახურობდა ქ. პერმში შინაგანი ჯარის რიგებში. იქიდან ჩამოიტანა ბრწყინვალე დახასიათება და მიმართვა — ლიმიტი, რომ შესულიყო მილიციის რიგებში. ამბობდა, სამშობლოს ამ სფეროში სათანადოდ ვემსახურებიო. 1992 წლის 20 თებერვალს შევიდა ეროვნული გვარდიის რიგებში. პირველი დღიდანვე გამოიჩინა თავი მტკიცე ხასიათით, სიმამაცით. შემდეგ სამაჩაბლოს ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. იქვე ორჯერ დაიჭრა. შემდეგ კაპიტნის წოდება მიანიჭეს და თიანეთის ბატალიონის შტაბის უფროსად დანიშნეს.

14 აგვისტოს აფხაზეთში შევიდა. უკვე დიდგორის ბატალიონის წევრი გახდა. თანამებრძოლები და მეგობრები გაოცებით ადევნებდნენ თვალს მის მოქმედებებს. ჩქარი, შემსრულებელი, უშიშარი და გამბედავი იყოო, ასე ყვებოდნენ მასზე. ყველანაირ ტექნიკაში ერკვეოდა. ჯერ ტანკისტად იყო, მერე გული რომ ვერ უთმენდა, გადმოხტებოდა და ტყვიამფრქვევთან დადგებოდა. იქაც დაიჭრა მარცხენა ბეჭის არეში. ჰოსპიტალიდან მეორე დღესვე გამოვიდა და ისევ ომობდა. გადაღებული აქვს უამრავი ვიდეომასალა, არაერთხელ გამოსულა ტელევიზიით. მალე გმირობისათვის მაიორის წოდება მისცეს. რამდენი მეგობარი გამოუყვანია ბრძოლის ველიდან! ბოლოს 19 წლის ბიჭი დაჭრილი გამოიყვანა და ექიმებს ჩააბარა, თვითონ კი ისევ შებრუნდა, ეს იყო 1 ნოემბერს სოფელ შრომასთან საღამოს 8 საათზე. შეუჩერებელი სროლების დროს პაატა თითქოს რაღაცას გრძნობდა, ამბობენ, ვერ ისვენებდაო, ხან ტანკიდან, ხან ავტომატიდან და ბოლოს ყუმბარმტყორცნიდან 3-ჯერ გაისროლა, მაგრამ ურჯულო სნაიპერს უკვე აყვანილი ჰყავდა მიზანში და პაატამ მიმალვა ველარ მოასწროო. პაატა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ვინ იცის, რას ფიქრობდა მაშინ...

იქნებ, თავისი 4 წლის პატარა ნათია ელანდებოდა. წავიდა პაატა და დატოვა ოჩლად 4 წლის ნათია ჯანიაშვილი და ქვრივად მეუღლე — მედეა ჯანიაშვილი.

დაიმარხა თავის სოფელში, 8 ნოემბერს და დაუტოვა თავის შვილს ბრძოლა მამის სახელი!

კონსტანტინე (კოტე) ჯანჯღავა

მეხის გავარდნას ჰგავდა თბილისის ცაზე აფხაზეთიდან მოსული ღიმილიანი ბიჭის სიკვდილის ამბავი. აღარ გაივლისო რუსთაველზე კოტე ჯანჯღავა—კაცი, რომელიც ერთნაირად უყვარდა დიდსა და პატარას, ნაცნობსა და მეგობარს.

ბუნებით დაუდგრომელს ყველაფერი აინტერესებდა და ახალ-ახალი თავგადასავლებისაკენ უწევდა გული. ფათერაკიანი იყო: ჯარში წასვლისთანავე ლენინაკანში შეესწრო მიწისძვრას, ბათუმში—მეწყერს, აფხაზეთში—უნივერსიტეტის დარბევას, 9 აპრილის ძეგლის დასაცავად სვანეთის მთებიდან გადავიდა მეგობრებთან ერთად სოხუმში, ცხინვალთან მოექცა ალყაში.

სიცოცხლე უყვარდა მეგობრების ჭირის გამზიარებელს. მაგრამ, თუ საჭირო იყო, თავის სიცოცხლესაც არად დაგიდევდათ. აფხაზეთში უნივერსიტეტის დარბევისას დაჭრილ-დახოცილები რომ გამოჰყავდა, ერთ-ერთ ექთანს უთქვამს: წადი, შვილო, თბილისში, აქაურობას გაერიდეო, უპასუხნია: ისეთი დედის გაზრდილი ვარ, თბილისში რომ ვიყო, აქ უნდა წამოვიდეო. როცა უცხოელმა კორესპონდენტმა რუსეთის ჯარიდან გამოქცევის მიზეზი ჰკითხა, უპასუხა: „მე ის ადამიანი ვარ, მონობას რომ ვერ ეგუება. თავისუფალი ვარ და ვიქნები მუდამ. და ვინც ამაში ხელს შემიშლის და ჩემს დამონებას დააპირებს, სამართლიან სასჯელს ვერ გაექცევა. თუ მტერი ფიზიკურად მომერევა, სულს ვერანაირი ძალით ვერ დაჯაბნის. და ეს იმიტომ, რომ მე საქართველოსავით ლაღი და თავისუფალი ვარ“.

...და მან საქმით დაადასტურა თავისი სიტყვა.

საქართველოს კონტრდაზვერვის საიდუმლო განყოფილების ყველაზე ახალგაზრდა გამგე გაგრასთან პირველი გადავიდა შეტევაზე. სწორედ მან ... მის გვერდით პირველი ჭურვი და ხელი მოწყვიტა. მანამ ესროდა მტერს შეუჩერებლივ, სანამ საბედისწერო ტყვიამ არ უწია.

22 წლისა წავიდა კოტე ჯანჯღავა, კაცი, რომელიც დაკლდა თბილისს.

მირიან კალანდარიშვილი

ნოდარ ჯანაშვილი

დაიბადა 1956 წლის 15 აპრილს ცხინვალის რაიონის სოფელ საცხენეთში. 1963 წელს შევიდა სოფელ საცხენეთის დაწყებითს სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა სოფელ ვანათის საშუალო სკოლაში, დაამთავრა 1973 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში. 1974 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. პირნათლად იმსახურა და დაბრუნდა 1976 წელს. სწავლა კვლავ გააგრძელა თავის ტექნიკუმში და დაამთავრა 1978 წელს. იმავე წელს მამის დაღუპვის გამო დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მუშაობა დაიწყო ქ. ცხინვალის მტკვარწყალმშენში უფროს ოსტატად. 1980 წელს დაოჯახდა, შეეძინა სამი ქალიშვილი, იყო ჩინებული მეუღლე. სამუშაოდ გადავიდა ცხინვალის რკინაბეტონის ქარხანაში 1987 წელს საამქროს უფროსად, მაგრამ 1988 წლის 23 ნოემბერს, როდესაც საქართველოს ყველა კუთხიდან ხალხის ბრბო შემოვიდა ცხინვალში, მოლაპარაკების მიზნით დაიწყო ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გამწვავება, ცხინვალი ჩაიკეტა და ყველა ქართველი იძულებუ-

ლი გახადეს ძალით თუ ნებით დაეტოვებინათ ქალაქი, ნოდარმაც მიატოვა ცხინვალი და დაბრუნდა სოფელში. იცოდა, რომ ამ ამბავს კარგი არაფერი მოჰყვებოდა და გადაწყვიტა ქ. რუსთავში ბინა შეეძინა, რათა მის ცოლ-შვილს უშიშრად ეცხოვრა იქ. ნოდარმა ოჯახი გადაიყვანა საცხოვრებლად რუსთავში, მაგრამ თვითონ კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, აიღო ხელში იარაღი და ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში. 1990 წლიდან სოფლებში მდგომარეობა გამწვავდა, ოსი ექსტრემისტები იმდენად გათავხედდნენ, რომ პირდაპირი იერიშით უტევდნენ სოფლის მოსახლეობას. მათ ხომ დახვედრა სჭირდებოდა. 1991 წლის შემოდგომით მრავალჯერ დაესხნენ თავს სოფლებს ვანათს, საცხენეთს, ბელოთს, სადაც ნოდარი შეუპოვრად იბრძოდა და უვნებელი ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან. 1992 წლის გაზაფხულზე შეტაკება სოფელ საცხენეთის მისადგომებთან 5 საათი გაგრძელდა. ჩვენმა ბიჭებმა მტერი უკუაგდეს. დანაკლისი კი განიცადეს, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს. იმ დროს სოფლებში ჩამოყალიბებული იყო შტაბები და ერთი შტაბის უფროსად ნოდარიც აირჩიეს. ის უძღვებოდა წინ ბიჭებს, ტყვია-წამალს აწვდიდა, მათ, თვითონაც წარმართავდა ჰაუბიცის ცეცხლს. მისი ქმედება ოსებს არ გამოპარვიათ და 1992 წლის 3 ივლისს, როდესაც იგი ოსების მიერ მძევლად აყვანილი ხალხის გამოსახსნელად მიდიოდა, ჩვენს საკუთარ მიწაზე, გზაზე ოსმა ექსტრემისტებმა მუხანათურად მოკლეს მანქანაში ისე, რომ იარაღის გასროლაც კი ვერ მოასწრო. შეეწირა იგი სამშობლოს, თავის კუთხესა და ხალხს, 36 წლის ასაკში დატოვა ცოლი და სამი პატარა ქალიშვილი. წავიდა ამ ქვეყნიდან მისი ლამაზი სიცოცხლე, დარჩა მხოლოდ მოგონება, რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო მას ქვეყნისათვის, ხალხისათვის! იგი დაკრძალეს 1992 წლის 7 ივლისს მშობლიურ სოფელში.

* * *

არ უფრთხოდა მტერს ქართველი,
არ იცოდა გმირმა შიში,
ქართველს მტრისთვის ჰქონდა ხმალი,
შეტევა და იერიში.
დღეს სამშობლოს მეტი უნდა
გმირობა და ერთგულება,
ქართველ ვაჟკაცს ძილი არ სწამს,
თუ კარს მტერი ეგულება.

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჯაში

იდგა 6 ივლისი, წელი 1998...

იყო ერთი თბილისელი ტანადი, მოხდენილი, პატიოსანი, კეთილშობილი, მასზე უფროსების პატივისმცემელი, განსაკუთრებით ბავშვების მოყვარული, თვითონაც ბავშვივით გულუბრყვილო, ყველა გაჭირვებულის დამხმარე და შემბრალებელი ლევან ჯაში.

ლევან როსაპის ძე ჯაში დაიბადა 1963 წლის 18 აგვისტოს, 1980 წელს, თბილისის № 147 სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ელექტროაპარატურების ქარხანაში. ლევანი სასწავლებელში იყო თუ სამსახურში, ყველგან ყველას უყვარდა, თავისი ალალი, ხალასი ადამიანობის გამო. შემდეგ ლევან ჯაშს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების № 11 ბრიგადაში, ნაწილი 05750, სატანკო ბატალიონში ვხედავთ.

უფროსმა ლეიტენანტმა ლევან ჯაშმა პირნათლად მოიხადა თავისი მამულიშვილური ვალი სამაჩაბლოში, ლევანი აღფრთოვანებული დაბრუნდა სამაჩაბლოდან, — ნახა ჩინებულად მოქართულე, მსუყე სოფლები და მშრომელი ხალხი. როგორ შეიძლება „სამაჩაბლო მტერს რომ ჩაეგდოთ ხელშიო, — გულით უთქვამს ლევანს.

და, აი, დატრიალდა ჯოჯოხეთი აფხაზეთში; და ისიც უყოყმანოდ გაეშურა საქართველოს ამ ძირძველი მიწის დასაცავად.

აფხაზეთში თანამებრძოლები ლევანს ასე ახასიათებდნენ: იყო მეგობრების მიმართ ყურადღებიანი, მიზანში კარგად ისროდა, იყო ლომივით მეომარი, ამიტომ ბიჭებმა ზედმეტსახელად მას „ლომი“ შეარქვეს.

ერთ დღეს ლევანს ამხანაგებმა უთხრეს: ლევან, შენ მიზანში კარგად ხვ-ვრი და იმ შენობას ესროლე, მოახვედრებო მაგრამ ლევანი არ დათანხმდა, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ ამ სკოლის შენობაში, გარდა აფხაზი მოსწავლეებისა, ტრემისტებისა, იყვნენ ბავშვებიც და ქალებიც.

იდგა ზაფხული, 6 ივლისი, 1993 წელი... ეს დღე ლევანისათვის საბედისწერო გამოდგა. 2 ივლისს მტერმა სრულიად მოულოდნელად მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოსხა ტამიშის მიდამოებში. მტრის მრავალრიცხოვნების მიუხედავად, მეომრები ჩაებნენ ბრძოლებში...

2–6 ივლისს მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა, სოფელ ტამიშში და ტამიშის მაიმუნისსაშენ შენობაში გამაგრებული დესანტის საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთი მორიგი საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დროს, ლევანმა მტერს ტანკიდან სროლა დაუწყო, განსაცდელში ჩავარდნილი თავის მეგობრების გადასარჩენად და მტერზე გამარჯვების იმედით... როცა მან მეგობრის ავტომატი აიღო, (მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში) და ტანკში ჯდებოდა, მტრის ტყვია კეფაში მოხვდა და ტანკიც მაშინვე აფეთქდა, ლევანთან ერთად აქ, ამ ტანკში დაიღუპა მისი მეგობარი თამაზ გელაშვილიც... „კვდებოდა და მაინც სამშობლოს ხედავდაო", ასეთ ვაჟკაცებზეა ნათქვამი. ლევანმა და თამაზმა თავიანთი თავგანწირული მოქმედებით, მათ წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანა სამშობლოს წინაშე, პირნათლად შეასრულეს...

მაგრამ ლევანი ვერ დაუბრუნდა საყვარელ მშობლებს, ძმას, ბებიებს, საცოლეს, მეგობრებს, ახლობლებს, აქ, აფხაზეთში დაიმსხვრა მისი სამომავლო ოცნებები... ლევანის სახელს ნუგეშად, ოჯახში, ლევანის ძმისშვილი პატარა ლევან ჯაში გააგრძელებს ჭეშმარიტად თავისუფალ საქართველოში.

ძნელია ნუგეში სცე ლევანის დედას, რომლის 30 წლის ვაჟკაცს გამოკვეთილი მიზნები და ოცნებები აუსრულებელი დარჩა, მაგრამ ადვილია სიკვდილი, როცა აღასრულა მოვალეობა მამულიშვილური, დასდო თავი სამშობლოსათვის.

და, ამიტომ საამაყოც ბევრი აქვთ მშობლებს, რომელთა ვაჟკაცი საქართველოს გმირად იქცა, მის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

მზია ბალანჩივაძე

* * *

— დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მოეც კურთხევა ზეციო, მაღალო,
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!

აკაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაში

მაიორი რევაზ მამიას ძე ჯაში, დაბადებული 1937 წლის 1 იანვარს თბილისში.

შინაგან ჯარებში მსახურობდა 1991 წლიდან მთავარ სამმართველოში ოფიცრის თანამდებობაზე.

დაიღუპა 1992 წლის 14 აგვისტოს გულრიფშის რაიონში.



ზურაბ ჯაშიაშვილი

ზურაბ მიხეილის ძე ჯაშიაშვილი დაიბადა 1968 წლის 23 ოქტომბერს, ქ. თბილისში. განათლება — ტექნიკური, უცოლო. მცხოვრები ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, № 39-ში.

1975–85 წლებში სწავლობდა თბილისის № 127-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986 წ. გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ქ. მოსკოვში, სადაც 1988 წლამდე იხდიდა ოცეულის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე მხედრულ ვალს.

სამსახურის დამთავრებისთანავე სწავლა ისევ გააგრძელა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს.

1991 წლის გაზაფხულზე შევიდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდიის) შავნაბადას ბატალიონში იფიცრად.

1992 წლის გაზაფხულიდან იმყოფებოდა ფოთში, სადაც დისლოცირებული იყო შავნაბადას ბატალიონის ნაწილი, იბრძოდა სამაჩაბლოში და საქართველოს სხვა ცხელ წერტილებში. მტრის მუხანათურმა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე 1992 წლის 15 აგვისტოს დაბა ლესელიძეში.

დასაფლავებულია ფონიჭალის სასაფლაოზე.

ზურაბ ჯაშიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** III ხარისხის ორდენით.

ნარგიზა ლომთაძე

ზურაბ ჯაჭვაძე

დაიბადა 1958 წლის 3 დეკემბერს. ქალაქ თბილისში. 6 თვისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ზურას დედამ — ქალბატონმა ნანამ ადრე დაობლებული შვილები ისე გაზარდა, რომ მათ დედის პატიოსანი შრომით ნაშოვნი ლუკმის ფასი და ყადრი იცოდნენ. შემდეგ რამდენჯერ უთქვამს ზურას: დედა რომ კარაქს მოგვიტანდა და ჩვენ გვინახავდა, თვითონ არ ჭამდა, სოფიკოც არ ჭამდა, ზურამ

ჭამოსო. მე კიდევ ჩემ დაიკოს — სოფიკოს ვუნახავდი და ბოლოს გვიფუჭდებოდაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამთავრა თბილისის 62.ე საშუალო სკოლა. სავალდებულო საბჭოთა მსახური მოიხადა ყაზახეთში, სემიპალატინსკში. სწავლობდა სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ამიტომაც ამბობდა, მიყვარს ეს ქალაქიო. მუშაობდა თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში ინჟინერ-ტექნოლოგად.

აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ზურა ამბობდა:

აფხაზი რძლის პატივისცემით და სოხუმის სიყვარულით, დასანგრევად იქ არ წავალო... იქ სწავლის პერიოდში რამდენჯერმე მოუწია აფხაზურ ოჯახში ყოფნამ სოფელ ღვადაში და ამბობდა:

„გულით იციან რძლის ნათესავებმა მიღება და პატივისცემაო“...

უყვარდა დედულეთი — თავისი ბავშვობის სოფელი საყდრიონი თიანეთის რაიონში... პაპა და ბებო, „მთელ მსოფლიოში ბებიაჩემისნაირი ხინკალი არავინ იცისო!“ უყვარდა იქ წასვლა სათევზაოდ ხან ამხანაგებთან ერთად და ხანაც მარტო.

და გაზაფხულზე, როცა აყვავდა ნუში და იასამანი, როცა მიწიდან თავიამოყვეს ლურჯმა იებმა, როცა თითქმის მთელი აფხაზეთი გადაიწვა და დაინგრა, სოხუმი ჩამოიშალა... აიღო ავტომატი და წავიდა.

გამომშვიდობებისას მეუღლეს უთხრა:

— ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ და იცოდე, თუ არ დავბრუნდი, თამუნას უმამობა არ აგრძნობინოო... პატარა თამუნამ კი თილისმა — პატარა ფუმფულა გნომი ჩაუდო გულის ჯიბეში და უთხრა:

— მამიკო, იცოდე, არ ამოიღო ჯიბიდან, სანამ ომი არ დამთავრდება და არ ჩამოხვალო.

ომში წასული დაუმეგობრდა გია ჩიხრაძეს — მასავით ობლობაში გაზრდილს. ახლადდამეგობრებულმა ბიჭებმა სიკვდილის უმძიმესი წუთებიც ერთად გაიზიარეს სოფელ ახალშენის მიწაზე.

აღარ დაბრუნდნენ, ისევე როგორც ბევრი თბილისელი ბიჭი, თითქოს ყველა ერთნაირი და ჩვეულებრივი, და ყველა მაინც რაღაცით გამორჩეული.

გვერდიგვერდ არიან ზურა და გია საბურთალოს სამმო სასაფლაოზე ფიზიკურად, სულიერად კი მათი სული განიბნა და ჩასახლდა იმ ადამიანებში, ვინც მათ უყვარდათ. ვერ უშველა პატარა თამუნას თილისმამ ზურას. მორგიდან შოიტანეს ეს პაწაწინა გნომი და გულზე დაადეს ბიჭებმა.

შემდეგ კი სკოლაში, როცა ბავშვებმა დაწერეს — თემა „რაზე ვოცნებობ“, 9 წლის თამუნამ მზის ჩასვლა ზღვაზე დახატა და დაწერა: „პირველ რიგში ვოცნებობ, რომ მამა გამიცოცხლდეს. მამა, დედა და მე ვიყოთ ერთად“.

ზურა ჯაჭვაძე დაიღუპა სოხუმჰესთან. იყო უშიშროების სამმართველოს ცალკეული სადესანტო მოიერიშე ბატალიონის მეთაურის მოადგილე, კაპიტანი.

ზურაბ ჯაჭვაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა **ვახტანგ გორგასლის** I ხარისხის ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასიკო ჯეირანაშვილი

არსებობს გრძნობები, რომელთა შესახებ საუბარი ძნელია. ეს გრძნობები უსიტყვოდ უნდა გესმოდეს. ისინი ვასიკოს უსიტყვოდ ესმოდა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივადაც ცხოვრობდა.

დაიბადა 1969 წლის 11 მაისს, სწავლობდა I ექსპერიმენტულ სკოლაში. მომავალს იმედით შეჰყურებდა, მაგრამ... პირველი უბედურება მამამისის ბატონი სიკოს დაღუპვა იყო. ოჯახის სიმძიმე ვასიკოს მხრებს უნდა ეზიდა, უნდა ეპატრონა უმცროსი დაიკო მაიკოსათვის, ყველასათვის დედასავით საყვარელი ქალბატონი ელიკოსათვის. მწუხარების შემდეგ თითქოს ისევ სიხარულმა დაისადგურა ოჯახში — ვასიკო დაქორწინდა. გაჩნდა პატარა ხატია, მაგრამ დაიწყო ომი... როგორც ყველა ნამდვილი მამულიშვილი, ვასიკო საშშობლოს იცავდა, „თეთრი არწივის" წევრი იყო, საოცრად ერთგული, ძმობაში უღალატო და ძალიან სათუთი ბუნების ადამიანი. მეგობრები ხუმრობით „კოშმარას" ეძახდნენ. 25 დეკემბერს, 1992 წელს ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფ. აძიუბჟასთან იმსხვერპლა მტრის ტყვიამ. რამდენი ტკივილი, რამდენი აუხდენელი ოცნება დარჩა ვასიკოს! არ დაავიწყებენ პატარა ხატიას მამიკოს და, თუ წარსულ გმირებზე უამბობდნენ გოგონას, ახლა ხატიას მამის ვასიკო ჯეირანაშვილის სახელიც დარჩება სამარადისოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ჯვართავა

ვასილ (ვასო) მურადის ძე ჯვართავა, დაბადებული 1969 წლის 20 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში. განათლება—საშუალო-ტექნიკური.

1977-86 წ. სწავლობდა ბაღდათის რაიონის სოფელ ქვედა დიმის I საშუალო სკოლაში.

1987-92 წლებში სწავლობდა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის აგრონომიულ ფაკულტეტზე.

1987-89 წლებში პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

1992 წლის სექტემბერში მოხალისედ ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის „ავაზას“ ბატალიონში. იყო ზემდეგი, ტანკისტი, 1993 წლის 15 იანვარს გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

ვასოს დარჩა წლის და 6 თვის ბექა, აცრემლებული დედა, და ორი და.

დასაფლავებულია ბაღდადის რაიონის სოფელ საიმედოს სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტრისტან ჯიოშვილი

ტრისტან ნიკოლოზის ძე ჯიოშვილი დაიბადა 1952 წლის 15 ივნისს ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთაში, გლეხის ოჯახში. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1964 წელს სწავლა განაგრძო ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმში მეფუტკრეობის სპეციალობით. 1970 წელს დაამთავრა ტექნიკუმი. მუშაობა განაგრძო ერედვის მეფუტკრეობის მეურნეობაში უფროს ინსტრუქტორად. 1971 წლიდან 1979 წლამდე მსახურობდა ფსკოვის დესანტის დივიზიაში, 1974 წლიდან 1977 წლამდე – შინაგან საქმეთა ორგანოში. 1977 წლის აგვისტოდან 1988 წლამდე იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო ოფიცერი. 1989 წლის იანვრიდან ჰქონდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივი „თაფლი“, ხოლო 1992 წლის 1 მარტიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდია) „შავი ავაზას“ ბატალიონში, ბატალიონის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, იბრძოდა სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ, იცავდა ქართულ მიწას.

1992 წლის 14 აგვისტოს ბატალიონი „შავი ავაზა“ გამოძახების შემდეგ გაემგზავრა აფხაზეთში. დაიღუპა 1992 წლის 26 აგვისტოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. დარჩა მეუღლე და ოთხი შვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდისეი ჯიროვი

რიგითი ოდისეი გიორგის ძე ჯიროვი, დაბადებული 1973 წლის 4 აგვისტოს ნოვოსიბირსკის ოლქში. ეროვნებით ბერძენი.
მსახურობდა ოპერატიულ პოლკში 1992 წლის მაისიდან.
დაიღუპა 1992 წლის 30 აგვისტოს ქ. ოჩამჩირეში.

კოგა ჯიხვაძე

დაიბადა ბაღდადის რაიონის სოფ. ფერსათში, 1963 წ. 14 სექტემბერს, მოსამსახურის ოჯახში. 1980 წელს დაამთავრა ფერსათის მეორე საშუალო სკოლა. 1983 წელს მოეწყო სასოფლოსამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკა-ორგანი-

ზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წ. დაქორწინდა 1984 წელს. ჰყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამუშაოდ თავის რაიონში, სადაც მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1991 წ. გადმოვიდა თბილისში სამუშაოდ ვაჭრობის სისტემაში. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა ვერ მოასვენა მისი ვაჟკაცური სული და 1992 წლის სექტემბრის თვიდან მსახურობდა საქართველოს გვარდიის ბატალიონ „ავაზაში". ამ მოკლე ხნის მანძილზე ტკბილი მოსაგონარი დაუტოვა მის ახლობლებს კობამ.

დეკემბრის თვეში, სანამ ავაზელები სოხუმს გაემგზავრებოდნენ, კობა მის საყვარელ ცოლ-შვილს, დედ-მამას, დას და ახლობლებს დაემშვიდობა. როდესაც ცრემლი გადმოგვცვივდა, ასე დაგვამშვიდა: თუ სამშობლოს არ დავეხმარეთ, აბა, რა არის ჩვენი ცხოვრებაო და წავიდა. მაგრამ საცოდავს არ დასცალდა დიდხანს ბრძოლა, შეტაკების დროს დაუნდობელმა ტყვიამ განეშორა მისი სათუთი გული.

რა შემზარავი დღე გაუთენდა 6 დეკემბერს კობას ობლებს, მეუღლეს, მშობლებს, დას და ახლობლებს.

წავიდა ჩვენგან იშვიათი ბუნების ადამიანი. რა შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც მისი მეუღლის, ქალ-ვაჟის, მშობლების, დისა და ახლობლების გულებში კობას წასვლით დაისადგურებს?

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო კობა, მსუბუქი იყოს შენთვის ღვთისმშობლის წილხვედრი ქართული მიწა, რომლისთვისაც იბრძოდი.

შალვა ჯღარკავა

* * *

... შენი სისხლი გიჟური,
სამშობლოსთვის ნაჟური,
კვლავ ჩვენში ჩქეფს ქართულად.
შენი მკლავი მედგარი.
ომში, დაუდეგარი,
მტერზე კვლავ შემართულა! —
რომ არავინ წაგვლეკოს...
შავლეგ, ბიჭო შავლეგო,
შე შავლეგო,

შავლეგო...

გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ჯმუხაძე

მამუკა გივის ძე ჯმუხაძე დაიბადა 1973 წელს თბილისში. 1990 წელს დაამთავრა თბილისის 103-ე საშუალო სკოლა.

1992 წლის 17 ნოემბრიდან ირიცხებოდა სწრაფი რეაგირების კორპუსის № 1 ბრიგადის 1 ბატალიონში რიგით მებრძოლად.

1993 წლის 1 ივნისს გმირულად დაიღუპა მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს აფხაზეთში, სოფელ ლაბრაში.

* * *

... დღეს კუბოში მწოლარე ვარ მკვდარია,
მე რა მესმის, პატრონისთვის მწარია,
მოვალთ, მოვალთ, სოფელი ამგვარია,
ვინც პატივს მცემს, სიცოცხლის ჰამქარია.
ბევრს ნუ მიგლოვთ, კმარა,
        დაისვენევით,
თქვენ მშვიდობით, მიწას
        ჩამასვენევით...

ია თია ბურჯი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუბაზ ჯოხაძე

გუბაზი ნარიმანის ძე ჯოხაძე დაიბადა 1949 წლის 27 დეკემბერს გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში. სპეციალობით — მექანიკოსი. ცხოვრობდა ქ. სოხუმში. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი. სექტემბრის თვიდან იბრძოდა პირველ ბატალიონში, იყო მოწინავე ხაზზე გუმისთის მიდამოებში. მერე გადაიყვანეს ოჩამჩირეში. საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს დაიღუპა 1993 წლის 3 იანვარს სოფ. კვიტოულთან.

* * *

... მოჰმადლე ქართველს ქართველს
ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე
მამული!..
ჰო, სახიერო! ცისარტყელა
განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი
წარხოცო ხალხსა...

ი ლ ი ა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ ჯოჯიშვილი

დაიბადა ყოფილი ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში (ჯოჯიაანთ უბანში) 1966 წლის 13 აპრილს. მერაბს მამა 1983 წელს გარდაეცვალა. ჰყავს დედა — ანო ჯოჯიშვილი, ძმა, რძალი და შვილი — პატარა მერაბი, რომელიც მის დაღუპვის დღეს დაიბადა. აგრეთვე ჰყავს ორი და.

მერაბმა 1983 წელს დაამთავრა ვანათის საშუალო სკოლა. გამოირჩეოდა მაღალი დისციპლინით. 1984 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც საქმის დიდი ერთგულება და უფროსების ნდობა დაიმსახურა. ამას მოწმობს მის სახელზე მოსული მადლობის ბარათები.

1986 წელს მერაბი სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის № 62 პროფსასწავლებელში, შემდეგ მუშაობას აგრძელებს ისევ თბილისში.

1989 წელს დაიწყო ბრძოლა ქართველებსა და ოსებს შორის. მერაბი უბრუნდება მშობლიურ კუთხეს, რათა თავი არ დაზოგოს საქართველოს ერთიანობისათვის. და ასეც ხდება. ყოველ სკოლაში ის ყოველთვის წინა ხაზზეა, ამას ადასტურებენ მისი მეგობრები. მერაბი სოფლის დიდი იმედი იყო. როდესაც სოფელს დაესხნენ, მტერს მერაბიც ავტომატმომარჯვებული დაუხვდა, თავს არ ზოგავდა. ის ოსმა ბოევიკებმა მოიმწყვდიეს ალყაში და ავტომატის ჯერით გულ-მკერდი შეუნგრიეს, მაგრამ მაინც არ ეცემოდა, სანამ თვითონაც არ დასცალა ავტომატი. ამას ამბობენ მასთან მყოფი გადარჩენილი ბიჭები. მასთან ერთად დაიღუპა მისი ტოლი და კლასელი სიმონ ხადური, ისინი ჭირშიც და ლხინშიც სულ ერთად იყვნენ.

ასე დასრულდა ხანმოკლე სიცოცხლე მერაბ ჯოჯიშვილისა 1992 წლის 8 აპრილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევან ჯულაყიძე

ზემდეგი ლევან შალვას ძე ჯულაყიძე დაიბადა 1964 წლის 12 ოქტომბერს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში.

1993 წლის 20 მარტიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სწრაფი რეაგირების სპეციალიზირებული ბატალიონის მსროლელად.

1993 წლის 3 ივლისს აფხაზეთში სოფელ ზემო კინდღში მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

* * *

... არ მივცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ღალასა.
ესეც ასწავლონ დედებმა,
შვილთ როს ეტყვიან ნანასა!
გაჰზრდისღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია კოვზირიძე

დაიბადა 1972 წლის 5 სექტემბერს თბილისში. 1989 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1992 წელს — ლანჩხუთის ინდუსტრიული კოლეჯი.

ილია კოვზირიძე ერთ-ერთი იმ პირველ გვარდიელთაგანია, რომლებიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში მსახურობდნენ. ილია არტილერისტი იყო, ნაღმსარტყოცნის მემიზნე. იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ, 1992 წლის 13 აგვისტოდან — აფხაზეთში. მონაწილეობას იღებდა ეშერასთან, ტამიშთან, კელასურთან ბრძოლებში.

1993 წლის 2 ივლისს სწორედ მისმა ნაწილმა მიიღო ტამიშთან გადმოსხმული დესანტის პირველი, მოულოდნელი დარტყმა. იგი თავისი ნაღმსატყორცნით მუსრს ავლებდა მტერს, მტერსაც შეუმჩნეველი არ დარჩა, ჩვენი ნაღმსატყორცნი და გაანადგურა კიდეც. ლაბრასთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად ღაეცნენ ილია და მისი თანაპოლკელები.

სიკვდილის შემდეგ ილია კოვზირიძე დაჯილდოვდა **ვახტანგ ვორგასლის** II ხარისხის ორდენით.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლერი ქარდავა

დაიბადა 1960 წლის 26 მაისს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში. წითელ დიპლომზე დაამთავრა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტში, დაამთავრა 1992 წელს.

პირველი დღიდანვე ჩაება საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. იყო ასმეთაური, ლეიტენანტის წოდებით. იბრძოდა ტამიშის, კინდღის, გუმისთის მისადგომებთან. იყო დისციპლინიანია და საქმისადმი ერთგული, მაგალითის მიმცემი მისი ბატალიონის წევრებისათვის. 1992 წლის დეკემბერშ მკლავში დაიჭრა. ჭრილობა ფეხზე დგომით მოიშუშა და ერთი დღითაც არ მიუტოვებია თავისი ბიჭები და შტაბი. მარტის დასაწყისში ისევ დაიჭრა. საავადმყოფოდან გამოიპარა და შტაბში იწვა. 1993 წლის 16 მარტს გამთენიისას დაიწყო შემოტევა სოხუმთან. მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მიუხედავად იმისა რომ უფროსები არ უშვებდნენ ფეხში დაჭრილს, არ ისვენებდა: „ჩემი ბიჭები უნდა ვნახოო“, ასე ჩაება ბრძოლაში, მას შეეძლო ცოცხალი დარჩენილიყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ლერი ქარდავა უშიშარი მებრძოლი იყო, არასოდეს დამალულა სხვის ზურგს უკან და იარაღით ხელში სამშობლს დამცველთა წინა რიგებში იდგა მუდამ.

მტერს გადმოლახული ჰქონდა მდინარე გუმისთა. ლერი ასაფეთქებლად წინ გაჭირა და ბიჭებს მოაძახა: „აქ არ დამტოვოთო. იმისათვის რომ ეხსნა თანამებრძოლები, ყუმბარმტყორცნელი ესროლაა მტრის მეტყვიამფრქვევეს და ჩააჩუმა. მეორემ კი ცეცხლი ლერიზე გადაიტანა. დაეცა მოწინააღმდეგისაგან სულ ორმოციოდე მეტრის სიშორეზე. მებრძოლებმა ლერი ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. მას ავტომატი მარჯვენა ხელით გულზე მიხუტებული ჰქონდა. ის იარაღით ხელში მოკვდა.

იმ დღეს სოხუმი გადარჩა.

დაიღუპა 33 წლის ლერი ქარდავა, რომელსაც დარჩა ოთხი წლის გოგონა — ხატია. დარჩა, რომელსაც ვერ ელეოდა, მაგრამ შვილთან ყოფნა-[illegible] ლოს გადარჩენა ამჯობინა. ის დააკლდა მთელს რესპუბლიკას, რ[illegible] ნე და ენერგიული ახალგაზრდა. პატარა ხატია ხშირად იგონებს მამას. როცა დასაძინებლად ემზადება იბარებს: „მამიკო რომ მოვა, გამაღვიძეთო“. ხატიას მამიკო შტაბში ეგულება.

ლერი ქარდავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ხათუნა ქათამაძე

ლევან შათირიშვილი

დადიოდი თბილისის ქუჩებში ამაყი და ლამაზი. გიყვარდა გაზაფხული, გიყვარდა სიცოცხლე, დედა, ძმა, მეუღლე, შვილები. ყველაფერი გხიბლავდა ლამაზი და ამაღლებული. თავადაც ლამაზს და ამაღლებულ სულის პატრონს.

მაგრამ, მაინც სამშობლო იყო შენთვის უპირველესი, ზეშთაებრივი. ამიტომაც იყო, რომ შენ უმალვე იქ გაჩნდი, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა დედასამშობლოს... აყივლდა შენში გმირი წინაპრების სისხლი და შენი სიცოცხლე უდრტვინველად მიიტანე სამშობლოსათვის სამხსვერპლოზე ზვარაკად.

2 სექტემბერს, იმ ავბედით დღეს, როდესაც სოხუმი ცეცხლის ალში ინთქმებოდა, მტარვალის მიერ გასროლილმა ტყვიამ შენი სიცოცხლე შეიწირა, სული კი მარადიულობაში გადასახლდა.

ქარი დაჰქრის შენს სევდიან სამარეზე. არა ეს მართლა ქარი არ გეგონოს, ეს შენი მეუღლე — ხათუნას ფორიაქია.

წვიმა გეპკურება გულზე — არა არც ესაა წვიმა. ეს შენი საბრალო დედის ᲫᲦᲣᲦᲐᲠᲔ ცრემლებია. შენი მკლავის სიმაგრე შენი ძმის [illegible]ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲐ. გაბრწყი-

ნებული მზე კი შენი ოთიკოს და პატარა ნათიას ხალასი სიცილია. რადგან სიცოცხლე ისევ გრძელდება როგორც პოეტი იტყოდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს...“

შენი სიცოცხლე შენს ოთიკოში და ნათიაშია განსახლებული. ჩვენი უსაყვარლესო ლევან, შენ ისევ ჩვენთან ხარ, რადგან სიკვდილი ვერასდროს ვერ წაშლის იმას, რასაც ჩვენში შენი სიცოცხლე ჰქვია!!!

5c n 167/353

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის
საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს,
გამომცემლობა „სამშობლოს“, „საქინფორმის“
ფოტოქრონიკას წიგნის გამოშვებაში გაწეული
თანადგომისათვის

ტექნიკური რედაქტორი
ვახტანგ დოსნაძე

გადაეცა წარმოებას 4. 05. 94, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 04. 96.
ფორმატი 70×90 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 41,54, ლიტერატურული
გარნიტურა, მაღალი ბეჭდვა, შეკვეთა 465, ტირაჟი 2 000.

სახელშეკრულებო ფასი

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. თბილისი, კოსტავას 14.

K 289.909
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა